

1961/2



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

645/2

საზოგადოებრივ მეცნიერებათა
ბ ა ნ ყ თ ვ ი ლ ე ბ ი ს

ე თ ა ე ბ ე

63



1961



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
А К А Д Е М И Я Н А У К Г Р У З И Н С К О Й С С Р

საზოგადოებრივ მეცნიერებათა
ბ ა ნ ყ რ უ ბ ე ბ ი ს

გ მ ა გ ე ე



ВЕСТНИК
ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК

8693



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
Издательство Академии наук Грузинской ССР

1961



ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო მ კ ო ლ ე გ ი ა

ნ. ბერძენიშვილი, ა. ბოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი,
ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ქ. ლომთათიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Берძენишвили Н. А. Бочоришвили А. Т. (главный редактор), Гугушвили П. Б.,
Долідзе И. С., Кватაძე Э. Г. (ответственный секретарь), Леонидзе Г. Н.,
Ломтათიძე К. Б., Чубинашвили Г. Н., Церетели Г. В. Церетели С. Б.

30
20



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული

XXII ყრილობა

ს. შარიაძე

თანამედროვეობის ქვეშაბრტყელ დიად მოვლენას წარმოადგენს სკკპ XXII ყრილობა, რომელიც გაიმართა 1961 წლის ოქტომბერში. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა უდიდეს ისტორიულ მიჯნაზე, როდესაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში მოპოვებულ მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად საბჭოთა კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში—კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უშუალოდ შექმნის პერიოდში, კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის მშენებლობისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მატთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის XXII ყრილობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ყრილობის მთელი მუშაობა წარმოადგენს ცხოვრების მიერ წამოყენებული მომწიფებელი ამოცანების ანალიზისა და გადაჭრისადმი ერთადერთ სწორი მიდგომის აღმოფრთხივანებელ მაგალითს, თეორიისა და პრაქტიკის ოსტატური შეხამების, ახალ ისტორიულ ეტაპზე მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიის შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების მკაფიო ნიმუშს. სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, თეორიული დასკვნები მთელი მოვლენების მიმართ, მთელ მსოფლიოს ხალხებს მიაჩნიათ დიდ წვლილად მარქსისტულ-ლენინური თეორიის, სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემების დამუშავებაში, ვინაიდან ახალი დიდმნიშვნელოვანი დასკვნები ამ დოკუმენტებში გაკეთებულია სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის მდიდარი გამოცდილების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმატებების განზოგადების საფუძველზე. მასში მეცნიერული სიღრმითაა ასახული სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვარი, ცხადადაა ნაჩვენები მისი უდიდესი უპირატესობანი და დასახულია წინსვლის ნათელი პერსპექტივები.

სკკპ XXII ყრილობაზე მიღებული პროგრამა, მსოფლიოში პირველი პროგრამა კომუნისტური საზოგადოებას აშენებისა—ჩვენი დროის თვალსაჩინო მარქსისტულ-ლენინური დოკუმენტია, რომელიც შექმნეს პარტიამ და მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ამახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. პროგრამაში მოცემული სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის პრაქტიკული გზების, საშუალებებისა და მეთოდების თეორიული დახასიათება დიდი წვლილია მეცნიერული კომუნისმის თეორიის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის თვითეული სტრუქტონი, რომელიც გამსჭვალულია მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრებით, გზას უნათებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ წესდებას—პარტიული ცხოვრების შესანიშნავად ამსახველ ისტორიულ დოკუმენტს. მასში მთელი სიცხადითაა მოცემული, რომ პარტია ძლიერია არა მარტო თავისი იდეების სიდიადით, არამედ თავისი რიგების მონოლითობით და ერთიანობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეაჯამა კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და დაუღალავი შრომის დიდი შედეგები, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა—კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა—რომელმაც მთელი მსოფლიო ააღელვა; აალაპარაკა, ყველა კეთილის მსურველი გაახარა, მტერს ლახვარი ჩასცა. ყრილობამ სსრ კავშირის ხალხებს ნათელი, დიდებული პერსპექტივები დაუსახა მის ძღვევამოსილ წინსვლაში დედამიწაზე ყველაზე უკეთეს და სამართლიან საზოგადოებისაკენ—კომუნიზმისაკენ. რომლის შინაარსია: **მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ მოისმინა და ყოველმხრივ ღრმად განიხილა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამახანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმა, შინაარსიანი მოხსენება—სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. ყრილობამ ცხადყო სკკპ ურღვევი ერთიანობა და დარაზმულობა თავისი ნაცადი ცენტრალური კომიტეტის გარშემო და ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება:

„მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. მოწონებულ იქნას დასკვნები და წინადადებები, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში“¹.

საანგარიშო პერიოდს—სკკპ XX ყრილობის შემდეგ განვილილ წლებს—განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში. ახორციელებდა რა ლენინურ გენერალურ ხაზს, პარტიამ მკიდროდ დარაზმა მშრომელები კომუნისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ამ პერიოდში ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელმაც მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ საბჭოთა კავშირი შევიდა კომუნისტურ საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

სკკპ XXI ყრილობამ გაითვალისწინა ჩვენს ქვეყანაში მიღწეული საწარმოო დონე, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობისა და კულტურული განვითარების დონე, წამოაყენა და თეორიულად დაასაბუთა ახალი, დიდი ისტორიული ამოცანა—კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა, რომლის განხორციელების შედეგად შეიქმნება ყველა მატერიალური და სულიერი პირობა კომუნიზმში გადასვლისათვის.

¹ სკკპ XXII ყრილობის რეზოლუცია, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 1 ნოემბერი.

სკკპ XXII ყრილობამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ლენინური პოლიტიკისა და მთელი საბჭოთა ხალხის ენერგიული შრომის შედეგად, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით მიღწეულია უდიდესი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე. ყრილობამ განსაკუთრებული დამაჯერებლობით გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთელ საქმიანობას საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების მტკიცედ დაცვა. პარტია განუხრელად ახორციელებდა ვ. ი. ლენინის მითითებას ხალხთან პარტიის კავშირის შესახებ:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი, მსოფლიო განვითარების პერსპექტივების სწორი გაგება. XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განმსაზღვრელი ნიშანია სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების შემდგომი ზრდა მთელ მსოფლიოში.

საბჭოთა კავშირი, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, ამზილებდა და გადაჭრით აღკვეთდა იმპერიალისტების პროვოკაციებს. „ის ფაქტი, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ მოხერხდა ომის თავიდან აცილება და საბჭოთა ადამიანებს, სხვა ქვეყნების ხალხებს შეეძლო ესარგებლათ მშვიდობიანი ცხოვრების სიკეთით, უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ზრდისათვის, ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისათვის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის მთავარ შედეგად. სოციალიზმის ქვეყნების მოქმე პარტიების საქმიანობის, ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალების აქტივიზაციის შედეგად“¹.

საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმულია იმ მეტად მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ განვლილ პერიოდში დამთავრდა სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ისტორიული განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი. სოციალიზმის ქვეყნებში მიმდინარეობს ეკონომიკისა და კულტურის მტკიცე და მძლავრი აღმავლობა, სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება ამ ქვეყნების ხალხთა მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება.

სოციალიზმის ქვეყნების განვითარების ამ ეტაპის დამახასიათებელი თავისებურებები თავის საანგარიშო მოხსენებაში შესანიშნავად აქვს მოცემული ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

„საბჭოთა კავშირი შეუდგა კომუნიზმის გამწვანებულ მშენებლობას; სახალხო დემოკრატიის მეტწილ ქვეყნებში ლიკვიდირებულია მრავალწყობიანი ეკონომიკა და მთავრდება სოციალიზმის მშენებლობა, სოციალისტურ ქვეყნებს შორის ყოველმხრივ განვითარდა ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება. ახლა უკვე არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ აგრეთვე ყველა სოციალის-

¹ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე, გახ. „კომუნისტი“, 1961, 18 ოქტომბერი.

ტურ ქვეყანაში ლიკვიდირებულია კაპიტალიზმის რესტავრაციის სოციალურ-ეკონომიური შესაძლებლობანი¹.

სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობა კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ის, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა 1960 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1937 წელთან შედარებით გააძლიერეს 6,8-ჯერ, მაშინ როცა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა — 2,2-ჯერ და უფრო ნაკლებად. სოციალიზმის ქვეყნების წვლილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში, რაც 1955 წელს შეადგენდა 27 პროცენტს, 1960 წელს გაიზარდა დაახლოებით 36 პროცენტამდე. საყურადღებოა ის, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის სახალხო მეურნეობის განვითარებას ინდუსტრიული მიმდინარეობა აქვს, რის შედეგად სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წონა ამჟამად შეადგენს დაახლოებით 75 პროცენტს².

თანამედროვე მსოფლიო განვითარების ანალიზი იმას ადასტურებს, რომ სოციალიზმს მტკიცედ აქვს თავის ხელში პირველობა ეკონომიკის განვითარების ტემპში, იგი წინ უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყნებს მსოფლიო მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის მოვლენები ცხოვრების ყველა სფეროში უდიდეს დადებით გავლენას ახდენენ კაცობრიობის შემდგომ პროგრესზე. აქედან გამომდინარე დღეს, ვიდრე ოდესმე, განსაკუთრებული სიცხადით ჩანს ვ. ი. ლენინის მითითების სისწორე იმის შესახებ, რომ მთავარ ზემოქმედებას საერთაშორისო განვითარებაზე სოციალიზმი ახდენს თავისი სამეურნეო წარმატებებით. სოციალიზმის სამეურნეო წარმატებანი, ამ წარმატებათა ყოველმხრივი ზემოქმედება არასოციალისტური ქვეყნების ხალხზე წარმოადგენს ძირითად ფაქტორს, რომელიც არეგულაციურებს მათ და ამით პირობებს ქმნის დაჩქარდეს კაცობრიობის პროგრესი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, დელეგატების გამოსვლებში, ყრილობის რეზოლუციაში საანგარიშო მოხსენების გამო, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირის საშინაო მდგომარეობას—მრეწველობისა და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის განვითარებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საკითხებს.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში პარტიის XXII ყრილობამ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში, XX ყრილობის მიერ შემუშავებული საშინაო პოლიტიკის განუხრელი განხორციელების შედეგად, მიღწეულია დიდი წარმატებანი. ასე მაგალითად, „სუკანასკნელ ექვს წელიწადში სამრეწველო პროდუქციის წარმოება თითქმის 80 პროცენტით გაიზარდა. წარმატებით სრულდება შედგენილი

¹ ვ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 18, ოქტომბერი.

² იქვე.

გეგმა. სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება შეიძლება პირველი სამი წლისათვის დასახულ 8,3 პროცენტის ნაცვლად ფაქტიურად შეადგენს 10 პროცენტს¹.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მძიმე ინდუსტრიის წამყვანი დარგების მიღწევები. ექვსი წლის განმავლობაში ფოლადის გამოდნობა გადიდა 26 მილიონ ტონით, რაც აღემატება ფოლადის მთელ წლიურ მატებას ინგლისში, ნავთობის მოპოვება გადიდა 95 მილიონი ტონით (ეს უდრის ხუთი ახალი ბაქოს შექმნას); ელექტროენერჯის წარმოება გაიზარდა 157 მილიონი კილოვატსათით (ეს უდრის 50 დნეპრჰესს.)²; ასევე დიდა მიღწევები მრეწველობის სხვა დარგებში. მარტივად ფაქტი, რომ 1956—1961 წლებში სახელმწიფო კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში შეადგინა 156 მილიარდი მანეთი (ეს იმაზე მეტია, რაც დაბანდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე პარტიის XX ყრილობამდე), მეტყველებს სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფ ტემპზე. ამ პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაეცა ექვსი ათასამდე დიდი საწარმო.

თანამედროვე ინდუსტრიის მაღალმა დონემ განაპირობა მსუბუქი მრეწველობის კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით განვითარება.

წინსვლის დაჩქარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის გარდაქმნას. მან აამღლა მოკავშირე რესპუბლიკების როლი სამეურნეო მშენებლობაში, ხელი შეუწყო ეკონომიკის დიდი რეზერვების მოქმედებას, განავითარა მასების შემოქმედებითი ინიციატივა, დაამსხვრია უწყებრივი ბარიერები, რომლებიც აფერხებდნენ ქვეყნის საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას.

პარტიის XXII ყრილობამ განსაკუთრებული დამაჯერებლობით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საანგარიშო პერიოდში ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი ყურადღება დაუთმო სოფლის მეურნეობის საკითხებს. 1953 წლის სექტემბრის პლენუმიდან მოყოლებული სოფლის მეურნეობის საკითხები არა ერთგზის გამხდარა პარტიისა და მთავრობის მსჯელობის საგნად. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია მტკიცების რეორგანიზაციის დიდი ღონისძიების გატარება. ამ ღონისძიებამ საშუალება მოგვცა ერთად ყოფილიყო თავმოყრილი მიწა და ტექნიკა, შეგვექმნა პირობები სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების უკეთ გამოყენებისათვის.

ათვისებულ იქნა ყამირი და ნასენი მიწების უდიდესი მასივები, ამაღლდა საბჭოთა მეურნეობის როლი კომუნისტურ მშენებლობაში, შემოღებულ იქნა დაგეგმვის ახალი წესი, აღდგენილია მატერიალური დანტერესებების ლენინური პრინციპები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განმტკიცებულია ხელმძღვანელი კადრებითა და სპეციალისტებით. ამ ღონისძიებებს უდიდესი რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდათ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ამ ღონისძიებათა გატა-

¹ რეზოლუცია სკკპ XXII ყრილობისა, გახ. „კომუნისტი“, 1961, 1 ნოემბერი.

² ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე, გახ. „კომუნისტი“, 1961, 18 ოქტომბერი.

რების შედეგად მივიღეთ ის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია წინა ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 43 პროცენტით¹.

სკკპ XXII ყრილობის მიწველი მუშაობა და ყრილობის მიერ მიღებული რეზოლუცია გამსჭვალულია პარტიის უდიდესი მზრუნველობით ხალხის კეთილდღეობისათვის. საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური წყობილება ახლა სიმწიფის ისეთ პერიოდში შევიდა, როცა ყველა მისი შესაძლებლობა თავს იჩენს უდიდესი სისრულით. ამ მიზნით ყრილობის დადგენილებაში გათვალისწინებული ამოცანების განხორციელება უზრუნველყოფენ ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას და ამ საფუძველზე მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდებას.

ყველა ამ ღონისძიებებთან ერთად ყრილობა მოითხოვს სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას. კომუნისტურ საზოგადოებას შეეფერება მხოლოდ, მაღალიდგური დონით აღზრდილი ადამიანი. აქედან გამომდინარე, ადამიანებში კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და კომუნისტური პრინციპების კიდევ უფრო მტკიცედ დანერგვისათვის, ახალი ადამიანების ფორმირებისათვის ბრძოლა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მეტად დიდი და საპატიო ამოცანაა.

* * *

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. მან პირველმა უჩვენა მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს სოციალური და ეროვნული თავისუფლების დიდებული გზა.

ას წელზე მეტი ხნის წინათ მეცნიერული სოციალიზმის დიდი მასწავლებლები კ. მარქსი და ფ. ენგელსი დასძენდნენ: „ა ჩ რ დ ი ლ ი და დ ი ს ე ვ რ ო ბ ა შ ი ო — ა ჩ რ დ ი ლ ი კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ა“. მარქსმა და ენგელსმა დააარსეს მუშათა კლასის პირველი კომუნისტური პარტია—„კომუნისტური კავშირი“ და დაწერეს მისთვის პროგრამა—„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. „მანიფესტში“ ნათქვამი იყო, რომ საუკუნოებრივი ბრძოლა მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის უნდა გათავდეს მუშათა კლასის გამარჯვებით, რომელიც აიღებს რა ხელში ძალაუფლებას, ააშენებს სოციალიზმს. მეცნიერული სიზუსტით მოგვცეს კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნისმის გამარჯვების გარდუვალობა.

მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების—მარქსისა და ენგელსის მოძღვრების შემდგომი შემოქმედებით დამუშავება, განვითარება, ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანა და მისი ცხოვრებაში გატარება წილად ხვდა უბადლო თეორეტიკოსს, მათი უკვდავი საქმის გენიალურ გამგრძელებელს ვ. ი. ლენინს და მის მოწაფეებს.

მარქსიზმის კლასიკოსებმა მეცნიერული სიღრმით დაასაბუთეს, რომ ადამიანთა საზოგადოების მთელ განვითარებას კომუნისმისაკენ მივყავართ, რომ კომუნისმი ისეთივე გარდუვალობით შეცვლის კაპიტალიზმს, როგორც ნათელი დღე ცვლის ღამეს. მათ დაამტკიცეს, რომ მხოლოდ მუშათა კლასს შეუძლია მიიყვანოს მშრომელები განთავისუფლებამდე და კომუნისმის გამარჯვებამდე, რომ მუშათა კლასი ამ ამოცანის შესრულებას შეძლებს მხოლოდ მებრძოლი.

¹ რეზოლუცია სკკპ XXII ყრილობისა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 1 ნოემბერი.

რევოლუციური პროლეტარული პარტიის ხელმძღვანელობით. დიდი და სახელგანთავისი შინაარსითა და მასშტაბით პროლეტარიატის მიერ განვლილი ბრძოლის გზა. პარტიის კომუნა, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია, სოციალისტური რევოლუციები დიდ ჩინეთსა და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში—აი, ის ნათელი, მაგრამ მძიმე გზა. რაც პროლეტარიატმა თავის კისერზე გადაიტანა და მასზე დაკისრებული მსოფლიო-ისტორიული როლი ბრწყინვალედ შეასრულა. „გავლილია ხალხის ბედნიერებისათვის შებრძოლთა სისხლით მორწყული გიგანტური გზა, სახელოვან გამარჯვებათა და დროებით დამარცხებათა გზა, ვიდრე კომუნისში, რომელიც ოდესღაც მხოლოდ აჩრდილად გვეჩვენებოდა, თანამედროვეობის უდიდესი ძალა გახდებოდა, გახდებოდა საზოგადოება, რომელიც დედამიწის ვებერთელა სივრცეებზე იქმნება“¹.

ხელმძღვანელობდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით. პარტია თვითველ ისტორიულ ეტაპზე წყვეტდა თავის პროგრამებში ჩამოყალიბებულ ამოცანებს.

კომუნისტურმა პარტიამ ჩამოყალიბებისთანავე პარტიის II ყრილობაზე, 1903 წელს, მიიღო პარტიის პროგრამა. აღნიშნული პროგრამა რუსეთის მუშათა კლასს, ყველა მშრომელს მოუწოდებდა მეფის ხელისუფლების მოსპობის, ხოლო შემდეგ ბურჟუაზიული წყობილების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ. რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელსაც, ვ. ი. ლენინი ედგა სათავეში, ეს საპროგრამო ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა, 1917 წელს თებერვალში დაამხო მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი, ხოლო 1917 წლის ოქტომბერში მოახდინა პროლეტარული რევოლუცია და სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას ბურჟუაზიული წყობილება რუსეთში. ისტორიაში პირველი იშვა სოციალიზმის ქვეყანა. დაიწყო ახალი სამყაროს შექმნა. ამრიგად, პარტიის პირველი პროგრამა წარმატებით იქნა შესრულებული.

1919 წელს პარტიის VIII ყრილობაზე მიღებულ იქნა მეორე პროგრამა, რომელმაც პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს ამოცანად დაუსახა სოციალიზმის აშენება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის თავდადებული შრომით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შესრულებულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული სოციალიზმის მშენებლობის გეგმა. საბჭოთა ხალხმა მეტად დიდი და საპატიო ამოცანა შეასრულა, სოციალიზმმა საბჭოთა კავშირში მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა.

მასასადავმე, პარტიის მეორე პროგრამაც შესრულებული იქნა. საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულმა მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებებმა დიდი გამარჯვოლუციონებელი როლი შეასრულა მსოფლიოს მასშტაბით. ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტურმა რევოლუციებმა გაიმარჯვა და მსოფლიო სოციალისტური სისტემა შეიქმნა. დღეს მსოფლიოს ხალხის მესამედი ურყევად ადგია სოციალიზმის გზას და ახალ სოციალისტურ ცხოვრებას აშენებს.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 2 ნოემბერი.

თანამედროვე ეტაპი ხასიათდება კოლონიური სამარცხვინო სისტემის ხრწნით და ლობობით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ქარიშხალი საბოლოოდ ასამარებს დრომოკმულ თავიდან ბოლომდე გახრწნილ იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას.

თანამედროვე საერთაშორისო მოვლენების განვითარების კანონზომიერი პროცესი იმის მაუწყებელია, რომ „სოციალიზმის სამყარო ფართოვდება, კაპიტალიზმის სამყარო ვიწროვდება, სოციალიზმი გარდულად შეცვლის ყველგან კაპიტალიზმს. ასეთია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონი. იმპერიალიზმი უძლურია შეაჩეროს უძლეველი განმათავისუფლებელი პროცესი“¹. აქედან გამომდინარე, პარტიის ახალი პროგრამა ასკვნის: „თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვერვის. კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ეპოქა“².

ახლა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ მიიღო ახალი პროგრამა—**კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა**. პროგრამაში განზოგადებულია სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა, გათვალისწინებულია მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის მდიდარი გამოცდილება. პროგრამა მეცნიერული სიღრმით განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მთავარ ამოცანებს და ძირითად ეტაპებს.

სკკ ახალ პროგრამაში თეორიულად გაშუქებულია სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის ჭერ კიდევ გაუვლეელი გზები, მასში განვითარებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის უაღრესად აქტუალური საკითხები, მოცემულია კომუნისმის მეცნიერული დახასიათება, ნათელიყოფილია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საზოგადოებრივი ურთიერთობა და თუ როგორ გაიზრდება ადამიანის მატერიალური და სულიერი საუნჯე.

ამიტომ იყო, რომ პროგრამის პროექტის განხილვამ ისეთი გაქანება მიიღო, რომელიც არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან არ დაჩენილა ისეთი საკითხი, რომელიც საბჭოთა ხალხის ბედნიერი ცხოვრების ინტერესების შესაბამისად იდგეს და მასზე ამომწურავი პასუხი არ გაეცეს პარტიის პროგრამას. პროგრამის პროექტი უდიდესი გულდასმით განიხილეს ყველა პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რაიონულ საქალაქო, საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე. განხილვაში მონაწილეობა მიიღო 9 მილიონზე მეტმა კომუნისტმა, ე. ი. მთელმა ჩვენმა პარტიამ. სულ მოეწყო 500 ათასზე მეტი კრება, რომლებმაც განიხილეს პროგრამის პროექტი. ამ კრებებს დაესწრო 73 მილიონამდე კაცი. პროექტის შესახებ გამოვიდა 4 მილიონ 600 ათასზე მეტი კაცი³.

გარდა ამისა, სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რედაქციებმა, რადიომ და ტელევიზიამ მიიღო 300 ათასზე

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გახ. „კომუნისტი“, 1961, 2 ნომბერი.

² იქვე.

³ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სკკ XXII ყრილობაზე სკკ პროგრამის შესახებ. გახ. „კომუნისტი“, 1961, 21 ოქტომბერი.

მეტი წერილი და სტატია. ამ დიდი დოკუმენტის განხილვა მიმდინარეობდა პრინციპულად და საქმიანად, მაღალიდებურ და პოლიტიკურ დონეზე.

სკკპ პროგრამის პროექტის განხილვა გადაიქცა მთელი ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობის, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის მისი ურყევი ერთგულების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირებულ დემონსტრაციად. პროგრამის პროექტის განხილვამ განსაკუთრებული ძალით გვიჩვენა პარტიის სისხლხორცეული, ურღვევი კავშირი ხალხთან, საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული ბუნება.

საზოგადოების განვითარების მეცნიერული ანალიზი მთელ მსოფლიოს ამცნობს, რომ XX საუკუნე კომუნისზმის ტრიუმფალურ გამარჯვებათა საუკუნეა. საუკუნის პირველ ნახევარში, — ამბობს აშხ. ნ. ს. ხრუშჩოვი — ჩვენს პლანეტაზე მტკიცედ და საბოლოოდ დამკვიდრდა სოციალიზმი, საუკუნის მეორე ნახევარში მასზე დამკვიდრდება კომუნისზმი.

* * *

კომუნისტური პარტიის, მისი დამაარსებლისა და ბელადის ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის ძღვეამოქსილმა მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი რუსეთში და დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა, შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ახალი ტიპის დემოკრატია — დემოკრატია მშრომელთათვის.

ყველა იმ რევოლუციებს შორის, რომელიც ახსოვს კაცობრიობის ისტორიას, ოქტომბრის რევოლუცია თავისი მასშტაბითა და შინაარსით ყველაზე უფრო ღრმაა. ის წარმოადგენს მობრუნების პუნქტს არა მარტო რუსეთის ხალხთა ისტორიაში, არამედ კაცობრიობის მთელ ისტორიაში.

ჩვენი ქვეყანა დაადგა სოციალისტურ გარდაქმნათა სახელოვან გზას. ახალი წყობილების შექმნის სიძნელეები ძალიან ბევრი იყო. საერთაშორისო რეაქცია და შინაგანი კონტრრევოლუცია ყველა ძალს ხმარობდნენ იმისათვის, რომ კაცობრიობა აეცდინა სოციალიზმისაკენ მიმავალი გზიდან. ინტერვენცია ძვირად დაუჯდა ქვეყანას, მოიშალა მთელი სახალხო მეურნეობა.

იმხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი სკკპ XXII ყრილობაზე ამბობდა: „იმპერიალისტურმა ომმა და ინტერვენტთა შემოსევამ დაანგრია სახალხო მეურნეობა რუსეთში, რომელიც ეკონომიურად ისედაც ჩამორჩებოდა მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს 50—100 წლით. 1919 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება ჩვენს ქვეყანაში 5-ჯერ ნაკლები იყო 1913 წელთან შედარებით. დაქვეითდა სოფლის მეურნეობა“¹.

ახალი ცხოვრების მოწყობას ისიც ართულებდა, რომ არ იყო სოციალისტურ საწყისებზე ცხოვრების მოწყობის გამოცდილება, საბჭოთა ხალხი გარედან ვერ მიიღებდა ვერავითარ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას და სხვ.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, პარტიამ და ხალხმა განახორციელეს შორსმჭვრეტელური ბრძნული პოლიტიკა, გამოიჩინეს ურ-

¹ ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე, გახ. „კომუნისტი“, 1961, 20-ოქტომბერი.

ყვეი სიმტკიცე და არაჩვეულებრივი ორგანიზებულება და მოიპოვეს დიდი გამარჯვებები—სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელების საქმეში.

„სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა, სოციალიზმი, რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, საბჭოთა კავშირში რეალური სინამდვილე გახდა“¹. სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის ძირითადი რგოლებია იყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია. ჩვენი ქვეყნის მტკიცე ეკონომიური საფუძველი გახდა წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, გადაიჭრა დიდი სოციალური პრობლემა—ექსპლოატატორული კლასებისა და იმ მიზეზების ლიკვიდაცია, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას. განმტკიცდა და ურღვევი გახდა კავშირი მუშათა კლასსა და გლეხობას შორის, გაიზარდა და განმტკიცდა მუშებიდან და გლეხობიდან გამოსული ინტელიგენცია. მუშების, გლეხების, ინტელიგენციის ძირეულ ინტერესთა ერთობის ბაზაზე შეიქმნა საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა.

საბჭოთა ქვეყანაში განხორციელდა სოციალიზმის პრინციპი: „თვითეული-საგან—უნარის მიხედვით, თვითეულს—შრომის მიხედვით“.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყანა იქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად, რომლის განკარგულებაშია მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. თუ რას წარმოადგენდა რევოლუციამდელი ჩვენი ქვეყანა და რას წარმოადგენს დღეს, ამ კითხვას მკაფიო პასუხს აძლევს საანგარიშო მოხსენება სკკპ XXII ყრილობაზე.

„რუსეთი ითვლებოდა უროსა და საზიდრის, კავისა და სართავი ჯარას ქვეყნად. იგი მანქანებით აღჭურვილი იყო 10-ჯერ უფრო უარესად, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, 5-ჯერ უფრო უარესად ვიდრე გერმანია. ახლა საბჭოთა კავშირი მოწინავე ტექნიკის, ზემძლავრი ჩარხებისა და უზუსტესი ხელსაწყოების, ავტომატური ხაზების, ელექტრონული—საანგარიშო მანქანებისა და კოსმოსური ხომალდების ქვეყანაა. 1961 წელს ჩვენმა მანქანათმშენებლო და ლითონდასამუშავებელმა მრეწველობამ 350-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე 1913 წელს და თითქმის 1000-ჯერ მეტი, ვიდრე 1919 წელს... 1961 წელს გამომუშავებული იქნება დაახლოებით 160 ჯერ მეტი ელექტროენერჯია, ვიდრე 1913 წელს და 650-ჯერ მეტი, ვიდრე 1919 წელს“². შორს არაა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი პროდუქციის, როგორც საერთო მოცულობის, ასევე მისი ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ გამოვა პირველ ადგილზე მსოფლიოში.

უკეთესს რა ანალიზს საბჭოთა ხალხის მიერ განვიღო ისტორიულ გზას, პარტიის ახალი პროგრამა ხაზს უსვამს მის საერთაშორისო მნიშვნელობას:

„სსრ კავშირის გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ხალხებს შეუძლიათ მიაღწიონ სოციალიზმს მხოლოდ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელების შე-

¹ სკკპ პროგრამა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 2 ნომბერი.

² ნ. ს. ხრუშჩოვი, მოხსენება, XXII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 19 ოქტომბერი.

დედად... ახალი საზოგადოების შექმნის თავისი ისტორიული მისიის შესრულება მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ მტკიცე კავშირით არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან, პირველ რიგში გლეხობასთან, ... მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ქმნის ყველა შესაძლებლობასა და პირობას ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის, ერთიან სახელმწიფოდ თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა და ეროვნებათა ნებაყოფლობითი გაერთიანებისათვის, ... საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის ძირითადი იარაღი სოციალისტური სახელმწიფო ... სოციალიზმი და მშვიდობა გააუფლებს. ... მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულედა, მათი მტკიცე და ვანუხრელი განხორციელება, ყველა და ყოველგვარი მტრებისაგან და თბორტუნისტებისაგან მათი დაცვა სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელი პირობაა¹.

სკკ მესამე პროგრამა მეორისაგან განსხვავებით მიღებულ იქნა ისეთ პირობებში, როდესაც სოციალიზმი გაცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მძლავრ მსოფლიო სოციალისტურ სისტემად გადაიქცა. ამჟამად, საბჭოთა კავშირთან ერთად სოციალიზმს აშენებენ სხვა სოციალისტური ქვეყნებიც ევროპისა და აზიის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე. განვითარების სოციალიზმის გზა აირჩიეს აგრეთვე იუგოსლავიის ხალხებმა, მაგრამ იუგოსლავიის ხელმძღვანელებმა თავიანთი რევოლუციური პოლიტიკით იუგოსლავია დაუპირისპირეს სოციალისტურ ბანაკს, მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას და შექმნეს იუგოსლაველი ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაკარგვის საფრთხე.

ევროპისა და აზიის აღნიშნულ ქვეყნებში მომხდარმა სოციალისტურმა რევოლუციებმა უდიდესი ლაგვარი ჩასცეს იმპერიალიზმს.

სოციალისტური სახელმწიფოების შეკავშირება ერთიან ბანაკად, ნათქვამია პროგრამაში, — ამ ბანაკის ერთიანობა და განუწყვეტლივ ზრდა უზრუნველყოფს სოციალიზმისა და კომუნისმის სრულ გამარჯვებას მთელი სისტემის ფარგლებში.

სოციალისტურ ქვეყნებს აქვთ ერთი ტიპის ეკონომიური საფუძველი წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, ერთი ტიპის სახელმწიფოებრივი წყობილება — ძალაუფლება ხალხისა, მუშათა კლასის მეთაურობით, ერთი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, საერთო ინტერესები რევოლუციურ მონაპოვართა და ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვაში ყოველგვარი ხელყოფისაგან, ერთიანი დიდი მიზანი — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ყველა სოციალისტური ქვეყანა მონაწილეობს კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. უკვე შეიძლეოდის ბოლოსათვის სოციალიზმის ქვეყნები მოგვეყვინ მსოფლიო სამრეწველო პროდუქციას ნახევარზე მეტს. ეს იქნება სოციალიზმის უდიდესი გამარჯვება კაპიტალიზმზე.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის მტკიცედ დამკვიდრდა და ვითარდება საერთაშორისო ურთიერთობის ახალი ტიპი — ნამდვილი მეგობრული და ამხანაგური ურთიერთობა.

¹ ნ. ს. ბრუშჩოვი, მოხსენება სკკ XXII ყრილობაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 19-ოქტომბერი.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ სამყაროში. იქ ასეთი ურთიერთობა არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს, ვინაიდან კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის მძაფრი კონკურენციაა; იქ ერთი (ძლიერი) ავიწროებს და ახრჩობს მეორეს (სუსტს).

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების რევოლუციებს მრავალი თავისებურება ჰქონდათ, მაინც ეს რევოლუციები ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გაგრძელებას წარმოადგენენ.

სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე დადასტურებულია, რომ სოციალისტური მშენებლობის პროცესში ვლინდება სოციალისტური განვითარების გზაზე მდგომი ყველა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი მთავარი კანონზომიერებანი. ეს კანონზომიერებებია: მშრომელი მასების ხელმძღვანელობა მუშათა კლასის მხრივ, რომლის მოწინავე რაზმია მარქსისტულ-ლენინური პარტია, ამა თუ იმ ფორმით პროლეტარული რევოლუციის განხორციელება და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება; მუშათა კლასის კავშირი გლეხობის ძირითად მასებთან და მშრომელთა სხვა ფენებთან; წარმოების ძირითად საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება; სოფლის მეურნეობის თანდათანობითი სოციალისტური გარდაქმნა; სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება; სოციალისტური რევოლუციების განხორციელება იდეოლოგიისა და კულტურის დარგში; სოციალიზმის საქმის ერთგული მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის შექმნა; ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია და ხალხთა ძმური მეგობრობის დამყარება; სოციალიზმის მონაპოვართა მტკიცე დაცვა; მოცემული ქვეყნის მუშათა კლასის თანამეგობრობა სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ყველა ხალხი განახორციელებს სოციალიზმს, მაგრამ განახორციელებს არა ერთნაირად, არამედ თვითეული ქვეყანა შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ ნაირსახეობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის სოციალისტურ გარდაქმნის ტემპებში. სოციალისტური რევოლუციის და სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებაა მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი მარქსისტული პარტიის მეთაურობით. მუშათა კლასი სახელმწიფო ძალაუფლებას ახორციელებს სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, თუ ჩვენს ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიული ხელისუფლებაა, მაგრამ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ფორმით, შინაარსით ერთნაირნი არიან. მაშასადამე, საბჭოთა ხელისუფლებაც და სახალხო დემოკრატიაც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმებია.

აქედან გამომდინარე, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში მუშათა კლასი ამყარებს თავის ძალაუფლებას — პროლეტარიატის დიქტატურას — ყველაზე დემოკრატიულ, სამართლიან და ჰუმანურ სახალხო ხელისუფლებას.

პარტიის პროგრამა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა მოითხოვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის

პრინციპების მტკიცედ დაცვას. მსოფლიო სოციალისტური სისტემის გამოცდილებამ დაადასტურა, რომ საჭიროა იმ ქვეყნების უმჭიდროესი კავშირი, რომლებიც კაპიტალიზმს სცილდებიან, მათი ღონისძიებების გაერთიანება სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობაში. აქედან გამომდინარე, სოციალისტური სისტემის ძალა და უძლეველობა სოციალისტური ქვეყნების შემჭიდროვებაში, მათ გაერთიანებაში, ძმურ, უნგარო დახმარებაში და ურთიერთ მხარდაჭერაშია.

ყოველგვარი ცდა იმის შესახებ, რომ სოციალისტურმა ქვეყნებმა ურთიერთ თანამეგობრობის გარეშე იზოლირებულად, განკერძოებულად აშენონ სოციალიზმი (ამას ადგილი აქვს იუგოსლავიაში), თეორიულადაც და პრაქტიკულადაც საფუძველს მოკლებულია. ასეთი ცდა ეწინააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, ობიექტურ სინამდვილეს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში შესანიშნავადაა მოცემული თანამედროვე იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის პროცესი. პროგრამა ნათელყოფს, რომ სოციალიზმის წარმოშობით დაიწყო ჩაგრული ხალხების განთავისუფლების ერა. მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც სოციალიზმი გახდა მძლავრი და უძლეველი ძალა, შეიძლებოდა მომხდარიყო ისეთი დიდი მოვლენა, როგორცაა მილიარდ ნახევარზე მეტი ადამიანის განთავისუფლება კოლონიური ჩაგვრისაგან. კოლონიური იმპერიების ნანგრევებზე შეიქმნა 42 სუვერენული სახელმწიფო.

ბრძოლა ნაციონალური განთავისუფლებისათვის ამჟამადაც გრძელდება, ვინაიდან ჯერ კიდევ არიან აზიაში, აფრიკაში და ლათინურ ამერიკაში ხალხები, რომლებმაც დღემდე ვერ მოიცილეს კოლონიური სამარცხვინო უღელი. კოლონიურ ხალხთა ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს.

კოლონიალიზმის სისტემის კრაზი,—მითითებულია პროგრამაში,—თავისი მნიშვნელობით მეორე ისტორიული მოვლენაა სოციალიზმის მსოფლიო ბანაკის შექმნის შემდეგ.

ცხოვრებამ მთლიანად დაადასტურა კაპიტალიზმისა და მისი უმადლესი სტადიის—იმპერიალიზმის ზენინური ანალიზი.

სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციები, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ზრდა და კოლონიური სისტემის დაშლა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავების გადამწყვეტი ფაქტორია. მსოფლიო კაპიტალიზმის ყრიზისი მოიცავს ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს: ეკონომიკას, საშინაო და საგარეო პოლიტიკას, იდეოლოგიურ ზედნაშენს¹.

კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელ წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად—ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში—იზრდება მშრომელთა ჩაგრული მასების უკმაყოფილება კაპიტალისტური წყობილებით, იზრდება პროლეტარიატის რიცხვი და მისი ბრძოლა ექსპლოატატორების წინააღმდეგ უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს: ყოველივე ამის შედეგად „უფრო სწრაფად იქმნება იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა შეიცვალოს კომუნისტური ურთიერთობით. ესე იგი მოხდება“.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, გახ. „კომუნისტი“, 1961, 2 ნომბერი.

ის სოციალური რევოლუცია რომელიც წარმოადგენს კომუნისტური პარტიის, როგორც პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებულ გამომხატველ მიზანს¹.

აქედან გამომდინარე სკკპ პროგრამა ასკვნის მსოფლიო განვითარების მესამე შედეგია კაპიტალიზმის მკვეთრი, ყოველმხრივი შესუსტება და მისი საერთო კრიზისის ახალი გამწვავება.

მუშათა კლასის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის მთავარი მონაწილეა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც თავისი ცხოვრების შესანიშნავი მაგალითით გამარევოლუციურებელ გავლენას ახდენს კაპიტალისტური მსოფლიოს შრომელებზე, ძალასა და ღონეს მატებს მათ იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. საერთაშორისო მუშათა მოძრაობა კიდევ უფრო უძლეველი გახდა მას შემდეგ რაც მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდა საერთაშორისო პროლეტარიატის ახალი რაზმი—აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ახალგაზრდა მუშათა მოძრაობა.

კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ძალები უძლურნი აღმოჩნდნენ წინააღმდეგობა გაუწიონ დემოკრატიისა და პროგრესის მზარდ ძალებს. ხედავს რა ყოველივე ამას ბურჟუაზია იყენებს ახალ საშუალებებს, ცდილობს დაფაროს კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი.

ახლა, მსოფლიოში გაცილებით უფრო ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა მუშათა მოძრაობის შემდგომი ზრდისათვის. პარტიის ახალი პროგრამა მუშათა მოძრაობის მარქსისტულ ანალიზის შედეგად ასკვნის: „სსრ კავშირსა და მთელი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებებმა, მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისის გაღრმავებამ, მასებში კომუნისტური პარტიის გავლენის ზრდამ, რეფორმიზმის იდეურმა კრახმა არსებითად შეცვალა კლასობრივი ბრძოლის პირობები მშრომელთა სასარგებლოდ“².

სოციალისტური რევოლუციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტი-იმპერიალისტური რევოლუციები, გლეხთა ფართო მოძრაობანი, ხალხის მასების ბრძოლა ფაშისტური და სხვა ტირანული რეჟიმის დამოხობისათვის, საერთო დემოკრატიული მოძრაობანი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ერთიანდება ერთიან რევოლუციურ ნაკადად და ძირს უთხრის კაპიტალიზმს.

პროგრამაში შემდგომ განვითარებას პოულობს პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორია. კომუნისტებს არასოდეს არ მიაჩნდათ და არ მიაჩნიათ, რომ რევოლუცია აუცილებლად განხორციელდეს მხოლოდ ომების გზით. დღევანდელ ისტორიულ პირობებში საესეებით შესაძლებელია რევოლუციის მოხდენის მშვიდობიანი გზაც. მუშათა კლასი და მისი პარტია ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სოციალისტური რევოლუცია განხორციელდეს მშვიდობიანი საშუალებით. ეს შეესაბამება მთელი ხალხისა და ქვეყნის საერთო ინტერესებს. მაგრამ იმ პირობებში, როდესაც ექსპლოატატორული კლასები მიმართავენ ძალადობას, მხედველობიდან არ უნდა გაუშვან სოციალიზმზე არამშვიდობიანი გადასვლის შესაძლებლობა. ესე იგი მუშათა კლასის წარმატებები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად დაეუფლებიან მუშათა კლასი და მისი პარტია

¹ სკკპ პროგრამა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 2 ნოემბერი.

² იქვე.

ბრძოლის ყველა ფორმას—მშვიდობიანს და არა მშვიდობიანს, პარლამენტურს და არაპარლამენტურს და საჭირო შემთხვევაში ბრძოლის ერთი ფორმა შეცვალონ მეორეთი.

ამჟამად, როდესაც მიღებულია პარტიის ახალი პროგრამა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობა მძლავრ აღმავლობას განიცდის. კომუნისტური და მუშათა პარტიები უდიდეს მუშაობას ეწევიან მსოფლიოს 87 ქვეყანაში, ე. ი. თითქმის ყველა ქვეყანაში. ისინი თავის რიგებში აერთიანებენ 40 მილიონამდე წევრს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამჟამად საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა უძლეველი გახდა.

ჩვენს პარტიას თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია განამტკიცოს მეგობრობა და თანამშრომლობა ყველა მოძმე პარტიას შორის. ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის მონოლითური ერთიანობა სულ უფრო მტკიცდება და უძლეველი ხდება მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. ამ ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა მისთვის ჩვეული სიმართლითა და გულახდილობით ილაპარაკა ყრილობაზე იმის შესახებ, რომ ლენინიზმისაგან გადაუხვიეს ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა. ისინი ცდილობენ თავიანთი გამოიშველი მოქმედებით დანერგონ უნდობლობის სულისკვეთება მოძმე პარტიებს შორის, ძირი გამოუთხარონ მათ დარაზმულობას. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ კრიტიკას XXII ყრილობაზე მხარი დაუჭირეს მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების წარმომადგენლებმა. აკეთებდარა ამას პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის მითითებით იმის შესახებ, რომ „კომუნისტების მოვალეობაა კი არ მიჩქმალონ თავიანთი მოძრაობის სუსტი მხარეები, არამედ აშკარად გააკრიტიკონ ისინი, რათა რაც შეიძლება ჩქარა და რადიკალურად განთავისუფლდნენ მათგან“¹.

XXII ყრილობას სკკპ შეხვდა ერთიანი, მონოლითური, აღსავსე შემოქმედებითი ძალებით, უდრეკი ნებისყოფით—იარონ წინ კომუნიზმის ნათელი გზით. სკკპ პროგრამასა და წესდებაში გათვალისწინებულია საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს მთლიანად გამოირიცხოს პიროვნების კულტის რეციდივების ყოველი შესაძლებლობა ყრილობაზე განსაკუთრებული სიმკაცრით აღინიშნა მოლოტოვის, კანოვიჩის, მალენკოვის და სხვ. ანტიპარტიული ჯგუფის საქმიანობის შესახებ. ეს ჯგუფი ცდილობდა აეცდინა ჩვენი ქვეყანა ლენინური ხაზისაგან. ისინი წინააღმდეგობას უწევდნენ XX ყრილობის ლენინური კურსის განხორციელებას.

ჩვენი გამარჯვებები—ხაზგასმით აღინიშნა XXII ყრილობაზე—შედგვია მტკიცე ბრძოლისა, რომელსაც პარტია მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით სკკპ XX ყრილობის კურსის განხორციელებისათვის.

კომუნისტური პარტიები არიან მსოფლიო მუშათა რევოლუციური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდი. ისინი თავის მუშაობის გამოცდილებით ამტკიცებენ მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველყოფილობას. მარქსიზმ-ლენინიზმი მოწინავე კაცობრიობის ფიქრთა მპყრობელი გახდა.

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1961, 6 ნოემბერი.



ემინიათ რა ხალხთა მასების წინააღმდეგობისა, კომუნისტების გავლენისა და ავტორიტეტის ზრდისა, კომუნისტების წინააღმდეგ ილაშქრებენ რეაქციის ბნელი ძალები. პარტიის ახალ პროგრამაში მითითებულია, რომ იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღია ანტიკომუნისმი, რომლის ძირითადი შინაარსია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ფალსიფიკაცია. არსებითად ანტიკომუნისმის დროშით გამოდის თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია.

თანამედროვე რევოლუციონისმი, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს კომუნისტურ მოძრაობაში, დიდ სამსახურს უწევს ბურჟუაზიულ იდეოლოგიას. რევოლუციონისტები ცდილობენ შეარყიონ მშრომელი ხალხის რწმენა სოციალიზმის საქმისადმი, მოაწყონ მშრომელების განიარაღება და დემობილიზება მათს ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რევოლუციონისტები უარყოფენ სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულ აუცილებლობას, მარქსისტულ-ლენინური პარტიის ხელმძღვანელ როლს, ძირს უთხრიან პროლეტარულ ინტერნაციონალიზმის საფუძვლებს, ექანებან ნაციონალიზმისაკენ. რევოლუციონისმის იდეოლოგიამ თავისი ყველაზე ძირეული, კონცენტრირებული გამოხატულება ჰპოვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამაში. ასევე საფრთხეს წარმოადგენს დოგმატიზმი და სექტანტობა, ვინაიდან დოგმატიზმიც და სექტანტობაც შეიძლება გახდეს მთავარი საფრთხე განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე. აქედან გამომდინარე, პროგრამა ავალუბს პარტიას კვლავაც შეურიგებლად იბრძოლოს რევოლუციონისმისა და დოგმატიზმის, მარქსიზმ-ლენინიზმისაგან ყოველი გადახვევის წინააღმდეგ, მისი რევოლუციური სიწმინდისათვის.

* *

XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა მეცნიერული ანალიზი. მთელ თავის პოლიტიკაში, აღნიშნულია პარტიის ახალ პროგრამაში, — რევოლუციური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების დროს ჩვენი პარტია ემყარება იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი სტადიის, არსის ლენინურ განსაზღვრას, იმპერიალიზმისა. რომელთანაც განუყრელად დაკავშირებულია ომები, მსოფლიოს დაყოფის, გადანაწილების და ხალხთა დამონებისათვის ბრძოლა.

სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს თანამედროვე პირობებში საარსებო მნიშვნელობა ენიჭება. მშვიდობიანი თანაარსებობა აღამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. მშვიდობიანი თანაარსებობა — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი — ან კატასტროფული ომი, აი როგორ დააყენა საკითხი ისტორიამ.

მშვიდობიანი თანაარსებობა ნიშნავს: უარის თქმას ომზე, თანასწორუფლებიანობას, ურთიერთგაგებას და ნდობას სახელმწიფოთა შორის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობას, თვითეული ხალხის მიერ დამოუკიდებლად საკითხების გადაწყვეტას, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე პატივისცემას, ეკონომიურ და კულტურულ თანამშრომლობას.

პარტიის პროგრამა ერთხელ კიდევ ხაზგასმით მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იცავდა და იცავს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მაგრამ იმპერიალისტური სახელმწიფოები ჯიუტად უარს ამბობენ მიიღონ საბჭოთა მთავ-

რობის სამშვიდობო წინადადებას, რტენსიურად აღიღებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს. მათ არ სურთ შეურიგდნენ მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობას და აშკარად აცხადებენ სსრ კავშირზე, სოციალიზმის სხვა ქვეყნებზე თავდასხმის თავიანთ უგზურ გეგმებს. აქედან გამომდინარე, სკკპ საჭიროდ მიიჩნევს განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, შეიარაღებული ძალების მზადყოფნა შეინარჩუნოს იმ დონეზე, რაც უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის დიად მონაპოვართა მტკიცე დაცვას.

* * *

მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ კომუნიზმის შესახებ პარტიის XXII ყრილობაზე თავისი შემდგომი შემოქმედებითი განვითარება პპოვა. სკკპ პროგრამა, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, მარქსიზმში პირველად იძლევა კომუნისტური საზოგადოების სრულ სურათს, რომელიც უკვე შენდება ჩვენს ქვეყანაში. პროგრამაში მოცემულია კომუნიზმის აშენების გზები და საშუალებები, განზოგადებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებანი კომუნიზმის უმაღლესი ფაზის შესახებ. ახლა ყველასათვის ნათელი ხდება, თუ რას წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი საზოგადოებრივი ურთიერთობა, როგორია ამ საზოგადოების ადამიანის სახე, მისი მსოფლმხედველობა და მორალი.

ისტორიაში არ მოიძებნება დოკუმენტი, რომელსაც ასე მკაფიოთ, სისავსით, სწორად და სიზუსტით გამოეხატა კომუნისტური იდეალები. სწორედ ამიტომ არის, რომ მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას უწოდეს ჩვენი ეპოქის კომუნისტური მანიფესტი.

სოციალიზმის თანდათანობით გადაზრდა კომუნიზმში საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მთლიანად და საბოლოოდ გამარჯვების შედეგად კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა საბჭოთა ხალხის უკვე დღევანდელი პრაქტიკული შრომით ხორციელდება.

„კომუნიზმი, — ნათქვამია პარტიის პროგრამაში, — არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება იან მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიადი პრინციპი „თვითეული სავაგან—უნარის მიხედვით, თვითეულს—მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნიზმითავე ის უფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალ ორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებ-

ბლობა, თვითთულის უნარი გამოყენებული იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის¹.

მაშასადამე, კომუნიზმის დროს აღარ იქნებიან კლასები; გაქრებიან განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის; სოფელი გაუთანბრდება ქალაქს საწარმოო ძალების განვითარების დონით და შრომის ხასიათით, წარმოებითი ურთიერთობის ფორმებით, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებით, კომუნიზმის გამარჯვების შემდეგ ადამიანთა საწარმოო საქმიანობაში მოხდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანიზებული შეერთება. ინტელიგენცია აღარ იქნება ცალკე სოციალურ ფენად, ვინაიდან ფიზიკური შრომის მუშაეები, თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონით, გონებრივ შრომის ადამიანთა მუშაეებს გაუთანაბრდებიან.

კომუნიზმი ვითარდება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის ბაზაზე. ეს — ამბობდა ლენინი — „არის საზოგადოების უფრო მაღალი სახე, და ის შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, როცა საესეებით განმტკიცდება სოციალიზმი“². კომუნიზმის აშენებისათვის, ზავასმით აღნიშნავდა ლენინი, კლასობრივ განსხვავებათა სრული მოსპობისათვის საკმარისი არ არის წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმება, საჭიროა კიდევ მოისპოს განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები, მოსპობილია მათი არსებობის ეკონომიური საფუძველი — წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება. ლიკვიდირებულია სოციალურ-კლასობრივი წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის. თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავება კიდევ დარჩა.

სკკ XXII ყრილობამ ნათელი პასუხი გაცა იმ საკითხზე, თუ საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად როგორ გაუმჯობესდება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა. ამ საქმეში ძირითადი იქნება ის, რომ წარმოების იარაღებისა და საშუალებების სოციალისტური საკუთრება, რომელიც ამჟამად ორი ფორმით — სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო-კოოპერაციული ფორმით არსებობს, თანდათანობით გადაიქცევა ერთიან საერთო-სახალხო საკუთრებად. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრება თანდათანობით გადასვლების გზით, რაც კოლმეურნეობებისა და მთელი საზოგადოებისათვის ხელსაყრელად ხორციელდება, აყვანილ იქნება საერთო-სახალხო საკუთრების დონეზე.

კომუნიზმი ნიშნავს არა მარტო ყოველმხრივ განვითარებულ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას, არამედ საზოგადოების ყველა მოქალაქეთა შეგნებულობის მაღალ დონესაც. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, რომ კომუნიზმის მშენებლობის პროცესში მატერიალური წარმოების ცვლილებებთან ერთად გარდაიქმნება საზოგადოებას მთელი სულიერი ცხოვრებაც, იცვლება ადამიანის მორალურ-პოლიტიკური სახე. არა მარტო თავისი თავისათვის, არა-

¹ სკკ პროგრამა, გახ. „კომუნისტი“, 1961, 3 ნოემბერი.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 336.

მედ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ზრუნვაში იჩენს თავს ადამიანთა კომუნისტური შეგნებულობა. „კომუნიზმი იწყება იქ — წერდა ვ. ი. ლენინი — სადაც ჩნდება უბრალო მუშების თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე. თვით ეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტების დაცვაზე, რომლებიც ხედება არა მომუშავეებს პირადად და არა მათ „მანლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას“...¹.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, იდეურად და პოლიტიკურად გაიზარდნენ, კომუნიზმის შეგნებულ მშენებლებად გადაიქცნენ. მაგრამ კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოთხოვს ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის იდეური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

კომუნიზმის ტექნიკას, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბატონობის დროს ესაჭიროება ახალი ტიპის მუშაკი, რომელიც ფიზიკური და გონებრივი შრომის ფუნქციებს მოიცავს. გიგანტური ტექნიკური პროგრესის პირობებში ფიზიკური შრომა შემსუბუქდება. კომუნისტური საზოგადოების მშრომელები, რომლებსაც ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში ფართო ცოდნა ექნებათ, თავიანთ სიცოცხლეში მიჯაჭვული როლი იქნებიან რაღაც განსაზღვრული გვარეულობის საქმიანობაზე. უკვე ახლა ჩანს ახალი ტიპის მუშაკის თვისებები. ეს თვისებანი თავს იჩენენ მუშათა კულტურულ-ტექნიკური აღმაშობით. იმით, რომ მათს საწარმოო საქმიანობაში სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს გონებრივი შრომა მექანიზმების სამართავად, რომ ისინი მუშაობას სწრაფად აერთებენ სწავლასთან, საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. გამომგონებლობასთან, რაციონალიზატობასთან.

კომუნიზმი უზრუნველყოფს საზოგადოების წინსვლის განუწყვეტელ პროცესს, მისცემს საზოგადოების თვითივე წევრს მატერიალურ და კულტურულ სიკეთეს მისი მზარდი მოთხოვნილების მთლიანად დამკვიდრებისათვის.

კომუნიზმის დონის ყველა ადამიანს ექნება თანასწორი მღვდამარეობა საზოგადოებაში, ერთნაირი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების საფუძველზე, დამკვიდრდება ჰარმონიული ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის.

— * —

კომუნიზმის აშენების ძირითად პირობას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ძირითადი ამოცანის განსაზღვრისას, პარტია ხელმძღვანელობდა ვ. ი. ლენინის გენიალური ფორმულით: „კომუნიზმი ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ეს იმას ნიშნავს, რომ ელექტროფიკაცია მოიცავს ყველა საწარმოო პროცესსა და ყოფაცხოვრებას.

სსრ კავშირში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განსაზღვრულია შეიქმნას 20 წელიწადში. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა უახლოეს

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ., 299—500.

10 წლის განმავლობაში, დაახლოებით, ორნახევარჯერ გაიზრდება და გადაჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების თანამედროვე დონეს; 20 წლის განმავლობაში — სულ ცოტა ექვსჯერ გაიზრდება და დიდად გაუსწრებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ საერთო მოცულობას. ამისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში 10 წლის განმავლობაში ერთიორად და უფრო მეტად, 20 წლის განმავლობაში კი — ოთხჯერ, ოთხნახევარჯერ. ოცი წლის პანძილზე გათვალისწინებულია კომპლექსური ავტომატიზაციის მასობრივი დანერგვა წარმოებაში და სულ უფრო მეტად გადასვლა ავტომატსამქროებსა და ავტომატსაწარმოებზე¹.

კომუნისმის აშენების აუცილებელი პირობაა შექმნას მძლავრ მრეწველობასთან ერთად აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალ პროდუქტიული სოფლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობის ხაზით პროგრამა ითვალისწინებს ორ ძირითად ერთმანეთთან დაკავშირებული ამოცანის გადაჭრას: „ა) მივალწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის; ბ) უზრუნველყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად აღმოვფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის“².

რაც უფრო ახლოს მივალთ კომუნისმთან, მით უფრო სოფლის მეურნეობა, ტექნიკური შეიარაღებით და წარმოების ორგანიზაციით მიუახლოვდება მრეწველობის დონეს. სოფლის მეურნეობის შრომა გახდება სამრეწველო შრომის ნაირსახეობად. საკოლმეურნეო წყობილების მძლავრი განვითარება, მისი ეკონომიური აყვავება ქმნის პირობებს საკოლმეურნეო საკუთრების საერთო სახალხო საკუთრებასთან დაახლოებისათვის, ხოლო პერსპექტივაში მასთან ერთიან კომუნისტურ საკუთრებად შერწყმისათვისაც.

სკკპ პროგრამაში მკაფიო გამოხატულებას პოულობს ლენინური ეროვნული პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და ხალხის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივ შემდგომ მძლავრ ზრდას. უზრუნველყოფილი იქნება წარმოების რაციონალური განლაგება და ბუნებრივი სიმდიდრეების გეგმაზომიერი დამუშავება, რესპუბლიკებს შორის მისი სოციალისტური განლაგების სრულყოფა, მთელი სახელმწიფოს ინტერესების სწორი შეხამება ყოველ მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებთან. ამ თავისებურებათა გათვალისწინებითაა შემუშავებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის საორიენტაციო მონაცემები ოცი წლის ვადით. ამ მონაცემებით საქართველოს სახალხო მეურნეობა ყველა დარგში დიდად გაიზრდება და განვითარდება. ასე მაგალითად, მარტო საქართველო მოგვეცემს 35³ მილიარდამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას, საქართველო გახდება რთულ ლითონდასამუშავებელი და აგრეგატული ჩარხების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების, ელექტროსადგმელ ნაკეთობათა დიდი მწარმოებელი. მკვეთრად გაიზრდება მაგისტრალური ელმავლებისა და ავტომობილების გამოშვება.

¹ სკკპ პროგრამა, გახ. „კომუნისტი“, 1961, 3 ნოემბერი.

² იქვე.

³ გახ. „კომუნისტი“, 1961, 29 სექტემბერი.

გადიდდება პროდუქციის გამოშვება მანქანათმშენებლობაში, ქიმიურ მრეწველობაში და ა. შ. 20 წლის მანძილზე გათვალისწინებული რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები მოითხოვენ კაპიტალური მშენებლობის მძლავრ გაშლას. მაგალითად, კაპიტალური დაბანდებათა საერთო მოცულობა საქართველოს სსრ-ში 1961—1970 წლებში გადააჭარბებს საშუალოდ 500 მილიონ მანეთს წელიწადში, ნაცვლად 1961 წლის 280 მილიონი მანეთისა. 1971—1980 წლებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა კიდევ უფრო ფართოდ გაიზრდება¹. შეიქმნება აყვავებული, ყოველწრივ განვითარებული მაღალპროდუქციული სოფლის მეურნეობა. ისე როგორც წინა წლებში, ყოველი ღონისძიებით განვითარდება ისეთი კულტურები როგორიც არის ჩაი, ვენახი, ხილი, ციტრუსები, დაფნა, თამბაქო და სხვ.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად სხვა სამუშაოებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სარწყავი ქსელის შემდგომ გაფართოებას. ამჟამად, უკვე დაწყებულია ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, განზრახულია უახლეს დროში დაიწყოს ტბის — კუმისის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

პარტიის ახალი პროგრამა დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფოს მართვის დემოკრატიული საფუძვლების ყოველი ღონისძიებით განვითარებას. ამასთან ერთად სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელმძღვანელობის განტყივებასა და სრულყოფას.

* * *

კომუნიზმის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვნად გაიზრდება საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა. სკკპ აყენებს უდიდეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას — „უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით“². ამ ამოცანის განხორციელების მიზნით გადიდდება მშრომელთა ინდივიდუალური ანაზღაურება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. საცალო ფასების შემცირებასთან და მოსახლეობის გადასახადების გაუქმებასთან შეხამებით. გაფართოვდება საზოგადოებრივი ფონდები.

„საბჭოთა ხალხის მატერიალურ და კულტურულ კეთილდღეობის ზრდაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის ეროვნული შემოსავლის მოცულობა უახლოეს 10 წელიწადში გადიდდება თითქმის ორნახევარჯერ, ხოლო 20 წელიწადში დაახლოებით ხუთჯერ. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 20 წლის განმავლობაში გადიდდება სამნახევარჯერ და მეტად“. მიღწეული იქნება მოხმარების საერთო ღონის სწრაფი აღმავლობა, მოსახლეობა მიიღებს შესაძლებლობას საკმაოდ დაიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი მაღალხარისხოვან პროდუქტებზე. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება მთლიანად უზრუნველყოფს მშრომელთა მოთხოვნილებას. მეორე ათწლეულში (1970—1980) მიღწეულ იქნება მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვე მთელი ხალხისათვის, შეიქმნება ყველა პირობა იმისათვის, რომ შემდგომ პერიოდში უკვე

¹ გაზ. „კომუნისტი“, 1961, 29 სექტემბერი.

² სკკპ პროგრამა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 4 ნოემბერი.

დამთავრდეს გადასვლა მოთხოვნის მიხედვით განაწილების კომუნისტურ პრინციპზე.

სკკპ პროგრამა აყენებს დიდ ამოცანას, გადაჭრას ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ყველაზე მწვავე პრობლემა—საბინაო პრობლემა: უკვე პირველ ათწლეულში ბოლო მოეღება ბინის ნაკლებობას, მეორე ათწლეულში ყოველ ოჯახს ექნება უზრუნველყოფილი კეთილმოწყობილი ბინა. სოფლად ძველი ტიპის გლეხური სახლები შეიცვლება ახალი თანამედროვე სახლებით. მეორე ათწლეულში ბინებით სარგებლობა თანდათანობით უფასო გახდება, უფასოდ ისარგებლებენ კომუნალური ტრანსპორტით: ტრამვაით, ტროლეიბუსით, საქალაქო ავტობუსებით, მეტროთი. უფასო კომუნალური მომსახურებით (წყალი, განათება, გათბობა, გაზი, ნავთი).

მომავალ ათწლეულში ჩვენი ქვეყანა გახდება მსოფლიოში ყველაზე მოკლე და ამავე დროს ყველაზე ნაკადიერი, ყველაზე დიდად ანაზღაურებულ სამუშაო დღის ქვეყანა.

საბჭოთა სახელმწიფო ერთადერთი სახელმწიფოა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ზრუნავს მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. მთლიანად დაკმაყოფილდება მთელი მოსახლეობის მოთხოვნება ყველა სახეობის მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებით, უფასო გახდება სანატორიუმებით სარგებლობა ავადმყოფთათვის, აგრეთვე მედიკამენტების გაცემა. პროგრამა განსაკუთრებით ხაზს უსვამს დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას ქალაქად და სოფლად, აშენდება სამშობიარო სახლების, კონსულტაციების, ბავშვთა სანატორიუმების და საავადმყოფოების ფართო ქსელი.

მასასადამე, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების დარგში პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულების შედეგად საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად წავაწინ მოთხოვნების მიხედვით განაწილების კომუნისტური პრინციპის პრაქტიკული განხორციელების გზით¹.

„საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გრანდიოზული პროგრამის შესრულებას—მითითებულია პროგრამაში—მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ექნება. პარტია მოუწოდებს საბჭოთა ხალხს იზრუნოს ბეჯითად, შთაგონებით, ყოველმა მშრომელმა შეასრულოს თავისი მოვალეობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში“².

განუზომლად იზრდება მეცნიერების როლი. კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ინტერესები მოითხოვენ მეცნიერების შემდგომ განვითარებას, მეცნიერთა აქტიურ მონაწილეობას იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის წარმოებრივი ძალების ყოველმხრივ განვითარებასთან.

¹ სკკპ პროგრამა, გაზ. „კომუნისტი“, 1961, 4 ნოემბერი.

² იქვე.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებები მოითხოვენ ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც უფრო ხელსაყრელი იქნება მეცნიერების ყველა დარგის კიდევ უფრო სწრაფი განვითარებისათვის, დიდმნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევებისა და ახალი დიდი მეცნიერული აღმოჩენების განხორციელებისათვის. დასახულია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ფართო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერული ძალებისა და სახსრების კონცენტრაციას, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი გამოკვლევების შესასრულებლად.

უამრავი თანხები მოხმარდება ახალ სამეცნიერო დაწესებულებათა მშენებლობას, უახლესი მოწყობილობით ინსტიტუტების და ლაბორატორიების აღჭურვას. შეიქმნება იმის ყველა აუცილებელი პირობა, რომ საბჭოთა მეცნიერება, რომელმაც მსოფლიო მეცნიერებას გაუსწრო, გამდიდრდეს კიდევ უფრო დიდი მიღწევებითა და აღმოჩენებით.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვისა და დახმარების შედეგად დიდად განვითარდა მეცნიერების თითქმის ყველა დარგი. ამჟამად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა და სამეცნიერო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სამამულო მეცნიერების განვითარების საქმეში. სკკპ პროგრამა ახალ დიდ პერსპექტივებს უსახავს საქართველოს მეცნიერებას.

განსაკუთრებული ყურადღებით იქნება მოსილი თანამედროვე ფიზიკის ისეთი დარგები, როგორც არის კოსმოსური სხივების ფიზიკა, ატომგულის ფიზიკა, ნახევრადგამტარების ფიზიკა, რომელთა განვითარებაზე დიდადაა დამოკიდებული ტექნიკური პროგრესის საკუთრივ საკითხის გადაწყვეტა და მთელი რიგი სხვა საკითხების გადაჭრა მომიჯნავე მეცნიერებათა განხორციელებით.

ახალ დიდ ნაბიჯს გადადგამს ქართული მათემატიკური სკოლა. მათემატიკური პრობლემების დამუშავებას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ბევრი დარგის განვითარებისათვის.

დიდად განვითარდება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მანქანათმშენებლობის დარგში. ფართო მეცნიერული მუშაობა იწარმოებს რესპუბლიკის ბრწყინებულობის ისეთ დარგებში, როგორიცაა—ელექტროტექნიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა. ფართო ჰორიზონტით იწარმოებს მუშაობა ბიოლოგიის, მედიცინის, ქიმიის და მეცნიერების სხვა დარგებში. გათვალისწინებულია შეიქმნას, რამდენიმე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. მათ შორის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, მცენარეთა ფიზიოლოგიის, მიკრობიოლოგიის, გენეტიკის, პათოლოგიის და სხვა ინსტიტუტები.

პარტია და მთავრობა სულ უფრო მეტ მზრუნველობას იჩენენ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებისადმი. ჩვენს ეკონომისტები, ფილოსოფოსები, ისტორიკოსები—ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი—მოვალენი არიან ღრმად და საფუძვლიანად იკვლიონ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის კანონზომიერებანი, შეისწავლონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მდიდარი გამოცდილება. ანალოგი გაუკეთონ კაპიტალიზმის მიმდინარე პროცესებს. დროულად აზილონ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მცდარობა, გადაჭრით გაილაშქრონ რევოლუციონიზმის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, იბრძოლონ მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ თეორიის სიწმინდისათვის და ამ საფუძველზე ყო-

ოდში. მიმდინარეობს პროცესი სახელმწიფოს გადაზრდისა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად. ყოველმხრივ განვითარდა ჩვენი სახელმწიფოს მთავარი ფუნქციები—სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრ-ველობითი ფუნქციები, ყოველივე ამის შედეგად პროლეტარული დემოკრატია გადაიქცა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიადა.

პროლეტარიატის დიქტატურამ უზრუნველყო რა სოციალიზმის—კომუნისმის დაბალი ფაზის სრული და საბოლოო გამარჯვება და საზოგადოების გადასვლა გაშლილი მშენებლობის პერიოდში, შესარულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი თვალსაზრისით ამოწურა თავისი მისია. ე. ი. თანამედროვე ეტაპზე ჩვენი სახელმწიფო გადაიქცა მთელი ხალხის ნებისა და სურვილების გამომხატველ ორგანოდ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა კლასი, როგორც საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე ძალა, თავისი ხელმძღვანელი როლის შესრულებას დაამთავრებს კომუნისმის აშენებასთან ერთად.

პარტია თავის პროგრამაში ფართო ღონისძიებათა სისტემას სახავს იდეოლოგიის, აღზრდის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. პროგრამაში ხაზგასმულია, რომ თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიურ მუშაობაში მთავარია ყველა მშრომელის აღზრდა მაღალ საზოგადოებრივ მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. სკკპ პროგრამაში მთელი სიცხადითაა მოცემული კომუნისტური შეგნებულობის აღზრდის, მაღალი ზნეობრივი თვისებების გამომუშავების გზები და საშუალებანი, მოცემულია კომუნისმის მშენებლობის მორალური კოდექსი.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს—ნათქვამია სკკპ პროგრამაში — ახასიათებს კომუნისტური პარტიის, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის, როლისა და მნიშვნელობის ზრდა.

სკკპ წესდება, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელშიდაც ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით განვითარებულია მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება პარტიის შესახებ, პარტიის ახალ პროგრამის პრინციპებთან სრული შესაბამისობით, წესდება ჭეშმარიტად ამღიღრბეს, ჩვენი პარტიის გიგანტურ-ისტორიულ გამოცდილებას. სკკპ წესდება შემოქმედებითი მარქსიზმის შესანიშნავი დოკუმენტია. ის ცვლილებები, რითაც ის წინა მოქმედ წესდებისაგან განსხვავდება, სწორად გამოხატავს იმ ობიექტური მოთხოვნილებათა ერთობლიობას, რომელიც ამ ისტორიულ ეტაპზე დგას კომუნისტური პარტიის წინაშე.

პარტიის ახალ წესდებაში უფრო ფართოდაა ფორმირებული პარტიის წევრის უფლებები და მოვალეობანი, რაც მას საშუალებას აძლევს უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიულ ცხოვრებაში.

წესდებას, განვითარების ახალ უფრო მაღალ საფეხურზე აყვავს შინაპარტიული დემოკრატის ლენინური პრინციპები, უზრუნველყოფს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში ახალი ძალების ფართო შემოკრებას, ძველი და ახალგაზრდა კადრების კარგად შეხამებას. პარტიის ახალ წესდებაში უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის საკითხი. პარტიული დემოკრატის შემდგომი განვითარების დამადასტურებელია ისიც, რომ ახალი

წესდება ითვალისწინებს განსაზღვრული რაოდენობით პარტიის ყველა არჩეული ორგანოების სისტემატურ განახლებას.

საკვ ახალი წესდების მთელი შინაარსი გაყდენთილია მარქსისტულ-ლენინური სულისკვეთებით. მასში განზოგადებულია ის დიდი გამოცდილება, რომელიც პარტიამ შეიძინა განვლილ პერიოდში პარტიულ საკითხებში. დასახულია ახალი ორგანიზაციული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ კომუნისტური მშენებლობის ახალ ისტორიული ეტაპიდან.

დიდი ლენინის მიერ შექმნილი ჩვენი პარტია შემოქმედებითი პარტიაა, ჩვენი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეების — მარქსიზმის იდეების—უბადლო მფუძოშეა. ცხოვრებასთანა მჭიდრო კავშირით მას თანამედროვე ეპოქის მოთხოვნათა სიმაღლეზე აპყავს რევოლუციური თეორია და გზას უნათებს პრაქტიკას. საბჭოთა ხალხი ამყამად აშენებს კომუნიზმს, კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს.

კაცობრიობის ისტორიაში ჩვენი ლენინური პარტია იყო სწორედ პირველი, რომელმაც ყოველმხრივ შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის დიადი პრობლემა და ბრწყინვალედ განახორციელა იგი. ახლა მან ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის უდიდესი ზრდის, მსოფლიო მასშტაბით მომხდარი მოვლენების მეცნიერული განზოგადოების საფუძველზე შეიმუშავა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის უდიდესი პრობლემები. ეკვი არ არის, რომ კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი წარმატებით გადაწყვეტენ ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამოცანას, ააშენებენ ყველაზე სამართლიან საზოგადოებას—კომუნისტურ საზოგადოებას.

კანონი და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების უნიფიკაციის საკითხისათვის

ს. აპალიანი

1. საკითხის დასმა. კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების ურთიერთობის შესახებ საკითხის დასმა ზოგს შეიძლება ზედმეტად მოეჩვენოს, ვინაიდან კანტის სივრცისა და დროის თეორია ფილოსოფიური კონცეპციაა, ხოლო აინშტაინის რელატივიზმის თეორია კი არის ფიზიკური თეორია სივრცისა და დროის შესახებ. მაგრამ ვინც რამდენადმე მიაჩნის იცნობს რელატივიზმის თეორიის შესახებ არსებულ ლიტერატურას, მან იცის, რომ მკვლევართა შორის დიდი დავა არსებობს რელატივიზმის თეორიის დამოკიდებულების შესახებ კანტის ფილოსოფიასთან; ეს დავა განსაკუთრებით გამწვავდა ოციანი წლებიდან და დღემდე არ შეწყვეტილა. ამრიგად, საკითხი უკვე დიდხანია დგას და მოცემულია ცდები მისი გადაწყვეტისა. კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების შედარების საფუძველს, ერთი მხრივ, ის ქმნის, რომ აინშტაინის რელატივიზმის თეორია, მართალია, არ არის ფილოსოფიური თეორია, მაგრამ, როგორც აღიარებულა, მას უდიდესი ფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა აინშტაინის სახელთან არის დაკავშირებული კლასიკური აზროვნების ფორმების უკუგდება და ახალი თვალსაზრისის შემუშავება მთელ რიგ ბრინცივულ მსოფლმხედველობრივ საკითხებში; ხოლო კანტის ამერიკისთვის დაძლევა ისტორიულად ამ ამოცანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. მეორე მხრივ, რელატივიზმის თეორიის ფილოსოფია, როგორც მეცნიერულ (ფიზიკურ) თეორიაზე დაფუძნებული ფილოსოფიური კონცეპცია, მეცნიერების ფილოსოფიას წარმოადგენს. თავის მხრივ, კანტიც მეცნიერების ფილოსოფოსი იყო იმდენად, რამდენადაც მისი სივრცისა და დროის თეორია ძირითადად მაშინდელი მეცნიერების დონეს (განსაკუთრებით ნიუტონის კლასიკურ მექანიკასა და ევკლიდეს გეომეტრიას) ემყარებოდა. ამდენად კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების დაპირისპირების საფუძველი უთუოდ არსებობს და ეს დაპირისპირება კლასიკური და თანამედროვე აზროვნების ფორმების ურთიერთდაპირისპირების გამოხატულება იყო. აინშტაინი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, თვითონ სვამდა საკითხს მისი თეორიის დამოკიდებულების შესახებ კანტის ფილოსოფიასთან და მას საკითხის ამგვარი დასმა არა მარტო მიზანშეწონილად, არამედ აუცილებლადაც კი მიიჩნდა.

კანტის ფილოსოფიასთან აინშტაინის რელატივიზმის თეორიის დამოკიდებულების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. თვითონ კანტიანელები და ნეოკანტიანელებიც კი ამ საკითხზე ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებებს გამოთქვამენ. მკვლევართა ერთი ჯგუფი თვლის, რომ აინშტაინის რელატივიზმის თეორია მკვეთრად ეწინააღმდეგება კანტის

აპრიორიზმს, უარყოფს მას. გადასვლა კანტიდან აინშტაინზე, ან პირიქით შეუძლებელია; მათ შორის ღრმა უფესკრული არსებობს. მაგ., კანტიანელი პ. შოლცი წერს: „შეიძლება თუ არა შევეუთანებოთ კანტის მოძღვრება სივრცესა და დროზე აინშტაინის ფიზიკას? არა! აქ არის მხოლოდ ან-ან. ან კანტი ან აინშტაინი. ან უნდა დავეთანხმოთ კანტს, რადესაც იგი ცარიელ დროსა და სივრცეს აღიარებს და მათ ცნობიერების ფორმებად თვლის და ან აინშტაინს, რომელიც ამის საწინააღმდეგო თვალსაზრისს ანეითარებს¹“. ცოტა ქვემოთ შოლცი განაგრძობს: „გვეყენს თუ არა ჩვენ—ეს სხვა საქმეა; მაგრამ უკუშარიტება ისაა, რომ გზა კანტიდან აინშტაინისაკენ არ არსებობს“². შოლცის დასკვნა ასეთია: ან კანტიანელი უნდა იყოს და ან აინშტაინის რელატივიზმის თეორიას უნდა იზიარებდეს; მესამე გზა გამორიცხულია. ასევე ფიქრობენ ნეოპოზიტივისტებიც (მაგ., რაიხენბახი). მაგრამ ისინი, შოლცისაგან განსხვავებით, მთლიანად უარყოფენ კანტის აპრიორიზმს და მტკიცედ დგებიან აინშტაინის რელატივიზმის თეორიის პოზიციებზე.

შოლცისა და ნეოპოზიტივისტების ამ შეხედულებას წინ აღუდგა მკვლევართა მეორე ჯგუფი (კასირერი, ნატორპი, ნელსონი, შლაიერი და სხვ.). ამ მკვლევართა აზრით, კანტის ფილოსოფიასა და აინშტაინის რელატივიზმის თეორიას შორის არავითარი უფესკრული, არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. პირიქით, აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ დაადასტურა კანტის ფილოსოფია. მაგ., ნატორპი ფიქრობს, რომ რელატივიზმის თეორიის მტკიცება დროის სრული რელატიურობის შესახებ ადასტურებს კანტის იმ აზრს, რომ სივრცე და დრო არ არიან დაკვირვების ობიექტები³. ღრმად მოხუცი ნატორპი, პროფ. მ. გოგბერძინის ცნობის თანახმად, შეეცადა ახალი ფილოსოფიური სისტემის შექმნას აინშტაინის რელატივიზმის თეორიის საფუძველზე. ამ სისტემაში უნდა გაცოცხლებულიყო კლასიკური *coincidentia oppositorum* და გადაქცეულიყო ლოგიკის საფუძველად⁴. როგორც ჩანს, ნატორპმა ვერ მოასწრო თავისი განზრახვის შესრულება. გარდა ნატორპის თხოულებისა, კანტის დასაცავად დაიწერა კასირერისა და სხვა ნეოკანტიანელების ნაშრომები. ეს მკვლევარები იცავდნენ კანტის ფილოსოფიას, მაგრამ არც აინშტაინის რელატივიზმის თეორიის მეცნიერულ ღირებულებას უარყოფდნენ. ისინი ცდილობდნენ კანტისა და აინშტაინის მოძღვრებათა შერაგებას, იმის ჩვენებას, რომ აინშტაინის რელატივიზმის თეორია არა მარტო არ უარყოფს კანტის ფილოსოფიას, არამედ კიდევ ადასტურებს მას.

დაახლოებით ამავე თვალსაზრისზე დგანან ნეოკანტიანელების მეორე ჯგუფი, ე. წ. ფიქციონალისტები ფაიინგერის მეთაურობით. ისინი აღიარებენ აინშტაინის რელატივიზმის თეორიის მეცნიერულ ღირებულებას, მაგრამ აცხადებენ, რომ ის, რაც ამ თეორიაში მნიშვნელობის მქონეა, თითქოს მათ (ფიქციონალისტებს) უკვე კარგახანია აღმოჩენილი აქვთ. ისინი ფიქციად თვლიან სპეციალური რელატივიზმის თეორიის ერთ-ერთ პრინციპს—სინათლის სიჩქარის

¹ H. Scholz, Das Vermächtnis der Kantischen Lehre vom Raum und von der Zeit. „Kantstudien“, Bd. XXIX, H. 1/2, 1924, S. 62.

² იქვე, გვ. 65.

³ P. Natorp, Die logische Grundlagen der exakten Naturwissenschaften, 1923, გვ. 403.

⁴ მ. გოგბერძინი, აინშტაინის რელატივიზმის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძველები, 1924, გვ. 49.

მუდმივობის პოსტულატს. 1921 წელს მათ თავიანთი ჟურნალის მთელი ნომერი მიუძღვნეს რელატივიზმის თეორიის კრიტიკულ განხილვას. მასში დაიბეჭდა ო. კრაუსის („ფიქციები და ჰიპოთეზები აინშტაინის რელატივიზმის თეორიაში“), ი. ბეტკოლდტის („ბუნების მექანიკური გაგება და რელატივიზმის თეორია“), ფ. ლიბსიუსის („სპეციალური რელატივიზმის თეორიის ლოგიკური საფუძვლები“), პ. ლინკეს („რელატივიზმის თეორია და რელატივიზმი“) და სხვა ავტორების ნაშრომები. ამ სტატიების უმრავლესობა მიზნად ისახავს აინშტაინის რელატივიზმის თეორიის შერიგებას კანტის ფილოსოფიასთან.

ნეოკანტიანელების მიერ კანტის დაცვის ცდები იმით იყო გამოწვეული, რომ თვითონ ისინიც კარგად გრძნობდნენ ახალი მეცნიერული მსოფლმხედველობის შეუქმნავი თავიანთი პოზიციების სისუსტეს. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, კანტისა და აინშტაინის თეორიების წინააღმდეგობა ისე მწვავე და აშკარა იყო, რომ კანტის ფილოსოფიის გადარჩენის ცდები მარცხით დამთავრდა. ამას მოჰყვა რდევვა ნეოკანტიანური მიმართულებისა, რომელიც ოციანი წლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი და ძლიერი მიმართულება იყო თანამედროვე ფილოსოფიაში. მთელმა რიგმა ნეოკანტიანელებმა უარყვეს თავიანთი პოზიციები და მეცნიერების პოზიციებზე გადავიდნენ. ასე მოიქცა, მაგალითად, პ. რაინენბახი, რომელიც მისი ფილოსოფიური მოღვაწეობის პირველ წლებში ორთოდოქს კანტიანელი იყო, ხოლო შემდეგ ასევე ორთოდოქს ანტიკანტიანელად იქცა. პ. რაინენბახი, ცხადია, ამ მხრივ ერთადერთი მოაზროვნე როდი იყო. პ. შოლცის მოსწრებული თქმით, ეს ის დრო იყო, რომ „თუკი კანტი ხელახლა დაბადებულიყო, თვითონ ისიც კი არ იქნებოდა კანტიანელი“. ხოლო თუკი ამჟამად ნეოკანტიანელები არც ისე ბევრია, ამას, უწინარეს ყოვლისა, მეცნიერებას, განსაკუთრებით რელატივიზმის თეორიას, უნდა ვუმაღლოდეთ.

არსებობდა აგრეთვე მკვლევარების მესამე ჯგუფი, რომელიც საერთოდ შეუძლებლად თვლიდა კანტისა და აინშტაინის მოძღვრებათა შედარებას მათი დაპირისპირების ან შეთანხმების მიზნით. მაგ., ა. მიულერი თვლის, რომ შეუძლებელია აინშტაინის თეორიამ უარყოს ან დაამტკიცოს კანტის მოძღვრება, ისევე როგორც კანტის ფილოსოფიას არ შეუძლია აინშტაინის რელატივიზმის თეორიის დამტკიცება ან უარყოფა. კანტისა და აინშტაინის თეორიებს, მისი აზრით, ერთმანეთის შეფასება არ შეუძლიათ, ვინაიდან კანტის თვალსაზრისი ფენომენალისტური თვალსაზრისია, ხოლო აინშტაინის თეორია კი ფენომენოლოგიური თეორიაა¹. ფენომენალიზმს მიულერი უწოდებს ისეთ თეორიას, რომელიც ეხება „მეტაფიზიკურ პრობლემას“, ე. ი. გამოთქვამს თავის აზრს გარეგანი სამყაროს არსებობის შესახებ. ფენომენოლოგიური კი ისეთ თვალსაზრისს ეწოდება, რომელიც სრულიად გულგრილია გარეგანი რეალობის პრობლემისადმი და, მამსადამე, „მეტაფიზიკისაგან თავისუფალია“ (metaphysikfrei)². კანტის ფილოსოფია, ა. მიულერის აზრით, ფენომენალიზმია, ვინაიდან იგი უშვებს „ნიეთი თავისთავადის“ არსებობას, რომელიც მოქმედებს ჩვენზე და სუბიექტურ-ობიექტური ფაქტორების სინთეზი ქმნის მოვლენათა სამყაროს. აინშტაინი

¹ „Annalen der Philosophie“, 1921, Bd. II, H. III.
² „Kantstudien“, Bd. XXIX, H. 1/2, 1924, pag. 65.
³ A. Müller, Die philosophische Probleme der Einsteinschen Relativitätstheorie, 1922, pag. 13.
⁴ იქვე pag. 9.

ნის რელატივობის თეორია კი, ისევე როგორც ყველა ბუნებათმეცნიერული თეორია, არ გამოთქვამს რაიმე შეხედულებას გარეგანი სამყაროს შესახებ; ამიტომ მისი გაკრიტიკება ფილოსოფიური თვალსაზრისით შეუძლებელია. ამის საფუძველზე ა. მიულერი შეუძლებლად თვლის საკითხის დასმას კანტისა და აინშტაინის მოძღვრებათა ურთიერთობის შესახებ.

ა. მიულერის ამ შეხედულების სიყალბე იმდენად აშკარაა, რომ იგი სპეციალურ კრიტიკას არც კი საჭიროებს. ბუნებათმეცნიერება არის სწორედ მეცნიერება ბუნების შესახებ და რეალობის პრობლემა მისი ფუნდამენტალური პრობლემაა. აქედან გამომდინარე მცდარია მისი თვალსაზრისი კანტისა და აინშტაინის მოძღვრებათა ურთიერთდაპირისპირების (და საერთოდ ურთიერთობის გამორკვევის) შეუძლებლობის შესახებ.

ამროგად, კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების ურთიერთობის საკითხს სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვაგვარად წყვეტენ. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავანალიზოთ კანტისა და აინშტაინის თვალსაზრისები. შევადაროთ ისინი ერთმანეთს და ამის საფუძველზე გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა რელატივობის თეორიის ურთიერთობის შესახებ კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიურ თეორიასთან. ჩვენი მთავარი საკითხი განხილული იქნება მისი სამი ძირითადი ასპექტის ანალიზის მიმართულებით; ეს ასპექტებია: აინშტაინის რელატივობის თეორიის დამოკიდებულება კანტის სივრცისა და დროის თეორიასთან, კლასიკური აზროვნების ფორმების ადგილი კანტისა და აინშტაინის მოძღვრებებში და აინშტაინის რელატივობის თეორიის დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმთან. ამ საკითხების განხილვა, ვფიქრობთ, გაარკვევს, თუ რა დამოკიდებულებაშია აინშტაინის რელატივობის თეორია კანტის ფილოსოფიასთან.

2. აინშტაინის რელატივობის თეორიის დამოკიდებულება კანტის სივრცისა და დროის თეორიასთან. აღიარებულია, რომ კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიური თეორიის საბუნებისმეტყველო საფუძველს წარმოადგენდა ნიუტონის მოძღვრება სივრცისა და დროზე. კანტი მერყეობდა სივრცისა და დროის გაგების საკითხში; მან თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის მანძილზე არაერთხელ შეიცვალა შეხედულება ამ მიმართულებით. პირველ, წინაკრიტიკულ პერიოდში კანტი ერთმანეთს უპირისპირებს ლაიბნიცის მონადოლოგიასა და ნიუტონის მოძღვრებას და ნიუტონის წინააღმდეგ ლაიბნიცის ფილოსოფიას იყენებს სივრცის ფენომენალობის შესახებ. კანტი ამ პერიოდში თვლიდა, რომ ნიუტონის ფიზიკაზე ლაიბნიცის მეტაფიზიკა იმარჯვებს. იგი თხზულებაში „მოძრაობისა და უძრაობის ახალი ცნება“ (1755), ლაიბნიცის მსგავსად, სივრცეს რელატიურად თვლის და, მასასადამე, ნიუტონისა და ლაიბნიცის კამათში ამ უკანასკნელის მხარეზე დგას. უფრო მოგვიანო პერიოდის თხზულებაში „სივრცეში მხარეების განსხვავების პირველი საფუძველის შესახებ“ (1768) კანტი იცვლის თვალსაზრისს სივრცის შესახებ. თუკი ადრე, ლაიბნიცთან ერთად, კანტი ამტკიცებდა, რომ სხეულები ქმნიან სივრცეს შესაძლებელს, ახლა იგი, პირიქით, ამტკიცებს, რომ სივრცე არის სხეულთა შესაძლებლობის პირობა. კანტმა ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო განავითარა თხზულებაში „წმინდა გონების კრიტიკა“ (1781) და აპრიორიზმის პოზიციებზე დადგა.

ნიუტონის ფიზიკის გავლენა კანტის ფილოსოფიას ჯერ კიდევ ზემოაღნიშნულ თხზულებაში (1763) დაეტყო. ხოლო შემდეგ, მეორე, კრიტიკულ პერიოდში კანტი მთლიანად იზიარებს ნიუტონის აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუ-

ტური დროის თეორიას იმ განსხვავებით, რომ კანტმა ამ თეორიას იდეალისტური ინტერპრეტაცია მისცა. კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიური თეორია, რომელიც აინშტაინს ჰქონდა მხედველობაში, არის ის თვალსაზრისი, რომელიც კანტს გამოთქმული აქვს კრიტიკული პერიოდის მთავარ ნაშრომში „წმინდა გონების კრიტიკა“.

მაგრამ კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიური თეორიის ევოლუცია არც ამით დამთავრებულა. ამას ადასტურებს მისი თხზულება „ბუნებათმეცნიერების მეტაფიზიკური პრინციპები“ (1786). ამ თხზულებაში კანტი კვლავ მარცხნივ მიდის და ნიუტონის მატერიალისტურ თვალსაზრისს უახლოვდება.

ის კონცეპცია სივრცისა და დროის შესახებ, რომელიც გამოთქმულია „წმინდა გონების კრიტიკასა“ და „ბუნებათმეცნიერების მეტაფიზიკურ პრინციპებში“ არსებითად სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას წარმოადგენს და ნიუტონის ფიზიკის გავლენის დრმა კვალს ატარებს. ეს ბუნებრივიცაა. კანტმა თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისი სივრცისა და დროის შესახებ ნიუტონის ფიზიკაზე დააფუძნა, რომელიც იმდროინდელი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა და იმ ეპოქის ყველაზე გენიალური მონაპოვარი იყო. ნიუტონის მიერ მოცემული სივრცისა და დროის პრობლემის გადაწყვეტა, როგორც აინშტაინი ამბობს, „მეცნიერების განვითარების იმ პერიოდში ერთადერთი შესაძლებელი და, რაც მთავარია, ერთადერთი ნაყოფიერი იყო“. ამიტომ კანტის, როგორც მოაზროვნის სისუსტე არ შეიძლება დაინახოთ მასში, რომ თანამედროვე მეცნიერებამ უარყო სივრცისა და დროის ის თეორია, რომელიც კანტის ფილოსოფიის საბუნებისმეტყველო საფუძველს წარმოადგენდა.

სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორია ეწოდება შეხედულებათა იმ სისტემას, რომელიც აღიარებს აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუტური დროის არსებობას, წყვეტს, ერთი მხრივ, სივრცესა და დროს მოძრავი მატერიისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, სივრცესა და დროს ერთმანეთისაგან და თითოეულ მათგანს სუბსტანციალურ არსებობას მიაწერს; ეს თეორია ჯერ კიდევ ძველ დროში შეიქმნა, ხოლო ნიუტონმა მას ჩამოყალიბებული სახე მისცა. ნამდვილი, ქეშმარიტი სივრცე და დრო, ამ თეორიის მიხედვით, არის აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო. მათი აბსოლუტურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი დამოუკიდებელია ყველაფრისაგან, თავისი არსებობისათვის არ საჭიროებენ სხვა რაიმეს არსებობას და სრულიად თვითკმარ სუბსტანციებს წარმოადგენენ. აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო უძრავი, უცვლელი სივრცე და დროა. „აბსოლუტური სივრცე—წერს ნიუტონი—თავისი არსებით შეუფარდება რაიმე გარეგანთან, რჩება ყოველთვის იგივეობრივი და უცვლელი... აბსოლუტური, ქეშმარიტი, მათემატიკური დრო თავისთავად და თავისი არსებით ყოველგვარი მიმართების გარეშე რაიმე გარეგანთან, მიმდინარეობს თანაბრად და სხვაგვარად ეწოდება ხანგრძლივობა“¹.

სივრცისა და დროის აბსოლუტურობა ანუ მათი ყველაფრისაგან დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ ისინი დამოუკიდებელია. უწინარეს ყოვლისა,

¹ M. Jammer. Concepts of Space. The History of Theories of Space in Physics, 1954, აინშტაინის წინასიტყვაობა, გვ. XV.
² И. Ньютон, Математические начала натуральной философии. гл. 30, об. Собрание трудов акад. А. Н. Крылова, т. VII 1936.

მოდრავი მატერიისაგან. აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო არის სივრცე და დრო სხეულების გარეშე. მათ შეუძლიათ არსებობა სხეულების გარეშე (რაკი ისინი აბსოლუტურია, არაფერზე არ არის დამოკიდებული), მაგრამ სხეულებს არ შეუძლიათ არსებობა სივრცისა და დროის გარეშე. ამდენად ნიუტონის მიხედვით, როგორც აინშტაინი წერს, სივრცე და დრო „გაგებულია როგორც რეალობა, რომელიც გარკვეული აზრით მატერიალური სამყაროს რეალობაზე მაღლა დგას“¹.

რაკი სივრცესა და დროს შეუძლიათ არსებობა მატერიის გარეშე, ამიტომ ისინი თავიანთი არსებით არიან ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო. აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო ცარიელ სივრცესა და ცარიელ (წმინდა) დროს წარმოადგენენ. ამდენად ერთ მხრივ მატერიისა, და, მეორე მხრივ, სივრცესა და დროს შორის მხოლოდ შემთხვევითი კავშირი შეიძლება არსებობდეს. აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო წარმოადგენენ მატერიალური საგნებისა და მოვლენების ადგილსამყოფელს, „ჭურჭელს“, ანუ, როგორც აინშტაინი უწოდებს, „ყუთს“ და სხვას არაფერს. ისევე როგორც ჭურჭელს ანუ ყუთს შეუძლია არსებობა იმის გარეშე, რაც მასშია მოთავსებული და თვითონ არ არის დამოკიდებული მის არსებობაზე, ასევე აბსოლუტური სივრცესა და აბსოლუტურ დროს შეუძლიათ არსებობა მატერიის გარეშე.

აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუტური დროის არსებობის გვერდით ნიუტონის აღიარებდა რელატიური დროისა და რელატიური სივრცის არსებობასაც, მაგრამ მათ იგი „მოჩვენებითად“ თვლიდა; ნამდვილ, ჭეშმარიტ სივრცედ და დროდ კი მას აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო მიაჩნდა.

ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის კრიტიკა ამ შემთხვევაში უშუალოდ არ გვაინტერესებს². ნიუტონის თვალსაზრისს ჩვენ აქ მხოლოდ იმდენად განვიხილავთ, რამდენადაც მას კანტი იზიარებს. სწორედ ამიტომ გარდა იმ არგუმენტებისა, რომლებიც აინშტაინმა სპეციალურად კანტის წინააღმდეგ წამოაყენა, კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიური თეორიის კრიტიკისათვის ის არგუმენტებიც გამოდგება, რომელთაც აინშტაინი ნიუტონის მეტაფიზიკური კონცეპციის წინააღმდეგ მიმართავს.

კანტმა თითქმის უცვლელად მიიღო ნიუტონის აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუტური დროის თეორია, მაგრამ მას სუბიექტივისტური ხასიათი მისცა. თუკი ნიუტონი სივრცესა და დროს ობიექტურად არსებული მატერიალური სინამდვილის ადგილსამყოფლად თვლიდა, კანტმა ისინი ინტუიციის ფორმებად გამოაცხადა და ამით სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას იდეალისტური ხასიათი მისცა. აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუტური დროის არსებობა, ნიუტონის მოძღვრების მიხედვით, სრულიადაც არ არის დამოკიდებული ადამიანზე, სუბიექტზე. პირიქით, ისინი არსებობენ თავისთავად, თავისი ბუნებით და თავიანთი არსებობისათვის არ საჭიროებენ სხვა რაიმეს არსებობას. კანტთან კი სივრცე და დრო სუბიექტური ფორმებია და, მასასადამე, ისინი შემეცნებელი სუბიექტის გარეშე არ არსებობენ. სივრცე და დრო არიან გრძნო-

¹ M. Jammer., Concepts of Space... აინშტაინის წინასიტყვაობა, გვ. XIV.

² ამ თეორიის კრიტიკა მოცემულია ჩვენს ნაშრომში Критика учения Ньютона о пространстве и времени, „ფილოსოფიის ინსტ. შრ.“ ტ. VII, 1957.



ბადაობის აპრიორული ფორმები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის სულში იმყოფებიან და მის გარეშე არც შეიძლება არსებობდნენ. სივრცე და დრო, ამბობს კანტი, არ ეკუთვნიან საგნებს თავისთავად და ისინი არ დარჩებიან იმ შემთხვევაში, თუკი ყოველგვარი სუბიექტურისაგან აბსტრაქციას მოვახდენთ. ასეთი ევოლუცია განიცადა სუბიექტური იდეალიზმის მიმართულებით ნიუტონის მეტაფიზიკურმა მოძღვრებამ სივრცისა და დროის შესახებ.

მაგრამ სხვა მხრივ კი კანტის სივრცისა და დროის თეორიაში შენარჩუნებულია ნიუტონის მეტაფიზიკური თეორიის ყველა არსებითი ნიშანი, ის ნიშნები, რის გამოც ნიუტონის თეორია მეტაფიზიკური იყო. სივრცე და დრო, კანტის მიხედვით, აბსოლუტურია, რამოუკიდებელია ყველაფრისაგან. შეუძლებელია საგნების წარმოდგენა სივრცისა და დროის გარეშე, ამტკიცებს კანტი, მაგრამ სივრცისა და დროის წარმოდგენა საგნების გარეშე კი საგნებით შესაძლებელია. „არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს სივრცე, მაშინ როცა ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რომ მასში არავითარი ნივთი არ არის“. სივრცე და დრო მოვლენების შესაძლებლობის პირობებია; სწორედ ამიტომ ისინი არ არიან დამოკიდებული მოვლენებზე, არამედ თვითონ მოვლენებია მათზე დამოკიდებული. ამდენად, სივრცე და დრო აბსოლუტური ფორმებია; ისინი მოვლენების არსებობის აბსოლუტურ პირობებს წარმოადგენენ.

ეს აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო კანტს, ნიუტონის მსგავსად, ესმის როგორც ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო. თუკი საგნებისაგან ყველაფერს ისეთს განვაყენებთ, რაც შეგვრძნებებში გვეძლევა, დაგვრჩება ინტუიციის ორი წმინდა ფორმა—სივრცე და დრო? მოვლენების მასალა ემპირიულად არის მიღებული და იგი მოუწესრიგებელ გრძნობად მრავალსახეობას წარმოადგენს; ხოლო ის, რაშიც ეს ქაოსური მრავალსახეობა წესრიგდება, არის მოვლენის ფორმა, რომელიც აპრიორულია და ადამიანის სულში არსებობს. სივრცე და დრო წმინდა, აპრიორული ფორმებია. ისევე როგორც ნიუტონის მეტაფიზიკურ კონცეპციაში აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო არიან ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო, რომლებშიც მატერიალური საგნები და მოვლენები განლაგდება თანაარსებობისა და თანამიმდევრობის წესრიგის მიხედვით, ასევე ინტუიციის ამ ორ აპრიორულ ფორმაში წესრიგდება ემპირიულად მიღებული გრძნობადი მრავალსახეობა. სივრცე და დრო ორივე შემთხვევაში ადგილსამყოფელს, „ცარიელ ჭურჭელს“ წარმოადგენს. ამავე დროს ჭურჭელსა და იმას შორის, რაც ამ ჭურჭელში იმყოფება, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი კავშირი არსებობს. თუკი მათ შორის არსებითი კავშირი იყოს, მაშინ ცარიელი სივრცისა და ცარიელი (წმინდა) დროის არსებობა პრინციპულად შეუძლებელი იქნებოდა. კანტი უყოყმანოდ დგას ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე.

კანტის ფილოსოფიაში, ისევე როგორც ნიუტონის მოძღვრებაში, არა მართო სივრცე და დრო არის მოწყვეტილი მატერიისაგან და ამ გზით მათ აბსოლუტური მნიშვნელობა აქვთ მიწერილი, არამედ თვითონ სივრცეცა და დროც

1 I. Kant, Kritik der reinen Vernunft, A Messer, 33. 52.
2 იქვე, 83. 51.

ერთმანეთისაგან აბსოლუტურად მოწყვეტილია და თითოეული მათგანი გამოცხადებულია აბსოლუტურ, თვითკმარ ფორმებად. სივრცის არსებობა არ საჭიროებს დროის არსებობას და პირიქით. მათი აბსოლუტური მნიშვნელობა ამაშიც მკლავნდება.

ნიუტონის მეტაფიზიკური თეორიის გავლენით კანტი თვლიდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი საყოველთაო სივრცე და ერთი დრო, როცა მრავალ სივრცეებზე ლაპარაკობენ, ამტკიცებს კანტი, მაშინ ერთი და იგივე სივრცის ნაწილებს გულისხმობენ¹. ასევე ერთია დროც. სხვადასხვა დროები ერთი და იგივე დროის ნაწილებია². სხვაგვარად შეუძლებელია იყოს. სივრცე და დრო, კანტის მიხედვით, აბსოლუტურია, რაც მრავალი სივრცეებისა და დროების არსებობის დაშვებას გამორიცხავს. კანტი თვლიდა, რომ „აუცილებლობა და მკაცრი საყოველთაობა არის აპრიორული ცოდნის საიმედო ნიშნები“³. ასევე სივრცისა და დროის, როგორც აპრიორული ფორმების, არსებითი ნიშნებია საყოველთაობა და აუცილებლობა. არსებობს ერთი სივრცე და ერთი დრო, რომელთაც საყოველთაო და აუცილებელი მნიშვნელობა აქვთ მთელი ფენომენალური სამყაროსათვის.

აქედან გამომდინარეობს, რომ კანტი ერთდროულობის პრობლემასაც ტრადიციული, ე. ი. მეტაფიზიკური პოზიციებიდან წყვეტდა. რაკი დრო ერთი და საყოველთაოა. ცხადია, იგი თანაბრად უნდა მიმდინარეობდეს. ამდენად, სივრცეში დაშორებულ ხდომილობათა ერთდროულობის დადგენა აბსოლუტური სიზუსტით შეიძლება ანუ არსებობს აბსოლუტური ერთდროულობა. კანტი ვერ ამჩნევდა და არც შეიძლებოდა დაენახა ერთდროულობის ცნების პრობლემატური ხასიათი. ვინაიდან იგი დოგმატურად იდგა სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე.

კანტი, სივრცისა და დროის მეტაფიზიკურმა თეორიამ სივრცისა და დროის აპრიორობის გაგებამდე მიიყვანა. მან ნიუტონისაგან შეითვისა ის აზრი, რომ სივრცე და დრო არის აბსოლუტური, ყველაფრისაგან დამოუკიდებელი, რომელთაც შეუძლიათ არსებობა საგნების გარეშე, წმინდა სახით. სივრცე და დრო თავიანთი ბუნებით არის ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო, როგორც წმინდა ფორმები. აქედან კანტმა დაასკვნა, რომ სივრცე და დრო, როგორც ცარიელი ფორმები, მხოლოდ სულში შეიძლება არსებობდეს და არა მის გარეთ⁴. ეს ფორმები აპრიორული ფორმებია და მათ შესახებ ლაპარაკი მხოლოდ ადამიანური, ე. ი. სუბიექტური თვალსაზრისით შეიძლება. ამრიგად კანტის აპრიორიზმი სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის ლოგიკური შედეგი იყო.

სივრცისა და დროის აპრიორობის დასაბუთება კანტმა ოთხი ძირითადი არგუმენტით სცადა: პირველი, სივრცე და დრო არ არის ემპირიული ცნებები, არ არის ცდიდან მიღებული; პირიქით, ისინი ყოველი ცდის შესაძლებლობის პირობებს წარმოადგენენ. მეორე, შეუძლებელია საგნებისა და მოვლენების წარმოადგენა სივრცისა და დროის გარეშე, მაგრამ სივრცისა და დროის წარ-

¹ I. Kant Kritik der reinen Vernunft, A. Messer. 83. 52.

² იქვე, 83. 57.

³ იქვე, 88. 33.

⁴ იქვე, 83. 54.

მოდგენა საგნებისა და მოვლენების გარეშე კი ადვილად შესაძლებელია. შესაძლებელია, სივრცე და დრო არ არის ცნებები, არამედ ინტუიციური წარმოდგენებია, ვინაიდან არსებობს მხოლოდ ერთი სივრცე და ერთი დრო; ხოლო ის, რასაც მხოლოდ ერთი ობიექტი შეესაბამება, არის არა ცნება, არამედ ინტუიციური წარმოდგენა. მეოთხე, ცნების შესაბამისი საგანი არ შეიძლება თავისთავში შეიცავდეს უსასრულო რიცხვის ერთეულ საგნებს მისი რეალური ნაწილების სახით. სივრცე და დრო კი სწორედ ასეთი თვისებების მქონეა: სწორედ ამიტომ ისინი წმინდა ინტუიციური წარმოდგენებია და არა ცნებები.

ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის გავლენა კანტის ფილოსოფიაზე კიდევ უფრო აშკარად ჩანს წიგნში „ბუნებათმეცნიერების მეტაფიზიკური პრინციპები“ (1786). კანტი ამ წიგნში, ნიუტონის მსგავსად, ამტკიცებს, რომ არსებობს ცარიელი სივრცე, რომელშიც მატერია იმყოფება და მოძრაობს. სივრცე არის მატერიის ადგილსამყოფელი¹. არსებობს არა მარტო აბსოლუტური სივრცე, დრო და მოძრაობა, არამედ აგრეთვე რელატიური სივრცე, დრო და მოძრაობა. ამავე დროს კანტს ყველა ეს ცნებები ნიუტონის მიხედვით ესმის. „მატერია—წერს კანტი—არის მოძრავი სივრცეში. სივრცეს, რომელიც თვითონ მოძრავია, ეწოდება მატერიალური ანუ რელატიური სივრცე; მას, რომელშიც ყოველგვარი მოძრაობა საბოლოოდ მოიხარება (რომელიც ამასთანავე თვითონ უპირობოდ უძრავია) ეწოდება წმინდა ანუ აგრეთვე აბსოლუტური სივრცე“². კანტს ყველა ეს განსაზღვრება ნიუტონის მოძღვრებიდან აქვს აღებული. ნიუტონი აბსოლუტურ სივრცეს უძრავ სივრცედ თვლიდა, ხოლო მოძრაობას აბსოლუტური სივრცის მიმართ აბსოლუტურ მოძრაობას უწოდებდა. ამ აზრით მას აბსოლუტური სივრცე ესმოდა როგორც აბსოლუტური მოძრაობის საფუძველი. საბოლოო ჯამში, ნიუტონის მიხედვით, ყოველგვარი მოძრაობა აბსოლუტურ სივრცეში სრულდება. მეორე მხრივ, რელატიური სივრცე არის მოძრავი სივრცე და მის მიმართ მოძრაობა არის რელატიური მოძრაობა. კანტი, ნიუტონის მიხედვით, აბსოლუტურ სივრცეს „წმინდა“ სივრცედ თვლიდა, ხოლო რელატიურ სივრცეს—ფიზიკურად. ასევე რელატიური მოძრაობა ცდისეული, ფიზიკური მოძრაობაა: „ყოველი მოძრაობა—წერს კანტი,—რომელიც ცდის საგანია, წმინდა რელატიურია“³. ხოლო აბსოლუტური მოძრაობა არ არის გრძნობადი, ცდისათვის მისაწვდომი. რელატიური სივრცე, დრო და მოძრაობა, კანტის მიხედვით, არის ფიზიკური და ბუნებათმეცნიერების (ფიზიკის) კომპეტენციაში შედის, ხოლო „ნამდვილი“ სივრცე, დრო და მოძრაობა არის აბსოლუტური, რომელიც არ არის ფიზიკური, ცდაში მისაწვდომი და, მაშასადამე, მათ მეტაფიზიკური ხასიათი აქვთ. ბუნებათმეცნიერების (ფიზიკის) მეტაფიზიკურ პრინციპებს სწორედ ეს აბსოლუტური, „ნამდვილი“, „ქვეშარბი“ სივრცე, დრო და მოძრაობა წარმოადგენს. კანტი, ისევე როგორც ნიუტონი, იმ ძველი მცდარი წარმოდგენიდან ამოდიოდა, რომ თითქმის რელატიური არ შეიძლება იყოს ნამდვილი. ქვეშარბი; სინამდვილედ ყოფნა მარტოდენ აბსოლუტურის სპეციფიკური ნიშანია. ვიმეორებთ, რომ სივრცისა და დროის მთელი ზემოაღნიშნული კონცეპცია კანტს ნიუტონიდან აქვს აღებული.

¹ I. Kant, Metaphysische Anfangsgründe der Naturwissenschaft, 1787, გვ. 31
² იქვე, გვ. 1.
³ იქვე, გვ. 3.

ამრიგად, როგორც ზემოთ ვნახეთ, კანტი დოგმატურად იდგა სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე. ამდენად კანტი — დოგმატიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ფილოსოფოსი—თვითონ იყო უკიდურესი დოგმატიკოსი სივრცისა და დროის გაგების საკითხში და ერთი ნაბიჯითაც ვერ გასცილდა ნიუტონის მეტაფიზიკურ თეორიას.

აინშტაინის რელატივიზმის თეორია ყველა პრინციპულ საკითხებში უპირისპირდება ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას, ე. ი. იმ თეორიას, რომელსაც კანტიც იზიარებდა. ამიტომ აინშტაინის მიერ სივრცისა და დროის მეტაფიზიკური გაგების კრიტიკა იმავე დროს კანტის სივრცისა და დროის თეორიის კრიტიკასაც წარმოადგენს.

პრინციპულ წინააღმდეგობას რელატივიზმის თეორიასა და ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ გაგებას შორის თვითონ აინშტაინმა გაუსვა ხაზი მ. ჯემერის წიგნის წინასიტყვაობაში. თუკი ნიუტონის მეტაფიზიკურ თეორიაში სივრცე და დრო არის აბსოლუტური სიდიდეები, დამოუკიდებელია ყველაფრისაგან (მატერიალისაგან) და მატერიალური საგნებისა და მოვლენების ადგილსამყოფელს („ქუთრქელს“) წარმოადგენს, რელატივიზმის თეორიის მიხედვით კი სივრცე და დრო მატერიალური სამყაროს საგნებისა და მოვლენების თვისებებია და, მაშასადამე, ისინი არსებობენ არის დამოკიდებული მატერიალისაგან; ეს ნიშნავს, რომ სივრცე და დრო არ არის აბსოლუტური სიდიდეები; ისინი წარმოუდგენელია მატერიალური საგნების გარეშე. აინშტაინი უპირისპირებს რა ერთმანეთს სივრცისა და დროის ამ ორ კონცეპციას, წერს: „სივრცის ეს ორი ცნება¹ შეიძლება ერთმანეთს შემდგენიარად დაუუპირისპიროთ: ა) სივრცე არის მატერიალური სამყაროს მდებარეობის თვისება. ბ) სივრცე არის ყველა მატერიალური საგნების ადგილსამყოფელი. (ა) შემთხვევაში სივრცე წარმოუდგენელია მატერიალური საგნების გარეშე. (ბ) შემთხვევაში მატერიალური საგანი შეიძლება გაგებული იქნეს მხოლოდ როგორც სივრცეში არსებული. ამ შემთხვევაში სივრცე გაგებულია როგორც რეალობა, რომელიც გარკვეული აზრით მალა დგას მატერიალური სამყაროს რეალობაზე“².

აინშტაინის მიერ აღნიშნული დაპირისპირება იმავე დროს არის დაპირისპირება რელატივიზმის თეორიასა და კანტის სივრცისა და დროის თეორიას შორის. როგორც აღვნიშნეთ, თუკი სივრცე და დრო ნიუტონის თეორიაში მატერიალური საგნებისა და მოვლენების ადგილსამყოფელს წარმოადგენს და მათ აბსოლუტური მნიშვნელობა მიეწერება, სამაგიეროდ კანტთან სივრცე და დრო, როგორც ინტუიციის ფორმები, შეგრძნებებში მოცემული ემპირიული მასალის ადგილსამყოფელია და ისინი ისევე აბსოლუტურია, დამოკიდებულია მათი შინაარსისაგან, როგორც ნიუტონის თეორიაში აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო დამოუკიდებელია იმისაგან, რის ადგილსამყოფელსაც ისინი წარმოადგენენ. განსხვავება მარტოოდენ იმაშია, რომ ნიუტონის თეორიაში

¹ ამ სტატიაში აინშტაინი მხოლოდ სივრცეზე ლაპარაკობს, ვინაიდან მ. ჯემერის წიგნის განხილვის საგანი მხოლოდ და მხოლოდ სივრცე იყო. მიუხედავად ამისა, ის, რასაც აინშტაინი სივრცის ამ ორი კონცეპციის დაპირისპირებაზე ლაპარაკობს, ზუსტად შეიძლება განმეორებულ იქნეს დროის შესახებაც.

² M. J a m m e r, Concepts of Space... აინშტაინის წინასიტყვაობა, გვ. XIII.



სივრცე და დრო ობიექტურია, კანტის თეორიაში კი ისინი მარტოოდენ ინტუიციის ფორმებს წარმოადგენს, ე. ი. სუბიექტურ ხასიათს ატარებს.

თუკი კანტი სივრცესა და დროს მგრძნობელობის ემპირიული მასალის მარტოდენ ადგილსამყოფლად თვლიდა და შესაძლებლად მიაჩნდა მათი არსებობა იმის გარეშე, რაც მათ შინაარსს წარმოადგენს, სამაგიეროდ აინშტაინი სივრცესა და დროს მატერიალური სამყაროს საგნებისა და მოვლენების თვისებად თვლის და ამის საფუძველზე უარყოფს მათ არსებობას იმის გარეშე, რის თვისებებსაც ისინი წარმოადგენს. კანტის ფილოსოფიაში სივრცე და დრო არავითარ შემთხვევაში არ არის გრძნობადი მრავალსახეობის და, მით უმეტეს, მატერიალური სამყაროს თვისებები. აქ შედავნივთა ერთ-ერთი პრინციპული დაპირისპირება აინშტაინის რელატივიზმის თეორიასა და კანტის ფილოსოფიას შორის. ეს დაპირისპირება გამოიხატა კანტის სივრცისა და დროის თეორიის არა მხოლოდ მეტაფიზიკური, არამედ იდეალისტური ხასიათის უარყოფაშიც.

მაგრამ როგორ არის სივრცე და დრო მატერიალური სამყაროს თვისებები? სივრცე, აინშტაინის მიხედვით, არის მატერიალური საგნების ურთიერთგანლაგების წესრიგი. „სივრცე (ანუ ადგილი) არის მატერიალური ობიექტების წესრიგის სახე (a sort of order) და სხვა არაფერი“¹. დრო კი არის მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობათა თანმიმდევრობის წესრიგი. ამ შემთხვევაში, ცხადია, შეუძლებელია ლაპარაკი მოძრავე მატერიის გარეშე სივრცისა და დროის არსებობის შესახებ. წესრიგი არ არსებობს მის გარეშე, რის წესრიგსაც იგი წარმოადგენს; წესრიგისათვის აბსოლუტური მნიშვნელობის მიწერა შეუძლებელია. აინშტაინმა სივრცისა და დროის ეს ახალი თეორია ასე გამოთქვა: „რელატივიზმის თეორიის შექმნამდე სჩეროდათ, რომ თუკი დაეუშვებთ სამყაროში ყოველგვარი მატერიის გაქრობას, მაშინ სივრცე და დრო ცარიელ სამყაროში მაინც დარჩება. რელატივიზმის თეორიის თანახმად კი, თუკი მატერია და მისი მოძრაობა გაქრება, აღარ იარსებებს რაიმე სივრცე ან დრო“². ცხადია, თუკი მატერიალური ნივთები მოისპო, მაშინ რელატივიზმის თეორიის მიხედვით, აღარ იარსებებს არც მათი ურთიერთგანლაგების წესრიგი—სივრცე და არც მათი მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობათა თანმიმდევრობის წესრიგი—დრო. აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ უარყო სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორია, რომელიც მათ აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდა და ბრწყინვალედ დაადასტურა მოძღვრება მატერიისაგან სივრცისა და დროის განუყრელობის შესახებ.

გაიგო რა სივრცე და დრო, როგორც მატერიალური სამყაროს განუყრელი თვისებები, ამით რელატივიზმის თეორიამ უარყო ძველი მეტაფიზიკური წარმოდგენები ცარიელი სივრცისა და ცარიელი (წმინდა) დროის არსებობის შესახებ. აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო, რომელთაც შეუძლიათ არსებობა თავისთავად, ყველაფრისაგან დამოუკიდებლად, ნიუტონსა და კანტს ესმოდათ როგორც ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო. თუკი საგნებისაგან ყველა გრძნობად თვისებებს განვაყენებთ, ამტკიცებს კანტი, მაშინ დაგვრჩება ორი წმინდა ფორმა—სივრცე და დრო, რომლებიც „წმინდა ინტუ-

¹ M. Jamm er. Concepts of Space... აინშტაინის წინასიტყვაობა, გვ. XIII.
² ციტირებულია ფინიდან: Ph. Frank, Philosophy of Science. The Link Between Science and Philosophy, 1957, გვ. 123.

იციებს“ (reine Anschauung) წარმოადგენენ. წინააღმდეგ ამ მეტაფიზიკური თვალსაზრისისა, აინშტაინი ამტკიცებს, რომ სივრცე და დრო არის მატერიის განუყრელი თვისებები და, მასასადამე, მათი არსებობა მატერიის გარეშე, როგორც ცარიელი სივრცისა და ცარიელი დროისა, შეუძლებელია. „სივრცის ამგვარი გაგების დროს—წერს აინშტაინი სივრცის, როგორც მატერიის განუყრელი თვისებების, გაგების შესახებ—ლაპარაკს ცარიელი სივრცის შესახებ აზრი აღარ აქვს.. და სავსებით ბუნებრივია მივიღოთ ცარიელი სივრცის არსებობის უარყოფამდე“². ამ საკითხში რელატივიზმის თეორია პრინციპულად უპირისპირდება კანტის მეტაფიზიკურ თვალსაზრისს.

აინშტაინი არ უარყოფს სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის ისტორიულ დამსახურებას. პირაქით, იგი ამტკიცებს, რომ „ნიუტონის მიერ საკითხის გადაწყვეტა მეცნიერების განვითარების იმ პერიოდისათვის ერთადერთი შესაძლებელი და, რაც მთავარია, ერთადერთი ნაყოფიერი იყო“³. ამ მეტაფიზიკური თეორიის შემუშავება (აუქუნეების მანძილზე მოხდა დიდი ბრძოლისა და გონებრივი დაძაბულობის საფუძველზე; შემდეგ კი იგი ისე დრამატიკურად აღამიანის ცნობიერებაში, რომ მის დასაძლევად არანაკლები ენერგია დაიხარჯა. „საჭირო გახდა შეუპოვარი ბრძოლა, — წერს აინშტაინი,—რათა მისულიყვნენ დამოუკიდებელი და აბსოლუტური სივრცის ცნებამდე, რაც აუცილებელი იყო თეორიის განვითარებისათვის. მაგრამ შემდგომში არა ნაკლებ ენერგიის დაძაბვა გახდა საჭირო, რათა დაგვეძლია ეს ცნება“⁴. სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას პირველად წინ აღუდგენ ლიბნიცი და ჰიუგენსი, რომლებიც სივრცესა და დროს აბსოლუტურ სიდიდეებად კი არ თვლიდნენ, არამედ მატერიალური საგნების წესრიგად. ლიბნიცისა და ჰიუგენსის ოპოზიცია ნიუტონის მეტაფიზიკური თეორიის წინააღმდეგ, ამტკიცებს აინშტაინი, მეცნიერების განვითარებამ გაამართლა.

აინშტაინის რელატივიზმის თეორია მტკიცედ დაუპირისპირდა აგრეთვე კანტის თვალსაზრისს სივრცისა და დროის აპრიორობის შესახებ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რელატივიზმის თეორია, რომელიც წარმოადგენს სივრცისა და დროის ერთადერთ მეცნიერულ თეორიას, ვერ დაუშვებს სივრცისა და დროის აპრიორობას, ვინაიდან ამ თეორიის მიხედვით, ფიზიკური საგნობრიობა მიეწერება მხოლოდ იმას, რაც დაკვირვებადია, რაც იზომება; სივრცე და დრო რომ იყოს აპრიორული წარმოდგენები, მაშინ ისინი ფიზიკის საგანი არ იქნება. ფიზიკა ცდის სფეროს სწავლობს. ფიზიკურ სიდიდეებს იკვლევს, ხოლო ფიზიკური სიდიდეების შემცენების ერთადერთ გზას კი გაზომვა, ე. ი. ცდისეული ოპერაცია წარმოადგენს. ამიტომ სივრცისა და დროის ფიზიკურ სიდიდეებად აღიარებაც კი მიუთითებს რელატივიზმის თეორიის მიერ კანტის აპრიორიზმის უარყოფაზე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ თვლის შესაძლებლად სივრცისა და დროის გაზომვას, ე. ი. მათ ექსპერიმენტულ გამოკვლევას. „ფიზიკური რეალობის ელემენტები—წერს აინშტაინი— შეუძლებელია განსაზღვრულ იქნას აპრიორული ფილოსოფიური მსჯელობების საშუალებით. ისინი ნაპოენი

¹ I. Kant, Kritik der reinen Vernunft, გვ. 5.

² M. Jammer, Concepts of Space, აინშტაინის წინასიტყვაობა, გვ. XIII.

³ იქვე, 83. XV.

⁴ იქვე.



უნდა იქნან ექსპერიმენტებისა და ვაზომვების საფუძველზე¹. სივრცე და დრო, რელატივობის თეორიის მიხედვით, ფიზიკური სიდიდეებია, ფიზიკური რეალობაა, რომელთა თვისებები მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული კვლევა-ძიებით დგინდება და არა აპრიორულად. უკვე ამაშია მთავარი მიზეზი, რომელიც შეუძლებელს ხდის კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების შერკვებას.

კანტის წინააღმდეგ აინშტაინი ამტკიცებს, რომ სივრცე, დრო, მკვებობრიობა და სხვა ცნებები, რომელთაც კანტი აპრიორულ ცნებებად თვლიდა, სინამდვილეში ემპირიული წარმოშობისაა, ცდიდან არის მიღებული და შემდეგ ატანილია „აპრიორობის მიუწვდომელ სიმაღლეზე“: ეს გარემოება ქმნის მათი აპრიორობის ილუზიას, ნამდვილად კი ეს ცნებები ცდისაგან ისევე ნაკლებად დამოუკიდებელია, როგორც ტანსაცმელი ადამიანის სხეულის ფორმისაგან. რელატივობის თეორიამ ამტკიცებს აინშტაინი, უარყო კანტის მოძღვრება სივრცისა და დროის შესახებ, დაამხო ისინი აპრიორობის ოლიმპიდან. სადაც კანტის მიერ უკანონოდ იყო ატანილი და ამ გზით ისინი ცდისათვის გამოსადეგი გახადა. სივრცე და დრო, როგორც აპრიორული ელემენტები, აინშტაინის აზრით, ფიზიკისათვის გამოუსადეგარი, მიუწვდომელი იყო. იმისათვის, რომ ისინი ფიზიკის გამოკვლევის საგანი გახდნენ, საჭიროა მათი აპრიორობის უარყოფა და ცდის ობიექტად გადაქცევა. მხედველობაში ჰყავს რა კანტი, აინშტაინი წერს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ ფილოსოფოსებმა დამღუპველი გავლენა მოახდინეს მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე. გადაიტანეს რა ზოგიერთი ფუნდამენტალური ცნება ცდის სფეროდან, სადაც ისინი ჩვენი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, აპრიორობის მიუწვდომელ სიმაღლეზე; ვინაიდან თუნდაც აღმოჩნდეს, რომ იდეათა სამყარო არ შეიძლება ცდიდან იქნეს გამოყვანილი ლოგიკური გზით და იგი გარკვეული აზრით არის ადამიანის გონების პირშეშო, რომლის გარეშე არავითარი მეცნიერება არ არის შესაძლებელი, იდეათა ეს სამყარო მაინც ისევე ნაკლებად იქნებოდა დამოუკიდებელი ჩვენი შეგრძნებების ბუნებისაგან, როგორც ტანსაცმელი ადამიანის სხეულის ფორმისაგან. ეს განსაკუთრებით სწორია სივრცისა და დროის ცნებების მიმართ. ფაქტების გავლენით ფიზიკოსები იძულებული იყვნენ დაემხოთ ისინი აპრიორობის ოლიმპიდან, რათა წესრიგში მოეყვანათ ისინი და გამოყენებისათვის გამოსადეგი გაეხადათ“².

რელატივობის თეორიამ დაამტკიცა ნიუტონისა და კანტის მოძღვრების უსაფუძვლობა სივრცის, დროისა და მოძრაობის აბსოლუტურობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ დაშორებულ ხდომილობათა აბსოლუტური ერთდროულობა, რასაც სივრცისა და დროის ძველი თეორია უშვებდა, არ არსებობს. თუკი არსებობს ერთი და საყოველთაო დრო, როგორც კანტი ნიუტონთან ერთად ფიქრობდა, მაშინ უნდა არსებობდეს აბსოლუტური ერთდროულობაც. სხვა სიტყვებით: თუკი დრო ერთია და თანაბრად მიმდინარეობს, მაშინ სივრცეში დაშორებული ხდომილობების დროული თანამიმდევრობის გაზომვა ყველა მოძრავე სისტემიდან ერთსა და იმავე შედეგს უნდა იძლეოდეს. მაგრამ აბსოლუტური ერთდროულობის უარყოფა და ერთდროულობის რელატიური ხასიათის

¹ „Успехи физических наук“. 1936, вып. IV, т. XVI, გვ. 441.
² А. Эйнштейн, Сущность теории относительности, 1955, გვ. 8.

აღმოჩენა ნიშნავს ნიუტონისა და კანტის მეტაფიზიკური თვალსაზრისის უარყოფას დროის აბსოლუტურობის შესახებ.

გარდა ამისა, თვალსაზრისი სხვადასხვა ათვლის სისტემიდან ერთი და იგივე სივრცის მონაკვეთისა და დროის ინტერვალის გაზომვის შედეგების სხვადასხვაობის შესახებ (ლორენც-ფიცჯერალდის შემცირება), რომელიც აინშტაინის რელატივიზმის თეორიის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, უარყოფს აბსოლუტური სივრცისა და აბსოლუტური დროის თეორიას. აღმოჩნდა, რომ სივრცისა და დროის მონაკვეთების სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ათვლის სისტემიდან ვზომავთ მათ. ერთსა და იმავე ვრცეულ მონაკვეთსა და დროის ინტერვალს მოძრავი და უძრავი ათვლის სისტემებიდან გაზომვის შედეგად სხვადასხვა სიდიდე აქვთ. უდიდესი სიგრძე არის უძრავი სიგრძე, ხოლო უმცირესი—მოძრავი სიგრძე. ამავე დროს სივრცის მონაკვეთები და დროის ინტერვალები მცირდება მოძრაობის სიჩქარის გაზრდის პროპორციულად. ეს კი ნიშნავს, რომ არ არსებობს აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო. ე. ი. ისეთი სივრცე და დრო, რომლებიც უცვლელი და დამოუკიდებელია ყველაფრისაგან (მათ შორის ათვლის სისტემებისაგანაც).

ნიუტონსაც და კანტსაც ნამდვილი სივრცე და დრო ესმოდათ როგორც აბსოლუტური, თვითკმარი სიდიდეები, რომლებიც თავიანთი არსებობისათვის არ საჭიროებენ სხვა რაიმეს არსებობას. აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ კი დაამტკიცა, რომ სივრცისა და დროის ტენსორები მატერიაზეა დამოკიდებული და ამდენად ისინი აბსოლუტური არ არის. ამავე დროს სივრცე და დრო რელატივიზმის თეორიამ განუყრელად დაუკავშირა ერთმანეთს. სივრცე და დრო აბსტრაქციებია. ნამდვილად კი არსებობს სივრცე-დრო ანუ სივრცესა და დროში გაშლილი (ოთხგანზომილებიანი) სამყარო. ეს თვალსაზრისიც პრინციპულად უარყოფს ნიუტონისა და კანტის მეტაფიზიკურ თეორიას სივრცისა და დროის შესახებ.

ასე უარყო აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ კანტის სივრცისა და დროის ფილოსოფიური თეორია. რომელიც ნიუტონის სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიაზე იყო დაფუძნებული და თვითონაც თავისი არსებით მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებდა. ქვემოთ ვნახავთ, რომ აინშტაინი საერთოდ უარყოფდა აპრიორიზმს და არა მხოლოდ სივრცისა და დროის გაგების საკითხში. ამიტომ მტკიცება, რომ თითქოს როგორმე მაინც შესაძლებელი იყოს კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების შერიგება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

3. კლასიკური აპრიორიზმის ფორმების ადგილი კანტისა და აინშტაინის მოძღვრებებში. კანტის შეხედულება სივრცისა და დროის აპრიორობაზე საფუძვლად დაედო მის თვალსაზრისს მათემატიკისა და ბუნებათმეცნიერების (ფიზიკის) შესახებ. სივრცის ცნებას მათემატიკა, კერძოდ, გეომეტრია მოიხმარს და ემყარება, დროის ცნებას კი ასეთივე საფუძველმდებელი მნიშვნელობა აქვს ბუნებათმეცნიერებისათვის, განსაკუთრებით, ფიზიკისათვის. ამიტომ თუკი სივრცე და დრო აპრიორულ ინტუიციებს წარმოადგენს, მაშინ აპრიორული უნდა იყოს აგრეთვე მათზე აგებული მეცნიერებანიც, სახელდობრ, მათემატიკა და ბუნებათმეცნიერება (ფიზიკა). მართლაც, კანტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ წმინდა მათემატიკასა და წმინდა ბუნებათმეცნიერებას აპრიორული ხასიათი აქვთ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ კანტი აპრიორული ცოდნის „საიმედო ნიშნებად“ აუცილებლობასა და მკაცრ საყოველთაობას თვლიდა. ამ ორ ნიშანს იგი უყურებს როგორც აპრიორული და ემპირიული ცოდნის ერთმანეთისაგან განსხვავების კრიტერიუმს. ამ კრიტერიუმის მიხედვით კანტი იკვლევს საკითხს: მათემატიკა და ბუნებათმეცნიერება აპრიორული მეცნიერებანია თუ ემპირიული?

მათემატიკური დებულებანი, ამტკიცებს კანტი, ყოველთვის აპრიორულია და არა ემპირიული (აპოსტერიორული), ვინაიდან მათ აუცილებლობის ხასიათი აქვთ. აუცილებლობა ცდამი არ გვეძლევა. ცდა მხოლოდ არსებობის ფაქტს გვიჩვენებს და არა იმას, რომ ეს საგანი სწორედ ასე უნდა არსებობდეს და არა სხვაგვარად. ამიტომ სადაც აუცილებლობა გვაქვს, იქ ჩვენი ცოდნა აპრიორულია და არა ემპირიული. თვითონ ემპირიული ცოდნაც კი თავის საფუძვლად მოითხოვს აპრიორულ პრინციპებს. „თვითონ ცდას საიდან შეეძლო აეღო თავისი უტყუარობა—წერს კანტი—თუკი ყველა წესები, რომელთაც იგი მისდევს, თავის მხრივ ისევ ემპირიული, მაშასადამე, შემთხვევითი არის“. ამრიგად, მათემატიკური შემეცნება არის აპრიორული შემეცნება, რომელიც თავისთავში არ შეიცავს არავითარ ემპირიულს. თუ ეს აზრი სადავო გახდება მთელი მათემატიკის მიმართ, ამტკიცებს კანტი, ყოველ შემთხვევაში იგი უდავოა წმინდა მათემატიკის სფეროში.

ასევე ითქმის ბუნებათმეცნიერებაზეც (ფიზიკა), რომელიც ინტუიციის მეორე აპრიორულ ფორმას—დროს ემყარება. წმინდა ბუნებათმეცნიერება აპრიორული მეცნიერებაა. „ბუნებათმეცნიერება (ფიზიკა) შეიცავს თავისთავში აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობებს, როგორც პრინციპებს“¹.

ამრიგად, წმინდა მათემატიკა და წმინდა ბუნებათმეცნიერება, კანტის მიხედვით, აპრიორული ბუნების მეცნიერებანია. აპრიორული ცოდნის პრინციპებს გონება იძლევა². გონება ქმნის ამ პრინციპებს ცდის დახმარების გარეშე; მას არ ესაუიროება ცდა, ვინაიდან ცდას შესაძლებლობის პირობები თვითონ მასშია და არა მის გარეთ.

კანტს მათემატიკისა და ბუნებათმეცნიერების ზემოაღნიშნული გაგებიდან ჩვენთვის მეტად საინტერესო დასკვნები გამოაქვს კლასიკური აზროვნების ფორმების ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. როდესაც იგი მათემატიკაზე ლაპარაკობს მხედველობაში აქვს ძირითადად გეომეტრია, რომელიც სივრცის ცნებას ემყარება და რომელსაც კანტის დროისათვის მათემატიკის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე ჰქონდა. ბუნებათმეცნიერების ქვეშ კი კანტი ფიზიკას გულისხმობს (ლაპარაკობს რა ბუნებათმეცნიერებაზე, ფრჩხილებში სვამს სიტყვას „ფიზიკა“). ამრიგად, კანტი გეომეტრიისა და ფიზიკის აპრიორობას ამტკიცებდა. ამავე დროს კანტის ეპოქაში გეომეტრია ევკლიდეს გეომეტრიის სახით არსებობდა, ხოლო ფიზიკა კი—ნიუტონის ფიზიკის სახით. ევკლიდური გეომეტრია და ნიუტონის ფიზიკა კლასიკური მეცნიერების ნიმუშებს წარმოადგენს, ხოლო ამ მეცნიერებათა კანონები—კლასიკური აზროვნების ფორმებს, რომელთა შესახებ კანტი მეტად საყურადღებო დასკვნებს აკეთებს,

¹ I. Kant, Kritik der reinen Vernunft, გვ. 33.
² იქვე, გვ. 41.
³ იქვე, გვ. 45.

ეკლიდური გეომეტრია და ნიუტონის ფიზიკა, ამტკიცებს კანტი, არის ერთადერთი პრივილეგირებული გეომეტრია და ფიზიკა, რომელთაც, როგორც აბრიორულ პრინციპებზე აგებულ მეცნიერებებს, აუცილებელი და საყოველთაო ხასიათი აქვთ და, მასასადამე, მათ აბსოლუტური მნიშვნელობა ენიჭებათ. კანტი არა მარტო არ ეპყობდა ეკლიდური გეომეტრიისა და ნიუტონის ფიზიკის—კლასიკური აზროვნების ამ ფორმების აბსოლუტურობაში, არამედ თვლიდა, რომ პრინციპულად შეუძლებელია სხვაგვარი გეომეტრიის არსებობა, გარდა ეკლიდურისა და სხვა პრინციპების არსებობა, გარდა კლასიკური მექანიკის პრინციპებისა. კანტი იმასაც კი ფიქრობდა, რომ თითქოს მომავალში პრინციპულად შეუძლებელია სხვაგვარი კანონების აღმოჩენა, ვინაიდან ეს კანონები ცდიდან კი არ არის გამოყვანილი, არამედ თვითონ წარმოადგენს ყოველგვარი ცდის ტრანსცენდენტალურ პირობებს. შეუძლებელია მომავალში აღმოჩნდეს ისეთი ფაქტები, რომლებიც დაუპირისპირდებიან ეკლიდურ გეომეტრიასა და ნიუტონის მექანიკას. ეს ასეა, კანტის მიხედვით, იმიტომ, რომ რამდენი ახალი მასალაც არ უნდა მიიღოს შემეცნებამ, მისი ფორმა ყოველთვის წინასწარ, აბრიორულად არის მოცემული: იგი უცვლელი და სტატიკურია. ევოლუცია და ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ შეგრძნებების სფეროში (ემპირიული მასალის დაგროვების მხრივ) ხდება; ტრანსცენდენტალური სფეროდან კი ყოველგვარი ცვალებადობა გამორიცხულია. ამიტომ, კანტის აზრით, ეკლიდური გეომეტრია არის ერთადერთი შესაძლებელი გეომეტრია, ხოლო ნიუტონის კლასიკური ფიზიკა—ერთადერთი შესაძლებელი ფიზიკა. ამავე უფლებით მათ აბსოლუტური და პრივილეგირებული მნიშვნელობა აქვთ. მათი პრინციპები ყოველგვარი ადამიანური შემეცნების აუცილებელსა და საყოველთაო პრინციპებს წარმოადგენენ.

კანტი იმ ტრადიციულ შეხედულებას იზიარებდა, რომ ნიუტონის კლასიკურ მექანიკას მხოლოდ და მხოლოდ ეკლიდეს გეომეტრია შეესაბამება. იგი არ იცნობდა სხვა ფიზიკურ პრინციპებს და სხვა გეომეტრიულ სისტემებს (ვინაიდან ასეთი რამ მის ეპოქაში არ არსებობდა) და ამიტომ კანტის წინაშე არ იდგა საკოხი იმის შესახებ, თუ რომელი გეომეტრია შეესაბამება რეალურ (ფიზიკურ) სივრცეს. მხოლოდ ერთი გეომეტრიული სისტემის არსებობას პირობებში არჩევანი გამორიცხული იყო. ერთი სიტყვით, კანტი არ იცნობდა გეომეტრიის რელატიურობის პრობლემას, რომელიც არაეკლიდური გეომეტრიული სისტემების აღმოჩენის შედეგად დადგა.

ამრიგად, კანტი დოგმატურად იდგა კლასიკური აზროვნების პოზიციებზე და არც შეიძლებოდა არ მდგარიყო, ვინაიდან მის ეპოქაში სხვა პრინციპები აღმოჩენილი არ ყოფილა; ხოლო ახალი პრინციპების აღმოჩენის შესაძლებლობის უარყოფა კი კანტის აბრიორიზმის აუცილებელი შედეგი იყო.

კანტის გარდაცვალებიდან 22 წლის შემდეგ, 1826 წელს ნ. ლობაჩევსკიმ ყაზანის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინა წერილობითი მოხსენება, რომელშიც მოცემული იყო არაეკლიდური გეომეტრიის პრინციპები. ცოტა გვიან ამავე შედეგებამდე მივიდა ბოლიაი; ხოლო გაუსს, როგორც ირკვევა, ამ მიმართულებით კვლევა ჯერ კიდევ კანტის სიცოცხლეში ჰქონდა დაწყებული. მაგრამ კვლევის შედეგები გაცილებით

გვიან გამოქვეყნდა. კიდევ უფრო გვიან შეიქმნა კიდევ ერთი არაეკვიდური გეომეტრიული სისტემა — რიმანის გეომეტრია.

ამრიგად, გასულ საუკუნეში აღმოჩნდა ახალი გეომეტრიული სისტემები, რომელთაც ეკვიდური გეომეტრიისაგან განსხვავებით „არაეკვიდური გეომეტრიები“ ეწოდებათ. არაეკვიდური გეომეტრიის შექმნა მტკიცედ დაკავშირებულია ლობაჩევსკის, გაუსის, ბოლიაისა და რიმანის სახელებთან. ეს გეომეტრიული სისტემები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან და საერთოდ ისინი სხვადასხვა პრინციპებზეა აგებული. მაგ., ეკვიდრს გეომეტრიაში სამკუთხედის კუთხეების ჯამი უდრის ორ მართ კუთხეს, ლობაჩევსკის გეომეტრიაში იგი ორი მართი კუთხის ჯამზე ნაკლებია, ხოლო რიმანის გეომეტრიაში — ორი მართი კუთხის ჯამზე მეტია. ასევე: ეკვიდრს გეომეტრიაში მოცემული სწორი ხაზის მიმართ ამავე სიბრტყეზე მოცემული ერთი წერტილიდან მხოლოდ ერთი პარალელური სწორის გავლება შეიძლება, ლობაჩევსკის გეომეტრიაში ასეთი პარალელური ხაზების რიცხვი ერთზე მეტია, ხოლო რიმანის გეომეტრიაში პარალელური ხაზები საერთოდ არ არსებობს.

ამჟამად უკვე დადგენილია, რომ არაეკვიდური გეომეტრიები ისევე გამართულ გეომეტრიულ სისტემებს წარმოადგენენ, როგორც ეკვიდური გეომეტრია. ამ სხვადასხვა გეომეტრიებს, მიუხედავად მათი ურთიერთდაპირისპირებისა, ეკვივალენტური ღირებულება აქვთ და პრივილეგირებულ გეომეტრიულ სისტემად არც ერთი მათგანის ჩათვლა არ შეიძლება.

ამრიგად, აღმოჩნდა ის, რასაც კანტი თავის აპრიორიზმზე დაფუძნებით პრინციპულად უარყოფდა. კერძოდ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია ეკვიდრ-კლასიკური გეომეტრიული აზროვნების ფორმა არ არის საყოველთაო და აუცილებლობის მნიშვნელობის მქონე; იგი არ არის აზროვნების აბსოლუტური, უცვლელი ფორმა.

ური გეომეტრიისაგან განსხვავებული გეომეტრიული პრინციპების არსებობა.

მეორე მხრივ აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ დაარღვია კანტის ვარაუდი, რომ თითქოს ნიუტონის მექანიკის პრინციპები ერთადერთ შესაძლებელ ფიზიკურ პრინციპებს წარმოადგენენ და სხვა კანონების აღმოჩენა პრინციპულად გამორიცხებულია. სივრცისა და დროის რელატივისტური თეორია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრინციპულად განსხვავდება კლასიკური ფიზიკისაგან და უპირისპირდება მას. ახალმა ფიზიკამ კი ახალი გეომეტრია მოითხოვა; სწორედ ამიტომ თუკი კლასიკური ფიზიკისათვის ეკვიდრს გეომეტრია საკმარისი იყო, რელატივისტური ფიზიკა კი არაეკვიდურ გეომეტრიას ემყარება.

კანტის ფილოსოფიასთან არაეკვიდური გეომეტრიის დამოკიდებულების შესახებ სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ.

მკვლევართა ერთი ჯგუფი, განსაკუთრებით პოზიტივისტები, თვლიან, რომ არაეკვიდურმა გეომეტრიამ უარყო კანტის მტკიცება გეომეტრიის შესახებ. სხვადასხვა გეომეტრიული სისტემების აღმოჩენა უკვე ნიშნავს იმას, რომ მცდარია კანტის ვარაუდი ეკვიდური გეომეტრიის, როგორც ერთადერთი შესაძლებელი გეომეტრიული სისტემის, შესახებ. ეს შეხედულება ჯერ კიდევ პელმპოლცმა გამოთქვა, ხოლო შემდეგ რაიხენბახმა მას სრულიად გარკვეული მტკიცების სახე მისცა. მოაზროვნეთა ეს ჯგუფი ამაში ხედავს აგრეთვე კანტის აპრიორიზმის მარცხს.

მკვლევარების მეორე ჯგუფი, განსაკუთრებით კანტიანელთა ერთი ნაწილი, თვლის, რომ არაეკვიდური გეომეტრია არა მარტო არ უარყოფს კანტის მოძღვრებას გეომეტრიის შესახებ, არამედ, პირიქით, ამტკიცებს. ლ. ნელსონი წერს: „ახალმა მათემატიკამ სრულიად დამოუკიდებელი გზით სრულიად დაადასტურა კანტის აღმოჩენა“¹. მეორე კანტიანელი შლაიერი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არ არსებობს არავითარი უფსკრული კანტის თეორიასა და ახალ მათემატიკას შორის. პირიქით, კანტის მოძღვრება დაადასტურა თანამედროვე მეცნიერებამ. მაგ., კანტის აზრი, რომ სივრცე ცნება კი არ არის, არამედ წმინდა ინტუიცია, არაეკვიდურ გეომეტრიას იოტისოდენადაც არ შეუცვლია². კანტიანელი ვ. მაინეკე უკმაყოფილოა თვითონ პრობლემის დაყენებითაც კი კანტისა და ლობაჩევსკის მოძღვრებათა ურთიერთობის შესახებ. საკითხი, მისი აზრით, ასე კი არ უნდა დავსვათ: „კანტი თუ ლობაჩევსკი“, არამედ ასე: „კანტი და ლობაჩევსკი“. თვითონ კი ასეთ დასკვნამდე მიდის: „არაეკვიდური გეომეტრია კანტის თეორიის უარყოფას კი არ ნიშნავს მათემატიკური შემეცნების შესახებ, არამედ იგი მათემატიკური მხრით ავსებს (ergänzt) კანტის საფუძველზე ჩატარებულ იმ ფილოსოფიურ გამოკვლევებს, რომლებიც ეკვიდური გეომეტრიის აქსიომების გამოყვანის ნებას გვაძლევენ“³. საყურადღებოა, რომ ამ ჯგუფის მოაზროვნეთაგან კანტის დასაცავად არც ერთს არ მოჰყავს სერიოზული არგუმენტები, ხოლო ზოგიერთი მათ მიერ მოტანილი მოსაზრება შეცდომას წარმოადგენს. მაგ., შლაიერის მიხედვით, არაეკვიდურმა გეომეტრიამ არ უარყო კანტის აზრი იმის შესახებ, რომ სივრცე არის არა ცნება, არამედ წმინდა ინტუიციური წარმოდგენა. მართალია, სივრცე, არაეკვიდური გეომეტრიის მიხედვით, არ არის ცნება, მაგრამ იგი არც ინტუიციური წარმოდგენაა. სივრცეს ობიექტური რეალობა აქვს და, როგორც ლობაჩევსკი წერს, მისი თვისებები ცდით დგინდება. ეს კი ნიშნავს სივრცის აპრიორული ხასიათის უარყოფას და მისი ემპირიული ბუნების მტკიცებას. ეს აზრი იმდენად უდავოა, რომ იგი სპეციალურ დასაბუთებას არც კი საჭიროებს.

არიან ისეთი მოაზროვნეებიც, რომელთაც ერთგვარად შემრიგებლური პოზიცია უჭირავთ ამ ორ უკიდურეს თვალსაზრისს შორის. ისინი ფიქრობენ, რომ არაეკვიდურმა გეომეტრიამ არც უარყო და არც დაადასტურა კანტიანე თეორია მათემატიკის შესახებ. არამედ ისინი სხვადასხვა საკითხებს ეხებიან. მაგ., საბჭოთა მათემატიკოსი ს. ბოგომოლოვი წერდა: „ლობაჩევსკის გეომეტრია არ უარყოფს კანტის მოძღვრებას სივრცეზე, როგორც გარეგანი მგრძნობელობის აპრიორული ფორმის შესახებ; იგი მხოლოდ ისეთ საკითხებს სვამს, რომლებიც ნამდვილად არ ყოფილა დასმული კრიტიკული ფილოსოფიის შემოქმედის მიერ, ვინაიდან, მას სწამდა ეკვიდური გეომეტრიის ერთადერთი ჭეშმარიტობა და მისი აუცილებლობა გარეგანი სამყაროს ასახსნელად“⁴.

¹ L. Nelson, Kant und die Nicht-Euklidische Geometrie. „Das Weltall“, 1906, H. 12, 83-193.

² Schleier, Inwieweit werden die Kantsche Ansichten von Raume durch die moderne mathematische Forschung bestätigt? „Zeitschrift für positivistische Philosophie“, 1914, Bd. II, H. 2, 83-137.

³ W. Meinecke, Die Bedeutung der Nicht-Euklidischen Geometrie in ihren Verhältnis zu Kants Theorie der mathematischen Erkenntnis, „Kants tudien“, 1906, XI, 83-232.

⁴ С. Богомолов, Вопросы обоснования геометрии, ч 1, 1913, 83-23.



მრავალი გეომეტრიული სისტემის აღმოჩენის თვითონ ფაქტიც კი იმაზე მეტყველებს, რომ მცდარი გამოდგა კანტის ვარაუდი ევკლიდური გეომეტრიის ერთადერთობის, მისი აბსოლუტური მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, კანტის ეს დასკვნა დაფუძნებული იყო გეომეტრიული დებულებების აპრიორული ხასიათის დამყარებაზე. აქედან გამომდინარეობს, რომ ევკლიდური გეომეტრიის წარმოშობამ უარყო აგრეთვე კანტის თვალსაზრისი გეომეტრიული პრინციპების აპრიორულობის შესახებ. გეომეტრიის, როგორც ემპირიული მეცნიერების, გაგება დაიწყო ლობაჩევსკის, პელჰოლცის, რიმანისა და პაშის გამოკვლევებიდან. ცნობილ სტატიაში „გეომეტრიული აქსიომების წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ“ პელჰოლცმა არაევკლიდური გეომეტრიის საფუძველზე მეტიც უარყო კანტის აპრიორიზმი გეომეტრიის გაგების საკითხში და აჩვენა, რომ არაევკლიდური გეომეტრიის აღმოჩენა კანტის სივრცის თეორიის მარცხი იყო. პელჰოლცის შემდეგ ამ თვალსაზრისმა, გარდა მცირეოდენი გამოხატვისებისა, ფართო აღიარება მოიპოვა. როგორც ერთგან რაიხენბახი¹ შენიშნავს, არაევკლიდური გეომეტრიის აღმოჩენის შემდეგ გეომეტრიის კანონები, რომლებიც ორი ათასი წლის მანძილზე გონების კანონებად ითვლებოდნენ, ემპირიულ კანონებად იქნა მიჩნეული და აღიარებულ იქნა მათი გამოსადეგობა ჩვენს გარეშე არსებული სამყაროს მიმართ.

გეომეტრიის, როგორც ემპირიული მეცნიერების გაგებას არსებითი მნიშვნელობა აქვს რელატივიზმის თეორიისათვის. აინშტაინი ერთმანეთისაგან განასხვავებს გეომეტრიის ორგვარ მნიშვნელობას: გეომეტრია, როგორც წმინდა მათემატიკის ნაწილი, ანუ „წმინდა აქსიომატური გეომეტრია“ და პრაქტიკული გეომეტრია. „წმინდა გეომეტრია“, აინშტაინის მიხედვით, სინამდვილესთან საქმე არა აქვს. კიდევ მეტიც; რამდენად იგი სინამდვილეს ეხება, იმდენად მისი დებულებანი სწორი არაა, ხოლო რამდენადაც სწორია, იმდენად იგი სინამდვილეს არ ეხება. მაგრამ ფიზიკური სამყაროს აღწერისათვის, აინშტაინის აზრით, მთავარი მნიშვნელობა აქვს „პრაქტიკული გეომეტრია“, როგორც მეცნიერებას ფიზიკური სამყაროს მეტრიკული თვისებების შესახებ. ამდენად იგი ემპირიული მეცნიერებაა და მისი შედეგები გრძობადი დაკვირვების საფუძველზე დგინდება. თუ გეომეტრია არ არის ემპირიული მეცნიერება, ე. ი. არ არის დაკავშირებული მატერიალურ სინამდვილესთან, მაშინ შეუძლებელი გახდება მისი გამოყენება ფიზიკაში. მას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა ფიზიკისათვის, „ჩვენი მიზნებისათვის—წერს აინშტაინი—აუცილებელია გეომეტრიის ძირითადი ცნებები დავუკავშიროთ ბუნების ობიექტებს. ასეთი კავშირის გარეშე გეომეტრიას არა აქვს არავითარი ღირებულება ფიზიკისათვის“².

მაგრამ ემპირიული ხასიათი აქვს არა ცალკე აღებულ გეომეტრიას, არამედ გეომეტრიას ფიზიკასთან კავშირში; გეომეტრია + ფიზიკა არის ემპირიული მეცნიერება. ამგვარად გაგებული გეომეტრია ფიზიკური მეცნიერებაა, ფიზიკის ტოტია, მისი ერთ-ერთი თავია. აინშტაინი წერს: „ჩვენ შეგვიძლია იგი (გეომეტრია. ს. ა.) განვიხილოთ როგორც ფიზიკის ყველაზე ძველი ტოტი. მისი

¹ H. Reichenbach. The Philosophical Significance of the Theory of Relativity, თბ. კრ. „Readings in Philosophy of Science“, 1953, გვ. 72.
² А. Эйнштейн, Сущность теории относительности, გვ. 13.

მტკიცებანი დაფუძნებული არიან არა მხოლოდ ლოგიკურ დასკვნებზე, არამედ ინდუქციებზეც, რომელიც ცდიდან ამოდის და ამასთანავე არსებითად¹. აინშტაინი იქვე შენიშნავს, რომ გეომეტრიის ამ ემპირისტული გაგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა რელატივიზმის თეორიის შექმნა. „მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ გეომეტრიის ამ გაგებას,—წერს იგი,—რომლის გარეშე მე ვერ მოვახერხებდი რელატივიზმის თეორიის შექმნას“².

ემპირიული-ხასიათი აქვს, რელატივიზმის თეორიის მიხედვით, არა მხოლოდ არაეკლიდურ გეომეტრიას, არამედ გეომეტრიას საერთოდ. აინშტაინი „საბედისწერო შეცდომად“ თვლის ევკლიდური გეომეტრიის გამოცხადებას აბრიორულ მეცნიერებად და იმის მტკიცებას კანტის მიერ, რომ თითქოს აზროვნება მოითხოვდეს ევკლიდურ გეომეტრიას. „საბედისწერო შეცდომა იყო ის, რომ თითქოს ევკლიდური გეომეტრიისა და შესაბამის სივრცით ცნებებში იმყოფება აზროვნების აუცილებლობა, რომელიც ყოველგვარ ცდას წინ უსწრებს; ეს საბედისწერო შეცდომა არის ევკლიდეს გეომეტრიის აქსიომატური აგებულების ემპირიული ბაზისის დავიწყების შედეგი“³. აქსიომები, რომელზედაც აგებულია ევკლიდური გეომეტრია, ემპირიული წარმოშობისაა. ამიტომ თვითონ ევკლიდური გეომეტრიაც ემპირიულ მეცნიერებას წარმოადგენს. „ევკლიდური გეომეტრია—დასკვნის აინშტაინი—არის ფიზიკური მეცნიერება, რომელიც გრძობადი ცდით შემოწმებას ექვემდებარება“⁴. პრინციპულად შესაძლებელია ყველა გეომეტრიული მტკიცების ემპირიული შემოწმება. „ევკლიდური გეომეტრიის ყველა ლოგიკურად დამტკიცებული დებულება შეიძლება აგრეთვე ნამდვილი ექსპერიმენტითაც დადასტურდეს“⁵.

ამრიგად, არაევკლიდური გეომეტრიისა და აინშტაინის რელატივიზმის თეორიის შექმნამ უარყო კანტის შეხედულება გეომეტრიული დებულებების აბრიორული ხასიათის შესახებ და დაამტკიცა, რომ გეომეტრია არის ემპირიული მეცნიერება. ვინაიდან გეომეტრია ემპირიული მეცნიერებაა და მისი კანონები წინასწარ არ არის გონებაში მოცემული, ამიტომ სრულიად დასაშვებია ახალი გეომეტრიული სისტემების აღმოჩენის შესაძლებლობა ცდისა და საერთოდ ემპირიული კვლევა-ძიების საფუძველზე. არაევკლიდური გეომეტრიის აღმოჩენა სწორედ ასეთი შესაძლებლობის რეალური განხორციელება იყო.

არაევკლიდური გეომეტრიის აღმოჩენამ დადასტურა, რომ ევკლიდური გეომეტრია ერთ-ერთი გეომეტრიული სისტემაა და არა ერთადერთი. ახლა ისმება კითხვა: ევკლიდური გეომეტრია ხომ არ არის პრივილეგირებული გეომეტრია, ხომ არა აქვს მას რაიმე უპირატესობა სხვა ტიპის გეომეტრიების მიმართ? კანტის ფილოსოფიიდან გამომდინარეობს და კანტიანელთა უმრავლესობაც იმ აზრს იცავს, რომ ევკლიდური გეომეტრია პრივილეგირებულია სხვა ტიპის გეომეტრიული სისტემების მიმართ. ამგვარი თვალსაზრისი ღრმა შეც-

¹ А. Эйнштейн, Геометрия и опыт, 1923, гл. 10.

² იქვე.

³ А. Эйнштейн, Физика и реальность, „Под знаменем марксизма“, 1937.

№ 11—12, гл. 115.

⁴ იქვე.

⁵ А. Эйнштейн и Л. Инфельд, Эволюция физики, 1956, гл. 219

დომია. სანიმუშოდ განვიხილოთ რამდენიმე საბუთი, რომლითაც ევკლიდური გეომეტრიის პრივილეგირებული ხასიათის დამტკიცებას ცდილობენ.

ზოგჯერ ამბობენ, რომ ევკლიდური გეომეტრია უფრო მარტივია, ვიდრე არაევკლიდური გეომეტრია, სწორედ ამიტომ მას უპირატესობა აქვს არაევკლიდური გეომეტრიების მიმართ. ევკლიდური გეომეტრია მართლაც უფრო მარტივია, ვიდრე არაევკლიდური გეომეტრია, მაგრამ ეს არაფერს არ ლაპარაკობს ევკლიდური გეომეტრიის უპირატესობის სასარგებლოდ შემეცნების თვალსაზრისით. სიმარტივე და ჭეშმარიტება სხვადასხვა ცნებებია; რაიმეს სიმარტივე არ ნიშნავს იმას, რომ იგი უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ის, რაც მარტივი არ არის. სწორი ხაზი უფრო მარტივია, ვიდრე წრეხაზი, სამკუთხედი და ა. შ. მაგრამ შეუძლებელია ლაპარაკი სწორი ხაზის „მეტ ჭეშმარიტებაზე“ სხვა გეომეტრიული ნაკვთების მიმართ.

გარდა ამისა, ევკლიდური გეომეტრიის სიმარტივე ფსიქოლოგიური ბუნებისა და არა ლოგიკური. ევკლიდური გეომეტრია იმიტომ არის მარტივი, რომ ყოველდღიური აღქმის პროცესში ევკლიდური მიმართებანი გვეძლევა. ადამიანის შემეცნებელი აპარატი იმთავთვე მიჩვეულია ევკლიდურ მიმართებებს; ამიტომ საკვირველი არ არის, თუ იგი უფრო მარტივი გვეჩვენება, ვიდრე სხვა ტიპის გეომეტრიული მიმართებანი. ეს სიმარტივე ფსიქოლოგიური სიმარტივეა; ხოლო ლოგიკურად თვითონ სიმარტივის თვალსაზრისითაც კი სხვადასხვა გეომეტრიული სისტემები ტოლფასოვ ნია, ეკვივალენტურია.

ზოგჯერ ლაპარაკობენ აგრეთვე ევკლიდური გეომეტრიის „სიმარჯვის“ შესახებ ფიზიკური სივრცის აღწერისათვის და ამაში ზედავენ ამ გეომეტრიის უპირატესობას. ამის წინააღმდეგაც იგივე უნდა ითქვას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ: შესაძლებელია ევკლიდური გეომეტრია მართლაც უფრო მარტივი და ამიტომ უფრო მარჯვე იყოს, ვიდრე სხვა გეომეტრიები, მაგრამ ეს უპირატესობა გნოსეოლოგიურ მნიშვნელობას მოკლებულია. „უფრო მარჯვე“ არ ნიშნავს ყოველთვის „უფრო ჭეშმარიტს“.

მთავარი არგუმენტი, რომელსაც პრივილეგირებულ გეომეტრიის დამცველები აყენებენ, ეხება ინტუიციის როლს გეომეტრიაში. ისინი ამტკიცებენ, რომ ევკლიდური გეომეტრია ინტუიციური ხასიათისაა, ამიტომ მისი ჭეშმარიტებაც ინტუიციურად ცხადია, ხოლო არაევკლიდური გეომეტრია კი არ არის ინტუიციური, არ არის თვალსაჩინო.

აქაც უნდა ითქვას, რომ რომელიმე დებულების ინტუიციური ხასიათი არაფერს არ ამტკიცებს ამ დებულების ჭეშმარიტების შესახებ. სიცხადე ფსიქოლოგიური მომენტია. შესაძლებელია რომელიმე აზრი ფსიქოლოგიურად ცხადი და ჭეშმარიტი გვეჩვენებოდეს, მაგრამ იგი სინამდვილეში ჭეშმარიტი არ იყოს. ასეთი ბუნებისაა ყველა შეცდომა. გარდა ამისა, ზოგჯერ ინტუიციური სიცხადე არა მარტო ჭეშმარიტების კრიტერიუმი არ არის, არამედ, პირიქით, თვითონ არის შეცდომის წყარო. მაგ., მათემატიკურად გაუნათლებელ ადამიანს რომ ჰკითხოთ შესაძლებელია თუ არა ცალგვერდა ზედაპირის არსებობა, იგი უარყოფითად გიპასუხებთ, მაგრამ ტოპოლოგიიდან ცნობილია, რომ ასეთი რამ შესაძლებელია არსებობდეს. ამრიგად, ის გარემოება, რომ ევკლიდური გეომეტრია ინტუიციურად ჭეშმარიტი გვეჩვენება, ხოლო არაევკლიდურ გეომეტრიის ინტუიციური ხასიათი არა აქვს, არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ეს

უკანასკნელი ნაკლებად ჰემმარიტია, ვიდრე ევკლიდური გეომეტრია. სწორედ ამიტომ ინტუიციის ცნების საფუძველზე ევკლიდური გეომეტრიის პრივილეგირებული ხასიათი არ დასაბუთდება.

ისიც ცნობილია, რომ თვითონ ევკლიდური გეომეტრიაც კი არ არის მთლიანად თვალსაჩინო. ევკლიდურ გეომეტრიაში ინტუიციურია მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარული და არა ყველა ფიგურები და აგებანი. მაგ., მახვილი და ბლაგვი კუთხეების ერთმანეთისაგან განსხვავება თვალსაჩინოა, მაგრამ 90° -იან კუთხეს 89° ან 91° -იანი კუთხისაგან ინტუიციურად ვერ განვასხვავებთ. ასევე შესაძლებელია სამკუთხედის, კვადრატის, ხუთკუთხედის წარმოდგენა, მაგრამ ასკუთხედს უკვე ვეღარ წარმოვიდგენთ და მით უმეტეს ვერ განვასხვავებთ მას ასერთ კუთხედისაგან. ამრიგად რთული გეომეტრიული ფიგურები თვითონ ევკლიდურ გეომეტრიაში კი ინტუიციურ ხასიათს მოკლებულია.

მკვლევართა შორის დავა არსებობს ინტუიციის როლის შესახებ არაევკლიდურ გეომეტრიაში. ბევრი მათემატიკოსი ფიქრობს, რომ არაევკლიდური გეომეტრია ისევე ინტუიციური ბუნებისაა, როგორც ევკლიდური; მაგრამ თუკი ჩვენ მაინც არ შეგვიძლია არაევკლიდური გეომეტრიის ისე ნათლად წარმოდგენა, როგორც ევკლიდური გეომეტრიისა, ეს, ამ მკვლევარების აზრით, იმით აიხსნება, რომ ჩვენ მიჩვეული ვართ ევკლიდური გეომეტრიის მიმართებებს, ხოლო ევკლიდური გეომეტრიის დეფინიციებით არაევკლიდური გეომეტრიის თვალსაჩინოდ წარმოდგენა შეუძლებელია.

რაიხენბახი ცდილობდა ეპოვნა არაევკლიდური გეომეტრიის გათვალსაჩინოების მეთოდი. იგი ამტკიცებდა, რომ თუ შევცვლით ევკლიდური გეომეტრიის ტოლობის დეფინიციას არაევკლიდური გეომეტრიის ტოლობის დეფინიციით, მაშინ არაევკლიდური გეომეტრია ისევე ინტუიციური გახდება, როგორც ინტუიციურია ევკლიდური გეომეტრია¹. ევკლიდური გეომეტრიის უპირატესობაზე მხოლოდ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენად იგი გათვალსაჩინოების ხელსაწყო მეთოდის შემოტანას არ საჭიროებს, ვინაიდან მიჩვევის შედეგად ევკლიდური გეომეტრიის მიმართებებს თვალსაჩინოდ წარმოვიდგენთ. სხვა მხრივ კი ევკლიდურსა და არაევკლიდურ გეომეტრიებს ეკვივალენტური ღირებულება აქვთ.

ამ მრავალი გეომეტრიული სისტემებიდან თუ რომელი შეესაბამება ფიზიკურ სივრცეს, ეს საკითხი ისევ ემპირიული გზით (ცდით) წყდება. ფიზიკა ემპირიული დაკვირვებების საფუძველზე ირჩევს იმ გეომეტრიას, რომელიც უფრო შეესაბამება რეალურ სივრცეს. სინამდვილის იმ სფეროსათვის, რომელსაც კლასიკური ფიზიკა სწავლობს, ევკლიდური გეომეტრია სრულიად საკმარისია, ხოლო

¹ იხ. ს. ავალიანი, ჰანს რაიხენბახის ფილოსოფია (კრიტიკული ანალიზი), 1961, გვ. 81—86.

„რელატივისტურ ფიზიკას კი არ შეუძლია ევკლიდურ გეომეტრიას დაემყაროს“¹. მისთვის აუცილებელია არაევკლიდური გეომეტრიის გამოყენება.

ამრიგად, მეცნიერების განვითარება კანტის დოგმატიზმის წინააღმდეგ წავიდა. აღმოჩნდა, რომ ევკლიდური გეომეტრია არ არის ერთადერთი შესაძლებელი, აბსოლუტური მნიშვნელობის მქონე გეომეტრიული სისტემა, რომელსაც თითქოს ჩვენი აზროვნება მოითხოვს. გეომეტრია არ არის აპრიორული მეცნიერება, არამედ ემპირიული. „იგი—წერს აინშტაინი კანტის შესახებ— ცთუნებულ იქნა იმ მცდარი შეხედულებებით, რომლის თავიდან აცილება მის დროს ძნელი იყო; სახელდობრ იმით, რომ ევკლიდური გეომეტრია აუცილებელია აზროვნების კანონების თვალსაზრისით და იძლევა საიმედო (ე. ი. გრძნობადი ცდისაგან დამოუკიდებელ) ცოდნას „გარეგანი“ შეგრძნებების საგნების შესახებ“². ევკლიდური გეომეტრია ერთ-ერთი გეომეტრიული მეცნიერებაა და არა ერთადერთი. ყველა გეომეტრიული სისტემა ეკვივალენტურია და არც ერთ მათგანს პრივილეგირებული მნიშვნელობა არა აქვს. თუკი კანტი კლასიკური აზროვნების ფორმებს—ნიუტონის მექანიკასა და ევკლიდეს გეომეტრიას—აბსოლუტურ მნიშვნელობას ანიჭებდა, აინშტაინის რელატივიზმის თეორიაში კი მათ მხოლოდ და მხოლოდ რელატიური ხასიათი აქვთ.

4. აინშტაინის რელატივიზმის თეორიის დამოკიდებულება კანტის აპრიორიზმთან. კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ორგვარ ცოდნას: ემპირიულსა და აპრიორულს. იგი ემპირიულს უწოდებდა ისეთ ცოდნას, რომელიც ცდის საფუძველზეა შედგენილი; აპრიორული კი ეწოდება ისეთ ცოდნას, რომელიც „ცდისგან და ყოველგვარი გრძნობადი შთაბეჭდილებებისაგან დამოუკიდებელია“³. მაგრამ ცნება „აპრიორული“ არ ნიშნავს ამა თუ იმ ცდისაგან დამოუკიდებელ ცოდნას. მაგ., აღდამიანმა შეიძლება ცდამდე იცოდეს, რომ სახლს თუ საძირკველს გამოვაცლით, იგი დაინგრევა. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი აპრიორული ცოდნა, ვინაიდან იგი საბოლოო ჯამში მაინც ცდიდანაა მიღებული. სწორედ ამიტომ კანტი აზუსტებს მის მიერ აპრიორის ცნების გაგებას და წერს, რომ „აპრიორი“ ნიშნავს ისეთ ცოდნას, რომელიც „უპირობოდ დამოუკიდებელია ყოველგვარი და არა მხოლოდ ამა თუ იმ ცდისაგან“. წმინდა აპრიორული ცოდნა ეწოდება იმას, „რომელშიც სრულიად არ არის შერეული რაიმე ემპირიული“⁴.

მთელი ჩვენი ცოდნა, ამტკიცებს კანტი, ცდიდან იწყება, მაგრამ მთლიანად ცდიდან როდი წარმოიშობა. თვითონ აბსტრაქტიორული ცოდნა მოითხოვს, როგორც თავის საფუძველს, აპრიორული პრინციპების არსებობას. აბსტრაქტიორული, ე. ი. ცდისეული ცოდნა საიდან მიიღებდა თავის უტყუარობას, თუკი ყველა წესი, რომელთაც ცდა მისდევს, ისევ ცდისგან იყოს წარმომდგარი? ცდაში აუცილებლობა არ გვეძლევა; ამიტომ თვითონ ის გარემოებაც, რომ ჩვენს ცოდნას აუცილებლობისა და საყოველთაობის ნიშნები ახასიათებს, მიუ-

¹ А. Эйнштейн и Л. Инфельд, Эволюция физики, гл. 219.

² А. Эйнштейн, Ответ на критику, сб. кр. „Философские вопросы современной физики“, 1959, гл. 237-238.

³ I. Kant, Kritik der reinen Vernunft, гл. 31.

⁴ იქვე, гл. 32.

თითებს მისი აპრიორული პრინციპების არსებობაზე, ვინაიდან აუცილებლობა და მკაცრი საყოველთაობა აპრიორული ცოდნის საიმედო ნიშნებს წარმოადგენს.

გარდა აპრიორულობისა და აპოსტერიორულობისა, ცოდნას ახასიათებს აგრეთვე ანალიზურობისა და სინთეზურობის ნიშნებიც. მსჯელობა ანალიზურია, თუკი სუბიექტი გულისხმობს პრედიკატს, ხოლო სინთეზურია, თუკი მსჯელობის პრედიკატი არ შედის სუბიექტში. ანალიზური მსჯელობა ამხსნელია და არა ცოდნის ვამფართოებელი; სინთეზური მსჯელობა კი ჩვენს ცოდნას აფართოებს, ვინაიდან სუბიექტს მიეწერება ის, რაც მასში არ იგულისხმება, რაც მისგან განსხვავებულია. შემეცნება სწორედ ცოდნის გაფართოებას ნიშნავს; სწორედ ამიტომ სინთეზურობის პრობლემა მთელი შემეცნების თეორიის უძირითადესი და ურთულესი პრობლემაა.

თავისთავად იგულისხმება, რომ ყველა აპოსტერიორული (ემპირიული) მსჯელობა სინთეზურია; ხოლო ანალიზური მსჯელობების წარმოებისათვის ცდა სრულიად ზედმეტია, ვინაიდან იგი სწორედ ანალიზურია. ამავე დროს ჰუმბოლტი შემეცნება აპრიორული შემეცნებაა, რომელიც აუცილებლობისა და საყოველთაობის ნიშნებით ხასიათდება. ამიტომ შემეცნების თეორიის უძინდესი პრობლემა, კანტის მიხედვით, შეიძლება ასე გამოითქვას: როგორ არის შესაძლებელი სინთეზური მსჯელობა a priori? სხვაგვარად ეს ნიშნავს საკითხის დასმას იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი თვითონ შემეცნება. ამავე დროს აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობას კანტი ფაქტად თვლიდა და საკითხს ამ ფაქტის მარტოოდენ ახსნის შესახებ სვამდა.

სინთეზურია, კანტის მიხედვით, ყველა მათემატიკური მსჯელობა. მაგ., დებულება $7+5=12$ არ არის ანალიზური მსჯელობა, ვინაიდან რაც არ უნდა ღრმად გავანალიზოთ შეიძლება და ხუთის ჯამი, თორმეტის ცნებას მიიხედვით მივიღებთ. ასევე ითქმის ყველა სხვა შემთხვევაშიც. დებულება „ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი არის სწორი ხაზი“ სინთეზური დებულებაა. სწორი ხაზის ცნებიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს ის, რომ იგი ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილია. ამავე დროს მათემატიკა, ამტკიცებს კანტი, აპრიორული მეცნიერებაა. სივრცეს რომ სამი განზომილება აქვს, ეს არც ემპირიულად დგინდება და არც ემპირიული მსჯელობებიდან გამომდინარეობს; იგი აპრიორული დებულებაა. „გეომეტრია არის მეცნიერება, რომელიც სივრცის თვისებებს განსაზღვრავს სინთეზურად და a priori“¹. მართალია მათემატიკაშიც გვხვდება ცალკეული ანალიზური მსჯელობები (მაგ., $a=a$; მთელი უღრის თავისთავს; მთელი მეტია ნაწილზე და ა. შ.) მაგრამ მათემატიკა მაინც აპრიორულ-სინთეზური მეცნიერებაა.

ასევე აპრიორულ-სინთეზური ხასიათი აქვს ფიზიკასაც. „ბუნებათმეცნიერება (ფიზიკა) თავისთავში შეიცავს აპრიორულ-სინთეზურ მსჯელობებს, როგორც პრინციპებს“². ამის საილუსტრაციოდ კანტი მოაქვს ასეთი ფიზიკური დებულებანი: სხეულებრივი სამყაროს ცვლილების დროს მატერიის რაოდენობა.

¹ I. Kant, Kritik der reinen Vernunft, გვ. 53.

² იქვე, გვ. 41.

უსვლედი რჩება; ქმედება და უკუქმედება ტოლია და ა. შ. ასეთია კანტის შეხედულება აპრიორულ-სინთეზური ცოდნის შესახებ.

ზემოთ ვაჩვენეთ რომ აინშტაინის რელატივიზმის თეორია უარყოფს კანტის თვალსაზრისის სივრცისა და დროის აპრიორობის შესახებ. აპრიორიზმის მარცხი სპეციალურ (სივრცისა და დროის) საკითხებში აინშტაინმა განაზოგადა და მივიდა აპრიორიზმის უარყოფამდე ადამიანის ცოდნის ყველა დარგში. იგი უარყოფს და შეცდომად თვლის კანტის მიერ ემპირიული და აპრიორული ცოდნის ერთმანეთისაგან განსხვავებას. „იუმმა—წერს აინშტაინი,—ნათლად გაიგო, რომ ზოგიერთი ცნება, მაგალითად, მიზეზობრიობის ცნება, არ შეიძლება ლოგიკურად იქნას გამოყვანილი ცდისეული მონაცემებიდან, კანტი, დარწმუნებული იმაში, რომ ზოგიერთი ცნებების გარეშე იოლად წასვლა არ შეიძლება. ამ ცნებებს მათ მიღებულ ფორმაში თვლიდა ყოველგვარი აზროვნების აუცილებელ წინაპირობებად და მათ განასხვავებდა ემპირიული წარმოშობის ცნებებისაგან. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს განსხვავება მცდარია და არ მოიცავს ამოცანას ბუნებრივად“¹.

არსებითად, ამტკიცებს აინშტაინი, ის ცნებები, რომელთაც კანტი აპრიორულს უწოდებდა, ცდიდან წარმოშობილია. კანტმა ზოგიერთი ფუნდამენტალური ცნება ცდის სფეროდან აიღო და აპრიორობის მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა². ამრიგად „აპრიორულ“ ცნებებს ემპირიული წარმოშობა აქვთ, ანუ ისეთი აპრიორული ცნებები, რომელთაც კანტი ვარაუდობდა, არ არსებობს. სხვა ადგილზე აინშტაინი წერს: „ცნებები მიეკუთვნებიან გრძნობად ცდას, მაგრამ ისინი ცდიდან არ გამომდინარეობენ ლოგიკური გზით. ამიტომ მე არასოდეს არ შემოძლია გავიგო საკითხი ცნებათა a priori წარმოშობის შესახებ კანტის შეხედულების მიხედვით“³.

მაშასადამე, აპრიორული ცოდნა, ამტკიცებს აინშტაინი, თავისი წარმოშობით არსებითად ისევ ემპირიული ცოდნაა. ამიტომ იგი უარყოფს პრინციპული განსხვავების არსებობას აპრიორულსა და აპოსტერიორულ ცოდნას შორის.

რაიხენბახი აპრიორის ცნების კანტისეულ გაგებას დაცინვით უწოდებდა „ჯანსაღი აზრის წმინდანად შერაცხვას“ (Heiligsprechung des gesunden Menschenverstandes)⁴. აინშტაინიც, რაიხენბახის მსგავსად, აპრიორულ ცოდნას თვლიდა იმის აყვანად „აპრიორობის მიუწვდომელ სიმაღლეზე“, რაც თავისი ბუნებით ემპირიულია. აქვე აღვნიშნავთ, რომ აინშტაინიც და რაიხენბახიც უარყოფდნენ აპრიორის ცნების კანტისეულ გაგებას, მაგრამ არ უარყოფდნენ აპრიორული ცოდნის არსებობას საერთოდ. „აპრიორული“, მათი აზრით, ნიშნავს ცდამდე არსებულს, მაგრამ არა ცდისაგან დამოუკიდებელს. აპრიორის ცნების ამგვარი გაგება, ცხადია, კანტისათვის პრინციპულად მიუღებელია.

აინშტაინი უარყოფს კანტის შეხედულებას მათემატიკისა და ფიზიკის აპრიორული ხასიათის შესახებ. გაიგო რა გეომეტრია ფიზიკის ნაწილად, ამით მან

¹ А. Эйнштейн, Творческая автобиография. წიგნში „Эйнштейн и совр. физика“, 1956, гл. 32—33

² А. Эйнштейн, Сущность теории относительности, гл. 8.

³ А. Einstein, Mein Weltbild, 1934, гл. 231.

⁴ H. Reichenbach, Relativitätstheorie und Erkenntnis a priori, 1920 гл. 70.

იგი შტკიცედ დაუკავშირა ცდას, ექსპერიმენტს და უარყო ფიზიკური გეომეტრიის დებულებათა აპრიორული წარმოშობა. მეორე მხრივ აინშტაინი მტკიცედ ებრძვის ფიზიკის გამოცხადებას აპრიორულ მეცნიერებად. კანტის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებს, რომ „ფიზიკური რეალობის ელემენტები შეუძლებელია განსაზღვრულ იქნას აპრიორული ფილოსოფიური მსჯელობების საშუალებით. ისინი ნაპოვნი უნდა იქნას ექსპერიმენტებისა და გაზომვების საფუძველზე“¹.

აპრიორიზმთან ერთად აინშტაინი უარყოფს აგრეთვე აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობასაც. კანტის დასკვნა აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების არსებობის შესახებ, აინშტაინის აზრით, ემყარებოდა მის რწმენას იმის შესახებ, რომ თითქოს აზროვნების თვალსაზრისით ევკლიდური გეომეტრია აუცილებელია და ერთადერთ შესაძლებელ გეომეტრიას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის მარცხი ნიშნავდა კანტის იმ შეხედულების მარცხსაც, რომელიც აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობას ამტკიცებდა. —იგი (კანტი. ს. ა.)—წყება აინშტაინი—ცთუნებულ იყო იმ მცდარი შეხედულებით... რომ ევკლიდური გეომეტრია აუცილებელია აზროვნების კანონების თვალსაზრისით და იგი გვაძლევს საიმედო (ე. ი. გრძნობადი ცდისაგან დამოუკიდებელ) ცოდნას „გარეგანი“ შეგარძნებების საგნების შესახებ. ამ მცდარი დასკვნიდან, რომელიც ადვილი გასაგებია, მან გააყეთა დასკვნა აპრიორულ-სინთეზური მსჯელობების არსებობის შესახებ, რომელთაც ერთადერთს აქვთ ჯანსაღი აზრი და რომელთაც შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეთ უპირობო სავალიდებულობისა“².

რაიხენბახიც, აინშტაინის მსგავსად, ებრძოდა კანტის აპრიორიზმს. მათემატიკური გეომეტრია, ანუ ის, რასაც აინშტაინი „წმინდა გეომეტრია“ უწოდებდა, რაიხენბახის აზრით, ანალიზური და აპრიორული მეცნიერებაა; როდესაც გეომეტრია ფიზიკურ სამყაროს მიუდგება და მის აღწერას დაიწყებს, მაშინ იგი უკვე აღარ არის აპრიორული, არამედ ემპირიული. „არ არსებობს არავითარი სინთეზურ-აპრიორული გეომეტრია“. გეომეტრია ან აპრიორულია და მაშინ იგი არის მათემატიკური და ანალიზური გეომეტრია და ან იგი სინთეზური გეომეტრიაა და მაშინ იგი არის ფიზიკური და ემპირიული მეცნიერება. „გეომეტრიის ევოლუცია—დაასკვნის რაიხენბახი—თავის მწვერვალს სინთეზურ a priori -ის დეზინტეგრაციაში აღწევს“³.

სხვა ნაშრომში რაიხენბახი ამტკიცებს, რომ თანამედროვე ეპოქაში საკითხი, თუ რომელი გეომეტრია შეესაბამება ფიზიკურ სივრცეს, ემპირიული საკითხი გახდა და იგი ცდის მონაცემებით წყდება. მეცნიერების განვითარებამ უარყო კანტის მტკიცება აპრიორულ-სინთეზური პრინციპების შესაძლებლობის შესახებ, ყოველ შემთხვევაში გეომეტრიისა და ფიზიკის სფეროში მაინც. ამ მეცნიერებათა კანონები აპოსტერიორულია და ცდით მოწმდება. აპრიორულ-სინთეზურის დაშლა, დაასკვნის იგი, ჩვენი ეპოქის ფილოსოფიური განვითარების უმნიშვნელოვანესი შედეგია⁴.

¹ „Успехи физических наук“, 1936, IV, т. XVI, стр. 441.

² კრებული, „Философские вопросы современной физики“, стр. 237—238.

³ H. Reichenbach. The Rise of Scientific Philosophy, 1954, стр. 140.

⁴ კრებული „Readings in Philosophy of Science, 1953, стр. 72—73.

აინშტაინი სრულიად თანაუგრძნობდა რაიხენბახის ამ თვალსაზრისს; მაგრამ ამასთანავე იგი რაიხენბახს შენიშნავდა, რომ მისი კრიტიკა იმდენად არ ეკუთვნის კანტს, რომლის დროს ასეთი შეცდომის ჩადენა კიდევ გამართლებული იყო, რამდენადაც ნეოკანტიანელებს, რომლებიც, თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენების მიუხედავად, ჯიუტად დგანან კვლავ აბრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესაძლებლობის თვალსაზრისზე. „შენი კიცხვა—წერს აინშტაინი რაიხენბახის მისამართით—ეხება არა იმდენად თვითონ კანტს, რამდენადაც იმათ, ვინც დღესაც კი ჩასკიდებია შეცდომას აბრიორულ-სინთეზური მსჯელობების შესახებ“¹. ამ პუნქტში აინშტაინი უპირისპირდება არა მხოლოდ კანტისა და ნეოკანტიანელების თვალსაზრისს, არამედ პუანკარეს შეხედულებასაც გეომეტრიული დებულებების შესახებ. პუანკარე თვლიდა, რომ გეომეტრიული დებულებანი არც აბრიორულ-სინთეზურია და არც ემპირიული. გეომეტრია რომ ემპირიული მეცნიერება იყოს, მაშინ, პუანკარეს მიხედვით, იგი არ იქნებოდა ზუსტი მეცნიერება და საჭირო გახდებოდა მისი შემოწმება. გეომეტრიული დებულებანი პირობითი დებულებანია, კონვენციებია. აქედან პუანკარე დასკვნისდა, რომ აზრი არა აქვს მტკიცებას გეომეტრიაში ჭეშმარიტების არსებობის შესახებ. სხვადასხვა გეომეტრიები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა ჭეშმარიტების მიხედვით, არამედ სიმარჯვის მიხედვით. გეომეტრიული დებულებანი მარჯვე დეფინიციებია და სხვა არაფერი. ამ შეხედულებებისაგან განსხვავებით, აინშტაინი ფიქრობს, რომ გეომეტრიულ დებულებებს ემპირიული ხასიათი აქვთ.

აინშტაინი არ უარყოფს კანტის დამსახურებას საერთოდ აზროვნების ისტორიაში. პირიქით, იგი ბევრ შემთხვევაში იცავს კანტს პოზიტივისტების, მაგალითად, რაიხენბახის თავდასხმისაგან. „მე აგრეთვე მგონია —წერს იგი რაიხენბახის მისამართით,—რომ შენ სათანადოს არ მიუზღავ კანტს ნამდვილად მნიშვნელოვან ფილოსოფიურ დამსახურებას“. კანტის ფილოსოფიურ დამსახურებას აინშტაინი ამ შემთხვევაში იმაში ხედავს, რომ „კანტმა, იუმის წყალობით, შეიგნო, რომ არსებობენ ისეთი ცნებები (მაგ., მიზეზობრივი კავშირი), რომლებიც ჩვენს აზროვნებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობენ და რომლებიც, თუმცა, არ შეიძლება მიღებულ იქნან ლოგიკურად ემპირიული მონაცემებიდან“². ასეთი ცნებები, აინშტაინის აზრით, ლოგიკურად მართლაც წინ უსწრებს საგანთა მოაზრებას, მაგრამ რეალურად კი ისინი მინც წარმოშობილია ემპირიული მონაცემების საფუძველზე.

აინშტაინი ანალოგიურ აზრს ატარებს კატეგორიებისა და საერთოდ ყველა ცნების შესახებ. „ისინი (კატეგორიები. ს. ა.)—წერს აინშტაინი — „აბრიორული“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც აზროვნება კატეგორიებისა და საერთოდ ცნებების დადგენის გარეშე ისევე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც ვაკუუმში სუნთქვა“³. სხვა მხრივ კი კატეგორიები და ცნებები თავიანთი წარმოშობით ემპირიული ბუნებისაა.

¹ А. Эйнштейн, Ответ на критику. წიგნი. „Философские вопросы современной физики,“ გვ. 237—238.
² იქვე, გვ. 237.
³ იქვე, გვ. 233.

ზოგ შემთხვევაში აინშტაინი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს კანტის ფილოსოფიას, რასაც აინშტაინი შეცდომებამდე მიჰყავს. მაგალითად, ერთგან აინშტაინი წერს: „მე არ ვყოფილვარ აღზრდილი კანტის ტრადიციებზე და საკმაოდ გვიან მივედი იმ ნამდვილად ღირებულის გაგებამდე, რაც მის მოძღვრებაშია—ეხლა უკვე აშკარა შეცდომების გვერდით. იგი (კანტის მოძღვრების „ნამდვილად ღირებული“ მომენტი. ს. ა.) გამოიხატება წინადადებაში: „რეალური ჩვენ არა გვაქვს მოცემული, არამედ გამოცნობილი (გამოცანის სახით)“. ეს ნიშნავს კიდევ: ინტერპერსონალურის მოცვისათვის არსებობს კონცეპტუალური კონსტრუქცია, რომლის ძალია მხოლოდ და მხოლოდ მტკიცებაში მდგომარეობს. ეს აბსტრაქტული კონსტრუქცია მიეკუთვნება სწორედ რეალურს (განსაზღვრების მიხედვით) და ყოველგვარი შემდგომი კითხვები „რეალურის ბუნების“ შესახებ აშკარად უაზროა“¹. მაგრამ კანტის ამგვარი გადაჭარბებული შეფასება და მისგან მცდარი მსოფლმხედველობრივი დასკვნების გაკეთება აინშტაინის ფილოსოფიურ შეხედულებებში არსებითი არ არის. ძირითადად აინშტაინი უარყოფდა კანტის ფილოსოფიის ყველა საფუძველდებულებას და, რაც მთავარია, უარყოფდა მეცნიერების საფუძველზე. ხოლო ზემოაღნიშნული შეცდომები აინშტაინის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მერყეობის გამოხატულებაა და სხვა არაფერი.

ამრიგად, აინშტაინის რელატივიზმის თეორიამ უარყო კანტის სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის ყველა ძირითადი დებულება. კანტის ფილოსოფია საერთოდ და კერძოდ კი მისი სივრცისა და დროის თეორია კლასიკურ აზროვნებას ეკუთვნის, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება უბირისპირდება და უარყოფს. ამიტომ მტკიცება კანტისა და აინშტაინის სივრცისა და დროის თეორიების თავსებადობის შესახებ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

¹ А. Эйнштейн, Ответ на критику. წიგნში „Философские вопросы современной физики“, გვ. 239.

ჩვევის გადატანის ნიშნის საკითხისათვის

მ. შანიძე

1. ჩვევის გადატანის ცნების შესახებ. ჩვევის გადატანის ცნება, როგორც ჩვენი საუკუნის დამდეგიდან თანდათანობით მოიკიდა ფეხი ინგლისურ-ამერიკულ ფსიქოლოგიაში, წარმოდგენილია როგორც სინამდვილის საკმაოდ ვრცელი სფეროს ამსახველი ცნება. ჩვევის გადატანის (Transfer of habit)¹, ვარჯიშის (Training) გადატანის და სწავლის (Learning) გადატანის ქვეშ ერთი და იგივე შინაარსი იგულისხმება, რამდენადაც ვარჯიშში გავებულა როგორც ჩვევის შემუშავების აქტივობის ერთადერთი სახე, ხოლო სწავლა—როგორც ჩვევების (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) შემუშავება. ბუნებრივი ტერმინი „გადატანა“ (Transfer) ზუსტად ვერ გამოხატავს იმ შინაარსს, რომელსაც მასში დებენ², მაგრამ „გადატანა“ როგორც ხელოვნური ტერმინი ზუსტად განსაზღვრულ შინაარსს აღნიშნავს. ჩვევის გადატანის ქვეშ იგულისხმება ერთი დავალების შესრულებაზე (Task performance) გავარჯიშების გავლენით შემდგომი დავალების შესრულების ჩვევის შემუშავების ცვლილება: გადავიღება ან გაძნელება, რაც, უმთავრესად, ჩვევის შემუშავების სისწრაფით იზომება³. დავალება, როგორც ამ საკითხის მკვლევართა უდიდესი ნაწილი ფიქრობს, შეიძლება გულისხმობდეს როგორც მოტორულ, ისე პერცეპტულ ან ინტელექტუალურ (ამოცანის გადაწყვეტის) აქტივობას.

ერთმანეთისაგან გარჩეულია (იხ. მაკ-გიოჩი, იქვე) წმინდა გადატანა (Overt transfer), ე. ი. „ერთი და იგივე რეაქციის აქტუალური გადატანა ერთი აქტივობიდან მეორეზე“, და გადატანის ისეთი შემთხვევები, სადაც პირველი რეაქცია უშუალოდ არ ჩანს და თავს იჩენს მხოლოდ ე. წ. „გადატანის ეფექტში“. გადატანის ეფექტის ქვეშ იგულისხმება პირველი აქტივობის მიერ მეორე აქტივობის გაადვილება (ე. წ. გადატანის დადებითი ეფექტი) ან გაძნელება (ე. წ. გადატანის უარყოფითი ეფექტი).

ვუდვორთი გადატანის ეფექტის ნიშნის (დადებითი და უარყოფითი ეფექტები) გარდა მიუთითებს წმინდა გადატანის ნიშანზეც⁴. მიუხედავად იმისა, როგორი იქნება გადატანის ეფექტის ნიშანი—დადებითი თუ უარყოფითი

¹ აგრეთვე ჩვევის საკითხიერი სახის—მოტორული გაწაფვის (Skill) გადატანისა.

² როგორც მიუთითება ალპორტი (Allport, G., Personality, N. Y., 1937).

³ Mc Geoch, J., The psychology of human learning, N. Y., 1942, გვ. 34, სპეციალურად გახზომის მეთოდების შესახებ—განივ, ფოსტერი და კრალეი (Psychological Bulletin, 1948, vol. 45, № 1).

⁴ Вудвортс, Экспер. психол., М., 1950, გვ. 495—496.

(ე. ი. წინა აქტივობა ხელს შეუწყობს თუ ხელს შეუშლის მომდევნო აქტივობას),—გადატანის ნიშანი შეიძლება დადებითი იყოს ან უარყოფითი. გადატანის ნიშანი დადებითია, თუ რეაქცია თავის სახით გადადის, და უარყოფითია, თუ რამენაირად შებრუნებული სახით იჩენს თავს ახალი დავალების შესრულებისას (მაგ., თუ სუბიექტი გაიწაფა სწრაფ მოძრაობაში, სხვა დავალების შესრულებისას იგი შეიძლება აჩქარებდეს თავის მოძრაობებს—დადებითი გადატანა, ან ანელებდეს მათ—უარყოფითი გადატანა).

ვარჯიშის გადატანის ამ ცნებებს ხშირად სხვა ტერმინებით გამოხატავენ. ასოციაციური შეფერხების (მიუღერისა და შემანის ტერმინი) ანუ ჩვევათა ინტერფერენციის ტერმინები იგივეობრივია გადატანის უარყოფითი ეფექტის ტერმინებისა. ამასვე ნიშნავს პროაქტიული შეფერხება (Proactive inhibition), ხოლო პროაქტიული გაადვილება (Proactive facilitation) გადატანის დადებითი ეფექტის ეკვივალენტური ტერმინია, რეტროაქტიული შეფერხებისა და გაადვილების (Retroactive inhibition a. facilitation) მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც ამ ფაქტებს გადატანის თეორიით სხნის, აღიარებს, რომ აქაც გადატანის ეფექტის ცნებასთან გვაქვს საქმე, სახელდობრ—რეტროაქტიული შეფერხება არის უარყოფითი ეფექტი გადატანისა, რეტროაქტიული გაადვილება კი—დადებითი ეფექტი. გადატანის ამ ეფექტთა სპეციფიკურობა მხოლოდ იმაშია, რომ აქ საქმე ეხება არა ახალი დავალების შესრულებაზე გავლენას, არამედ ძველი დავალების განმეორებითს შესრულებაზე გავლენას¹.

რამდენადაც გადატანის ცნებით ასახულია პიროვნების მოქმედების ფაქტთა ვრცელი და მნიშვნელოვანი სფერო, გადატანის პრობლემას დიდი მნიშვნელობა ენიჭება: დიდი ადგილი უჭირავს მას როგორც კონსექციონისტურ და ბიპევიორისტულ ფსიქოლოგიაში, ისე ე. წ. ნიზნის ანუ პიროვნების ფსიქოლოგიაში—კერძოდ ოლპორტის პერსონალისტიკაში. განსაკუთრებით აქტუალურია იგი პედაგოგიური ფსიქოლოგიისათვის. თანამედროვე ინგლისურ-ამერიკულ პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში ვერ ნახავთ სახელმძღვანელოს, რომელშიც ცალკე ვრცელი თავი არ ეთმობოდეს გადატანის პრობლემას. ოლპორტის პიროვნების ფსიქოლოგიურ თეორიაში ამ პრობლემას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ოლპორტი გამოყოფს პიროვნების სტრუქტურის პრობლემას, მაგრამ მიუთითებს, რომ ეს დიდი პრობლემა მხოლოდ ნაწილია იგივე უფრო დიდი პრობლემისა—მენტალური ორგანიზაციის პრობლემისა. პიროვნების სტრუქტურა, ესაა მხოლოდ და მხოლოდ უწყვეტი, უცვლელი, მუდმივი ქარაქტერისტიკები მენტალური ორგანიზაციისა, სულიერი ორგანიზაციის პრობლემა კი გადატანის პრობლემაა². ერთი რამ უდავოა, პიროვნების ფსიქოლოგიაში თეორიამ, რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი, უნდა განიხილოს პიროვნების სტრუქტურისა და მენტალური ორგანიზაციის პრობლემები და გადატანის პრობლემას ისეთივე მნიშვნელობა მიანიჭოს, როგორსაც მას აძლევს ოლპორტი.

2. გადატანის თეორიები. გადატანის ცნება უკვე გულისხმობს განსაზღვრულ ფსიქოლოგიურ თეორიას (ცხადია, იგი ამ მხრივ არ წარმოადგენს გამოწკლის სხვა ცნებებიდან, ყველა ცალკეული ცნება გულისხმობს ცნებათა სისტემას, მაშასადამე, განსაზღვრულ თეორიას). გადატანის ფსიქოლოგიური

¹ იხ. მაკ-გიოზი (იქვე) და სტრაუდი (Stroud J., Psychology in education, 1956, N. Y.).

² Allport, Personality, გვ. 250 და შემდ.

თეორია (და მისი შესატყვისი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორია სპეციფიკური ვარჯიშისა) წარმოიშვა ზოგად სულიერ უნართა ფსიქოლოგიური თეორიის (და მისი შესატყვისი ფორმალური ვარჯიშის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური თეორიის) წინააღმდეგ.

ზოგად სულიერ უნართა თეორიის¹ მიხედვით არსებობს მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული რიცხვი სულიერი უნარებისა (ცნობილი უზოგადესი დაცოდის მიხედვით—ნიჭიერება, ხასიათი და ტემპერამენტი. ან ამ უნართა შიგადაყოფა: მეხსიერების უნარი, ყურადღების უნარი და სხვ.). სულიერი უნარები ანუ სულიერი ძალები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, მაგრამ თავისთავად ერთიანს წარმოადგენენ, ვითარდებიან ვარჯიშდებიან როგორც ზოგადნი, როგორც ერთიანი. მაგ., რაიმე მასალის დახსოვნებაზე ვარჯიში ავითარებს არა ამ მასალის დახსოვნის უნარს ცალკე, არამედ მეხსიერებას საერთოდ, მეხსიერების ერთიანს, ზოგადს უნარს. შინაარსს, მასალას, რომელზეც მუშაობს სუბიექტი (დასამახსოვრებელ მასალას), მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელოვანია მხოლოდ მეხსიერების, როგორც ზოგადი უნარის, ამოქმედება. აქედან—ფორმალური ვარჯიშის პედაგოგიკური თეორია და ე. წ. კლასიკური სკოლის ტიპი.

რეალური სკოლა კლასიკურის საპირისპიროდ დიდი ხანია აღმოცენდა, ადრე წარმოიშვა მისი პედაგოგიკური თეორიაც, მაგრამ მისი ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური თეორია მე-19 საუკუნის მიწურულში ჩაისახა. ეს იყო გადატანის ფსიქოლოგიური თეორია და მისი შესატყვისი პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური თეორია სპეციფიკური ვარჯიშისა. უ. ჯემის ცნობილი ექსპერიმენტების შემდეგ დადგინდა, რომ რომელიმე მასალის დამახსოვრებაზე საკმაოდ ხანგრძლივი ვარჯიში (მაგ., მილტონის „დაკარგული სამოთხიდან“ ნაწყვეტების დამახსოვრება) სრულდებოდაც არ ავითარებს სხვა მასალის დამახსოვრების უნარს. არამედ მსგავსი მასალის დამახსოვრების უნარს როგორც ზოგადი უნარისა, როგორც ერთიანი ფსიქიკური ძალისა. განსაკუთრებით თორნდაიკის გამოკვლევების² შემდეგ დაიწყო ინტენსიური ექსპერიმენტული შესწავლა საკითხისა, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის დავალებათა შესრულებაში გავარჯიშება სხვა ჩვევის დაუფლებაზე. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული გამოკვლევები მიმართულია იმის დადგენისაკენ, რომ არ არსებობს ზოგადი უნარები, რომ სპეციფიკურ გავარჯიშებას სპეციფიკური დავალების შესრულების გაადვილება მოსდევს მხოლოდ. აქედან—სპეციფიკური ვარჯიშის პედაგოგიკური თეორია და ე. წ. რეალური სკოლის ტიპის ფსიქოლოგიური დასაფუძვლება.

იდენტური კომპონენტების თეორია და ასიმილაციის კანონი. თორნდაიკმა და ვულფორთმა³ ექსპერიმენტული გამოკვლევების ნიადაგზე შეიმუშავეს ვარჯიშის გადატანის შესახებ იდენტურ ელემენტთა თეორია, რამაც დასა-

¹ გადატანის თეორიის მიმდევრები მას „სულიერ უნართა“ თეორიას უწოდებენ, რაც ალთა ზუსტი, რამდენადაც „სულიერ უნართა“ ცნება სავსებით უცვლელად აქვს შენარჩუნებული გადატანის თეორიებსაც. ნამდვილად მათი კრიტიკა შეეხება არა სულიერი უნარის ცნებას, არამედ სულიერ უნართა ზოგადობას (იხ. ლ. ჯ. ჰორტ, იქვე).

² Thorndike E. and Woodworth R., The influence of improvement in one mental function upon the efficiency of other function..., Psychol. Rev., 1901-vol. 8.

ბამი მისცა შემდგომს მრავალრიცხოვან გამოკვლევებს ამ მიმართულებით. თორნდაიკი მოდერნული ასოციაციონიზმის—კონექციონიზმის კლასიკური წარმომადგენელია: მთელი ფსიქიკური ცხოვრება „სტიმული—რეაქცია“ სქემითაა აგებული და ამავე ტერმინებით შეიძლება იქნეს გამოხატული. იდენტური ელემენტების თეორიის მიხედვით, ერთი დავალების შესრულებაში გავარჯიშება გავლენას ახდენს მეორე დავალების შესრულებაზე მხოლოდ მაშინ, თუ ეს ორი დავალება შეიცავს იდენტურ ელემენტებს, ე. ი. თუ დავალებები ერთმანეთის მსგავსია. იდენტური ელემენტების ქვეშ თორნდაიკს, შემდგომ წარმოქმნილი ბიჰევიორისტული თეორიებისაგან (უოტსონი, პავლოვის ბიჰევიორისტული ინტერპრეტაციონები საზღვარგარეთ და ჩვენში) განსხვავებით, ესმის მენტალური პროცესები (ცნობიერი), რომელთაც ტვინში ერთი და იგივე უჯრედთა აქტივობა შეესაბამება. ფიზიოლოგიის განვითარებამ თორნდაიკის შემდეგ აჩვენა, რომ ასეთი უხეშანატომისტური გაგება სულიერ მოვლენათა და ფუნქციონალური მიმდევრები „იდეალბსაც“ და „მიზნბსაც“ ელემენტად მიიჩნევენ, შეუძლებელია თორნდაიკის სქემაში (უჯრედთა შესატყვისობისა) ძალა არ დაკარგოს¹. მაგრამ ამ გზით თორნდაიკის თეორიის კოიტეია არსს ვერ წვდება, იგი ამ თეორიის მხოლოდ ფიზიოლოგიურ მხარეს ეხება, რაც სრულებითაც არაა არსებითი იდენტურ ელემენტთა თეორიისათვის—ამ თეორიას შეუძლია თანამედროვე ფიზიოლოგიის მონაცემებს დაეყრდნოს თავის ფიზიოლოგიურ ნაწილში და მის შესატყვისად გადააკეთოს იგი. თორნდაიკის თეორიის დამცველთა დიდი ნაწილი გამღიზიანებელი ველის იდენტობას თვლის ვარჯიშის გადატანის განმსაზღვრელ ფაქტორად, ნაწილი იდეაციურ აქტივობაში იდენტობას მიიჩნევს ასეთად, ზოგიც ნერვული აქტივობის იდენტობას. თორნდაიკმა ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ გადატანის (გადატანის დადებითი ეფექტის) სიდიდე პირდაპირ პროპორციულია მოცემულ ორ დავალებას შორის მსგავსებისა (მათი იდენტური ელემენტების რაოდენობისა). შემდგომ გამოკვლევათაგან კლასიკურად უნდა ჩაითვალოს იამის გამოკვლევა². იამმა დაადგინა იდენტურ ელემენტთა თეორიის დებულება გამღიზიანებელ ველთა მსგავსების პროპორციულად გადატანის ეფექტის ზრდის შესახებ (თუმცა იამი ფრთხილობს და ამ „ასიმილიაციის კანონის“ ერთადერთ კანონად გამოცხადებას კი არ ახდენს, არამედ ლაპარაკობს მსგავსებაზე როგორც გადატანის ფაქტორზე). იამის ცდებში გამოცდილ იქნა როგორც უაზრო სიტყვათა წყვილებზე რეაქცია (წყვილის წინა წევრთან მომდევნო წევრის დაკავშირების რეაქცია). ისე მსგავს მნიშვნელობებზე (სიტყვისა) და მსგავს ვიზუალურ გეგმულტებზე რეაქციები.

იდენტურ ელემენტთა თეორიის მიხედვით არსებობს უამრავი სტიმულ-რეაქცია, რომლებიც მხოლოდ მსგავს შემთხვევებზე გადადიან, სწავლა და აღზრდა მდგომარეობს ამ მრავალრიცხოვან სტიმულ-რეაქციების შემუშავებაში და არა ზოგად უნართა განვითარებაში, რაც არ არსებობს სინამდვილეში. ამრიგად, ზოგად უნართა ნაცვლად შემოტანილ იქნა უნართა სიმრავლე; მაგრამ ფაქტების მთელი რიგი ეწინააღმდეგება ამ დებულებას. ამან აიძულა თე-

¹ Allport, იქვე, გვ. 270—273.

² Yum, K. S., An experimental test of the law of assimilation. Journal of experimental Psychology, vol. 24, № 1, 1931, გვ. 68—82.

ორის მომხრეები, გაეფართოებინათ „ელემენტის“ ცნება. ელემენტად მიიჩნეულ იქნა გემეტალტებიც, მიდრეკილებებიც, მიზნებიც, იდეალებიც, განწყობილებებიც და შესრულების მეთოდებიც. თეორიის თანაღებურმა რ. ვულფორტმა შემდგომი ტერმინოლოგიური გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სიტყვა „ელემენტი“ შეცვალა სიტყვით „კომპონენტი“¹ და შემოიტანა სახელწოდება „იდენტურ კომპონენტთა თეორია“.

მრავალრიცხოვანმა ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა დაადასტურეს რომ ელემენტების იდენტობა მართლაც მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმგვარ პირდაპირ პროპორციულობაზე, რასაც თორნდაიკი ამტკიცებდა, ლაპარაკი არ შეიძლება, მიღებულ იქნა ერთმანეთის საწინააღმდეგო შედეგებიც, მიუხედავად ამისა და მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გადატანის შესახებ თორნდაიკის თეორიის ნაცვლად გზა გაიკაფა სხვა თეორიებმა (ჯანსაყუთრებით—გენერალიზაციის თეორიამ), შეუძლებელია იდენტურ კომპონენტთა თეორიაში მოცემული პოზიტიური ნაწილის უარყოფა: უდავოდ უნდა იქნეს ცნობილი, რომ კომპონენტთა ჯიდენტობა მეტად მნიშვნელოვანი, თუმცა არა ერთადერთი ფაქტორია. ამის უარყოფა არ შეუძლია და არც სპირდება როგორც გენერალიზაციის თეორიას, ისე ოლპორტის განწყობის თეორიას და დ. უზნაძის მიერ შემუშავებულ განწყობის თეორიას. დ. უზნაძის განწყობის თეორია ეყრდნობა მსგავსების კანონს, რომელსაც იყენებს განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის ფორმულაში. ობიექტთა მსგავსების ანალოგიური როლი იქნა დადასტურებული ზ. ხოჯავას გამოკვლევაში ფიგურული მსგავსების შესახებ².

იდენტურ კომპონენტთა თეორიის პროპორციულობის დებულება ზუსტი ანალოგი არის დასკვნის იმ სახისა, რომელიც ლოგიკაში ანალოგიით დასკვნის სახელითაა ცნობილი და რომელიც, თავის მხრივ, ალბათობის მათემატიკურ თეორიას ეყრდნობა. განსხვავება ისაა, რომ, თუ ლოგიკა ლაპარაკობს იდენტურ ნიშანთა რაოდენობის (ე. ი. მსგავსების) გაზრდის პროპორციულად დასკვნის დამარწმუნებლობის გაზრდაზე, მოქმედების ფსიქოლოგიაში ამის ნაცვლად ლაპარაკია იგივე რეაქციის აღწერის ალბათობაზე. ცხადია, მოქმედების ფსიქოლოგია ანგარიშს უწევს ნიშანთა თანაბარ-ღირებულობას მათი გაცნობიერების, საზრისის და სუბიექტისათვის მნიშვნელობის მიხედვით.

გენერალიზაციის თეორია. ამ თეორიას დასაბამი მისცა ჯედის ექსპერიმენტულმა გამოკვლევებმა³, რომელსაც მრავალრიცხოვანი გამოკვლევები მოჰყვა ამ მიმართულებით (უკანასკნელ ხანებში გადატანის შესახებ საბჭოთა ფსიქოლოგიაში გენერალიზაციის თეორიის ავითარებმა ს. ლ. რუბინშტეინი და მისი თანამშრომლები⁴, მაგრამ მათ მსჯელობაში ახალი არაფერია გარდა იმისა, რომ მოცემულია ცდა თავისებურად იქნეს გაგებული თვითონ გენერალიზაციის პროცესი). ამ თეორიის მიხედვით, გადატანას ადგილი აქვს მაშინ, თუ სუბიექტმა პირველ და მეორე დავალებაში მოცემული საერთო განაზოგა-

¹ იხ. Вудвортс, იქვე, გვ. 496—497.

² ზ. ხოჯავა, განწყობის მოქმედება მასალის აბსტრაქციის პირობებში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 17, 1941. ფიგურის როლი განწყობის მოქმედებაში, იქვე, ტ. 9, 1939.

³ Judd, C. H. The relation of spec. training to gener. intelligence, Educ. Rev., 1908, v. 36.

⁴ Рубинштейн С. Л., Принцип детерминизма..., Вopr. псих., № 5, 1957, იხ. აგრეთვე ამავე ავტორის წინა წერილები ამავე ჟურნალში და წერილი დეტერმინიზმის შესახებ ჟურნალ „Вopr. философия“-ში. აგრეთვე სლავინას მოხსენება სრკ მეცნ. აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ფსიქოლოგიის სექტორის 1957 წლის საკავშირო თათბირზე აღქმისა და აზროვნების საკითხებზე (დაბეჭდილია თეზისები).

და, წვდა მას როგორც ზოგადს. ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ცხ-ბი, რომლებიც აცნობიერებდნენ შესრულების ხერხს თუ სხვა ისეთ არსებით მონაცემებს, რომლებიც წინა და მომდევნო დავალებებისათვის საერთო იყო, გაცილებით უკეთ ასრულებდნენ ამ მომდევნო დავალებას. მაკ-გიოჩი სწორად მიუთითებს, რომ ამ თეორიაში გადატანის აუცილებელ პირობად აღიარებულია მეტი, ვიდრე ეს ნამდვილად არის საჭირო. გენერალიზაცია, მართალია, მეტად ზრდის გადატანის ეფექტს, მაგრამ იგი გადატანის განხორციელებისათვის აუცილებელი სრულებითაც არ არის. მაკ-გიოჩის აზრით, სავსებით საკმარისია სუბიექტი წვდეს წინა და მომდევნო დავალებების საერთო კომპონენტებს შორია მიმართებას — ასეთია მიმართებების წვდომის თეორია¹. უნდა შეინიშნულ იქნეს, რომ მიმართებების წვდომისა (Insight, Einsicht) და ცნობიერობის (Awareness) აუცილებლობა ექსპერიმენტულად დამარწმუნებლად დასაბუთებული არაა. ს. რუბინშტეინი² სამართლიანად აკრიტიკებს გენერალიზაციის თეორიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ობერაციონისტულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობის გამო გენერალიზაციის ქვეშ გულისხმობენ არა რაიმე ფსიქიკურ, ცნობიერ პროცესს, არამედ უბრალოდ გადატანის შიშველ ფაქტს. სინამდვილეში ასეთი შეხედულება წარმომადგენს გადატანის განსაზღვრული მექანიზმის ციხეზე ხელის აღებას და მას არაფერი საერთო არა აქვს გენერალიზაციის თეორიასთან, რომელიც სწორედ ფაქტთა ახსნისთვისაა მოწოდებული და არა უბრალოდ მათი კონსტატირებისათვის.

ოლპორტის განწყობის თეორია. ოლპორტი იძლევა ზემოაჩინოვებულ თეორიათა საფუძვლიან კრიტიკას³ და ავითარებს ახალ თეორიას გადატანის შესახებ⁴. გენერალიზაციის თეორიის წინააღმდეგ ოლპორტი იმოწმებს ისეთ ფაქტებს, სადაც ინდივიდი მსგავსების შემჩნევის გარეშე ახდენს გადატანას: ხშირად მსგავსების შეჩნევა ხდება უკვე იმის შემდეგ, რაც გადატანის ფაქტი უკვე მოხდა. ოლპორტი სასაართლიანად იმოჯნება ბიპევიორიზმისაგან და ოპერაციონალისტური მეთოდოლოგიისაგან, რომლებიც სტიმულსა და რეაქციას უშვებენ მხოლოდ და მათ შუა არაფერს. გადატანას ადვილი აქვს მიზნი, როცა ცელი და ახალი სტიმული ეკვივალენტურია, მაგრამ ეკვივალენტური არა ობიექტურად, არამედ სუბიექტისათვის. ობიექტურად მსგავსი სიტუაციები, თუ ისინი სუბიექტისათვისაც მსგავსი არ არიან, გადატანა ვერ იწვევს და პირიქით — ობიექტურად მეტად განსხვავებული სიტუაციები, თუ ისინი სუბიექტისათვის ეკვივალენტურია, გადატანის ფაქტს გვაძლევენ. იდენტობას და გენერალიზებულობას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა ობიექტურად, თავისთავად, სუბიექტთან მიმართების გარეშე არსებული სიტუაციების იდენტობას და გენერალიზებულობას, არამედ როგორც პიროვნებისათვის მსგავსებას, როგორც „პიროვნულ მსგავსებას“. ინდივიდში ფორმდება ცნება, განწყობა (attitude) და ხასიათის ხიანები (Traits) და სწორედ მათი მსგავსება და ზოგადობაა გადატანის განმსაზღვრელი. ასეთია ოლპორტის თეორიული მოსახრებები. მაგრამ ოლპორტს არ მოჰყავს სპეციალური ექსპერიმენტული მასალა ამ შეხედულების დასაბუთებლად. ოლპორტის თეორია შეიცავს მსჯელობებს, რომლებიც დამახასიათებელია ე. წ. მიზნის ფსიქოლოგიისათვის საერთოდ, ფსიქოლოგიური თეორიებისათვის, რომლებიც პიროვნებას უსვენს ანგარიშს მისი მიანებით ან მოთხოვნილებებით.

¹ Mc Geoch. The psychology of human learning, N. Y, 1942, გვ. 437—445.

² Рубинштейн, იქვე, გვ. 61.

³ Allport G. Personality, გვ. 259—278

⁴ იქვე, გვ. 278 — 285.

3. წმინდა გადატანის ნიშნის პრობლემა. ოპერაციონალისტური ფსიქოლოგიისათვის ამ პრობლემას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. ეს ფსიქოლოგია იკვლევს უბრალო კორელაციას წინა დავალების შემდეგ მომდევნო დავალების შესრულების პროდუქტულობასა და ცალკე აღებულ მეორე დავალების შესრულების პროდუქტულობას შორის და კმაყოფილდება ამ მონაცემთა სტატისტიკური დამუშავების ნიადაგზე კონსტატირებული კორელაციის დადგენით. იგი არ ეძებს კორელაციის განმსაზღვრელ მექანიზმებს, აქედან ცხადია, რომ მას ნაკლებად აინტერესებს საკითხიც—თავისი სახით იჩენს ძველი ჩვევა ახლის შესრულებისას თავა, თუ თავისი საწინააღმდეგო სახით. იდენტურ კომპონენტთა თეორია ჩვევის გადატანის ერთი ობიექტური ფაქტორის კონსტატირებით კმაყოფილდება და ხელს იღებს გადატანის ნამდვილი ფსიქოლოგიური მექანიზმის ძიებისაგან. გენერალიზაციისა და მიმართებათა წვდომის თეორიები, კიდევაც რომ დავეთანებოთ მათ იმის ფაქტობრივ სისწორეში, რომ გენერალიზაციის თუ მიმართებათა წვდომის გარეშე გადატანის ადვილი არა აქვს, აუხსნელს ტოვებს თვითონ გენერალიზაციას და მიმართებათა წვდომას. ოლპორტის განწყობის თეორიაში კი, რომ არაფერი ვილაპარაკოთ მისი საფუძვლების შესახებ. მხოლოდ ისაა კონსტატირებული, რომ გადატანა პიროვნული ხასიათისაა, თვითონ ეს პიროვნული გადატანა კი ახსნილი არაა.

ეს თეორიები ყურადღებას არ აქცევენ წმინდა გადატანის ნიშნის საკითხს, რომლის შესწავლაც თვითონ გადატანის ფსიქოლოგიური ბუნების გაჩვენებასაც შეუწყობდა ხელს.

ექსპერიმენტული მონაცემები ადასტურებენ, რომ გადატანის (არა გადატანის ეფექტის) ნიშანი უმრავლეს შემთხვევებში დადებითია. უარყოფითი გადატანა თითქმის შეუწინაველი რჩება, ყოველ შემთხვევაში, მას არავითარი როლი არ ენიჭება. უარყოფითი გადატანის ერთადერთ შემთხვევად უუდგოროს მოჰყავს ბილის და მაკ-ტირის (1932) შედეგები¹. მათს ცპ-ს ევალბოდან ხანგრძლივად ეწერათ abc, abc..., რის შემდეგაც ეცდებოდნენ სხვადასხვა დავალებები: 1. განუწყვეტლევ წერა ოდნავ განსხვავებული მასალისა abd, abd..., 2. მეტად განსხვავებული მასალა: ade, ade... და 3. საცხებით განსხვავებულ მასალისა: def, def... აღმოჩნდა, რომ წინა ჩვევის (abc, ... წერისა) დაუფლების გამო ცპ-ში მსგავსი მასალის წერას უფრო ძნელად ახერხებდნენ, ვიდრე ნაკლებად მსგავსისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვილდებოდა საწინააღმდეგო წერის რეაქციები. ავტორები ამ ფაქტს ხსნიან დაუფლისა და მოყრჭების გავლენით. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ფაქტები ჩვევის უარყოფითი გადატანის დასახასიათებლად ვერ გამოდგებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ უშნაძის განწყობის თეორიაშიც ჩვევების შემთხვევაში ასიმბილატიური ილუზიები (ე. ი. დადებითი გადატანა) იქნა დადასტურებული². მაგრამ, ერთი შეხედვით, სრულიად საწინააღმდეგო შედეგებია მიღებული რაოდენობრივ მასალაზე ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტებში. აქ, როგორც წესი, კონტრასტული ილუზიები გვეძლევა, ასიმბილატიური ილუზიების რიცხვი კი მეტად მცირეა და

¹ Вудвортс, გვ. 456.

² ხ. სოჯავას მიერ გ. წ. „ნეიტრალური შრიფტის მეთოდით“. იხ. З. Ходжава, Проблема навыка в психологии. Тб., 1960. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი თვისობრივ მასალას გულისხმობს, თვისობრივი მასალა კი კონტრასტული აღქმის შესაძლებლობას არ შეიცავს.

სტატისტიკურად ნაკლებად დამარწმუნებელი. დადასტურებულია მხოლოდ ის, რომ ეს რიცხვი იზრდება სუსტად ფიქსირებული განწყობისა და მცირე განსხვავებებზე ფიქსირებული განწყობის შემთხვევებში. განწყობის თეორიაში დღემდე მიღებულია ის აზრი, რომ განწყობის კონტრასტული ილუზია თვითონ ფიქსირებული განწყობის კონტრასტულად შეცვლის, მისი საწინააღმდეგო განწყობის აღმოცენების ნიადაგზე წარმოიშობა. რაკი ამ დებულებით საწინააღმდეგო აქტივობის წარმოშობა იგულისხმება, გადატანის თეორიების ენით თუ ვიტყვით, კონტრასტული ილუზია გაგებულია როგორც უარყოფითი გადატანის ფაქტი. მაგრამ ამ შემთხვევაში ეს შედეგები ეწინააღმდეგება ჩვევის გადატანის ექსპერიმენტებში მიღებულ შედეგებს, რომლებიც დადებით გადატანას ადასტურებენ. წინამდებარე შრომის პირველი მიზანია ისეთი თვალსაზრისის შემუშავება და დასაბუთება, რომელიც მოხსნიდა ამ წინააღმდეგობას. განწყობის ილუზიის ანალიზისა და ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე ჩვენ ქვემოთ შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ ეს წინააღმდეგობა არ არსებობს. რამდენადაც განწყობის კონტრასტული ილუზია საწინააღმდეგო აქტივობის წარმოქმნას კი არ გულისხმობს, არამედ ძველი აქტივობის უშუალო შედეგია და, მაშასადამე, დადებითი გადატანის ეკვივალენტურია.

ამის შემდეგ შესაძლებელი ხდება გავარკვიოთ საკითხი, თუ რა განსაზღვრავს ე. წ. ჩვევის გადატანის ნიშანს. ზემოთ მოკლედ იყო განხილული გადატანის თეორიები და მითითებული იყო მათი ზოგიერთი ისეთი მომენტი, რომლებიც, ჩვენი აზრით, საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ ეს თეორიები ვერ გვაძლევს ჩვევის გადატანის მოვლენათა დამაკმაყოფილებელ ახსნას. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, 'სუბიექტის ყოველგვარ ფსიქიკურ აქტივობას განწყობა უდევს საფუძვლად, გამონაკლისს არ წარმოადგენს ჩვევაც. შეიძლება თუ არა აიხსნას ჩვევის გადატანის ფაქტი განწყობის მოქმედებით? ამ კითხვაზე პასუხისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხის გარკვევას, განსაზღვრულია თუ არა ჩვევის გადატანის ნიშანი განწყობის მოქმედების კანონზომიერებით.

ჩვევის გადატანის ცდები ფიქსირებული განწყობის ექსპერიმენტების ანალოგიურია. ვარჯიშის ელემენტარული სახე, რომელსაც გადატანის ცდებში მიმართავენ, განწყობის საფიქსაციო ცდას წარმოადგენს. ვარჯიშში ორ მომენტს გულისხმობს: 'შეცდომის კორექციას და დავალების შესრულების მოქმედების ფიქსირებას, მაგრამ ითვლება, რომ ვარჯიშის მინიმუმად ეს მეორე მომენტი უნდა ვცნოთ და არა შეცდომის კორექცია. ამ შემთხვევაში ნათელია, რომ ე. წ. სავარჯიშო და საგანწყობო ცდებს შორის სრული ანალოგია. ამიტომ, ჩვენი საკითხის გადაჭრისათვის, განსაზღვრავს თუ არა გადატანის ნიშანს განწყობის მოქმედება, ავიღეთ ისეთი სავარჯიშო ცდები, სადაც ამოცანად მხოლოდ მოქმედების ფიქსაცია იყო დასაბუთი.

4. ცდების მეთოდოკა. რაოდენობრივ მასალაზე ფიქსირებული განწყობის მოქმედების გამოკვლევის კლასიკური მეთოდისათვის განსხვავებით, ცპ-ს ეძლევა დავალებები, გაავლოს ქალღალღზე სწორი მონაკვეთები ფანქრით ერთმანეთის მიყოლებით (ცდების სხვა ვარიანტში—ერთმანეთის ქვევით). რომ ცპ-ს ხაზის სისწორისათვის ზრუნვა არ დასჭირდეს, მის წინ ვამაგრებთ სახაზავს, რომელსაც უნდა გააყოლოს ფანქარი. რათა გავლებული ხაზის სიგრძისა

და ხელის მოძრაობის სისწრაფის ცნობიერებები ერთმანეთში არ შეირიოს¹, ყურადღება ექცევა იმას, რომ ცპ-მა ხაზები ერთნაირი სისწრაფით გაავლეს (ამის ზუსტი ობიექტური აღრიცხვა შესაძლებელია კიმოგრაფის გამოყენებით). ცპ მუშაობს თვალდახუჭული.

ცდები იწყებოდა საკონტროლო ცდით, რომლის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ როგორ ხაზავს ცპ ტოლ სწორ ხაზებს (ცპ-ბს, რომლებიც ძნელად ახერხებდნენ ტოლი ხაზების გავლენას, სახელდობრ ხაზავდნენ არასტერეოტიპულად მცდარად, ჩვენ გამოვრიცხავდით ცდებიდან. სტერეოტიპულად მცდარი მხაზვებები—მაგ., რომლებიც მარჯვენას უფრო მცირედ ხაზავდნენ—ცდებში მონაწილეობას იღებდნენ). ორი-სამი სტერეოტიპული დახაზვის შემდეგ საკონტროლო ცდას ვწყვეტდით (ზუსტად მხაზველი ცპ-ბის მოსაპოვებლად ჩვენი ცდები ჩავატარეთ უსინათლოებზე ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში. მაგრამ, ჩვენი მოლოდინის წინააღმდეგ, აღმოჩნდა, რომ უსინათლო მოსწავლეთა დიდი ნაწილი გაცილებით უფრო მცდარად ხაზავს ტოლ ხაზებს, ვიდრე ჩვენ ვხაზავთ თვალდახუჭული. მხოლოდ ვ ცპ შეირჩა, რომლებიც უფრო ზუსტად ხაზავდნენ, ვიდრე თვალხილულები)².

საკონტროლო ცდის შემდეგ იწყებოდა სავარჯიშო ცდები, რომლის დროსაც ცპ-ს ევალებოდა ჩვენი მიერ მიცემული ეტალონის მიხედვით თვალდახუჭულს დაეხაზა ეს ეტალონი. ეტალონი წარმოადგენდა ორ სწორ ხაზს, რომელთაგან ერთის სიგრძე უფრო მეტი იყო ვიდრე მეორისა (ცდების I სერიასი აღებული იყო დიდი განსხვავებები: 12 მმ და 26 მმ, ხოლო ცდების II სერიასი—მცირე განსხვავებები 16 მმ და 18 მმ.). ცპ-ს უფლებას ვაძლევდით დახაზვის შემდეგ თვალთაყ შეემოწმებინა თავისი წარმატება. ხაზვა გრძელდებოდა 15—20-ჯერ დახაზვამდე.

ამის შემდეგ იწყებოდა ე. წ. კრიტიკული ცდა—ცპ-ს ეძლეოდა საკონტროლო ცდის დავლება (ტოლების ხაზვა), საკონტროლო ცდისა და კრიტიკული ცდის შედეგები უდარდებოდა ერთმანეთს.

ცდების ერთი ვარიანტი ჩატარდა კუთხების ხაზვაზე. საკონტროლო ცდაში ცპ-ს ვახაზინებდით 90° კუთხეს (მიცემული ეტალონის მიხედვით). I სერიის საგანწყობო ცდების I რიგში 140° კუთხეს, II-ში კი—30°-ს. II სერიის საგანწყობო ცდების I რიგში—95°, II რიგში—85°. კრიტიკულ ცდებში—საკონტროლო ეტალონს (90°).

5. ცდების შედეგები და მათი განხილვა. I სერია სწორ ხაზებზე. ამ ცდებში მონაწილეობდა 40 ცპ (მათ შორის 3 უსინათლო). საკონტროლო ცდებში გამოირკვა, რომ ცპ-ბი საკმაოდ კარგად ასრულებდნენ დავლებას—10—15 მმ სიგრძის ორი ტოლი სწორი მონაკვეთის ხაზვას ზედზედ სამჯერ. 16 ცპ ობიექტურად ტოლებს ხაზავს (1 მმ შეცდომას, როგორც განსხვავების ზღურბლის ქვევით მყოფს, მხედველობაში არ ვიღებთ). მარცხენა მონა-

¹ ცნობილი კანონზომიერების გამო სხვადასხვა კარაქტერისტიკები ერთმანეთში ირევა, ერთი მიეწერება მეორეს, ან პირიქით (შეგრძნებათა, აღქმათა ერთიანობის ფაქტები). ცპ-ს ეჩვენება, რომ ობიექტურად ტოლებიდან ის ხაზი უფრო გრძელია, რომელიც მან ხელის ნელი მოძრაობით გაავლო.

² უსინათლოთა ამ წარუმატებლობის მიზეზი აშკარა გახდა სულ მალე: ისინი ხაზვაში მხოლოდ გეომეტრიის გაცილებლებზე ვარჯიშობენ, სადაც სპეციალური დაფით მუშაობენ და დახაზულის შეფასებას ახდენენ ამავე დაფის დანაყოფების გამოთვლით და არა კინესთეტიკური შეგრძნებებით. აღნიშნული 3 მოსწავლე კი სახელმწიფოში მუშაობის ჩვევებით გამოირჩეოდა.

კვეთს უფრო გრძელს იღებდა 15 ცბ., მარჯვენას კი—9 ცბ, მაგრამ შეცდომა უმეტესად მცირე იყო, მაქსიმალური შეცდომა 6 მმ არ აღემატებოდა, საშუალოდ კი შეცდომა 2,7 მმ უდრიდა.

უტოლო მონაკვეთთა წყვილების ხაზვაზე ვარჯიშისას, რომელსაც ჩვენ საგანწყობო ცდად განვიხილავთ, ცბ-ში ვერ ახერხებდნენ მიცემული ეტალონის აბსოლუტური სიდიდეების განმეორებას, რის გამოც ჩვენ ვკმაყოფილებოდით ეტალონის ხაზთა შეფარდებითი სიდიდეების ხაზვაზე ცბ-თა გავარჯიშებით.

კრიტიკული ცდებისა და საკონტროლო ცდების ნახაზთა შედარება გვიჩვენებს, რომ არატოლი მონაკვეთების ხაზვაში ვარჯიში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტოლი მონაკვეთების ხაზვის დავალების შესრულებაზე. კრიტიკულ ცდაში შეცდომების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 40 ცბ-დან მხოლოდ 2 ახერხებს დავალების უშეცდომოდ შესრულებას. თუ მაქსიმალური შეცდომა საკონტროლო ცდაში 6 მმ იყო, ახლა იგი 13 მმ-ს აღწევს, ხოლო საშუალო შეცდომა საკონტროლო 2,7 მმ ნაცვლად აქ 4,2 მმ უდრის.

როგორია გადატანის ნიშანი, დადებითია თუ უარყოფითი, თანხედება იგი სავარჯიშო ცდების მოქმედებას, თუ მისი საპირისპიროა? აღმოჩნდა, რომ 38 ცდისპირიდან, რომლებიც კრიტიკულ ცდებში შეცდომით ხაზავენ, 37 გადატანის დადებით ნიშანს გვიჩვენებს. ტოლი მონაკვეთების ნაცვლად ეს ცბ-ში იმ მხარეზე უფრო დიდ მონაკვეთს ხაზავენ, რომელზედაც მათ სავარჯიშო ცდებში დიდი მონაკვეთის ხაზვა უხდებოდათ. სავარჯიშო ცდების ეს გავლენა მთლიანად ახშობს საკონტროლო ცდებში შემჩნეულ გადაფასებას. უარყოფითი გადატანა მოგვცა მხოლოდ ერთმა ცდისპირმა.

ანალოგიური, თუმცა ნაკლებად მკაფიოდ გამოხატული შედეგები იქნა მიღებული კუთხეების ხაზვაზე ჩატარებული ცდების I სერიაში.

საკონტროლო ცდებში დადგინდა, რომ სწორ კუთხეს ცდისპირები საკმაოდ ზუსტად ხაზავენ. 30 ცბ-დან, რომლებიც ამ ცდების ორ რიგში შემოწმდა, 8 ცბ უშეცდომოდ ხაზავს 90° კუთხეს (მხედველობაში არ ვიღებთ 1° შეცდომას, როგორც საზღურბლეს), დანარჩენთა შეცდომები საშუალოდ უდრის α 25', მაქსიმალური შეცდომა—15°. საკონტროლო ცდების შემდეგ ცბ-ბს ევალუბრად გავარჯიშებულყვენენ სწორი კუთხისაგან მკვეთრად განსხვავებულ კუთხეთა ხაზვაში: ცდების I რიგში (15 ცბ) 140° ბლავეი კუთხის, ხოლო ცდების II რიგში (15 ცბ) 30° მახვილი კუთხის ხაზვაში.

კრიტიკულ ცდებში, სავარჯიშო ცდების გავლენით, სწორი კუთხის ხაზვის შეცდომები მკვეთრად გაიზარდა, საშუალო შეცდომა საკონტროლოს 3° 25'-დან 8° 15'-მდე გაიზარდა. მაქსიმალურმა შეცდომამ მიაღწია 40°. ვარჯიშის გადატანის დადებითი ნიშანი ორივე რიგში მოგვცა ცბ-თა 53,3% (16-ცბ), გადატანა არ დადასტურდა 26,6%-თან (8 ცბ) და მხოლოდ 13,3% (4 ცბ) აჩვენა უარყოფითი გადატანა, ხოლო 2 ცბ-ის პასუხი გაურკვეველია, რამდენადაც თითოეული მათგანის კრიტიკული ცდის სამი მონაცემი ერთმანეთს არ თანხვედბა.

II სერია სწორ ხაზებზე. I სერიის ცდებში დადასტურდა, რომ სავარჯიშო და კრიტიკულ ობიექტთა (დავალებათა) შორის მკვეთრი დაპირისპირებულობისას ჩვევის გადატანის ნიშანი დადებითია. მაგრამ როგორია ეს ნიშანი, როცა ამ ობიექტთა შორის განსხვავება (დაპირისპირება) მცირეა? ამის გარკვევას ისახავდა მიზნად II სერიის ცდები სწორი მონაკვეთების ხაზ-

ვაზე. სავარჯიშო ცდებში ცპ-ს ევალებოდა დაეხაზა სივრცით ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავებული ორი სწორი მონაკვეთი, რომელთა შორის განსხვავება ხსვაობის ზღურბლს ზევით უნდა ყოფილიყო (16 მმ—18 მმ).

ცდებში მონაწილეობდა 30 ცპ (ამათგან 3 უსინათლო). საკონტროლო და კრიტიკულ ნახაზთა შედარებით, იმ გადაფასებების გამორიცხვის შემდეგ, რასაც საკონტროლო ცდაში ახდენდა ცპ, დასტურდება, რომ ასეთ ხაზვაზე ვარჯიში მეტად უმნიშვნელო გავლენას ახდენს კრიტიკულ ნახაზზე; ეს გავლენა 30 ცპ-დან მხოლოდ 12 ცპ-თან (40%) იჩენს თავს და, ჩვეულებრივ, 1—2 მმ-ით გადახრაში გამოიხატება. საშუალო გადახრა უდრიდა 3 მმ, მაქსიმალურმა გადახრამ კი 7 მმ მიაღწია ერთადერთ შემთხვევაში. გადატანის ნიშანი დადებითი იყო 3 ცპ-თან (10%), უარყოფითი—6 ცპ-თან (20%), 3 ცპ (10%) კი დადებითი და უარყოფითი გადატანის მონაცვლეობას გვიჩვენებს.

ანალოგიურია კუთხეების ხაზვაზე ჩატარებული ცდების შედეგებიც. კრიტიკული კუთხისაგან (90°) ოდნავ განსხვავებულ კუთხეთა (15 ცპ-სათვის—95°, 15 ცპ-სათვის—85°) ხაზვის გავლენით კრიტიკული კუთხის ხაზვა მეტად მცირედ იცვლება. 30 ცპ-დან მხოლოდ 9 ცპ (30%) გვიჩვენებს ამ გავლენას. საშუალო გადახრა უდრის მხოლოდ 5°. გადატანის ნიშანი დადებითია 4 ცპ-თან (13,3%), უარყოფითი—3 ცპ-თან (10%), ხოლო 2 ცპ (6,7%) დადებითი და უარყოფითი გადატანის მონაცვლეობას გვიჩვენებს.

როგორც ცდების შედეგებიდან ჩანს, ჩვევის გადატანის ნიშნის განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სავარჯიშო და კრიტიკულ ობიექტთა შორის დააირისპირების ხარისხს. დიდი დააირისპირებისას გადატანის ნიშანი თითქმის ყოველთვის დადებითია და თვითონ გადატანის ეფექტიც ძლიერია. მცირე დააირისპირებისას კი გადატანის შემთხვევები მეტად მცირეა, გადატანის ეფექტი სუსტადაა გამოხატული და თავს იჩენს უარყოფითი გადატანის მცირე შემთხვევები.

ჩვენი ცდების შედეგები საშუალებას იძლევა, მითითებულ იქნეს ჩვევის გადატანის ნიშნის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური საფუძველი. საქმე იმაშია, რომ ზემოთ აღწერილი ცდები ჩვევის გადატანის ნიშნის შესახებ დაყენებულია იმ ცდების ანალოგიურად, რომლებიც დ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიაში განწყობის შეცვლის პირობების გამოსაკვლევად არიან მოწოდებული. თუ გადატანის ნიშანიც იმავე პირობებზე დამოკიდებული აღმოჩნდება, რომლებიც განწყობის შეცვლის ნიშანს განსაზღვრავენ, საფუძველი გვექნება ეამტიკოთ, რომ გადატანის ნიშანი დამოკიდებულია განწყობის შეცვლასა თუ უცვლელობაზე, ეს კი, თავის მხრივ, გვიპარნახებს დებულებას, რომ ჩვევია გადატანა განწყობის მოქმედებითაა განსაზღვრული (ჩვენ გამოსარკვევად აღებული გვექნება ჩვევის გადატანის მარტივი და წმინდა შემთხვევა, ამიტომ ჩვენი სავარაუდო დებულებები მხოლოდ ასეთ შემთხვევებს შეეხება, ჩვევის გადატანის ისეთი შემთხვევები კი, სადაც შეცდომების კორექცია და აზროვნების ჩარევა იგულისხმება, ცალკე გამოკვლევას მოითხოვს და წინამდებარე შრომაში განხილული არაა).

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ჩვენი ცდების შედეგებს, ერთი შეხედვით ისინი შეიძლება პარადოქსულად წოგვეჩვენოს. დ. უზნაძის ლაბორატორიაში პერცეპტული სფეროს გამოკვლევით მიაოვებული შედეგების მიხედვით, სგანწყობო და კრიტიკულ ობიექტთა შორის დიდი დააირისპირება განწყობის შეცვლასა და კონტრასტულ ილუზიას იწვევს, მცირე დააირისპირება

კი ასიმილაციური ილუზიების რიცხვს ზრდის. ჩვენს ცდებში კი, თითქოს, მდგომარეობა საეგზეთი შებრუნებულია: დიდი დაპირისპირება ასიმილაციურ გავლენას იწვევს (დადებითი ვადატანა), მცირე კი—კონტრასტული გავლენის (უარყოფითი ვადატანის) შემთხვევების რაოდენობას ზრდის. სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არაა. ჩვენი ცდების შედეგები ზუსტად თანხვედრა პერსექტულ სფეროში განწყობის გამოსავლინებლად ჩატარებული ცდების შედეგებს. მოჩვენებითი დაპირისპირებულობა გამოწვეულია ცდების პირობათა განსხვავებულობით. განსხვავება კრიტიკული ცდების დავალებათა შორისაა. თუ ძველ ცდებში ცპ-ს აწვდიან ორ ობიექტურად ტოლ კრიტიკულ ობიექტს და მათი სიდიდეების შედარებას ავალებენ, ჩვენს ცდებში ცპ-ს ევალება შექმნას (დახაზოს) ორი ობიექტი, რომლებიც მას ერთმანეთის ტოლად ეჩვენება (ჩვენს ცდები ანალოგიურია ე. პიაჟეს მიერ განწყობის ილუზიის გასაზომად ჩატარებული ცდებისა, სადაც ცპ შეარჩევა ობიექტების ისეთ წყვილს, რომლის წევრებაც მას ტოლად ეჩვენებოდა)¹. ობიექტურად ტოლი სიდიდეების კონტრასტულად უტოლოდ განცდა ეკვივალენტურია ასიმილაციურად უტოლოდ დახაზულ ობიექტთა ტოლად განცდისა, ხოლო ტოლ ობიექტთა ასიმილაციურად უტოლოდ განცდა—კონტრასტულად უტოლოდ დახაზულ ობიექტთა ტოლად განცდისა. თუ, მაგალითად, ცპ-ს ეჩვენება, რომ ორი ობიექტურად ტოლი სიდიდიდან მარჯვნივ მდებარე სიდიდე უფრო მცირეა, ტოლბად მან უნდა მიიჩნიოს მხოლოდ ისეთი ობიექტები, რომელთაგანაც მარჯვენა ობიექტურად უფრო დიდი იქნებოდა. ეს მსჯელობა ანალიტიკურადაც ცხადია და ზემოთ მითითებული წინააღმდეგობა მოხსნილად შეიძლება ჩავეთვალო, მაგრამ ანალიტიკურად ცხადი ჩვენი მსჯელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, თუ ტოლ ობიექტთა აღქმაც იმავე საფუძველს ეყარება, რასაც ისეთი ობიექტების შექმნა (დახაზვა) ან შერჩევა, რომლებიც სუბიექტს ტოლად ეჩვენება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მართლაც ასეა, რომ ორივე ეს აქტივობა ერთი და იგივე განწყობის ერთი და იგივე მოქმედების ნიშანია ხორციელდება. მაგრამ ამ უკანასკნელ დებულებას ექსპერიმენტული დასაბუთება ესაჭიროება, რისთვისაც ჩვენ თავიდანვე დამატებითი მომენტი შევიტანეთ სწორი მონაკვეთების ხაზვაზე ჩატარებულ ორივე სერიის ცდებში. კრიტიკული (ტოლი) ობიექტების ორჯერ დახაზვის შემდეგ ცპ-ს ვაძლევდით ხის დაფას, რომელზეც ერთმანეთის მიყოლებით ამოჭრილი იყო თანაბარი სიგრძის ორი მონაკვეთი (სწორი ხაზი). მონაკვეთები ერთმანეთს გამოეყოფოდა შედარებით ღრმად ამოჭრილი წერტილით. ცპ-ს, რომელიც თვალდახუჭული მუშაობდა, ევალებოდა ფანქრის წვერი გავყოლებინა ამ ხაზებისათვის და შეეფასებინა მათი სიგრძეების ურთიერთმიმართება. ყველა ცპ წინასწარ იყო გამოცდილი (საკონტროლო ცდებში) ამ სიდიდეთა შეფასებაზე. სუბიექტებს, რომლებიც საკონტროლო ცდაში არაადეკვატურად (უტოლოდ) აფასებდნენ ამ ხაზებს, ცდებიდან გამოვირიცხავდით. კრიტიკულ ცდაში ტოლ ობიექტთა შეფასების

¹ J. Piaget et M. Lambercier, 'Essai sur un effet d' "Einstellung"... (effet Usnadzé), Archives de psychologie, 30., 1944. ივ., აგრეთვე ბ. ხაჭაპურიძის ცდები ილუზიის გაზომვაზე და ა. კინწურაშვილის ცდები ხაზვაზე (იხეველია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის დ. უზნაძის საბ. ფსიქოლოგიის კინსტიტუტის შრომების კრებულში „ფსიქოლოგია“. ტ. 13).

შემდეგ ცპ-ს კვლავ ევალეზობდა ერთხელ კიდევ დაეხაზა (მხედველობის დაუხმარებლად) ტოლი მონაკვეთები. კრიტიკული ცდების ნახაზთა და ამავე ცდებში ობიექტურად ტოლ მონაკვეთთა შეფასების შედარება საესეებით ამართლებს ჩვენს ვარაუდს. 37 ცპ-დან, რომლებიც პირველი სერიის კრიტიკულ ცდაში ასიმილაციურ ხაზვას გვიჩვენებდნენ, 35 (94,6 %) კონტრასტულად აფასებდა ობიექტურად ტოლ მონაკვეთებს, 1 ცპ ამ უკანასკნელთა ტოლობას ადასტურებდა და მხოლოდ ერთი ცპ იძლეოდა ასიმილაციურ შეფასებას. საინტერესოა, რომ 2 ცპ-დან, რომელნიც ადეკვატურად ხაზავდნენ მონაკვეთებს, ერთი ტოლად აღიქვამდა ობიექტურად ტოლ ხაზებს, ხოლო მეორე სავარჯიშო (სავანწყობო) დავალების კონტრასტულად. მეორე სერიის შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. I სერიის ეს ცდები, ვფიქრობთ, დამარწმუნებლად ასაბუთებს, რომ ობიექტურად ტოლ ხაზთა შეფასებისა და ტოლ მონაკვეთთა ხაზვის დავალების შემთხვევაშიც ერთი და იგივე განწყობა მოქმედებს ერთი და იგივე მიმართულებით, რომ ასიმილაციური ხაზვა ტოლ ობიექტთა კონტრასტული აღქმის ეკვივალენტურია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი ძირითადი ცდების შედეგები ანალოგიურია იმ შედეგებისა, რაც მიღებულია განწყობის მოქმედების გამოკვლევებში აღქმის სფეროში. იმავე საფუძველზე, რის გამოც აღქმის ილუზიები ჩათვლიდა განწყობის მოქმედების გამოვლინებად¹, უნდა ვცნოთ, რომ ჩვევის გადატანაც განწყობის გამოვლინებაა, კერძოდ—ჩვევის გადატანის ნიშანი გაპირობებულია განწყობის მოქმედებით. მეორე მხრივ კი უნდა აღინიშნოს, რომ აპრიორულ სფეროში განწყობის მოქმედების შესახებ ჩატარებული ყველა ძველი ცდის შედეგები შეიძლება განვიხილოთ როგორც პერიცეპტული ჩვევის გადატანის ფაქტები, ხოლო კრიტიკულ ცდებში ტოლ ობიექტთა კონტრასტულად უტოლოდ განცდა—როგორც დადებითი გადატანის შემთხვევები.

ჩვენს მიერ მიღებული დასკვნა, ტოლ ობიექტთა კონტრასტული აღქმის და ასიმილაციურად უტოლო ობიექტების ხაზვის (თუ შერჩევის) ეკვივალენტურობის შესახებ, წამოჭრის საკითხს თვითონ განწყობის შეცვლის ძირითადი კანონის შესახებ. განწყობის ბუნება ისეთია, რომ იგი ასიმილაციურ მოქმედებაში უნდა იჩენდეს თავს, მაგრამ კონტრასტული აღქმის ფაქტებმა განწყობის თეორიის ავტორი დ. უზნაძე აიძულა განწყობის შეცვლის პოსტულატი წამოეყენებინა და მისი ცხადყოფა ეცადა. განწყობის ცნება გულისხმობდა ერთ პოსტულატს განწყობის ასიმილაციური მოქმედების შესახებ, მაგრამ აღქმის კონტრასტული ილუზიების ახსნისათვის საჭირო შეიქმნა მეორე პოსტულატის შემოტანაც, რაც ცხადია, საზოგადოდ რაიმე თეორიისათვის დადებითი მომენტად ვერ ჩაითვლება: ეს პოსტულატია განწყობის მოქმედების კონტრასტულად შეცვლის პოსტულატი, რომელიც გულისხმობს შემდეგს: თუ სავანწყობო ობიექტებისადმი მკვეთრად დაპირისპირებული ობიექტები გვეძლევა, ძველი განწყობა ირღვევა, მაგრამ ახალი ობიექტების ადეკვატურ განწყობას უშუალოდ კი არ უთმობს გზას, არამედ თავის საწინააღმდეგე განწყობას წარმოქმნის, რის გამოც მოცემული ობიექტები ილუზიურად (კონტრასტულად) აღიქმება. თვითონ განწყობის თეორიის ავტორი დ. უზნაძე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ შრომაში აღნიშნავდა: „უნდა ითქვას, რომ ეს მო-

¹ მხედველობაში გვაქვს დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომელთა შედეგები შეჯამებულია შრომაში—დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის შესახებ. საფუძველ., „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949.

საზრება კონტრასტული ილუზიის შესახებ მეტად თუ ნაკლებად ხელოვნურად ანაგების შთაბეჭდილებას სტოეებს¹. როგორც აქედან ჩანს, დ. უზნაძეს განწყობის კონტრასტული ილუზიის ახსნის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად სრულებითაც არ მიაჩნდა და, ცხადია, განწყობის კონტრასტულად შეცვლის პოსტულატსაც არ მიიღებდა, თუ კი ამის გარეშეც მოხერხდებოდა კონტრასტული ილუზიის ახსნა განწყობის თეორიის ნიადაგზე, რადგანაც აღნიშნული პოსტულატი მხოლოდ ამ ილუზიის ასახსნელად იქნა შემოტანილი განწყობის თეორიაში. აღენიშნავთ ზოგიერთ სიძნელესაც, რომელთაც განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი აწყდება: 1. რაოდენობრივ მასალაზე შემუშავებული განწყობის ინდიკატორად სწორედ კონტრასტული ილუზია ითვლება, ხოლო ასიმბილაციურ ილუზიებში განწყობის ეფექტი სუსტად ვლინდება (ილუზიის ნაკლები ინტენსივობა) და სტატისტიკურადაც ნაკლებად დამარწმუნებელია (ილუზიების რაოდენობის სიმცირე); 2. სუსტად ფიქსირებისას ასიმბილაციური ილუზიების რიცხვი იზრდება, ფიქსაციის გაძლიერებისას კი თითქმის მხოლოდ კონტრასტული ილუზიები გვეძლევა. თუ კონტრასტი განწყობის შეცვლის შედეგია, გაუგებარია რატომ ვერ უნდა სძლევდეს შეუსატყვისი სიტუაციის მოქმედება სუსტ განწყობას, კარგად ფიქსირებულს კი აღვილად ცვლიდეს.

ჩვენი აზრით, შესაძლებელია მოვხსნათ ყველა ზემოთ მითითებული სიძნელე, არ გამოვიყენოთ განწყობის კონტრასტულად შეცვლის პოსტულატი და მივინც განწყობის თეორიის პოზიციებიდან ავხსნათ ე. წ. კონტრასტული ილუზიის ფაქტი. ამ დასკვნამდე მივყავართ კონტრასტული ილუზიის შესახებ დ. უზნაძის ლაბორატორიაში შესრულებული გამოკვლევების შედეგების ანალიზსაც და ჩვენს ზემოაღწერილ ცდებს.

ჩვენი ცდების შედეგების საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ მოსაზრება, რომ აღქმის კონტრასტული ილუზიები განწყობის შეცვლას, საწინააღმდეგო განწყობის აღმოცენებას კი არ გულისხმობს, არამედ ფიქსირებული განწყობის ასიმბილაციური მოქმედების უშუალო შედეგია. ჩვევის დადებითი გადატანა რომ ფიქსირებული განწყობის ასიმბილაციური მოქმედების შედეგია, ამაში ეჭვის შეტანა ნაკლებად შეიძლება, რამდენადაც მიუხედავად დავალების შეცვლისა კრიტიკულ ცდაში (არატოლი მონაკვეთების ნაცვლად ტოლების ხაზის მოთხოვნა), სუბიექტი კვლავ ძველ მოქმედებას აგრძელებს (ხაზავს საგანწყობო ცდების ანალოგიურ უტოლო მონაკვეთებს). მაგრამ ზემოთ ისიც იყო დადგენილი, რომ ამ ასიმბილაციურ მოქმედებას ობიექტურად ტოლ მონაკვეთთა კონტრასტულად უტოლოდ აღქმა შეესატყვისება, რომ ორივე მათგანს ერთი და იგივე განწყობა უდევს საფუძველად. ეს კი გვიკარნახებს დასკვნას იმის შესახებ, რომ აღქმის კონტრასტული ილუზია ფიქსირებული განწყობის ასიმბილაციური მოქმედების უშუალო შედეგია და არა ამ განწყობის საწინააღმდეგო განწყობის აღმოცენებისა. ფიქსირებული განწყობის მოქმედების გამო სუბიექტი ასიმბილაციურ პერცეპტულ მოქმედებას აგრძელებს, ტოლებად მას საგანწყობო ობიექტთა ანალოგიური უტოლო ობიექტები ეჩვენება, ეს კი იმასვე ნიშნავს, რასაც ობიექტურად ტოლთა კონტრასტულად უტოლოდ აღქმა.

¹ დ. უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძველები, „ფსიქოლოგია“, ტ. VI, 1949, გვ. 24.

ჩვენი ცდების შედეგებს ეთანხმება ი. ბუალავას ცდების შედეგები, რომელმაც ოსცილოგრაფიულად მიიღო განწყობის კონტრასტული ილუზიისას ცპ-თა მთავარი ნიშნები. აღმოჩნდა, რომ ცპ-ის ხელი, მაგ., მოცულობის აღქმის კონტრასტული ილუზიისას იმავე იმპულსით მოქმედებას განაგრძობს, რომელიც საგანწყობო ობიექტების ზემოქმედების შედეგად იყო ფიქსირებული¹. ავტორის დასკვნა, რომ კონტრასტული ილუზიის აღმოცენება სწორედ ფიქსირებული განწყობის მოქმედებას ეყრდნობა, დამარწმუნებელია, ჩვენ სადავოდ მიგვაჩნია ავტორის მხოლოდ შემდეგი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ძველი ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე აღმოცენებული ილუზია შემდგომ ეტაპზე თავის შესატყვის, ძველის საწინააღმდეგო განწყობას წარმოქმნის. თუ კი პრინციპულად შესაძლებელია კონტრასტული ილუზია ფიქსირებული განწყობის მოქმედების უშუალო პროდუქტი იყოს, მაშინ ამ ილუზიის ახსნისათვის საჭირო არაა დამატებითი პოსტულატის—განწყობის მოქმედების კონტრასტულად შეცვლის პოსტულატის შემოტანა (შედეგი, რომ შემდგომ ეტაპზე ხელის კუნთური იმპულსების სიდიდითა კონტრასტული შეცვლა ხდება, როცა ვერ კიდევ განაგრძობს არსებობას კონტრასტული ილუზია, დაწვრილებითაა შესასწაველი და ასეთი დასკვნის აუცილებლობას არ იწვევს).

დებულება, რომ ტოლ ობიექტთა ილუზიური კონტრასტული აღქმა ფიქსირებული განწყობის ასიმულაციური მოქმედების უშუალო შედეგია, გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ განწყობის ბუნებას. განწყობა აღქმის ხატისადმი პასუხისმგებელია კი არაა (იგი საერთოდ არაა ცნობიერების რაიმე შინაარსისადმი მზაობა), არამედ აღქმისადმი მზაობაა, აღქმის ხატის ჩამოყალიბების მოქმედებისადმი მზაობა (მოქმედებისადმი მზაობაში იგულისხმება სუბიექტის მთლიანი ფსიქოფიზიკური „მომართვა“). თვითონ აღქმის ხატს (როგორც ცნობიერების შინაარსს) კი არ ესაჭიროება თავისი შესატყვისი განწყობა, არამედ ამ ხატის შექმნის სენსომოტორულ მთლიან ფსიქოფიზიკურ მოქმედებას. აღქმის კონტრასტული ილუზიისას კონტრასტული განწყობის აუცილებლობის დაშვება ნაკარნახევია იმ მოსაზრებით, რომ ყოველგვარ აღქმის შინაარსს უნდა შეესატყვისებოდეს იდენტური განწყობა. თუ ახალ სიტუაციაში კონტრასტული ილუზია გვეძლევა, მაგ., წარცხნივ დიდის ნაცვლად მარცხნივ პატარას აღვიქვამთ ილუზიურად, აუცილებლადაა მიჩნეული, მარცხნივ დიდის აღქმის განწყობის ადგილზე მარცხნივ წვირის აღქმის განწყობის დაშვება. ეს შეხედულება შეიძლება არ გაეფიქროთ. განწყობა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ სიტუაციისა და მოთხოვნის შეხედრის საფუძველზე. მაგრამ, ცხადია, რომ ილუზიური აღქმის შინაარსის იდენტური სიტუაცია მოცემულ მომენტში არ არსებობს (თვითონ ილუზიური აღქმის შინაარსი შეიძლება სიტუაციად იქცეს რაიმე სხვა მოქმედებისათვის, მაგრამ ჩვენი მსჯელობა ეხება არა ილუზიური აღქმის შინაარსს როგორც სიტუაციას, არამედ ამ აღქმის გამომწვევ შესატყვის ობიექტურ სიტუაციას), აქედან კი ცხადია, რომ ილუზიური აღქმის არ შეიძლება საფუძველად ედოს მისი შინაარსის იდენტური აღქმისადმი მზაობა. აღქმის კონტრასტული ილუზიისას მოქმედებს ძველი ფიქსირებული განწყობა და ახალი, ძველის არაშესატყვისი ობიექტური სიტუაცია, რაც უშუალოდ გასაგებს ხდის კონტრასტული ილუზიური განცდის წარმოშობას. ყოველგვარი აღქმის შინაარ-

¹ И. Бжалава, О природе контрастной иллюзии, Вopr. психол., № 4, 1958.

სისადმი ზუსტად შესატყვისი განწყობის აუცილებლობის აზრს რომ დაეთანხმებოდით, საჭირო გახდებოდა არამარტო განწყობის კონტრასტულად შეცვლის პოსტულატის, არამედ იმდენი პოსტულატის შემოტანა, რამდენიც განსხვავებული რაოდენობრიობის განცდა წარმოიშვებოდა ფიქსირებული განწყობისა და ახალი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, სიტუაციების შეხვედრის შედეგად, ეს კი გადაულახავი ლოგიკური სიძნელეა. ცხადვეით ეს აზრი, იმის მიხედვით, თუ რა სიდიდეები გვეძლევა როგორც კრიტიკული სიტუაცია, ერთი და იგივე ფიქსირებული განწყობის მოქმედების გამო სულ სხვადასხვა სიდიდეების აღქმა აღმოცენდება. უტოლობაზე ფიქსირებული განწყობის გავლენით ტოლი ობიექტები კონტრასტულად უტოლოებად განიცდება, მოინახება სიგანწყობო ობიექტების მსგავსი, ოღონდ ერთმანეთისაგან ნაკლებად განსხვავებული ობიექტები (როგორც ეს ჩვენს ექსპერიმენტებში და განწყობის ილუზიის გაზომვის ცდებში იქნა მიღებული), რომლებიც ტოლებად განიცდება. თუ პირველ შემთხვევაში აღქმა კონტრასტულია და ამის გამო განწყობის კონტრასტულ შეცვლაზე ლაპარაკობენ, რა უნდა გვეთქვას მეორე შემთხვევის შესახებ, სადაც კონტრასტული უტოლობის აღქმა კი არა გვაქვს და არც ასომილაციური უტოლობისა, არამედ ტოლობას განვიციდით? ცხადია, შესატყვისობის ზემომითითებულ დებულებას თუ არ დავარღვევთ, უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში ძველი განწყობა ტოლობის განწყობამ შეცვალა, ეს კი განწყობის კონტრასტულად შეცვლის პოსტულატის გვერდით ახალი პოსტულატის შემოტანაა. ასევე საკუთარი შინაარსის შესატყვისი განწყობით ძველი განწყობის შეცვლის დებულებების დაშვება დასჭირდებოდა რაოდენობრივი განსხვავების ყოველ სხვადასხვაგვარ განცდას, რომელნიც წარმოიშობიან ერთი და იგივე ფიქსირებული განწყობის ნიადაგზე რაოდენობრივ სხვაობათა მთელი სკალის აღქმისას. ასეთია ერთი ლოგიკური სიძნელეც, რომელიც შესატყვისობის დებულებას ხედება. თუ ყოველგვარი აღქმის შინაარსისადმი შესატყვისი იდენტური განწყობის არსებობის აუცილებლობის დებულებაზე უარს ვიტყვით, ფიქსირებული განწყობისა და ახალი სიტუაციების შეხვედრისას წარმოშობილი ყველა განცდა ადვილად აიხსნება თვითონ ამ შეხვედრით; ტოლობის თუ კონტრასტული ან სხვა სახის უტოლობის განცდა ერთსა და იმავე საფუძველს გულისხმობს: მოქმედებას განაგრძობს ფიქსირებული განწყობა, ძველი აღქმის ხატის შექმნის მოქმედებისადმი მზაობა, რომელიც ერთი მიმართულებით (თავის ასიმილაციურად) წარმართავს ახალი სიტუაციის აღქმის მოქმედებას, რის გამოც, სიტუაციის სხვადასხვაობის კვალობაზე, სხვადასხვაგვარი განცდები იჩენს თავს.

თუ ზემოთ წამოყენებულ შეხედულებას გავიზიარებთ და კონტრასტულ ილუზიურ აღქმას ფიქსირებული განწყობის ასიმილაციური მოქმედებისა და ახალი სიტუაციის უშუალო შედეგად მივიჩნევთ, მაშინ კვლავ წამოიჭრება ისეთივე სიძნელე რომლის თავიდან ასაცილებლადაც შემოტანილი იყო განწყობის შეცვლის ძირითადი კანონი. მაგრამ ახლა საკითხი შეეხება არა კონტრასტული ილუზიის ახსნას, არამედ რაოდენობრივ მასალაზე შემუშავებული ასიმილაციური ილუზიის ახსნას. მაგრამ ეს ამოცანა ნაკლებ სიძნელეებთან შეიძლება აღმოჩნდეს დაკავშირებული, რამდენადაც შესაძლებელია რაოდენობრივ მასალაზე მიღებული ასიმილაციური ილუზიების სტატისტიკურად ნაკლებად დამარწმუნებელი ფაქტების სულ სხვაგვარი ახსნა იქნეს მოპოვებული. ასეთი ახსნის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია. შეიძ-

ლება, მაგალითად, ვივარაუდოთ, რომ ასეთი ასიმილაციური ილუზიის ფაქტები განწყობის მოქმედების უშუალო შედეგი კი არაა, არამედ ობიექტივაციის დონეზე მიმდინარე პროცესებით აიხსნება. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ჩვენი ზოგიერთი ცპ-ის დაკვირვება, რომ ისინი კონტრასტულად ხაზვისას ევრდნობოდნენ არა უშუალოდ აღქმის შეფასებას, რამდენადაც უჭირდათ ტოლი ხაზების განსხვავება 2 მმ-ით განსხვავებულ ხაზთა წყვილისაგან, არამედ იმის ცოდნას, რომ ტოლების მისაღებად საჭიროა დაუკლონ ხაზის სიგრძეს იმ მხარეზე, სადაც სავარჯიშო ცდებში დიდი ხაზი იყო. საინტერესოა, აგრეთვე, სწორი მონაკვეთების ხაზვაზე ჩვენი II სერიის ცდების შედეგების გათვალისწინება. სავარჯიშო (საგანწყობო) ობიექტთა შორის მცირე განსხვავებების შემთხვევაში წარმოქმნილი უარყოფითი და დადებითი გადატანის დროს არ დასტურდება ტოლ მონაკვეთთა აღქმის ასიმილაციურობა-კონტრასტულობასა და გადატანის ნიშანს შორის რაიმე ერთმნიშვნელოვანი შესატყვისობა. კონტრასტულად მხაზველ 6 ცპ-დან ობიექტურად ტოლ ხაზებს ტოლად აფასებდა 2 ცპ, ასიმილატურად—1, ხოლო კონტრასტულად—3.

О ЗАКОНАХ НАРОДОНАСЕЛЕНИЯ ПРИ КАПИТАЛИЗМЕ И СОЦИАЛИЗМЕ

Ш. ШЕЛИЯ

До Маркса и Энгельса ни одна экономическая школа не могла дать подлинно научной трактовки вопросов теории народонаселения. Взгляды их о роли роста народонаселения в развитии общества и о факторах, определяющих этот рост, были чужды материалистическому пониманию этой проблемы, были построены на неправильных методологических основах. Происходящие в населении демографические процессы рассматривались, как результат воздействия естественно-биологических законов природы; они считали законы народонаселения вечными, неизменными, одинаковыми для всех эпох и общественных формаций.

Буржуазные ученые не в общественных условиях жизни людей ищут объяснения происходящих в обществе демографических процессов, а, наоборот, в демографических процессах ищут объяснения общественных явлений. Демографические процессы они объясняют неизменными и вечными законами природы.

Методологический порок буржуазных теорий о населении заключается в их попытках объяснить демографические процессы, исходя из законов биологии.

Таким образом, в противоположность единственно правильному методу марксистско-ленинского учения, рассматривающего демографические процессы как процессы, обусловленные общественно-экономическими отношениями основных классов, буржуазная наука стоит на ложных позициях, рассматривая демографические процессы, не как явления общественные, а как исключительно биологические.

Сторонниками рассмотрения демографических процессов как чисто «биологических» явлений были в XIX веке: Лексис, Гальтон, Пирсон и др., в XX веке: Джини, Фишер. Профессор Гарвардского университета Хутон утверждал, что будущее человечества зависит не от государственного строя и социально-экономических условий, а от законов биологии.

Апологетический характер буржуазной теории населения состоит в том, чтобы представить причины всех бедствий капитализма — обнищание, снижение темпов роста населения, кризисы и др., покоящимися на вечных законах природы.

Теоретической основой для всех буржуазных учений о народонаселении (мальтузианство, социальный дарвинизм, немальтузианство, рэсизм, органическая теория, буржуазный популяционизм и т. д.), является теория английского реакционного вульгарного экономиста Т. Р. Мальтуса.

Основные положения своей теории о народонаселении он изложил в своем трактате — «Опыт о законе народонаселения», изданном в 1798 г.

Мальтус в этой работе пытается доказать, что нищета и общественные бедствия объясняются тем, что население, если ему не препятствовать, свойственно размножаться в геометрической прогрессии, т. е. рост населения можно представить так: 1, 2, 4, 8, 16, 32, 64, 128, 256 и т. д. и темп этой прогрессии таков, что население удваивается через каждые 25 лет, а количество средств, существования не может увеличиваться быстрее, чем в прогрессии арифметической, т. е. рост количества средств существования представляется так: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. В результате наступает момент, начиная с которого количество средств существования, приходящее на душу населения, становится все меньше и меньше. Получается, что причина нищеты не в частнокапиталистическом присвоении производимых материальных благ, не в эксплуатации трудящихся, а в образующемся по вечным «законам» природы перенаселении. Надо ли доказывать всю вздорность подобных рассуждений! Так называемый закон абсолютного перенаселения не существовал ни в одну из исторических эпох. И в прошлом было немало ученых, которые стоя на научных позициях, опираясь на большой фактический материал, опровергали учение Мальтуса. Р. Оуэн доказывал, что при условии применения достижений науки, темпы роста производительных сил значительно превосходят темпы роста населения. По его подсчетам в 1817 г. в Англии и Ирландии население относилось к производительным силам уже как 1:12¹.

По словам Д. Бонара, биографа и комментатора Мальтуса, автор книги «Опыты о законе народонаселения» представляется «самою пагубною личностью своего века. Даже самого Бонапарта нельзя назвать столь же жестоким врагом человеческого рода. Он защищал оспу, рабство и детоубийство; он порицал общественные вспомоществования и ранние браки; он имел бесстыдство жениться после своей проповеди, направленной против семьи; он признавал мир настолько дурно устроенным, что наилучшие поступки неизбежно должны быть в нем производить величайшие бедствия; он лишил наше существование всякой поэзии и провозгласил жестокое правило на старую тему — суета сует, всяческая суета!»

По мнению Прудона, произведения Мальтуса — это «теория убийства, якобы из-за политических соображений, из-за филантропии, из-за любви к богу». Мораль «мальтузианцев — это мораль сваней».

С другой стороны, последователи Мальтуса признают его гениальным мыслителем и среди его безусловных сторонников можно назвать такие известные имена как Ж. Б. Сэ, Ля-Траси, Джемс Милль, Мак-Коллох, Сисмонди, Торнтон, Дж.-Ст. Милль, словам всех экономистов манчестерской школы.

Согласно данным американского ученого Уоренса Томпсона за 1871—1910 гг. в странах Европы и Америки ежегодный процент увеличения продовольствия в среднем составлял 2,2—4,3. Что же касается количества производства пшеницы, по данным научно-исследовательского института продовольствия США за 1885—1934 гг., то ежегодный средний процент прироста производства пшеницы во всем мире составлял 2,1. По подсчетам профессора Вилко за 280 лет — с 1650 по 1929 год — население земного шара увеличилось всего лишь в 4,9 раза, а ежегодное увеличение в среднем составляло 0,49 процента. По данным Кротопкина

¹ М. Рындина, Современное мальтузианство, стр. 8, Госполитиздат, 1956.

за период 1789—1897 гг. производство пшеницы во Франции увеличилось в 3,5 раза, а прирост населения составил всего 40 процентов¹.

Будет небезинтересным проследить, как изменялся среднегодовой темп прироста населения в главных капиталистических странах по периодам (в. %)².

Страны	Периоды:		
	1800—1871 гг.	1871—1913 гг.	1913—1949 гг.
Англия	1,3	1,1	0,5
Италия	0,8	0,7	0,6
США	1,9	2,1	1,2
Франция	0,4	0,2	—

Из этой таблицы видно, что если не принять во внимание некоторое увеличение среднегодового темпа в США в конце XIX и в начале XX веков, вызванное значительной иммиграцией из других стран, среднегодовые темпы прироста населения в главных капиталистических странах имели тенденцию к снижению. Поэтому ни о каком «безудержном» росте населения здесь не может быть и речи.

А какую картину мы имеем в производстве продовольствия после второй мировой войны?

Правда, в странах пострадавших в результате военных действий в течение ряда лет после войны имел место упадок сельскохозяйственного производства, однако, начиная с 1951 г. уже наблюдается тенденция к росту сельскохозяйственного производства. Если объем сельскохозяйственного производства в 1934 — 1938 гг. принять за 100, то в 1953/54 г. объем сельскохозяйственного производства составил:

Западная Европа	121
Северная Америка	147
Центральная и южная Америка	132
Африка	137
В целом по капит. миру	127

А каково же соотношение между ростом населения и производством продовольствия?

Если количество продовольствия в расчете на душу населения капиталистических стран в 1934—1938 гг. принять за 100, то в 1953/54 г. индекс составит 103³.

Несмотря на то, что этот статистический материал недостаточен, что периоды времени, по которым приводятся статистические данные, различны, тем не менее все это дает нам общую картину, ясно подтверждающую тот бесспорный факт, что темпы роста производства продовольствия всегда опережали темпы роста народонаселения.

Из этого ясно видно, что корни нищеты кроются не в том, что продукты питания производятся в недостаточном количестве и не в

¹ Газета „Дружба“, от 8 апреля 1956.

² „Экономика капиталистических стран после второй мировой войны“. Статистический сборник, М., 1953, стр. 53.

³ М. Рыжидина, Современное мальтузианство, стр. 18, Госполитиздат, 1956.

том, что народонаселение быстро увеличивается. Их нужно искать в распределении продуктов, в искусственно создаваемых препятствиях развитию производительных сил — вот в этих факторах.

Главная цель Мальтуса — защита буржуазного общественного строя. Он утверждал, что бедность и безработица порождены не общественным устройством, а самой природой. Он писал «Главная и непрерывная причина бедности мало или вовсе не зависит от образа правления или от неравномерного распределения имущества. Не во власти богатых доставить бедным работу и пропитание, поэтому бедные по самому существу вещей не имеют права требовать от них того или другого. Эта важная истина вытекает из закона народонаселения, который при ясном изложении доступен самому слабому пониманию. Поэтому, раз убедившись в них, низшие классы выказывали бы больше терпения в перенесении тягостного положения, в котором они могут оказаться. Нужда не вызывала бы в них такого негодования против правительства и богатых людей. Они не выражали бы постоянной готовности к неповиновению и мятежу. Их труднее будет волновать возмутительными книжонками, ибо они будут понимать как мало зависит от революции рост заработной платы и средств для содержания семьи»¹.

Следовательно, по Мальтусу, перенаселение и нищета являются следствием не общественно-экономических отношений капиталистического способа производства, а абстрактного закона природы. Перенаселение, свойственное капитализму, из **относительного**, т. е. обусловленного капиталистическими отношениями превращается Мальтусом в **абсолютное**. По его проповеди оно не может быть устранено путем изменения общественного строя, оно «не зависит от революции».

Ему подпекает современный мальтузианец У. Фогт. В своей книге «Путь к спасению», изданной в 1949 году, он пишет: «На земле имеется слишком много людей по сравнению с ее ограниченными ресурсами для обеспечения высокого уровня жизни», общество находится в таком же положении, в каком находится человек в ботинках, которые малы ему на два номера. Пора понять это и перестать винить существующие экономические системы. Р. Кук, в своей книге «Людская плодовитость — современная дилемма» заявляет, будто миру угрожает опасность вследствие неограниченной плодовитости людей, поскольку земля, пригодные к обработке, а также и средства существования имеются в ограниченном количестве. Тоже самое утверждают Пирсон, Харпер, Пендалл и др. Они заявляют, что на земле имеется в настоящее время не менее миллиарда «лишних ртов».

В Англии пропагандой мальтузианских идей занимаются биолог Д. Хаксли, Ч. Дарвин (внук великого естествоиспытателя). Пропитана мальтузианством и работа английского экономиста Кейнса «Общая теория занятости, процента и денег». Кейнс возводит до небес Мальтуса за то, что он оправдывает паразитическое существование господствующих классов.

Смешно говорить о том, что общество в силу законов природы неспособно себя прокормить. По данным статистики ООН за 1948—1950

¹ Т. Р. Мальтус, Опыт о законе народонаселения, т. II. Спб., 1868, стр. 341.



годы ежегодное производство зерна в мире составляет в среднем 600 миллионов тонн (в 1953 году — 655.800.000 тонн). Если считать, что в настоящее время во всем мире проживает 2.500 миллионов человек, то каждый человек ежегодно в среднем может получить по 240 кг зерна. Если исключить отсюда по 50 кг используемых в качестве семян и фуража, а также идущих на нужды виноделия, то и тогда на каждого человека придется по 190 кг зерна. Если же прибавить к этому ежегодную мировую продукцию рыбного промысла в размере более чем 27.100.000 тонн, примерно 41.520.000 тонн мяса (в этих цифрах отсутствуют данные по Советскому Союзу), около 250.000.000 тонн молока и большое количество фруктов и овощей, то можно будет, по-видимому, продуктами питания и другими материальными ценностями, создаваемыми народами мира, обеспечить все население нашей планеты; при условии, если распределение продуктов питания будет рациональным, если между государствами будет существовать на основе равенства и взаимной выгоды взаимопомощь и взаимное уведомление об имеющихся запасах.

Что же происходит в действительности? Каково реальное положение дела? В настоящее время сотни миллионов людей не получают достаточного количества продуктов питания и одежды и постоянно впадают в голодную и нищенскую жизнь. Это происходит главным образом потому, что продукты питания, производимые трудящимися не распределяются равномерно, а присваиваются в различных формах меньшинством. В одних государствах с одной стороны, продукты питания гниют на складах (не продаются или уничтожаются) с другой — есть нуждающиеся, которые не имеют возможности купить продукты питания, голодают и не получают пищи. Представители господствующих классов истошно кричат о «перенаселении» и в то же время огромное количество уже обработавшихся земель превращается в пустыри.

Авторы книги «Мировой голод» — американские профессора Пирсон, Харпер и другие мальтузианцы считают, что количество обрабатываемой земли не может быть увеличено, так как вся пригодная для сельского хозяйства земельная площадь якобы уже используется.

Между тем ресурсы для увеличения производства продовольствия в настоящее время — неисчерпаемы. Известно, что из всей поверхности земного шара суша занимает 149 миллионов квадратных километров. По данным «Статистического ежегодника ООН по сельскому хозяйству» в настоящее время площадь обрабатываемой земли, включая и фруктовые насаждения, составляет 1.270 миллионов гектаров, т. е. 8,5 процента от площади всей суши. Если в отношении земли, которую можно использовать, взять довольно низкую цифру (40%), то площадь земли которую можно обрабатывать во всем мире будет составлять 5.960 миллионов гектаров, это 4,5 раза больше площади земли обрабатываемой в настоящее время. Фактически, в условиях непрерывного прогресса науки и техники количество земли, которую можно использовать для обработки значительно превышает приведенные выше цифры. По данным академика Л. И. Прасолова 70% земной суши, или 10 млрд га пригодно для обработки¹.

Распределение площади обрабатываемых в настоящее время земель (1.270 миллионов гектаров) также очень неравномерно. В настоящее

¹ „Почвоведение“, № 10, 1947, стр., 585.

სად უნდა ვიგულისხმოთ ურარტული წყაროების ვიტერუხის ქვეყანა? საკუთრივ ურარტული წარწერები ამ საკითხის გადასაწყვეტად მტკიცე დასაყრდენს არ იძლევიან. ლუშასა (ლაზები) და ქათარზასთან (კლარჯები) ერთად მოხსენიება თითქოს შესაძლებლობას იძლევა ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქებში, ზღვის სანაპიროსთან ახლო მდებარე რაიონებში, ვივარაუდოთ ამ ტომის ადგილსამყოფელი. მაგრამ ურარტული წარწერების უფრო კონკრეტული ცნობები ამ ტომის შესახებ ართულებენ საკითხს. არგიშთი I სადღაც ჩილდირის ტბასა და ლენინაკანს შორის მოქმედების შემდეგ აფუშის ქვეყნის გავლით მიდის ვიტერუხის ქვეყანაში (YR II, 127, I). ამის მიხედვით შეუძლებელი არც არის, რომ აქ მერმინდელი სამცხე-ოძრახეს მიწა-წყალი ანდა (სამხრეთით) მის ახლოს მდებარე რაიონი იგულისხმებოდეს. მაგრამ ვიტერუხის მიწა-წყლის ასე შორს მოთავსების შემთხვევაში დამაფიქრებელია სარდური II-ის საქმიანობა, როდესაც ის ამ ქვეყნის მიწა-წყალზე ციხე-სიმაგრეს აგებს, ურარტულ გარნიზონს და საკუთარ მმართველს ტოვებს და სსე., ე. ი. უშუალოდ უერთებს ამ რაიონს თავისი სამეფოს, თავისი სამეფოს პროვინციად ხდის. შეიძლება თუ არა ჩვენ დაუშვათ ურარტელთა ასეთი აქტივობა ასე შორს ჩრდილოეთით მდებარე მხარეში? იმის მიხედვით რაც ჩვენ ვიცით ამ მიმართულებით ურარტელთა ლაშქრობების შესახებ (ჯერ-ჯერობით ლენინაკანის და ჩილდირის ტბის ჩრდილოეთით არც ერთი ურარტული წარწერა არაა აღმოჩენილი და სსე.), ეს საკმაოდ საძნელოა, თუმცა, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის. ამასთან დაკავშირებით უნებლიედ იბადება აზრი ხომ არ შეიძლება დაუკავშიროთ არგიშთი I-ისა და სარდური II-ის წარწერებში ვიტერუხის „სამეფო ქალაქად“, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ცენტრად მოხსენიებული ქალაქი ურიეიუ II ურიაი ცველ ქართულ საისტორიო მწერლობაში დასახელებულ „ქალაქ ჰურის“ სახელს. ეს სახელი გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისში, სხვადასხვა ლეგენდარული თუ ნახევრად ლეგენდარული ამბების გადმოცემისას: „ხოლო ჯავახოსს მისცა (მისმა მამამ, მცხეთოსმა) ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწ ჰქვან ჰური“ (ქც, I, 1955, გვ. 10). და კიდევ: „და ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება (საბერძნეთიდან გამოლაშქრებულ აზონს) ნაქალაქევესა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქც, I, 23).

ამრიგად ჯერჯერობით ცნელია გადაწყვეტილი თქმა, რომ ურარტული წყაროების ვიტერუხი მაინც და მაინც ნიშანდობლივ რომელიმე იმ ტერიტორიას გულისხმობს, რომელსაც უკავშირდება შემდეგში ბერძნული ტრადიციის Βνδρῆჯ ან ცველი ქართული წყაროების ოძრ(ა)ჯე. ყველაზე უფრო მაინც ურარტ. უიტერუხი ქართ ოძრახეს მეზობლად (სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით) მდებარე მიწა-წყალს შეიძლება თითქოს დაუკავშირდეს.

თუ ასეა როგორ უნდა ავხსნათ შემდგომში ამ სახელწოდების მატარებელი ტომების მეზობელ ადგილებში გამოჩენა? საესვებით შესაძლებელია, რომ თავიდანვე ისინი ამ ადგილებშიც იყვნენ გავრცელებული, თუმცა არც ის ჩანს გამორიცხული, რომ მათ ოდნავ ჩრდილოეთითა და დასავლეთით შემდეგში გადაენაცვლათ, დიაოხი-კოლხას დიდი გავრთიანებების განადგურებისა და

სკვით-კიმერიელთა ლაშქრობების მიერ გამოწვეული დიდი ძვრების შედეგად (ცვ. წ. VIII—VII სს.)¹.

ასეა თუ ისე, ანტიკური ხანისათვის მაინც ჩვენს წინაშე ამ სახელწოდების ფართო ტერიტორიაზე გავრცელება დღევანდელი აბასთუმნიდან დაწყებული ვიდრე სამხრეთ-დასავლეთით ტრაპეზუნტს და კიდევ უფრო დასავლეთით მდებარე პუნქტებს სამხრეთით მდებარე მთიანეთის კალთებამდე, ეს გარემოება, სხვათა შორის, ჩვენს წინაშე კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს სუამს—ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეთნიკურად, ტომობრივად ეს ვიტერუს(ხი)-ბიძგრი—ოძრახეს ტომები.

ამ საკითხის გარკვევაში ჩვენ შეიძლება შეგვეშველოს შემდეგი გარემოება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბერძნების ქართული სახელწოდება („ბერძენი“) სწორედ „ბიძგრი“-სახელიდან უნდა იყოს წარმომდგარი. მართლაც აქ, სავსებით შესაძლებელია, ქართულში გავრცელებული სატომო სახელთა მაწარმოებელი² (წარმოშობით ერთ-ერთი დეტერმინანტი³) „ენ“-სუფიქსით წარმოებასთან გვექნდეს საქმე სიტყვის ფუძეში მომხდარ მეტათეზისთან ერთად (ბიძრ > ბიძგრი > ბიძგრი-ენ > ბერძენ). რომ „ბერძენი“-სახელში „ენ“-სუფიქსია, კარგად ჩანს იმიტად, რომ „ბერძნული“-ს აღსანიშნავად ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს „ბერძლ“, „ბერძულ“⁴. „ბერძენი“-ის გვერდით ძველ ქართულ სამყაროს გააჩნდა ტერმინი „საბერძნეთი“ ბერძენთა ქვეყნის აღსანიშნავად. რაკი ბერძენთა და მათი ქვეყნის სახელწოდების სახით ამგვარი სახელი მხოლოდ ქართველებს მოეპოვებათ, ისმის საკითხი თუ რა საფუძველზე უნდა წარმოქმნილიყო იგი.

ამჟამად, რომ ეს სახელი უძველეს დროშია ჩამოყალიბებული, კერძოდ იმ პერიოდში, როდესაც „ბიძგრების“ ქვეყნის გარდაქმნა მოხდა ბერძნების ქვეყნად. ქართველთა (უფრო სწორად იბერ-ქართთა, რომელთა წიაღშიც უნდა წარმოქმნილიყო ეს სახელი) უძველესი ადგილსამყოფელის მეზობლად მდებარე ასეთი ქვეყანა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, სადაც გაჩნდნენ ძვ. წ. VIII—VI საუკუნეებიდან დიდი ბერძნული ახალშენები (სინოპი, ამისო, ტრაპეზუნტი და სხვ.), სადაც შემდეგში ჩამოყალიბდა პონტოს ძლიერი ეთნოსტური სახელმწიფო (უძველესი ქართული საისტორიო ტრადიციის „საბერძნეთი“⁵). საფიქრებელია, რომ ქართის იმ მოსახლეობაში, სადაც შემუშავდა სახელი „ბერძენი“, უკვე აღრევე „ბიძგრი“-სახელს ამ მხარის ზოგადი სახელის მნიშვნელობა უნდა მოეპოვებინა. ეგების სწორედ გარკვეულ წრეში ამ სახელის ასეთი ზოგადი სახით არსებობის გამოხატულებაა სტრაბონის განცხადება სკიძის-პარიადრის მთიანეთის მცხოვრებთა მიმართ, რომ „ზოგიერთნი ამ ბარბაროსთაგან იწოდებოდნენ აგრეთვე ბიძგრებად“ (სტრაბონი ამბობს: „[სკიძისეს] მწვერვალები უჭირავთ ჰეპტაკომეტებს. პარიადრე სიღენესა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან მცირე არმენიამდე ვრცელდება და

¹ ასეთი შესაძლებლობის შესახებ იხ. ჩვენი „К истории древней Грузии“, გვ. 223.

² ვრცლად ამის შესახებ იხ. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბგრი, „შრომები“, III, 1959.

³ იხ. ა. იქობაძე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942, გვ. 59, 96, 264 და სხვ.

⁴ იქვე, გვ. 56.

⁵ იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, 1955, გვ. 20—26.

ჭკმნის პონტოს აღმოსავლეთ ნაპირს. ყველა ამ მთებში მოსახლენი სრულიად ველურები არიან, ხოლო აღმეტებიან სხვებს ჰებტაკომეტები... ზოგიერთნი ამ ბარბაროსთაგან იწოდებიან აგრეთვე ბიერებად“—Strabo, XII, 3, 18).

ქართის ტომები უძველეს ხანაში აქ, ჩანს, ემეზობლებოდნენ სწორედ ბიძერების ტომებს და მათი სახელით იწყეს საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის აღნიშვნა. ეს შეიძლება მომხდარიყო არა მარტო მეზობლის სახელის მიხედვით მთელი იმ ტერიტორიის აღნიშვნის გზით, რომელიც ამ მეზობლის ქვეყნის იქით მდებარეობდა (ამგვარი რამ, როგორც ცნობილია, ხშირი მოვლენაა), არამედ იმის გამოც, რომ მთელი ეს მხარე—„ბიძერული“ იყო ენობრივ-ტომობრივად. მართლაც, როგორც ცნობილია, ამ მხარის უმთავრეს მოსახლეობას დასავლურ-ქართული, მეგრულ-ქანური მოსახლეობა ქმნიდა. თვით ჰებტაკომეტებიც, რომელთაც სტრაბონი ასახელებს ბიძერებთან ასე მჭიდრო კავშირში, მეგრულ-ქანები უნდა ყოფილიყვნენ. მათი სახელი, ჩანს, ადგილობრივი „შვიდსოფლებების“ ბერძნული თარგმანია, ამიტომ იგი შეიძლება დაუკავშიროთ ამავე მხარეში ანტიკური წყაროებით დამოწმებულ სკვითიანების ტომის და სკვიდისის მთიანეთის სახელწოდებებს, ხოლო ამაში ქართული „შვიდი“-ს მეგრულ-ქანური შესატყვისი ფორმა „შკვითი“ დავინახოთ¹. ამრიგად, ბიძერებიც მეგრულ-ქანებად შეიძლება ვცნოთ. მათი სახელი ამ ტომის მეზობლად მცხოვრებ ქართველებში, ჩანს, მეგრულ-ქანური ტომებისა და მათ მიერ დაკავებული მხარის (სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის) საერთო სახელად გაშვდარა. შემდეგში, როდესაც ამ მხარის ელინიზაცია მოხდა, ამ ტერმინმა იცვალა შინაარსი და იგი საკუთრივ ბერძნულ ეთნიკურ ელემენტზე იქნა გადატანილი.

„ბერძენი“—ტერმინის ისტორიის ამგვარი გააზრება ჩვენ გვშველის ქართის ტომების ერთ-ერთ უძველეს კერად სკვიდის-პარიადრის ქედების სამხრეთი კალთები მივიჩნიოთ. ეს გარემოება კარგად ეხმაურება აქამდე სხვა მასალაზე გაკეთებულ დასკვნებს. სწორედ აქ იყო სპერის ოლქი, რომლის სახელიც („იბერ“—ფორმით) უცხოელთა შორის ქართველისა და მათი ქვეყნის აღმნიშვნელი სახელი გახდა. სწორედ ამ ადგილების მეზობლად იყო ზოხმა II სოხმის ქვეყანა (იხსენიება ხეთურსა და ასურულ წყაროებში), რომლის სახელიც ქართველთა (შემდეგ საერთოდ ქართველებთან) სომხების სახელწოდებად იქცა. ეს კი შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ ამ უძველეს ხანებში ქართის ტომები ამ ზოხმა II სოხმის ქვეყნის მეზობლად ცხოვრობდნენ, აქ მეზობლობდნენ ამ ქვეყნის მიწა-წყალზე მცხოვრებ სომეხ ტომებს². ეს მხარე ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეში უცილობლად ქართ-იბერთა ხელში იყო³. მხოლოდ ძვ. წ. II საუკუნიდან ქართველს (იბერებს) იგი ჩამოართვეს მეზობლად ჩამოყალიბებულმა სომხურმა სამეფოებმა⁴.

მაგრამ რატომ ვთვლით, რომ სწორედ ამ ადგილებში მცხოვრებ ქართის ტომებში უნდა გარდაქმნილიყო „ბიძერ“—სახელი ბერძენების სახელად? რატომ არ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო თუნდაც თანამ. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართის ტომებში? მათთვისაც ხომ ბერძენთა ქვეყ-

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, гл. 79—81.

² იქვე, გვ. 102—103.

³ იქვე, გვ. 290—291.

⁴ Strabo, XI, 14, 5.

ნისაკენ, „საბერძენთისაკენ“ (= პონტო) მიმავალი გზა გადიოდა ბიერებთან დაკავებულ ტერიტორიაზე (სამცხე-ოძრავზე). ეს შეუძლებლად გვეჩვენება იმიტომ, რომ ბიერების ნაკვალევი ამ გზაზე თავს იჩენს განსხვავებული ფორმით (ოძრავე), საიდანაც „ბერძენ“ ტერმინის გაჩენა ნაკლებ მოსალოდნელია. ისიც დამახასიათებელია, რომ ამ ადგილას (ისტორიული სამცხის მიწა-წყალზე) ეს სახელი გვევლინება ხური-ურარტული „-ხე“ სუფიქსით აღჭურვილი და, მაშასადამე, საუბრებელია, ქართვეს აქ მცხოვრები ბიერების სახელი ხური ურარტელებისაგან უნდა შეეთვისებინათ. ამის მიხედვით აქაურ ბიერებსა და ქართვეს შორის ხური-ურარტული მოსახლეობის ფენაა საგულვებელი. ასეთი შუამავალი ფენის სახით სამცხის მიწა-წყალსა და ქართეს შორის ხური-ურარტული ელემენტები უფრო მეტად სავარაუდებელია, რა თქმა უნდა, სამცხის სამხრეთით (სამხრეთ-დასავლეთით)¹, ვიდრე მის ჩრდილოეთით (ან აღმოსავლეთით), ე. ი. თანამედროვე აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე.

„ბიერ“ სახელმა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა (მეგრულ-პანური ტომების აღნიშვნა), უნდა ვფიქროთ, მით უფრო ადვილად დაჰკარგა, რომ ქართ — იბერთათვის² დასავლურ-ქართულ მოსახლეობასთან შესებების უმთავრესმა კერამ სხვაგან, თანამედრ. დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე გადაინაცვლა. აქ იყო დასავლურ-ქართული ელემენტის ძლიერი გაერთიანება — ეგზარისის სამეფო. ამისდაკვალ სახელწოდება „მ-ეგრ-ელი“ წინა პლანზე გამოდის დასავლურ-ქართული ელემენტის აღსანიშნავად.

ნათქვამი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ იმ ქართის ტომების უცვლელს კერად, რომელთაც წამყვანი როლი ითამაშეს „ქართლის“ შემოკრებაში, აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნების ჩამოყალიბებაში, სავარაუდებელია თანამედროვე აღმ. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, პონტოს ქედის სამხრეთი კალთების მიმართულებით გადაჭიმული მხარე³.

დამახასიათებელია, რომ თუ ქართვეში ბერძენთა სახელის წარმოქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდება, მგზობელი სონხები ამ მხრეც „სამხრეთული“ ტრადიციის მატარებელი ჩანან. მათთან, ისევე როგორც მესოპოტამიისა (ასურეთი) და სირია-პალესტინის (იხ. ბიბლია) მცხოვრებლებთან, აგრეთვე ძველ სპარსელებთან, ბერძენის სახელად „იონიელი“ — სახელწოდება გადაიქცა ამის მიხედვითაც ქართის ტომთა იმ ჯგუფის გავრცელების არედა, რომელმაც ძირითადი როლი შეასრულა ქართლის სახელმწიფოებრიობისა და აღმოსავლურ-ქართული ეროვნების ჩამოყალიბებაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ბიერთა ადგილსამყოფელის მოსახლერე რაიონია საგულისხმევი და გარკვეულად გაწიორიცხება უფრო სამხრეთით მდებარე მხარე.

* * *

მთელი ზემორე ექსკურსი ბიერებთან დაკავშირებით მოჰყვა ჩვენს ცდას ამ სახელის მავალითზე გვეჩვენებინა, რომ ურარტული ზ (ჯტ“) ცოცხალ მეტ-

¹ სამხრეთ ანერკავკასიის დასავლეთ რაიონებში ხურიტული ელემენტების არსებობის შესახებ იხ. Г. А. Меликишвили, Папри-Урарту, 1934, გვ. 108—112.

² როგორც საკუთრივ შაოი, იგი დაავლეთ-ქართული ელემენტის ანთლაჟიფიფიფიფი ცხოვრების ცენტრია ჩრდილოეთი გადანაცვლების მეფე-დ.

³ იბრ. გ. მელიქიშვილი, ქართველი ხალხის წარმოშობის საკითხისათვის, თბილისი, 1953, გვ. 21 შმდ.

ყველებაში „ძ“-ბგერის აღმნიშვნელად გვევლინება და ამიტომაც ურარტუს მეფის რუსა II-ის (685—645) ადილჯევაზის წარწერაში მოხსენებული Halitu, თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე ურარტული ქ-ით ჰ-ს, ხოლო ლურსმულის უ-თი „ო“-ს გადმოცემის შესაძლებლობას¹, გამოთქმაში „ჰალიდო“-ს უნდა გულისხმობდეს. ეს უკანასკნელი კი თითქმის ზუსტად იმეორებს ჰომეროსის „ილიადაში“ მოხსენიებულ სახელწოდება „(ჰ)ალიდონ“-ს. ის, რომ ნახალური ხმოვანი გრაფიკაში „ნ“-ს გარეშე წარმოგვიდგა, დიდ დაბრკოლებას ვერ შეგვიქმნის ამ სახელთა გასაიგივებლად. ცველ სპარსულ ლურსმულ დამწერლობაში, მაგალითად, ამგვარ შემთხვევებში გრაფიკაში „ნ“ ხშირად აუსახველი რჩება და მკვლევართ ტრანსკრიფციაში მისი აღდგენა უხდებათ.

ამრიგად, ეძებნება რეალურ-ისტორიული საფუძველი ჰომეროსისეულ (ჰ)ალიდონებს. ირკვევა, რომ აქ საქმე ეხება ქვეყანას, რომელიც ცვ. წ. VII საუკუნის პირველი ნახევრის ურარტულ წარწერებში ხალიტუს სახით არის მოხსენიებული.

ზემოთ, „ილიადის“ სათანადო ადგილის ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩვენ იმ დასკვნაზე მივდივით, რომ (ჰ)ალიდონებში საგულგებელია აღმოსავლეთ მცირე აზიის რომელიღაც დიდი ერთეული. ანალოგიური დასკვნა კეთდება აგრეთვე ურარტული წარწერების ხალიტუს შესახებაც.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი იმის შესახებ თუ რას უნდა გულისხმობდეს ურარტული წარწერების „ხალიტუ“. ყურადღებას იქცევს, რომ ხალიტუ ადილჯევაზის ურარტულ წარწერაში მოხსენიებულია მცირე აზიის ისეთი დიდი ერთეულები გვერდით როგორცაა მუშქი (=ფრიგიის სამეფო) და ხათის ქვეყანა (ეს უკანასკნელი სახელწოდება ამ დროს ჩრდ სირიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის მიწა-წყალს ფარავდა). ხალიტუც მათი მეზობელი დიდი ერთეული უნდა იყოს მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. თუ ამგვარ დროის (ცვ. წ. VIII—VII სს-ის) ასურული წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ რაიონში ასეთი მსხვილი ერთეულის სახით ჩვენ წარმოგვიდგება თაბალი. ეს სახელი უცნობია ურარტელებისათვის და საცხებით დასაშვებია ვიფიქროთ, რომ „ხალიტუ“ ურარტელებისათვის სწორედ ასურელთა თაბალის შესატყვისი სახელი უნდა ყოფილიყო².

ასურული წყაროების მიხედვით თაბალი მდებარეობდა კილიკიის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით მედიდუსა (თანამ. მალატია) და დასავლეთით ანტიკ. თანა-კესარიის რაიონს შორის. ჩრდილოეთით „თაბალური ტომები“, ჩანს, შორ მანძილზე იყვნენ გავრცელებული შავი ზღვის სანაპიროთა მიმართულებით, რადგანაც უფრო გვიან ანტიკურ წყაროებში თანამ. ორდუს რაიონში დამოწმებული ტიბარენები, თუკი სახელთა მსგავსებისა და ტერიტორიული სიახლოვის ნიშნით ვიმსჯელებთ, თაბალების განტოტებას უნდა წარმოადგენდნენ³.

¹ ლურსმულ დამწერლობაში არ მოიპოვებოდა ნიშნები „ო“-ს გადმოცემად და ეს უკანასკნელი „უ“-ს ნიშნებით გადმოიცილებოდა. ასე, მაგალითად, ურარტულში ჩვენ გვაქვს დაწერილობა qulha, რაც გამოთქმაში უელოლაჲ „ყოლა“-ს გულისხმობს (შარ. კოლხიდა, კოლხეთი), გვაქვს Diauhi, რაოულიც გამოთქმაშია, უქველია, როგორც „დიაიხი“ (მდრბერძ. წყაროების „ტაიხი“) და ა. შ.

² იხ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959. გვ. 76.

³ იხ. იქვე, გვ. 72—77.

„ილიადში“ (ჰ)ალიძონებთან დაკავშირებით მოიპოვება საყურადღებო ცნობა, რომელიც არ შეიძლება უგულვებელყოთ მათი ადგილსამყოფელის საკითხის რკვევისას. როგორც დავინახეთ, იქ ნათქვამია, რომ (ჰ)ალიძონები მოვიდნენ ქვეყნიდან, „სად სამშობლო ვერცხლისა არის“. როდესაც სტრაბონი პომპროსისეულ (ჰ)ალიძონებს უკავშირებდა პონტოსპირეთის ხალხებ-ხალიბებს, ჩანს, რომ დიდად აწუხებდა ეს ნათქვამი ვერცხლის შესახებ. მან, ეტყობა, არაფერი იცოდა ამ ადგილების მოსახლეობის მიერ ვერცხლის დამუშავების თაობაზე. იგი ცდილობს ზოგადი მოსაზრებებით როგორმე მოუაროს ამ დაბრკოლებას. დემეტრიოსთან ამ საკითხზე პოლემიკის დროს იგი ამბობს: „მაგრამ ის არაა მისაღები, რასაც ვერცხლზე დემეტრიოსი და არც სურს მოუსმინოს მათ, ვინც ლებულთან „შორიდან ხალიბდან“ და დაბეჯითებით ვაიძახის საწინააღმდეგოს. დაეთანხმა რა იმაში, რომ არა აქვთ ესლა ხალიბებს ვერცხლის საბადოები, დაუშვა ის, რომ უწინ ჰქონიათ, ხოლო არ ეთანხმება იმაში, რომ [საბადოები] სახელგანთქმული იყო და ღირსი მოგონებისა, როგორც რკინის [საბადოები], მაგრამ რა უშლის, იტყვის ვინმე, რომ სახელგანთქმულიც ყოფილიყო, როგორც რკინის [საბადოები]? ან განა რკინის სიუხვეს შეუძლია ადგილს სახელი გაუთქვას, ხოლო ვერცხლის [საბადოებს] კი არა? თუნდაც გმირების დროს კი არა, მხოლოდ პომპროსის დროს გაეთქვა სახელი ვერცხლის საბადოებს, განა ვინმეს შეუძლია გაიკცხოს პიეტის აზრი?...“ (XII, 3, 23)¹.

ახალი დროის მკვლევრები, რომლებიც იზიარებენ პომპროსის (ჰ)ალიძონების სტრაბონისეულ გაიგივებას პონტოსპირეთის ხალხებ-ხალიბებთან, ჩვეულებრივ მიუთითებენ იმაზე, რომ გვიანდელ სანაში თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ პერიფერიაზე, გაუზუნხანეში წარმოებდა ვერცხლის მოპოვება. უკანასკნელ დროს, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ვერცხლის მოსაპოვებლად იქ არსებული მალაროები მიტოვებულია².

ამ საკითხზე მსჯელობისას, ვფიქრობთ, უფრო სწორი მაინც ის იქნება, რომ ამოვიდეთ ძველად არსებული ვითარებიდან. ეს უკანასკნელი კი, როგორც აღვნიშნეთ, გულისხმობს, რომ ანტიკურ სამყაროში არაფერი იყო კონკრეტულად ცნობილი ამ ადგილებში სახელგანთქმული ვერცხლის მალაროების არსებობაზე³. სამაგიეროდ „ვერცხლის სამშობლოზე“ მახლობელ აღმოსავლეთში უძველესი ხანებიდანვე სრულიად გარკვეული წარმოდგენა არსებობდა.

ჯერ კიდევ ძველ ბაბილონურ ქრონიკებში⁴, რომლებიც მოგვითხრობენ აქადის დინასტიის ძველამოსილი მეფის სარგონ I-ის ღამქრობაზე მცირე აზიაში, იხსენიება „ვერცხლის მთა“, სადამდეც მიულწევია სარგონს⁵. ამ უკანას-

¹ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957, გვ. 209—210.

² Минеральные ресурсы зарубежных стран, вып. 12, Минеральные ресурсы Турции, Москва, 1949, გვ. 55—56.

³ რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ აქ ვერცხლის მოპოვება ძველადვე ყოფილიყო (მცირე მასშტაბით? სტრაბონის შენდევ?). ედ. მაიერი, მაგალითად, არიანეს მიერ ამ მხარეში მოხსენიებული *Argyria*—სახელის მიხედვით ასკვნის, რომ ვერცხლის მოპოვება აქ ძველ დროშივე წარმოებდა, თუმცა სტრაბონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა—იხ. E. d. Meyer, *Geschichte des Königreichs Pontos*, Leipzig, 1879, გვ. 12.

⁴ L. W. King, *Chronicles Concerning Early Babylonian Kings* (Studies in Eastern History, 3, 1907).

⁵ P. oebel, *Historical Texts*, University of Pennsylvania, Publ. IV, № 1, გვ. 224

ქნელში, ექვს გარეშეა, ტავროსის მთა ივულისსმება მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში¹. მართალია, ტექსტები, რომლებიც ამის შესახებ მოგვითხრობენ თვით სარგონის დროინდელი (ძვ. წ. XXIV-ს.) კი არ არიან, არამედ ბევრად უფრო გვიანდელი, ცუდათაა ჩვენამდე მოღწეული და სხვ². მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ბაბილონელები და ასურელები ძველიდანვე ვერცხლს სწორედ აქედან იღებდნენ და ამიტომაც იხსენიებდნენ აღმოსავლეთ კილიკიაში მდებარე ტავროსის მთებს „ვერცხლის მთების“ სახელით. ვერცხლის მიღების წყაროს ეს რაიონი წარმოადგენდა აგრეთვე სირია-პალესტინის მცხოვრებლებისათვის³.

„ვერცხლის მთა (მთები)“ არაერთხელ გვხვდება ასურეთის მეფის სალმანასარ III-ის (859—824) წარწერებში თაბალის ქვეყანაზე ლაშქრობასთან დაკავშირებით. კალხუში (ნიმრუდში) აღმოჩენილ „შავ თაფლისკზე“ მოთავსებულ მატრიანეს ტექსტში მეფობის 22-ე წლის ამბების გადმოცემისას ნათქვამია, რომ მეფემ და მისმა ლაშქარმა გადალახეს მდინარე ეფფრატი და გაემართნენ თაბალის ქვეყნისაკენ. სალმანასარი ამბობს, რომ მან მიიღო ძღვენი „თაბალის 24 მეფისაგან“ და ამას უშუალოდ დასცენს, რომ იგი გაემართა Tanni-ს მთისაკენ, ვერცხლის მთისაკენ, და Muli-ს მთისაკენ, paruttu—ქვის მთისაკენ⁴. „ვერცხლის მთა Tanni“ (ტავროსი) იხსენიება ამავე სალმანასარ III-ის სხვა წარწერებშიც; ასე, მაგალითად, ბერლინში დაცულ, ქალაქ ასურიდან მომდინარე სალმანასარ III-ის ქანდაკებაზე ამოკვეთილ წარწერაში ნათქვამია, რომ მეფე მიადგა Tanni-ს (ტავროსს)—ვერცხლის მთას და Muli-ს —paruttu— ქვის მთას. მათ შორის თავისი გამოსახულება აღმართა, დიდძალი paruttu—ქვა⁵ წამოიღო და Que-სა (კილიკია) და თაბალის ქვეყნებზე გაემართა, დაარბია ისინი და ა. შ.⁶.

¹ E. Weidner, Der Zug Sargons von Akkad nach Kleinasien, Boghazkői-Studien, Heft 6, Leipzig, 1922, გვ. 60—61. იხ. აგრეთვე: Poebel, დასახ. ნაშრ., გვ. 224 შმდ; Meißner, OLZ, 1912, სვ. 145 შმდ; A. Goetze, Kleinasien, 1957, გვ. 64—65.

² შდრ. Benno Landsberger, Assyrische Handelskolonien in Kleinasien aus dem dritten Jahrtausend, Leipzig, 1925.

³ Reallexikon der Vorgeschichte, Bd 12, 1928, გვ. 162.

⁴ იხ. A. H. Layard, Inscriptions in the cuneiform character from assyrian monuments, ტაბ. 92; D. D. Luckenbill, ARAB, I, § 579. შდრ. E. Schrader, Keilinschriftliche Bibliothek, I, 1889, გვ. 128 შმდ; Amiaud et Scheil, Les inscriptions de Salmanasar, II და სვ.

⁵ paruttu-ს ადრე ჩვეულებრივ მარმარილოს აღმნიშვნელად განიზილავდნენ, მაგრამ ირკვევა, რომ იგი აღებასტრის აღმნიშვნელადაც იყო გამოყენებული—იხ. Reallexikon der Assyriologie, I, გვ. 436 შმდ. Muli-ს მთას, რომელიც paruttu (ამ შემთხვევაში—მარმარილოს)—ქვის ადგილსამყოფადაა დასახელებული, ათავესტენ ჰალისის შუა დინებაზე, კირსე-პირიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 15 კლმ-ის მანძილზე (Ritter, Kleinasien, გვ. 328)—იხ. E. Michel-თან ჟურნალში „Die Welt des Orients“. Bd. I, H. 2, 1947, გვ. 61, შენ. 20.

⁶ სალმანასარ III-ს ტექსტები ახლად დაამუშავა და გამოაქვეყნა E. Michel-მა იხ. მისი წერილების სერია, „Die Assur-texte Salmanassars III (858—824)“. ჟურნალში: „Die Welt des Orients“. აქ Bd. 2, H. 2-ში ავტორი ათავსებს სალმანასარ III-ის 22-ე წლის ლაშქრობის ამბების გადმოცემს ტექსტს: ina XXII palē^{MEŠ}-ja 22-[šú] id puratta e-bir a-na mat ta-ba-li at-ta-rad ina ūmē^{me}-šū-ma šá 24(?) šárrani^{MEŠ} ni šá māt ta-ba-li i-გი-si-šū-nu am-dah-har a-na kur^{me}tu-[un-ni] šadē kaspi (Kù.BABBAR) kur^{me}mu-li-išadē

ამრიგად შუამდინარეთის და სირია-პალესტინის მცხოვრებლებს სრულიად გარკვეული წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ იმის შესახებ თუ სად იყო „ვერცხლის სამშობლო“ საერთოდ. ეს იყო ტავროსის მთიანეთი აღმოსავლეთ კლიკიაში, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებთან ძვ. წ. IX—VII საუკუნეებში იწყებოდა თაბალის ვრცელი ქვეყანა.

შეიძლება თუ არა ძველ ბერძნებს აღმოსავლეთიდან შეეთვისებინათ წარმოდგენა „ვერცხლის მთისა“ და „ვერცხლის სამშობლოს“ შესახებ? ვფიქრობთ, სავსებით შესაძლებელია. უკვე მიკენურ (ხეთურ) ხანაში დამოწმებულია ბერძენ-აქვევლთა ინტენსიური ურთიერთობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობასთან. ასევე, ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებშიც ივარაუდება ინტენსიური სავაჭრო და სხვ. ურთიერთობა ასურელებისა და სირია-პალესტინის მცხოვრებლებისა ბერძენ-იონიელებთან, ხოლო სარგონ II-ის ხანაში (722—705) იონიელთა ექსპანია მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში ექვს გარეშეა. სარგონ II არა ერთხელ იხსენიებს „იამანელებს“, ე. ი. იონიელებს, რომელთაც მას შეტაკება უხდებოდა. იგი იკვებნის, რომ თევზების მსგავსად გამოათრია ჩამავალი მზის ზღვიდან (ე. ი. ხმელთაშუა ზღვიდან) იონიელები (ARAB, II, 80 და სხვ.). ექვს გარეშეა, რომ სირიის სანაპიროსა და ეგვიპტის ქალაქებთან იონიელები ბევრად უფრო ადრეც სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ¹. ძველი ებრაელების საისტორიო ტრადიციამაც, რომელიც დაახლოებით ამავე ეპოქას განეკუთვნება, შემონახა მკაფიო მოგონება იონიელებზე. მსოფლიოს ხალხთა ჩამოთვლაში (მოსე, I, 10,2 შმდ.) იაფეტის შვილებს შორის მოხსენიებული არიან: გომერი (კიმერიელები), მაგოგი, მადაი, იავანი (იონიელები) თუბალი (ტიბარენები), მეშეხი (მუშექები). იავანის შვილებად დასახელებული არიან: ელისა, თარსის, ხეთები და დოდანელები. ტვიროსის ვადებაში კი იფიქიელი (27, 13). აღნიშნავს, რომ „შენთან“ (ე. ი. ტვიროსთან) აღამიანებითა და სპილენძის ჭურჭლით ვაჭრობას ეწეოდნენო „იავანი, თუბალი და მეშეხი“ და ამას შენს საქონელზე სცვლიდნენო². ბერძნების ერთ-ერთ უმთავრეს კერად ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ძველიდანვე იქცა მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროსა და სირიის სანაპიროს მახლობლად მდებარე კუნძული კვიპროსი.

უახლოესი დროის არქეოლოგიური კვლევა-ძიება ადასტურებს ბერძნულ ტრადიციაში დაცულ ცნობებს მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე ბერძნული ახალშენების ჯერ კიდევ ძვ. წლ. XI ს-ში გაჩენის შესახებ. ძვ. წ. VIII ს-ში მაინც ბერძნული გავლენა უცილობლად იგრძნობა კარიაში, ლიკიაში, ისევე როგორც ლიდიაში³. აქვე გასათვალისწინებელია ე. წ. ფრიგიული კულტურის ჩამოყალიბებაში (თარიღდება VIII ს-ით) ბერძნული კულტურის მძლავრი

parutti (ZÄ. GIS. ŠIR. GAL) a-lik (დასახ. ნაშრ., გვ. 154—155). ამავე ჟურნალის Bd. I, H. 2, 1947-ში გადმოცემულია ჩვენთვის საინტერესო მეორე ტექსტი: a-na^{kur}tu-un-ni ša-dé^e kaspi kur^{mu}-li-i šadé^e parūti e (GIS)-li šal-mu giš-ru-ti-a ina qir-bi-šū-nu ul(!)-ziz parūtu ma'-du a-na la ma-ni úš-šá-a a-na māt qu-ú-e māt ta-ba-li a-lik და ა. შ. (დასახ. ნაშრ., გვ. 58 შმდ.).

¹ Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Ägyptens, Bd. I, Heidelberg, 1927, გვ. 403.

² Fr. Bilabel, დასახ. ნაშრ., იქვე.

³ ob. Ekrem Akurgal, Phrygische Kunst, Ankara, 1955, გვ. 117—118.

გაგლეხის ფაქტი¹ და ა. შ. ძვ. წ. VIII—VI სს. ხომ მცირე აზიის სანაპიროებზე იონიელთა ინტენსიური კოლონიზაციის ხანაა.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ჰომეროსის პოემების, კერძოდ „ილიადის“ შექმნა მნიშვნელოვან წილად სწორედ მცირე აზიის მიწა-წყალზე მცხოვრებ ბერძნებს შორის ივარაუდება, ბუნებრივი იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ამ დროის მცირეაზიული ვითარება და აღმოსავლეთში არსებული წარმოდგენები შეიძლება ასახულიყო „ილიადა“-ში.

„ჰომეროსის კრიტიკამ“² ვასულ საუკუნეში ილიადა და ოდისეია უამრავ სხვადასხვა ნაწილად დაინაწევრა და მთლად ხაზი გადაუსვა წარმოდგენას მათი ერთიანი ავტორისა და ერთ დროს შექმნის შესახებ. განსაკუთრებით გვიან ჩანართებად მიჩნეული იყო პოემების ზოგი ადგილი. „ილიადა“-ში ასეთთა შორის მუდამ იხსენიებდნენ „მეორე სიმღერის“ ცნობილ „ხომალდთა კატალოგს“ და მასთან ორგანულ კავშირში მყოფ „ტროელთა კატალოგს“³. XX საუკუნეში „უნიტარისტების“ თვალსაზრისში მოიპოვა გამარჯვება. აღსდგა აზრი პოემების ერთიანობისა და მათი ერთიანი ავტორის — გენიალური ჰომეროსის რეალურობის შესახებ. უკანასკნელ ათეულ წლებში მოპოვებულმა პროგრესმა კრეტა-მიკენის სამყაროს შესწავლის დარგში (ამ დროის დამწერლობათა ამოკითხვა და სხვ.) კიდევ უფრო განამტკიცა ეს თვალსაზრისი. ჰომეროსის ბევრი ცნობა, პოემებში მოხსენიებული ბევრი სახელი, დოკუმენტალურად დადასტურდა მიკენურ ცელებში⁴. ამან კიდევ უფრო მეტად აშკარა გახადა, რომ ბევრი რამ პოემებში მართლაც უწყველეს მიკენურ ტრადიციასა და გადმოცემებს ემყარება. მაგრამ უკვე ახლა სამართლიანად ისმის სამეცნიერო ლიტერატურაში ხმები მეორე უკიდურესობაში გადავარდნის საფრთხის თავიდან აცილების აუცილებლობის შესახებ. რა თქმა უნდა, არა მარტო ყველაფერი „ილიადაში“ მიკენურ პერიოდს არ ასახავს, არამედ ბევრი რამ იმ დროზე უფრო გვიანდელიც არის, როდესაც ივარაუდება პოემების შემქმნელი პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა (დაახლ. ძვ. წ. 850 წ.—ჰეროდოტეს მიხედვით (II, 53), ხომ ჰომეროსი მის დროზე 400 წლით უფრო ადრე ცხოვრობდა!)⁵. პოემების არაერთგვაროვნება ბევრ რამეში იჩენს თავს. მათში ასახული მატერიალური კულტურა ნაწილობრივ მიკენური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებში ჰპოვებს ახსნასა და პარალელებს, ნაწილობრივ კი ბევრად უფრო გვიანდელი, ზოგჯერ VII საუკუნეზე ადრეულიც კი არ ჩანს⁶. იგივე ითქმის აქ ასახული სოციალური წყობისა და ზენიფეულებების შესახებ. პოემების ენობრივ-ლიტერატურული ანალიზიც იგივე სურათს იძლევა — ეპიკური ტრადიციის ზოგი ნაკადი მიკენური ხანიდან იქნა შეთვისებული, თუმცა მათი შემდგომი განვითარება იონიაში — მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებზე დამკვიდრებულ ბერძენი პოეტების მიერ ხდებოდა. ასე რომ პოემებს გააჩნია მათ შემქმნელზე

¹ Ekrem Akurgal, დასახ. ნაშრ., გვ. 36 და სხვ.

² იხ. D. Müller-თან: Realencyclopädie der klassischen Altertumswissenschaft, IX. 1916, სვ. 1008 და სხვ. (იქვე მითითება სათანადო ლიტერატურაზე); მისივე, Die Ilias und ihre Quellen. Berlin, 1910, გვ. 86—104.

³ С. Я. Лурье, Язык и культура Микенской Греции, М.—Л., 1957, გვ. 11, და სხვ.

⁴ Дж. О. Томсон, История древней географии, Москва, 1953, გვ. 44.

⁵ Дж. Томсон, Исследования по истории древнегреческого общества, Москва, 1958, გვ. 503—505.

(პომეროსზე) უფრო ადრეული ხანის ისტორიაც და მომდევნო ხანის ისტორიაც. პოემები საერთოდ, ჩანს, X—IX სს-ში ჩამოყალიბდა მცირე აზიაში, მაგრამ მათი შევსება VIII—VII სს-შიც გრძელდებოდა¹.

დიდმა პროგრესმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი ათეული წლე.ის მანძილზე მიკენური ხანის საბერძნეთის შესწავლის საქმეში, ძირფესვიანად შეცვალა დამოკიდებულება „ხომალთა კატალოგისადმი“. მაშინ, როდესაც XIX საუკუნეში იგი ერთ-ერთ ყველაზე უფრო გვიანდელ შენათხად მიიჩნდათ, ამჟამად მის მიმართ სულ უფრო და უფრო გაბატონებას პოეებს მოსაზრება, რომ აქ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს ძველი მიკენური ქრონიკის კარგად შემონახულ ნაწილთან. მართალია, ზოგი მკვლევარი სკეპტიკურად უყურებს მკვლევართა ცდას—აღადგინოს „ხომალთა კატალოგის“ ცვ. წ. II ათასწლეულის დოკუმენტური წყარო², მაგრამ ცნელია იმის უარყოფა, რომ ასე თუ ისე „კატალოგი“ ძველ, მიკენური ხანის ტრადიციას ემყარება. „ხომალთა კატალოგი“ „ილიადაზე“ უფრო ადრინდელია, იგი ეყრდნობა „ბრინჯაოს ხანის“ ოფიციალურ სიას (XIII—XII სს.), თუმცა მასში ზოგი მოდიფიკაციაა მომხდარი კლასიკური დროის ამა თუ იმ ბერძნული ქალაქის სასარგებლოდ³.

ნაკლები ერთსულოვნება სუფევს ახალი დროის მკვლევართა შორის „ტროელთა კატალოგის“ შეფასებაში. მართალია, ზოგი მკვლევარი ცდილობს „აქვეელთა (ხომალთა) კატალოგის“ მსგავსად „ტროელთა კატალოგიც“ გააარქაულოს ფიქრობს, რომ, ეს უკანასკნელიც მიკენური ხანის ძველია (ამაზე უნდა მიგვიფიქრობდესო ის, რომ მასში მიღებულ იონიელთა ფართო გეოგრაფიული პარიზონტის ნაკვალევი არ ჩანს, სოლო გვიან ბერძნებისათვის სრულიად უცნობი „ალაბეს“ დასახელება სწორედ „კატალოგის“ ამგვარი სიძველის ერთ-ერთ უმთავრეს საბუთად მიიჩნევა)⁴, მაგრამ მკვლევართა დიდი ნაწილი „ტროელთა კატალოგის“ ამგვარი გაარქაულების აზრიდან შორს დგას. ფიქრობენ, კერძოდ, რომ „ტროელთა კატალოგი“ „ხომალთა კატალოგზე“ უფრო გვიანდელი უნდა იყოს, იგი „ხომალთა კატალოგის“ საპირისპიროდაა შექმნილი, მასში ბევრ რამეს „კლასიკური დროის“ იერი დაჰკრავს და იგი თვით პომეროსის (IX ს.), ან მისი უშუალო წინამორბედების შემონაქმედი უნდა იყოს⁵.

¹ Дж. Томсон, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 529, 517.

² Дж. О. Томсон, *История древней географии*, Москва, 1953, გვ. 45.

³ ია. Peter von der Mühl, *Kritisches Hypomema zu Ilias*, Basel, 1952 გვ. 53.

⁴ P. B. S. Andrews, *The Mycenaean name of the land of the Achaians*, „Revue hittite et asianique“, t. XIII, fasc. 56, 1955, გვ. 7.

⁵ ია. Denys L. Page, *History and the Homeric Iliad*, Berkeley and Los Angeles, 1959, გვ. 137 შუად.

⁶ P. B. S. Andrews, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 8—9. W. F. Albright-ის აზრითაც (იხ. მისი „Some Oriental Glosses on the Homeric problem“, „American Journal of Archaeology“, vol. 54, № 3, 1950, გვ. 172—173), „ტროელთა კატალოგი“ დიდად განსხვავდება მიკენური სიტუაცია ამსახველ „აქვეელთა (ხომალთა) კატალოგისაგან“. მასთან შედარებით იგი მეტად უფრეულია, იგი შედგენილი უნდა იყოს ხეუბების სამეფო დაცემის შემდეგ საუკუნეებში. ფრიგიელთა მოახელება ასკანიის ტბის რაიონში (ბოთინია) მას იმის ნიშნად მიანიჩა, რომ ფრიგიელთა წინსვლა სამხრეთ-აღმოსავლეთით, ჩანს, ჯერ კიდევ არ მომხდარა, ხოლო მდინარეებზე (კოდუელთა), კარიელთა და ლიკიელთა მოახელება შეიძლება ხეუბების სამეფოს დასარულსაც ეკუთვნოდეს, თუმცა შეიძლება უფრო გვიანიც იყოსო (მაგრამ არა უგვიანეს ლიდის დიდი სამეფოს შექმნისა ძვ. წ. VIII ს-ში).

რთულია აგრეთვე „კატალოგის“ წყაროთა საკითხი. ზოგიერთს „კატალოგი“ ილიადის მასალის საფუძველზე შექმნილ და მილეტელი მოახალშენების ცნობებით შეესებულ დოკუმენტად მიაჩნია¹, სხვები, პირიქით, თვლიან, რომ „კატალოგი“ არაა ილიადის საფუძველზე შედგენილი, იგი, გადმოცემით კვიპროსზე არსებული, ასეთივე კატალოგის ვარიანტია². ამრიგად, ჯერჯერობით ძალიან ძნელია რაიმე მტკიცე საყრდენის მონახვა „ტროელთა კატალოგის“ დასათარიღებლად. ის, რომ იგი მიკენური ხანის დოკუმენტია—ძნელი დასამტკიცებელია. თუ D. L. Page ამგვარ მტკიცებებს იმ ფაქტს ეყრდნობა, რომ „ალიბე“-ს შესახებ მოგვიანო ხანაში არავინ არაფერი იცოდა, ჩვენ შეიძლება შევნიშნოთ, რომ პომეროსთან აღიბეს გვერდით მოხსენიებული, აღიბეს ქვეყნის მცხოვრები (ჰალიძონები დამოწმებული ჩანან სწორედ საკმაოდ გვიან, ძვ. წ. VII ს ურარტულ წარწერებში (Halitu-პალიძო). რა თქმა უნდა, გამოირჩეული არ არის, რომ ეს სახელი უფრო ადრეც ყოფილიყო გავრცელებული, მაგრამ ხომ შეიძლება პირიქითაც ითქვას, რომ ეგების „ალიბე“ ან რომელიმე ის სახელი, რომლის მოდიფიკაციასაც იგი წარმოადგენს, ასევე გავრცელებული ყოფილიყო გვიან ხანაში! ან განა ფრიგიელთა მოხსენიება „კატალოგში“, ისევე როგორც საერთოდ ილიადაში, შესაბამება მიკენურ ხანას, როდესაც ფრიგიელ ტომთა არსებობა მცირე აზიაში არც ივარაუდება? ამრიგად, „ტროელთა კატალოგის“ მეტისმეტი გაარქაულების ცდა, ჩვენი აზრით, გამართლებული არ ჩანს. იგი ჯერჯერობით იმ ქრონოლოგიურ ჩარჩოებშია სავარაუდებელი, როდესაც იგულისხმება „ილიადის“, როგორც ერთი მთლიანი პოემის. შექმნა და მისი შემდგომი შეესება-რედაქტირება (ძვ. წ. X—IX სს-დან ცვ. წ. VII—VI სს-მდე).

„ტროელთა კატალოგში“ მოხსენიებული პალიძონების ვინაობისა და აღვილსამყოფელის საკითხის რკვევისას ჩვენ სწორედ ამ დროის მცირეაზიური ვითარებიდან, მცირე აზიის შესახებ ამ დროის ძველადმოსავლურ (ასურულ, ურარტულ) წყაროებიდან ამოსვლა განვიზრახეთ. როგორც ვხედავთ, „ჰომეროსის საკითხის“ დოვანდელი გადაწყვეტა შესაძლებელს ხდის ამგვარ ამოსავალს. პომეროსისეული ცნობა (პალიძონების შესახებ ერთი მხრით საყრდენს ჰპოვებს IX ს. და უფრო ადრეული ხანის ასურულ-ბაბილონურ ცნობებში ტავროსის — „ვერცხლის მთის“ (= პომეროსისეული „ვერცხლის სამშობლო“) შესახებ, ხოლო წეორე მხრივ VII ს-ის პირველი ნახევრის ურარტული წყაროების ცნობაში აღმოსავლეთ მცირე აზიის დიდი ერთეულის ხალიტუს (= პალიძონი) — ქვეყნის შესახებ, რაც, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, შეესატყვისება ასურული წყაროების თაბალს (ვერცხლის მთისთან — ტავროსთან აღმოსავლეთ მცირე აზიაში მდებარე ვრცელ ქვეყანას).

ამრიგად პომეროსის ცნობას (პალიძონების შესახებ გარკვეული კონკრეტულ-ისტორიული საფუძველი გვაძლავს.

მაგრამ ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ვერ ამოსწურავს იმას, რაც უნდა ითქვას „ილიადის“ ჩვენთვის საინტერესო აღვილის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. აქამდე ჩვენ გვერდს უვლიდით პომეროსის ცნობის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ (პალიძონები ტროას კედლებთან მოვიდნენ ალიბეს

¹ V. Burr, Neon Katalogos. Untersuchungen zum Homerischen Schiffskatalog, Leipzig, 1944, გვ. 149—153.

² W. Kullmann, Die Quellen der Ilias, Wiesbaden, 1960, გვ. 169—176.



ქვეყნიდან. რაღა უნდა იყოს ეს ალიბე? ჩვენ გვეცნელება ისეთივე კონკრეტულ-ისტორიული საფუძველი მოუცნობოთ ალიბეს, როგორც, ჩვენი აზრით, გცნობნებათ (ჰ)ალიბონებს. შეიძლება ჰომეროსისეული „ალიბე“ მართლაც გვიანდელი „ხალიბის“ დამახინჯებული დაწერილობა ან ვარიანტი იყოს, როგორც ამას ჯერ კიდევ სტრაბონი ვარაუდობდა.

მაგრამ აქ გასათვალისწინებელია თვით „ხალიბი“—სახელის უაღრესი ბუნდოვანება. ცნობილია, რომ ბერძენ-რომაელი ავტორები ხალიბთა ადგილსამყოფელად ერთ რომელიმე კონკრეტულ რაიონს არ მიუთითებენ. ქსენოფონტე მათ იხსენიებს ჯერ დღევანდელი არზრუმის რაიონში (ანაბაზისი, IV, 7, 15 შმდ.), შემდეგ კი ზღვის სანაპიროზე ტრაპეზუნტს დასავლეთით (იქვე, V, 5, 1). ზოგი ავტორი ხალიბებს ჰალისს დასავლეთითაც¹ იხსენიებს, თუმცა ამ ცნობების სისწორეში მკვლევართ ეჭვი შედით². დამახასიათებელია, რომ თვითონ მცირეაზიული წარმომბობისა და მცირე აზიის გეოგრაფიის კარგმა მცოდნე სტრაბონმა, ჩანს, არაფერი იცის აქ ცხელი მოსახლეობის არსებობის შესახებ, რომელიც „ხალიბი“—სახელს ატარებდეს. სწორედ ამიტომ ამბობს იგი, რომ „ეხლანდელი ხალდეები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენო“ (XII, 3, 19), ისიც, ამასთანავე, სხვადასხვა რაიონს მიუთითებს ხალდეების ადგილსამყოფელად. თუ ერთგან მის თხზულებაში ხალდეების ადგილსამყოფელად ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის სამხრეთით (XII, 3, 18) ან, უფრო ზუსტად, ფარნაკიის სამხრეთით (XII, 3, 19) მდებარე მთიანეთია დასახელებული, ცნობაში, რომ სომხებმა „ხალდებსა და მოსინიკებს“ წაართვეს „ქარენიტიდა და ქსერქსენა“ (XI, 4, 5), უკვე სულ სხვა რაიონია ნაგულისხმევი. ქარენიტიდა—გვიანდელი კარინის (ქართული კარნუ—ქალაქი, ბიზანტ. თეოდოსიობოლისი), ე. ი. თანამ. არზრუმის მხარეა, ხოლო ქსერქსენა—მეზობლად მდებარე დერჯანის ოლქი.

ანტიკური წყაროები ხალიბების შესახებ არაფერ კონკრეტულს არ ამბობენ. განუწყვეტლივ მეორდება მხოლოდ და მხოლოდ აზრი, რომ ისინი არიან რკინის გამომგონებლები, რკინის დამამუშავებლები და სხვ. ზოგიერთ მკვლევარს, საფუძვლიანად შეჰქონდა რა ეგვი ხალიბების რეალურობაში, დასაშვებლად მიაჩნია, რომ ხალიბებს თავი ეჩინათ ყველგან, სადაც კი სახეზე იყო რკინა და რკინის დამუშავება. ხშირად ფიქრობენ, რომ ხალიბების სატომო სახელიდან არის წარმომდგარი ბერძნული სიტყვა ჯაღსპ „ფოლადი“, მაგრამ არა ერთხელ გამოთქმულა მოსაზრებაც, რომ ეგების პირიქით ჯაღსპ—სახელის საფუძველზე წარმოიქმნა ან გარდაიქმნა „რკინის გამომგონებელი“ ტომის სახელი „ხალიბი“—სახელად³. ამიტომაც, ჩვენ გვეჩვენება, მართებული იქნება თუ ხალიბთა საკითხის რკვევისას მათ შესახებ იმ ერთადერთი რეალური

¹ ასეა ჰეროდოტესთან (I, 28), პომპონიუს მელასთან, ლიკოფრონთან. იხ. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამასთან დაკავშირებით: თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ზოგიერთი ცნობის შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 32, 1955, გვ. 5—6; ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, 1956, გვ. 10—11; მისივე, ხალიბთა ადგილსაცხოვრისის საკითხისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, 1956, ტ. XVII, № 6.

² შდრ. ВДИ, 1947, № 3, გვ. 272, შენ. 5; М. И. Максимова, Античные города Юго-восточного Причерноморья, 1956, გვ. 28. ანტიკური ავტორების ამ სახის ცნობების სისწორეში დამკვიდრებას გარკვეულად მნიშვნელობა ეყარება თუ გავითვალისწინებთ თვით „ხალიბი“—სახელის განუსაზღვრელ და ბუნდოვან ხასიათს.

³ შდრ. ჩვენი „К истории древней Грузии“, 1959, გვ. 71.

ცნობიდან ამოვალთ, რომ ხალიბები—ესაა „რკინის სამშობლოს“ მოსახლეობა, ამიტომაც, ისევე როგორც პალიძონების შემთხვევაში, აქაც მართებული იქნება დავსვათ საკითხი—როგორი წარმოდგენა არსებობდა იმდროინდელ სამყაროში „რკინის სამშობლოსა“ და რკინის მეტალურგიის შემქმნელი ხალხის შესახებ. ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ამ კითხვაზე უპასუხოთ იმდენად, რამდენადაც ეს შეეხება ხმელთაშუაზღვის აუზის უძველეს მოსახლეობას.

უძველესი წერილობითი ცნობები რკინის დამუშავების შესახებ ეკუთვნის ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებს (ხეტების სამეფო კარიდან ასურეთის მეფე სალმანასარ I-თვის (XIII ს. დასაწყისი) მიწერილი წერილი) და უკავშირდება მცირე აზიის აღმოსავლეთ, უფრო სწორად სამხრეთ-აღმოსავლეთ, რაიონებს — ქიძვათნას ქვეყანას. მართალია, საბუთში, რომელშიც ამაზეა ლაპარაკი, უშუალოდ არაა თქმული, რომ რკინის წარმოება საკუთრივ ქიძვათნაში წარმოებდა. აქ ქიძვათნა თითქოს დასახელებულია, როგორც პუნქტი, სადაც რკინის იარაღი ინახებოდა¹, მაგრამ ესეც თვით წარმოების ცენტრის ახლო-მახლო არსებობას შეიძლება ვარაუდობდეს. ხეთური ხანის ქიძვათნას მიწა-წყალს უფრო გვიან (ძვ. წ. IX ს. და შმდ.) ფარავდა თაბალის სახელი. ამიტომ მეტად საინტერესოა, რომ, როგორც ბიბლიიდან ჩანს, სირია-პალესტინის მოსახლეობა „რკინის სამშობლოდ“ სწორედ თაბალის (თუბალის) ქვეყანას მიიჩნევდა. მოსეს I წიგნის მეოთხე თავში ლაპარაკია კინის შთამომავლობაზე. აქ ერთ ადგილას ჩანს სურვილი დაასახელონ დედამიწაზე ამა თუ იმ საქმიანობის ფუძემდებელთა, დამწყებთა სახელები. კინის შთამომავალ ლამექს ერთი ცოლისაგან—ადასაგან ჰყავდა შვილები იობელ და იობალ, ამათგან იობელ „იყო მამა მკვიდრთა კარეებისათა საცხოვარისა მზრდელთა“ (ე. ი. მესაქონლე—მომთაბარეთა მამამთავარი) (დაბადება, 4, 20), ხოლო იობალ „იყო გამომაჩინებელ საფსალმუნისა და ებნისა“ (დაბ., 4, 21). მეორე ცოლისაგან, სელასაგან ლამექს ეყოლა შვილი თუბალ-კინი — „ესე იყო კვერით ხურობ მკვდელი რვალისა და რკინისა“ (დაბად, 4, 22). მკვლევართ ეს ადგილი დამახინჯებულად მიაჩნიათ, მაგრამ, ძველ ებრაულ ხელნაწერში ამ ადგილას თუბალ-კინი წერია, მაგრამ სეპტუაგინტას (ბიბლიის უძველესი ბერძნული თარგმანის—ძვ. წ. III ს.) ჩვენება (Θάβελ και Κη Αψαροίτης, χαλασθέν χαλασθαι σενήρια) მხარს უჭერს იმ მკვლევართა აზრს, რომლებიც ფიქრობენ, რომ თავდაპირველ ტექსტში ამ ადგილას მართა „თუბალი“ უნდა მდებარეყო, „კინი“ კი, ზოგადი სახელი „მკვდელი“, მას შემდეგში დაერთო².

თუ გავითვალისწინებთ რა მჭიდრო სავაჭრო და სხვ. ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ძველი ბერძნები (იონიელები—ბიბლიის „იავანი“, ასურული წყაროების „იამანი“) სირია-პალესტინის და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ქვეყნების მოსახლეობასთან, ბუნებრივი იქნება თუ ვიფიქრებთ რომ მათშიც ანალოგიური წარმოდგენა უნდა არსებებოდა „რკინის სამშობლოს“ ადგილსამყოფელზე. იგი მათაც ალბათ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოესახებოდათ. მცირე აზიის, კერძოდ მისი აღმოსავლეთი რაიონე-

¹ იხ. A. Goetze, Kizzuwatna and the problem of hittite geography, New Haven, 1940, გვ. 30 შმდ.

² Dictionary of the Bible, vol. IV, გვ. 821.

ბის მოსახლეობის პრიორიტეტი ამ დარგში საერთოდ კარგად ცნობილია და მრავალმხრივი საბუთებით დასტურდება¹. ბერძნების „ხალიბებიც“, უმეპელია ამ მხარის მცხოვრებლები იყვნენ.

ზემოთ ჩვენ დავასკვნით, რომ ჰომეროსისეული (ჰ)ალიძონები სწორედ თაბალის ქვეყნის მოსახლეობას გულისხმობს. თუ „ილიადას“ ალიბე „რკინის გამოგონებელი“ ხალხის (ხალიბების) სახელის ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ, მაშინ ეს ქვეყანაც, როგორც ვხედავთ, ამავე მხარეში თავსდება.

ამრიგად, თუ ჩვენ იმ ადგილად სავარაუდებელი მოსაზრებიდან ამოვალთ, რომ ვერცხლისა და რკინის სამშობლოს ადგილსამყოფელზე ძველ ბერძნებთან იმგვარივე წარმოდგენა უნდა ყოფილიყო გავრცელებული, როგორც იყო შუამდინარეთსა და სირია-პალესტინაში, ჰალიძონ და ალიბე-ხალიბთა ქვეყანა ჩვენ გარკვეულ რაიონში წარმოგვიდგება (აღმ. მცირე აზია, ასურული წყაროების თაბალის (ურარტული წყაროების ჰალიძონ?) მიწა-წყალი).

თუკი შეიძლება, რომ ჰომეროსისეული ალიბე (შემდეგში, ეგებ $\chi\alpha\lambda\iota\beta$ („ფოლადი“)—ტერმინთან ასოციაციის შედეგად „ხალიბ“-ად გარდაქმნილი) „თაბალ || თუბალის“ მოდიფიკაცია იყოს (თუბალ > უბალ > ალუბ), მაშინ ბუნებრივი ჩანს, რომ ბერძნებამდე ამ მხარის ორივე გავრცელებულ სახელს („ჰალიძონ“-სა და „თაბალ“ > „ალიბ“-ს) მიეღწია. მაგრამ თუ ბერძნების ალიბე-ხალიბს არავითარი კავშირი არა აქვს „თაბალ“—სახელთან, საჭიროა მისი ადგილობრივი პროტოტიპის ძიება. ფიქრობენ, რომ ასეთი პროტოტიპი შეიძლება იყოს ხეთურ წყაროებში აღმოსავლეთ მცირე აზიაში, იშუვას დასავლეთით მდებარე (შედარებით უმნიშვნელო, თუ ამ წყაროების მიხედვით ვიმსჯელებთ) Haliwa—ქვეყნის სახელი². მრავალგზის გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ხალიბი“ „ხალდის“ (მაშასადამე, იგივე „ჰალიძონის“) ვარიანტი უნდა იყოს. მაგრამ ილიადაში მათი ერთმანეთის გვერდით მოხსენიება თითქოს აძნელებს ამ მოსაზრების გაზიარებას. არც ის გვეჩვენება გამორიცხულად, რომ ჩვენ აქ „ხათი“ (ე. ი. ხეთების) სახელის ვარიაციასთან გვექონდეს საქმე. მცირეაზიულ ენებში მკაფიოდ დასტურდება $t-s$ l -დ გადასვლა³, ხოლო ბოლოკიდური $-ib$ შეიძლება რომელიმე მცირეაზიული სუფიქსის ნაკვალევი იყოს ($h\hat{a}ti-ib > h\hat{a}li-ib > h\hat{a}lib$). როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ ჰიპოთეზების მორგეში ვიძირებით...

ასევე ცნელია მსჯელობა იმაზე თუ ვისგან შეიძლება მივლეთ ეს სახელები ბერძნებს. ანალოგიური წარმოდგენების არსებობა ვერცხლისა და რკინის (საერთოდ მეტალურგის) სამშობლოზე სირია-პალესტინისა და შუამდინარეთის მოსახლეობაში ითვლება ამ სახელების ამ მხარეებიდან მიღებას ბუნებრივს ხდის. მაგრამ ასევე შესაძლებელია ვარაუდი, რომ ეს სახელები ბერ-

¹ იხ. E. Laroche, „Revue hittite et asianique“, t. XV, fasc. 60, 1957, გვ. 9—15; С. М. Бацнева, Борьба Ассирии и Урарту за Сирию, ВДИ. 1952, № 2.

² იხ. Fr. Bilabel, Geschichte Vorderasiens und Ägyptens, Heidelberg. 1927, გვ. 262, შენ. 1. შდრ. V. Burr, Neon Katalogos. Untersuchungen zum Homerischen Schiffskatalog, Leipzig, 1944, გვ. 149, შენ. 3.

³ ასე, მაგალითად, შუფრიას ქვეყნის დიდი ცენტრის Kullimeri-ს (ასურ.), Quimeri-ს (ურარტ.) სახელი უფრო ადრე ხეთურ წყაროებში Kutmar-ის ფორმით არის წარმოდგენილი, ურარტულ „ქათარხას“ („ქათარჯას“) ქართული „კლარჯი“ შეესატყვისება და სხვ. შდრ. И. М. Дьяконов, Материалы к фонетике урартского языка, კრებულში: „Вопросы грамматики и истории восточных языков“, М.—Л, 1958, გვ. 35, შენ. 4.

ძნებმა მცირე აზიის მცხოვრებთაგან შეითვისეს. ამასთანავე, ტროასთან დაკავშირებულ თქმულებებში მათი დამოწმება თითქოს ამ სახელთა წყაროდ დასავლეთ მცირე აზიის მოსახლეობას გულისხმობს, ხოლო გვიან ხანაში ხალიბ-ხალდების სახელების შემორჩენა სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რაიონში პირიქით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობას წარმოგვიდგენს ბერძენთა ინფორმაციის წყაროდ. არგონავტებზე თქმულებაში კოლხეთის ასახვა ხომ ამ მხარესთან ბერძენების ურთიერთობას საკმაოდ აღრეულ ხანებიდან ვარაუდობს! თუმცა ამ სახელების ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლება, უფრო სწორად პალიონ-თაბალის (=ალიბე, ხალიბი?) ჩრდილოეთ რაიონებზე შემორჩენა, შეიძლება გვიანდელი მოვლენაც იყოს. უცვლელს ხანაში ბერძენ-იონიელთა ურთიერთობა მცირე აზიის აღმოსავლეთთან უფრო ინტენსიური უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან. მხოლოდ შემდგომში, ეგ. წ. VIII—VI სს-ში მცირე აზიის ჩრდილო (შავი ზღვის) სანაპიროებზე ჩნდება პირველი ბერძნული ახალშენები და ბერძენ-იონიელთა სავაჭრო და სხვ. ურთიერთობის ცენტრი აქეთ ინაცვლებს. ამისდაკვალ შეიძლება მომხდარიყო ხალდებ-ხალიბებზე წარმოდგენების ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ ცენტრებისაკენ გადმონაცვლება და ამ ცენტრების მახლობლად მდებარე მიწა-წყლით შემოსილუდვა. აღრე კი ამ წარმოდგენებს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, უფრო მეტის მომცველი, კრებითი ხასიათი უნდა ჰქონოდათ.

* * *

ბუნებრივია, ისმის საკითხი თუ რას წარმოადგენდა ჩვენთვის საინტერესო მხარის მოსახლეობა ეთნიკურად, ტომობრივად.

მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, სწორედ ისტორიული თაბალის მიწა-წყალზე, მძლეარად იჩენს თავს „ხეთურ-იეროგლიფურ“-ლუვიური მოსახლეობა და მისთვის დამახასიათებელი ენობრივი და კულტურულ-რელიგიური ფაქტები.

ხეთურ-იეროგლიფური ენის ნაკვალევი მცირე აზიაში შეიმჩნევა უკვე ძალიან აღრიდან. მესოპოტამურ მასალებში, რომლებიც შეეხებიან ბაბილონეთის მმართველების სარგონ I-ისა და ნარამსინის ლაშქრობებს მცირე აზიისა და ჩრდ. სირიაში (ეგ. წ. XXIV—XXIII სს.) მკვლევარნი არჩევენ ზოგიერთ ხეთურ-იეროგლიფური ელფერის სახელს¹. მართალია, საჭიროა აღინიშნოს, რომ მასალები, სადაც ეს ამბებია მოთხრობილი, ბევრად უფრო გვიანდელი არიან. უძველესი ხეთურ-იეროგლიფური წარწერა (საფლავში ჩატანებულ პითოსზე) ჩვენ გვაქვს ქულთეფეს I—B ფენიდან და თარიღდება ეგ. წ. 1800—1750 წწ., თუმცა არსებობს ეჭვები, რომ ზოგი სხვა წარწერა კიდევ უფრო აღრეული უნდა იყოს². ხეთების წეფის ტელეფინუს დროიდან (ეგ. წ. 1650 წ.) ჩვენ გვაქვს ქიძვათანას მეფის იმფუთახშუს ბექედი ხეთურ-იეროგლიფური წარწერით (ნაპოვნია ტარსუსში 1935 წელს)³. გვაქვს ასეთი წარწერები აგრეთვე ხეთურ-

¹ ob. Güterbock, ZA, NF, VIII, 1934, გვ. 69 შმდ., 87 შმდ. NF X, 1936, გვ. 67 შმდ. H. Th. Bossert, Altanatolien, Berlin, 1942, გვ. 63, 85; O. R. Gurney, The Hittites, 1952, გვ. 18.

² A. Goetze, Kleinasien, München, 1957, გვ. 53; შტრ. H. Th. Bossert, Bild-Luwisches, „Festschrift Johannes Friedrich..“, Heidelberg, 1959.

³ O. R. Gurney, The Hittites, 1952, გვ. 133; A. Goetze, დაახ. ნაშრ. გვ. 53.

ნესიტური სახელმწიფოს არსებობის ბოლო პერიოდიდან (ძვ. წ. 1400—1200 წწ.), მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი მოღწეულია ჩრდილოეთ სირიიდან და სამხრ.-აღმოსავ. მცირე აზიიდან და თარიღდება ძვ. წლ. X—VIII სს-ით¹. ფიქრობენ, რომ ამ ენაზე მეტყველი მოსახლეობის უძველესი, უმთავრესი კერა ხეთური წყაროების ქიძვათნას ქვეყანა უნდა ყოფილიყო². მართალია, უკვე ხეთურ ხანაში აქ ჩვენ ვხვდებით მძლავრ ხურიტულ ელემენტებს, მაგრამ ისინი გვიან უნდა იყვნენ აქ შემოღწეულნი. ხეთურ-იეროგლიფუოთან მეტად ახლო მდგომი ლუვიური ქიძვათნასთან ერთად³ ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში—ხეთური წყაროების არცავეს ქვეყნებში. ლუვიური ელფერის საკუთარი სახელები (რომლებშიც ძალიან ხშირად თავს იჩენს muwa—ელემენტი, აგრეთვე ღვთაებათა სახელები Arma, Inuara, Jarra, Sanda, Tarhunda, Tatta, Tiwatta), ჩვენ გვხვდება უკვე კაპადოკიურ ფირფიტებში, ხეთურ ტექსტებში, უგარიტისა და ალაღასის მასალებში, ხეთურ-იეროგლიფურ წარწერებში, ხოლო ბერძნულ-რომაულ ხანაში კილიკიაში, ლიკონიაში, პიზიდიაში, ისაგრიამი, აგრეთვე კარიასა, ლიკიასა და თვით ლიდიაშიც⁴. მართალია, ზოგი მკვლევარი ამ მასალას ცალკე muwa—ენას მიაწერს⁵, მაგრამ სხვათა აზრით აქ ჩვენ ლუვიურთან თუ მის დიალექტებთან უნდა გვექონდეს საქმე⁶. ზოგიერთი მკვლევარი ლუვიურს უახლოვებს აგრეთვე ხეთურ ტექსტებში სპეციალური ლურსმით აღნიშნულ სიტყვების ენას⁷, თუმცა როზენკრანცი, მაგალითად, საერთოდ უარყოფს ამგვარი ცალკე ენის არსებობას⁸. უკვე კაპადოკიურ ფირფიტებში მკვლევარნი არჩევენ muwa—ენისა და ahḫa—ენის ელემენტებს და მათ აგრეთვე ლუვიურს უკავშირებენ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ინდოევროპული ენობრივი ფენის არსებობის ნიშნად თვლიან⁹. მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში თავსდება აგრეთვე ფალას ქვეყანა¹⁰, რომლის ენაზეც მოღწეულია მცირეოდენი ტექსტები. ამ ენასაც მკვლევარნი ინდოევროპულად თვლიან.

¹ J. Friedrich, *Extinct Languages*, New York, 1957, გვ. 87 შმდ.

² O. R. Gurney, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 130.

³ A. Goetze, *Kizzuwatna and the problem of hittite geography*, New Haven, 1940, სტ. 8; Г. А. Меликишвили, *К вопросу о хетто-дунанийских переселенцах в Урарту*, ВДИ, 1958, № 2, გვ. 42—43.

⁴ A. Goetze, *Kleinasiens*, München, 1957, გვ. 50.

⁵ B. Landsberger, „*Journal of cuneiform studies*“, 8, 1954, გვ. 124 შმდ.

⁶ A. Goetze, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 50. E Laroche-ი ყურადღებას აქცევს იმას რომ ლუვიურ immara- („ველი“) სიტყვიდან ნაწარმოები სახელი ერთი მხრით გვხვდება ჩრდ სირიაში (ალაღასში), ხოლო, მეორე მხრივ, ქალაქთა სახელების სახით ბოღაზქოი-ხატუშშიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 30 კმ-ის მანძილზე („*Revue hittite et asianique*“, XV, 60, 1957, გვ. 22—23).

⁷ A. Goetze, *დასახ. ნაშრ.* გვ. 51. შდრ. E. Laroche, *Dictionnaire de la langue louvite*, Paris, 1959, გვ. 12.

⁸ B. Rosenkranz, *Die „Gloßenkeilsprache“ von Boğazköy*, ZA, NF 17, 1955, გვ. 252—254.

⁹ A. Goetze, *The theophorous elements of the anatolian proper names from Cappadocia*, „*Language*“, vol. 29, № 3, 1953, გვ. 277; მისივე წერილი იქვე, vol. 30, № 3, 1954 ში; მისივე, *Kleinasiens*, გვ. 50; მისივე, *The linguistic continuity of Anatolia as shown by its proper names*, „*Journal of cuneiform studies*“, VIII, 1954, გვ. 80—81.

¹⁰ მას ჩრდილოეთ კაპადოკიაში, თანამ. კაისერისა და სივასს შორის ათავსებენ (O. R. Gurney, *დასახ. ნაშრ.* გვ. 131). გრ. გიორგაძე ფალასა და თუმანას სივას-კაისერ-გიურუნის სამეფოებში ათავსებს—იხ. ВДИ, 1960, № 1, გვ. 83.

გვიან ხანაში (ძვ. წლ. X—VIII სს.) ხეთურ-იეროგლიფური განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში. ისტორიული თაბალის მიწა-წყალზე განსაკუთრებით ბევრია ნაპოვნი ხეთურ-იეროგლიფური წარწერები, რაც მკვლევართ აფიქრებინებს, რომ აქ არა მარტო მწერლობის, არამედ სალაპარაკო ენაც უნდა ყოფილიყო ხეთურ-იეროგლიფური წარწერების ენა¹. ამავე ენაზე წარწერები ჩვენ გვხვდება სამხრეთით—ჩრდილო სირიაშიც. ხოლო ჩრდილოეთით თვით ერზინჯანის რაიონშიც (ალთინთეფეში)². ამავე ხანაში ჩრდილო სირიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიაში მძლავრად იგრძნობა ასურული და არამეული გავლენა. ასურელი დამპყრობლები აქ მასიურად ასახლებენ კიდევაც უცხო ტომის ხალხებს. არამეული ენა და დამწერლობა აქ ხეთურ-იეროგლიფურის გვერდით საურთიერთობო ფუნქციებს იხვეჭს.

ამრიგად, ხეთურ-იეროგლიფური ენა, დამწერლობა, პანთეონი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში მაინც მეტად ფართო ტერიტორიაზე იჩენენ თავს მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილსა და ჩრდილო სირიაში³. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ მთელ ამ მიწა-წყალზე „ხეთურ-იეროგლიფური“ მოსახლეობა მკვიდრობდა.

ვქვს გარეშეა, რომ ეს ენა და დამწერლობა მცირე აზიასა და ჩრდილო სირიაში ამ დროს ისეთსავე როლს ასრულებდა, როგორც. მაგალითად, უფრო გვიან ბერძნული და არამეული დამწერლობა და ენები აღმოსავლეთის ვრცელ მიწა-წყალზე. ყველგან, სადაც ამ ენაზე და ამ დამწერლობით შედგენილი ძეგლი შეგვხვდება, როდი ცხოვრობდა ამ ენაზე შეტყვევლი მოსახლეობა. უფრო არსებითია ონომასტიკონის ჩვენებანი. მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძირითადად ასურული წყაროების თაბალისა და მის მეზობელ რაიონებში თავს იჩენს ხეთურ-იეროგლიფურ-ლუვიური პანთეონისათვის დამახასიათებელ ღვთაებათა (სანტაშ, თარხუნ) სახელები. შეიძლება (დავასახელოთ, მაგალითად, გურგუმის მმართველი Tarhulara (ARAB, I, 769, 801 და სხვ.), ქამანუშ მმართველი Tarhulara (ARAB, II, 79). ქამანუშ-მგლიდუს მმართველი Tarhunazi (ARAB, II, 26, 60), Hilakku-ს მმართველი Sandasarme (ARAB, II, 782) და სხვ. საინტერესო ფაქტია აგრეთვე ის, რომ ურარტუს მეფე არგიშთი I მის მიერ დღევ. ერვენის განაპირას, არინ-ბერდის გორაკზე აგებულ ციხე-ქალაქ ირ(ე)ფუნში დასახლებულ „ცუფანისა და ხათის“ ქვეყნების მემორებს უშენებს „სალოცვლის (susi-ს), ზიძენილს ღვთაება ივარშასადმი (i-ii-ir-šá). ეს უკანასკნელი კი ლუვიური გვლის ღვთაება „იმარშა“ უნდა იყოს⁴.

¹ ემ. ფორერი ხეთურ-იეროგლიფურ ენას თაბალურს ეძახდა. შდრ. აგრეთვე: B. Landsberger, Sam'al. Studien zur Entdeckung der Ruinenstaette Karatepe, Ankara, 1948, გვ. 30 და სხვ. აქაური ონომასტიკონიდან ზოგი სახელი ხეთურ-იეროგლიფურ საფუძველზე პპოვებს ახსნას—იხ. H. Th. Bossert, „Jahrbuch für Kleinasiatische Forschung“, Bd. II, H. 3, 1953, გვ. 295 შდრ.

² იხ. R. D. Barnett and N. Gükce, The Find of urartian bronzes at Altin tepe near Erzinçan, „Anatolian Studies“, vol. III, 1953, გვ. 121 შდრ.

³ შდრ. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, თბილისი, 1959, გვ. 77—78.

⁴ Г. А. Меликишвили. К вопросу о хетто-лувианских переселенцах в Урарту. ВДИ, 1958, № 2, აქ წამოყენებული მოსაზრება ლუვიურ „იმარშას“ ცის ღვთაებად მიჩნევის შესახებ არ დასტურდება. უკვე ლაროშმა H. Otten-ის წიგნზე „Luvische und

თაბალის, თუნას და ამ რაიონის სხვა ერთეულის მმართველთა ზოგ სხვა სახელსაც მეკლევარნი ხსნიან ხეთურ-იეროგლიფური ენის მასალით¹.

მაგრამ არც თეოფორულ სახელებში ამა თუ იმ ხეთურ-იეროგლიფურ-ლუვიური ღვთაების სახელის დამოწმება, ან საერთოდ ამ წარმოშობის საკუთარი სახელის ტარება შეიძლება საბოლოო, გადაწყვეტი საბუთი იყოს ამა თუ იმ ერთეულის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის განსაზღვრისას. ექვს გარეშეა, რომ ამ მხარეში მცხოვრებ სხვა წარმოშობის მოსახლეობაში ყველაფერ ამას შეიძლება გზა გაეკვლია კულტურული გავლენის გზითაც. ხომ იჩენს (თავს, მაგალითად, ძველ ქართულ ღვთაებათა პანთეონში (უმაღლეს ღვთაებათა სახით) სწორედ ლუვიურ-ხეთურ-იეროგლიფური პანთეონის ღმერთების არმასის, სანტაშის (სანდონი, ზადენი) თავყანისცემა. ძველი სომხურის ლექსიკაც ხომ დატვირთული ჩანს მცირეაზიულ-ხეთური (მათ შორის ლუვიურ-ხეთურ-იეროგლიფური) ელემენტებით. საერთოდ, ძველადღმოსავლურ ხანაში ჩვენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში სომხური ენობრივი მასალის თითქმის ვერავითარ ხელშესახებ ნაკვალევს ვერ ვპოვებთ, მაგრამ ვფიქრობთ უფრო გვიანდელი ისტორიული ვითარებიდან, ან კიდევ თვით სომხური ენის ფაქტებიდან გამომდინარე, რომ ამ დროს სომეხი ტომები უძველად ამ ადგილებში სახლობდნენ. ერთადერთ ხელშესახებ საბუთად აქაც ეთნონიმიკის მონაცემები გვაქვს (სახელები ხაიასა, ზუხმა—სოხმი, არმე—არმენი, პ. იენსენისა და ი. დიაკონოვის აზრით აგრეთვე: ხათი>ჰაჰ და ა. შ.).

უმთავრეს საყრდენად აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხის რკვევისას კვლავ ონომასტიკონის, ეთნო-და ტომონიმიკის ანალიზი რჩება, მაგრამ ეს ანალიზი საჭიროებს მრავალმხრივ მიდგომას. მხოლოდ და მხოლოდ ერთი მხრით—მცირე აზიის ინდოევროპული ტექსტობრივ დამოწმებული ენების (ნესიტურის, ხეთურ-იეროგლიფურ—ლუვიურის) პოზიციებიდან მიდგომა შეიძლება ნაკლები აღმოჩნდეს და ჭეშმარიტი სურათის აღდგენაში დამაბრკოლებელი შეიქნეს. საჭიროა ამ მხრივ სომხურის (ჩვენ ვიტყვით აგრეთვე თრაკო-ფრიგიულის, რადგანაც მცირე აზიის ამ ნაწილში ამ წარმოშობის ტომთა არსებობაც ივარაუდება), ქართული, ჩრდილო-კავკასიური მასალის სათანადო გათვალისწინებაც.

Palaische Texte (=KUB, Heft 35, 1953)* გამოქვეყნებულ რეცენზიაში (Bibliotheca Orientalis. Jahrgang XI, 1951, გვ. 124) აჩვენა რომ ლუვიური im(ma)raša, ტექსტებში ტაროსის ღვთაების (Tarhunda-ს) ეპითეტად ნახმარი, ზოგჯერ LIL-ას იდუგოვრობითაა გადმოცემული და მაშასადამე, „ველს, მინდორს“ უნდა ნიშნავდეს (შდრ. ხეთური gim(ma)ra). უფრო ვრცლად ამის შესახებ იხ. E. Laroche, Études de Vocabulaire, VI, „Revue hittite et asianique“, t. XV, fasc. 60, 1957, გვ. 21—23; შდრ. J. Friedrich, Hethitisches Wörterbuch, 1957, გვ. 38 მაგრამ ეს ვარაუზება არ გამოდგება დაბრკოლებად, რომ არინ-ბერდხე 1956 წელს აღმოჩენილ წარწერაში (იხ. VKH, გვ. 451—452) ღვთაების სახელი წაიკითხათ სწორედ i-n-ár-šá-ს და არა i-n-uh-šá-ს სახით (შდრ. J. Friedrich, Urartäische Kleinigkeiten, „Archiv für Orientforschung“, 19, 1960, გვ. 32) და იგი ლუვიურ imraša-ს („ველისა“) დაუკავშიროთ. არარატის ველზე დამკვიდრებულ ლუვიურ (ხეთურ-იეროგლიფურ)—ენოვან ხალხს, ვასაგებია, შეიძლება და გამოეთქვა სურვილი პირველყოფისა ჰქონოდა საზოგადოებო „ველის ღვთაებისათვის“...

¹ იხ. მაგალითად: H. Th. Bossert, Die Phönizisch-hethitischen Bilinguen von Karatepe, „Jahrbuch für Kleinasiatische Forschung“, Bd. II, Januar, 1953, Heft 3 გვ. 295, 298, 300, 328 და სხვ.

ზემოთ ჩვენ იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში დიდი ერთეულის სახით ძვ. წ. IX—VII სს-ში მიიწი ზოგიერთ მეზობელ ხალხში წარმოდგინებოდა (პ)ალიძო(ნი) (პომეროსის „ალიძონ“, ურარტ. „ხალიტუ“, გვიანდელი „ხალდი“), რაც ამავე ხანის ასურულ (და ძველ ებრაულ) წყაროებში ამ მხარის მიმართ დამოწმებულ ასევე მრავლის მომცველ თაბალ¹ თუბალს უნდა ფარავდეს.

ორივე ამ სახელწოდებაში ქართველური იერის ელემენტები შეინიშნება პალიძონ-ის -ონ სუფიქსი ქანურისათვის დამახასიათებელი სადაველობის (და სატომო სახელების მაწარმოებელი) სუფიქსია (იგი თავს იჩენს, სხვათა შორის, დასავლურ-ქართული ტომების—მაკრონების² სახელშიც). თავისი ძირითად ეს სახელი სიხლავებს ამგვანებს ქართულ სამყაროსთან. აქ ჩვენ შეიძლება საქვე გვაქვს ქართული³ ქართუ სახელის დიალექტურ ვარიანტთან, რომელიც აღმოსავლურ-ქართული მოსახლეობის ძირითად ადგილობრივ სახელწოდებად იჩენს⁴ შემდეგში თავს. თავდაპირველად იგი, შეიძლება, საერთო-ქართული (ყოველ შემთხვევაში აღმოსავლურ-ქართული და მეგრულ-ქანური გაუდიფერენცირებული) ეთნიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელ სახელწოდებას წარმოადგენდა⁵. ისიც ნიშანდობლივია, რომ უძველესი ხანიდანვე ამ ადგილებში მცხოვრებ სომხებისათვის „ხალტ“⁶ კანი—სახელის სინონიმს წარმოადგენდა (იხ. მოსე ხორენელი, VII ს. სომხური გეოგრაფია ანანია შირაქელისა). „თაბალი“—სახელშიც ზოგი მკვლევარი ქართულ სიტყვა „ტაბა“⁷ „ტობა“-ს (=ტბა) ხედავს⁸.

ძვ. წ. IX—VII სს აღმ. მცირე აზიის ეთნონიმიკონში ქართველური ელემენტების გამოჩენა, საეცებით შესაძლებელია, ამ მხარეში ქართველი ტომების არსებობაზე მეტყველებდეს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, პონტოს ქედის აღმოსავლეთის განტოტებათა კალთები, უძველეს ხანებში უცილობლად ქართველი (კერძოდ, დასავლურ-ქართული) ტომებით იყო დასახლებული⁹. ზემოთ ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ პონტოს ქედის სამხრეთ კალთებზე, მდ. კოროხის ზემოწელზე, სავარაუდებელია აღმოსავლურ-ქართული (ქართის) ტომების ერთ-ერთი უძველესი კერაც. ამ მოდგმის ტომებს რომ გარკვეული როლი ეთამაშათ უფრო სამხრეთით მდებარე მიწა-წყალზეც, რა თქმა უნდა, გამოირიცხული არ არის (ეს მოსაზრება, კერძოდ, საყრდენს ჰპოვებს სახმრეთში მუშქებ-მესხების აქტივობის დაქტში, ქართების წარმართულ პანთეონში მცირეაზიულ ღვთაებათა არსებობის ფაქტში და სხვ.¹⁰). ამიტომაც, მათთვის დამახასიათებელი სახელების მიხედვით აქ კრებითი, ფართო ტერიტორიის მომცველი სახელწოდებების წარმოქმნაც შეუძლებელი არ ჩანს. შეიძლება ამ მოსაზრებას ჯერ-ჯერობით მტკიცე საბუთიანობა აკლდეს, მაგრამ დასავლეთის ორიენტალისტთა მიერ ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის სურათის წარმო-

¹ შდრ. ჩვენი, Наирн-Урарту, გვ. 411, შენ. 3.

² ა. შანიძე, სახელწოდება „ტოპადას“ ეტიმოლოგიისათვის, ენიშის მოამბე, I, 1937; ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი (იხ. წიგნში: ს. ჯანაშია, შრომები, III, 1959, გვ. 65 შმდ.).

³ К истории древней Грузии, გვ. 79—81 და სხვ.

⁴ იქვე, 105—112.

გენისას აქ ქართველი ტომების არსებობის სრული იგნორირება¹ კიდევ უფრო გაუმართლებელი ჩანს.

იგივე ითქმის აღმოსავლეთ მცირე აზიაში „ჩრდილო-კავკასიური“ ეთნიკური ჯგუფების არსებობაზე. თუმცა ეს საკითხი მნიშვნელოვან წილად უკავშირდება მცირე აზიის უძველესი მოსახლეობის—ე. წ. „პროტოხეთების“—საკითხს.

სულ უძველეს ხანებში (ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნა) მცირე აზიის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის მოსახლეობის ეთნიკურ კუთვნილებაზე მსჯელობისას უმაჯრეს წყაროს, როგორც ცნობილია, ე. წ. კაბადოკიური ფირფიტები—მცირე აზიის ასურული ხალხშენების დოკუმენტები (ძვ. წ. XX ს.) წარმოადგენს. ადგილობრივი წარმოშობის პირთა სახელების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ პროტოხეთური ელფერისაა. ესაა ენა, რომელსაც ბოლახქოის სამეფო არქივის დოკუმენტები საკუთრივ „ხეთურს“ („ხათის ენას“) უწოდებენ. ეს ენა, მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, არ არის ინდოევროპული ენა. ბევრი მკვლევარი მას იბერიულ-კავკასიურ, კერძოდ აფხაზურ-ადიღურთი ჯგუფის ენებს უკავშირებს². ძვ. წ. III ათასწლეულში პროტოხეთებს შეიძლება ეკავათ მთელი პლატო, რომელიც მოქცეულია პონტოს მთებსა და კლიკიის ტავროს შორის, ერთი მხრით, ხოლო დასავლეთ-პალისიდან ვიდრე ძველ თეგარამამდე (თანამ. გაურჯუნამდე), მეორე მხრივ³. ძვ. წ. II ათასწლეულში ამ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა მცირე აზიაში თუ მთლიანად არ მოიხპო, ყოველ შემთხვევაში დიდად შემცირდა⁴. მათი დიდი ნაწილი ინდოევროპულ ნესიტ-ხეთებში გაითქვიფა (უფრო სწორად თვით ინდოევროპელი ნესიტები გაითქვიფნენ ხათის მოსახლეობაში, თუმცა მათ თავისი ენა გადასცეს. როგორც ფიქრობენ, ნესიტურ-ხეთური მოსახლეობის ძირითადი ბირთვი წარმოშობით პროტოხეთური იყო⁵). ზოგი მკვლევარის აზრით, II ათასწლეულში პროტოხეთურ ენაზე მეტყველი მოსახლეობა ცხოვრობდა მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და ხეთურ წყაროებში „ქაშქების“ კრებითი სახელით იყო ცნობილი⁶. ხეთების დაცემის შემდეგ ქაშქები საზზრეთისაკენ უნდა წამოწეულიყვნენ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შეიძლება ამ

¹ თუმცა, გვაქვს გამოწაკოსებიც—იხ. მაგალითად: E. Cavaignac, *Mushki et phrygiens*, „Journal Asiatique“, t. CCXLI, 1953 (ავტორი მეშქებს ქართველ მესზებს უკავშირებს).

² ასეთ კავშირს ხედავდა უკვე ე. ფორერი (MDOG, 61, 1921, გვ. 25), ბლაიხ-შტაინერი (Ber. des Forschungsinstituts für Osten und Orient in Wien, 3, 1923, გვ. 102 შდ.) და უბინურთან სრულ იგივეობას იცავდა J. Meszáros (იხ. მისი: Die Pkhy-Sprache, Chicago, 1934). ამასთან დაკავშირებით შდრ. J. Friedrich-ის რეცენზია ZDMG-ში, NF, 13, 1934 წ., აგრეთვე A. Goetze, *Kleinasien*, 1957, გვ. 47. შდრ. აგრეთვე И. М. Дьяконов, „Вопросы языкознания“, 1954, № 5, გვ. 47.

³ A. Goetze, *Kleinasien*, München, 1957, გვ. 46.

⁴ A. Goetze, დასაბ. ნაშრ., იქვე.

⁵ იხ. Т. В. Гамкрелидзе, *Неиндоевропейские элементы хеттского (неситского) языка*, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი, 1956, გვ. 6—7 და სხვ.

⁶ E. Forrer, *Stratification des langues et des peuples dans le Proch-Orient préhistorique*, „Journal Asiatique“, t. CCXVII, 1930, გვ. 229; ე. მელიქიშვილი, ქაშქების ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „მომზადებული“, III, 1953; Г. Г. Липорядзе, *Из истории племен, проживавших к северу и северо-востоку от Хеттского государства (Кашки)*, ავტორეფერატი, თბილისი, 1956.

ფაქტს უკავშირდებოდეს ძვ. წ. I ათასწლეულში ჩრდილოეთ მესოპოტამიაში ისეთი სახელების გაჩენა, რომელნიც პარალელს ჰპოვებენ კავკასიის მთიანეთის შედარებით უფრო გვიანდელ ეთნონიმიკაში¹. ძნელია აგრეთვე თქმა რას უნდა მიეწეროს. სალმანარ III-ის (829—824) ხანაში (Que-ს (კილიკიის) მეფის სახით ასურულ ანალებში ვინმე Kate-ს მოხსენიება². ეს სახელი აშკარად პროტოხე-თური სიტყვაა და „მეფეს“ აღნიშნავს³. იგი საკუთარ სახელად ასურელებმა, შეიძლება, შეცდომით მიიჩნიეს, როდესაც ადგილობრივ მცხოვრებთაგან გაიგეს, რომ თავის ხელისუფალს Kate-ს („მეფეს“) ეძახდნენ. ამ ეპოქის ასურულ წყაროებში ამგვარი მოვლენა ჩვეულებრივია. ზოგჯერ ისინი, მაგალითად, გვატყობინებენ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ხალხი თავის მმართველს „ირრუფის“ ეძახდათ⁴ (ხურითულად ესა „ბატონი“, „მეფე“⁵). ზოგან კიდევ ჩანან მმართველები, რომლებიც „იანზულ“ იწოდებიან⁶ — ეს უკანასკნელი კასიტური ზოგადი სახელია და „მეფეს“ აღნიშნავს⁷. როგორც ვთქვით, ანალოგიური შემთხვევა გვაქვს. შეიძლება, კილიკიელი Kate-ს შემთხვევაშიც. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ეს? ეგებ იმას, რომ აქაური მოსახლეობა პროტოხეთურზე მეტყველებდა? თუმცა არც ისაა გამოირიცხული, რომ ეს სიტყვა პროტოხეთურადან მცირე აზიის სხვა ენებშიც შესულიყო ან კიდევ საკუთარ სახელად ქცეულიყო და ასე გაგრძელებულიყო⁸. ყოველ შემთხვევაში, ზემოთ შენიშნული ფაქტი მაინც საყურადღებო ჩანს, რამდენადაც, თუნდაც პრობლემატურად, სვამს საკითხს ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარშიც კი სამხრ.-აღმოს. მცირე აზიაში პროტოხეთური ელემენტების არსებობის შესახებ. რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად პროტოხეთური ელემენტების არსებობა სავარაუდებელია აღმ.-მცირე აზიის უფრო ჩრდილოეთ რაიონებში.

პროტოხეთურის ჩრდილო-კავკასიურ ენებთან სიახლოვის ფონზე (პერსპექტივაში გამოირიცხულად არ ითვლება, რომ იგი ერთ-ერთი იბერიულ-კავკასიური ენა აღმოჩნდეს⁹) ჩვენ საყურადღებოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ძვ. წ. II—I ათასწლეულის აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნონიმიკა უხვად იძლევა სახელწოდებებს, რომლებიც „ჩრდილო-კავკასიური“ მოსახლეობის ეთნონიმიკაში პოვებენ პარალელებს. პროტოხეთური წარმოშობის(?) ქაშქური ტომების სახელი პარალელს ჰპოვებს შუასაუკუნეებში ჩერქეზების (ადიღეველთა) სახელწოდების სახით ქართულ, რუსულ, არაბულ წყაროებში დამოწმებულ „ქაშაგ“ (კასოგ, ქეშაგ)—სახელში. „ქაშქა“ —სახელის სინონი-

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959, გვ. 120, შენ. 283.

² D. D. Luckenbill, ARAB, I, § 562, 583, 600, 682.

³ E. Forrer, ZDMG, 76, გვ. 232; შდრ. J. Friedrich, Hethitisches Wörterbuch, Lief. 4, 1954, გვ. 317; მისივე, Extinct Languages, New York, 1957, გვ. 78.

⁴ D. D. Luckenbill, ARAB, I, 222.

⁵ იხ. A. Ungnad, Subartu, გვ. 153 შდრ. J. Gelb, Hurrians and Subarians, გვ. 82; Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, გვ. 91.

⁶ D. D. Luckenbill, დასახ. ნაშრ. I, § 573, 581, 637, 639, 682.

⁷ იხ. Fr. Delitzsch, Die Sprache der Kossäer, გვ. 25; შდრ. Г. А. Меликишвили, Наирн-Урарту, გვ. 138—139.

⁸ ანალოგიურ ვიტარებას ეგულისხმობთ ჩვენ, როდესაც, ჩანს ხურითულ-ენოვან, ხლებუს-ქიას მოსახლეობაში ეხედებით ianzu-ს (კასიტურად=„მეფე“) სახელის მატარებელ მმართველს—იხ ჩვენი Наирн-Урартუ, გვ. 139.

⁹ იხ. И. М. Дьяконов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

მად ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (1115 - 1077) წარწერებში იხ-
მარება სახელი „აბეშლა“¹, რაც თავის მხრივ, აგრეთვე პარალელს პპოევებს
კოლხეთის ჩრდილო სანაპიროზე ჩ. ე-ის დასაწყისში დამოწმებული აფშილების
(აღბათ ერთ-ერთი აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის ტომის) სახელსა. თანა-
მედროვე ქალ. მალატიის აღმოსავლეთით, მდ. ეფფრატის მარცხენა ნაპირზე
მდებარე ოქქის სახელი—ასურულ-ურარტული *Šupa* („ცუფა“), ძვ. სომხური
წოდ-ქ, ანტიკური სომეხე კაზგად უღვება ერთ-ერთი ჩრდილო-კავკასიური
(ჩანჩური) ტომის, „წოვ-ენის“ სახელს².

ტიგლათფილესერ I-ის მიერ „ნაირის ქვეყნების“ ჩამოთვლაში ნახსენებ
Tuuli-ს (ARAB I, 236) მკვლევრები უკავშირებენ ამავე წარმოშობის (რო-
გორც ჩანს, ერთ-ერთი ვეინახური ტომის³ (დვალთა) „დუალი“-ს) ტომის
სახელს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ხეთურ წყაროებში მოხსენიე-
ბული ფახუვას (Pakhwa) ქვეყნის სახელი. ეს ქვეყანა იხსენიება ხეთების
მეფის მურაჰილ II-ის (ძვ. წ. XIV ს. მე-2 ნახ.) მატიაანეში⁴. მეორე ხეთურ დო-
კუმენტში, რომელიც 1948 წელს გამოაქვეყნა O. R. Gurney-მ, იმ უხუცესთა
შორის, რომლებიც გამოძახებულ იქნენ ქალაქ ხატუმში აღმოსავლეთის ქვეყ-
ნებიდან—იშუვადან, ზუხმადან, ფახუვადან, ხურიდან, ქალაქებიდან მალდიადან,
დითარიცადან და დუქამადან, დასახელებულია ფახუველი მითა⁵. ამკარაა,
რომ ფახუვა სადღაც იშუვასა და ზუხმას მეზობლად უნდა ყოფილიყო. O. R.
Gurney მას იშუვას ჩრდილოეთით და ზუხმას დასავლეთით, თანამედროვე
ქალ. დივიგის (Dirigi) რაიონში ათავსებს⁶. კავენიაცი კი ფიქრობს, რომ
ფახუვა ცოტა უფრო სამხრეთითაა მოსათავსებელი, იშუვასთან (ეფფრატის
აღმ. ნაპირზე, მდ. მურად-სუს (კლასიკ. არსიანის) დინების სამხრეთით) უფრო
ახლოს⁷.

ამ ქვეყნის სახელი თითქმის ზუსტად იმეორებს კავკასიონის მთიელ
ტომთა შორის დასახელებულ „ფხოვ“—ტომის სახელს. ცველ ქართულ წყა-
როებში „ფხოვ“—სახელ ქვეშ ფშავ-ხევსურნი იგულისხმებიან⁸. იგივე სახელი

¹ იხ. D. D. Luckenbill, ARAB, I, 226 (წარწერა პრიზმაზე; II₁₀₀—III₆) — შდრ.
იქვე, I, 311 (აგრეთვე Keilschrifttexte aus Assur historischen Inhalts, II, 1922, № 71 a.
სტრ. 3, ტაბ. 43), I, 318 (ანალების ფრაგმენტი № 2, სტრ. 4—E. A. Wallis Budge and
L. W. King, Annals of the kings of Assyria, I, 1902, გვ. 117). I, 277 (Budge and
King, დასახ. ნაშრ., გვ. 112)—ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი „Наури-Урарту“,
გვ. 75 შმდ.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის
ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950, გვ. 47—49.

³ იხ. ვ. გამრეკელის წერილები კრებულებში: „მასალები საქართველოს ეთნოგრა-
ფიისათვის“, IX, 1957 და „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, ტ.
IV, ნაკვ. I, 1958.

⁴ A. Götze, Die Annalen des Muršiliš, გვ. 161—163.

⁵ KUB, XXIII, 72—იხ. O. R. Gurney, Mita of Pakhuwa, University of Liver-
pool, Annals of Archaeology and Anthropology, 28, 1948, გვ. 32 შმდ.

⁶ იქვე, გვ. 48—54; შდრ. John Garstang and O. R. Gurney, The Geog-
raphy of the Hittite Empire, London, 1959, გვ. 35 შმდ., 46.

⁷ იხ. E. Cavaignac, Deux itinéraires militaires de rois hittites. A propos
d'un ouvrage récent, „Revue d'Assyriologie“, LIV, № 2, 1960, გვ. 89—90.

⁸ Н. Я. Марр, Кавказские племенные названия..., გვ. 4.

შეიძლება კავშირშია უბიხთა სახელწოდება „ფექის“-თან. ხევესური ბაცბურად იწოდება: ფქew (ფხეე), მრავლ. რ. ფქey. ძალზე ადრე გვეხვდება ეს სახელი ძველ სომხურ წყაროებში. მას იხსენიებს, მაგალითად V ს-ის ავტორი ფავსტოს ბუზანდი. იგი მოგვითხრობს მასაგეტების სკვითური ტომის ლაშქრობაზე სომხეთში, რომელთაც მიიზხრეს და გამოიყოლიეს პუნები, ფოხ-ელნი, ეგერ-სვანები და მრავალი სხვა „მომთაბარე ტომი“ (აქ ბევრი სხვადასხვა ტომია ჩამოთვლილი); შემდეგში ამავე ლაშქარზე ნათქვამია, რომ ეს იყო ლაშქარი „მასუჟთა (=მასაგეტები), ალანების, პუნებისა და სხვა ტომების“ („სომხეთის ისტორია“, წ. III, თავი 7)¹.

შეიძლება იგივე ტომი იგულისხმება VII ს. სომხურ გეოგრაფიაში (რომლის ავტორად ანანია შირაკელსა თვლიან) სარმატიის ხალხთა შორის მოხსენიებულ „ფუხებშიც“ (*φυξες*)².

ამრიგად, მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში ძვ. წ. II-I ათასწლეულში თავს იჩენს კავკასიის მთიანეთის (აფხაზურ-ადიღურ, ბაცბურ-ქისტურ)³ ტომთა არა ერთი სახელი. ამგვარი მაგალითები, ამასთანავე, ისე მრავალრიცხოვანი ჩანს (ქაშქა-ქაშაგი, აბეშლა-აფშილი, წოფ-წოვ, თუალი-დუალი (დვალი), ფახუვა-ფხოვი), რომ სამართლიანად ღძრავს ექვს — შემთხვევით მსგავსებებთან კი გვაქვს აქ საქმე? მეტადრე, ანალოგიური ვითარება შეინიშნება ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის და მის სამხრეთით მომიჯნავე ოლქების (ალბანეთი, მიდია-ატროპატენა) მიწართაც. აქ ყურადღებას იქცევს სევანის ტბის მიდამოებში და დღევანდელი ირანის ჩრდილოეთ რაიონებში „ივ“ — სუფიქსით ადგილთა სახელების გაფორმება, რაც პარალელს ჰპოვებს დაღისტნურ ტომონიმიკაში დამოწმებულ და დაღისტნურ ენათა საფუძველზე ხსნილ „-იბ“ — სუფიქსში (თანამ. აზერბაიჯანის მიწა-წყალიც ხომ ძველად დაღისტნური ტომების — ალბანელების ადგილსამყოფად იგულისხმება). ალბანურ-დაღისტნური ტომო-და ეთნონიმიკა პარალელებს ავლენს კიდევ უფრო სამხრეთით მდებარე მხარეების (მაგალითად, ურმიისპირეთის) ტომო-და ეთნონიმიკაში (სახელები: ბარდა-ბარდავი, ზურზუქა-დურძუქნი, ანდია და სხვ)⁴.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში სათანადო მონაცემები ლაპარაკობენ მონათესავე ტომების (ჩრდილო-აღმოსავლურ კავკასიურ — დაღისტნურ ტომთა) გავრცელების შესახებ ფართო ტერიტორიაზე კავკასიონის აღმოსავლეთ კალთებიდან მოყოლებული ურმიისპირეთამდე (და შეიძლება, კიდევ უფრო სამხრეთით, თუ „კასპიური“ ანუ ზაგროს-ელამური ენები (ლულუბის, კასიტების, ელამური ენები), როგორც ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, მონათესავე უნდა იყოს კავკასიური ჯგუფის, კერძოდ მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი შტოს ენებისა). შეიძლება ასევე ვიფიქროთ, რომ ანალოგიური მსგავსებანი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნონიმიკასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ მც. აზიის უძველეს ეთნონიმიკას შორის უნდა ლაპარაკობდეს ჩრდილო-დასავლურ კავკასიელ ტომთა გავრცელების შესახებ დასავლეთ ამიერ-კავკასიისა და კიდევ უფრო სამხრეთით (მცირე აზიის აღმოსავლეთ რაიონებში). ასეთ ვარაუდს მხარს უჭერს მოსაზრება მცირე აზიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში

¹ იხ. История Армении Фавстоса Бузанда, Ереван, 1953, გვ. 15—16.

² Армянская география, VII в. по р. X, СПб, 1877, გვ. 16 (სომხ.) 38 (რუს.).

³ ზოგიერთ კართველ ტომზე (ფშავ-ხევსურებზე) ამ სახელების გადმოტანა გვიანდელი ამავეი უნდა იყოს.

⁴ გ. მელიქიშვილი, ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ახლად აღმოჩენილი ურარტული წარწერა. „აღმოსავლური კრებული“, I, თბილისი, 1960, გვ. 69—73.



უძველეს ხანებში გავრცელებული მოსახლეობის—ე. წ. პროტოხეთების ენის შესახლო ნათესაობის შესახებ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ენებთან, თვით დასავლეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე უძველეს ტოაონიმიკაში აფხაზურ-ადიღურთ ელემენტების გავრცელება (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია), აგრეთვე არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დადასტურებული ფაქტი მატერიალური კულტურის მიხედვით ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის უმედიროესი კავშირისა დასავლეთ ამიერკავკასიისთან.

ფახუვას გზით ამ ბოლო დროს დასავლეთის ორიენტალისტიკაში ისახება მუშაობის საკითხის ახლებური გადაწყვეტა. ყურადღება მიაქციეს კერძოდ იმ ფაქტს, რომ ფახუვას სათავეში მდგომი პირი ატარებს „მითა“-ს სახელს, ხოლო მითა (ამ ფორმით—ასურულ წყაროებში, ბერძნულში—მიდასი) ერქვა ფრიგიის (ანუ მუშქების) სამეფოს ცნობილ ხელისუფალს, რომელიც მოღვაწეობდა ძვ. წ. VIII ს. ბოლოს და VII ს-ის პირველ მეოთხედში. ამიტომ ბევრი მკვლევარი თავს ანებებს გავრცელებულ მოსაზრებას მუშქების ფრიგიელობის შესახებ (ისევე როგორც მისიელებთან მათ დაკავშირებას) და ამტკიცებს, რომ მუშქები ადგილობრივი, მცირეაზიული ტომია, რომელიც ხეთების დროს სწორედ ამ ფახუვას რაიონში ცხოვრობდა, ხეთების სამეფოს დაცემის შემდეგ კი სამხრეთით გადმოინაცვლა და ასურეთის საზღვრებს მიადგა, სადაც მათ შეებრძოლა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115—1077)¹. მეორე მხრით, თვით სახელწოდება mita-ს უკავშირებენ ხეთურ-იეროგლიფურში (ყარატეგეს ხეთურ-იეროგლიფურ-ფინიკურ ბილინგვაში) „მისახურის“ მნიშვნელობით დამოწმებულ სიტყვა miti-ს². აქედან თითქოს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ფახუვას მოსახლეობა „ხეთურ-იეროგლიფური“ წარმოშობისა იყო. მაგრამ ასეთი დასკვნა ჩვენ ჯერ კიდევ ნაადრევად გვეჩვენება. როგორც აღვნიშნეთ, „ხეთური-იეროგლიფური“—ლუვიური³ დამწერლობის, ენისა და კულტურის გავრცელების არე აღმოსავლეთ მცირე აზიაში, უმეველია, მნიშვნელოვნად აღემატებოდა საკუთრივ „ხეთურ-იეროგლიფურ“—ლუვიური ეთნიკური ელემენტის გავრცელების არეს, ამიტომაც ყველგან, სადაც ამ მხარის ონომასტიკონში ცალკეული „ხეთურ-იეროგლიფურ“—ლუვიური სახელწოდება თავს იჩენს, არ შეიძლება ითქვას, რომ მისი მატარებელი პირი და, მაშასადამე, მისი ტრამი—ხალხი, აუცილებლად ამ წარმომავლობისანი უნდა ყოფილიყვნენ⁴.

¹ იხ. E. Cavaignac, *Mushki et phrygiens*, „Journal Asiatique“, t. CCXLI, 1953; Kurt Bittel, *Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasien*, Tübingen, 1950, გვ. 75—76; E. Akurgal, *Phrygische Kunst*, Ankara, 1955, გვ. 114, 120 შად.

² J. Friedrich, *Hethitisches Wörterbuch*, I. Ergänzungsheft, გვ. 42; H. Th. Bossert, *Die Phönizisch-hethitischen Bilingualen von Karatepe*, „Jahrbuch für Kleinasiatische Forschung“, Bd. II, H. 3, 1953, გვ. 323.

³ ხეთურ-იეროგლიფური წარწერების ენისა და ლუვიური ენების სიახლოვე დღეს ეჭვს ვარგეშა. ზოგი მკვლევარი მათ ერთი ენის დიალექტებად მიიჩნევს, ხოლო ხეთურ-იეროგლიფურის ისეთი თვალსაზრისი მკვლევარი, როგორც ბოსერტი, ხეთურ-იეროგლიფურ დაწერლობას უბრალოდ ხატოვან-ლუვიურს უწოდებს (იხ. მაკალითად, მისი წერილი *ფონალში „Orientalia“*, vol. 29, fasc. 3, 1960).

⁴ წერილში გვხვდება შემდეგი შემოკლებაანი: ქც—ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, ს. გაუხჩიშვილის გამოცემა; ВДИ—Вестник древней истории; УКН—Г. А. Меликшвили, Урартские клинообразные надписи; (D. D. Luckenbill), ARAB—M. D. Luckenbill, *Ancient Records of Assyria and Babylonia*; MDOG—Mitteilungen der Deutschen Oriental-Gesellschaft; RE—Realenzyklopädie der klassischen Altertumswissenschaft; ZA—Zeitschrift für Assyriologie; ZDMG—Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft.

სოციალური ურთიერთობის საკითხისათვის XIX ს. პირველი ნახევრის ყაბარღოვი

თ. გომეზაძე

სოციალური ურთიერთობის საკითხი XIX ს. პირველი ნახევრის ყაბარღოვი. მიუხედავად მთელი რიგი გამოკვლევებისა, დღემდე სადავო საკითხია, რომელიც კვლავ მოითხოვს მის შემდგომ შესწავლას.

ყაბარღოს სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობის შესახებ, როგორც რევოლუციამდელ ხანის, ასევე საბჭოთა პერიოდის მკვლევრებს შორის აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს. ასე, მაგალითად, რევოლუციამდელ ავტორებს შორის როგორებიც იყვნენ: ი. გულდენშტედტი¹, პ. პალასი², ს. ბრონევესკი³, ი. რადოვიცი⁴, ი. შახოვსკი⁵, შ. ნოგმოვი⁶, კ. სტალი⁷, მ. კოვალევსკი⁸, ვ. კულაშევი⁹ და სხვ., ფიქრობდნენ, რომ რევოლუციამდელ ყაბარღოში ფეოდალური ურთიერთობა საკმაოდ განვითარებული იყო და ის რამდენადმე ჰგავდა კიდევ დასავლეთ ევროპის განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობას. მათი აზრით, ყაბარღოში მიწაზე ფეოდალური საკუთრება და განვითარებული ფეოდალური იერარქია არსებობდა.

¹ И. А. Гюльденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа. СПб, 1809 г. Из путешествия академика И. А. Гюльденштедта через Россию и по кавказским горам в 1770—73 годах.

² П. С. Паллас, Заметки о путешествиях в южные наместничества Российского государства в 1794 г. Лейпциг, 1803 г., т. 1.

³ С. Броневский, Новейшие географические и исторические известия о Кавказе, т. I, М., 1823.

⁴ И. Радожицкий, Законы и обычаи кабардинцев. „Литературная газета“, 1846, № 1—2.

⁵ И. В. Шаховской, Путешествие в Сванетию и Кабарду (1834 г.), Ученые записки Каб.—Балк. НИИ, т. XIII, Нальчик, 1957.

⁶ Ш. Б. Ногмов, История адыгейского народа, Нальчик, 1959.

⁷ К. Ф. Сталь, Этнографический очерк черкесского народа (1852 г.), Кавказский сборник № 21, Тифлис, 1900.

⁸ М. Ковалевский, „Поземельные и сословные отношения у горцев Северного Кавказа. Жур. „Русская мысль“, 1883; იბ., აგრეთვე. „Закон и обычаи на Кавказе, М., 1890; В. Миллер и М. Ковалевский, В горских обществах Кабарды. Жур. „Вестник Европы“, № 4, 1884.

⁹ В. Н. Кудашев, Исторические сведения о кабардинском народе, Киев 1913.



რევოლუციამდელი ავტორების მეორე ჯგუფი კი: ს. ბურნაშევი¹, ი. დებუ², პ. გავრილოვი³, ნ. დუბროვინი⁴, ფ. ლეონტოვიჩი⁵, გ. კულიშერი⁶, ი. აბრამოვი⁷, ე. მაქსიმოვი⁸ და სხვ. ამტკიცებდნენ, რომ ამ პერიოდისათვის ყაბარდოში არსებობდა პატრიარქალურ-თემობრივი ურთიერთობა, კერძო საკუთრება გლესზე და არა მიწაზე.

რეფორმამდელ ხანაში ყაბარდოს სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შესახებ საბჭოთა პერიოდის ისტორიკოსთა შორისაც აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ასე, მაგალითად, ვ. პოეიდაევი⁹ და ს. მესაია¹⁰, ცნობენ რა ყაბარდოში ფეოდალურ ურთიერთობას, სამაგიეროდ კატეგორიულად უარყოფენ მიწაზე ფეოდალურ საკუთრებას. მკვლევართა მეორე რიგს: გ. კოიეცს, ს. კომისაროვს და სხვ. მიაჩნიათ, რომ ყაბარდო ფეოდალური განვითარების უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდა¹¹, ან კიდევ იგი რეფორმამდელი ხანის ტიპურ ფეოდალურ ქვეყანას წარმოადგენდა¹². მკვლევართა მესამე რიგს: პ. ლებედევს, ა. კრასნოვს და სხვ. მიაჩნიათ, რომ ყაბარდო ოქტომბრის რევოლუციამდე პატრიარქალურ-ფეოდალური ყოფის საფეხურზე იდგა¹³, ან რეფორმამდელ ყაბარდოში პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობა ბატონობდა¹⁴.

ა. კეშოკოვის აზრით, რეფორმამდელ ყაბარდოს ფეოდალიზმი განვითარების უმაღლეს სტადიას კი არ წარმოადგენდა, არამედ ფეოდალური და პატრიარქალურ-გვაროვნულ ურთიერთობათა რთულ გადახლართვას¹⁵. ნ. სმირნოვი კი მიიჩნევს, რომ რეფორმამდელ ყაბარდოში იყო სწორედ ფეოდალური ურთიერთობა და არა პატრიარქალურ-ფეოდალური¹⁶. ზ. ანჩაბაძე ყაბარდოს ხანოვანობრივ ურთიერთობას მიიჩნევს ნახევრადპატრიარქალურ-ნახევრად-ფეოდალურ ურთიერთობად¹⁷. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ყაბარდოს

¹ С. Д. Бурнашев, Описание горских народов, Курск, 1794.

² И. Дебу. О Кавказской линии, СПб, 1829.

³ П. А. Гаврилов. Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа. Сборник сведений о кавказских горцах. Тифлис, 1869.

⁴ Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, т. 1 1870, იხ. აგრეთვე ვერხალი: „Военный сборник“, № 3—4. „Черкесы (Адыгеи)“: 1870.

⁵ Ф. И. Леонтович, Алаты кавказских горцев, Одесса, 1882.

⁶ Рефераты заседаний VI археологического съезда в Одессе, Одесса, 1884.

⁷ Журн. „Отечественные записки“, № 2, 1884.

⁸ Е. Максимов, кабардинцы „Терский сборник“, 1892; იხ. აგრეთვე, Е. Максимов и Г. Вертепов, Туземцы Северного Кавказа, Владикавказ, 1892.

⁹ В. П. Пожидаев, Хозяйственный быт Кабарды „Труды по естественно-историческому и экономическому обследованию Кабарды, Т. III, Воронеж, 1929.

¹⁰ С. И. Месаяц, Население и землепользование Кабарды „Труды по естественно-историческому и экономическому обследованию Кабарды, т. II, Воронеж, 1928.

¹¹ Г. Кокоев, Краткий исторический очерк Кабарды. Сборник „Кабардинская АССР“, 1946.

¹² С. А. Комисаров, Из истории освобождения зависимых сословий в Кабарде. Ученые записки НИИ, т. II, Нальчик, 1947.

¹³ П. А. Лебедев, Образование Кабардинской автономной области. Ученые записки Каб. Госпединститута, вып. I, 1951.

¹⁴ Вопросы истории, 1953, № 10.

¹⁵ А. Кешоков, Некоторые вопросы истории Кабарды. Сборник по истории Кабарды, вып. I, Нальчик, 1951.

¹⁶ Вопросы истории, 1953, № 10.

¹⁷ იქვე

სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის შეფასებისას თავისებურ, მაგრამ ბუნდოვან პოზიციას იკავებს ი. მუქევი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყაბარდოში არსებობდა ორი წყობა: ფეოდალური—საქონელზე კერძო საკუთრების და პატრიარქალურ-გვაროვნული—მიწის თემური საკუთრების საფუძვლებზე; საერთო მთლიანობაში მუქევი ყაბარდოში პატრიარქალურ-გვაროვნულ საზოგადოებიდან ფეოდალურში გარდამავალი სტადიის აღიარებისაკენ იხრება¹. შედარებით სწორ პოზიციაზე დგას ტ. კუმიკოვი², მაგრამ ისიც ძალზე აჭარბებს რეფორმამდელ ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონეს. მისი აზრით, ყაბარდოში მართალია ფეოდალიზმმა ვერ მიაღწია თავისი განვითარების უკანასკნელ სტადიას, მაგრამ იგი საკმაოდ განვითარებულია და რომ შედარებით ძლიერად განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა გახვეული იყო პატრიარქალურ-თემობრივ წყობილების გადმონაშთებში³. შეიძლება სხვა ავტორების დასახელებაც, მაგრამ ისინი ძირითადად ზემოთ მოყვანილ დებულებებში თავსდებიან.

ჩენი ნაშრომის ძირითად ამოცანას შეადგენს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში მიწათმფლობელობის და სარგებლობის საფუძველზე წარმოშობილი ბატონობისა და მორჩილების სხვადასხვა ფორმების შესწავლა, რამდენადაც ისინი საშუალებას მოგვცემენ შევიცნოთ დამოკიდებულება უშუალო მწარმოებელსა და მის ექსპლოატატორს შორის, დამოკიდებულება თვით გაბატონებულ კლასის შიგნით არსებულ წოდებებს შორის და აქედან გამომდინარე სწორი შეფასება მივცეთ ყაბარდოში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ყაბარდოში მიწის მსხვილი საკუთრებისა და საქონლის რაოდენობრივი ზრდა, უშუალო მწარმოებლების ეკონომიური დამოკიდებულება გაბატონებულ ზედაფენისადმი, რომელიც თანდათანობით ხელთ გდებულობდა წარმოების ამ ძირითად საშუალებებს, წარმოადგენდა ეკონომიურ საფუძველს ყაბარდოში ფეოდალიზმის განვითარებისა. უშუალო მწარმოებლის ეკონომიურ დამოკიდებულებას კი თან სდევდა მისი პოლიტიკური დამოკიდებულების ზრდაც ექსპლოატატორულ ზედაფენისადმი, მისი უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა და დარჩენილ თავისუფალ მიწის მუშაკთა დაყმევება. ყოველივე ეს კი ერთად აღებული ანუ გარეშე ეკონომიური იძულება თავის მხრივ, გარკვეულ როლს ასრულებდა მებატონეების ეკონომიური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში.

¹ И. Ф. Мужев, „Крестьянская реформа в Кабарде (1867)“, Диссер. на соиск. уч. ст. канд. истор. наук, Москва, 1951; მისვე, Социально-экономическое развитие Кабарды в 50—60 годах, Учен. зап. Кавбоспединст. вып. 7, Нальчик, 1955; „К вопросу об общественных отношениях в Кабарде в первой половине XIX века“, Учен. зап. Кав.-Балк. Госпединститут, вып. 13, 1957; „Социально-экономическое развитие Кабарды во второй половине XIX века (1868—1900)“, Учен. зап. Кав.-Балк. НИИ Нальчик, вып. VII, 1952.

² Т. Х. Кумыков, „Некоторые вопросы общественного развития Кабарды в XIX веке“, Сб. ст. по истории Кабарды и Балкарии, Нальчик, 1956; იბ. მისვე „Земельные отношения в Кабарде в пер. пол. XIX в. и земельная реформа 1863—1869 г.“. Дис. на соиск. Канд. ист. наук, Тифлис, 1953; „К вопросу об общественном строе Кабарды накануне реформы 1861 г.“, Учен. зап. КНИИ, т. IX, 1954. Соц.-экон. отношения и отмена крепостного права в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1959.



მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ყაბარდოვული საზოგადოება ძირითადად დაყოფილი იყო ორ მოპირდაპირე კლასად ფში-უორკებად და ფშიტლებად. ქართული შესატყვისობით თავდაზნაურებად და გლენობად.

ისტორიულად, ფშიტლი ყაბარდოს სოციალური ურთიერთობის ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, მაგრამ საზოგადოების შემდგომი დიფერენციაციის საფუძველზე, მისი შინაარსი გაფართოვდა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მთლიანად გადაიქცა ვლენობის საერთო მასის აღმნიშვნელ ზოგად ცნებად, მაშინ როდესაც მეზობელ დილურ ტომებში იგი კვლავ განაგრძობდა არსებობას, როგორც ერთ-ერთი სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინი. 1861 წლის ოფიციალურ მოხსენებაში, ჩრდ. კავკასიაში ბატონყმობის შეზღუდვის თაობაზე აღნიშნულია, რომ „ყაბარდოში ყმა-გლეხებისათვის ერთი საერთო სახელწოდება არსებობს ფშიტლი“¹. ამავე ცნობით, ფშიტლები სამ კატეგორიად იყოფოდნენ: ლოგანაპიტებად, ოგებად და უნაუტებად. ყაბარდოელი მწარმოებელი საზოგადოება მე-19 საუკუნის პირველ ნახევრისათვის ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი იყო პირადად თავისუფალი—თლფოკოტლები (თავისუფალი მიწის მუშები) და ახატები, ხოლო მეორე — პირად თავისუფლებას მოკლებული ერთი მხრივ, ყმა-გლეხები ლოგანაპიტები და ოგები, და მეორე მხრივ, მონები—უნაუტები. უშუალო მწარმოებლის ცალკეულ სოციალ-ეკონომიურ კატეგორიებად დაყოფისას ჩვენ მათ მოვალეობის ზასიათიდან კი არ ამოვდივართ, არამედ მათ უფლებრივ-იურიდიულ ნიშებიდან. ვინაიდან სოციალური კატეგორიები, როგორც წესი, სხვადასხვა წარმოშობისანი არიან და ამდენადვე ბატონყმურ ურთიერთობაში განსხვავებულ ადგილს იკავებენ, ჩვენ მათ განვიხილავთ ცალ-ცალკე.

უნაუტი. ეს სოციალური კატეგორია საზოგადოებაში თავის უფლებრივ მდგომარეობით მონობის საფეხურზე იდგა. უნაუტები ყაბარდოში უადათო პირებად ითვლებოდნენ და მთლიანად უუფლებონი იყვნენ. ადათი კი მფლობელებს „განუსაზღვრელ უფლებებს“ ანიჭებდა უნაუტების მიმართ². უნაუტები განუყრელად ცხოვრობდნენ თავიანთი მფლობელების კარზე და უსიტყვოდ ასრულებდნენ ყოველგვარ ბრძანებას³. მფლობელთა საკარმიდამო სამუშაოები მთლიანად მათ კისერზე იდო. უნაუტებს არ გააჩნდათ „არავითარი საკუთრება“ და „არავითარი ქონება“. ისინი საკვებსა და ტანთჩასაცემლსაც, როგორც წესი, მფლობელებისაგან ღებულობდნენ⁴. კავკასიის მთიანეთის სამმართველოს უფროსის ერთ-ერთ მოხსენებაში უნაუტების შესახებ ნათქვამია, რომ „ისინი ითვლებიან როგორც მათი მფლობელების ქონება“. უნაუტების მოკვლის ან შეურაცხყოფის შემთხვევაში პიროვნება ჯარიმას უხდიდა მფლობელს „ქონებრივი ზარალის“ ასანაზღაურებლად. უნაუტების მფლობელები განუსაზღვრელი უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი მათი ყიდვა-გაყიდვის, ჩუ-

¹ ЦГИА Груз. ССР, ф. 416, оп. 3, д. 266, л. 4.

² ЦГИА Груз. ССР, ф. 416, оп. 3, д. 287, გვ. 2.

³ Г. К. Кокиев. Крестьянская реформа в Кабарде (документы по истории освобождения зависимых сословий в Кабарде в 1867 г.). Нальчик, 1947, док. № 3, გვ. 28.

⁴ Там же, გვ. 29—30

ქებისა თუ დასჯა-მოკვლის შემთხვევებშიც¹. ყაბარდოელი ფეოდალების თქმით, უნაუტების განთავისუფლება ნიშნავდა არა მარტო ქონებრივ დანაკლისს, არამედ მასთან ერთად მეტად მძიმე და ძნელად შესაცვლელი შრომის დაკარგვასაც. ყაბარდოელი ფეოდალები, რეფორმის პერიოდში, უნაუტების განთავისუფლების საკითხს უკავშირებდნენ „თავიანთ მომავალ მძიმე მღვთმარებას და გარდაუვალ სიღარიბეს“².

უნაუტ ქალს, როგორც უღადაოს, არ გააჩნდა ქორწინების უფლება. თუმცა მფლობელის თანხმობით მას შეეძლო ჰყოლოდა დროებითი ქმარი, განურჩევლად იმისა, თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა იგი—უნაუტს, ლოგანაპიტს თუ თავისუფალ წოდებას. მაგრამ, როგორც წესი, „მათგან შეძენილი ბავშვები ითვლებოდნენ უნაუტებად“³ და რჩებოდნენ მფლობელის საკუთრებაში. უნაუტების ღირებულება მე-19 საუკ. პირველი ნახევრის ყაბარდოში მერყეობდა 100-დან 500 მანეთამდე, საშუალოდ კი 300—400 მანეთის ფარგლებში, რაც ამ დროისათვის საკმაოდ დიდი თანხა იყო. ასეთი მაღალი ფასი, ყაბარდოელი ფეოდალების თქმითვე, იმით იყო გამოწვეული, რომ უნაუტებს თავი ვერ გამოესყიდათ.

უნაუტი-მონების წარმოშობის მრავალი წყარო არსებობდა ყაბარდოში. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ისეთი სოციალური ერთეულები, როგორებიც იყვნენ ხაბზენში, ლიგავა, ჟიხეფატეზი ჯა ისირი.

რუსულ მმართველობის ოფიციალურ დოკუმენტებში ხაბზენში მიჩნეულია „უნაუტის წოდების განსაკუთრებულ სახეობად, რომელიც თავდაპირველად გლეხურ კატეგორიას განეკუთვნებოდა“⁴. ლოგანაპიტიდან ხაბზენშია გადაქცევა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება თავის ბატონის მიმართ „მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა“⁵. თვით საპელწოდება „ხაბზენში“ ყაბარდოულად აღათის დამარღვევს ნიშნავს.

უნაუტის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ჟიხეფატეზიც, რომელიც თავდაპირველად ასევე ლოგანაპიტის კატეგორიაში იყო მოქცეული. ასე მაგალითად, როდესაც თავადები ან აზნაურები ათხოვებდნენ თავიანთ ქალიშვილებს და მზითევში გასატანებლად არ ჰყავდათ უნაუტები, ისინი ამ შემთხვევაში თავიანთ ლოგანაპიტებს ართმევდნენ ქალიშვილებს და აქცევდნენ მათ უნაუტებად⁶.

ამავე პერიოდისათვის აღსანიშნავია უნაუტის კიდევ ერთი სახესხვაობა, —ლიგავა (ხორცისმზარხველი). ლიგავაც თავისი წარმოშობით ლოგანაპიტი იყო. წყაროებში აღნიშნულია, რომ ფში-ს ანუ თავადს სახლში მოსამსახურედ „უფლება ჰქონდა განუსაზღვრელი დროით ლოგანაპიტის დიდი ოჯახიდან აეყვანა ერთი მამაკაცი“⁷, რომელიც შემდეგში ლიგავად იწოდებოდა.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ყაბარდოში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ლოგანაპიტის ფასი ყიდვა-გაყიდვის პროცესში უნა-

¹ ЦГИА, Груз. ССР, Ф. 416, оп. 3, д. 287, л. 1

² Г. К. Кокниев, Крестьянская реф., док. № 20, гл. 65

³ იქვე, დოკ. № 3, გვ. 28

⁴ ЦГИА Груз. ССР, Ф. 416, оп. 3, д. 122, л. 2.

⁵ იქვე, Ф. 416, оп. 3, д. 266, л. 6.

⁶ იქვე, Ф. 416, оп. 3, д. 270, л. 2

⁷ იქვე, Ф. 416, оп. 3, д. 122, л. 3.



უტის ფასამდე აღიოდა და ბოლოს იყიდებოდა, როგორც უნაუტი ე. ი. იქცეოდა უნაუტად. ძირითადი წყარო კი უნაუტების წარმოშობისა ყაბარდოში XVI—XVIII სს. და XIX ს. პირველ ნახევარში იყო საგარეო ომები, შინაფეოდალური ომები, ტყვე-მონებით ვაჭრობა, პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის რღვევა და სხვ.

ჩვენის აზრით, ლიგავა და ხაბზენშა თავისი ეკონომიური და იურიდიული მდგომარეობით არა თუ უნაუტებთან ახლოს იდგნენ, როგორც ამას ფიქრობს ტ. კუმიკოვი¹, არამედ თვით წარმოდგენდნენ უნაუტებს მის სახესხვაობაში. ასეთსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჟინფატეზიც. ჩვენის აზრით, ყაბარდოში უნაუტის სოციალური კატეგორია უნდა მოიცავდეს იასირსაც, რომელიც მართლაც შეიძლება ჩაითვალოს მე-19 ს. პირველი ნახევრის ჩრდ. კავკასიის ექსპლუატირებულ და დამორჩილებულ მოსახლეობის თავისებურ კატეგორიად².

თვით ტერმინი „იასირი“ თურქული წარმოშობის სიტყვაა და აღნიშნავს მონას, ან ტყვეს³. იასირის კატეგორია, როგორც წყაროებიდან ირკვევა, არსებობდა მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოშიც. ასე მაგალითად, 1845 წელს ჩერქეზი ხაცუკო შუმახოვი კავკასიის ნაცვლისადმი თავის თხოვნაში წერს, რომ „იგი იასირია და იასირების შესახებ არსებული კანონის თანახმად მას ეკუთვნის თავისუფლება“. ამავე თხოვნაში აღნიშნულია, რომ ყაბარდოში „მრავალნი განეკუთვნებიან იასირებს და ისინიც მის მსგავს მდგომარეობაში იმყოფებიან“⁴. ხოლო თუ გავითვალისწინებთ ხაცუკოს თხოვნის ძირითად მოტივს, რათა „იგი მონობისაგან იქნეს განთავისუფლებული“⁵ თავისთავად, გასაგები ხდება, რომ მის მსგავს მდგომარეობაში მყოფნიც ასეთ მონობაში იქნებოდნენ. ეს გარემოება კი გვაფიქრებინებს იასირების იდენტურობას უნაუტებთან. მასალებიდან ირკვევა, რომ იასირებად არა მარტო უშუალოდ ყაბარდოელების მიერ დატყვევებულები იქცეოდნენ, არამედ ისინიც, რომლებსაც ყაბარდოელები ყიდულობდნენ სხვებისაგან. ამ მხრივ საინტერესოა ბუტკოვის ცნობა, რომ „ქართველებს თვით ყაბარდოელები არ ატყვევებენ, არამედ მათ ყიდულობენ კუმიკებისაგან, ყუბანელი და ყირიმელი თათრებისაგან“⁶. ტყვედ ჩავარდნილი ყაბარდოში მოყვანის შემდეგ არასაკვირველია აუცილებლად მონად იქცეოდა, რამდენადაც ყაბარდოში მონის შრომის გამოყენებისათვის როგორც მე-19 ს-დე ისე მე-19 ს. პირველ ნახევარში აუცილებელი პირობა ნამდვილად არსებობდა, კერძოდ მონათმფლობელური წყობა—უნაუტი. ამასთანავე ყაბარდოელ მფლობელს მისი გამოყენებისათვის გააჩნდა როგორც „შრომის იარაღი

¹ Т. Х. Кумыков, Социально-экономические отношения и отмена крепостного права в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1959, стр. 80.
² Б. А. Гарданов, материалы по обычному праву кабардинцев (пер пол. XIX в.), Нальчик, 1956, стр. 390.
³ Подное собрание законов в Российской империи, Собрание второе, т. X, № 8138, 1836, стр. 421.
⁴ Б. А. Гарданов, Материалы..., док. № 121, стр. 164.
⁵ იქვე, стр. 191.
⁶ П. Г. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. I. СПб., 1869, стр. 319

და საგნები მონის შრომისათვის, ასევე სახსარიც მონის გაჭირვებულად შენახვისათვის¹. ძნელია კონკრეტულად იასირების ვალდებულებების გარკვევა, რამდენადაც საამისო ცნობები წყაროებში არ მოგვეპოვება, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი მსგავსი უნდა ყოფილიყვნენ უნაუტების ვალდებულებებისა. სტალს, სხვათა შორის, თავის ნაშრომში მოეპოვება ცნობა, ყაბარდოში განსაკუთრებული სახის ბეგარის—იასაკის არსებობის შესახებ, რომელმაც შესაძლებელია დასმულ საკითხს დადებითად გასცეს პასუხი.

სტალი წერს, რომ „თავადი იდი ყაბარდოში თავის ქვეშევრდომებისაგან იღებს იასაკს: თაფლით, შეშითა და საქონლით“ და რომ „ეს არის დამპყრობლის უფლება“². ვინაიდან თავადი იღებს იასაკს და ეს არის მისი უფლება, როგორც დამპყრობლისა, ჩვენის აზრით, ხსენებული ქვეშევრდომები იყვნენ იასირები და სხვა არავენ, მით უმეტეს, რომ სტალი მათ საგანგებოდ ჰყოფს სხვა ქვეშევრდომებისაგან, რომლებიც, ან არ იხდიდნენ „არავითარ ხარკს“, ან კიდევ „მათი ვალდებულებანი თავადის წინაშე მეტად უმნიშვნელო იყო“³. საინტერესოა, რუსულ წყაროებში მოხსენიებული „იასაკის ხალხი“ ანუ ясашиные люди⁴.

ე. კუშევა ფიქრობს, რომ „მდაბიო ხალხი“ ანუ „черные люди“ და „იასაკის ხალხი“ ანუ „ясашиные люди“ განეკუთვნებიან ყაბარდოელი გლეხობის ერთ განსაზღვრულ კატეგორიას, რომელიც მე-19 ს. წყაროებში ცნობილი იყო როგორც „თავისუფალი მიწათმოქმედი“, თლფოკოტლი, დხოკოტლი, თოკოლი“⁵. ჩვენის აზრით, კუშევა უნდა ცდებოდეს, რამდენადაც „იასაკის ხალხი“ უნდა ყოფილიყვნენ არა „თავისუფალი მიწათმოქმედი“, არამედ ისინი ვინც „იარაღის ძალით“ მორჩილებდნენ ყაბარდოელ ფეოდალებს და უხდიდნენ იასაკს, სწორედ, რომ „დამპყრობლის უფლების“ ძალით. ასეთები კი უნდა ყოფილიყვნენ აბაზინები, ბალყარლები, ოსები, ჩეჩენ-ინგუშები და სხვ., რომლებიც ყაბარდოელ ფეოდალებს ფში-უორკებს მორჩილებდნენ. ვფიქრობთ, რომ იასირებიც შედიოდნენ ხსენებულ „იასაკის ხალხში“, როგორც ტყვე, მომავალი მონა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი უშუალოდ იყვნენ მოყვანილნი თვით ყაბარდოში.

უნაუტ-მონის ინსტიტუტის არსებობა მე-19 ს. პირველ ნახევარში ჩვენ ჯერ კიდევ უფლებას არ გვაძლევს ყაბარდოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ევოლუციას დავახასიათოთ როგორც მონათმფლობელური, რამდენადაც მონური შრომა ყაბარდოელებთან წარმოების გაბატონებულ წესს არ წარმოადგენდა. ე. კუშევა უნაუტების კატეგორიის განხილვისას აღნიშნავს, რომ „რეფორმამდელ ყაბარდოში არსებობდა მონათმფლობელური წყობა პატრიარქალურ მონობის ფორმით, რომელიც მჭიდროდ იყო გადახლართული ფეოდალურ თანხმობებში“⁶. ჩვენ ვეთანხმებით ამ დებულებას და აღვნიშნავთ, რომ მიუ-

¹ ფ. ვნგელსი, „ანტი-დიურინგი“, 1952, გვ. 190.

² К. Ф. Сталь, Этнографический очерк Черкесского народа (1852), Кавказский сборник, № 21 Тифлис, 1900 г., გვ. 105.

³ იქვე, გვ. 105.

⁴ Е. И. Кушева, Социально-экономические отношения в Кабарде в XVI—XVII вв. Сборник статей по истории Кабарды, вып. V, Нальчик, 1956, გვ. 112.

⁵ Т. Х. Кумыков, Социально-экон. отнош... გვ. 77.



ეღვავად მისი არსებობისა, იგი არ იყო გაბატონებული წყობა, რომ მოწონა ყაბარდოში ვერ ავიდა ანტიკურ თუ აღმოსავლურ განვითარებულ მოცოვას საფეხურამდე. საბოლოო ჯამში ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობა წარმოიშვა არა განვითარებული მონათმფლობელური წარმოების წესის რღვევისა და კრიზისის საფუძველზე, არამედ პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის რღვევისა და განუვითარებელ, პრიმიტიულ მონათმფლობელურ წყობის საფუძველზე. ამ მიმართებით არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მე-16—18 სს. ყაბარდოს გარშემო არსებულ ფეოდალურად ძლიერ განვითარებულ ქვეყნებს რუსეთს, საქართველოს და სხვ., რომლებთანაც ყაბარდოს მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა.

უნაუტები ყაბარდოში არ შეადგენდნენ ერთ მთლიან შეკრულ სოციალურ ჯგუფს, საიდანაც არ შეიძლება გამოვსვა. გარკვეულ ნაწილს უნაუტებისა დროდადრო ეწლეოდათ „წარმოების საშუალებანი საზოგადოდ და მიწა ყერძოდ“¹. რის შემდეგ ისინი მიწაზე მიმაგრებულიც აღმოჩნდებოდნენ. ასე, მაგალითად, უნაუტი, რომელიც სრულწლოვანებას მიაღწევდა, უფლება ჰქონდა ბატონისაგან ლოგანაპიტი საცოლე მოეთხოვა. რის შემდეგაც იგი მოადათე ხდებოდა და ბატონისაგან „პირველი მოწყობისათვის იღებდა ერთ უღელ ხარს, წყვილ ძროხას და ოჯახისათვის მეტად აუცილებელ ჭურჭლეულს“². ასეთი უნაუტი შემდგომში ლოგანაპიტად ანუ მოადათედ იწოდებოდა. უნაუტების რიცხვი ყაბარდოში რეფორმის წინახანისათვის დაახლოებით 2500 აღწევდა³.

ზემოთ თქმულიდან ნათელი ხდება, რომ ფეოდალიზაციის პროცესი ყაბარდოში მე-19 ს. პირველ ნახევარში ნაწილობრივ უნაუტების ხარჯზე მიმდინარეობდა. მართალია, უნაუტი თავისი სოციალური მდგომარეობით მონას წარმოადგენდა, მაგრამ ფაქტიურად მისი ექსპლოატაცია უფრო ფეოდალური და ნახევრადფეოდალური მეთოდებით წარმოებდა, ეწლეოდა რა მას წარმოების ძირითადი საშუალებანი, საწარმოო იარაღები და სხვ. ეს კი თავის მხრივ ცვლიდა წმინდა მონათმფლობელურ ურთიერთობას ნახევრადფეოდალური ურთიერთობით, რაც სავსებით შეესაბამებოდა ადრეფეოდალურ ხანას. ასე, რომ ყაბარდოელი საზოგადოების განვითარების ტენდენცია ამ პერიოდისათვის მიმართებოდა, ერთი მხრივ, უნაუტებისა და ლოგანაპიტების ექსპლოატაციის ფორმების დახლოებისკენ, ხოლო მეორე მხრივ, მათი უფლებრივი მდგომარეობის გათანაბრებისკენ. ყაბარდოელი უნაუტები თავისი სოციალური მდგომარეობით რამდენადმე ჰვავდნენ ადიღურ უნაუტებს, აფხაზურ ახაშვალებს და ქართველ მოკალაბებს⁴. სოციალური წოდებრიობით უნაუტების მომდევნო კატეგორიად ყაბარდოში ლოგანაპიტი ითვლებოდა.

ლოგანაპიტი. ეს სოციალური კატეგორია მე-19 ს. პირველ ნახევრის ყაბარდოში შეადგენდა ყაბარდოელ უშუალო მწარმოებლების, — ყმა-გლეხ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, 1948, გვ. 208.

² Г. К. Кокиев, Крестьянская реф..., док. № 3, გვ. 29.

³ Сборник сведений о кавказских горцах, вып. 1, Тифлис, 1868, გვ. 40.

⁴ З. В. Анчабадзе, рец., „Сборник по истории Кабарды“, Мимомхилвели, т. III, Тбилиси, 1953, გვ. 324; იხ. აგრეთვე Г. А. Дзидария, народное хозяйство и социальные отношения в Абхазии в XIX в. (докрестьянской реформы 1870), Автореферат на соиск. уч. ст. док. ист. наук, გვ. 35.

ბის ძირითად მასას. თვით ტერმინი ლოგანაპიტი ყაბარდოულად ფში-უორ-კის ღარზე „მიმაგრებულს“ თუ „მიშენებულს“, მიკერძობულს ნიშნავს. ლოგანაპიტი წარმოადგენდა ყაბარდოელ ფეოდალების „მკვიდრ“ ყმა-გლეხს, რომელსაც მიცემული ჰქონდა წარმოების ძირითადი საშუალებანი მიწა, პირუტყვი და სხვ. და მიმაგრებული იყო ამ მიწაზე, რადგანაც სხვანაირად ფეოდალი ვერ უზრუნველყოფდა თავის თავს ამ მუშახელით. 1866 წლის ერთ-ერთ ცნობაში ყაბარდოს დამოკიდებულ წოდებათა შესახებ ვკითხულობთ, რომ ბატონი ვალდებული იყო, რათა „ლოგანაპიტს მისცეს სულ მცირე ერთი უღელი სამუშაო ხარებისა, ხოლო ღარიბსა და უცოლოს. ცოლის თხოვის შემთხვევაში დაუმატოს აგრეთვე ერთი ძროხა და ქვები“¹. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ერთი უღელი სამუშაო ხარი“ ყაბარდოში სინონიმური იყო მიწის გარკვეული ნაკვეთისა. ვინაიდან ლოგანაპიტი, მიწის მხოლოდ მემკვიდრეობითი და სასოვადოდ ტრადიციული მფლობელი იყო და არა მისი მესაკუთრე, ამიტომ იგი ვალდებული იყო მიწის მესაკუთრისათვის გადაეხადა გარდამეტი იძულებითი შრომა, რათა თვით მას მიეღო მისთვის აუცილებელი პროდუქტი. ასე, რომ ამ შემთხვევაში ლოგანაპიტისათვის „მიწა თითქმის ნატურალური ხელფასი იყო“². ამ საფუძველზე კი აღმოცენებული ლოგანაპიტის ვალდებულება ყაბარდოში მრავალგვარი იყო. ლოგანაპიტები მართალია ბატონის მიწაზე იყვნენ მიმაგრებულნი, მაგრამ უნაუტებისაგან განსხვავებით ისინი მაინც „განსაკუთრებული სახლით“ ანუ ცალკე ცხოვრობდნენ და დამოუკიდებელ მეურნეობას ეწეოდნენ.

ლოგანაპიტები, „წლის ყოველ დროს უსიტყვოდ ასრულებდნენ ბატონის სამეურნეო სამსახურს“ „და ყველაფერი ეს ისე უნდა მოეხერხებინათ“, რომ „საკუთარი ოჯახისათვისაც ყველაფერი აუცილებელი უზრუნველყოთ“³.

ლოგანაპიტის სამუშაო დღეებ⁴ და სამუშაოთა რაოდენობა⁵ ბატონის მიწაზე „განუსაზღვრელი იყო“. ამასთანავე იგი ყველა სამუშაოს თავის საკუთარ და ბატონის ხარების საშუალებით ასრულებდა⁶. ლოგანაპიტები მიწის სამუშაოების გარდა სხვა საშინაო და საველე სამუშაოებსაც ასრულებდნენ. ასე, მაგალითად, ბატონისათვის ზამთარ-ზაფხულ აპობდნენ და ეზიდებოდნენ ტყიდან შეშას; თიბავდნენ ბალახს, მკიდნენ ყანას და ყოველივე ამას ეზიდებოდნენ ბატონის კარზე. ლოგანაპიტებიც უვლიდნენ ბატონის ფუტკრებს, საქონელს, ცხენებსა და ცხვრებს. ბატონის სახლისა და ეზოს საქირთებისათვის ეზიდებოდნენ ტყიდან საამშენებლო ხე-ტყეს⁷. ლოგანაპიტების ცოლებს ბატონის კარზე რიგ-რიგობით დაჰქონდათ წყალი; ამზადებდნენ პასტას (ღომს); წველიდნენ ძროხებს და მთელი ოჯახისათვის მიჰქონდათ რძე; წელიწადში ორჯერ რეცხდნენ ბატონის ოჯახის თეთრეულს; ლესავდნენ სახლს; ბარავდნენ, თესდნენ და უვლიდნენ ბოსტანს; უნაუტ-ქალების დახმარებით ოჯახის უფროსს უმზადებდნენ ნაბადს, იარაღის ბუდეებს, მუღს; ქალბატონის მშობიარობისას ან ავადმყოფობისას კი ასრუ-

¹ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 33.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 214.

³ ЦГИА, Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 2.

⁴ ЦГИА, Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 36.

⁵ ЦГИА, Груз. ССР, ф. 416, оп. 3, л. 122, л. 3.

⁶ ЦГИА, Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 36.

⁷ ЦГИА, Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 32, იხ. აგრეთვე Г. К. Кокиев, Крестьянская реф., док. № 3, გვ. 26.

ლებდნენ მოწყალე დის მიჯაღებობას და სხვ.¹ ხენა-თესვის ან თიბვის დროს სამუშაოზე გამოდიოდნენ აგრეთვე 12—16 წლის ბიჭებიც.

ლოგანაპიტის ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებები შეადგენდნენ „ბატონყმურ—სამსახურს“ უფრო მეტად შრომითი რენტის სახით, ვიდრე პროდუქტების რენტას, რაც თავისთავად მიუთითებს ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დაბალ საფეხურზე, რამდენადაც ისინი შეადგენდნენ ყაბარდოს ყაბარდო მწარმოებლების ძირითად მასას. ოფიციალური ცნობით მათი რიცხვი ყაბარდოში მე-19 ს. პირველი ნახევრისათვის დაახლოებით 11000 აღწევდა.² ლოგანაპიტი თავისი წარმოშობით ყოფილი —თავისუფალი მიწის მუშაა, რომელმაც ფეოდალთა მომძღვარების. შედეგად დაკარგა ჯერ მიწა, შემდეგში პირადი თავისუფლებაც და გარკვეული დროის შემდეგ ყმა-გლეხად გადაიქცა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით კომიკოვს მასში, რომ ლოგანაპიტის წარმოშობის ერთადერთი წყარო მხოლოდ ყოფილი თლფოკოტლია ანუ თავისუფალი თემის წევრი, რომელიც ფში-უორკის სახლს მიემაგრა თუ მიეკედლა და შემდგომში მასზე ფეოდალურად დამოკიდებული შეიქმნა.³ ასეთი დებულება, განსაკუთრებით ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ადრეულ საფეხურისათვის, ჩვენის აზრით, არ შეესაბამება სინამდვილეს, რამდენადაც ლოგანაპიტების კლასში ექცეოდნენ არა მარტო საკუთრივ თლფოკოტლები, არამედ თლფოკოტლ-ალოდისტები, ანუ წვრილ-გლეხური მესაკუთრეები და მასთან ერთად კიდევ მოხარკეებიც. მოხარკეები კი ამ დროისათვის ძირითადად მეზობლად მდებარე ყოფილი თავისუფალი თემების წევრები იყვნენ, რომლებიც ყაბარდოელი ფეოდალების მიერ მათი ტერიტორიის დაპყრობა-განაწილების შემდეგ მოექცნენ. მონურ თუ ფეოდალურ დამოკიდებულებაში, პირველ ხანად გარკვეული ხარკის გამოღებით. ასეთები უნდა ყოფილიყვნენ, ჩვენის აზრით, სწორედ წყაროებში მოხსენიებული—„იასაკის ხალხი“ ანუ «Ясакиные люди».

გარკვეულ პირობებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლოგანაპიტებად იქცეოდნენ უნაუტეებიც. ასე რომ ლოგანაპიტების სოციალური კატეგორია ივსებოდა არა მხოლოდ ფოკოტლებისაგან, არამედ თლფოკოტლ-ალოდისტებისაგან, მოხარკეებისაგან. უნაუტეებისაგან და ოგებისაგან. ყაბარდოელი ლოგანაპიტები გარკვეულ მსგავსებას ამყლავებდნენ ადილურ ლოგანაპიტებთან, აფხაზურ ახოუებთან და ქართველ მოინალეებთან.

მესამე სოციალურ კატეგორიად მე-19 ს. პირველ ნახევრის ყაბარდოში გვევლინებიან ოგები.

ო გ ი. ოგები ძირითად ლოგანაპიტებიდან იყვნენ წარმოშობილნი. მაგრამ მათთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იყვნენ. წყაროებში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ოგი „ეს არის ლოგანაპიტი, რომელმაც ეს წოდება თავისი ბატონისაგან მიიღო, მისცა რა მას თავისი ქონების ერთი ნაწილი“.⁴ გლეხთა განათვისუფლების კომიტეტის მიერ შეკრებილ ცნობებში ოგების

¹ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 32. იხ. აგრეთვე Г. К. Кокиев, Крес-
тынская реф., док. № 3, გვ. 26.

² Сбор. свед. о кав. горцах, вып. I, Тифлис, 1868, გვ. 40.

³ Т. Х. Кумыков, К вопросу об общественном строе Кабарды накануне
реформы, ученые записки Каб.—Балк. НИИ. т. IX, Налччик, 1954, გვ. 79.

⁴ ЦГИА, Груз. ССР, ф. 416, оп. 3, д. 266, л. 5.

სოციალური წოდების შესახებ ნათქვამია, რომ „ის არის გარდამავალი საფეხური ყმური მდგომარეობიდან თვისუფალ მიწათმოქმედის კლასში“¹.

ლოგანაპიტის მსგავსად ოგი გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა ბატონის წინაშე. ასე, მაგალითად, თავისი საჭიროებისათვის წარმოებულ ხენისათვის ყოველ უღელ ხარზე ოგს ბატონისათვის უნდა გადაეხადა 15 ტუ-ლუკი ან 10 საწყაო ღომი; ყოველწლიურად შეძლებისდაგვარად ბატონისათვის უნდა მიეტანა ორიდან ოთხ ურემამდე ღომი, თითოეულში 20 საბი ან 30 მერი. თიბვის დროს კი ოგი ვალდებული იყო 16 წლის ასაკიდან სამი დღე ეთიბა და ორი დღე მოთიბული ეზიდა. მეფუტყრე—ოგს ბატონისათვის ყოველწლიურად უნდა მიერთმია სამი საპეტკა თაფლი; ოგს ბატონისათვის უნდა მიეტანა ყოველწლიურად 7—8 ურემი შეშა, სამშენებლო ხე-ტყე და ამასთანავე დროდადრო მასვე უნდა ეკისრა მთლიანად სახლის შეკეთებაც². ბატონის ან მისი ვაჟიშვილის ქორწინებისას ოგს მათი ცოლისათვის თავის სახლში უნდა დაეთმო ოთახი, ხოლო შემდეგ იგი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყო ტანსაცმელითა და საკვებით. მსხვილფეხა საქონლის დაკვლისას ოგს ბატონისათვის უნდა მიერთმია ხორცი (იასვებო); ქალიშვილის გათხოვებისას ყალიმიდან მას ბატონისათვის უნდა მიეცა ორი ხარი და ორი ძროხა³. ბატონის სტუმრები ოგს ღამისათვის უნდა მიეზიდა და მასვე უნდა ეკისრა მათი ცხენების გამოკვება. მარხვის დროს ოგი ვალდებული იყო ბატონისათვის გაეწყო ვახშამი, ხოლო ბატონის ან მისი უახლოესი ნათესავის გარდაცვალებისას მოსამძიმრებლად მოსულთათვის მოზრდილი სუფრა⁴.

ყველა ზემოთ მოტანილი ვალდებულებებიდან ჩანს, რომ ოგი, როგორც ბატონის საკუთრება მის წინაშე კისრულობდა არა მარტო ბეგარას, მიწის საგლეხო ერთეულზე დადებულ ფეოდალურ გამოსაღებს, არამედ სხვა რიგის ვალდებულებებსაც, რაც ერთ მთლიან ცნებაში „სამსახურში“ შეგვიძლია გავაერთიანოთ. მართალია ოგი ბატონს ბეგარას უხდიდა, როგორც მიწაზე დადებულ გადასახადს და ამასთან ერთად კისრულობდა კიდევ „სამსახურს“, რომლის საფუძვლად მისივე ყმური მდგომარეობა მოჩანს, მაგრამ ოგის კატეგორიას მე-19 ს. პირველ ნახევრის ყაბარდოში ზეენ მაინც ვერ ჩავთვლით ტიპურ ყმა-გლეხად⁵, რამდენადაც მას გარკვეული კავშირი ჰქონდა ჯერ კიდევ არსებულ თვისუფალ თემთან.

ასე, მაგალითად, ოგი „საზოგადოებრივ მიწებზე იგივე უფლებებით სარგებლობდა, როგორც თავისუფალი წოდების წარმომადგენლები“⁶. ყაბარდოში მიწათმფლობელობის საკითხის გარკვევისას ოფიციალურ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ: „ყოველი თავისუფალი, მიწების განაწილების საზოგადოებაში არსებული წესის თანახმად თავისი ოჯახისათვის იღებს გარკვეულ ნაღებს, მიიღება რა მხედველობაში ყველა მისი კუთვნილი უნაუტები, ლოგანაპიტები

¹ ЦГИА, Груз. ССР, ф. 416, оп. 3, л. 1047, л. 21.

² ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, л. 26, л. 30.

³ იქვე, გვ. 31.

⁴ იქვე, გვ. 31; იხ. აგრეთვე, Г. К. Кокиев, Крестьянская реф., док. № 3, გვ. 256.

⁵ მ. ქანთარია თავის შრომაში: მიწათმფლობელობისა და სარგებლობის ფორმების საკითხისათვის ყაბარდოში, წერს, რომ „ოგები შედილობა ტიპურ ყმა-გლეხებად მივიჩნიეთა“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. X, თბილისი, 1959, გვ. 109.

⁶ ЦГИА Груз. ССР, ф. 416, оп. 3, л. 122, л. 3.

და ოგები“. ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ „ამ უკანასკნელთ (ე. ი. ოგებს— თ. ბ.) უფლება აქვთ კიდევ სახნავ-სათიბის ცალკე ნადელისა“¹. შესაძლებელია ეს ოგის საკუთარი მიწა იყოს, ან ნასყიდი, ან კი ეს მიწა მათ თავდაპირველად ჰქონდათ როგორც გლეხებს, რომლებიც გლეხის მდგომარეობაზე მოვიდნენ როგორც მანამდე თავისუფალი, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებულ ცნობებით რადგან ოგები საზოგადოებრივ მიწის განაწილებაში თანასწორუფლებიანი ჩანან თავისუფალ წოდებასთან, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ოგი ისეთი გლეხია, რომელიც ვერ გაუმკლავდა ფეოდალთა მომძღვავრებას „ფეოდალურ უწყსრიგობის“ ხანაში და თავისი ნებით შევიდა „ბატონის“ მფლობელობაში, შეინარჩუნა რა თავისი სათემო მიწის ნაკვეთიც ან უფლება მასზე. ასე, რომ ოგი, ჩვენის აზრით, ვერ ჩაითვლება ტიპურ ყმა-გლეხად. თუნდაც რომ ოგები ტიპურ ყმა-გლეხებად ჩავთვალოდ მათი ხვედრითი წონა ყაბარღოს ფეოდალურ ურთიერთობაში იყო ძალიან მცირე, რამდენადაც ოგები მთლიანად 75 სულ შეადგენდნენ“.

ლოგანაპიტებისა და ოგების ბეგარისა და „სამსახურის“ შესწავლის საფუძველზე ჩვენ რამდენადმე გარკვეული შეხედულება გვიმუშავდება ყაბარღოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების დონეზე, რამდენადაც ლოგანაპიტებისა და ოგების ბეგარა—მიწაზე დაღებული ვადასახადი და „სამსახური“—გლეხის ყმური მდგომარეობის შედეგი, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებიან. საქმე ისაა, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების ეკონომიური რეალიზაცია ლოგანაპიტების მხრიდან ყაბარღოს უშუალო მწარმოებლებს ძირითადი მასისა, წარმოებდა ძირითადად შრომითი რენტის სახით, ხოლო ოგებისა — უშუალო მწარმოებლის უმნიშვნელო, ნაწილისა—რენტა პროდუქტების სახით.

ამ გარემოებას ჯერ კიდევ კუმპოკოვა მიაქცია ყურადღება, მაგრამ იგი მხოლოდ ამ ცნობის აღნიშვნით შემოიფარგლა². საქმე ისაა, რომ შრომითი რენტის ბატონობისას ლოგანაპიტი დაინტერესებული არ იყო წარმოების შემდგომი განვითარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, რამდენადაც იგი მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების ძალით იყო იძულებითი ბეგარით ვალდებული. ლოგანაპიტი, რომელიც ფლობდა შრომის პირობებს და პროდუქტების ინდივიდუალური წარმოებით იყო დაკავებული, რაც თავის მხრივ ბადებდა წინააღმდეგობას წარმოების პროცესის ინდივიდუალურ ხასიათსა და ფეოდალურ საკუთრებას შორის და რომელიც ასევე თავისი მხრივ ზრდიდა ანტაგონიზმს უშუალო მწარმოებელსა და ფეოდალს შორის, არ იყო დაინტერესებული ბატონის მეურნეობაში შრომის ხარისხის ამაღლებაში. ვინაიდან ლოგანაპიტის სამუშაოდრო და სამუშაოთა რაოდენობა ბატონის მეურნეობისათვის განუსაზღვრელი იყო, ამიტომ მისი შრომითი რენტა არც თუ ისე ძალზე განსხვავდებოდა საერთოდ მონობის ბატონობისას არსებულ შრომითი რენტისაგან, თვით ყაბარღოში კონკრეტულად უნაუტებისაგან. შრომის ნაყოფიერების ზრდისადმი გულგრილ დამოკიდებულებას კი თავისთავად დიდი ზიანი მოჰქონდა ახალი საზოგადოების წყობილების გამარჯვებისათვის, მიუხედავად, რომ ნატურალური მეურნეობა მთლიანად წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომლებიც, ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობის არსებობის პირობებში ისედაც

¹ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, л. 26, л. 30.
² Сборн. св. о кав. гор. вып. I, Тифлис, 1868, გვ. 40.
³ Т. Х. Кумыков, Соц.-экон. отнош... გვ. 79.

„გაპირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ“¹.

სულ სხვა მდგომარეობა იქმნებოდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისათვის მკაცრად განსაზღვრულ შრომითი რენტის არსებობის პირობებში, ან მითუმეტეს რენტა პროდუქტების ბატონობისას. საქმე ისაა, რომ განსაზღვრული კვირეული საბეგრო შრომის ორი თუ სამი დღე, კანონიერად მოწესრიგებული მუდმივი სიდიდე იყო, ხოლო კვირის დანარჩენი დღეების პროდუქტიულობა, რომელიც უშუალო მწარმოებელს თავისთვის სრულ განკარგულებაში ჰქონდა—ცვალებადი, რომელაც თავის მხრივ მისი გამოცდილების პროცესში აუცილებლად ვითარდებოდა, რადგან უშუალო მწარმოებელს სტიმული ეძლეოდა თავის მონაკვეთში „სამუშაო ძალის გაძლიერებული დაძაბვისათვის“². თუ ოგები ყაბარდოში ასეთ მდგომარეობაში იყვნენ, რამდენადაც მათ მკაცრად ჰქონდათ დადგენილი ადამის მიხედვით სამუშაო დროცა და სამუშაოთა რაოდენობაც, სამაგიეროდ ლოგანაპიტები არ იყვნენ, რის გამოც ეს უკანასკნელნი იძულებულნი ხდებოდნენ დაეხარჯათ თავისი სამუშაო ძალა იმ ზომაზე ზევით, რომელიც საერთოდ საჭირო იყო მათი საკუთარი აუცილებელი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

მართალია ოგებთან ჩვენ მიწის რენტის „გაბატონებულ და უფრო განვითარებულ ფორმას—რენტა პროდუქტების სახით“³ გვხვდებით, მაგრამ, ვინაიდან ოგები არ შეადგენდნენ ყმა-გლეხობის ძირითად მასას, ამდენად მათი ხვედრითი წონის მიხედვით ყაბარდოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონის განსაზღვრა შეცდომა იქნებოდა.

შრომითი რენტის ბატონობა ყაბარდოში კი განპირობებული იყო საწარმოო ძალებისა და წარმოების ურთიერთობათა განვითარების დაბალი დონით. კონკრეტულ ისტორიულ პირობებში შესაძლებელი ხდება ხოლმე შრომითი რენტის, რენტა პროდუქტების სახით და ფულადი რენტის „დაუსრულებელი კომბინაციები“ ანუ „შეერთება, მიჩქმალვა და შერევა“, მაგრამ ეს უფრო საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების მაღალ დონეს შეეფერება. ჩვეულებრივ კი საზოგადოებრივი ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ ეტაპებს ძირითადად, ერთ-ერთი სახის გაბატონებული რენტა ახასიათებს. ასე, მაგალითად, ადრეფეოდალურს—შრომითი რენტა. განვითარებულს—რენტა პროდუქტების სახით და ბოლოს გვიანფეოდალურს ფულადი რენტა. მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში გაბატონებული იყო „ყველაზე მარტივი და ყველაზე თავდაპირველი ფორმა“ შრომითი რენტა, რაც სავსებით შეესაბამება ყაბარდოში არსებულ ადრეფეოდალურ ურთიერთობას. შრომითი რენტის თავისებურება, სხვათა შორის ის არის, რომ იგი თავისი ხასიათით სავსებით შეესაბამებოდა, როგორც პატრიარქალურ-თემური წყობილებიდან ფეოდალურში გარდამავალ პერიოდს, მონათმფლობელური წყობილების გამოტოვებით, ასევე მონათმფლობელურ წყობილებიდან ფეოდალურში გარდამავალ პერიოდს.

საინტერესოა ლოგანაპიტისა თუ ოგის დასჯის ნორმები ბატონყმური რიგის სამსახურის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, თუ ლოგანაპიტი ან ოგი არ შეასრულებდა ბატონყმური სამსახურის რომელიმე რიგს, მას

¹ ვ. ი. ლენინი, თბ., ტ. 3, გვ. 209.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 3^ე, გვ. 313.

³ იქვე.

ყოველი შეუსრულებელი სამსახურის ასანაზღაურებლად უნდა გადაეხადა ერთი ხარი, ხოლო გადასახადის ან სამუშაოზე დაგვიანებისათვის კი უნდა გადაეხადა უფრო დიდი ჯარიმა „ერთი ან ორი უღელი ხარის რაოდენობით“¹.

თუ როგორი იყო საგლეხო მამულის სიდიდე ყაბარდოში, რომლის „სარგებლობისათვის იგი გარკვეულ წილს უხდიდა ბატონს“², ძნელია ამის დადგენა, რადგან წყაროებში სამისო არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ ფაქტია რომ იგი ცვალებადი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც გლეხის მფლობელობაში მყოფი სამუშაო ხარების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ასე, მაგალითად, ერთი უღელი ხარის პატრონი ბატონს ერთ ურემ ღომს აძლევდა, ორი უღელისა კი სამს, სამისა—ოთხსა და ა. შ.³ ყაბარდოელი გლეხი და მისი ოჯახი, გარდა ნაღვლისა, ფლობდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ინვენტარს, პირუტყვსა და სხვ., რომლებიც ერთად აღებული შეადგენდა გლეხის მეურნეობას, მის პირად შრომაზე დამყარებულს. ყაბარდოში რამდენიმე ათეული ასეთი ოჯახი ერთმანეთის გვერდით შეადგენდა ერთ აულს—სოფელს.

საბუთების მიხედვით ნაწილობრივ მაინც ხერხდება უშუალო მწარმოებლების პირადი ქონების წარმოდგენა და მათი დაყოფა ეკონომიური ნიშნის მიხედვით.

განსაკუთრებული მდგომარეობა უპირავეთ ამ მხრივ უნაუტებს. უნაუტს, რომელიც ყაბარდოში მონად ითვლებოდა, არ გააჩნდა არავითარი ქონება, რადგან უნაუტი, როგორც საგანი თვით ითვლებოდა მისი მფლობელის პირად ქონებად⁴. რაც შეეხება ლოგანაპიტებსა და ოგებს, მათ „ორი სახის“ საკუთარი ქონება გააჩნდათ. საკუთრება, რომელზეც ბატონს „არავითარი უფლება“ არ ჰქონდა და უშუალოდ მათ საკუთრებაში იყო და საკუთრება, რომელიც „დამოკიდებული იყო“ ჯა „რომლის ნაწილი ბატონს ეკუთვნოდა“⁵. პირველი სახის საკუთრებას განეკუთვნებოდნენ „ნაჩიახი“—„ნაკიახი“ და „დესერეგ“—„დესერიგი“, ხოლო მეორეს — „დიდოვოსბელიმი“. „ნაკიახი“ ყაბარდოულად ნიშნავს საქორწინო საჩუქარს. ლოგანაპიტი და ოგი ქორწინებისას ბატონისაგან იღებდნენ 3—5 მანეთის საჩუქარს, ან ამავე ღირებულების ხბოს, რომლის ნამატი შემდეგში მთლიანად ლოგანაპიტის თუ ოგის ცოლს ეკუთვნოდა „დესერიგიც“ ყაბარდოულად ნიშნავს საქორწინო საჩუქარს, რომელსაც მექორწინლე ლოგანაპიტი თუ ოგი თავის მშობლებისგან იღებდნენ. „დესერიგი“ შეადგენდა ერთ ძროხას, რომლის ნამატიც ასევე მთლიანად გლეხის პირად საკუთრებაში რჩებოდა.

ლოგანაპიტის ან ოგის ცოლის გარდაცვალების შემთხვევაში ძროხები თავისი ნამატით მემკვიდრეობით საკუთრებაში გადადიოდნენ და მათზე ბატონს არავითარი უფლება არ ჰქონდა⁶. ძალზე საინტერესოა „მეორე სახის საკუთრება“ ანუ „დიდოვოსბელიმი“ (საქონელი ოგის თუ ლოგანაპიტის უშუალო შრომით შექმნილი, ნაშთი ან გასამრჩელოდ მიღებული), რომელზეც ბატონს თავისი

¹ Ф. И. Леонтович, Адамы Кавказских горцев, материалы по обычному праву Северного и Восточного Кавказа, вып. пер., Одесса, 1882, гл. 87—89

² Т. Макаров, Племя Адыге, ч. III, газ. „Кавказ“, 1862, № 31, гл. 167.

³ Б. А. Гарданов, Материалы... док. № 25, гл. 225.

⁴ ЦГИА, Груз. ССР, ф. 416, оп. 3, д. 287, л. 1.

⁵ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 35.

⁶ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 35

უფლებები გააჩნდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „დიდოვოსბელიმის“ უდიდესი ნაწილი ბატონს ეკუთვნოდა და მისი ნებათაღებოდად არც ლოგანაპიტსა და არც ოგს „არ ჰქონდათ უფლება გაყიდვისა, ჩუქებისა და საერთოდ მისი როგორც არ უნდა ყოფილიყო მოხმარებისა“¹ გარეგნული ნიშნების მიხედვით ლოგანაპიტისა და ოგის ამ ქონებებს „ნაკიანის“, „დესერვიგის“ და „დიდოვოსბელიმს“ შორის თითქოს არ იყო განსხვავება, მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებოდნენ.

ასე, მაგალითად, თუ ოგს „ნაკიანის“, „დესერვიგისა“ და „დიდოვოსბელიმის“ მთელი საქონლის შენახვა „თავის ხარჯზე უხდებოდა“, სამაგიეროდ ლოგანაპიტი მთელ საქონელს, გარდა „დესერვიგის“ ძროხებისა და ცხვრებისა, მთლიანად „თავის ბატონის ხარჯზე ინახავდა“².

ასეთი მდგომარეობის ძირითადი საფუძველი ალბათ ის იყო, რომ ოგი ბატონის წინაშე „საველე სამუშაოების მხოლოდ ხუთი სამუშაო დღით“ იყო ვალდებული, მაშინ როდესაც „ლოგანაპიტის სამუშაო დღეები განუსაზღვრელი იყო“. ჩვენს ყურადღებას იპყრობს „დიდოვოსბელიმისადმი“ ფეოდალისა და ყმა-გლეხის დამოკიდებულება, რომელშიც, ჩვენის აზრით, ფეოდალური ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იმალებოდეს.

ასე, მაგალითად, თუ ბატონს „ნაკიანის“ და „დესერვიგის“ მიმართ ხელი არ მიუწვდებოდა, სამაგიეროდ მას „დიდოვოსბელიმის“ „გაყოფისა თუ გაყიდვის უფლება ჰქონდა“. ასეთ შემთხვევებში კი „დიდოვოსბელიმის“ ორი მესამედი მის სასარგებლოდ რჩებოდა, ხოლო ერთი მესამედი ლოგანაპიტის ან ოგის³. ჩვენის აზრით, „დიდოვოსბელიმი“ სწორედ ის ნაღელია, რომელიც უშუალო მწარმოებელს ეძლეოდა. ცნობებში ყაბარდოს დამოკიდებულ წოდებათა შესახებ ნათქვამია, რომ „ლოგანაპიტის თუ ოგის გაყიდვის შემთხვევაში ბატონი ან მთლიანად თავისთან იტოვებს გაყიდულის დიდოვოსბელიმს, და ეს უკანასკნელი, დატოვებული ქონების საფასურად აუცილებლად იღებს მას ანაბატონისაგან, ან კი ბატონი მათ ჰყიდის მთელი დიდოვოსბელიმით და იღებს მის სრულ ღირებულებას იმ ბატონისაგან, რომელსაც მიეყიდა ლოგანაპიტი თუ ოგი“... აქვე ნათქვამია, რომ „მყიდველები თუ გლეხები ოჯახები მორითხოვენ დიდოვოსბელიმის თანწადებას, ვალდებულნი იყვნენ, დასახელებული ღირებულებით ეყიდათ იგი მათყოფილი ბატონისაგან, ან წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითვე უზრუნველყოთ იმავე ქონებით...“⁴ რადგან დიდოვოსბელიმი... „გლეხების სასარგებლობაშია, მხოლოდ ისე კი მფლობელისაა“ (ხაზგასმა ჩვენია, — თ. ბ.).

მეტად მჭიდრო კავშირი ოგისა თუ ლოგანაპიტისა მათი გასხვების შემთხვევაში „დიდოვოსბელიმთან“, ჩამდენადაც შეუძლებლად ჩანს მათი დატოვება „დიდოვოსბელიმის“ გარეშე, როგორც აუცილებელი პირობისა ფეოდალისა და გლეხის ურთიერთობისათვის, ჩვენ გვაგონებს მსგავს მოვლენებს დაკავშირებულს მიწასთან, როდესაც ფეოდალს უფლება არ ჰქონდა, მიუხე-

¹ ЦГИА Груз. ССР. ф. 7, оп. 8, д. 26, л. 35.

² იქვე, გვ. 36.

³ იქვე.

⁴ იქვე, გვ. 19.



დავად მისი საკუთრებისა მიწაზე, გლეხის მიწიდან აყრისა, მისი უმიწოდ გასხვისებისა, მისი დაშლისა და ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვისა, რადგან ასეთ დროს არა მხოლოდ გლეხი იყო მიმაგრებული მიწაზე, არამედ მიწაც ასევე მიმაგრებული იყო გლეხზე¹. მართალია „დიდოვოსბელიძეში“ მიწაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ იგი მასში აუცილებლად უნდა იგულისხმებოდეს. ყოველივე ზემოთქმული კი უფრო ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურს შეესაბამება, ვიდრე განვითარებულისა. რამდენადაც ამ დროისათვის სოციალური განვითარების პროცესის შემდგომი გაღრმავების საფუძველზე, გლეხის უფლება, მისი და მამულის ურთიერთისაგან დაშორების უფლება, ძირითადად უკვე მიტაცებული იყო და გლეხის უმამულოდ გაყიდვა, ან მისი ოჯახის დაშლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში კი ფეოდალს უფლება არ ჰქონდა ლოვანაპიტისა თუ ოგის ოჯახის დაშლისა, თუ ისინი „მძიმე დანაშაულს არ აადენდნენ“, გაყიდვის შემთხვევაში კი ლოვანაპიტს თუ ოგს უფლება ჰქონდა თავისი სურვილით სამი მყიდველიდან ერთი ამოერჩია². გლეხის უმამულოდ გაყიდვას და მისი ოჯახის დაშლას, როგორც ფეოდალური ჩამორჩენილობის ყველაზე მახინჯ ფორმას³, ყაბარდოში ძირითადად არ ჰქონდა ადგილი.

მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში ადგილი ჰქონდა გლეხთა მიერ გლეხთა ექსპლოატაციას. სამწუხაროდ, წყაროებში შემონახული არ არის ამ გლეხთა კატეგორიის ყაბარდოული სახელწოდება. რუსულში კი ისინი „ჩაგარების ხოლოპებად“ იხსენიებიან⁴. წყაროების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბატონყმური ურთიერთობის არსებული ნორმები რამდენაღმე ზღუდავდა „ექსპლოატატორი გლეხის“ გადაქცევას ახალ სოციალურ ელემენტად.

მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში უშუალო მწარმოებლის გარკვეულ კატეგორიას მიეკუთვნებიან აზატები (თავდახსნილები).

აზატ ი. ეს კატეგორია უმეტესად გლეხთა ზედაფენის წარმომადგენლები იყვნენ; მათ თავიანთი „თავისუფლება“ მიღებული ჰქონდათ ან გამოსყიდვის საშუალებით, ან ბატონის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების გზით, ან განთავისუფლებულნი იყვნენ ერმოლოვის პროკლამაციების საფუძველზე, ან კიდევ განთავისუფლებულნი იყვნენ გარდაცვლილ ბატონთა თუ მათ ნათესავთა „სულის საოხად“.

იმის გამო, რომ აზატი პირადად თავისუფალი იყო, ხოლო ეკონომიურად ჯერ კიდევ ფეოდალურად დამოკიდებული, ამიტომ მისი „თავისუფლება“ უფრო მეტად მისი შემსუბუქებული ყმური მდგომარეობა იყო. ასე, მაგალითად, აზატს არ შეეძლო თავისი ბატონის ნებართვის გარეშე სხვა აულში გადასახლებულიყო, ხოლო ბატონის გადასახლების შემთხვევაში მასთან ერთად უნდა გადასახლებულიყო⁵. ვინაიდან აზატი მიუხედავად „მიღებული თავისუფლები-

¹ Н. Бердзенишвили, Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии, Тб., 1937, გვ. 14.

² Ф. И. Леонтович, Адагы... გვ. 239.

³ დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955, გვ. 200.

⁴ Б. А. Гарданов, Материалы..., док. № 8, გვ. 79, იხ. აგრეთვე Ф. И. Леонтович, Адагы..., გვ. 231-232

⁵ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 19.

სა“ მაინც რჩებოდა თავის „ყოფილ“ ბატონთან და „დროებით“ მისგან იღებდა ნიჭის ნაკვეთსა და სამუშაო ხარებს¹. ეპეს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი გარკვეული დროის შემდეგ ხელშეორედ მიემაგრებოდა მიწაზე და დაყმევდებოდა. ეს მოვლენა, სავაჭრო-სამრეწველო ცენტრების უქონლობის პირობებში, სავაჭრო დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების საქმეში, რამდენადაც ყაბარდოელი აზატისათვის მოქალაქედ ან საერთოდ „მესამე წოდების“ წარმომადგენლად გადაქცევისათვის ობიექტური პირობები არ არსებობდა, რის გამოც იგი ან ისევ ყმად იქცეოდა ან კიდევ წვრილ აზნაურ-ფშეკეულ².

ყაბარდოში სააულო თემის არსებობამ განაპირობა თავისუფალი მიწის მუშების—თლფოკოტლების არსებობაც. თლფოკოტლების სოციალური კატეგორიის შესწავლა კი თავის მხრივ შეუქს ჰყენს ყაბარდოში ბატონყმური ურთიერთობის ხარისხს, რამდენადაც ცნობილი და დადგენილია, რომ საერთოდ გამარჯვებული ბატონყმური ურთიერთობა გამოირიცხავდა თავისუფალი გლეხების არსებობას.

თლფოკოტლი. ყაბარდოში უშუალო მწარმოებლის ეს კატეგორია წარმოდგენდა მე-19 ს. პირველ ნახევარში არსებული თავისუფალი თემის წევრს, რომლის გარკვეული ნაწილი მართალია უკვე დაყმევებული ჩანს, მაგრამ დიდი ნაწილი კვლავაც განაგრძობს არსებობას იმ სოციალური ჯგუფის სახით, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო გარდამავალი კლასის ნიშნები.

1866 წელს ყაბარდოს ოლქის მოკლე აღწერაში მწარმოებლური საზოგადოების შესახებ ვკითხულობთ, რომ ყაბარდოში „მდაბიო ხალხი“ (черны) ორ წოდებად იყოფა: თავისუფალ და ყმურ წოდებად, რომ „თავისუფალ წოდებას შეადგენენ თავდახსნილები და თავისუფლები, ხოლო ყმურს—ჩაგარები (ოგები), ხოლოპები (ლოგანაპიტები) და უნატები“³.

ყაბარდოს ოლქის მმართველი ორბელიანი 1860 წელს ყაბარდოს მხარის აღწერისას თითქმის იგივეს წერს, რომ ყაბარდოში „მდაბიო ხალხი ორ წოდებად იყოფა: თავისუფალ და ყმურად; თავისუფალ წოდებას შეადგენს თავდახსნილები, ანუ ისინი, რომელთაც თავიანთი ბატონებისაგან მიიღეს თავისუფლება და თავისუფლები, რომელთაც ეს თავისუფლება მიიღეს მთავრობის ღონისძიებითა წყალობით მათი ბატონების ღალატის გამო“⁴.

ჩვენის აზრით, წყაროებში მოხსენიებული თავისუფლები (вольные) სხვა არ უნდა იყვნენ თუ არა თლფოკოტლები, რომლებიც მართლაც „მდაბიო ხალხის“ თავისუფალ წოდებას შეადგენდნენ. კავკასიის ხაზისა და შავი ზღვის სანაპიროს ჯარების მთავარსარდლისადმი 1845 წ. მიწერილ ერთ-ერთ მოხსენებაში გოლიცინი წერს, რომ „ორ მესამედს ყაბარდოს მოსახლეობისას თავდახსნილები შეადგენენ“⁵ ჩვენის აზრით, აქ დაუჭერბელი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ მთელი მოსახლეობის ორ მესამედს თავდახსნილები შეადგენდნენ

¹ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 26, л. 17.

² В. Кудашев, Исторические сведения о кабардинском народе, Киев, 1913, 83-131.

³ ЦГИА Груз. ССР, ф. 416, оп. 3, д. 121, л. 1.

⁴ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, д. 5, л. 43.

⁵ Б. А. Гарданов, Материалы..., док. № 14, 86, 180.



და არა მათთან ერთად ზემოთ ხსენებული „თავისუფლებიც“. ამ მხრივ საინტერესოა მე-19 ს. 60-იანი წლების ცნობები, რომელთა მიხედვით ყაბარდოში „თავდასნლითა“ რიცხვი 20000-ს აღწევდა ანუ მოსახლეობის მართლაც ორ მესამედს, თუ გაეითვალისწინებოდა, რომ ამ პერიოდისათვის საერთო მოსახლეობა 35.000 შეადგენდა.

თლფოკოტლების საერთო მასა სისტემატურ დიფერენციაციას განიცდიდა, რაც თავისთავად შედეგი იყო, ერთი მხრივ, თვით თემის შიგნით არსებული ქონებრივი განსხვავების ზრდისა, ხოლო მეორე მხრივ, კი ფეოდალური მოძღვარებისა.

ყაბარდოელი ფეოდალების მერ სათემო მიწების მიტაცებისას, მიიტაცებოდნენ, აგრეთვე მასზე მცხოვრები თლფოკოტლებიც, რომელნიც შემდეგში მიიჯაჭვებოდნენ რა თავისივე მიწაზე ფეოდალურად დამოკიდებული ხდებოდნენ ანუ ფეოდალის წინაშე ბეგარაკალდებულნი. ამ უფლებით კი შეეძლო ესარგებლა არა მარტო თავადებს და დიდ აზნაურებს, არამედ მცირე აზნაურებსაც, რომლებიც შესაძლებელია თვით იყვნენ გუშინდელი თლფოკოტლები¹.

თლფოკოტლებიდან ყაბარდოში წარმოიშვებოდნენ ისეთი სოციალური კატეგორიები, როგორიც იყო უნაუტი, ლოგანაპიტი, ოვი და დაბალი საფეხურის უორკი. თლფოკოტლები ეწეოდნენ სამხედრო სამსახურს. ისინი შეადგენდნენ ფში-უორკების რაზმელების ძირითად კონტინგენტს, რამდენადაც ფეოდალებს იშვიათად თუ მიჰყავდათ თავიანთი ყმები, ამ მხრივ საინტერესო უნდა იყოს კატეგორია ბეჭოული (ბეჭოულებზე საუბარი იხ. ქვემოთ).

მართალია მე-19 ს. 60-იან წლების წყაროებში ქრება თლფოკოტლის აღმნიშვნელი ტერმინი, მაგრამ ეს თლფოკოტლის ძირითადი მასის ლოგანაპიტად გადაქცევის გამო კი არ მომხდარა, როგორც ამას ფიქრობს კუმიკოვი², არამედ იმის გამო, რომ თლფოკოტლები, რუსული წყაროებით, როგორც „თავისუფლები“ ჩარიცხულ იქნენ „მდამიო ხალხის“ „თავისუფალ წოდებაში“ თავდასნლილებთან ერთად. თავდასნლილებთან გაიგივება კი ზოგ შემთხვევაში იმით იყო გამოწვეული, რომ მათი დიდი ნაწილი, გააზატების შემდეგ, თემის სრულუფლებიანი წევრები ხდებოდნენ და ამუშავებდნენ თემის მიწებს, სარგებლობდნენ სათემო საძოვრებით და სხვ.

ყაბარდოელ თლფოკოტლებში იყო გარკვეული კატეგორია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ თლფოკოტი-ალოდისტი ანუ წვრილგლეხური მესაკუთრე, რომელიც ჯერ კიდევ თემის ფარგლებში რჩებოდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს შორდანოვის ცნობა: „მდინარეებიდან კარკუჩინოდან და აპსარიშულდან ხიჩებუჯამდე და ბაქსანამდე მიწები თუმცა დაყოფილია სხვადასხვა წვრილ ნაწილებად, მაგრამ დაყოფილია არ გვარების მიხედვით. იგი ეკუთვნის მთელ ხალხს“. შორდანოვის ეს ცნობა მით უფრო საგულისხმოა, რომ მას იქვე აქვს აღნიშნული ისეთი მიწები, რომლებიც „დაუყოფელი იყო და ამავე დროს ითვლებოდა საერთო სახალხო საკუთრებად“³.

¹ В. В. Анчабадзе, Социальное положение тльфокотлей и их классовая борьба в Адыгенском обществе первой половины XIX века. Труды института истории им. И. А. Джавахишвили, АН Груз. ССР, т. II, 1956, гл. 202.

² Т. Х. Кумыков, К вопросу об общественном строе Кабарды накануне реформы, Ученые записки Каб.-Балк. НИИ, т. IX, Нальчик, 1954, гл. 79.

³ ЦГИА Груз. ССР, ф. 1083, оп. 2, д. 282, л. л. 25-26.

ეს წვრილი მესაკუთრეები თემური საკუთრებიდან წარმოშობილი ცალკეული მიწის კერძო მესაკუთრე გლეხები თლფოკოტლი-ალოდისტები უნდა იყვნენ, რომელთაც უკვე თავიანთი დამკვიდრებული სახნავ-სათესი მიწები გააჩნდათ. მაგრამ ჯერ ისევ თემის წევრებად ითვლებოდნენ. თავადაზნაურების პრივილეგიების ნებაყოფლობით აღიარება თემში, ამ უკანასკნელის მიერ აუცილებლად იხატებოდა სხვადასხვა ძღვენ-საჩუქრის მირთმევაში, რაც შემდგომი თლფოკოტლის დაყმევებისას თანდათანობით დაკანონებულ ვალდებულებებადაც იქცეოდა. ყაბარდოელი თლფოკოტლება თავისი სოციალური მდგომარეობით ანალოგიურები იყვნენ ადიღეურ თლფოკოტლებისა, აფხაზურ ანხაუების და რამდენადმე ქართველი მსახურებისა¹.

ყაბარდოს უშუალო მწარმოებელ კლასის—გლეხობის დახასიათებისას მე-19 ს. პირველ ნახევარში კარგად მოჩანს, რომ ის როგორც ეკონომიურად, ისე სოციალურ-უფლებრივად არ შეადგენდა საზოგადოების ერთ მთლიან ფენას, რომ გლეხები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ იმ პრინციპის მიხედვით ვის ეკუთვნოდნენ ისინი, არამედ იმიტაც, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი გაბატონებულ კლასის სხვადასხვა წოდებებთან.

პატრიარქალური მონებისა და თავისუფალი გლეხის არსებობა მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში იმის მოწმობაა, რომ ყაბარდოში ფეოდალიზაციის პროცესი კვლავ გრძელდებოდა, როგორც თავისუფალ გლეხთა, ისე პატრიარქალურ მონობის ხარჯზე, რაც იმას მოწმობს, რომ ყაბარდო ფეოდალური ურთიერთობის განვითარების ადრეულ საფეხურზე იდგა.

გაბატონებული კლასი მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში ძირითადად წარმოდგენილი იყო ექვსი სოციალური წოდებით: ფში (თავადი), ტლიახოტლიაი და დიყენუგო (პირველი ხარისხის უზდენები ანუ დიდი აზნაურები). ბესლან-უორკი (მეორე ხარისხის უზდენი—აზნაური), უორკ-შაუთლუხუსი (მესამე ხარისხის უზდენი—აზნაური) და ფშეკეუ (მეოთხე ხარისხის უზდენი—აზნაური). დიდ ყაბარდოში გაბატონებული იყო ოთხი წარჩინებული საგვარეულო: მისოსტოვების, ატაყუკინების, კაიტუკინების და ბექმურზინების, ხოლო მცირე ყაბარდოში: მუდაროვებისა და ტაუსულტანოვების.

მე-16—17 სს. ტერმინი ფშით უკვე აღინიშნებოდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია. მე-18 და მე-19 საუკუნეების დასაწყისში ფშის—თავადის ცნება უფრო გაღრმავდა და სოციალური შინაარსის შემცველ კონკრეტულ ტერმინად იქცა. ყაბარდოში ფში სარგებლობდა განუსაზღვრელი პატივისცემითა და უფლებებით, რაც სხვათა შორის ძალზე კარგად აისახა ყაბარდოულ ადათ-ჩვეულებებში. ასე, მაგალითად, ფშის უფლება ჰქონდა გლეხს გაყიდვასა, ჩუქებისა. დანაშაულის შემთხვევაში მისი ოჯახის დაშლისა და წევრების ცალ-ცალკე გაყიდვისა². ფშის განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა თავის ქვეშევრდომის როგორც საკუთრებაზე, ასევე მის სიცოცხლეზეც³. ფშის ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე

¹ იხ. ზ. ანჩაბაძის და გ. ძიძარიას დასახ. ნაშრ., გვ. გვ. 324, 334.

² Ф. И. Леонтович, Адаы кавказских горцев, вып. 1, Одесса, 1882, გვ. 226.

³ ЦГИА Груз. ССР, ф. 1083, оп. 2, д. 49, л. 113.



გადასახლების შემთხვევაში უზღვენები ანუ აზნაურები ვალდებულნი იყვნენ მასთან ერთად გადასახლებულიყვნენ¹, თუ ფში „ბარანტას“ იღებდა თავის ქვეშევრდომიდან და ეს უკანასკნელი, „თუნდაც რომ მართალი ყოფილიყო“, წინააღმდეგობას გაუწევდა, ვალდებულ იყო ფშის სასარგებლოდ ჯარიმა გადაეხადა კარგი ცხენითა და უღელი ხაოებით². საზღაური მოკლული ფშის სისხლისათვის იქმნის აუნზალაურებელი იყო. ასე მაგალითად, თუ ფში მოიკვლებოდა ბესლან-უორკის ან უორკ-შაუთლუხუსის ხელით, მაშინ მკვლეელი და მისი ყველა მოზრდილი მამაკაცი ნათესავიც სიკვდილით ისჯებოდნენ, ხოლო მათი ქალები და ბავშვები კი მოკლულის შემკვიდრის მონებად იქცეოდნენ³. ფშის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო ყაბარდოში, რომ „მისი ნება ყველა ყაბარდოელისათვის კანონი იყო“⁴. ფშის ცხენის დაჭრა უზღვენს ძალიან ძვირი უჭედებოდა; ასე, მაგალითად, მას ფშისათვის ამ შემთხვევაში უნდა მიეცა ხუთი გლეხი, ხუთი ცხენი და ხუთი კარგი თოფი⁵.

ფშის წოდებრიობა ყაბარდოში მემკვიდრეობითი იყო და მისი „წმინდა სისხლი“ რომ არ შელახულიყო ადათ-ჩვეულებებში სპეციალური ნორმაც იყო დადგენილი, რომლის ძალითაც ფში აუცილებლად ფშის ქალიშვილებზე უნდა დაქორწინებულყოფ⁶.

ფში-უორკების ავტორიტეტის შექმნაში არა ნაკლებ როლს თამაშობდა მათი გვარის უძველეს და უცხოურ წარმოშობაზე შექმნილი გადმოცემები. ასე, მაგალითად, ერთი გადმოცემით ისინი ეგვიპტურ-ბაბილონური წარმოშობისანი იყვნენ⁷; მეორეთი „ისინი არაბეთიდან იყვნენ მოსულნი“⁸; მესამეთი კი საქართველოდან⁹ და ა. შ. ფშის წოდება ყაბარდოში იმდენად წმინდად ითვლებოდა, რომ მისი სიცოცხლის საფრთხეში ჩავარდნისას ყველა იყო ვალდებული, რათა თავისი სიცოცხლე მისთვის შეეწირა¹⁰. ფშის წოდება, როგორც სტალი აღნიშნავს, მთელ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მეტად ყაბარდოში იყო პატივცემული და მას ძალიან „დიდი ძალა“ ჰქონდა ხალხში¹¹. ფშის ყაბარდოში თავისი საკუთარი სასწავ-სათობი მიწები ჰქონდა და მის მიწაზე მჯდომი ყმები მას უზღიდნენ ფეოდალურ რენტას. ფშის სრული უფლება ჰქონდა მიწის გასხვისებინა, იჯარით გაცემისა და სხვ. მისი მესაკუთრეობა მიწაზე ისევე როგორც წოდებრიობა, მემკვიდრეობით გადადიოდა¹².

¹ ЦГИА Груз. ССР, Ф 1083, оп. 2, д. 49, л. 83, 228—229.

² იქვე, გვ. 250.

³ Краткий исторический очерк былого общественно-политического и поземельного строя населяющих мусульманские районы Кавказского края, Кавказский календарь, 1917, гв. 256, сб. аგრეთფ К, Ф. Сталь, ук. соч. გვ. 83, 86.

⁴ Кавказский календарь за 1917 г., გვ. 83, 256.

⁵ Ф. И. Леонтович, Адагы..., გვ. 252—253.

⁶ ЦГИА Груз. ССР, ф. 1083, оп. 2, д. 282, л. 48.

⁷ Ш. Б. Ногмов, История Адмгейского народа, Нальчик, 1959, გვ. 109; იბ. აგრეთფ И. В. Шахонской, Путешествие в Сванетию и Кабарду (1834), Учен. зап. Каб.-Балк. НИИ, т. XIII, Нальчик, 1957, გვ. 411.

⁸ С. Броневский, Новейшие географические и исторические известия о Кавказе, Москва, 1823, გვ. 87.

⁹ К. Ф. Сталь, Этнографический очерк Черкесского народа (1852), Кавказский сборник, № 22, Тифлис, 1900, გვ. 144.

¹⁰ ЦГИА Груз. ССР, ф. 1083, оп. 2, д. 282, л. 66.

¹¹ К. Ф. Сталь, დასახ. ნაშრ., გვ. 147.

¹² Описание кабардинцев, 1815—1818 гг., Уч. зап., Каб.-Балк. НИИ, т. XII, Нальчик, 1957, გვ. 385.

ფშის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოებაში მთლიანად განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ მდგომარეობასაც: ფში და მისი სათავადო ყაბარდოში საუკუნეების მანძილზე გარკვეულ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი როლი ქვეყნის ცხოვრებაში მხოლოდ მე-19 ს. მეორე მეოთხედიდან შემცირდა, როდესაც ყაბარდო თითქმის რუსულ მმართველობის სფეროში მოხვდა და ფში „ნებაყოფლობით“ იძულებული გახდა უარი ეთქვა არა მარტო დამოუკიდებელ საჯარო პოლიტიკაზე, არამედ, საშინაო ხელისუფლების ისეთ ნიშნებზეც, როგორიცაა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გასამართლება-დასჯა. მიუხედავად ფშის შეზღუდული უფლებრივი მდგომარეობისა, მეფის მთავრობა მას მაინც უჭერდა მხარს მისი ხელისუფლების განმტკიცებას სათავადოში, რამდენადაც აღნიშნულ ეტაპზე მისთვის სასარგებლოც კი იყო ფშისავე საშუალებით უზრუნველყო თავისი ბატონობა.

მართალია მე-16—18 სს. წყაროებში ხშირადაა ნახსენები ე. წ. „ალეკუქინის ყაბარდო“, „ანზოროვის ყაბარდო“, „მუღაროვის ყაბარდო“, „კენამაენტოვის ყაბარდო“¹ და სხვ., მაგრამ ისინი არ წარმოადგენდნენ სათავადოების იმ რიგს, სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური გაგებით, რომელსაც ჩვენ საერთოდ ვიცნობთ ფეოდალური სინამდვილიდან. ჩვენის აზრით, ზემოთ მოყვანილ სახელწოდებებში მხოლოდ სათავადოების როგორც ფეოდალური გაერთიანების ერთეულის წარმოშობის ისტორიაა შემონახული.

ცნობილია, რომ სათავადო თავისებურ ორგანიზაციას წარმოადგენდა მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ასე, მაგალითად, სათავადოს გააჩნდა ტერიტორიის ერთობა; სათავადოში იყო ციხე-დარბაზები, ეკლესია-მონასტრები თუ საგვარეულო საძვალეები; სათავადო იყო გარკვეული სამხედრო ერთეული; სათავადოს გარკვეული ყმა-მამული გააჩნდა; სათავადო რამდენადაც სამეურნეო ერთეულსაც წარმოადგენდა² და სხვ. მართალია, ყაბარდოულ სათავადოებს კლასიკური სახით არ გააჩნდათ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, მაგრამ ვინაიდან არსებობდა პირობები მათი წარმოშობისა, ან შემდგომი განვითარებისა, ამიტომ ჩვენ მათ პირობითად ვუწოდებთ სათავადოებს. ყაბარდოული სათავადო ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თავადის საცხოვრებლის „უნას“ გარშემო განლაგებული იყო სოფელი, ფშე-უნა-ხაბლი, რომელშიც ცხოვრობდნენ ყმები და აზატები. ამავე სოფელში გამოყოფილი იყო ცალკე უბანი, ფშე-უნა-ოვი. აქ ცხოვრობდნენ თავისუფალი მიწის მუშები და აზნაურები. ესენი სუყველა ერთად შეადგენდნენ თავადის „კარს“³.

სათავადოების გარკვეულ ფეოდალურ ერთეულებად ჩამოყალიბებას ხელს უშლიდა მე-16—18 სს. არსებული თავისუფალი თემი და მეურნეობაში გაბატონებული მომთაბარე მესაქონლეობა. ყაბარდოელი ფში „თავისი ხალხის თავად ითვლებოდა“. რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დამყარებამდე ყაბარდოში მთლიანად იგი განაგებდა თავის სათავადოს, როგორც საშინაო, ისე

¹ М. Полиевктов, Посольство стольника Тологанова и дьяка Ивлева в Имеретию, 1650—1652, Тифлис, 1926, გვ. 34.

² Н. Бердзенишвили, Очерки., გვ. 36—37, იხ. აგრეთვე დ. გერტიშვილი დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

³ მ. ქანთარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

საგარეო პოლიტიკას, იგი იყო ქვეყნის შეიარაღებული ძალების მეთაურიც¹. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ყაბარდოში არსებული ვალისა და მეხკემეს ინსტიტუტების შესწავლა, რამდენადაც ეს ორი ინსტიტუტი განაგებდა ყაბარდოს როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებს დაახლოებით მე-19 ს. მეორე მეოთხედამდე. ვალის ინსტიტუტის არსებობა მე-18 ს. დასასრულიდან შეიმჩნევა, ხოლო რაც შეეხება მეხკემეს, იგი მთლიანად მე-19 ს. პირველ მეოთხედს განეკუთვნება.

მეხკემე თავისებური სასამართლო იყო. იგი შედგებოდა მთავარი მოსამართლისა და 12 წევრისაგან, რომელშიც ორი ან სამი თავადი იყო და დანარჩენები კი აზნაურები. მათივე რიცხვში შედიოდა ყადი და მდივანი². ყაბარდოში ორი ასეთი სასამართლო იყო: ერთი მისოსტოვებისა და ატაუჯიკინების საგვარეულოში, ხოლო მეორე—ბეკმურზინებისა და კაიტუჯიკინების. ერთნიცა და მეორენიც მხოლოდ „თავიანთი ხალხის საქმეებს წყვეტდნენ“³. გრაბოვსკის ცნობით, ყაბარდოში 1807 წლამდე და ცოტა მოგვიანებითაც ორი ვალი იყო, შემდეგ კი ერთი. ვალი მისივე ცნობით, მეხკემეს უმადლესი თავმჯდომარე იყო და „თავისი ხალხის“ მმართველი. იგი „ხალხის მიერ არჩეული“ უმეტესად ხანში შესული თავადია⁴. ვალის ჰყავდა მოადგილე—კოდმა, რომელიც ძირითადად ტლიახოტლიაჟის წოდებიდან იყო არჩეული. საბოლოო ჯამში, მეხკემე გარდა სასამართლო წარმოებისა, განაგებდა ქვეყნის საგარეო და საშინაო საქმეებს. ამტკიცებდა ვალის გადაწყვეტილებებს ადათ-ჩვეულებებში ძველი და ახალი ნორმების თაობაზე⁵.

საინტერესოა ყაბარდოში მე-19 საუკუნემდე და მე-19 ს. პირველ ნახევარში „ბარანტობის“ ინსტიტუტის არსებობა, როგორც ვალის, მეხკემეს და ყაბარდოს დროებითი სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღმასრულებლობის საშუალებისა. „ბარანტობა“ თავისთავში გულისხმობდა მომჩივნის მიერ მატერიალურ კომპენსაციის მიღებას მისიდან ქონებრივ დანაკლისის ასანაზღაურებლად, შეურაცხყოფის, გადაუხდელი ვალის, მკვლელობის, ქურდობის და სხვ. მრავალ მსგავს შემთხვევათა დროს. „ბარანტობა“ იყო კანონიერი ფორმა მომჩივნის ინტერესების დასაცავად და მისი ცნება არასოდეს არ დაიყვანებოდა ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯვასთან, ან ქურდობასთან⁶. „ბარანტობა“ არ იყო ერთი რომელიმე ორგანოს გამოყენების საშუალება. ამ უფლებით შეიძლო ესარგებლა არა მარტო ვალის, მეხკემეს ან ყაბარდოს სასამართლოს 1818 წლიდან 40-იან წლებამდე, რამედ ყველა სოციალური წოდებების წარმომადგენლებს, რაც თავისთავად კარგად უჩვენებს „ფეოდალურ უწყსრიგობას“ ადრეფეოდალურ ურთიერთობის ხანაში. „ბარანტობა“ თავისი წარმოშობით პატრიარქალურ-თემობრივი წყობილების მოვლენაა, მაგრამ იგი, როგორც ძალმომრეობის ფორმა, სავსებით გამოსაღვეი აღმოჩნდა პატრიარქალურ-თემობრივი

¹ Т. Х. Кумыков, Социально-экономические отношения и отмена крепостного права в Кабарде и Балкарии, Нальчик, 1959, 83-73.

² Н. Ф. Грабовский, Очерк суда и уголовных преступлений в Кабардинском округе, Сборник сведений о Кавказских горах, вып. IV, Тифлис, 1870, 83-8.

³ იქვე, 83-7.

⁴ იქვე.

⁵ Кавказский календарь за 1917 г., 83, 256.

⁶ Б. А. Гарданов, Материалы..., 83, 368.

წყობილებიდან ფეოდალიზმში გარდამავალ პერიოდისათვისაც. მან თავისი არსებობა ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შემდგომ პერიოდშიც არ შეწყვიტა, ვიდრე შეზღუდული არ იქნა თვით რუსეთის ცენტრალიზირებული სახელმწიფოს მიერ მე-19 საუკუნის 40-ან წლებში. ყაბარდოს ფეოდალიზაციის პროცესის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ვალისა და მეხკემეს ინსტიტუტების არსის გარკვევას, რამდენადაც ძირითადად მათი საშუალებით ტარდებოდა ყაბარდოში თავალური ხელისუფლება. ვალი და მეხკემე ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყაბარდოში „ცენტრალური ხელისუფლების“ მსგავსი რამ ინსტიტუტი იყო მე-19 ს. მეორე მეოთხედამდე, რომლის საშუალებით თავადები, თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლებას გამოყენებით ახორციელებდნენ აღრეფეოდალურ ურთიერთობის მეორე მნიშვნელოვან მოვლენას, მიწაზე გლეხთა მიმავრებას, უშუალო მწარმოებელზე არასრული საკუთრების განმტკიცებას, რომლის დროს აუცილებლად საჭირო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება კლასობრივი წინააღმდეგობის ასალაგმავად. ვალის და მეხკემეს ინსტიტუტების წარმოშობა არა მარტო ფეოდალთა იმ ჯგუფის მოთხოვნა იყო, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების შექმნით და მისი გამოყენებით გლეხთა მიმავრების საქმეში, არამედ ვაჭრების, ხელოსნებისა და გლეხობისაც, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლება მათ დაიცავდა, ერთი მხრივ, ფეოდალურ შინაომებისაგან და, მეორე მხრივ, კი საგარეო ომებისაგან, მაგრამ თავადური ხელისუფლება ყაბარდოში თავისუფალი თემის არსებობის პირობებში რამდენადმე მაინც შეზღუდული იყო, რასაც მოწმობს ვალისთან არსებული „მღაბიო ხალხის დებუტატი“, რომელიც „მღაბიო ხალხის“ ყველა საქმეებს უნდა დასწრებოდა, როგორც მათი წარმომადგენელი¹. ეს გარემოებაც თავის მხრივ მიუთითებს ფეოდალური ურთიერთობის განუვითარებლობაზე.

სათავადოთა უფრო მსხვილ გაერთიანებისათვის ან მეფის ხელისუფლების წარმოშობისათვის ყაბარდოში შესაფერისი პირობა არც მე-19 ს-დე და არც მე-19 ს. პირველ ნახევარში არ არსებობდა.

„კეთილშობილთა“ წოდებას, გარდა ფშიებისა, ყაბარდოში შეადგენდნენ პირველი ხარისხის უზღენებიც ანუ დიდი აზნაურები ტლიახოტლიაიცი („ძლიერისაგან შობილი“) და დიეენუგო („მოთქვრილი ვერცხლი“).

ტლიახოტლიაიცი და დიეენუგო ორივე ეს სოციალური კატეგორია „იჯდა თავის სახელობის მიწაზე“ და ჰქონდათ სრული უფლება „სურვილისამებრ“ თავისი ქვეშევრდომებით ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებისა². ტლიახოტლიაიცი და დიეენუგო მიწის საკუთრების უფლებით ფშიების თანატოლები იყვნენ³. მათვე მსგავსად გაანდათ უფლება „თავისუფალ მიწებით სარგებლობისა“. „უორკებისათვის მიწების გაცემისა გარკვეული სამსახურისათვის“⁴ და სხვ. ჰყავდათ თავისი საკუთარი ყმები და ვასალებად მცირე აზნაურები—უორკ-შაუთლუხუსები⁵. მისი საცხოვრებელი სოფელი კოჯი ისევე იყო მოწყობილი, როგორც თავადის უორკ-კოჯი. იგი ისეთივე სრული მესაკუთრე იყო თავის

¹ Ф. И. Леонтович, Адагы..., გვ. 243.

² ЦГИА Каб.-Балк. АССР, ф. 40, оп. 1, д. 4, л. 197.

³ К. Ф. Сталь, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

⁴ Кавказский календарь за 1917 г., გვ. 257.

⁵ К. Ф. Сталь, დასახ. ნაშრ., გვ. 149.



კოჩისა, როგორც ფში, ფში—უორკ—კოჩისა¹. ტლიახოტლიაჟი და დიჟენუგორ, გარდა პატივისცემისა, „არაფრით არ იყენენ ვალდებულნი“ ფშის წინაშე. მასთან უკმაყოფილების შემთხვევაში სხვა საცხოვრებელ ადგილზეც კი შეეძლოთ გადასულიყვნენ. ვინაიდან უთანხმოების შემთხვევაში ფშის წინააღმდეგ ერთიანდებოდა ყველა ტლიახოტლიაჟი თავისი აულებით². ამიტომ ფში ცდილობდა კეთილგანწყობილების შენარჩუნებას, რადგან მათ შეეძლოთ მისთვის „დიდი ზიანი მიეყენებიათ“³. ტლიახოტლიაჟები ერთგვარ კონტროლს უწევდნენ ყაბარდოს მმართველ ვალი-ფშის თავიანთი წარმომადგენლით—კოდძათი, რომლის არჩევის უფლება დიჟენუგოებს არ გააჩნდათ⁴. ფშის მსგავსად ტლიახოტლიაჟს და დიჟენუგოს თავიანთი საგვარეულო ღერბი (ტამლა) ჰქონდათ. მათ მამულში ფშის უფლება არ ჰქონდა მოეხდინა „ბარანტა“, ან დაესაჯა ვინმე⁵. ტლიახოტლიაჟის და დიჟენუგოს სიცოცხლეც დიდი „სისხლის ფასით“ იცვებოდა. ასე, მაგალითად; მათ შეურაცხყოფელს უნდა გადაეხადა ერთი ყმა. ცხენი, ხმალი, ხანჯალი, ჯავშანი და სხვ⁶. ტლიახოტლიაჟებს და დიჟენუგოებს მსგავსად ფშებისა ჰქონდათ უფლება „უზდენის წილის“ ანუ უორკტინის მიცემისა. თუ ტლიახოტლიაჟი და დიჟენუგო საზოგადოებაში თავისი სოციალ-ეკონომიური მდგომარეობით ძალზე არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, სამაგიეროდ პოლიტიკურად ისინი შესამჩნევად განსხვავდებოდნენ. ასე, მაგალითად, დიჟენუგოებს არ ჰქონდათ უფლება ვალის მოადგილის — კოდძის არჩევისა. მაგრამ ის ფაქტი, რომ დიჟენუგოს წოდება ძირითადად ჩერქეზების ან სხვა მთიელთა „მოსულებით“ იცებოდა, რომლებიც თავიანთი უფლებებით აუცილებლად ამ წოდების სიმალლეზე უნდა მდგარიყვნენ (ალბათ, ამასვე გულისხმობს თვით ტერმინის მნიშვნელობა „მოოქერალი ვერცხლი“). გვაფიქრებინებს ამ პოლიტიკურ უფლებების განსხვავების საფუძველს, რამდენადაც ტლიახოტლიაჟები ყაბარდოში „წმინდა“ ყაბარდოულ წარმოშობისად ითვლებოდნენ. უფლებრივი განსხვავება ტლიახოტლიაჟსა და დიჟენუგოს შორის მე-19 ს-მდე უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე ამის შემდგომ, რადგან, როგორც კუმიკოვი აღნიშნავს, მე-19 ს. 60-იან წლებისათვის მათი წოდებრივი უფლებები ძირითადად გათანასწორდნენ⁷.

ტლიახოტლიაჟის და დიჟენუგოს მომდევნო წოდებას შეადგენდნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე აზნაურები ბესლან-უორკები და უორკ-მაუთლუხუსები.

ბესლან-უორკები და უორკ-მაუთლუხუსები. თვით ტერმინი „ბესლანი“, გადმოცემით არსებული, ყაბარდოელ თავადის ბესლანის სახელწოდებიდან წარმოიშვა და შემდეგში ყაბარდოელი მფლობელის თუ თავადის ზოგად ცნებად იქცა. მთლიანად ბესლან-უორკი ფშის უშუალო დამოკიდებულებაში მყოფი აზნაურია. ფშისთან იგი უფრო ახლო დამოკიდებულებაში იყო, ვიდრე უორკ-მაუთლუხუსი. ბესლან-უორკები ფშისაგან, როგორც წესი,

¹ მ. ქანთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

² К. Ф. Сталь, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

³ იქვე, გვ. 145.

⁴ Кавказский календарь за 1917 г., გვ. 256.

⁵ Ф. И. Леонтович, Адамы..., გვ. 255.

⁶ იქვე, გვ. 256.

⁷ Т. Х. Кумыков, Соц.-экон. отнош. № 74.

„სამსახურისათვის“ იღებდნენ მიწას. ბესლან-უორკის წოდება უმეტესად უორკ-შაუთლუხუსიბიდან იესებოდა. როდესაც ეს უკანასკნელნი ფშისაგან უორკტინს—„საჩუქარს“ მიიღებდნენ: იარაღის, ძვირთავის საგნების ან მიწის სახით¹. უნაუტების, ლოჯანაბიტებისა და მიწის მთლობილობის უფლებებით ეს უორკები არსებითად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდნენ. გარდა იმისა, რომ უორკ-შაუთლუხუსისათვის სამიწათმოქმედო სამუშაოები ნაკლებ სასიოცხვილო იყო ვიდრე ბესლან-უორკისათვის. ბესლან-უორკი, როგორც წესი, ფშის წოდებამდე ვერ პოვდებოდა გარდა ერთი შემთხვევისა. საქმე ისაა, რომ ბესლან-უორკების წოდებაში შემოდიოდნენ თუშები—ფშების უკანონო შვილები², რომლებსაც საშუალება მაინც ეძლეოდათ ფშების უკანონო შვილებითად. თუ თუმა ცოლად შეირთავდა „წმინდა სისხლის ფშის“, თუ თუმა თავის მეორე ქმების მიერ, თშის კანონიერ ცოლისაგან, აღიარებული იქნებოდა ცოლად. და თუ თუმა დაწინაურდებოდა თავის სამხედრო საქმეებით³. ბესლან-უორკისათვის პირველი ორი გამორიცხული იყო. რამდენადაც ბესლან-უორკს საერთოდ არ შეიძლო ფშის ქალზე დაქორწინებულიყო.

ბესლან-უორკების შემდეგ ფეოდალურ კლასში ცალკე სოციალურ კატეგორიად გვევლინება უორკ-შაუთლუხუსი, რომელიც ყაბარდოულად უორკის თანმხლებელ მხედარს ნიშნავს. — ამ წოდებაში გარდა „ფშის მიერ ნაწყალობევი თავისუფალი წოდების წარმომადგენლისა“ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ აგრეთვე „დამოკიდებული წოდების წარმომადგენლებიც“⁴.

პიროვნება კი, რომელიც ფშისაგან ან ტლიახოტლიაჟ-დიეენუგოსაგან „უორკტინს“, ანუ უზდენის წილს მიიღობდა ვალდებული იყო მათ მახლობლად დასახლებულიყვნენ და სამხედრო სამსახური ეკისრა. უორკ-შაუთლუხუსი ძირითადად ტლიახოტლიაჟებისა და დიეენუგოს ვასალები იყვნენ. ბესლან-უორკები კი ფშებისა. სწორი არ არის მ. ქანთარია, როდესაც მათ ორივეს პირველი ხარისხის უზდენების (ე. ი. ტლიახოტლიაჟ-დიეენუგო. — თ. ბ.) ვასალებად მიიჩნევს⁵. თუ ბესლან-უორკის უპირატესობა უორკ-შაუთლუხუსისადმი იმაში გამოიხატებოდა, რომ მას შეეძლო ცოლად მოეყვანა ტლიახოტლიაჟის ქალი-შვილი, სამაგიეროდ უორკ-შაუთლუხუსს უფლება ჰქონდა „სუფრაზე ფშისთან ერთად ჯდომისა“, რაც ბესლან-უორკებს არ გააჩნდათ⁶.

ფეოდალური კლასის ყველაზე დაბალ საფეხურს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ყაბარდოში ფშეკეუს კატეგორია შეადგენდა.

ფშეკე უ. ამ სოციალური კატეგორიის გარკვევა ყაბარდოს ფეოდალურ სინამდვილეში, გარდანოვის თქმით, ძალზე რთულია. მართლაც, მაშინ როდესაც ნაწილი ავტორებისა: შორდანოვი, კუდაშვი, მაკაროვი და სხვ. მათ თვლიან ხარისხიან უზდენებად ანუ აზნაურებად, ნაწილი: მაქსიმოვი, ორბელიანი, ლეონტოვიჩი, სტალი და სხვ. არა თუ უარყოფენ მათ ხარისხობრივობას, არამედ საერთოდ მათ უზდენობა-აზნაურობას. ფშეკეუს სოციალური კატეგორიის წარმოშობის შესწავლისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს უზდენ ყარა

¹ Т. Х. Кумыков, Соч. эк. отнош., гл. 75.

² К. Ф. Стая, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

³ Кавказский календарь за 1917, гл. 258.

⁴ იქვე.

⁵ მ. ქანთარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

⁶ В. М. Букалова, Архивные материалы., гл. 261.

კუდაევის საქმეს, რომელმაც 1847 წ. კავკასიის ცენტრის უფროსს თხოვნით მიმართა თავადის ქალის კაბახან ნაურუზოვის მიერ მისი მამის მემკვიდრეობის მიტაცების გამო¹.

ტექსტს გარდანოვის ტექსტუალური შენიშვნებით უცვლელად ვტოვებთ, რამდენადაც მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საკითხის შესწავლისას. სასამართლოში გამოძიება დაიწყო ყარა კუდაევის „უზდენობის ნამდვილი წარმოშობის საკითხით“, ანუ იყო იგი თუ არა უზდენი ან თუ იყო რა ხარისხის. მოწვეულ იქნენ მოწმეებიც. თვით თავადის ქალმა კაბახანმა განაცხადა, რომ „კუდაევები მასთან ბეგოულებად იყვნენ, რომლებსაც საკუთარი ყმები და ქონება გააჩნდათ თავათა მიერ ბოძებულ საჩუქრებიდან შემდეგარი“². მოწმე აზნაურებმა კი აღნიშნეს, რომ „კუდაევები წარმოშობილნი არიან ფშეკეუებიდან“ და თავად ბექმურზინების ოჯახის გაყოფისას წილად ხვდათ თავად ჯანოტოვს, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ კი მის ვაჟს—კუჩუქს. კაბახან ნაურუზოვის მამას. მოწმეებმა განაცხადეს, რომ „ამ დროისათვის კუდაევები ბეჭოულის სახელწოდებას ატარებდნენ, თუმცა (ტექსტში წაშლილია წინადადება: „ჰქონდათ უფლება უზდენის ქალიშვილზე ქორწინებისა და ასევე თავისი ქალიშვილის გათხოვებისა“.—და მის სანაცვლოდ ჩაწერილია „იწოდებოდნენ უზდენებად“—ბ. ა. გარდანოვი) იწოდებოდნენ უზდენებად“³. ჩვენებაში შემდეგ ნათქვამია, რომ ბეჭოულები, თავის თავადზე ძალზე იყვნენ დამოკიდებულნი და ამ წოდებიდან მხოლოდ თავადის განსაკუთრებული წყალობის ძალით გამოდიოდნენ (ტექსტში წაშლილია წინადადება „ან გამოსყიდვისათვის მთელი თავისი ქონების მიცემით“.—ბ. ა. გარდანოვი)⁴. მოწმე ხაი ტხაკაჩევმა განაცხადა, რომ „კუდაევები ბექმურზინების ოჯახის გაყოფის დროს ფშეკეუები იყვნენ ბეკოზისოს (ალბათ ბეჭოულის,—თ. ბ.) სახელწოდებით და სარგებლობდნენ უზდენის უფლებებით, თუმცა თავიანთ თავადებზე სხვაზე მეტად იყვნენ დამოკიდებულნი“⁵.

ამ საქმიდან ირკვევა, რომ ბეჭოული ფშეკეუს წინა საფეხურია, რომ ბეჭოული ფშეკეუდ იქცევა მხოლოდ, „თავადის წყალობით“, რომ ბეჭოული ან ფშეკეუ სხვა უზდენებზე უფრო დამოკიდებული იყო თავადზე და ფშეკეუ-უზდენი—აზნაურია, რომელმაც თავადისაგან საჩუქარი ანუ უზდენის წილი — უორკტინი მიიღო. ამ საქმის უკეთესად წარმოსადგენად საინტერესოა თვით ბეჭოულის კატეგორიის გარკვევა. ბრონევსკი თავდაზნაურთა „კარის“ აღწერისას წერს, რომ ის დასახელებული იყო „თავდახსნილებით, მოსულებით, ახლობლებით და შინაყმებით ბეგაულების სახელწოდებით“. ბრონევსკისვე სიტყვით. „პირველნი (ე. ი. თავდახსნილები, მოსულები და ახლობლები,—თ. ბ.) სოფლის მეურნეობას ეწევიან და გადასახადს უხდიან თავადსა და მემამულეს; მეორენი კი (ე. ი. შინაყმები-ბეგაულები,—თ. ბ.) ეზოს სამუშაოებს ასრულებენ გლეხების მსგავსად“⁶.

საყურადღებო ცნობა აქვს დეღობოცოს თავის 1808—1815 წწ. „ყაბაროს მოკლე აღწერაში“, რომ „ბეჭაულები ის შინაყმებია, რომელთაც თავი გამოი-

¹ Б. А. Гарданов, Материалы... док., № 37, 83-281.

² იქვე.

³ იქვე, 88-287.

⁴ იქვე, 83-288.

⁵ იქვე, 88-289.

⁶ С. Броневский, დასახ. ნაშრ., 88-113.

სყიდეს ან განთავისუფლებულნი იქნენ შინაყმობიდან¹. ჩვენი აზრით, ბეჭეულები, ან ის თავდახსნილი პირებია, რომლებიც ხელშეორედ იქნენ დაყმევებულნი, ხოლო თავიანთ თავს ყოვალ თავდახსნილებად თვლიდნენ, ან კიდევ ყოფილი თღფოკოტლები არიან ბატონის სამხედრო სამსახურში მყოფნი. ასე თუ ისე ბეჭეულები სამხედრო სამსახურის ხალხია. ასე, მაგალითად, 1807 წ. გუდოვიჩის მიერ ჩეჩნების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში ყაბარდოელების რაზმში ფში-უორკების შემდეგ სამხედრო ძალად ბეჭეულები ჩანან². დილბოცოს სიტყვით კი ბეჭეულები უზდენისა და გლეხების წინააღმდეგ ბატონის ნების აღმასრულებლები იყვნენ³. ვინაიდან ფშეკეუ ყოფილი ბეჭეულია. ამიტომ მისი ფუნქციები შემდეგშიც ძირითადად იგივე დარჩებოდა. ყაბარდოს ადათებში წერია, რომ „უზდენი-ფშეკეუები თავადის ყველა ბრძანებას ასრულებენ“, რომ ისინი ყოველ დღე და განუყოფლად თავადებთან არიან და იკავენ საშინაო წესრიგს „რათა ყველანი ყოფილიყვნენ დამჭერნი“. ადათისევე ხედვით, თავადის ბრძანებით ისინი ვალდებული იყვნენ „აღეკეთად ყოვიღგვარი შესაძლებელი უმსგავსოება და დაეცვათ კეთილგონიერება“⁴. ფშეკეუ, როგორც ვხედავთ, შინაგანი წესრიგის, პოლიტიური ფუნქციებით აღჭურვილი პირია, ხოლო რაც შეეხება სხვა ფშეკეუებსაც ვფიქრობთ, რომ ყველა ერთად მცირე დროეინას შეიადგინდა, რომელიც თავადის უშუალო განკარგულებაში იყო მისი ბატონობის უზრუნველსაყოფად, ერთი მხრივ, აზნაურებზე, მეორე მხრივ კი გლეხებზე.

ამ მხრივ საინტერესოა თვით ტერმინი ფშეკეუს ეტიმოლოგია. იგი წარმოშობილია, ერთი მხრივ, სიტყვა „ფში“-საგან და, მეორე მხრივ, ჩერჩეზულ „ჩო“-საგან, (ყაბარდოულად „ბეჩხ“) და ნიშნავს მოწინულ გალავანს. პირდაპირი გაგებით ორივე ეს სიტყვა ნიშნავს თავადის გალავანს, ხოლო გადატანით—მცირე დროეინას⁵. მთელი რიგი მკვლევრებისა ფშეკეუს აიგივებენ თავადის ამაღლსთან⁶. ფშეკეუს პირველი დამცველი თავადი იყო, რომელიც ფშეკეუს მკვლევლობის შემთხვევაში ან იძიებდა შურს, ან დამნაშავესაგან მიიღებდა ჯარიმას გლეხის სამი ოჯახის რაოდენობით ისე, რომ თითოეულში ცხრა სული ყოფილიყო. ფშეკეუს მკვლელი უზდენი ფშეკეუს თავადის უზდენი ხდებოდა⁷. ფშეკეუ რომ უკვე გარკვეული სოციალური კატეგორია იქიდანაც ჩანს, რომ ეს წოდება მე-19 ს. პირველ ნახევარში მემკვიდრეობითი იყო⁸. ფშეკეუ ფეოდალური კლასის სოციალური კატეგორიაა, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო. ყაბარდოულ ადათებში წერია, რომ „იგი არც გლეხი იყო და არც უზდენს უტოლდებოდა“. კულაშევის აზრით კი

¹ ШГВИА, ф. ВУА, д. 18491, л. 13; იხ. აგრეთვე, Учен. зап. Кав-Балк., НИИ, т. XIII, Нальчик, 1957, стр. 382.

² ШГВИА, ф. ВУА, д. 6164, ч. 54, л. 219.

³ ШГВИА, ф. ВУА, д. 18491, л. 14.

⁴ ШГИА, Грвз. ССР, ф. 1083, оп. 2, д. 281, л. 41.

⁵ Т. Х. Кумыков, К вопросу об общественном строе Кабарды накануне реформы, 1861 г., Ученые зап. Кав. НИИ т. IX, Нальчик, 1954, 83-76.

⁶ Газ. „Терские ведомости“, № 29, л. 3-4.

⁷ Ф. И. Леонтович, Алаты..., 83-251.

⁸ В. Н. Кудашев, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

ის „ფშიტლის კლასიდან უორკების კლასში გარდამავალი საფეხური იყო“¹, რასაც გარდანოვიც იზიარებს².

ფშეკეუების როლი ყაზარდოელ ფეოდალურ სინამდვილეში, როგორც მკირე დრუჟინისა, განსაკუთრებით მე-19 ს: მეორე მეოთხედიდან უნდა გაზრდილიყო, როდესაც რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ შეუძლებელი გახდა დიდი დრუჟინების საქმიანობა, რომელშიც შედიოდნენ ტლიახოტლიაეები, დიქენეუკოები, ბესლან-უორკები, უორკ-შაუთლუხესები და სხვ.

ყაზარდოში, ცნობილია, პატრიარქალურ-თემური წყობილების რღვევის შედეგად ისეთი სოციალური წინამძღვრები წარმოიშვა, რომლებიც სწორედ ფეოდალური ურთიერთობის განვითარებისათვის იყო საჭირო. ასე, მაგალითად, სასოფლო-სააულო თემები, თემის დიდებულთა მსხვილი მიწისმფლობელობა და სამხედრო წარჩინებულთა მოსახლეობისაგან გამოყოფა, რომელმაც შემდეგში დრუჟინულ ურთიერთობის სახე მიიღო. ყაზარდოელი კერძო მიწისმფლობელები, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თვით იყვნენ თემის „თანასწორუფლებიანი“ წევრები, შეუპოვრად განაგრძობდნენ თემის დამორჩილებას, რომელიც თავის მხრივ თავგამოდებით იცავდა თავის თავს. ამ ბრძოლის პარალელურად კი მიმდინარეობდა მეორე პრძოლაც, ბრძოლა თვით მიწისმფლობელებს შორის, ერთი მხრივ, მიწებისათვის და მეორე მხრივ, გლეხებისათვის.

პირველი ბრძოლის შედეგი ის იყო, რომ ყაზარდოელ ფეოდალებმა თავის დრუჟინებზე დაყრდნობით რამდენადმე მაინც შეძლეს თემის მიწების გარკვეული ნაწილის ხელში ჩაგდება და თავისუფალ მიწის მუშათა დაყმევება. მეორე ბრძოლის შედეგი კი ის იყო, რომ წარმოიშვა ფეოდალური იერარქია, ფეოდალურ წოდებრივი საკუთრება მიწაზე ანუ დანაწევრებული საკუთრება. პირველი და მეორე ბრძოლების არსებითი მომენტი იყო სამხედრო ძალის—დრუჟინების შექმნა. აღრფეოდალურ ურთიერთობის იმ პერიოდისათვის კი, როდესაც თავისუფალ მოთემეთა უდიდეს ნაწილს აღარ შეეძლო სამხედრო სამსახურის გაწევა სახალხო ლაშქრობაში დრუჟინის როლი განსაკუთრებით გაიზარდა, რამდენადაც თემის წარჩინებულები ამ შემთხვევისას თვით ადათის მიერ დაწესებულ რეპრესიების, ან ჯარიმების რეალიზაციას საკუთარ დრუჟინებზე დაყრდნობით ახორციელებდნენ. რეპრესიები, ჯარიმები და სხვ., საკუთარ დრუჟინებზე დაყრდნობით, ორმხრივ სასარგებლო იყო დიდგვაროვანთათვის, რადგან ერთი მხრივ ის გამდიდრების წყარო იყო, ხოლო მეორე მხრივ—სამუშალება შეუძლებელ მოთემეთა დაკაბალებისა. ეს მდგომარეობა სხვათაშორის კარგად აისახა ყაზარდოელ ადათებშიც, სადაც წერია, რომ „თავადთა უწინდელი თვითნებობა“ ხალხიდან დიდი გადასახადების აკრეფაში, ჯარიმების დაწესებაში და უკანონო მკვლევლობაში გამოიხატებოდა³. პატრიარქალურ-თემობრივი ურთიერთობის წიაღში ფეოდალური ურთიერთობის განვითარებაში მობრუნების პუნქტი იყო წარჩინებულთა სამხედრო ძალის—დრუჟინის ამაღლება სახალხო ლაშქარზე, რის შემდეგ დიდებულთა—თავადთა ხელისუფლება უფრო მეტად შეუზღუდველი შეიქმნა.

¹ В. Н. Кудашев, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 159.

² Б. А. Гарданов, *Материалы...*, გვ. 352.

³ Ф. И. Леонтович, *Адагы...*, გვ. 253.

ვინაიდან თავადის ხელისუფლების განვითარება, ერთი მხრივ, მჭიდროდ იყო დაკავშირებული დრუჟინულ ორგანიზაციასთან. რომელიც წარმოიშვა და „კეთილშობილურ სამსახურის“ საუფქველზე და დრუჟინიკების მიწის პრივილეგირებულ მფლობელობაში, ხოლო, მეორე მხრივ, კომენდაციის ინსტიტუტის წარმოშობასთან, ჩვენ მოკლედ განვიხილავთ დრუჟინულ ურთიერთობას ყაბარდოში, რომელიც თავის მხრივ რამდენადმე შუქს ჰდევს ყაბარდოში არსებულ ადრეფეოდალურ ურთიერთობას. ევკს არ იწვევს ეს გარემოება, რომ ადათებში მოხსენიებული „უზდენის წილი“ სტალის „უორკტინი“-ს იდენტურია და ნიშნავს საუზდენო ნაღვლს ანუ ყმათა ოჯახს, ცხვრებს, მიწის ნაწილს, რკინის სხვადასხვა ნივთებს და სხვ.¹ ვინაიდან უზდენები, „ძალატანებით არ ემსახურებოდნენ თავადს“, არამედ საკუთარი სურვილით და მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ისინი „თავადისაგან მთლიანად მიიღებდნენ უზდენის წილს“, ჩვენ საუზდენო ნადელი რამდენადმე ბენეფიციუმისა და ლენის იდენტურად მიგვიჩნია, მხოლოდ თავისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

საუზდენო ნადელის გაცემის წესი ყაბარდოში შემდეგნაირად იყო დაკანონებული: ტლიახოტლიაჟი ჯდა დიეენუგო მას იღებდნენ ფშისაგან². ფშისაგან იღებდნენ აკროთვე ბესლან-უორკებიტ³. უორკ-შაუთლუხუსები საუზდენო ნადელს იღებდნენ ტლიახოტლიაჟისაგან და დიეენუგოებისაგან⁴, ხოლო რაც შეეხება ფშეკუეებს მათაც ის თავადებისაგან უნდა მიეღოთ, რადგან ისინი თავადის აზნაურებს შეადგენდნენ. ადათებში წერია, რომ „სხვა უზდენები“ ასეთსავე უზდენის წილს თავადებისაგან ღებულობდნენ⁵. სხვა უზდენები კი ყაბარდოში ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა არავინ იყო. თავისთავად ცხადია, რომ ის ვინც მიიღებდა საუზდენო ნადელს ვალდებული იყო გარკვეული სამხედრო, სამეურნეო-ადმინისტრაციული თუ სხვა რიგის სამსახური ეკისრა. დელპოდოს 1808—1815 წწ. ყაბარდოს მოკლე აღწერაში წერია, რომ „უზდენები ყოველთვის ვალდებულნი არიან თავადებთან ერთად საომრად წაიღონ“, და რომ „ყოველთვის როდესაც მათ უბრძანებენ თან უნდა წამოიყვანონ იმდენი ქვეშევრდომი უზდენი ან შინაყმები, რამდენსაც ბატონი ჩათვლიდა საჭიროდ“⁶. ადათებში აღნიშნულია, რომ „ყველა ხარისხის უზდენი, რომელმაც კი მიიღო უზდენის წილი, ვალდებულია თავადის პირველსავე დაძახებაზე თითოეულ ხარისხიდან, თითო შეიარაღებული გამოცხადდეს“⁷. რასაკვირველია, მთელი ხარჯები ლაშქრობასთან დაკავშირებით უნდა ეკისრათ მომდევნო სოციალურ წოდებებს, საბოლოო ჯამში კი ყმა-გლეხებს. ასე, მაგალითად, ბესლან-უორკი თავისი ცხენით და თავისი იარაღით უნდა გამოცხადებულიყო. ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში კი ყოველივე ამით სხვებიც უნდა უზრუნველყო⁸.

ვინაიდან ფშები და ტლიახოტლიაჟი-დიეენუგოები მიწის შესაკუთრენი იყვნენ მათი ერთმანეთში ურთიერთდამოკიდებულება არსებითად განსხვავდე-

¹ Ф. И. Леонтович, Алаты..., 83. 229.

² იქვე, 83. 230.

³ იქვე, 83. 229.

⁴ ЦГИА Груз. ССР, ф. 7, оп. 8, л. 5, л. 43.

⁵ Ф. И. Леонтович, Алаты, 83. 229.

⁶ იქვე, 83. 230.

⁷ ЦГИА, ф. ВУА, л. 18491 л. 13.

⁸ Ф. И. Леонтович, Алаты..., 83. 230.

⁹ იქვე, 83. 231.

ბოღა მათსა და დანარჩენ ქვეშევრდომ უზდენებს შორის დამოკიდებულებისაგან. ასე, მაგალითად, ფშეები ტლიახოტლიაეების და დიყენუგოების მიმართ „მხოლოდ წინამძღოლობის უფლებებით სარგებლობდნენ“¹, რაც შეეხება სხვა უზდენებს, ისინი „თავადის მოწოდებაზე“ „მიწის“ სარგებლობისათვის...“ „თავიდანფეხებამდე შეიარაღებულნი დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ უნდა გამოცხადებულყვენ“². აღსანიშნავია ამ შემთხვევისათვის მეტად საყურადღებო გარემოება. საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობის, ან უარის თქმის შემთხვევაში თავადს უფლება არ ჰქონდა ტლიახოტლიაეი ან დიყენუგო „თავიანთ საგვარეულო მიწებიდან აეყარა“, მაშინ, როდესაც სხვები „მას თავისუფლად შეეძლო თავის მიწებიდან გაერეკა“³. აქედან გასაგები ხდება თუ უზდენებიდან მარტო ტლიახოტლიაეს და დიყენუგოს რატომ გააჩნდათ უფლება თავადების ახლოყოფნის და მათთვის რჩევა-დარიცხვის მიცემისა⁴. თავისთავად ცხადია, რომ ტლიახოტლიაეებისა და დიყენუგოს უფლება-სურვილისამებრ საუზუნო ნადელის მიცემისა ხელს უწყობდა ყაბარდოში ფეოდალური წოდების შექმნამ დიფერენციაციას. ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით ურთიერთდაპოკიდებულება ფშეებსა და ტლიახოტლიაე-დიყენუგოებს შორის შეგვიძლია დავასაბუთოთ როგორც „ვასალიტეტი“ ლენის გარეშე და ლენისა, რომელიც შედგება მხოლოდ ხარკისაგან⁵. ხოლო მათი და დანარჩენი უორკებისა, როგორც ვარდამავალი საფეხები დრუყინულ ურთიერთობიდან ვასალურში. მთლიანობაში ეს ორივე ურთიერთობა სრულიად შეესატყვისება ადრეფეოდალურ ურთიერთობის პერიოდს. ვასალური ურთიერთობის არსებობა ყაბარდოში მე-19 ს. პირველ ნახევარში არ ტოვებს არავითარ ეჭვს, მაგრამ არ არის ინტერესმოკლებული თვით ხარისხი ამ ვასალობისა, რომელიც, ჩვენის აზრით, ყაბარდოში არ უნდა ყოფილიყო მალალი. მასალებიდან ირკვევა, რომ უორკ-აზნაურთა გარკვეული ნაწილა უკვე დამორჩილებული ჰყავთ ფშეებს ან ტლიახოტლიაე-დიყენუგოს და რომ დამოკიდებულ ანუ თავისუფალ უორკთა უმრავლესობა ამ დროისათვის ჯერ კიდევ განაგრძობდა თავის არსებობას. ასე, მაგალითად, თუ უორკი, ნაწყენი იყო ფშისაგან ან არ ჰქონდა მიღებული მისგან საუზუნო ნადელი, მას თავისუფლად შეეძლო „დაუყოთხავად გადასახლებულიყო სხვა ადგილზე“⁶. თავადის ან ტლიახოტლიაე-დიყენუგოსთან უთანხმოების შემთხვევაში უორკებს შეეძლოთ თავიანთი ყმებით გადასახლებულიყვნენ სხვებთან და მიყვლებოდნენ მის აულს. ასეთ შემთხვევაში მათ ძველი ბატონისათვის უნდა დაებრუნებინათ საუზუნო ნადელი—უორკტინი⁷. მართალია, ადათებში იყო ისეთი ნორმაც, რომელიც უორკებს უკრძალავდა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლებას⁸, მაგრამ იმავე ადათებში დაცული სხვა ნორმებით მისი მნიშვნელობა საკმაოდ ბათილდებოდა. უორკთა რიცხვი 1828 წ-თვის დაახლოებით 1213 აღწევდა, აქედან 127 მეორე ხარისხის უზდენი ბესლან-უორკი იყო, 900-მესამე ხარისხის უზდენი უორკ-შაუთლუხუსი და 126—მეოთხე ხარისხის

¹ ЦГА, Каб.-Балк. АССР, ф. 2, оп. I, л. 488, л. 3.
² ЦГА, Каб.-Балк. АССР, ф. 2, оп. д. 488, л. 2.
³ იქვე, ფ. 2.
⁴ Ф. И. Леонтович, Алаты..., გვ. 231.
⁵ იქვე, გვ. 229.
⁶ იქვე, გვ. 188.
⁷ ЦГИА Груз. ССР, ф. 1083, оп. 2, л. 282, л. 58.

უზდენი—ფშეკეთ. ამავე პერიოდისათვის ფშეების თავადების რიცხვი 46 აღწევდა. ხოლო ტლიახოტლიაეებისა და დიეენუგოების 209¹.

უორკი ყაბარდოში წვრილი მემამულე იყო, მაგრამ იგი არ იყო თავისი ყმა-მამულის ერთადერთი მესაკუთრე. ასე, რომ ყაბარდოში ჩვენ საქმე გვქონდა დანაწევრებულ საკუთრების ფორმასთან. უორკის მეურნეობა არ იყო რენტაბელური, იგი არ არყევდა გაბატონებულ ნატურალური მეურნეობის საფუძვლებს, რადგანაც მისთვის აუცილებლად საჭირო არ იყო ტექნიკური პროგრესი, ხოლო თუ გამოჩნდებოდა რაიმე ახალი გამოგონება მის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა მისი ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა. იზოლიაცია ფეოდალურ სინამდვილეში. უორკის მეურნეობის ძირითადი პროდუქტია ადგილზევე ხპარდებოდა და მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღწევდა ბაზრამდე. უორკების მამულში ყმა-გლეხთა ექსპლოატაციის ხარისხი შედარებით მძიმე იყო ვიდრე უშისთან ან ტლიახოტლიაე-დიეენუგოსთან. უორკი თავის „უზდენის წილს“ „დროებით“ ფლობდა და ისიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ამოქაჩა უშუალო მწარმოებლისაგან. ვინაიდან უორკის გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე მთლიანად „უზდენის წილის“ მოცულობაზე იყო დამოკიდებული. ბუნებრივია უორკი დაინტერესებული არ იყო ერთ ადგილზე ყოფნით და დღენიადგ დაეძებდა უფრო მოზრდილ „უზდენის წილს“. ეს იყო, სხვათაშორის, ერთ-ერთი მიზეზიც ყაბარდოში მიწათმოქმედების განუვითარებლობისა, რამდენადაც ეს უკანასკნელი მეტ დროს, შრომასა და ენერჯიას მოითხოვდა, ვიდრე მესაქონლეობა. რასაკვირველია, ყველა უორკი არ იყო ასეთ „მომთაბარძელი“ ცხოვრებით დაინტერესებული, გარკვეული ნაწილი თავგამოდებით ცდილობდა, რათა დროის განმავლობაში თავისი ნადელი გადაეჭტა საკუთარ სამკვიდრო ყმა-მამულად, რომელშიც შესული იქნებოდა არა მარტო „უზდენის წილი“, არამედ აკუთარიც. თუ შეიძლება ითქვას, თანმოყოლილი ყმა-მამულიც. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მთელი მე-19 ს. პირველი ნახევარი სავსეა ფშეებისა და უორკების შორის კონფლიქტებით, სწორედ ამ ნიადაგზე. ამას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ, ის რომ თავადს უფლება არ ჰქონდა უზდენისაგან უკან მოეთხოვა ის „საჩუქარი“, რომელიც მან მას დიდხნის წინათ მისცა² და მეორე მხრივ ის, რომ უორკს უფლება ჰქონდა გლეხისათვის მისი სახლის თუ მეურნეობის მოწყობისათვის მიეცა წყვილი ხარი, წყვილი ძროხა, ქვაბი, სათესლე მარცვლეული და სხვ.³ თავისთავად ცხადია, რომ ყველა უორკი ვერ ახერხებდა ამას და გარკვეული დროის შემდეგ თვით ვარდებოდა თავადებისადმი მჭიდრო ეკონომიურ დამოკიდებულებაში. დასასრულს, საინტერესოა აღინიშნოს ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კონკრეტულ-ისტორიულ პირობების თავისებურება, პირველი რაც თვალში გვეცემა ის არის, რომ მე-16—18 სს. ყაბარდოში პატრიარქალურ-თემობრივი წყობილების რღვევა მიმდინარეობდა ყაბარდოს, ერთი მხრივ, ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის პირობებში რუსეთთან და საქართველოსთან. სადაც დიდი ხანია რაც განვითარებული ფეოდალიზმი ბატონობდა და მეორე მხრივ კი ფეოდალურად ჩამორჩენილ ქვეყნებთან თურქეთ-ყირიმხანთან. ირანთან და ცალ-ცალკე ფეოდალურ-ტომობრივ ერთეულებთან აღიღე-

¹ ЦГИА Груз. ССР. ф. 1083, оп. 2, д. 49, л. 318—346.

² Б. А. Гарданов, Материалы..., док. № 13, 83—111.

³ Ф. И. Леонтович, Адагы..., 83—37.

ჩერქეზებთან, ოსეთთან, დაღესტანთან და სხვ., სადაც მსგავსად ყაბარდოსი ეს-ეს არის ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობა.

ისეთ პირობებში კი, როდესაც ყაბარდოს საზოგადოებას, რომელშიც ყალიბდებოდა ანტაგონისტური კლასები, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფეოდალურად განვითარებულ საზოგადოებასთან,—მომთაბარე მესაქონლეობას—ძიკათმოქმედების რაიონებთან, მონა-უნაუტების ექსპლოატაციას არ იყვებოდა დიდი მხიშველობა მინიჭებოდა და აძლესად მონათმფლობელური წარმოების საფუძვლად ქცეულიყო.

მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში არსებული სოციალური ურთიერთობის შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მართალია ყაბარდოს ფეოდალური საზოგადოება ორ მთავარ ანტაგონისტურ კლასად ფშორკებად (თავად-აზნაურებად) და ფშიტლებად (გლენობა) დაიყო, მაგრამ ფეოდალიზაციის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და ცალკეული სოციალური კატეგორიები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყვნენ. ბატონყმობის სრული გამარჯვებისათვის მე-19 ს. პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ არსებობდა შესაბამისი პირობები, რაჲდენადაც ყაბარდოში კვლავაც გახაგრძობდა არსებობას ერთი მხრივ პატრიარქალური მონობა და მეორე მხრივ თავისუფალი თემი.

სოციალური ურთიერთობა მე-19 ს. პირველი ნახევრის ყაბარდოში შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც ადრეფეოდალური ხანის სოციალური ურთიერთობა.

СОЦИАЛЬНЫЕ ОТНОШЕНИЯ В КАБАРДЕ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Т. Д. БОЦВАДЗЕ

Резюме

В первой половине XIX века кабардинское общество было разделено на два противоположных класса: ши-уорков и феодально зависимого сельского населения — пшитли.

Кабардинский класс непосредственных производителей в основном состоял из двух частей. В первой входили лично свободные крестьяне тлхокотлы и азаты, а во второй—крестьяне лишившиеся личной свободы, с одной стороны, крепостные логанапты, оги, а с другой, рабы-унауты, — в этой последней социальной категории входили также такие социальные единицы как лыгава, хабзеншэ, жихефатез и ясыр.

Господствующий класс кабардинского общества состоял тоже из двух частей. В первой входили владетельные князья и дворяне т. н. ши, тлекотлеш и деженуго, а в другой невладетельные дворяне т. е. беслан-уорки, уорк-шаутлугусы и пшекеу.

Рост земельного богатства эксплуататорской верхушки в Кабарде приводил к усилению экономической зависимости непосредственных производителей от этой верхушки, которая различными путями постепенно устанавливала свое господство над главными средствами производства—землей, а также скотом. На такой экономической основе про-

исходило развитие феодализма в Кабарде. Это развитие вело к установлению не только экономической зависимости непосредственных производителей от феодальных собственников земли и скота, но и к растущей политической зависимости рядовых крестьян от эксплуататорской верхушки, к изменению правового положения этих крестьян, и их постепенному закабалению, переходу части свободных в разряд зависимых. Так что экономическое подчинение в Кабарде дополнялось и подкреплялось внеэкономическим принуждением.

В Кабарде подобно другим странам история общества двигалась в классовых противоположностях, которые правда в разные эпохи складывались различно и получали разные формы, но как правило, все же одно было общее «эксплуатация одной части общества другою». Процесс становления феодальных отношений в Кабарде протекал в условиях ожесточенной классовой борьбы.

Изучая вопрос социальных отношений в Кабарде в первой половине XIX века мы приходим к выводу, что существующие социальные категории хотя они еще продолжали складываться и развиваться, но все же в целом соответствовали высшей ступени раннефеодальных отношений и имели все возможности развития до последней стадии феодализма, несмотря на то, что сильно развитые феодальные порядки в определенной степени были завуалированы наличием в быту многочисленных патриархально-общинных пережитков.

О СРАВНИТЕЛЬНОМ ИЗУЧЕНИИ НАРОДНЫХ ИСТОРИЧЕСКИХ ПРОИЗВЕДЕНИЙ

К. А. СИХАРУЛИДЗЕ

В науке о народном творчестве и в литературоведении вопрос сравнительного метода был и остается актуальным. Всякая мысль, всякая точка зрения, всякое положение и новое наблюдение, все, что вносит ясность в понимание и применение сравнительного метода вызывает большой интерес. В этом направлении большую работу ведут советские ученые. Особый интерес вызывают теоретические положения о сравнительном изучении эпоса, выдвинутые в трудах проф. Жирмунского¹.

Особенно ценно то, что в работах проф. Жирмунского дана основательная критика беспринципного эмпирического сопоставления фактов литературы и фольклора, дана, обоснованная на конкретных материалах, критика объяснения всякого сходства факторов литературы и фольклора, механически понимаемым влиянием, без учета социально-исторических причин этого влияния.

Проблема сравнительного метода волновала как дореволюционных, так и советских ученых. Известны разные толкования сходства сюжетов и мотивов эпоса разных народов. Имеются как достижения, так и ошибки в толковании этого весьма актуального вопроса. Мы всегда с болью в сердцах чувствуем какую-то недостаточность в разрешении этой проблемы. В общем надо сказать, что эта проблема целиком еще не разрешена. Поэтому всякое ее новое толкование достойно приветствия.

Работы проф. Жирмунского содержат ценные наблюдения о причинах сходства фактов эпоса разных народов. Выдвинутые В. М. Жирмунским теоретические положения вносят много ясности в проблему сравнительного изучения эпоса. Нельзя не согласиться с выдвинутым проф. Жирмунским положением о том, что всякое сходство сюжетов и мотивов эпоса разных народов нельзя рассматривать как результат «заимствования». Ученый обращает внимание, специалистов на историко-типологические сходства мотивов, сюжетов, ситуаций и т. п. Положение Жирмунского противопоставляется взглядам компаративистов. И это вполне естественно.

¹ В. Жирмунский, Эпическое творчество славянских народов и проблемы сравнительного изучения эпоса. «Вопросы литературы», № 6, 1958, стр. 117—145.
Wiktor Schirmunski, Vergleichende Epenforschung, I. Akademie-Verlag-Berlin, 1961.

Мы считаем, что проблема причин сходства сюжетов и мотивов актуальна не только в отношении сказочного эпоса, но и героического эпоса. Она актуальна и в отношении исторических произведений, которые среди многообразных видов народного творчества являются самыми самобытными. В исторических произведениях — не маленькая роль, так называемых, традиционных сюжетов и мотивов. Эти сюжеты и мотивы в разные времена, в разных народах, в разных социальных слоях и т. д. своеобразно трансформировались и выражали разные тенденции и идеи. Для каждого народа эти сюжеты и мотивы были или становились национальными. Нам каждый раз вспоминаются слова Поля Лафарга: «Народная песня носит в общем местный характер. Сюжет порой может быть занесен извне, но он принимается только в том случае, когда соответствует духу и обычаям тех, кто его усныовляет»¹.

Нам каждый раз вспоминаются также слова того же автора: «Тождество сырого материала привело человека и там и тут к одинаковой обработке. Точно так же люди, получившие впечатления одинаковых явлений, передадут их в схожих песнях, сказаниях и обычаях»². В. М. Жирмунский в своих работах приводит интересные факты историко-типологических схождения сюжетов и мотивов разных народов. Мы приведем аналогичные примеры из грузинской исторической словесности. В грузинском эпосе имеется известный в мировом эпосе мотив умирающего и воскресающего героя. По легендам царица Тамара не умерла, она спит в золотом гробу, настанет время — проснется и поможет родине и народу³.

По латышской легенде любимый герой Лачплесис еще продолжает бороться с черным рыцарем. Народ не верит, что его герой, восставший против агрессоров-немцев, погиб. Чем объяснить такое сходство? В этом случае о взаимовлиянии не может быть и речи и метод сравнительно-генетический не пригодится. В этом случае сходные явления нельзя рассматривать как результат их родства по происхождению. Исследователь в этом случае должен прибегнуть к историко-типологическому сравнению, объясняющему сходство генетически собою не связанных явлений, сходными условиями общественного развития.

Названная легенда о царице Тамаре активизировалась в XIX в., когда особенно было сильно давление со стороны царского самодержавия на грузинский народ. Окончание легенды, что «царица Тамара проснется, когда понадобится родному народу», в свое время выражало идею национально-освободительного движения.

Лачплесис также для угнетенного под игом немецких колонизаторов латышского народа был символом родины. Андрей Упит правильно оценивает идейное содержание «Лачплесиса» поэмы Андрея Пумпура, пылкого мыслителя шестидесятых-восьмидесятых годов прошлого столетия.

¹ Поль Лафарг, Очерки по истории культуры, 1926, стр. 33.

² Там же.

³ Ак. Шанидзе, Народная поэзия (на грузинском языке), 1931, Тбилиси, стр. 365; журн.: «Могзаури» (на груз. яз.), № 7—8, 1901; «Дрепняя Грузия» (на груз. яз.), II, отдел 4, стр. 48—49; Сборник материалов для описания мест. и племен Кавказа, т. 27, отд. III, стр. 40—42; Важа-Пшавела, Сочинения, т. VII (на груз. языке), 1956, стр. 213.

летия, периода национального пробуждения латышского народа¹. Как известно, поэмы А. Пумпура созданы по народным сказаниям.

В представлении грузинского народа бессмертным является также эпический герой Амирани. Прикованный несправедливым богом к скале, герой ждет своего освобождения. Как известно, это древнейшее сказание тоже особенно активизировалось в XIX в., в период национально-освободительного движения в Грузии и оказало сильное влияние на развитие литературы.

Сходство заключительных эпизодов грузинских произведений и латышской легенды нужно объяснить сходными условиями развития общественной жизни грузинского и латышского народов.

По грузинским легендам, в построении храмов и крепостей царице Тамаре помогали птицы². Эти легенды имеют аналогии в мировом эпосе. Как известно, Паладе сопровождала сова; Приапе — гусь, Гере — кукушка и т. д.³ По легендам, царица Тамара правила погодой и небом⁴. Эти легенды тоже имеют аналогии в мировой мифологии. По греческой мифологии Дзевс-Дионис владел небом. Австралийцы верили, что божество — волшебник «Западный ветер» правил ветром и т. п.⁵ Нет смысла причины и таких аналогий искать в генетической связи. В этих случаях не считаем нужным говорить о каком-нибудь генетическом сходстве.

По грузинскому преданию XVIII века, современная Ираклию II-му героиня Тамара из Вашловани избегала брака, боясь потерять физическую силу⁶. Мы считаем — нет надобности искать генетическую связь между этим преданием и немецкой песней о Нибелунгах.

Приведем еще одну близкую аналогию из русского и грузинского исторического эпоса. По русскому преданию Иоанн Грозный переделался и предложил ворам ограбить царя. Один из воров, который не узнал переодетшегося царя, ударил его кулаком и добавил: «Негодяй! Как ты смеешь предлагать нам ограбить нашего государя, который до нас так милостив? Лучше же мы обкрадем какого-нибудь богатого боярина, который сам расхищает казну царскую»⁷.

По грузинскому сказанию, записанному в XIX в., тушинец караул из дворца Ираклия II-го. Вечером, когда царь входил во дворец, караул не узнал его и крикнул: «Кто там?» Царь не ответил. Караул догнал его и дал пощечину. Тогда Ираклий сказал ему: «Дурак, что ты делаешь, зачем колотишь твоего государя?» Караул смутился, от страха ничего не смог ответить и ждал строгого наказания. Царь похвалил его: «Молодец тушинец! что ты так осторожно караулишь царский дворец»⁸.

Как видим, сходство между русским и грузинским преданиями довольно близкое, но все же это сходство — результат сходных условий русской и грузинской общественной жизни.

¹ Андрей Унит, Предисловие к книге А. Пумпура «Лачплесис», Рига, 1948, стр. 10.

² Журн. «Кваан», № 1, 1898 (на груз. языке).

³ Ланг, Мифология, перевод Харузиных, стр. 18.

⁴ «Кребули», № VIII, 1898, Сборник материалов для описания мест и племен Кавказа, т. XIII и др.

⁵ Ланг, Мифология, стр. 99, 107, 131 и др.

⁶ «Иверия», 1882, № 12 (на груз. языке).

⁷ А. А. Веселовский, Соч., XIV, стр. 154.

⁸ Газ. «Иверия», № 22, 1895.

Такого рода аналогии во множестве можно приводить из эпоса разных народов. Такие аналогии мы считаем типологическими и их нужно объяснить, учитывая сходные условия общественного развития разных народов.

В грузинском историческом эпосе встречаются сюжеты и мотивы, которые имеют очень близкие параллели и аналогии в мировом эпосе. В толковании этих сюжетов и мотивов, как нам кажется, наряду с историко-типологическим сравнением, в какой-то мере надо применять и историко-генетическое сравнение. В статье «Эпическое творчество славянских народов и проблема сравнительного изучения эпоса» проф. В. М. Жирмунский дал анализ известного у разных народов сюжета: «Убийство во время охоты». Типичную поэму феодальной эпохи немецкую «Песнь о Нибелунгах» автор сравнивает со старофранцузской поэмой «Дорель и Бетот», с сербским преданием об убийстве Уроша и эпическими произведениями разных народов и отрицает генетическую зависимость их друг от друга¹. Обострение автором внимания на типологическое сходство дело безусловно полезное, но, нам кажется, в этом случае нельзя игнорировать какой-то общий фонд, если можно так назвать, устного поэтического творчества. Мы далеки от беспринципного эмпирического сопоставления фактов, мы всегда учитываем историческую обусловленность оформления сюжетов и мотивов, но все же некоторые факты заставляют нас заострить внимание и на генетическое сходство. Приведем несколько примеров из грузинских исторических произведений. Мы берем именно исторические произведения, так как они, как отметили выше, больше, чем другие виды народной словесности, являются самобытными. В конце концов они — ни что иное, как художественное отражение фактов истории. Мы приведем пример из цикла Вахтанга Горгасали. Во многих вариантах записано сказание об изменнической гибели национального героя грузинского народа, царствовавшего в V в., Вахтанга Горгасали. По некоторым вариантам этого сказания Вахтанг Горгасали был жертвой супружеской измены. По этим вариантам жена грузинского царя связалась с противником мужа. Она выдала тайну уязвимости Вахтанга Горгасали. Боевого коня царя накормила солью. Противнику мужа коварная женщина сообщила, что убить Горгасали можно было лишь только возив стрелу в подмышку. Когда Вахтанг Горгасали переходил через реку Иори, накормленная солью лошадь нагнулась к реке, чтобы испить воды из источника. Царь поднял вожжи, чтобы отвести коня от реки. В это время враг пустил стрелу, которая Вахтангу Горгасали воцелилась в подмышку. Горгасали был ранен смертельно². Трудно сказать, что в этом случае имеем дело лишь только с типологическим сходством с эпическими сказаниями об убийстве во время охоты, как их называет проф. Жирмунский. По немецкой песне о Нибелунгах, как известно, жена выдала тайну уязвимости Зигфрида. Гаген поразил Зигфрида копьём между лопатками, когда последний наклонился, чтобы испить воды из источника. Как известно, старая немецкая баллада «Госпожа фон Вейссенбург» целиком построена на супружеской измене. Сходство грузинского исторического сказания об изменнической гибели Вахтанга Горгаса-

¹ «Вопросы литературы», № 5—6, 1958, стр. 129—133.

² «Дроеба», 1885, № 255; «Могзаури», 1901, № III, «Могзаури», 1902, XI, X; Фолькл. архив Института груз. литературы им. Руставели АН ГССР, № 18322; К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, 1949, стр. 207—209.

ли с эпосом других народов не случайное, оно довольно сложное. Возникает вопрос: какое это сходство: типологическое или генетическое? Нам кажется, нет основания совершенно исключать последнее. Но то же время, приведенное сказание о Вахтанге Горгасали имеет столь прочную историческую основу, что не позволяет объяснить его сходство с эпосом других народов лишь только заимствованием.

По историческим сведениям XI в., В. Горгасали изменнически смертельно был ранен в бою против врагов. Домашний враг узнал, что у царя кольчуга была дырявая подмышкой и сообщил об этом противнику. Об изменнической гибели В. Горгасали говорится также в литературных памятниках XII—XIII вв.¹ По памятнику XVII в. изменником Горгасали был приближенный подающий ему стрелы² (по сербскому эпосу об убийстве Уроша, Вукашин был убит своим слугой).

При царствовании Вахтанга Горгасали, т. е. в V в., феодалы устраивали заговоры против царя. Грузинский историк, покойный акад. С. Джанашиа обратил внимание на тот факт, что по древнему сведению изменником Горгасали был «бывший раб», и именно «бывших рабов» использовали реакционные феодалы в борьбе против абсолютного монархизма³. В общем, распространенное сказание об изменнической гибели Горгасали имеет реальную основу.

Приведем пример такого рода из циклов Давида Строителя и царицы Тамары.

В грузинском фольклоре во многих вариантах встречаются легенды, по которым национальный герой грузинского народа Давид Строитель, царствовавший в XI — XII вв., покорил дьявола, превратил его в мула и использовал в строительстве. По этим легендам, когда царь строил Гелатский монастырь, выстроенные днем стены монастыря дьявол рушил по ночам. Давид Строитель поставил чашу с водой и, когда дьявол хотел напиться, царь схватил его, поймал и с помощью волшебной узды превратил в мула. С помощью дьявола-мула он построил Гелатский монастырь и другие башни и храмы. По некоторым вариантам черт-мул подвел слугу царя, заставил его снять с него узду и превратился опять в дьявола и исчез⁴.

По грузинским легендам царица Тамара змею превратила в коня, ездила на нем и строила крепости, башни и храмы⁵.

Покорение вредной силы с помощью напоения ее вином и использование в строительстве, встречаются и в грузинских сказках⁶. Этот сюжет использовал известный грузинский писатель-баснописец и лексикограф XVII в. Сулхан Саба Орбелиани⁷.

¹ К. Кекелидзе, История грузинской литературы, т. I, первое изд. (на груз. яз.); К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 15—16 (на груз. языке).

² Вестник истории (на груз. языке), II, стр. 200—201.

³ С. Джанашиа, Грузия на пути раннего феодализма (на груз. языке), 1937, Тб., стр. 144—147.

⁴ «Кребули» (на груз. яз.), № 1, 1897; Фолькл. архив Института груз. лит. им. Руставели АН ГССР, № 13535; «Кребули» № 7, 1898; Институт рукописи АН ГССР Н-2026; К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 211—213.

⁵ Древняя Грузия, II, отд. 4, стр. 49—50.

⁶ Т. Разикашвили, Грузинские сказки, 1909, I, стр. 90.

⁷ Сулхан-Саба Орбелиани, Мудрость лжи, 1938, стр. 161—62.

Напоение вредной силой вином, ее покорение и использование в строительстве известны в мировом фольклоре. Таково, например, талмудическое сказание из цикла Соломона. По этому сказанию Соломон строил Иерусалимский храм. Ему помогал Шамир. Шамир был пойман царем демонов Асмодеем. Асмодей напоил Шамира вином и поймал его цепью Соломона. В строительстве храмов Соломон использовал знания Асмодея. Потом Соломон захотел узнать в чем сила царя демонов. Асмодей заставил Соломона снять цепи. Царь демонов подвел Соломона и проглотил его цепь.

Аналогичные сказания известны у других народов. Таковы — иранские сказания о Тахмурасе¹, апокрифы — Testamentum Sabotonis² русские церковные легенды об Иоане Новгородском³, и др.

Интересно, что в грузинском фольклоре известные в мировом эпосе сюжет и мотивы связаны с историческими лицами и с действительными фактами. По сведению историка Давид Строитель «покорил Эрети и Кахети», начал строить Гелатский монастырь и превратил ее в Афины⁴. Надо подчеркнуть, что в строительстве в Грузии огромная была роль как Давида Строителя, так и царицы Тамары. Известные в мировом эпосе сюжеты и мотивы об использовании волшебной силы в строительстве в грузинском эпосе связаны с историческими фактами и, если можно так выразиться, обновлены на прочной общественно-исторической основе⁵.

Известный в мировом эпосе мотив содержит также сказание о взятии Давидом Строителем Дербента. По этому сказанию, по поручению Давида Строителя сделали 2000 ящиков, в каждый из них посадили по одному вооруженному грузину. Этими ящиками навьючили 1000 лошадей. Водителя каждой лошади переодели покупечески и отправили в Дербент. За ними последовал сам царь. Лезгины, думая, что купцы привезли товар, с радостью открыли им ворота города. В полночь по приказу Давида Строителя открыли ящики, вышли вооруженные грузины и взяли Дербент⁶. Этот мотив связан и с именем царицы Тамары. Аналогичный мотив содержит грузинский эпос о Ростоме и Бежане. По этому сказанию Ростом посадил 12 юношей в мешки, навьючил мешками мулов и ввел их в город нартов с целью освобождения Бежана⁷. Этот мотив известен в греческом эпосе. По Илиаде Эней посадил Одиссея и других храбрых воинов в огромную деревянную лошадь и оставил в лагере. Трояне взяли оставленную греками лошадь, чтобы пожертвовать ее богам, ввели ее в Трою. Ночью из деревянного коня вылезли воины и взяли Трою.

Нужно сказать, что грузинское сказание о взятии Давидом Строителем Дербента имеет прочную историческую основу⁸. О поражении

¹ fr. Spiegel, Die traditionelle Literatur der Parsen. Wien, 1860, стр. 158—159.

² Fleck Anecdota maximam partem Saera, Leipzig, 1831, стр. 111—140.

³ Голубинский, История русской церкви, т. I, стр. 354, 360 и др.

⁴ Летопись Грузии в редакции Анны, стр. 208—209 (на груз. яз.).

⁵ К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 210—219 (на груз. яз.).

⁶ Фолькл. архив Ин-та груз. литературы им. Рушавели АН СССР, № 18689;

К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 219.

⁷ С. Кубанейшвили, Грузинский народный эпос, 1940, стр. 78.

⁸ Летопись Грузии ред. Анны, стр. 219—220.

Давидом Строителем дербентского князя рассказывает и арабский историк Ибн Алласир¹.

В связи с историко-генетического и историко-типологического схождения сюжетов и мотивов интерес представляет также окончание сказания о взятии Давидом Строителем Дербента. По этому сказанию Давид помиловал пораженных лезгинов и освободил их. Лезгины попросили у Давида участок земли такой ширины, который можно было закрыть кожей одного быка. Давид дал согласие. Князь лезгинцев нарезал кожу быка узкими тесьмами, перевязал их. Тесьма стала такой длины, что обхватила весь Дербент. Давид ничего не мог сказать и вернул Дербент лезгинам². И этот мотив связан с именем царицы Тамары.

Аналогичное сказание имеется у якутов. Как мы узнали из доклада Эргиса, прочитанного им в 1956 г. в Ленинграде на Всесоюзном совещании по вопросам этнографии.

Таких примеров много в грузинском эпосе и в частности историческом эпосе, но для иллюстрации мы еще остановимся на одном факте.

По очень распространенной легенде святая дева царица Тамара родила сына от солнца. Этот мотив известен в мировом эпосе. По Махабхарате царевна Кунта или Прихта тоже от солнца родила сына³. Волшебное оплодотворение связано не всегда с солнцем. По известной римской легенде девица Рея от божества Марса родила двух сыновей — Ромула и Рема⁴. Аналогичные мотивы, содержащие следы тотемизма, часто встречаются в мировом эпосе⁵. По грузинской легенде царица Тамара стеснялась того, что родила ребенка и приказала слугам своим выбросить новорожденного. В лесу ребенка кормила самка-олень. Охотники нашли ребенка и вернули его царице. По этой легенде, после этого грузинские цари из династии Багратиони не ели оленьего мяса⁶. Мотив кормления оленью ребенка известен и в грузинской сказке⁷.

По Махабхарате Кунта или Прихта тоже стеснялась и своего сына солнца «Прекрасного» бросила в лесу, ребенка нашли бездетные и воспитали его⁸.

По римской легенде Рея бросила сыновей Марса. Ромула и Рема кормила Волчица⁹. Интересно, что в Риме, во дворе Капитолии и в настоящее время держат живую волчицу, как воспитательницу основателя города. По индийскому эпосу, брошенного в лесу дочь Брахмана ребенка вырастила шакалица¹⁰.

¹ И. Джавахишвили, История Грузии, II, стр. 525.

² Фолькл. арх. Ин-та груз. лит. им. Ш. Руставели АН СССР, № 18689; К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 221.

³ Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете, стр. 255.

⁴ Там же, стр. 254.

⁵ К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность стр. 222.

⁶ Н-2004 Институт, рукописи; журн. «Квали» (на груз. яз.), № 37, 1893, К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-истор. словесность, стр. 224—232.

⁷ Сказки, № 2, 1903.

⁸ Д. Фрезер, Фольклор в ветхом завете, стр. 253.

⁹ Там же, стр. 254.

¹⁰ Chr. Lassen. Indische Alterthumskunde. II. стр. 880—810.



Аналогичные мотивы нередки в мировом эпосе¹. Они, как в свое время отметил Д. Фрезер, связаны с царской династией².

Распространенная легенда о чудесном рождении сына царицы Тамары, имевшая параллели и аналогии в мировом эпосе, имеет и национальную, историческую основу. По сведению историка, царица Тамара была против брака, ее насильно выдали замуж³.

Приводя эти примеры, мы задумывались как об их близких аналогиях в мировом эпосе, так и об их исторических основах и повторяем слова проф. В. М. Жирмунского: «Культурные взаимодействия, «заимствования» и в том и в другом случае являются дополнительными факторами генетического порядка, значение которого невозможно оспаривать, поскольку в реальных исторических условиях не существовало и не существует абсолютного изолированного общественного и культурного развития. Но вместе с тем не следует его и преувеличивать; в литературе и в фольклоре самая возможность «влияния» обычно обусловлена наличием историко-типологического схождения, объясняемого сходными условиями исторического развития»⁴.

¹ К. Сихарулидзе, Грузинская народная героико-историческая словесность, стр. 226.

² Д. Фрезер, Фольклор в Ветхом завете стр. 253.

³ История и восхваления венценосцев под ред. К. Кекелидзе, стр. 79—80.

⁴ «Вопросы литературы», № 6 1958, стр. 119.

ლომონოსოვის ენათმეცნიერული მუშაულობანი

პლ. კობახიძე

მიხეილ ლომონოსოვის შემოქმედებას რუსული მეცნიერების და კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საოცარია მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა. ის იყო ფიზიკოსი და ქიმიკოსი, მეტალურგი და მექანიკოსი, გეოლოგი და მინერალოგი, ასტრონომი და გეოგრაფი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი, რუსული სალიტერატურო ენის შემქმნელი და სწავლა-განათლების ბაიბახტარი, ხელოვნებათმცოდნე და მოზაისტი, პოეტი და ფილოლოგი... ლომონოსოვის ამ განსაცვიფრებელი ენციკლოპედიური მოღვაწეობის გამო, სხვათა შორის, დასავლეთ ევროპაში ლეგენდაც კი არსებობდა, რომ რუსეთში ორი ლომონოსოვი არისო: ერთი—ბუნებისმეტყველი-ქიმიკოსი და მეორე—პოეტი-ფილოლოგი. ლომონოსოვმა მეცნიერების მრავალ დარგში მოგვცა შესანიშნავი ნიმუშები ჭეშმარიტი შემოქმედებისა და ბევრ რამეში წინ გაუსწრო მის თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებს.

ლომონოსოვის მეცნიერული შრომები გამსჭვალულია მატერიალისტური მსოფლმხედველობით. სწორედ ამ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით ლომონოსოვმა შეძლო მნიშვნელოვანი აღმოჩენები მოეხდინა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ლომონოსოვმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა სამშობლოს კეთილდღეობის საქმეს, რუსეთის მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და აღმავლობის საქმეს.

ლომონოსოვი როგორც პოეტი და ფილოლოგი ისევე დიდია, როგორც ლომონოსოვი ბუნებისმეტყველი. ლომონოსოვის მხატვრულმა ნაწერებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ რუსულ ლიტერატურას და დიდი როლი ითამაშეს მის შემდგომ განვითარებაში. „ჩვენი (ე. ი. რუსეთის.—ა. კ.) ლიტერატურა ლომონოსოვით იწყება; იგი იყო მისი მამამთავარი და ლალა; იგი იყო მისი პეტრე დიდი“.—წერდა დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი¹. მართალია, რუსული ლიტერატურა არსებობდა ლომონოსოვამდეც (გავიხსენოთ. თუნდაც ფ. პროკოპოვიჩი, ა. კანტემირი, ვ. ტრედიაკოვსკი და სხვ.), მაგრამ სწორედ ლომონოსოვმა მოახდინა რუსული სალიტერატურო ენისა და რუსული ლექსთწყობის რეფორმა და ამით ახალი გზა გაუკაფა რუსული ლიტერატურის განვითარებას. თავის პოეზიაში ლომონოსოვმა პირველად და ნათლად გამოავლინა მხატვრული ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. მწერლისაგან ლომონოსოვი მოითხოვდა სამშობლოსა და ხალხის უსახდვრო სიყვარულს. მეზნებარე პატ-

¹ ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, I, სახელგამი, თბილისი, 1952, გვ. 31.

რიოტის შესანიშნავ მაგალითს იგი თვით წარმოადგენდა. თავის პოეზიაში ის ეწეოდა მოწინავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო იდეების პოპულარიზაციასა და პროპაგანდას. პოეზიის საკითხებს ლომონოსოვი მკიდროდ უკავშირებდა რუსული სალიტერატურო ენის დამუშავების საქმეს. მან კარვად იცოდა, რომ ეროვნული სალიტერატურო ენის შემუშავების გარეშე ლაპარაკი კი ზედმეტი იყო რუსული ეროვნული მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარების შესახებ. ამიტომ რუსული სალიტერატურო ენის დამუშავებისა და დახვეწის საქმე ლომონოსოვის მუდმივი ზრუნვის საგანი იყო. ლომონოსოვმა პირველმა შეისწავლა მეცნიერულად რუსული ენა—მის სხვადასხვა სფეროში—დაამუშავა რუსული გრამატიკისა და ლექსთწყობის საკითხები, რიტორიკისა და სტილისტიკის საფუძვლები. იშვიათი ოსტატობით გაამდიდრა ლომონოსოვმა რუსული ენა მის მიერ დამუშავებული რუსული მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგიით.

თავის ენათმეცნიერული შეხედულებანი ლომონოსოვს მოცემული აქვს როგორც საყოველთაოდ ცნობილ „რუსულ გრამატიკაში“, ისე სხვა ფილოლოგიურ თხზულებებში, როგორცაა: „რიტორიკის მოკლე სახელმძღვანელო“; „შენიშვნები წინადადებაზე მრავლობით რიცხვში ზედსართავი სახელების დაბოლოებათა შესახებ“; „მკერმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო“; „წინასიტყვაობა რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლიანობის შესახებ“; „სიტყვიერების მეცნიერებათა ახლანდელი მდგომარეობის შესახებ რუსეთში“ და სხვ. ფრიად საგულსხმო ენათმეცნიერული ჩანაფიქრები გვხვდება ლომონოსოვის გრამატიკის შავდ ნაწერ მასალებშიც. ლომონოსოვმა მშვენივრად იცოდა რომ ხალხის ისტორია მკიდრო კავშირშია მის ენასთან, რომ ენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ხალხის უძველესი ისტორიის შესასწავლად. ამიტომ ლომონოსოვის ისტორიული ნაწერები ენათმეცნიერული ხასიათის მრავალ და საყურადღებო მასალას შეიცავს („რუსეთის ძველი ისტორია“, „შენიშვნები მილერის დისერტაციის შესახებ“ და სხვ.).

ლომონოსოვის ლინგვისტური შრომებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია მისი შესანიშნავი „რუსული გრამატიკა“. ლომონოსოვის გრამატიკას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გრამატიკა ნორმატიული ხასიათისა იყო. თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ლომონოსოვის ეპოქაში რუსული სალიტერატურო ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო. ლომონოსოვის ერთ-ერთი ისტორიული დამსახურება ისაა, რომ მან სწორად განსაზღვრა რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები. მკვლევართა გაცემას იწვევს ლომონოსოვის გრამატიკის ძირითად დებულებათა სისწორე. ლომონოსოვის მუშაობის მეთოდი „რუსულ გრამატიკაზე“ ნამდვილი მეცნიერულია. თავისი გრამატიკის შესადგენად ლომონოსოვმა ძალიან დიდი მუშაობა გასწია, უამრავი მასალა შეკრიბა. მაგალითად, თანხმოვანფუძიან მამრობითი სქესის სახელების სია (ორ სვეტად, პეტიტით დაბეჭდილი) 10 გვერდს შეიცავს, ამდენივეა მდგდრობითი სქესის სახელთა სია.¹

მოპოვებული მასალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შევიდა „რუსულ გრამატიკაში“. ლომონოსოვისათვის უცხოა დოგმატიზმი და აპრიორიზმი. იგი

¹ იხ. М. В. Ломоносов, Полное собрание сочинений, т. VII, изд. АН СССР, М.—Л., 1952, гл. 709—728.

ენას თავს არ ახვევდა რაიმე, მისი ბუნებისათვის უცხო წესებს. ლომონოსოვის მიერ დადგენილ წესებს საფუძვლად თვით ცოცხალი რუსული ენის განვითარების ტენდენციები ჰქონდა. გრამატიკის შავდ ნაწერ მასალებში ლომონოსოვი შენიშნავს: „NB. ბევრი სტოდავს, გრამატიკის შედგენისას სხვა ენების ზეგავლენის ქვეშ რომ ექცევაო“. კერძოდ, ლომონოსოვს მხედველობაში აქვს ყველაფერში ბერძნულის მიბაძვა. საქმე ისაა, რომ დიდხანს ბატონობდა აზრი, რომლის მიხედვითაც ანტიკური გრამატიკული სქემა, კერძოდ გრამატიკული სქემა ბერძნული და ლათინური ენებისა, თითქოს ყველა ენისათვის გამოდგებოდა. და მართლაც ლომონოსოვამდე გამოსულ გრამატიკებში მეტად დიდი იყო ანტიკური გრამატიკული ტრადიციების გავლენა (მაგ., *Азбука*, კეთილსასაუბრო ელინურ-სლავური ენის გრამატიკა¹, 1591; ლ. ზიზანის „სლავური გრამატიკა“, 1596; მელეტი სმოტრიცკის „სლავური გრამატიკა“, 1619). თუმცა ისიც კი უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გრამატიკები ვერც ჩაითვლება რუსული ენის გრამატიკებად—ისინი ძირითადად საეკლესიო-სლავური ენის მასალებს ეყრდნობოდნენ. პირველი რუსული გრამატიკა, შედგენილი ცოცხალი რუსული ეროვნული ენის ბუნებისა და მიხედვით, დაწერილი რუსულ ენაზე და, ამდენად, რუსი მკითხველისთვის გამიზნული—ლომონოსოვის „რუსული გრამატიკა“ იყო.

ლომონოსოვს მრავალი ენათმეცნიერული პრობლემა აინტერესებდა. ის იკვლევდა რუსულ ენას სხვადასხვა ასპექტში—მის დიალექტებს, მის თანამედროვე მდგომარეობას და მისი ისტორიის საკითხებს; იკვლევდა სხვა სლავურ ენებს და მათს მონათესავე სხვა ენებსაც; ლომონოსოვის კვლევის საგანი იყო აგრეთვე ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს მყოფი ენების ურთიერთობის საკითხებიც, ენათა განვითარების პრობლემაც, მონათესავე ენათა წარმოშობის პრობლემაც. ეხება იგი ენათა შერევის საკითხსაც და სხვ. მართალია, ყველა ეს საკითხი ერთნაირი სიზუსტითა და სისრულით არა აქვს მას გაშუქებული, მაგრამ ეს არც მოეთხოვება: ამ საკითხთა ნაწილი მას მხოლოდ გზადაგზა აქვს განხილული სხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებით.

ლომონოსოვის ფილოლოგიურ შრომებს მათი ავტორის მატერიალისტური მსოფლმხედველობის ბეჭედი აზის. ლომონოსოვს სწორად ესმოდა ენის, როგორც გაგვიზნების საშუალების, საზოგადოებრივი მნიშვნელობა. „მჭერმეტყველების მოკლე სახელმძღვანელო“ შესავალში ის წერს: „ადამიანთა მოდგმის ნეტარება თუ რა დიდადაა დამოკიდებული მეტყველებაზე, ყველასათვის საკმაოდ ნათელია. როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო დაქსაქსული ხალხის ერთად საცხოვრებლად შეკრება, ქალაქების აშენება, ტაძრებისა და ხომალდების აგება, მტრის წინააღმდეგ ამხედრება და სხვა საჭირო საქმეების წარმოება, რომლებიც გაერთიანებულ ძალებს მოითხოვენ, რომ მათ საშუალება არა ჰქონოდათ თავიანთი აზრის ურთიერთ გადაცემისა?“. კიდევ უფრო მკაფიოდ უსკამს ხაზს ლომონოსოვი ენის საკომუნიკაციო ფუნქციის მნიშვნელობას ადამიანთა საზოგადოებაში „რუსული გრამატიკის“ პირველ პარაგრაფში: „იმ კეთილი ნების შემდეგ, რითაც ადამიანი დანარჩენ ცხოველებს აღემატება. ესე იგი

¹ М. В. Ломоносов. Полн. собр. соч., т. VII, стр. 91.

ჩვენს მოქმედებათა წარმართველი გონების შემდეგ, უპირველესი არის მეტყველება, რომელიც მოცემული აქვს ადამიანს იმისათვის, რომ სხვებს აცნობოს თავისი აზრები. მისი სარგებლიანობა მით უფრო დიდია, რაც უფრო შორსა ვრცელდება ახლა ადამიანთა საზოგადოებაში მისგან წარმოშობილი ცოდნანი, რომელნიც ძალიან ვიწროდ იქნებოდნენ შემოზღუდულნი, რომ თითოეულ ადამიანს გრძნობათა მეშვეობით წარმოსახული ცნებები მხოლოდ საკუთარ გონებაში პქონოდა საიდუმლოდ შენახული. როცა რომელიმე მანქანის ასაგებად გამზადებული ნაწილები ცალ-ცალკე აწყვია და არც ერთი მათგანი გარკვეულ მოქმედებას არ გადასცემს ერთმანეთს, მაშინ მთელი მათი არსებობა ამოღებული უსარგებლოა. მსგავსად ამისა, ადამიანთა მოღვაწის თითოეულ წევრს რომ არ შესძლებოდა გადაეცა თავისი ცნებები მეორისათვის, მაშინ ჩვენ არა თუ არ გვექნებოდა შეთანხმებული საერთო საქმის მიმდინარეობა, რომელსაც სხვადასხვა აზრთა შეერთება წარმართავს, არამედ ჩვენ შეიძლება მხეცებზე უარესნიც ვიქნებოდით, რომელნიც ტყეებსა და უდაბნოებში არიან გაფანტულნი“¹.

ამგვარად, ლომონოსოვის აზრით, ენა საზოგადოებაში არსებობს, ადამიანთა ურთიერთობის საშუალება და მისი მეოხებით ადამიანები ერთმანეთს გადასცემენ აზრებს. ხოლო ენის გარეშე საზოგადოების პროგრესი თითქმის შეუძლებელი იქნებოდა და ადამიანთა შეთანხმებული საქმიანობა ვერ მოხერხდებოდა. მაშასადამე, მეტყველება ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთერთი მძლავრი ფაქტორია. აქ საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ცნებები ადამიანს გრძნობების საშუალებით აქვს მიღებული. ხოლო გრძნობები ხომ შეგრძნებებია, რასაც გარე სამყარო, სინამდვილე იწვევს. ასე რომ ამ შემთხვევაშიც ლომონოსოვის მატერიალისტური კონცეფცია არავითარ ეპეს არ იწვევს.

მეტად დიდი მნიშვნელობისა აგრეთვე ლომონოსოვის აზრი იმის შესახებ, რომ ბგერით, ანუ სიტყვების ენას უდავო უპირატესობა აქვს ყესტ-მიმიკის ანუ ე. წ. კინეტიკურ ენასთან შედარებით. თავის „რუსულ გრამატიკაში“ ის წერს: „მართალია, რომ ჩვენი სიტყვის გარდა აზრების გამოხატვა შეიძლებოდა თვალების, სახის, ხელებისა და სხეულის სხვა ნაწილების სხვადასხვა მოძრაობით, როგორც ამას თეატრებში პანტომიმების სახით წარმოგვიდგენენ, მაგრამ ამნაირად ლაპარაკი სინათლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და სხვა საქმიანობა ადამიანისა, განსაკუთრებით ჩვენი ხელებისა, დიდ დაბრკოლებებს შეუქმნიდა ასეთს ლაპარაკს...“² როგორც ცნობილია, ჩვენი ენათმეცნიერებაც სწორედ ბგერით ენას მიიჩნევს ადამიანთა ურთიერთობის ერთადერთ სრულფასოვან საშუალებად.

ლომონოსოვმა საფუძვლიანად იცოდა ძველი რუსული და ძველი სლავური ენებიც. ლომონოსოვის მკვლევარებმა ადრევე მიაქციეს ყურადღება იმას, რომ ლომონოსოვმა პირველმა ზუსტად გამოიჩინა ძველი რუსული ენა საეკლესიოსლავურისაგან. მან ზუსტად გამოყო ძველი რუსული ძველები ძველი სლავურისაგან. ეს ძველებია რუსული მატიანები, კერძოდ „Повесть временных лет“ (ე. წ. ნესტორისეული მატიანე), „რუსული სამართალი“ და სხვ. რუსულ მატიანეში ლომონოსოვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსი მთავრე-

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, стр. 394.

² იქვე, 38-395.

ბის ხელშეკრულებებს ბერძნებთან. მართლაც, აღნიშნული ძეგლების ენა მნიშვნელოვნად განსხვავდება საეკლესიო-სლავური ენისაგან (სხვათა შორის, სწორედ ამ ძეგლების ენას ემყარება აკად. ს. ოზნორსკის თეორია ძველი რუსული ენის საეკლესიო-სლავურისაგან დამოუკიდებლად წარმოშობის შესახებ). ლომონოსოვი ა. შლიოცერის მუშაობის გეგმის შესახებ გამოთქმულ აზრში წერს: „რუსული მატიანეების ენა კანსხვადება ძველი მორავული ენისაგან, რომელზედაც უწინ თარგმნილი იყო საღვთო წიგნი. ვინაიდან მაშინ რუსული დიალექტი სხვა იყო, როგორც ჩანს ნესტორის მატიანის ძველი მეტყველებიდან, რასაც ვხვდებით პირველი რუსი მთავრების ხელშეკრულებებში ბერძენ მეფებთან. მათივე მსგავსია იაროსლავის კანონები, რომელთაც „რუსული სამართალი“ ეწოდებათ; აგრეთვე სხვა ისტორიული წიგნები, რომლებშიაც ნახმარი სიტყვები ბიბლიაში და სხვა საეკლესიო წიგნებში... უმეტესწილად არ გვხვდება“¹.

საყურადღებო მოსაზრებები აქვს ლომონოსოვს დროთა განმავლობაში ენებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. გრამატიკის შავად ნაწერ მასალებში ის ამბობს: „წერილის ბოლოს გაკეთდეს დასკვნა ენათა ცვლილების შესახებ. რომ ენები იცვლებიან არა ერთბაშად! რომ არა მუდმივად! რომ გაქრა ებრაული, ალარბული, ელინური, ლათინური და სხვანი! ბედნიერი არიან ისინი, რომელთაც ხსოვნა დარჩა წიგნებში. ზოგი უამბოდ დაიკარგა...“² ლომონოსოვი საესებით სწორად მიუთითებს აქ, რომ ენის ცვლებადობა ერთბაშად როდი ხდება, რომ ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. ენაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ლომონოსოვი ლაპარაკობს აგრეთვე „წინასიტყვაობაში რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლიანობის შესახებ“. აქ სხვათა შორის ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ ცვლილებები ყველა ენაში ერთნაირი ინტენსივობით არ ხდება. „რუსული ენა ვლადიმირის მფლობელობიდან ჩვენს საუკუნემდე, შვიდას წელზე მეტი ხნის მანძილზე იმდენად არ შეცვლილა, რომ ძველის გაგება არ შეგვეძლოს: არა ისე, როგორც მრავალ ხალხებს, თუ არ შეისწავლეს, არ ესმით ენა, რომელზედაც მათი წინაპრები წერდნენ ოთხასი წლის წინათ, ამ ხნის განმავლობაში ენაში მომხდარა დიდი ცვლილებების გამო“³.

სავარაუდებელია, რომ იმ ხალხებში, რომელთა ენამ რუსულთან შედარებით დიდი ცვლილებები განიცადა თავის ისტორიულ განვითარებაში, ლომონოსოვი დასავლეთ ევროპის ხალხებს გულისხმობს.

¹ М. В. Ломоносов, Полное собрание сочинений, т. IX, изд. АН СССР, М.—Л., 1955, гл. 415.

² აკად. ა. სუხომილოვი ვარაუდობდა, რომ ლომონოსოვს აქ მხედველობაში აღაროდებული ენა უნდა ჰქონოდათ (იხ. М. В. Ломоносов, Собрание сочинений под ред. А. Сухомлинова, изд. Акад. наук, том IV, гл. 245, Примечание). აღაროდებული ენა აზიანური ჯგუფის ენად მიანიათ (ლიდიურ, ლიკიურ და კარიულ ენებთან ერთად). იხ. П. С. Кузнецов, О трудах М. В. Ломоносова в области сравнительного и исторического языкознания. Ученые записки Московского гос. университета, вып. 150, гл. 32.

³ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, изд. АН СССР, М.—Л., 1952, гл. 658.

⁴ იქვე, გვ. 590.

როგორც ცნობილია, ლომონოსოვის ყველა შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია (ყოველ შემთხვევაში, ზოგი მათგანი აღმოჩენილი არ არის). აკადემიის პრეზიდენტის სახელზე დაწერილ „რეპორტში“ 1753 წელს შესრულებულ სამუშაოთა შესახებ გვხვდება ასეთი პუნქტი: „დაწვერე წერილი ენათა მსგავსებისა და ცვლილებათა შესახებ“ („Сочинил письмо о сходстве и переменах языков“).¹ გამორიბებული არ არის, რომ იგივე ნაშრომი უნდა ჰქონდეს მხედველობაში ლომონოსოვს, როცა ის 1764 წელს თავის თხზულებათა და სხვა შრომათა ნუსხაში იხსენიებს „გამოკვლევას ენების დანაწილებათა და მსგავსებათა შესახებ“ („Рассуждение о разделении и сходствах языков“).² სხვათა შორის, იმავე ნუსხაში აღნიშნავს ლომონოსოვი, რომ „შეკრებილია სხვადასხვა ენათა სიტყვები, ერთმანეთის მსგავსნი“ („Собраны речи разных языков, между собою сходные“).³ ეს ნაშრომები ჭერჭერობით ნაპოვნი არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ლომონოსოვის შავად ნაწერ მასალებში არსებული ისტორიულ-შედარებითი ხასიათის ჩანაწერები სწორედ ენათა მსგავსებისა და ცვლილებათა შესახებ ზემოაღნიშნული წერილისათვის უნდა იყოს განკუთვნილი. მაგალითად, ამ მასალებში ერთგან ლომონოსოვს შედგენილი აქვს ტაბულა სხვადასხვა ენის რაოდენობითი რიცხვითი სახელებისა (1—10). ამ რიცხვით სახელთა შედარების საფუძველზე ის არჩევს მონათესავე და არამონათესავე ენების რიცხვებს (числа родственных языков და числа неродственных языков). მონათესავე ენებად ლომონოსოვი ასახელებს რუსულს, ბერძნულს, ლათინურს და გერმანულს, ხოლო არამონათესავე ენებად—ფინურს, მექსიკურს, პოტენტოტურსა და ჩინურს⁴. საყურადღებოა ის, რომ ლომონოსოვი მონათესავე ენების მაგალითებად ასახელებს ენათმეცნიერებაში გაცილებით უფრო გვიან დადგენილი ინდოევროპული ენათა ოჯახის (ევროპის) უმნიშვნელოვანესი ჯგუფების ენებს, სახელდობრ, სლავური, ბერძნული, იტალიური და გერმანული ენების წარმომადგენლებს. მონათესავე ენათა რიცხვში ვერ ვხვდავთ ინდურს, ირანულს, ბალტიურსა და კელტურ შტოებს, ალბანურ, სომხურ, ნესიტურ (ანუ კანესურ), ლუვიურ და თოხარულ ენებს. მაგრამ ჯერ ერთი, ამ ენათა მეტი ნაწილი ლომონოსოვის დროს შეუქმნავლელი იყო და ამიტომ ლომონოსოვს მათზე არ შეეძლო საკმარისი წარმოდგენა ჰქონოდა. მეორეცაა, აქ ჩამოთვლილი ზოგი ენა, შესაძლოა, ლომონოსოვმა განზრახ არ შეიტანა თავის ტაბულაში. საქმე ის არის, რომ ლომონოსოვს არა ერთგზის აქვს მითითებული აქ აღნიშნული ზოგიერთი ენის სლავურთან ნათესაობის შესახებ. მაგალითად, „შენიშვნებში მილერის დისერტაციაზე“ ის წერს: „...კურლანდიური ენა („კურლანდიურ“ ენას ლომონოსოვი „ლატვიურის“ მნიშვნელობით ხმარობს.—ა. კ.)

¹ М. В. Ломоносов, Полное собр. соч., т. X, изд. АН СССР, М.—Л., 1957, № 392.

² იქვე, № 400.

³ იქვე.

⁴ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, № 652.

სლავური წარმოშობისაა“¹; „კურლანდიელები ლაპარაკობენ ენაზე, რომელიც სლავურისაგანაა წარმოშობილი“². მსგავს მსჯელობას ვხვდებით სხვა ბალტიური ენების შესახებაც „რუსეთის ძველ ისტორიაში“. „ამგვარად, რაკი ვარიაგ-როსების ძველი ენა ერთია პრუსიულთან, ლიტურთან, კურლანდიურთან ანუ ლეტურთან, მას, რა თქმა უნდა, თავისი წარმომავლობა და საწყისი სლავურისაგან ჰქონდა, როგორც მის განშტოებას“³. იმავე თხზულებაში ლომონოსოვი რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნავს ძველი პრუსიულისა და სლავურის ნათესაურ ურთიერთობას⁴.

ამრიგად, ბალტიური ენები, შეიძლება ითქვას, შეგნებულად არა აქვს შეტანილი ლომონოსოვს მონათესავე ენათა ზემოაღნიშნულ ტაბულაში. ნაწილობრივ იგივე შეიძლება დავეუშვათ ირანულის მიმართაც. „რუსეთის ძველ ისტორიაში“, „შენიშვნებში მილერის დისერტაციაზე“ და სხვ. ის ხშირად ამბობს, რომ სლავები ძველი სარმატები არიანო. სარმატები მიდიელებისაგან წარმოდგებიანო და ა. შ.⁵ ასე რომ, სლავურის ნათესაობა ირანულთან ლომონოსოვისათვის თითქოს თავისთავად უნდა იგულისხმებოდეს. ასეა თუ ისე, ერთი რამ მაინც უნდა გვახსოვდეს: ზემოხსენებული ტაბულა მხოლოდ შავად ნაწერი მანალა არის და არავინ იცის, რა სახის იყო იგი საბოლოოდ გამართულ „წერილში ენათა მსგავსებისა და ცვლილებათა შესახებ“. ყოველ შემთხვევაში, ლომონოსოვის მიერ დადგენილი მონათესავე ენების ერთობლიობა ისტორიული თვალსაზრისით ჩვენთვის ფასეულია. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული 4 „არამონათესავე ენა“ მართლაც არაა ნათესაურ კავშირში არც ინდოევროპულ ენებთან, არც ურთიერთ შორის (ფინური უნგრულ-ფინურ ენათა ოჯახს ეკუთვნის, მექსიკური— უტო-აცტეკთა ენათა ოჯახს, პოტენტოტური—პალეო-აფრიკულ ენათა ოჯახს, ხოლო ჩინური—ჩინურ-ტიბეტურ ენათა ოჯახს).

განსაკუთრებული ყურადღებას ღირსია ის გარემოება, რომ ენათა შედარებისას და მათი ნათესაობის დადგენისას ლომონოსოვი იყენებს არა შემთხვევით, ნებისმიერ სიტყვებს, არამედ ძირითადი ლექსიკური ფონდის სიტყვებს, როგორც ეს რიცხვითი სახელებს მაგალითზე დავინახეთ. ტომებისა და ხალხების ნათესაური კავშირის დადგენისას ლომონოსოვი, გარდა ენობრივ მონაცემებისა, ყურადღებას აქცევს მათს ეთნიკურ თავისებურებებსაც. მხედველობიდან არ რჩება მას მთლიანობაურ სახელთა მსგავსება-განსხვავების საერთო (მაგ., ძველი პრუსიელების ვარიაგ-როსებთან ურთიერთობის დასადგენად იგი აღარებს ძვ. პრუსიულ პერკუნს როსების პერუნს⁶). მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ ენათა შედარებისას ლომონოსოვი ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ სიტყვების მსგავსებას, არამედ,—რაც სრულებით უჩვეულოა მისი დროისათვის, — ამ ენათა გრამატიკულ ფორმებსა და ზოგჯერ მათს ბგერით მხარესაც. გრამატიკის შავად ნაწერი მასალებში ერთგან ვკითხულობთ: „ენები არანაკლებ განსხვავდებიან-თვისებე-

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, гл. 30.

² იქვე, გვ. 34.

³ იქვე, გვ. 209.

⁴ იქვე, იხ. გვ. 206, 208, 209.

⁵ იქვე, გვ. 29, 177, 188, 198, 293.

⁶ იქვე, გვ. 206—207.

ბით, ვიდრე სიტყვებით¹. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ „თვისებებში“ ლომონოსოვი ენის გრამატიკულ თავისებურებებს გულისხმობს. „შენიშვნებში მილერის დისერტაციაზე“ ლომონოსოვი მიუთითებს სლავური და ლატვიური ენების არა მარტო ლექსიკურ სიახლოვეზე, არამედ პირდაპირ ლაპარაკობს ამ ენათა შორის ბრუნებისა და უღვლილების უმნიშვნელო სხვაობაზე: „კურლანდიური ენა სლავური წარმოშობისაა, ასე რომ არა მარტო სიტყვების დიდი ნაწილი, არამედ ბრუნება და უღვლილებაც ძალიან ცოტათი განსხვავდება სლავურისაგან“². მსგავს მსჯელობას ვხვდებით „რუსეთის ძველ ისტორიაშიც“: „ძველი პრუსიული ენის (სლავურთან) მსგავსების აშკარა მოწმობას აღმოაჩენს, ვინც, კერპების, ქურუმების, მისნების სახელებისა და წეს-ჩვეულებებში ხმარებული სიტყვების გარდა, მათს გრამატიკულ წარმოებასაც განიხილავს“³.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ლომონოსოვს შეუმჩნეველი არ დარჩენია ენათა შორის ფონეტიკური სხვაობანი. ასე მაგალითად, რაც სიტყვიდან *русъ* და *русь*, ფორმების მიღების შესახებ ის წერს (იმავე „შენიშვნებში მილერის დისერტაციაზე“): „ხოლო თუ როგორ შეიცვალა სიტყვა *русъ* სიტყვით *русь* ან *русь*, ყველა ნათლად ხედავს, ვინც იცის, რომ პოლონელები ი-ს არაიშვიაფად წარმოთქვამენ, როგორც *у-ს*. მაგ., *носъ, нѣтъ; мой, мѣй; корѣя, крѣя; ровъ, рѣвъ; конь, кунь, толстѣй, тлѣстѣй* და სხვ. ეს სახელი მეცბრე საუკუნისა და უფრო გვიანდელმა უცხოელმა მწერლებმა პოლონელებისაგან გაიგონეს და როსებს რუსები უწოდეს“⁴. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის მტკიცებას, თუ რამდენად დამაჯერებელია ლომონოსოვის მიერ წამოყენებული დებულება *русъ*-იდან *русь* (*русь*) სიტყვების მიღებაში პოლონური ენის წვლილის შესახებ: არც იმის განხილვას დავიწყებთ, რომ ლომონოსოვის მიერ მოყვანილი რუსულ-პოლონური (o—y) შესატყვისების მაგალითები ყველა ერთი წყებისა არ არის, მაგრამ თვით ფაქტი ბევრათმესატყვისობათა დაკვირვებისა ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ფასეულია (პ. კუზნეცოვი).

ლომონოსოვის ლინგვისტურ შეხედულებათაგან უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე მისი აზრი მონათესავე ენების წარმოშობის შესახებ. ენებს შორის ნათესაურ ურთიერთობათა უაქტების ახსნისას ლომონოსოვის ამოსავალი დებულება არის მონათესავე ენების ჩამოყალიბება უფრო ადრინდელი ეპოქის ერთი, ამ ენებისთვის საერთო წინარე-ენიდან, ამ უკანასკნელის დაშლის, დიფერენციაციის გზით.

გრამატიკის შავად ნაწერ მასალებში ლომონოსოვს ერთგან ჩამოთვლილი აქვს საერთო-სლავურიდან წარმოშობილი ენები: „სლავურიდან წარმოიშვა ენები: 1) რუსული, 2) პოლონური, 3) ბულგარული, 4) სერბული, 5) ჩეხური, 6) სლოვაკური, 7) (ვანდალური) ვენდური“⁵. ლომონოსოვს საკმაოდ სრულად

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, гл. 622.

² М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, гл. 30.

³ იქვე, გვ. 209.

⁴ იქვე, გვ. 26.

⁵ „სლავურ“ ენას ლომონოსოვი ხმარობს 2 მნიშვნელობით—„საერთო-სლავურისა“ და „ძველი სლავურის“ (ანუ „საეკლესიო-სლავურის“ მნიშვნელობით. აქ, ცხადია, ის „საერთო-სლავურს“ გულისხმობს.

⁶ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, гл. 609.

აქვს ჩამოთვლილი სლავური ენები. არაა დასახელებული მხოლოდ კაშუბური, სლოვინცური, პოლაბური და სლოვენური (არას ვამბობთ უკრაინულსა და ბელორუსულ ენებზე: ლომონოსოვის დროს უკრაინული ენა ჩამოყალიბების პროცესში იყო, ხოლო ბელორუსული კიდევ უფრო გვიან ჩამოყალიბდა). რაც შეეხება კაშუბურსა და სლოვინცურს, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი მათ დღესაც პოლონური ენის დიალექტებად მიიჩნევს¹. პოლაბური XVIII საუკუნეში გამქრალი ენაა. შედიოდა დასავლეთსლავურ ენებში; ხოლო სლოვენურის ცალკე გამოსაყოფად სერბულ-ხორვატულისაგან ლომონოსოვს, ალბათ, არ ჰქონდა საკმარისი ცნობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლომონოსოვმა კარგად იცოდა, თუ როგორია ურთიერთმიმართება სლავურ ენებს შორის. კერძოდ, ის რამდენჯერმე მიუთითებს სამხრეთსლავური ჯგუფის ენების მეტ სიახლოვეზე რუსულთან, ვიდრე პოლონურთან. მიუხედავად იმისა, რომ რუსებთან პოლონელები უფრო ახლოს ცხოვრობენ და მათი უშუალო მოსახლდრეები არიან².

მონათესავე ენათა ერთი პირველწყაროდან წარმოშობას ლომონოსოვი სლავურის გარდა, სხვა ენების მაგალითზეც გვიჩვენებს. სახელობრ, რუსეთის უძველესი ისტორიის კვლევისას ის ყურადღებას აქცევს უნგრულ-ფინურ (ჩუდ) ხალხებს და მათს მნიშვნელობას ძველი რუსეთის ცხოვრებაში. „რუსეთის მოკლე მატრიანეში“ ის წერს: „ჩუდი და სკვითი ხალხის ძველი დიდება ნათლად ჩანს მისი დიდი ნაშთებიდან, რასაც ვხედავთ ლივონიაში, ესტლანდიაში, ფინლანდიაში, ინგრიაში, კარელიაში, ლაპონიაში, პერმიაში, ჩერემისაში, მორდვიაში, ვოტიაკებში და ზირიანებაში. ყველანი ლაპოაკობენ ენებზე, რომლებიც ძალიან მსგავსნი არიან ერთმანეთისა და ერთი საწყისიდან — ძველი სკვითურიდან არიან წარმოშობილნი“³. ანალოგიურ მსჯელობას ვხვდებით „რუსეთის ძველ ისტორიაშიც“⁴, სადაც ამ „ხალხთა ენებს შორის არსებულ მსგავსებასთან ერთად მნიშვნელოვან განსხვავებასაც აღნიშნავს: „ჩუდების თაობანი თუ რამდენად შორსა ვრცელდებიან ჩრდილოეთით, შეიძლება დავასკვნათ მრავალი სხვადასხვა ხალხის მიხედვით, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს მიერ ნაწილობრივ ცოტა ხნის წინათ იქნენ დამორჩილებულნი, ნაწილობრივ კი წინა საუკუნეებში მთლიანად შეერთებულნი. ლივონია, ესტლანდია, ინგრია, ფინეთი, კარელია, ლაპონია, პერმია, ჩერემისა, მორდვია, ვოტიაკები, ზირიანები ლაპოაკობენ ენებზე, რომლებიც ცოტათი როდი ემსგავსებიან ერთმანეთს, თუმცა მრავლითაც განსხვავდებიან, მაგრამ საკმარისად გვიჩვენებენ თავიანთ წარმოშობას ერთი საწყისიდან“⁵.

მონათესავე ენების დაყოფისა და მათი თანდათანობითი დაშორების შესახებ მეტყველებს შემდეგი ადგილიც ლომონოსოვის გრამატიკის შავად ნაწერი მასალებიდან: „NB. წარმოვიდგინოთ დროის ხანგრძლივობა, რაც ეს ენები დაშორდნენ ერთმანეთს... NB. პოლონური და რუსული ენები რა ხანია დაშორდნენ ერთმანეთს! დაუფიქრდი, როდის კურლანდიური! დაუფიქრდი, როდის

¹ იხ. Н. А. Кондрашов, Славянские языки, Учпедгиз, 1955, 83-130.

² იხ. М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, 83-190-191; т. VII, 88-890.

³ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, 83-294.

⁴ იქვე, 88-195.

ლათინური, ბერძნ., გერმ., რუს. ოპ, რა შორეული წარსულია!¹ მკვლევართა ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ლომონოსოვი აქ არა მარტო ლაპარაკობს მონათესავე ენების დაშლაზე, არამედ კიდევაც ადგენს (ამ ენების ერთმანეთთან მეტ-ნაკლები სიახლოვის საფუძველზე) მათი დაშლის, მათი ერთმანეთისაგან დაშორების ქრონოლოგიასაც².

შესანიშნავი დაკვირვებები აქვს აგრეთვე ლომონოსოვს სხვადასხვა (არამონათესავე) ენების შერევის საკითხზეც. ენათა შერევა მას ჩვეულებრივ, კანონზომიერ მოვლენად მოაჩნია. აა რას ამბობს იგი იმავე „რუსეთის ძველ ისტორიაში“: „არც ერთი ენის შესახებ არ შეიძლება მტკიცება, რომ ის დასაწყისიდან თავისთავად იყოს, ყოველგვარი შერევის გარეშე“³. ლომონოსოვი ენათა შერევის მიზეზებად ასახელებს სამხედრო არეულობებს, ომიანობას, ხალხთა გადასვლას ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეზე, ხალხთა გადასახლებებს (სხვათა შორის ეს საკითხიც თავისთავად ფრიალ მნიშვნელოვანია: რუსულ მეცნიერებაში ლომონოსოვმა ერთ-ერთმა პირველმა მიიქცია შესაფერის ყურადღება ხალხთა მრავალრიცხოვან გადასახლებებს). სხვა შემთხვევაში იგი ენათა შერევას მათი გეოგრაფიული სიახლოვითა და მჭიდრო ურთიერთობით ხსნის. თავისი შრომების სხვადასხვა ადგილას ლომონოსოვს ამა თუ იმ კონკრეტული ენის სხვა ენასთან შერევის მრავალი მაგალითი მოჰყავს. ზოგჯერ ეს შერევა ერთ-ერთი ენის სრულ ასიმილაციას იწვევს: „სლავთა სამელობელო დროთა განმავლობაში გაიზარდა. პირველი რუსი მთავრების მფლობელობის დროს ჩუღი ხალხით დასახლებული მრავალი ოლქი შემდეგ სლავებმა დაიკავეს. ჩუღების ნაწილი მათ შეუერთდა, ნაწილი კი, დატოვა რა ადგილი, გადაიწია ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით. ამას გვაჩვენებს ჩუღების ზოგიერთი ნაშთები, რომლებიც სიტყვიერი ვადმოცემებით სლავური თაობისაგან განსხვავდებიან, დაიფიწყეს რა თავისი ენა. ამის გამო არა მარტო მრავალი სოფლის, არამედ მდინარეების, ქალაქებისა და მთელი ოლქების ჩუღური სახელები დღემდე დარჩა რუსეთში, ვანსაკუთრებით მის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მხარეებში. ჩვენს ენაში ჩუღთა მრავალი სიტყვა იხმარება“⁴. ანალოგიური შემთხვევები უნგრულ-ფინური (ლომონოსოვი ხსნობს „ჩუღურს“) ენების შერევისა რუსულთან სხვაგანაც გვხვდება: „...იქაური ჩუღების ამ სიძველეს ამტკიცებს ჩუღთა ტომების ნაშთები, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ დვინის გაყოლებით და რომლებმაც ნოვგოროდელებთან კავშირ-ურთიერთობის გამო თავისი ბუნებრივი ენა დაიფიწყეს“⁵. სხვა შემთხვევაში შერევის შედეგად ესა თუ ის ენა მნიშვნელოვნად იცვლის თავის სახეს. ასე, მაგალითად, ლომონოსოვი ლაპარაკობს ძველი პრუსიულის შესახებ, რომელიც სხვა ენებთან შერევის გამო ძალიან დაშორდა „თავის ძირს“⁶; ვენდური (ლუჟიცური) ენის შესახებ, რომელიც გერმანულთან მეზობლობის გამო, „გაფუჭდა რა“, დაშორდა სლავურსო (სხვათა

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, 83. 658—659.

² იხ. П. С. Кузнецов, დას.ხ. ნაშრ., გვ. 25.

³ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, 83. 174.

⁴ იქვე, 83. 173.

⁵ იქვე, 83. 196.

⁶ იქვე, 83. 208.

შორის იქვე შესადარებლად მოჰყავს ლატვიური ენის მაგალითი, რომელმაც იგივე გავლენა განიცადა ჩუდურისაგანო¹.

ამგვარად, ლომონოსოვის მოსაზრებებს ენათა შერევის, ენათა შეჯვარების საკითხზე თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ლომონოსოვმა რუსულ ენათმეცნიერებას თავისი ფუნდამენტალური „რუსული გრამატიკის“ შექმნით. მან საფუძველი ჩაუყარა რუსული სალიტერატურო ენის მეცნიერული შესწავლის საქმეს. 1757 წელს გამოცემული ლომონოსოვის „რუსული გრამატიკა“ შემდეგ 14-ჯერ იქნა გამოცემული და თავისი მეცნიერული ღირებულება დღესაც არ დაუკარგავს. გრამატიკის შავად ნაწერ მასალებში ლომონოსოვი ერთგვარად ბოდიშს იხდის თავისი გრამატიკის შესაძლო არასრულყოფილობაზე და შენიშნავს, რომ, ჯერ ერთი, „არც ერთ ენაზე სრულყოფილი გრამატიკა არავის შეუდგენიაო“², და მეორეც, „ამ გრამატიკას სრულად არა ვთვლი, არამედ მხოლოდ როგორც ცდას, ვინაიდან ჯერჯერობათ არავითარი არ არსებობს, გარდა სლავურისა და პატარა (გრამატიკისა) ლექსიკონში, მეტად არასრულყოფილისა და მრავალ ადგილას უმართებულო, უწესიეროსია“³.

ლომონოსოვი ასე განმარტავს გრამატიკის მნიშვნელობას: „ჩლუნგია მჭერმეტყველება, ენაბრგენილია პოეზია, უსაფუძვლოა ფილოსოფია, არასასიამოვნოა ისტორია, სექვეთა იურისპრუდენცია გრამატიკის გარეშე, და თუმცა იგი ენის საერთო ხმარებაზეა აგებული, მაგრამ წესებით უჩვენებს გზას თვით ხმარებას“⁴. ამგვარად, ლომონოსოვის აზრით, გრამატიკა ამა თუ იმ ენაში სიტყვების ხმარების წესთა კრებულია, მოცემული ენის თავისებურებათა განზოგადება.

ლომონოსოვის რუსული გრამატიკა ნაწილისაგან შედგება და მასში განხილულია რუსული სალიტერატურო ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის მრავალი საკითხი. შედარებით ნაკლებად სრულადაა გადმოცემული სინტაქსი. დიდი ყურადღება ექცევა გრამატიკაში რუსული ორთოგრაფიისა და ორთოეპიის ნორმებს, რადგანაც პირველ რუსულ გრამატიკას უნდა ესწავლებინა „წმინდა რუსული ენით ლაპარაკი და წერა“. გრამატიკა იწყება რუსული ენის ცნობილი ხატოვანი შექებებით: „კარლოს მეხუთე, რომის იმპერატორი ამბობდა, რომ ესპანურ ენაზე შეიძლება ელაპარაკო დმერთს, ფრანგულზე—მეგობრებს, გერმანულზე—მტრებს, იტალიურზე—მდედრობით სქესს. მაგრამ მას რომ რუსული ენა სცილნოდა, რა თქმა უნდა, დაუმატებდა, რომ ამ ენაზე ყველა მათგანს შეიძლება ელაპარაკო, ვინაიდან მასში აღმოაჩენდა ესპანურის დიდმშენიერებას, ფრანგულის სიცხოველეს, გერმანულის სიმტიცეს, იტალიურის სინაზეს და, ამას გარდა, ბერძნულისა და ლათინური ენების სიმდიდრესა და ლაკონიურობას... ცეცერონის ძლიერი მჭერმეტყველება, ვირგილიუსის საუცხოო მედიდებობა, ოვიდიუსის სასიამოვნო ენაშქვერობა არ

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, стр. 209.

² М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, стр. 672.

³ იქვე, გვ. 690—691. „სლავურ“ გრამატიკაში იგულისხმება მ. სმოტირიცკის გრამატიკა, ხოლო „პატარა“ გრამატიკაში ვარაუდობენ გერმანულ ენაზე დაწერილ ანონიმურ რუსულ გრამატიკას („Anfangs-Gründe der Russischen Sprache“), რომელიც დამატებული ჰქონდა 1731 წ. გამოცემულ ვისიანის გერმანულ-ლათინურ და რუსულ ლექსიკონს. გრამატიკის ავტორად ვ. ადოფურთვს ითიჩნევენ იხ. იქვე, გვ. 934.

⁴ იქვე, გვ. 392.

ქარავანს თავის ღირსებას რუსულ ენაზე... და თუ რისამე ზუსტად გამოხატავს ვერ ვახერხებთ; ჩვენი ენის ბრალი კი არა, ჩვენს ენაში ჩვენი არასაკმარისი დახელოვნების ბრალიაო¹.

როგორც ზემოთაც ითქვა, ლომონოსოვის უდიდესი დამსახურება ისიც იყო, რომ მან სწორად შენიშნა და გამოაშკარავა რუსული ენის სპეციფიკური თავისებურებანი, გამიჯნა რუსული ენა ძველი სლავურისაგან, შესანიშნავად გამოიკნო რუსული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები და თავის გრამატიკას საფუძვლად სწორედ ეს ტენდენციები დაუდო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ამა თუ იმ ენობრივ მოვლენას ლომონოსოვი აროდეს არ უყვებოდა ანაღზს მზა-მზარეული, წინასწარ მოცემული სქემების საფუძველზე, არამედ დიდძალი მასალის გულდასმითი შესწავლის გზით ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენის არსს და გამოეაშკარაებინა რუსული ენის თავისებურებანი. ჩვენ აქ საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ ლომონოსოვის გრამატიკა—ეს მეტად ბევრ დროსა და ადგილს მოითხოვს. დაკვირდებით ზოგიერთი საკვანძო საკითხის აღნიშვნას.

გრამატიკულ ლიტერატურაში დიდხანს ვერ არჩევდნენ ბგერებსა და ასოებს. ლომონოსოვის გრამატიკაში კი საკმაო სიუხადით არის გატარებული აზრობერებისა და ასოების განსხვავებაზე (§§ 14, 102).

„ლომონოსოვმა პირველმა მოკვცა რუსული ენის ხმოვანი და თანხმოვანი ბგერების კლასიფიკაცია და პირველად ნათლად და სრულად ახსნა და დაადგინა ისეთი ფონეტიკური მოვლენები, როგორიცაა აურობა (аканье), ბოლოკიდური მჟღერი თანხმოვნების ყრუებში გადასვლა. შიშინების წინ თანხმოვანთა ასიმილაციის კანონები და ა. შ.“².

რუსული ენის ბრუნვათა სისტემის განხილვისას ლომონოსოვს დადგენილი აქვს ის ბრუნვები, რომლებიც ნამდვილად დამახასიათებელია რუსული ენისათვის³. მან იცის, რომ ყველა ენაში ბრუნვათა რაოდენობა არაა ერთნაირი. ამასთან იგი უსაყვედურებს გერმანელ, ფრანგ და იტალიელ გრამატიკოსებს. რომლებმაც აბლატივი ლათინურიდან შექანოკურად გადმოიღესო (§ 57, გვ. 411—412). ლომონოსოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ რუსულ ენაში თანდებულნი ბრუნვა ყოველთვის თანდებულებთან იხმარება (§ 58); სახელწოდებაც ლომონოსოვმა მისცა (предложный падеж, სმოტრიცკის გრამატიკაში იკა сказательный-ს სახელწოდებით იყო ცნობილი)

დიდი ყურადღების ღირსია ლომონოსოვის ფაქიზი დაკვირვებანი რუსული სახელების ცალკეული ბრუნვების ფორმათა თავისებურებებზე. მაგ., ის გამოყოფს პარალელურ ფორმებს ზოგიერთი ნაზმნარი სახელის ნათესაობითს

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, гл. 291—292.

² Т. А. Шаповалова, Языковедческие воззрения М. В. Ломоносова, Ученые записки Борисоглебского гос. пед. института, вып. 1, Борисоглебск, 1956, гл. 140

³ გარდა წოდებითი ბრუნვისა, რომელიც ლომონოსოვის დროს უკვე აღარ იყო „ცოცხალი“. როგორც თვითონ სამართლიანად აღნიშნავს (§ 185), წოდებითი ბრუნვის საკუთარი ფორმა შემორჩენილი ჰქონდა თანხმოვანფუძიან სულ რამდენიმე სახელს (боже, господи, Христе, Иисусе).

ბრუნვაში: возраста და возрасту, вида და виду და მისთ. და აღნიშნავს, რომ *a*-ს შემცველი ფორმები სლავურისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო *у*-ს შემცველები — რუსულისათვის (§ 172). ასევე განასხვავებს თანდებულებიანი ბრუნვის *ж* და *у* ნიშნებს სხვადასხვა შემთხვევისათვის. ლომონოსოვი აღნიშნავს, რომ მაღალი სტილისათვის (იხ. ქვემოთ) უპირატესად *ж* იხმარება, ხოლო ჩვეულებრივ საუბარში (ე. ი. დაბალი სტილისათვის) — *у*: *въ потѣ и на трудѣ совершатъ*, მაგრამ *въ поту домой приѣхжалъ* (§ 190).

საინტერესოა ლომონოსოვის მსჯელობა გრამატიკული სქესის შესახებ (§ 62). ის აღნიშნავს, რომ სქესთა რაოდენობა სხვადასხვა ენაში ერთნაირი არ არის, ხოლო ზოგ ენაში (ლომონოსოვს მოჰყავს თურქულისა და სპარსულის მაგალითი) სრულებით არ არის სქესთა გარჩევა. აქედან იგი ასკვნის, რომ აღმნიანის მეტყველებისათვის იგი აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს.

რუსული ენის ზმნებისათვის ლომონოსოვმა ორი უღვლილება დატოვა (ადრინდელ გრამატიკებში ანტიკური სქემის მიხედვით შედგენილი ოთხი უღვლილების ნაცვლად) (§ 285). საინტერესოა ლომონოსოვის დაკვირვებანი ზმნის სხვადასხვა კატეგორიებზე (გვარზე, კილოზე, ასპექტზე და სხვ.).

დიდი მნიშვნელობის მქონეა „რუსული გრამატიკის“ ის ნაწილი, რომელშიც სინტაქსის საკითხებია განხილული. ლომონოსოვს მასში ძირითადად შესიტყვებათა და მარტივი წინადადების სინტაქსი აქვს მოცემული, მაგრამ მისი დაკვირვებები უაღრესად საინტერესოა და ბევრი მათგანი დღესაც აქტუალურია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ლომონოსოვის მსჯელობა აბსოლუტივიანი კონსტრუქციის მქონე წინადადებათა აგების შესახებ (§ 532, გვ. 566—567). ის წერს: „ძალიან სკოდავენ ისინი, ვინც უცხო ენების თვისებათა მიხედვით აბსოლუტივებს პირიანი ზმნებისაგან პირებით გამოყოფენ. ვინაიდან აბსოლუტივი პირში უნდა შეუთანხმდეს მთავარ პირიან ზმნას. რომელშიც მთელი წინადადების შინაარსია: *идучи въ школу, встрѣтился я съ пріятелемъ; написавъ я грамотку, посылалъ за море. მაგრამ ბევრი ამის ნაცვლად წერს: идучи я въ школу, встрѣтился со мною пріятелъ; написавъ я грамотку, онъ пріѣхалъ съ моря; будучи я удостовѣренъ о нашемъ к себѣ дружествѣ, вы можете уповать на мое къ вамъ усердіе, რაც სრულიად უმართებულოა“.*

ლომონოსოვი დიდ ყურადღებას აქცევდა მართლწერის საკითხებს. მაშინდელი რუსული ორთოგრაფია მეტისმეტად მოუწესრიგებელი იყო, თითქმის ყველა საკუთარი ორთოგრაფიით წერდა. ლომონოსოვმა უკუაგლო ვ. ტრედიაკოვსკის ცდა რუსულ ორთოგრაფიაში ფონეტიკური პრინციპის დადგენისა. ლომონოსოვის აზრით ორთოგრაფია შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1) იყოს ადვილად საკითხავი, 2) არ იყოს დაშორებული მთავარი რუსული დიალექტებიდან, 3) არ შორდებოდეს წმინდა გამოთქმას, 4) არ იყოს ძალიანად დაფარული სიტყვათა წარმომავლობის კვალი (§ 112). ამგვარად, ლომონოსოვმა რუსულ სალიტერატურო ენაში მართლწერის მორფოლოგიური პრინციპი შემოიღო. ეს პრინციპი, როგორც ცნობილია, დღესაც ძირითადია რუსულ ორთოგრაფიაში.

ლომონოსოვმა პირველმა გამოყო რუსულ ენაში დიალექტები. „რუსულ გრამატიკაში“ მთავარ რუსულ დიალექტებად ის ასახელებს მოსკოვეურ, ჩრდი-

ლოურ და უკრაინულ დიალექტებს¹. გრამატიკის შავად ნაწერ მასალებში მას მოყვანილი აქვს მოსკოვეური, ზღვისპირეთისა და მალოროსიული². ლომონოსოვს არაერთხელ აქვს ხაზგასმული უმნიშვნელო სხვაობა რუსულ დიალექტებს შორის, როგორც რუსული ენის უბირატესობა. „წინასიტყვაობაში რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლიანობის შესახებ“ ის აღნიშნავს, რომ რუსი ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ის უზარმაზარ ტერიტორიაზე ცხოვრობს, ყველგან ერთმანეთისათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობს და არა ისე, როგორც ზოგ სხვა სახელმწიფოში, მაგ., გერმანიაში, სადაც ბავარიელ გლეხს ცოტა ესმის მეკლენბურგელისა, ან ბრანდენბურგელს შევაბიელისა, თუმცა ყველა ერთსა და იმავე გერმანულ ხალხს ეკუთვნისო³. რუსული ენის კილოებს შორის მცირე განსხვავებაზე შენიშნავს „რუსეთის ძველ ისტორიაში“⁴.

მაგრამ ლომონოსოვი მაინც ამხნევებს, რომ „მალოროსიული“ დიალექტი რუსულის დანარჩენი დიალექტებისაგან უფრო მეტად განსხვავდება. კერძოდ, ის აღნიშნავს „მალოროსიულის“ თავისებურ მახვილს, წარმოთქმასა და სიტყვათა დაბოლოებას. ამ სხვაობის მიზეზად ლომონოსოვი პოლონურის გავლენას მიიჩნევს⁵.

დიდა ლომონოსოვის დეაწლი რუსული სალიტერატურო ენის რეფორმის საქმეში. ლომონოსოვის ებოქის რუსული სალიტერატურო ენა მეტად ჰრელ სურათს წარმოადგენდა. მასში მექანიკურად იყო შეკრული ერთი მხრივ ძველი სლავური ენის არქაული, ხალხისათვის თითქმის გაუგებარი საეკლესიო-წიგნური ფორმები, მეორეს მხრივ, პეტრეს რეფორმების შემდეგ დასავლეთ ევროპიდან შემოსული ადმინისტრაციული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამხედრო-საზღვაო, საწარმო-ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიური ელემენტები, ხოლო მესამე მხრივ, ცოცხალი რუსული ენის ფორმები. ასეთს რთულ პირობებში ლომონოსოვმა ერთადერთი სწორი ორიენტაცია აიღო: მან გაათავისუფლა რუსული სალიტერატურო ენა გაუგებარი, არქაული სიტყვებისა და გამოთქმებისაგან და შემოიტანა ლიტერატურაში ხალხის ცოცხალი მეტყველება. ლომონოსოვს ამ რეფორმის ვატარება სასტიკი ბრძოლის პირობებში უხდებოდა. ძველი ტრადიციული გემოვნების დამცველი, კონსერვატიულად განწყობილი ვ. ტრედიაკოვსკი მკაცრად აკრიტიკებდა ლომონოსოვს იმის გამო, რომ მას (ლომონოსოვს) პოეზიაშიც შემოჰქონდა ცოცხალი ხალხური ენის ლექსიკა. მაგ., ტრედიაკოვსკის აზრით, პოეზიაში არ შეიძლებოდა ეხმარათ глас, არამედ უნდა ეწერათ глаз, ასევე, არა глаз, არამედ око, არა шир, არამედ ширь, არა шекы, არამედ шиньы, არა чунь, არამედ чуня და ა. შ.

მართალია, ლომონოსოვმა რუსულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ცოცხალი ხალხური მეტყველება დაუდო, მაგრამ ამავე დროს საეკლესიო-სლავური ენის ელემენტებსაც გარკვეულ მნიშვნელობას აძლევდა იგი. თავის ნაშრომში „რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლიანობის შესახებ“ ლომონოსოვმა წამოაყენა ცნობილი „სამი სტილის თეორია“. რუსულ ენაში ლომონოსოვი სამი ტიპის გამოთქმებს გამოყოფდა. პირველ ტიპს მიაკუთვნებდა ისეთ გამოთქმებს, რომლებიც საერთოა ძველი სლავური და რუსული ენ-

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, стр. 429—430.

² იქვე, გვ. 608.

³ იქვე, გვ. 490.

⁴ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VI, стр. 174.

⁵ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, стр. 83, 608.

ბისათვის (бог, слава, рука და მისთ.). მეორე ტიპს აკუთვნებდა ისეთ სლავიანიზმებს, რომლებიც იშვიათად იხმარებოდა რუსულ (განსაკუთრებით სასაუბრო) მეტყველებაში, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე ყველა რუსისათვის გასაგები იყო (отверзую, насараженный, възвшаю...). მოველეული და ხმარებიდან გამოსული სიტყვები ამ ტიპის გამოთქმებში არ უნდა შესულიყო. მესამე ტიპი გამოთქმებისა ისეთი სიტყვებია, რომლებიც საეკლესიო-სლავურ წიგნებში არ გვხვდება (говору, речеи, котории...). ამ გამოთქმების მიხედვით ლომონოსოვმა შეიმუშავა ლიტერატურულ ნაწარმოებთა სამი სტილი: მაღალი, საშუალო და დაბალი.

მაღალი სტილი შედგება სლავურ-რუსული გამოთქმებისაგან, ე. ი. რუსულ მეტყველებასთან ერთად მასში გვხვდება ისეთი სლავური გამოთქმები, რომლებიც არაა მოძველებული და ხალხისათვის გასაგებია. ეს გამოთქმები მას „დიდმშვენიერებას“ აძლევენ. მაღალი სტილი პეროიკული პოემებისა და მნიშვნელოვანი ორატორული გამოსვლებისთვისაა განკუთვნილი.

საშუალო სტილი ძირითადად რუსული გამოთქმებისაგან შედგება, მაგრამ მცირე რაოდენობით ზოგიერთ სლავურ გამოთქმასაც შეიცავს. ამ სტილით რეკომენდებული იყო თეატრალური წარმოდგენების, სატირის, ელეგიის წერა, პროზაში—ღირსსახსოვარი საქმეების აღწერა.

დაბალი სტილი არ შეიცავდა სლავურ გამოთქმებს. ამ სტილით ლომონოსოვი ურჩევდა ეწერათ კომედიები, ეპიგრამები, სიმღერები, ჩვეულებრივი საქმეები¹.

ლომონოსოვმა თავის ლიტერატურულ პრაქტიკაში ვაზდულად შემოიტანა „დაბალი სტილი“ და განდევნა ლიტერატურიდან ძველი სლავური არქაიზმები.

ლომონოსოვმა დიდი ამაგი დასდო რუსულ ენათმეცნიერებას რუსული სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიისათვის სწორი საფუძვლების ჩაყრით. რუსული სამეცნიერო ტერმინოლოგია პეტრე პირველის დროიდან ჩნდება და თითქმის მთლიანად უცხო სიტყვებისაგან შედგებოდა. რუსული და უცხო ენების შესანიშნავმა ცოდნამ, განათლების ფართო დიაპაზონმა და არჩევულებრივმა ნიჭმა საშუალება მისცა ლომონოსოვს რუსული ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნის საქმე ერთადერთ სწორ გზაზე დაეყენებინა. ტერმინების შექმნისას ლომონოსოვი დიდ მოხერხებას და საზრიანობას იჩენდა. იგი ან პირდაპირ თარგმნიდა უცხო ტერმინებს რუსულად ან აღადგენდა რუსეთში მომუშავე ზვიადი და ქედმაღალი უცხოელი მეცნიერების მიერ უმალ განდევნილ რუსულ სიტყვებს, რომლებიც ტერმინებად იხმარებოდა. მაგ., აღადგინა чертеж ნაცვლად чертеж-ისა, судник ნაცვლად сурверк-ისა და სხვ.

უთარგმნელად ტოვებდა ლომონოსოვი ისეთ უცხო ტერმინებს, რომელთაც მარჯვე რუსული შესატყვისი არ მოეძებნებოდათ, ანდა როცა უცხო ტერმინი ფართოდ იყო გავრცელებული. ამ შემთხვევაში ის ცდილობდა უცხო ტერმინებისათვის რუსული ფორმა მიეცა. ლომონოსოვის მიერ შექმნილი მრავალი ტექნიკური და სამეცნიერო ტერმინი დღესაც იხმარე ა, მაგ., опыт, частица,

¹ იხ. М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII. გვ. 588—589.

кислота, квасцы, воздушный насос, земная ось, преломление лучей, удельный вес, магнитная стрелка და მრავალი სხვა.

ირკვევა, რომ ლომონოსოვი მუშაობდა ლექსიკოგრაფიის საკითხებზეც. გრამატიკის შავად ნაწერ მასალებში ის წერს ლექსიკონის შედგენის პროექტზე¹, ხოლო 1764 წელს თავისი დასრულებული და დაუსრულებელი სამეცნიერო და ლიტერატურული შრომების ნუსხაში აღნიშნული აქვს, რომ „შევკრიბე წმინდა (первоисточных) რუსული სიტყვების ლექსიკონი“². სამწუხაროდ, ეს ლექსიკონი დღემდე არაა აღმოჩენილი.

როგორც ზემოთქმულიდან დავინახეთ, ლომონოსოვს მრავალი საყურადღებო დაკვირვება აქვს ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით. მართალია, მას არა აქვს (ყოველ შემთხვევაში, დღემდე აღმოჩენილი არ არის) სპეციალური ნაშრომი ზოგადენათმეცნიერულ საკითხებზე, მაგრამ რუსული ენის გრამატიკაზე მუშაობის პროცესში მას უხდებოდა მრავალი მნიშვნელოვანი ენათმეცნიერული ხასიათის საკითხის კვლევა და ვადაქრა. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მთელი რიგი საგულისხმო ენათმეცნიერული საკითხი ლომონოსოვს გაშუქებული აქვს რუსეთის ძველი ისტორიის კვლევისას.

ლომონოსოვს სწორად ესმოდა ენის მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. რომ ენა მხოლოდ საზოგადოებაში, კოლექტივში არსებობს და მისაწინააღმდეგობით ადამიანები ურთიერთს გადასცემენ თავიანთ აზრებს. ხაზს უსვამს ლომონოსოვი იმას, რომ ენა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ასევე სწორად ესმოდა ლომონოსოვს ენის საზოგადოების ურთიერთობის საკითხი.

ლომონოსოვი სრულიად მართებულად წინა პლანზე აყენებდა ბგერითს ენას ფესტ-მიმიკის ენასთან შედარებით.

საყურადღებოა აგრეთვე ლომონოსოვის შეხედულებანი ენების ცვალებადობის შესახებ, რომ ცვალებადობის პროცესი ენაში ხანგრძლივია და რომ ეს პროცესი სხვადასხვა ენაში ერთი ტემპით არ მიმდინარეობს.

დიდი მნიშვნელობის მქონეა აგრეთვე ლომონოსოვის მიერ აღნიშნული ენათა ნათესაობის ფაქტი, მის მიერ მონათესავე და არამონათესავე ენების გამოყოფა. განსაკუთრებით ხაზი უნდა ვაგვეს იმ გარემოებას, რომ მონათესავე ენების შედარებისას ლომონოსოვი ყურადღებას აქცევდა არა მარტო სიტყვების მსგავსებას. არამედ ენათა გრამატიკულ წყობასაც. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ლომონოსოვის დროს სხვადასხვა ენების შესადარებლად (თანაც უღარებდნენ ერთმანეთს ნებისმიერ ენებს) იყენებდნენ ყოველგვარ სიტყვას (მათს შორის ნასესხებაც) და სრულიად თვითნებურსა და ფანტასტიკურ ეტიმოლოგიებს ადგენდნენ. მაგ., ცნობილ დიდ მოაზროვნე ლაიბნიცს ბერძნულსა და ქართულ ენაში „ორგანო“, „კლიტე“ და მისთ. სიტყვების „მსგავსების“ გამო (ეს სიტყვები ნასესხები აქვს ქართულს ბერძნულიდან) აღნიშნული ენები მონათესავეებად მიაჩნდა³, ხოლო ლომონოსოვას თანამედროვე ვ. ტრედიაკოვსკი Норвегия-ს უკავშირებდა Наверхия-ს [რა-

¹ М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., т. VII, 83-689.

² М. В. Ломоносов, Полн. собр. соч., том X, 83-400.

³ იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, 83-6.

დგანაც რუკაზე ზემოდან (наверху) არისო, ხოლო Италия-ს—Удалия-ს, ე. ი. ჩრდილოეთიდან დაშორებული არისო (удаленная)].¹

ფასეულია აგრეთვე ლომონოსოვის მითითებანი ს ლ ა ვ უ რ ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფებს შორის უ რ თ ი ე რ თ ი მ ი მ ა რ თ ე ბ ი ს შესახებ.

დიდი მნიშვნელობა აქვს ლომონოსოვის მოსაზრებას მონათესავე ენების წარმოშობის შესახებ ერთი საწყისიდან. ერთი ფუძე-ენიდან.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ლომონოსოვის დაკვირვებანი ენების უ რ თ ი ე რ თ გ ა ვ ლ ე ნ ი ს ა და მათი შექვეყნების შესახებ.

ლომონოსოვის გრამატიკამ რუსული ენის შესწავლაში მთელი ეპოქა შექმნა. ლომონოსოვი თავის გრამატიკაში ენას თავს არ ახვევდა რაიმე შაბლონურ სქემებს. ის აკრიტიკებდა დასავლეთის გრამატიკოსებს, რომლებსაც თა-ვიანთი ენებისათვის მექანიკურად გამოჰქონდათ ანტიკური გრამატიკული სქემები. ამ მხრივ ლომონოსოვი უფრო მაღლა დგას, ვიდრე მის შემდგომდროინდელი ლოგიკისტური გრამატიკის მიმდევრები, რომლებიც თვლიდნენ, რომ რად-განაც ლოგიკა ყველასათვის ერთია, გრამატიკაც ერთი, ზოგადი უნდა იყოსო.

ლომონოსოვმა სწორ გზაზე დააყენა რუსული ო რ თ თ გ რ ა ფ ი ა და, ის ძირითადი პრინციპები, რაც მან საფუძვლად დაუდო რუსულ მართლწერას, დღესაც ძალაშია.

ლომონოსოვმა საფუძველი ჩაუყარა რუსულ დ ი ა ლ ე ქ ტ ო ლ ო გ ი ა ს.

უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლომონოსოვის მიერ მოხდენილ რ უ ს უ ლ ი ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო ე ნ ი ს რ ე ფ ო რ მ ა ს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია რუსული ენის შემდგომ განვითარებაზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ლომონოსოვის მოღვაწეობამ ამ დარგში ნიადაგი მოუმზადა პუშკინის მიერ ახალი რუსული სალიტერატურო ენის შექმნას.

თავისი დროისათვის პროგრესული იყო ლომონოსოვის მოძღვრება ს ა მ ი ს ტ ი ლ ი ს შესახებ. ამ მოძღვრებამ ხელი შეუწყო რუსული ლიტერატურის განვითარებას და გაათავისუფლა რუსული სალიტერატურო ენა ძველი, გაუგებარი სავალესიო-სლავური სიტყვებისა და გამოთქმებისაგან.

სწორი საფუძველი ჩაუყარა ლომონოსოვმა რუსული სამეცნიერო ტერ-მინოლოგიის შექმნის საქმეს.

ამგვარად უადრესად დიდია რუსულ ენათმეცნიერებაში ლომონოსოვის მნიშვნელობა. ლომონოსოვი მრავალ ენათმეცნიერულ საკითხს ეხებოდა და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამდა. თავისი დროისათვის მისი ენათმეცნიერული შეხედულებანი უადრესად პროგრესული იყო და მთელ ეტაპს შეადგენენ რუსული ენათმეცნიერების ისტორიაში. ლომონოსოვის მთელი რიგი შეხედულებანი ენათმეცნიერების კუთვნილება გახდა გაცილებით უფრო გვიან—XIX—XX საუკუნეებში და ზოგ მათგანს თავისი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს.

¹ იხ. Р. М. Цейтлин. Краткий очерк истории русской лексикологии, Учпедгиз, 1958, გვ. 22.

ბუნებრივია, რომ ლომონოსოვის ზოგიერთი ენათმეცნიერული შეხედულება, მისი გრამატიკის ცალკეული დებულებანი უკვე მოძველებულია და არ შეეფერება ენათმეცნიერების თანამედროვე შეხედულებებს, მაგრამ ჩვენ ხომ ლომონოსოვის ეპოქას ორი საუკუნე გვაშორებს!

საბჭოთა ადამიანებისათვის ძვირფასია მ. ვ. ლომონოსოვის მეცნიერული შრომების მატერიალისტური მიმართულება, ლომონოსოვის მგზნებარე პატრიოტიზმი, მისი დაუღალავი ბრძოლა რუსული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისა და აყვავებისათვის, რუსი ხალხის ნათელი მომავლისათვის.

ქოვაოზიხიისა და სვილის ზოგიატოი თაჟიხაჟიკაჟა ლეონიდ ლეონოვის დრამატურგიაჟი

ბ. ვაჟთა

ლეონიდ მაქსიმის ძე ლეონოვი საბჭოთა მწერლების ოჯახს მოეწვინა როგორც მხატვარი, რომელიც ისწრაფვის იმისაკენ, რომ ასახოს ცხოვრება მთელი მისი სიღრმით, სირთულითა და წინააღმდეგობრიობით. მწერალი ფხიზლად უსმენს ადამიანის გულისცემას, ამჩნევს მასში თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო წყვეტსაც კი. ის მიზნად ისახავს მოძებნოს მიზეზი, რომლითაც ეს არტიმულაობა არის გამოწვეული, ცდილობს „დაინახოს, თუ როგორ ფეთქს ადამიანში სასიცოცხლო ძარღვი“¹, — რომელი სასიცოცხლო იმპულსების გავლენით ძირს ეცემა ადამიანი ან, პირიქით, მთელი სიმაღლით აღიმართება. ის უამრავი მასალა. რომელიც ცხოვრების გამოცდილებასთან ერთად მწერალს დაუგროვდა. მდიდარ საზრდოს აძლევდა მის შემოქმედებითს წარმოსახვას. ლეონოვის ნაწარმოებთ, სხვადასხვაგვარს თავისი ყანართა და სიუჟეტით. ერთი საერთო რამ ახასიათებთ. ესაა ფსიქოლოგიური ანალიზის სინატიფე, მისწრაფება ჩაიხედოს ადამიანის სულის ყველაზე ფარულ კუნჭულში.

თავისი მიდრეკილებით ლეონოვი თავს პროზაიკოსად² სთვლის. სამწერლო მოღვაწეობა პროზაული ნაწარმოებებით დაიწყო და განიმტკიცა კიდევ სახელი, როგორც მწერალმა — რომანისტმა, მაგრამ მალე დრამატურგიაშიც სცადა კალამი. შემთხვევითი როდია ლეონოვის ინტერესი დრამატურგიისადმი. იგი აიხსნება მხატვრის მუდმივი სწრაფვით ლიტერატურული ნაწარმოების აზრი მაქსიმალურად ტევადი გახადოს. „სოციალისტური რეალიზმის მეთოდი, — ამბობს ლეონოვი, —... მხარს უჭერს ყოველ გაბედულ ნოვატორობას, რომელიც ისწრაფვის საშუალებათა გონივრული ეკონომიის გზით მიადწინოს უმაღლეს მიზანს, ოსტატობის ფარული რეზერვების გამოყენებით გააძლიეროს მხატვრული შემოქმედება. მოძებნოს ახალი შინაარსის შესატყვისი ახალი ფორმები. ყოველთვის მონახოს სიტყვა აზრის სულ უფრო მეტი ტევადობით“³.

ამრიგად, აზრის ტევადობა წარმოადგენს ერთ მთავარ მოთხოვნას, რომელზედაც მიგვითითებს ლეონოვი. ყველაზე უკეთესად ამ მოთხოვნას უპასუხებს დრამატურგიული ყანრი, სადაც თვით ფორმა აყენებს მხატვარს მკაცრ ფარგლებში. გარდა ამისა, დრამატურგიისაკენ ლეონოვს ბიძგი მისცა მიდრეკილება

¹ Л. Батъ, Леонид Леонов о литературном труде, Вопросы литературы, 1960, № 2, стр. 189.

² Там же, стр. 188.

³ Речь Л. Леонова на II съезде советских писателей об уставе Союза писателей, Литер. газета, 1954, № 158, 23 декабря.

მწვავე კონფლიქტურობისადმი¹. ლეონოვს უყვარს ერთმანეთს შეაჯახოს მოწინააღმდეგე ძალები, თვითონ კი თითქოს რჩება დამკვირვებლის მდგომარეობაში და დიდი ინტერესით ადევნებს შორიდან თვალყურს მათ შორის წარმოებულ დავას. მწერლის ამ მიდრეკილებასაც ყველაზე უკეთ უპასუხებდა დრამატურგიის ქანრი.

პირველ დრამატურგიულ ცდებს ლეონოვი თავისი პროზაული ნაწარმოებების მასალაზე აგებს. ესენია—„მანკები“, „უნტილოვსკი“, „პროვინციული ისტორია“, „სკუტარევისკი“. რომანისა და მოთხრობის რამდენიმე სიუჟეტური ხაზიდან მწერალი პიესისათვის ირჩევს ისეთს, რომელშიაც უფრო მეტი სისაგნით არის ასახული ეპოქის ძირითადი კონფლიქტი. გულმოდგინედ ხეიწს რა ხასიათებს, აღრმავებს რა მათში იმ თვისებებს, რომლებიც მოწმობენ გმირის შეგნებაში მომხდარ ძვრებს ლეონოვი ამით აფართოებს ნაწარმოების კონფლიქტს და მეტ სიმწვავეს აძლევს მას.

მწერალი და დრამატურგი, უკვე დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული მხატვარი ლეონოვი, რომელსაც საკუთარი შემოქმედებითი მანერა აქვს, ყურადღებას იპყრობს თავის ნაწარმოებთა სიღრმითა და თავისებურებით. ლეონოვის ხელწერის უჩვეულობა განსაკუთრებით შესამჩნევად ვლინდება დრამატურგიაში. ლეონოვის პიესების განსხვავებული თავისებურება მათი ქანრობრივი ბუნებისაგან გამომდინარეობს. ეს მეტწილად სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამებია. ლეონოვის პიესების დრმა ფსიქოლოგიაში ორგანულ კავშირშია ტიპიზაციის ხასიათთან და მუდამ მწვავე დრამატული² კონფლიქტის თავისებურებასთან. ერთობლივად აღებული ეს სამი ფაქტორი აპირობებს დრამატურგის ნაწარმოებთა კომპოზიციურ სტრუქტურას და ენობრივ ქსოვილს.

ლეონოვი აგებს თავის პიესებს ოჯახურ-ყოფითი დრამების მსგავსად. ყველაზე ხშირად გმირს გვიჩვენებს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ვითარებაში, ოჯახში, ან მეგობართა გარემოცვაში. ბუსლოვს ჩვენ ვხედავთ უნტილოველთა კომპანიაში ან შაშების თამაშზე ან მეგობრულ ღვინოში. სკუტარევისკიც აგრეთვე საყოფაცხოვრებო გარემოცვაშია ნაჩვენები „მგელში“, „პულოგჩანის ბაღეში“ და თვით „შემოსევაშიც“ კი თითქმის ყველა ამბავი ოჯახურ წრეში ტრიალებს. ამასთან, იქმნება არაჩვეულებრივი ვითარებანი და სიტუაციები. მათში იხსნება რთული ურთიერთობა, გმირებისა, რომლის მამოძრავებელ საწყისს წარმოადგენს არა პირადი, არამედ უფარესად სოციალური მოტივები. გმირის ინტიმური გრძნობები მოცემულია მკიდრო დამოკიდებულებაში იმასთან, რაც დიდ სამყაროში ხდება. ამნაირად, ლეონოვის პიესების საფუძველს წარმოადგენს ინდივიდუალურ ბედ-იღბალთა და ქვეყნის ცხოვრების თანაფარდობა, პირადი ხასიათის კონფლიქტების და დიდი სოციალური კონფლიქტების თანაფარდობა. მათი სიუჟეტი, რომელიც მრავალხაზობრივად ვითარდება, შეიცავს მთელ რიგ დამოკიდებულ კოლოზიებს თავისი კულმინაციებითა და კვანძების გახსნით. ამასთან, ყველა ეს პარალელურად მიმდინარე კულმინაცია და კვანძების გახსნა აუცილებლად ემორჩილება ერთს დომინირებულ კოლიზიას,

¹ З. Богуславская, Леонид Леонов, М., 1960, стр. 133.

² კონფლიქტისა და ტიპიზაციის თავისებურებანი ლ. ლეონოვის დრამატურგიაში განხილულია წინამდებარე წერილის ავტორის მიერ იმ წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია თბილისის პუშკინის საზ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომების მე-14 ტომში, 1959. გვ. 163—173.



ქმნის რა პიესის კომპოზიციურ სტრუქტურაში თავისებურ რთულ დაქვემდებარებას. ლეონოვის პიესების კომპოზიციურ სტრუქტურას ყურადღება მიაქცია გ. ერმილოვმა თავის რეცენზიაში „ოქროს კარეტის“ შესახებ. — „...ეს კომპოზიცია, — წერს გ. ერმილოვი, — ყურადღებით უნდა იქნას შესწავლილი, როგორც სამდვილი დიდი დრამატურგიის ანატომია. ჩვეს წინაშე სხვადასხვაგვარი სიუჟეტური ხაზის ორგანული, ჰეშმარითად ცოცხალი, განუწყვეტელი გადასართვისა და ერთობლიობის იშვიათი მაგალითია, როცა თითოეული სიუჟეტური ხაზის მოძრაობა და განვითარება იმავე დროს მოასწავებს სხვა სიუჟეტური ხაზების განვითარებას და მოძრაობასაც, ისე რომ, როგორც კი ჩვენ ერთი სიუჟეტური ხაზიდან მეორეზე გადავდივართ, ვრწმუნდებით იმაში, რომ ამ მეორემ უკვე მოასწრო წინ წაწევა, შეიცვალა პირველის წინ წაწევისა და შეცვლის შედეგად (რა თქმა უნდა, აქ რიგობა „პირველი“, „მეორე“ პირობითია)“¹.

ჩვენ ეს რიგობა პირობითად არ გვეჩვენება. მას საკმოდ გარკვევით განსაზღვრავს იმ კონფლიქტის სიფართოვე, რომლის ჩანასახს შეიცავს ერთ-ერთი სიუჟეტური ხაზი. თუ ერთმანეთს დავუპირისპირებთ ყველა იმ შეჯახებას, რაც პიესაში ხდება, ცხადი იქნება, რომ ბერეჟკინის და შჩელკანოვის კონფლიქტი აქ პირველ პლანზე წამოწეული. მასში ასახულია უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამბავი — მრისხანება პატრიოტისა, რომელსაც ღებურტირისათვის სიმხდალე ვერ უპატიებია. იგი შეადგენს სიუჟეტის ღერძს, რის გარშემო ვითარდება სხვა ამბებიც, უფრო მეტად კერძო ხასიათისა, — მარიამ სერგის-ასულისა და კარევეის, მარიკასა და ტიმოშას ისტორია. ერთი შეხედვით, თითქოს ამ დამოუკიდებელ სიუჟეტურ ხაზებს აერთიანებს ერთი ფილოსოფიური აზრი, რომელიც მათ საფუძვლად უდევს, — აზრი ცხოვრების ძნელი და იოლი გზების შესახებ, მაგრამ კარევეისა და მარიამ სერგის-ასულის, აგრეთვე, მარიკას ისტორიაში იგი მორალურ-ეთიკური პლანის ჩარჩოებით არის შეზღუდული მკაფიან, როცა შჩელკანოვის ისტორია, რჩება რა ფორმალურად ამ ჩარჩოებში, ფაქტურად სცილდება მის ფარგლებს. ეს, უბრალოდ, საზოგადოებრივად გასაკვირვებელი შეცოდება კი არა, არამედ სამშობლოსა და ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულია, რისთვისაც მკაცრად უნდა ისჯებოდნენ. ამრიგად, კონფლიქტი ბერეჟკინისა და შჩელკანოვის შორის ბევრად უფრო ფართო და მნიშვნელოვანია, ვიდრე დანარჩენი ორი კონფლიქტი. იგი მთლიანად საზოგადოებრივ ინტერესებზეა აგებული. დრამატურგი ცდილობს უკუაგდოს ყოველივე ის, რასაც ამ კონფლიქტს შეუძლია პირად შეჯახებათა ხასიათი მისცეს.

„მე ომმა გამომგზავნა“² — ამბობს ბერეჟკინი. ბერეჟკინის სახე სამართლიანობის სიმბოლოა. უღრეკი მამიებლის გული სახალხო რისხვას აღუვსია. იგი ცოცხლობს ადამიანის უდიდესი სიყვარულით. იგი მზად არის თავი დასდოს უსინათლო ტიმოშისათვის. „მე მოველ, რომ შენს ბედობაში ჩავერიო, ჯარისკაცო, თუ კი შენ ნებას დამრთავ. გავიხადო ეს საქმე ჩემი ცხოვრების მიზნად...“³.

(ის აშკარად ერიდება უფრო ზუსტად ჩამოაყალიბოს თავისი ვიზიტის მიზანი გარეშეთა თვალწინ).

¹ В. Ермилов, О путях жизни, Литер. газета, 1957, № 136, 14 ноября.

² Л. Леонов, Золотая карета, Октябрь, 1955, № 4, стр. 9.

³ Там же, с. 24.

მაგრამ ასევე დიდია მისი მრისხანება ყველაფრის მიმართ, რაც ადამიანებს ხელს უშლის. „იმის გულისთვის, რომ შეწყვეტილიყო ბავშვთა მხიარული კისკისი დედამიწაზე, მე ბევრი რამ ცეცხლს მივეცი, ბევრი კიდევაც გაესრისე, წარბშეუხრელად. ყმაწვილები ვერ უსაყვედურებენ ბერეჯინს სულმოკლუბას...“¹.

და აი, გამოჩნდა იგი, კაცობრიობის დამცველი, რომ დასაჯოს ის, ვინც გულცივობა გამოიჩინა ადამიანთა ბედ-იღბალისადმი, ვინც თავის ეჩო და ეგო-ისტი იყო, ვინც მხდლურად გამოიქცა მოწინავე პოზიციიდან ზურგში, რომ მოშორებოდა საფრთხეს, რომელიც მის „ძვირფას“ სიცოცხლეს ემუქრებოდა.

„მე აქ გამოგზავნილი ვარ...—რომ დავსაჯო ერთი ვინმე აქაური პირი“² — ამბობს ბერეჯინი.

პიესაში მოქმედება ამ ეპიზოდის გარშემოა კონცენტრირებული. იგი კულმინაციური მომენტით იწყება. ჩვენ ვტყობილობთ, რომ ბერეჯინი დიდი ხანია ეძებს შჩელკანოვის „კვალს“. „...—მაგრამ, —ამბობს ბერეჯინი,—მივწვდები თუ არა, იგი ხელსა და ხელს შუა მისხლტება ქვიშასავით. ამასთან მე არ მშორდება უცნაური გრძნობა, თითქოს ის კვალდაკვალ თვითონ დამდევს, თვალყურს ადევნებს ჩემი სხეულის ყოველ მოძრაობას. სიმზდალე სიმამაცეზე უფრო ამტანია. სანამ მე და თქვენ აქ ვზივართ, მან ორჯერ გაირბინა ჩვენი კარების წინ ღერეფანში“³.

ბერეჯინმა ვერ მოახერხა პირისპირ შეხვედროდა მოწინააღმდეგეს. შჩელკანოვი სცენაზეც არ ჩნდება, მაგრამ ჩვენ მაინც სრულიად გარკვეულად ვხედავთ ამ ვაჟბატონს. უფრო მეტა, —ვგრძნობთ ყოველ ძვრას მის განწყობილებაში. ფარდის ახდის მომენტში უკვე პანიკური შიშით შეპყრობილი შჩელკანოვი მზადაა გადაიკარგოს, რადგან იცის, რომ მუხრუჭშია მოქცეული. ამტომ ცდილობს გაექცეს უკან დადევნებულ ბერეჯინს. შჩელკანოვი ტოვებს ქალაქს, მაგრამ იმის შიში, რომ მხილებული იქნება, სამუდამოდ უკარგავს მოსვენებას. ასე იხსნება ამ სიუჟეტური ხაზის კვანძი, რომელიც გაინასკვა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ჩვენ პიესის გმირებს გავიცნობდით. ამ კვანძის შესახებ ჩვენ ბერეჯინი გვატყობინებს: ბერეჯინის ნამბობს ჩვენ გადაყვევართ წარსულში, როცა შჩელკანოვი მის ბატალიონში მსახურობდა. ამრიგად, ამ სიუჟეტური ხაზის კომპოზიციაში მოცემულია რეტროსპექტული მოძრაობა, რომელსაც ერთბაშად შეგვაყვართ მოვლენათა კურსში, რომლებიც უკვე თავის დასასრულს უახლოვდება.

ბუნებრივია, რომ ინტრიგაში ჩაბმული არიან სხვა პერსონაჟებიც. მაგრამ აქ საინტერესო მოვლენას ვხედავთ. ინტრიგის განვითარებაში მათი მონაწილეობა ვერ ახდენს ჯეროვან ქმედით გავლენას ძირითადი კონფლიქტის გადაწყვეტაზე, ე. ი. შჩელკანოვის ბედზე (ხომ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ოჯახთან სამუდამოდ კავშირის გაწყვეტას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს შჩელკანოვისათვის. ის ხომ თავის ოჯახს არაფრად აგდებდა), მაგრამ თვით პერსონაჟის ბედში, ამ კონფლიქტის შედეგად, მკვეთრი შემობრუნება ხდება, — მარია სერგის ასული და მარიკა კატეგორიულად გარიყავენ ამ კაცს თავისი ცხოვრებიდან.

¹ А. Леонов, Золотая карета, Октябрь, 1955, № 4, стр. 8.

² Там же.

³ Там же, стр. 9.



გარდა ამისა, ახლა უკვე გამოცდილებით გამობრძმედილი მარიამ სერგის-ასულისთვის აღარ არის მაცდუნებელი ის „ოქროს კარეტა“, რომლითაც მასთან მივიდა კარევეი. მარიამ გამოიცნო მისი სული, დაინახა მასში ისეთივე ეგოისტი და თავკერძი ადამიანი, როგორც მისი ყოფილი ქმარი იყო.

მარიკას ეს კონფლიქტი პირდაპირ არ შეხებია, მის წინაშე წამოჭრალი დილემა დამოუყიდებლად გადაჭრა ისე, რომ გარედან მასზე გავლენა არ მოუხდენიათ. მაგრამ კონფლიქტმა გავლენა იქონია დედაზე, რომელიც შიშობდა მისი ქალი თავის სიცოცხლეს ბრმა ადამიანს დაუკავშირებდა. დედას თავზარს სცემდა ცხოვრების ის მძიმე გზა, რომლის არჩევას მარიკა აპირებდა. მაგრამ ახლა კი მიხვდა, რომ სხვა გზას შეეძლო მარიკა ისეთ დრამამდე მიეყვანა როგორც თვითონ განიცადა, და ამიტომ ნებას აძლევს ქალიშვილს გადაწყვიტოს საკუთარი ბედ-იღბალი ისე, როგორც თავათ სურს.

„მარიკა სერგის-ასული: მე ტინისას წინაღმდეგი როდი ვარ, მაგრამ ეს მაინც ჰქენი, რომ რამდენიმე ხნით მოეშვი, სანამ ფეხზე დადგებოდე. მარიკა — როგორ? გინდა ისიც ოქროს კარეტას გამოუდგეს, დედა?“

მარიკა სერგის-ასული — მე მარტო ის მინდა, რომ შენს გონებაში ერთხელ მაინც გაუწიო ანგარიში იმას, თუ რა მძიმე ტვირთს იღებ საკუთარ მხრებზე. მაშა, ეყოფა კი შენს ნორჩ სხეულს ძალა მის ასაწევად?

მარიკა: მე ვიცი, რომ ეს ტვირთი მძიმეა... მაგრამ ჩვენ ორივე ხომ შრომა და გარჯას არ მოვერიდებით.

მარიკა სერგის-ასული: ჩემო ძვირფასო, ჩემო ამაყო გოგონავ¹. ამ აღტაცებულ შეძახილში ჩვენ გვესმის შვებით ამოსუნთქვა, დედის სისხარული იმის გამო, რომ ქალიშვილი აცდა დედის შეცდომას.

„ოქროს კარეტა“ სრულიადაც არ არის სიუჟეტური ხაზების ასეთი თანადაქვემდებარების ერთადერთი მაგალითი. ლეონოვის პიესაში „მგელი“ სიუჟეტის მოძრაობა ასევე რამდენიმე ხაზით მიიმართება. აქ ერთის მხრივ გვაქვს როშჩინის ოჯახი, ამ ოჯახში შექმნილი ურთიერთობანი, როშჩინის კონფლიქტის ოსტაევიდან, ხოლო მეორეს მხრივ — ლუკას ამბავი. ეს პარალელური ხაზებია, რომელთაგან თითოეულს თავისი კულმინაცია და კვანძის ვახსნა აქვს, მაგრამ ერთმანეთთან მაინც მჭიდროდ არიან დაკავშირებული. მხოლოდ საეჭვო, საიდუმლოებით მოცული ლუკას გამოცნობამ საშუალება მისცა როშჩინსა და ელენეს, რომ საბოლოოდ გამოერკვიათ ერთმანეთისადმი დამოკიდებულება. რამდენადაც პიესაში ირკვევა მტრის სახე და წყდება ძირითადი კონფლიქტი, ამდენად ნელდება წინააღმდეგობა როშჩინსა და ოსტაევს შორის. როშჩინი მიხვდა, რომ მათი ჩხუბი შეცდომა იყო, რომ ორივენი ერთს დიდ საქმეს ემსახურებიან, და მტრების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით უნდა იბრძოდნენ. ლუკასა და როშჩინის ბანაკს შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი შორდება საპირადად ურთიერთობათა ჩარჩოებს და საზოგადოებრივ ხასიათს იღებს. ეს არის პიესის ძირითადი კონფლიქტი, რომელიც ეპოქის სოციალური ძალების შიდილს ასახავს. ფაბულური კვანძი, რომელიც წარმართავს ამ კონფლიქტის მოძრაობას, ინასკვება ერთი პერსონაჟის — ლუკა სანდუკოვის ირგვლივ. მაგრამ იგი სხვა სიუჟეტურ ხაზებზეც ვრცელდება და ხდის მათ დამოკიდებულად იმისაგან, თუ როგორ გადაწყდება ძირითადი კონფლიქტი და მრავალი სხვა გმირის ბედ-იღბალი. ასე ფართოვდება თანდათან ოჯახურ-ყოფითი დრამის ჩარჩოები, იქცევა რა იგი

¹ Л. Леонидов, Золотая карета, Октябрь, 1955, № 4, стр. 44.

სოციალურ-ფსიქოლოგიურ დრამად. ის გარემოება, რომ ავტორი თავის გმირებს ხშირად გვიჩვენებს მათთვის ჩვეულ ყოფაში, ოჯახისა და მეგობრობის გარემოცვაში, სრულებითაც არ ზღუდავს ავტორის ამოცანას—ასახოს ცხოვრება სოციალურ კონფლიქტთა მთელი სისავსით, მთელი მისი სირთულითა და წინააღმდეგობებით და, ამასთან, გაამახვილოს ყურადღება ადამიანის შინაგანი სამყაროს განსწავლაზე.

ლეონოვის სოციალ-ფსიქოლოგიური დრამის სტილის თავისებურებას, რომელიც უპირველეს ყოვლისა კონფლიქტის ტიპიზაციასა და თავისებურებებში გამოსკვივის, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მისი პიესების ენაზე. დაუკმაყოფილებელ, მაძიებელ და აღმუფოთებულ პერსონაჟთა გრძნობები ჩვენს წინაშე იხსნება მათივე მეტყველებით, მღელვარე და ნერვოზული, ექსპრესიითა და ემოციურობით აღბეჭდილი მეტყველებით. ლეონოვი გაუბრძის „ნეიტრალურ“ ენას. მას არ ეშინია მაღალი პათეტიკისა, რომლის წყალობით პერსონაჟთა მეტყველება ხანდახან თითქოს არაბუნებრივად, თითქოს ხელოვნურად გვეჩვენება. მიუხედავად ამისა, მეტყველების ეს პათეტიკურობა, რომელიც აძლიერებს ენის ემოციურობას, მხატვრულად ყოველთვის გამართლებულია.

ჩვენ ვთქვით, რომ ლეონოვი თავის გმირებს ყველაზე ხშირად ჩვეულებრივ ვითარებაში—ოჯახისა და მეგობრობის გარემოცვაში გვიჩვენებს. მაგრამ გმირების ფიქრები და აზრები სრულიადაც არ არის შეზღუდული მარტო ოჯახის ინტერესებით და მიმართულია შორეული პორიზონტებისაკენ. ეს აზრები, რომლებიც მიმალულან საღდაც მათი სულის სიღრმეში, უეცრად გადმოხეთქავს ხოლმე, შინაგანი ცეცხლით, ექსპრესიითა და პათეტიკით სავსე ტირადის სახით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი ტირადა გამოითქვას დამრგვალებული და დახვეწილი ფრაზებით, დასრულებული წინადადებებით. არ არის გასაკვირველი, თუ სინტაქსური კონსტრუქციები ლეონოვის პიესებში განსხვავდება საყოველთაოდ მიღებული სინტაქსური ნორმებისაგან. ჩვენ გვესმის წყვეტილი, ხორკლიანი ფრაზები, ხშირი განმეორებებითა და არასწორი გამოთქმებით, მკვეთრი ნაბტომებით ერთი აზრიდან მეორეზე. პერსონაჟთა ასეთი მეტყველებით ჩვენს თვალწინ იხსნება გმირთა არსებაში მიმდინარე შინაგანი ბრძოლა, და ამით გამოწვეული სულიერი უწონასწორობა.

რა თქმა უნდა, ლეონოვის პერსონაჟთა მეტყველების სინტაქსური თავისებურება ვერ ამოწურავს იმ საშუალებებს, რომელთაც დრამატურგი მიმართავს გმირთა მეტყველების ემოციურობის გასაძლიერებლად. ამ მხრივ, არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონკრეტული მასალა, რომელსაც ავტორი სინტაქსური კონსტრუქციების შესადგენად შეარჩევს ხოლმე. ამ მასალის განხილვისას არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ლექსიკის სიმდიდრეს, ლექსიკური პლასტების სიფართოვეს. საყოველთაოდ გავრცელებულ სიტყვებთან ერთად, ლეონოვს თავის ლექსიკონში შეაქვს თანამედროვე ენისგან შალზე დაშორებული ფორმები, ისეთი ტიპის არქაული სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა: епархия, воинство, хула, смрад грядет, елей, огнище, воздвигнуть, возжечь, страх, аз есмь, сям, победиши и т. д.; მდაბიური სიტყვები хахаль, подлюбовник, охальный, с первочасья, не лай—в смысле—не груби, драпануть, глянется, давеча, опорки, этақ; უაღრესად ხალხური გამოთქმები. дрожма дрожит, в чистую вышел, расправь жилочки, глазом не замахивайся, და აგრეთვე დიალექტიზმები: теперича, тута, поздоровкаться,

надоть, ожидавши, ракетный, масса, грибы, бомба, рубашечку, встряну-
лись, не обедавши, ятать.

ერიდება რა ენის დანაგვიანებას, დრამატურგი დიალექტური სიტყვებიდან მეტწილად ისეთ სიტყვებს არჩევს, რომლებიც საყოველთაოდ ხმარებული სიტყვებისაგან მარტო ფონეტიკური თავისებურებით გამოირჩევა.

ამ სხვადასხვაგვარ ლექსიკურ პლასტებს ლეონოვი გაბედულად იყენებს ჩვენი ეპოქის ამსახველ პიესებში. ამ მხრივ ე. ი. ლექსიკის მრავალფეროვნების მხრივ, მას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. ლექსიკური სიმდიდრით გამოირჩევა ლეონოვი სხვა თანამედროვე დრამატურგებისაგან, რომელთა ნაწარმოებებს ერთგვარი ენობრივი გაცვეთილობა და ერთფეროვნება ემჩნევათ: ლეონოვის დრამატურგიის ამ მხარეზე მიუთითებს ს. კრეჩანოვსკის პიესა „შემოსევს“ სტილის ანალიზისადმი მიძღვნილ წერილში. ის წერს:

„ჩვენს დროში დრამატურგია ზოგჯერ ისეთ ადამიანთა თავშესაფარია, რომელთაც მცირე და ღარიბი ლექსიკონი, სუსტად განვითარებული, განუშტოებელი და სიმკვეთრეს მოკლებული ფრაზოლოგია აქვთ. მოკლედ, — დრამატურგია გასდა უენო მწერლების თავშესაფარი. ვაგლახ, დრამატურგია ხანდახან შიშველი სიტუაციების პაწია სამყაროდ იქცევა ხოლმე, სადაც სიტყვები—უფერული და უგემურია, ნიშნები, წარწერები ისეთია, როგორც კასრზე: „ზევ-ქვევ“. ესაა და ეს. ლეონოვი ასეთი ტიპის საქმოსნურ ენას უარყოფს; მას ნელი, ხორკლიანი სიტყვები უყვარს. ასეთი სიტყვები უხვად მოეპოვება, რომლებიც ისე ეღვარებენ და ციმციმებენ, როგორც ალმასი რამპის შუქზე“¹.

გულმოდგინედ ეძებს და პოულობს დრამატურგი საჭირო სიტყვას: ხშირად, თითქმის ხმარებიდან გამოსული სიტყვები, სხვა სიტყვებთან შეპირისპირებულნი, ტექსტს განსაკუთრებულ ემოციურობას ანიჭებენ. არქაიზმები და ზოგიერთი მღაბიური სალაპარაკო სიტყვა ლეონოს იმისთვის სჭირდება, რომ პერსონაჟთა მეტყველებას განსაკუთრებული იერი და ელფერი მისცეს... თანამედროვე ენისათვის სრულიად უცხო არქაული სიტყვები ერთ შემთხვევაში ხელს უწყობენ ტექსტის ეპიკურ ჟღერადობას, მეორეში—პერსონაჟის დისკრედიტაციას და ა. შ. მაგრამ ავტორს ისინი არ შეაქვს ტექსტში, თუ მათ სპეციალური დანიშნულება არა აქვთ. ე. ი. ისინი არასოდეს არ არიან „ნეიტრალურნი“.

იგივე უნდა ითქვას კინობით სიტყვებზედაც, აგრეთვე სიტყვებზე გამაღიღებელი სუფიქსებით, რაც არანაკლებ დამახასიათებელია ლეონოვისათვის.

სიტყვის აღმოჩენა მთავარია ლეონოვისათვის, მუდმივი სწრაფვა მიაგნოს ექსპრესიულად შეფერადებულ ლექსიკას აიძულებს მას მოძებნოს ისეთი ჟღერადობის სიტყვები, რომლებსაც განსაკუთრებულ ექსპრესიულობას ანიჭებს ფიქტი ფონეტიკურს — არტიკულაციური სპეციფიკა. ასეთი სიტყვებია: *вразь, хлянь, брызня, чкнет, прочкнет, рьян, хвак, хвачок, пшик, опусканчик, взделся, возжги*. და სხვა მისთანანი. უფრო მოგვიანებით დაწერილ პიესებში ეს ტენდენცია შესამჩნევად სუსტდება.

¹ С. Д. Кржижановский. Стиль и склад пьесы Леонова Нашествие. Материалы к пьесе Леонова Нашествие, М. Всесоюзное управление по охране авторских прав, 1943, В. Т. О., Кабинет Горького и советской драматургии, стр. 30—41.

ლეონოვი არა მარტო ცალკეულ სიტყვებს, ხშირად მთელ ფრაზებს აგებს, იმ ვარაუდით, რომ განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე „Сиречь этокое рьян с двумя пулями“¹ — ამბობს ჩერვაკოვი მანიუკინის შესახებ; ან ფაიუნინის სახის გამოსაკვეთად მოტანილი ფრაზა: „...мен фаюнишский нежней, чем локоны Ланкло Ниноши...“² ამ ფრაზას ფაიუნინი წარმოთქვამს თავისი უმაღლესი დიდების მომენტში და შემდეგ იმეორებს ქალაქის თავის პოსტზე თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის დასასრულს „Не о фирме мечтаю. Не до локонов Ниноши“³.

ლეონოვის სიყვარული უჩვეულო ჟღერადობის სიტყვებისადმი სახელგანთქა და გვარების შერჩევაშიც ჩანს: ჩერვაკოვი, რედკოზუბოვი, აპპოლოსი, რაზდერიშინი, ბადადოშკინი, შტრუფი, სტრეკოპიტოვი, იროდი ანტონის ძე უნუსი და ა. შ. გარდა აზრობრივი დეტერთისა, რაც დრამატურგს აქვს მხედველობაში თავისი პერსონაჟებისათვის სახელების შერჩევის დროს, ისინი ყურადღებას იქცევენ თავისი ჟღერადობითაც.

ლეონოვის ენის ექსპრესიულობა იმდენად ძლიერია, რომ ხშირად სიტყვის მიღმა ექსტი გამოიცინობა; ეს „მეტყველების ექსტია“.

„...მიმოიხედე, თედო! რა მწუხარება მობობდავს ჩვენს მიწაზე. მრავალტანჯული რუსი დედაკაცი ტირის ტყეში დანთებულ კოკონთან... ბაღლებიც მასთან არიან, გაუღნითლინი ხანძრების კვამლით, რომელიც არასოდეს არ გაქარდება მათი სულიდან. იცი, რამდენმა მაგნაირმა ჭუჭყულამ გაიარა ჩემს ხელში?.. გუშინ, მაგალითად... (მან ხელი ჩაიქნია) ...ეჰ, გულის ტკივილი და მრისხანება მიბინდავს გონებას, ტკივილი და მრისხანება“⁴.

ამ ტექსტის თავსა და ბოლოში ვგრძნობთ ექსტს, რომელიც გამოხატავს ადამიანის უკიდურეს სასოწარკვეთილებას. ჩვენ შევიგრძნობთ მას თვით მეტყველებაში და ავტორის შენიშვნაც მხოლოდ ადასტურებს ამას. „მეტყველების ექსტი“ მოწმობს მეტყველების უაღრეს ექსპრესიულობასა და ემოციურობას, რომელიც ამ შემთხვევაში მიღწეულია სხვადასხვაგვარი ლექსიკური პლასტების შეზავებით. ისეთი კონტრასტების შეერთება-შეხამებამ, როგორც არის მდაბიური „русская баня“-ს (რუსი დედაკაცი) შეერთება ე. წ. მაღალი სტილის სიტყვასთან „огнище“ (კოკონი), კნინობითი-მოფერებითი სიტყვების „летишечки“-ს (ბაღლები), цыпчатки-ს (ჭუჭყლები) შერწყმა განმადიდებელი ფორმის სიტყვასთან „пожарище“, ტალანოვის მეტყველებას მგზნებარება და ცალა შემატა. მეტაფორა „горе то какое ползет“ და აგრეთვე ეპითეტი „многострадальная“ (მრავალტანჯული) რომლითაც ხაზგასმულია დატრიალებული საშინელი ამბების არაჩვეულებრივობა (სტირის რუსი დედაკაცი, რომელსაც, იმ მოსთვლის, რამდენი უზედურება უნახავს) თავის მხრივ ხელს უწყობს აღთქმის ემოციურობას.

სარგებლობს რა ლექსიკური კონტრასტების შეერთების ხერხით, ლეონოვი მეტყველებას სულ სხვადასხვაგვარ ჟღერადობას აძლევს, ხსნის მასში ადამიანური გრძნობების ვრცელ გამმას. ზოგჯერ ეს ირონიაა, რომელშიც გამოსჭვივის

¹ Л. Леонов, Унтиловск, Пьессы, 1935, М., ГИХЛ, стр. 91.

² Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 153.

³ Там же, стр. 188.

⁴ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч. т. V, 1915, М., ГИХЛ.

ნიშნარე, ტკივილი და შეურაცხყოფა. ასეთი ნოტები ხშირად ისმის თევდორეს ოპლიკებში, კერძოდ, მის პასუხში კოლესნიკოვის შენიშვნებზე „...რაა მერე, იმაში ცუდი, რომ შვილმა... ხანგრძლივი განშორების შემდეგ.. მამა მოინახულა“.

თევდორე ამბობს: „Ну, во-первых, сынок-то меченый. Таχρο-с! А во-вторых, прифронтовая полоса. Может он без пропуса за сто километров с поезда сошел да этак болотинками сюда... с тайными целями приблился?“¹.

ჩვენ აქ სამხედრო ტერმინების („ფრონტისპირა ზონა“, „საშვი“) გვერდით გვხვდება კინობითი ფორმის სიტყვები „сынок“, „болотники“ „этак“ მოძველებული და ბოლოს, პირფერულ-მამაებლური — с(сударь). სიტყვების ასეთი შეხამება, ერთად აღებული, თევდორეს ტონს ირონიულ ხასიათს აძლევს.

იგივე ირონია ელერს მის მეორე რეპლიკაში: „... Вот вы обронили давеча... что остаетесь в городе, Разумеется с группкой верных людей. Как говорится-добро пожаловать, немецкие друзья, на русскую рогатину. Пиф-паф!. Так вот, не хотите ли взять к себе в отряд одного такого... испривившегося человечка?“²

ამ რეპლიკაში ირონია გამოხატულია, უმეტესწილად, კინობითი ფორმის სიტყვებით (გუპიკა, ისპრивივისიჟი ჩელოვეჩკი, და აგრეთვე მოძველებული დავეჩა-თი). მაგრამ ამჯერად ირონიის მიღმა უფრო რთული გრძნობა იმალება. ავადმყოფური თავმოყვარეობა თევდორეს ნებას არ აძლევს ელაპარაკოს კოლესნიკოს თავის თავზე სერიოზული ტონით, რადგან წინასწარ გრძნობს, რომ უარს მიიღებს. მაგრამ კოლესნიკოვი ეუბნება „თუ გამოგიშვებს, ცხადია, საზოგადოება თქვენ კვლავ გენდობათ“. თევდორეს სურს ეს დაიჯეროს, ამავე დროს არც სჯერა. მაგრამ მისწრაფება შესწიროს თავი საერთო საქმეს. მას იმდენად დაუფლებია, რომ გადასწყვეტს სთხოვოს თავის თავზე, ნიღბავა რა ამასთან ირონიით გულწრფელობასა და თავისი მისწრაფების ძალას.

მეტყველების ექსპრესიულობაში, რომელიც სხვადასხვა ლექსიკური პლასტების შეერთების გზით არის გამოხატული, ჩვენ ვგრძნობთ ზოგჯერ გულიანწყრომის აფეთქებას, მრისხანებას. მაგალითისათვის შეგვიძლია დავიმოწმოთ კვლავ თევდორეს სიტყვები, რომლებშიც ამჯერად მისი ბუნებისათვის ჩვეული ენებიანობით, გადმონთხეულია აღშფოთების გრძნობა. „Справедливость? А к тебе самому справедливны они, которых ты лечил тридцать лет? Это ты первый, еще до знаменитостей, стал делать операции на сердце. Это ты, на свои кровные копейки, начинал поликлинику. Это ты стал принадлежностью города, коммунальным инвентарем, как его пожарная труба...“

...И вот нибелунги движутся на восток, ломая все. Людишки бегут, людишки отрезки вывозят и теток глухонемых. Так что же они тебя

¹ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, 1954, М., ГИХЛ, стр. 144.
² Там же, стр. 144.

забыли, старый лекарь, а? Выдь, встань на перекрестке, ухватиись за сундук с чужим барахлом: авось подсадят¹...”

აქ გვხვდება პროფესიული ტერმინები და გამოთქმებიც „პოლიკლინიკა“, „გულის ოპერაცია“, ისეთი სიტყვებიც, რომლებიც კანცელარულ სტილს უანლოვდება „კომუნალური ინვენტარი“ და ფრაზაც, რომელიც თითქმის ზემიურად, მაღალფარდოვნად ქდერს „ნიბელუნგები მოემართებიან აღმოსავლეთისაკენ, ამსხვრევენ და ანგრევენ ყველაფერს“; აქვეა მდაბიური და ყოფითი გამოთქმები: зачинал, кровные конейки, людвшки, тетки глухонемые, старый лекарь, выдь, авось, пожарная труба, отрезы, сундук, барахло და ა. შ.

ლექსიკური კონტრასტები გავრცელებული ზერხია ლენინის დრამატურგიაში; მის საშუალებით ენა ემოციურ შეფერადებას ღებულობს „...Я тоже не тую с мануфактурой и не произведение искусства. Я родился в этом городе. Я стал его принадлежностью... как его пожарная труба. И в степени этой необходимости вижу особую честь для себя“².

ტალანოვის ამ რეპლიკაში, რომელიც შეიცავს ლექსიკური შეფერილობის მიხედვით, ერთმანეთისაგან დაშორებულ გამოთქმებს, ქდერს საკუთარი ღირსების შეგნება.

პერსონაჟების მეტყველებაში გვხვდება უფრო შორეული შეთავსებანი. ასეა, მაგალითად, დემიდიენას რეპლიკაში, სადაც მეტყველების ბილინურა წყობა ძველი რუსული სიტყვებით ემეზობლება თანამედროვე სამხედრო ლექსიკას: „...Были у ней и братья, соколиной рати. Один-то убит, в десантной части. А другой и поныне бессонно бьется. Танкист он подмосквонный“³...

სიტყვების ასეთი გადაჯგუფების წყალობით იმ მოვლენას, რაზედაც აქ ლაპარაკია, ეპიკური ქდერადობა ენიჭება. წარმოთქმული სიტყვები აღიქმება, როგორც ხალხის ხმა. ამიტომ უადრესად ბილინური ფრაზა ტურკინისა Заступиися, мати, русская земля⁴, რომლითაც მთავრდება რიტმულად ორგანიზებული გრძელი პერიოდი, ამ ადამიანის ყველა უბედურების ჩამოთვლით (შეებში ჩაცმული ქალის სიტყვები), ასე ღრნა გამოძახილს პოულობს. სტილის მიხედვით ერთმანეთის სრულიად საპირისპირო სიტყვების მჭიდრო დაახლოებას ზოგჯერ დრამატურგი იყენებს საშუალებად დაამდაბლოს ან გააქარწყლოს მაღალი წარმოდგენა სავანზე და გვიჩვენოს იგი თავისი ნამდვილი სახით. ემოციუბით ბუსლოვის სიტყვებს: „Ну ясно, синод выиграл... как четыре маленьких собачки. Ну ясно растрюган попа. Поп пошел к архиепископу объясняться... Плешивый старичек, слыл за утопическую доброту! О, он еще верил в бога, этот дурашливый поп. Они говорили о смирении, и плешивый сказал: Если вселенские патриархи прикажут сжечь евангелие-сожгу. Тогда я плюнул ему в бороду и сказал: Вытри, хочу еще раз плюнуть... Старик был добр, но на пона донес. Тогда пона сослали не в монастырь, нет, а

¹ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, стр. 142.

² Там же, стр. 143 — 144.

³ Там же, стр. 168.

⁴ Там же, стр. 214.

в этукую зубную червоточину... в Утиловск, на пожрание дрянью сос-
лали его¹⁴.

აქ „სინოდი“ შეპირისპირებულია პატარა ფინებთან, „არქიელი“ წოდებულ-
ლა მელოტ ბერიკაცად. აქ ერთის მხრივ მოცემულია მთელი რიგი მაღალი სა-
ეკლესიო სლავური სიტყვებისა „სмирение“, „вселенские патриархи“ ხოლო
მეორე მხრივ ვულგარული გამოთქმები „плюнул в бороду“, „зубная червото-
чина“ „пожрание дрянью“ და ა. შ. ხალხური მდაბიური სიტყვები ისეა
შეპირისპირებული საეკლესიო სიტყვებთან, რომ სრულებით აქარწყლებენ
მათ მაღალ მნიშვნელობას და სახელს უტეხენ მათ. ასეთი მეტყველება ისმის
როგორც მრისხანე მხილება; მასში ჟღერს ტრაგიკული ნოტები. სხვადასხვა
სტილის სიტყვების დაახლოებით დრამატურგი ახერხებს გახსნას არა მარტო
მდგომარეობის ტრაგიაში, არამედ ამავე ხერხით მწერალი არანაკლები ოს-
ტატობით აღწევს ტექსტის კომიკურ ჟღერადობას. ასე, ახერხებს იგი, მაგალი-
თად, სახელი გაუტეხოს ვაქარს ბადალოშკინს („ბადალოშკინის მორჯულება“).

ლურჯსათვალეიანი მებატონე ბადალოშკინს თავის „არამქვეყნიურ ნივთს“
შესთავაზებს და ეუბნება: „...с твоими деньгами такой гранпасьянс можно
закатить, что зола с неба посыплется. Ты открываешь, скажем, кафе-
шантан, ты воздвигаешь себе памятник; в твою честь переименовывают
улицы. Проспект, скажем... как тебя зовут?

Бададошкин—Семен Егорыч.

Барин..... Проспект Семена Бададошкина. И на углу памятник,
вот как ты сейчас сидишь, только погрустнее... погрустнее, тор-
гаш. Великое всегда грустно!—

Симеона?... Ха, это почти гремит,—сим побелиши, мы их под но-
готь, с нами бог! Ты самую Россию покупаешь за четвертак... э, в пере-
носном смысле, разумеется. Ты ее покупаешь и устраиваешь огромный
банк. Ноги твои греются на Черном море, а голову охлаждает Ледовитый
океан. Англия юлит перед тобой... Францию ты кормишь из желетного
кармана, Испания... Э, Испания просто так! ...Гляди мне в лицо, Бада-
дошкин: ты будешь... (Никитаю, который сунулся в дверь) Пшшоа!.. Ты
будешь Минин наших дней².

აქ კომიზმს იწვევს მებატონის ყველა ამ დაპირების უნიადგობა და მომ-
ვევებითობა. იგი იქმნება ენობრივი საშუალებით, ლექსიკური პლასტების შე-
რევით, შეზავებით ფრაზაში, სადაც გვხვდება მდაბიური სიტყვები „закатить“,
„посыплется“ ჩართულია-ფრანგული „გრანპასიანსი“. ვულგარულად მეღერ
სიტყვას „кафешантанს“ ავტორი ათავსებს მაღალი სტილის სიტყვასთან
„памятник“- თან ერთად, რომელსაც გვერდში უზის საეკლესიო-სლავური
„воздвигнешь“ შემდეგ მოდის, სტილის მიხედვით, კონტრასტული სიტყვა
„торгаш“ ძველსლავურ ფრაზას „сим побелиши“-თან ახლავს მდაბიური
გამოთქმები და შორისდებულები. ყოველივე ეს წყდება უხეში შეძახილით,
რომელსაც ხელი არ შეუშლია მოლაპარაკისათვის დაესრულებინა თა-

¹ Л. Леонов, Утиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 103 — 104.

² Л. Леонов, Усмирение Бададошкина, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 249—250

ვისი ტირადა მაღალ სტილში. გარდა წმინდა ლექსიკურ საშუალებებისა, ტექსტის კომიკურ ელერადობას ჰიპერბოლაც აღრმავეებს.

სხვადასხვა ლექსიკური შრეების ურთიერთში შერევა და პერსონაჟის მიერ ხელოვნური, საგანგებო გამოთქმების ხმარება თავისებური ენობრივი გროტესკის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს ენობრივი გროტესკი შეესაბამება წარმოსახული ხასიათების ფსიქოლოგიურ სირთულეს წინააღმდეგობრიობას. აძლევს მეტყველებას ამაღლებულ ექსპრესივობას, ასრულებს, როგორც ტრაგიკულ, ისე კომიკურ ფუნქციას.

თუ ენის თავისებურებებს ჩვეულებრივად, ნათლად დავინახავთ რომ ლენონოვი ეძებს სიტყვას არა მარტო ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. ლენონოვისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ამ თვისების გარდა, არანაკლებ არსებითია მეორე მხარეც, რომელიც ყველაზე უშუალოდ არის დაკავშირებული მისი პირობების ფსიქოლოგიურ ხასიათთან, დრამატურაგის მუდმივ სწრაფვასთან. გიგინენოს გმირი შიგნიდან, გახსნას მისი სულის არსი. ის ეძებს სიტყვას, რომელსაც უაღრესი სისავსით და სიზუსტით უნდა დაგვანახოს ზედაპირიდან შორს და ღრმად მდებარე საგნები, მათი ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისებები.

ავტორის მისწრაფებას, რაც შიიძლია სრულად თახატოს გმირის შინაგანი სამყარო, ექვემდებარება ზოგიერთ შემთხვევაში პერსონაჟის ენობრივი დახასიათება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლაპარაკის მანერა და ლექსიკური მასალის შერჩევა, არა ის, რას ლაპარაკობს, პერსონაჟი, არამედ როგორ ლაპარაკობს.

პერსონაჟთა ინდივიდუალიზებული ენა, ჩვეულებრივ, გმირის სოციალური დახასიათების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, ასევეა ლენონოვთანაც. ლენონოვის პერსონაჟთა მეტყველებაში ყოველთვის მოცემულია გმირის სოციალური სახე.

თევზით მოვაჭრის ვაჟის-ნიკიტაის მთელი არსება გაჟღერებულია ამ აშშორებული ატმოსფეროთი, რომელშიც ვაჭრუკანა-ნეპმანები ფუსფუსებენ. ამიტომ მის თავში არ შეიძლება აღმოცენდეს ისეთი წარმოდგენები და სახეები, რომლებიც მისი სამყაროს ფარგლებს შორდებთან.

„Сердце не рыба, сердце не понюхает“¹... „Рыба не человек: полежит-полежит да и обидится“²—ასეთია ნიკიტაის გამოთქმები.

რაზდერიშინის—„ჩვენი ღროის ახალგაზრდა ვაჭრის“—სიტყვას ასეთივე ბაზრის ტონი ახასიათებს.

„ასეთი კაზუსის ღროს სჯობს დაამწნილო შენი შეხედულებები და უკეთ შენახვის მიზნით საკუჭნაოში დასდო...“³—ამბობს ის. მაგრამ გარდა სოციალური, საზოგადოებრივი არსისა, გმირის მეტყველებით ლენონოვი გვიჩვენებს მის ინტელექტურ დონეს, გმირის ინტელექტის მთავარ თვისებას.

ეს ყველაზე უფრო შესამჩნევია ფაიუნინის მეტყველებაში. როგორც ცნობილია, მისი მეტყველებისთვის დამახასიათებელია ეკლესიურ-სლავური სიტყვები და გამოთქმები. ამასთან, საალერსო ინტონაციაც, რომელსაც წარმოშობს სიტყვების ხშირი ხმარება კნინობით ფორმაში. მაგრამ ლაპარაკის ეს მანერა ვერ კიდევ არ გამოდგება საკმაო საფუძვლად იმისათვის, რომ გამოიტანო დასკვნა ფაიუნინის სიყალბისა და ორპირობის შესახებ.

¹ Л. Леонов, Усмирение Бададошкина, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 239.

² Там же, стр. 237.

³ Л. Леонов, Провинциальная история, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 174.



ეს დასკვნა გამოგვეყავს მაშინ, როცა ვრწმუნდებით, რომ სწორედ ნამდვილ ფაიუნის არ შეეხება ლაპარაკის ასეთი მანერა: რომ ამ მანერას იგი იყენებს, როგორც ნიღაბს, რომლითაც სიფრთხილის მოსაზრებით მალავს თავის გაბორტებას და საზეიმო განწყობილებას. ფაიუნის ნამდვილი სიტყვა ჩვენ მხოლოდ ხანგამოშვებით გვესმის იმ მომენტებში, როცა ფაიუნის შეიპყრობს არჩევულებრივი ძალის რაიმე აღტყინება.

ფაიუნის მუღმივ (მაგრამ არა ნამდვილს) სალაპარაკო მანერას წარმოადგენს ის მანერა, რომლითაც იგი ტალანოვთან ლაპარაკობს თავის გამოსვლის მომენტში: „...Вот креслице стоят, мякенькое... и креслице снилось не раз. На нем еще подпальника снизу есть...“

Сон был такой: колечко закатилось, а дворник свечку под низ и поставь...“

Давай взглянем, Иван Тихонович. Подержи-ка батажок мой, хозяйюшка...¹

ერთის შეხედვით, თითქოს ფაიუნის არ შეუძლია ლაპარაკი, თუ სიტყვის კინობით ფორმას არ მიმართა, მაგრამ ეს ასე როდია. იგი მოიცავს საკუთარი პერსონისადმი პატივისცემის გრძნობამ, და ფაიუნისაც ალაპარაკდა ნამდვილად, ამ სიტყვების გამოუყენებლად.

„...Тебя, дочка, еще на свете не было, а вещь эта уже в конторе у Николая Сергеевича Факинина стояла“².

ასეთივე ცვლილება ხდება მის მეტყველებაში, როცა ის მიესალმება მასთან შინ მისულ გერმანელ კომენდანტს ვიბელს. „Рад приветствовать в собственном доме, где познал жизнь и сам родил сына моего, павшего в беззаветном бою с коммунизмом“³.

ფაიუნის ძალიან კარგად ესმის მომენტის პასუხისმგებლობა. ის ღელავს, მით უმეტეს, რომ ამ ვიზიტისგან მოელის ზოგიერთ უსიამოვნებას თავისი თავისათვის. ამიტომ ფაიუნინი სერიოზულია, მანჭვავრებისათვის არ სცალია.

თავისი ნამდვილი ხმით მოლაპარაკე ფაუნის ვხვდებით კვლავ კოკორიშკინთან საუბარში, როცა გულახდილობის წუთიერი აღტყინების დროს თავის ექვებს გამოთქვამს „...Москочес и́йот ხომ კიდევ ვოლგაა. ხოლო იმას იქით ურალია, თოვლის ქურქში გახვეული, იმაზე შორს — ციმბირი, უზარმაზარი მდინარეებითა და ტყეებით. ხოლო მის იქით, არავინ იცის, რაა! მარტო ჩრდილოეთის ციალია... რუსეთი, ეს ძმობილო, ისეთი ქადაა, რომელსაც რაც მეტსა სკამ, შესაქმელი მით უფრო მეტი გრჩება“⁴.

მაგრამ აღტყინებამ გაიარა და ფაიუნინი ისევ თავის ნიღაბს იფარებს და სიტყვას უკვე ჩვეულებრივი მანერით განაგრძობს: „ты выуды адресок-то и обманн“⁵.

ყველაზე ნათლად მწერლის მისწრაფებაა მოძებნოს ისეთი სიტყვა, რომელიც უფრო მარჯვედ, სრულად და მეტყველად გადმოგვცემს ძირითადად, საგნის ყველაზე შინაგან თვისებას, განსაკუთრებით იგრძნობა ეპითეტების შერჩევაში.

¹ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 148—149.

² Там же, стр. 149.

³ Там же, стр. 156.

⁴ Там же, стр. 172.

⁵ Там же.

ლონოვის ეპითეტები თითქმის ყოველთვის განსაზღვრავენ არა გარეგან, არამედ შინაგან თვისებებს. „...Парень со всячинкой, но гордый... и наш...“¹ თვედორეს შესახებ ნათქვამია: დაღვრემილი, უნიჭო, მწარე, უკმეხი, გაათობებული. — „...сын-го решительный“² — ამბობს მაკაევევი იურის შესახებ.

„...Вы кроткий, Ирод“³. ეს ეპითეტები საგანგებო კომენტარებს არ საჭიროებს. მათში ხაზი ესმება გვირის ხასიათის იმ ძირითად თვისებებს, რომლებიც გამოარჩევს მას საერთო გარემოდან.

„...У Остаева глаз ясный. У Андрея Остаева сквозь глаза сердце видать“⁴.

„Злая, самая злая на свете! Смотрите, какое у ней старое, опытное, какое у нее черное лицо...“⁵

„...Тут видна старая, опытная рука...“⁶ ლაბარაკია კონსტანციის შესახებ. „...разве мало ему Лилианы чтобы на мне изучать темные людские болезни“...⁷

„ნათელი თვალი“, „ბებერი, გამოცდილი, შავი სახე“, „მოხუცის გამოცდილი ხელი“, ეს ეპითეტები, გადატანითი, გაფართოებული მნიშვნელობის წყალობით, ახასიათებენ საგნების არა მარტო გარეგნულ მხარეს, ისინი არკვევენ აგრეთვე პერსონაჟის შინაგან არსს. „Темные людские болезни“ ამ მაგალითში ეპითეტი „Темные“ გამოიარჩევა არა საკუთრივ საგნის ჩვეულებრივ თვისებას, არამედ ვიჩვენებს საგანს ისე, როგორც იგი აღიქმება, თუ მხედველობაში ვიქონიებთ მის ემოციურ შეფასებას.

„Мама, кто этот пыльный человек в панином пиджаке?“⁸

ეპითეტი „пыльный“ პილიევის მორალური სახის ხატოვანი განსაზღვრა.

„А ведь это вы научили меня любить науку, работу, жизнь. И, главное, видеть то, что спрятано от неумелых глаз“⁹.

ამ კონტექსტში „неумелые глаза“ ნიშნავს თითქმის იმას, რასაც უგზრძნობელი გული, ე. ი. აღნიშნავს ადამიანის შინაგან თვისებას.

„Да они уже в машине, вещи-то. Корзиночка небольшая да сундучок такой... печальный...“¹⁰

„Печальный сундучок“ უბრალოდ პატარა ანუ იაფფასიანი ზანდუკი როდია. ამ ეპითეტის საშუალებით ფაქტში ფსიქოლოგიური დინამიკა ექვლევა თვით ზანდუკის პატრონ ქალს („ნაღვლიანი“ აქ საცოდავის აზროთაა ხმარებული).

¹ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 247.

² Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 337.

³ Там же.

⁴ Л. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 454.

⁵ Л. Леонов, Обыкновенный человек, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр.

558.

⁶ Там же, стр. 568.

⁷ Там же, стр. 560.

⁸ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 357.

⁹ Там же, стр. 341.

¹⁰ Л. Леонов, Обыкновенный человек, Собр. соч., т. III, стр. 508.

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან სჩანს, ეპითეტები ლეონოვის პიესებში ყოველთვის ექვემდებარებიან ფსიქოლოგიური ანალიზის ამოცანას და გადაყვევართ ემოციური შეფასების სფეროში.

რემარკებში ჩართულნიც-კი, ისინი, ემსახურებიან იმავე მიზანს—გამახვილონ ყურადღება პერსონაჟის შინაგან მდგომარეობაზე. ამიტომ ძალიან ხშირად, რემარკისათვის ჩვეული შენიშვნების გვერდით, ლეონოვი იძლევა მითითებებს, რომელთაც ფსიქოლოგიური კომენტარის ხასიათი აქვთ, და ამასთან მას (კომენტარს) სახოვან მხატვრულ ფორმას ანიჭებენ.

„Илья молчит, точно ему не под силу сдвинуть первое, чуждое слово своего рассказа“¹. ცოტა ქვემოთ მოცემულია რემარკა დრაკინის რკულიკის გამო: „ის შეპყურებს შვილს ჩაკიკიტებით, იმ განზრახვით, რომ სულში რაღაც თავისი ჩაუდგას და, თითქოს შეეშინდა თავისივე გამოსახულებისა. რომელიც ამ მოჭუტულ ჭაობის ტბებში, წამწამების წითური ისლით შემოქობილ ტბებში დაინახა, ილია შიშით მამას განზე გაუხტა“².

რემარკაში ანისკას სიტყვებზე „ზღაპარი მიაძებე... ბებიკო“. — ლეონოვი შენიშნავს, რომ ამ სიტყვებს იგი წარმოთქვამს „მოცახცახე, მოგიზგიზე ხმით“³.

„თუჯივით სიტყვა“, „მოგიზგიზე ხმით“ — ეს ეპითეტები, აგრეთვე, გაშლილი მეტაფორული ეპითეტი „მოჭუტული ჭაობის ტბები“, რომლებიც შემოქობილია „წამწამების წითური ისლით“, დასჭირდა დრამატურგს იმისათვის, რომ შეექმნა, რაც შეიძლება მეტი განწყობილება, რომლის დახმარებით ფსიქიური მდგომარეობა უაღრესი სავსით და სიმათლით იქნება გახსნილი.

გაშლილი ეპითეტი, მეტაფორაში ან შედარებაში გადასული, და ორგანულად ჩაქსოვილი ავტორისეულ კომენტარებში, ჩართავს ხოლმე რემარკას დრამატურგიული ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

„...Устремив голубые, точно утро в лесной чаще, глаза куда-то в матицу, он как бы слушает птиц милой родины...“⁴ 4. წერს ავტორი მოხუცი ტურკინის შესახებ.

ღრმა და რთული განცდებით, რომლებიც გვირის სულიერ მდგომარეობას ძლივს შესამჩნევად ელფერით მოსაყენ, ელფერით, რომელიც ყოველთვის არ შეიძლება ჩაისვას ერთ განსაზღვრულ სიტყვაში, დრამატურგს ნებას არ აძლევს უბრალო ეპითეტი შემოიზღუდოს.

ამ შემთხვევაში ლეონოვი მიმართავს გაშლილ ეპითეტს, ე. ი ისეთ ეპითეტს, რომელიც მეტაფორაში ან შედარებაში გადადის.

„Ты грустный сегодня, Маккавеев. И брови сухие, как осенняя трава“⁵. ეპითეტი „მოწყენილი“ განსაზღვრავს მაკავეევის განწყობილებას, მაგრამ ეს ცოტაა.—საჭიროა აჩვენო, რამ წარმოშვა ეს მოწყენილობა, როგორია მისი ბუნება. მეორე ეპითეტი „ხმელი წარბები“ მის მომდევნო შედარებასთან ერთად, სწორედ ის დეტალია, რომელიც სახოვანი ფორმით ხსნის ამ მოწყენილობის ხასიათს, მიზეზს. „Сухие брови“—ეს ეპითეტი თმცა გვირის გარეგან თავისებებს ვადმოგვიყვამს, მაგრამ სინამდვილეში არის არა გარეგნული ნიშანი, არამედ ღრმად შინაგანი, და გამოხატავს სიცოცხლის ენერჯის იმ დაქვეითებას, რომელიც მაკავეევა იგრძნო. ეს არის ჭკნობის დრო, რაც სვედიან განწყობილებას უქმნის მაკავეევის.

¹ А. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 250.

² Там же, стр. 251.

³ А. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 167.

⁴ А. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 312.

⁵ А. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 366.

შემთხვევითი როდია, რომ ამ სიტყვებს მაშა წარმოთქვამს მაკავეციის რეპლიკის შემდეგ:—„დაიხ, დაბერდა მაკავეცი, დაბერდა; მე ახლა თითქოს ვაგზალზე ვიყო, სამგზავროდ გამზადებული. ნუ მიმაცილებთ, ნუ მიქნევთ კარტუზებს, ნუ...“¹.

აი, რატომ არ ვიზიარებთ კრიტიკოს მ. ლევიდოვის აზრს, თითქოს მაშას ეს ფრაზა, „ყურს ეხამუშება... ეს ფრაზა არ სჭირდება, არც მაკავეციეს, არც მაშას; იგი მხოლოდ ლეონოვისათვისაა საჭირო“.—წერს კრიტიკოსი. ლევიდოვი ამბობს: „გაურბის რა ნატურალიზმს, ყოფითობას, ილუსტრატორობას, ლეონოვი ...ექვევა ყალბი სიმბოლიკის, ფსევდომნიშვნელოვანობის ხელოვნური ხაზგასმის ხაფანგში“².

ჩვენ გვგონია, რომ ლეონოვის საზოგადოებრივი სისტემისათვის შეიძლება ყალბი გვერდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი იგი ხელს არ შეუწყობდა იდეების და ხასიათების უფრო ღრმა აღქმას. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ მწერლის ყველა მხატვრული საშუალება მიმართულია იმისაკენ, რომ ტექსტმა, რაც შეიძლება დიდი ემოციური ელერადობა მიიღოს, გააძლიეროს თავისი ზემოქმედება. დრამატურგი წარმატებით აღწევს ამ მიზანს.

ეპითეტისა და მეტაფორის მჭიდრო შერწყმა, ასევე მეტაფორული ეპითეტები ხანდახან უსულო საგნებსაც კი აძლევენ ცოცხალ არსებათა თვისებებს. სწორედ ამ საგნებს გმირის სულიერი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებად.

„Уж двадцать лет, а как вчера!... Кажется закрыть глаза, и снова будет вечер, и песня, и молодость, и тачанки гремят в степи, и этот дом расстрелянный, точно на колено припал...“³ ინტონაციაზე ვაძვრებით, რომ ეპითეტით „გასულიერებული“ საგანი მოლაპარაკის მოძულე არ ყოფილა. მათი ურთიერთობის ხასიათში, მათს ურთიერთთანაგრძნობაში ჩვენ ვვლდებით გმირის თვისობრივ შეფასებას.

„Странствую, как Лазарь... в пеленах, в коих был схоронен. И, эва, плита гроба моего еще глядят мне вслед (И случя палкой, таким обострившимся взором уставился в угол, что все невольно покосились туда же). Чего, чего чресла-то разверла, вдовица каменная“⁴!

ეს მაგალითი პირველის ანალოგიურია. მაგრამ მასში მოცემულია გმირის უარყოფითი შეფასება უსულო საგანთან გმირის დამოკიდებულების მიხედვით. ფაუნინი თავის სახლს „ქვის ქვირის“ ეძახის. ეპითეტი „каменная“ გამოხატავს არა საგნის გარეგან ნიშანს (არა იმას, რომ სახლი ქვის მასალისაგანაა აშენებული), აქ „каменная“ ნიშნავს იმას, რომ სახლი ფაუნინის ბედსადმი უგრძობელი და გულცივია. ამრიგად, ამკერადაც ეპითეტით გამოყოფილი და ხაზგასმულია გმირის შინაგანი თვისება.

ზოგიერთი ეპითეტი განზოგადების, გაფართოებისა და არაერთგზის განმეორების შედეგად, სიმბოლოურ მნიშვნელობას ღებულობს. ასეთებს მიეკუთვნება ეპითეტი „завтрашний“ (ხვალინდელი) და „во весь рост“, რომლებშიაც ახალი ეპოქის ადამიანის დამახასიათებელი ყველა საუკეთესო მორალური თვისება მოცემულია ერთობლივად. გამაერთიანებელ ერთ სიტყვაში.

¹ А. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 366.

² М. Левилов, Дом и сады. Литературный критик, 1938, № 6, стр. 10—13.

³ А. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1935, стр. 335.

⁴ А. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 148.



„Буду пить это за всех дочек, которые станут рожать нас, завтрашних...“¹

ეპითეტი „ხვალინდელები“ შეიცავს ყოველივე საუკეთესოს, რაც კი შეიძლება ადამიანის შესახებ ითქვას. ასეა მაგალითშიც:

„Яблоко от завтра должно быть слаше, чем от вчера“². სხვათაგანად აღიქმება: „Мы не знаем, как выглядит завтрашний Остаев“³. მოცემულ მაგალითში ეპითეტს „ხვალინდელს“ აქვს დროებითი და არათვისობრივი მნიშვნელობა. იგი კარგავს იმ ფართო აზრს, რასაც შეიცავს პირველი ორი მაგალითი.

„Уж скоро, очень скоро изобретут лекарство от всего... И я его выпью, и все во мне обуглится... И встану во весь рост, седьмой Макавеев“⁴.

„Их много, нас больше. Это Васька сказал перед отъездом... Потом встал, и почему-то в тот раз он мне показался громадного роста“⁵.

„А этот русский, во весь рост король“⁶.

„...Давай, папаша. Пора тебе, пора. Встань во весь рост перед людьми“⁷!

ადამიანი მთელი ტანით გამართულად მდგარი ან გამართულად მიმავალი ნამდვილი ადამიანის სიმბოლოა, იმ ადამიანისა, რომელსაც მთელი თავისი დევ-გმირული ძალა გაუშლია. ეს სახე ლეონოვის მრავალ თხზულებაშია მოცემული: „ლიონუსკა“, „პოლოვჩანის ბაღები“, „შემოსევა“.

აგტორი ფართოდ იყენებს მეტაფორას და შედარებას პორტრეტული დახასიათების დროს—რემარკებში და პერსონაჟთა მეტყველებაში— „Почернела вся, точно молоньей обожгло“⁸.

„Офицер один боле всех зверовал, белокрысыи ровнио дым, а хроменький“⁹;

მოქმედების დახასიათებლად:

„...А как ты часового-то задушила:... Я тебя и не признала тогда...

Словно рысь кинулась“¹⁰...

ხოლო მდგომარეობის დახასიათებისას:

„...Мужики-то как порох стали, только спичку поднести“¹¹.

მეტაფორის მეოხებით ლეონოვი ხშირად აჯამებს გმირის განვლილ ვზას.

მაკავევის შესახებ ნათქვამია: „...მიაბიჯებს და ირგვლივ ყველაფერი ჰყვავის: ბაღი, ვაყები, თვით ქვებიც კი, რომლებზედაც ის მიაბიჯებს...“¹²

¹ Л. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 426.

² Л. Леонов Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 378.

³ Л. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1935, стр. 431.

⁴ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 384.

⁵ Там же, стр. 407.

⁶ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 305.

⁷ Там же, стр. 218.

⁸ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 346.

⁹ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 152.

¹⁰ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 226.

¹¹ Л. Леонов, Нашествие, т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 161.

¹² Л. Леонов, Половчанские сады, т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 358.

დახედავს რა თავის ხელებს, მაკავეფე იტყვის: „აი, როგორია, დაკორძილი, შავი, ძარღვიანი“. შვილი უბასუხებს: „მამ, მიწაში ჰქონდა ჩარგული, და იქიდან ბალი აღმოცენდა...“¹.

მაგრამ ძირითადად მეტაფორებს ბადებს დრამატურგის მუდმივი მისწრაფება ფართო განზოგადებისაკენ. პერსონაჟთა ენა სავსეა უხვი შედარებებითა და მეტაფორებით, რომლებიც არკვევენ და ხსნიან მათ შეხედულებებს და დამოკიდებულებას ადამიანებთან, მოვლენებთან, თვით ცხოვრებასთან, მათ ადგილს ამ ცხოვრებაში. ასეთ შემთხვევაში მეტაფორული სახე სიმბოლოდ იქცევა ხოლმე.

ოტშელნიკოვი: ...მე მხოლოდ ნაკრტენი ვარ უზარმაზარი ფრინველის ფრთაში.

მამა. თქვენ კარგად თქვით ნაკრტენი ჩვენი უზარმაზარი ფრინველის ფრთაში...²;

„ლენა: მივდივარ, ტყე კი ხმაურობს... ისე მრისხანედ, თითქოს მუშტი აღუმართავს ჩემს თავზე³.

ჩერიმოვი: ...შენ იქ ნახავ გასაოცარ მოდგმას... ჩაიხედავ ბრძმედში, სადაც სამყაროს ხვალინდელი დღე იწრთობა...⁴.

სერჟანტი—აბა, კარგად დაუკვირდი (აკაუნებს ხელს ტემნიკოვს მკერდზე) გესმის, ისე ჟღერს, როგორც ფოლადი. ეს ადამიანი და ტანკი ერთ მარტენშია ჩამოსხმული...⁵.

აგზავნის რა დონკას ექიმთან, სერჟანტი მას ტემნიკოვის შესახებ ეუბნება: „... გახსოვდეს: შენ გაბარია რუსეთის დიდება“⁶;

ამ მეტაფორებში ჩვენს წინაშე აღიმართება სიმბოლიური სახე სამშობლო-ფრინველისა, ხალხისა, რომელმაც მრისხანედ შემართა მტრის თავზე მუშტი. ჩვენი საბჭოთა სინამდვილისა, რომელშიაც ისე, როგორც ბრძმედებსა და მარტენებში იწრთობიან ადამიანები—გმირები და, ბოლოს, თვით ადამიანი—დიდი მანქანის პატარა ხრახნი—„ნაკრტენი ჩვენი უზარმაზარი ფრინველის ფრთაში“. მაგრამ მაინც სიამაყე და დიდება რუსეთისა.

სხვა რიგი მეტაფორებისა ხსნის წარსულში გადასულ ადამიანთა შეხედულებებს. მათს წარმოდგენებში იბადებიან „ავღრიანი ღამეების“, „გრიგალში მოხვედრილ ადამიანთა“ პესიმისტური სახეები.

„В непогодную ночь мы с тобою встрепенулись. Какие деревья-то ветер ломит, оглянись. И мы с тобой в обнимку рухнем, посередь людского бурелому“⁷....ეუბნება ფაიუნინი კოლესნიკოვს.

„ღამის“ სახე, რომელიც გამოუვალობისა და ცხოვრების უპერსპექტივობის სიმბოლოს წარმოადგენს, გვხვდება ჯერ კიდევ ლეონოვის „მაჩვებში“. „ცხოვრებაში, ძმობილო მუდამ ღამეა...“⁸—ეუბნება ბიხალოვი პეტრეს. შემდეგ „პროვინციულ ისტორიაში“⁹ ანდრეი პუსტინოვი წარმოთქვამს სიტყვებს, რომ-

¹ Л. Леонов, Половчанские сады, т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 403.

² Там же, стр. 393.

³ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 207.

⁴ Л. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1953, стр. 300.

⁵ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 223.

⁶ Там же, стр. 237.

⁷ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 188.

⁸ Л. Леонов, Барсуки, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 24.

ლებშიც გაისმის მისი განაჩენი საკუთარ თავზე: „ღამემ, დედავ, მე გზაში მომისწრო, იაკობმა კი მოასწრო გზის გავლა...“¹.

თავისი ჟღერადობით ამ სახესთან ახლოა პილიაევის სიტყვები: „ნიაღვარი. ვაი იმას, ვისაც იგი ველზე მოუსწრებს...-ჩაიქაქანა პილიაევმა...“²

„ღამის“ სახე გამორჩდება ხოლმე მაკავეევის გვერდითაც, რაც ხსნის აღსასრულის სიახლოვის შეგრძნებით გამოწვეულ მის მიმზე სულიერ მდგომარეობას.

არსენიის წარმოდგენაში იბადება სახე „სისხლიანი მადნისა“, უხატავს რა მამას საბჭოთა სინამდვილის სურათს, იგი წარმოუდგენს მას, როგორც რაღაც საშინელ რამეს: „...შენ ერთი ჩამოდი მაგ ტყავის სავარძლიდან, ძირს, ჩვენთან, ამ უფერულ დღეებში, ამ ქვაფენილზე, ამ ტალახში, ამ გათხრილ კარიერებზე, ამ ჩვენს ფარდალა ტილიან ბარაკებში... ჩაყურყუმალდი, ჩაყურყუმალდი შიგ... თვალები შიშისა და სიბრალულისაგან წამოგკვივა... ეხ, განა ღირს ტონობით აღწო ეს სისხლიანი მადანი, რომ განაღწო ერთი გრამი გაუგონარი, ვაცისკოვნებული შენი ლითონისა?...“³.

თავის განწირულობის ქვეცნობიერი გრძნობა ხელს უშლის ამ ადამიანებს ნამდვილად დაინახონ ცხოვრება ისე, როგორც არის. მათ შიში აბრმავეებს. „...აღარ ხარ შენ, ფაიუნინ .ომის ქარმა, მყრალი მტერის ბულმა აგიტაცა...“⁴.

ეს მეტაფორა არკვევს ფაიუნინის ადგილს ცხოვრებაში. რამდენადმე იგივე ითქმის არსენიის, ლუკას და ჩერვაკოვის შესახებაც.

მეტაფორული სახე მისი გამაფართოებელი მნიშვნელობით ლეონოვის მხატვრულ საშუალებათა არსენალის ერთი იმ კომპონენტთაგანია, რომელთა დახმარებით იგი თავის პიესებს აძლევს ფილოსოფიურ გააზრებასა და პათეტიკურ ჟღერადობას. მაგრამ არა მარტო მეტაფორები შეიცავს სიმბოლიურ სახეებს, ხშირად უბრალო სიტყვა ანუ ფრაზა, რომელიც რომელიმე გარკვეულ საყოფაცხოვრებო საგანსა ანუ კონკრეტულ მოვლენას აღნიშნავს, ჰკარგავს თავის პირვანდელ მნიშვნელობას და ახალი განსაკუთრებული შინაარსით ივსება.

არსენიის, პეტრიგინის, ჩერვაკოვის, ფაუნინის, ლუკას, პილიაევისა და სხვა ტიპის ადამიანთა არსებობის მოჩვენებითობა ზოგჯერ სწორედ ასეთ უბრალო სიტყვაში იხსნება.

არსენი ამბობს: „რატომღაც მცივა და სიცალიერეს ვგრძნობ, თითქოს მკვდარი ვიყო“⁵.

„...ჩაირხრისხა პილიაევმა, და უკან კვალიც არ დარჩა, როგორც წყლის ზედაპირზე არ რჩება მკვდრის ნაკვალევი...“⁶.

„...პილიაევი წაიყვანეს ისეთ ადგილს, საიდანაც უკან ცოცხალი არავინ ბრუნდება... და მეც საშინელმა გრძნობამ შემიპყრო იმის მოლოდინში, რომ მოვა კაცი, რომელიც ერთხელ უკვე მოკვდა“⁷.

ამ მაგალითების მიხედვით ქარაგმული აზრი სიტყვაში როდია ჩადებული, ხოლო თვისობრივი შეფასება პერსონაჟისა მოცემულია შედარების საშუალებით.

¹ Л. Леонов, Провинциальная история, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 209.

² Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, ГИХЛ, 1953, стр. 404.

³ Л. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 301—302.

⁴ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954.

⁵ Л. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 291.

⁶ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 404.

⁷ Там же, стр. 361.

ბით, სხვა შემთხვევებში იგი შეიცავს უფრო ვრცელ მნიშვნელობას და ალგორითის ხასიათს ღებულობს.

„ჩერიმოვი. მამაშენი დიდ გზაზე მიაბიჯებს... მაგრამ მას, თავიცი ელექტრონების გარდა, არაფერი ემარჯვება და აი, მის გზაზე, შლაგბაუმივით ამართულან ძველი ჩვევები, შვილისადმი სიბრალული... მაგრამ ჩვენ მისი გზიდან აღვევით ყველაფერს, რაც ხელს უშლის ცოცხალს სძლიოს მკვდარი...“¹.

„ანა ივ-ასული. სულ ირგვლოვ დადის, ვილაცას ეძებს... მე სულ მეჩვენება, აგერ კაოები ჩამოინგრევა და მთელი სასაფლაოს მკვიდრნი აქ შემოიჭრებიან. ბიჭებო, არ შემოუშვათ ისინი“². აუწყებს რა სკულტარეცის შტრუფის მოსვლას, ღუნიაშა უწოდებს შტრუფს „ტრუპს“ (გვამს)³. დასასრულს, „შემოსევაში“ კოლესნიკოვი ამბობს: „აქ ხმაური ატყდება, — მკვდრები დაიწყებენ გაცოკხლებას“⁴.

დრამატურგს ემარჯვება მისცეს ტექსტს გაფართოებული მნიშვნელობა. ვადიკვიანოს იგი სულ სხვა პლანში ისეთი სიტყვის დახმარებით, რომელიც ჩვენ საჭირო ასოციაციას აღვეძირავს. გარკვეული ასოციაციების გამომწვევი სიტყვის შემწეობით ასეთი გაფართოებული მნიშვნელობა ეძლევა მკაცრების პატაქს საბჭოთა მეურნეობის მუშაობის შესახებ.

იმის გამო, რომ პატაქში ლაპარაკია „ოქტომბრის წლის“ შესახებ, პატაქი აღიქმება უმთავრესად, როგორც სწორედ ოქტომბრის წელს დაარსებული ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს განვლილი გზის შეჯამება.

„... ამრიგად, — კარნახობს მკაცრები — ...საბჭოთა მეურნეობა, შექმნილი ოქტომბრის წელს პოლოვჩანის უსიციოცხლო თინარ მიწაზე, ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების ნებით...“⁵.

ეს ფრაზა, რომლითაც ანგარიში მთავრდება, ცვლის ყველაფერს, რაც ითქვა საბჭოთა მეურნეობის მიღწევებზე. იმ ვიწრო კონკრეტულ აზრს, რომელიც ჩადებული იყო ანგარიშში, ცვლის უფრო ღრმა იდეების შემცველი სახე — სამშობლოს სახე.

პოლოვჩანის ბალები ხდება ყოველივე იმ ნათელი და სასიხარულო მოვლენების სიმბოლურ სახედ, რაც დაკავშირებულია ჩვენი სამშობლოს სახელთან; მათში განსახიერებულია ცხოვრება, რომელიც ჰყვავის და საესეა მზაური სითბოთი და სურნელებით.

ლეონოვი ამ მეტაფორას ამატერიალურებს, შეჰყავს იგი მოქმედებაში როგორც დეკორაცია, როგორც კონკრეტული ობიექტი, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთავარი გმირის პროფესიული საქმიანობა. მეტაფორული სახის მატერიალიზაცია მას უფრო ხილულად, უკეთ დასანახავად ხდის, ამადლებს მისი შემოქმედების ძალას.

ეს ხერხი ჩაისახა ლეონოვის შემოქმედებითს ლაბორატორიაში მისი დრამატურგიული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე. მის ჩანასახს ჩვენ ვხედავთ ჯერ კიდევ „უნიტილოვსკში“⁶. პატარა ვასიატკას მიერ ქალაქის ნაგლეჯზე დახატუ-

¹ А. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 311.

² А. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 362.

³ А. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 315.

⁴ А. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 145.

⁵ А. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1935, стр. 352.



ლი ირემი (ბუსლოვი აჩვენებს ამ ნახატს) სიმბოლურად გამოხატავს შემოქმედებით მისწრაფებათა დიდ ძალას, რომლითაც აღჭურვილია ახალი თაობა. ბუსლოვი უხსნის მანიუკინს, რომელსაც ვერ გაუგია ხახატის მნიშვნელობა;

მ ა ნ ი უ კ ი ნ ი. „...კარგი ერთი, ირემია, მერმე“.

ბუსლოვი. „...მაგრამ ირემი, ახლაც ვადიფიცებთა ქალადიდან, შეაბი მარხილში და გასწიე თუნდაც ცხრამთას იქით...“¹.

სიტყვიერი სახე აქ განვითარებულია. — აქ ის წარმოდგენილია ნახატის სახით, ე. ი. იგი მატერიალიზებულია.

უფრო გვიან თვითონ ბუსლოვი, შემოქმედებითი მისწრაფებების აბოზურებული ნიაღვრით გატაცებული, აღტაცებით ამბობს: „...მე რომ მხატვარი ვიყო, ასეთ სურათს დავხატავდი: მთვარე, თოვლი, ჩვენი ქვეყნის უკიდვანოს სივრცე, და მასზე მირბიან ეგეჩი... ირემები, ირემები მირბიან. ო, მათ იციან, საითაც მირბიან...“².

ამგვარად, სიტყვა, კარგავს რა თავის პირდაპირს კონკრეტულ აზრს, ხდება სიმბოლურ სახედ.

დიდი მხატვრული ოსტატობა საშუალებას აძლევს ლეონოვს მოძებნოს ისეთი სიტყვა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთდროულად პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც. „!То-же вы бражкой то моей пренебрегаете?“ ამბობს ჩერვაკოვი. აქ „бражка“-ში იგულისხმება შინ გამოხდილი არაყი, რომელიც თან მოიტანა ჩერვაკოვმა. „бражка“ იგივეა, რაც ბრაგა ე. ი. „ბრაჟკა“ და „ბრაგა“ სინონიმებია. მაგრამ ავტორი ირჩევს სიტყვას „бражка“, რადგან აზრობრივად იგი უპრობლემად იმდენად აღიარებულია. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა ავტორის სპირტება რეგულირების პირველი პლანისათვის, ხოლო მისი მეორე, გადატანითი მნიშვნელობით (бражка права-ს აზრით) იხსნება უკვე ძირითადი აზრი იმისა, რაც ხდება და რაც წარმოთქმული რეპლიკების ქვეტექსტში იმალება.

ჩერვაკოვი შიშობს ბუსლოვმა ხომ არ დაიწყო მთელი ჩემი კომპანიის ჩემი — „ბრაჟკას“, ე. ი. მშობიების ათვალწუნებაო. ეს ხაზგასმულია სიტყვიერ „ჩემი“, არა უბრალო „ბრაჟკის“, არამედ „ჩემი ბრაჟკის“ ათვალწუნება.

სხვა შემთხვევაში იგი გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით, მისი ქარაგმულობა იმდენად ფართოვდება, რომ თითქმის სიმბოლურ ელვადობას აღწევს.

„...В случае вторичного напора, густая унтиловская бражка бурно, как подводная река, выйдет из берегов, заливая города и веси обширной нашей страны“³...

„ჩერვაკოვის ბრაჟკა“ ცალკეულ პიროვნებათა შემთხვევითი სროვა კი არა, მთელი კატეგორიაა ადამიანებისა, რომლებიც ისტორიულ მოვლენათა დარტყმით ამოვარდნილან ცხოვრების კალაპოტრიდან, მაგრამ ისინი ვერ კიდევ თვლიან თავს ისეთ ძალად, რომელსაც შეუძლია წინაღუდგეს ცხოვრების აუცილებლობას. ამჯერად ჩერვაკოვი თავის „ბრაჟკას“ „უნტილოვსკელ ბრაჟკას“ უწოდებს და ამით თითქოს მას თავის თვალში საჩინარ ძალად მიიჩნევს.

¹ Л. Леонов, Унтиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 149—150.

² Л. Леонов, Унтиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 160.

³ Там же, стр. 87.

⁴ Там же, стр. 98.

სიტყვის ორმნიშვნელოვანება, ორაზრიანობა და ქარავმულობა წარმართავს დრამატურგის შემოქმედებითს მუშაობას; ამ გზით აღწევს იგი ენის მაქსიმალურ ტევადობას და უქიდურეს ემოციურობას.

ტალანოვის რეპლიკა „მიმიე დღე დადგა, ბავშვები, სულ ბავშვები“¹. გამოწვეულია იმ საშინელი შთაბეჭდილებით, რომელიც ტალანოვზე მოახდინა ბავშვების ტანჯვამ საოპერაციო დღის განმავლობაში. იმავე დროს ეს სიტყვები ცხადყოფენ ტალანოვის უელვარებას, რაც მასში თევდორეს გამოჩენამ აღძრა. ტალანოვი გულმოდგინედ მალავდა თავის მღელვარებას, მაგრამ ძალღონემ უმტყუნა და აი, ახლა მას სურს თავისი გულის შეღონება დაქანცულობით ახსნას. მაგრამ მისი სიტყვების მეორე მნიშვნელობა, რომელიც თვითონ არც კი იცის, ამქვეყნებს მისი მკომარეობის ჭეშმარიტ მიზეზს. „ვერ ვიტან, როცა ზურგში მიქეჩრიან...“² — ეუბნება ლუკა ელენეს, რომელიც უკნიდან მისჩერებია მას. ამ სიტყვებშიც გამოსჭვივის ქარავმული მნიშვნელობა რაღაც დიდზე. ლუკას ეშინია ჩაიციებული მზერისა, რომელიც ათვალაიერებს, დაკვირვებით სინჯავს მის მეორე, ასე ვთქვათ, „უკანა“ მხარეს.

„...შენ ცუდი სუნი გიღის“³, — ეუბნება ფაიუნინი კოკორიშკინს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თანაც ურჩევს მას მაგრად იპკუროს სუნამო. მიუხედავად ამისა, აქაც იგრძნობა გაფართოებული მნიშვნელობა, გადაკრული სიტყვა კოკორიშკინის ზნეობრივ თვისებებზე.

— „არა, მე კარგად ვარ. უკვე აღარ მახველებს. ალბათ, მოგჩრები“⁴.

აქ იგულისხმება თევდორეს გამოჯანსაღება სულიერი სნეულებისაგან, თუმცა დასახელებულია ჩვეულებრივი სნეულების სიმპტომი. „დიახ, ამბობს თევდორეს დედა დაკითხვის დროს — თუმცა ათი წელი გავიდა, მგონი, ჩვენი უკანსკელი შეხვედრიდან, შე იგი მაინც ვიცანი...“⁵.

ანა ნიკოლოზის-ასულმა უნდა დაადასტუროს კოლესნიკოვის ვინაობა. მაგრამ მისი ეს სიტყვები გულისხმობს თევდორეს, — ახლა მან იცნო თავისი ვაჟი, უწინდელი კარგი ფედიკა.

ლეონოვი მოსწრებულად ახასიათებს, არკვევს პერსონაჟის მრწამსს ისეთი სიტყვით, რომელიც აღნიშნავს თავისთავად ნაკლებ მნიშვნელოვან, ნაკლებ საყურადღებო მოვლენას.

„რამდენი ჩრჩილია შენ ქურთუკში, საიდან გაჩნდა ამდენი ჩრჩილი ამ სიცივეში“⁶.

ჩრჩილი ლუკას ქურთუკში შეიძლება მოგვეჩვენოს, როგორც მისი მოქმედების მამხილებელი რამ. ჩამოსულა მოზამთრე ლუკა შორეული ჩრდილოეთიდან, ქურთუკში კი ჩრჩილი აღმოჩნდა. ხომ არ ამოუღია ეს ქურთუკი სულ ახლა სკივრიდან? მაგრამ ეს გამორიცხებულია. ლუკა დასაზამთრებლად იყო წასული ჩრდილოეთში, რომსინმა იქ შეკითხვაც კი გაგზავნა. ამრიგად, ეს დეტალი, რომელიც რამდენადმე ინტრიგის გასართულებლად გამოყენებული კომპოზიციური ხერხია, უმთავრესად პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დახასიათების ამოცანას ემსახურება. ანალოგიით, როგორც ნივთი, ისე თვით მისი პატრონიც წარ-

¹ А. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 146.

² А. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 464.

³ А. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 174.

⁴ Там же, стр. 194.

⁵ Там же, стр. 184.

⁶ А. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 465.



მოდგენილია ჩრჩილისაგან შექმულ ძველმანად. „დიდი მეურნეობა... სიმდიდრე და ჩრჩილიც დაფრინავს. ცოცხალი ჩრჩილი. მიყვარს, როცა ჩრჩილი...“¹—ამბობს პილიაევი.

თურმე პილიაევის უყვარს ჩრჩილი. ამჯერად გმირის თვისობრივი შეფასება მის უცნაურ მიდრეკილებაშია მოცემული.

ასე სდებს ხიდს დრამატურგი სიტყვის ქარაგმულობიდან, სიტყვის მრავალმნიშვნელოვანებიდან—სიტუაციების ქარაგმულობამდე, პიესების ქვეტექსტამდე, რომელშიაც, როგორც თვით დრამატურგი ამბობს, „მოთავსებულია გემის ტრიუმი, სადაც მისი ყველა ტვირთი ინახება“².

თუ თვალს მივადევნებთ იმას, თუ როგორ ვითარდება მოქმედება ლეონოვის პიესებში, აღმოვაჩენთ ერთ დამახასიათებელ თავისებურებას. ლეონოვის ნაწარმოებში ტექსტი და ქვეტექსტი ზოგჯერ შეერთვის ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ამა თუ იმ რეპლიკის ან სახის ქარაგმული მნიშვნელობა გასაგები ხდება, როგორც მაყურებლისა, ისე თვით პერსონაჟისათვისაც. აი, მაგალითი „სკუტარეესკიდან“.

შტრუმფი. რომელმაც აავსო სკუტარეესკის ბინა მეტად საეჭვო წარმოშობის სხვადასხვა განძით. ურჩევს პროფესორის მეუღლეს—შეიძინეთ ჩემგან არაჩვეულებრივი ვაზო.

„...ეს გასაგებებელი ნივთი სარდაფში ეგდო, ბოლშევიკებს გადაუმაღლეს. ცვილი იმიტომ, რომ მეშინია ჩემმა ძალღებმა არ დაამსხვრიონ“.

ანა ევგრაფის ასული გაუბედავად ეტყვის: „მძიმე სუნი მოდის“ ამაზე შტრუმფი უპასუხებს: „საუქუნეების სუნია, ქალბატონო! როდის იყო, რომ ისტორიას კარგი სუნი ასდიოდა“³.

მეორე მაგალითი.

ანა ევგრაფის ასული უხსნის პეტრიგინს ამავე შტრუმფისაგან შეძენილი ერთი ქანდაკების ისტორიას, „...ხედავ? ეს ვესპასიანე ზღვამ გამოაგდო ამაღლის მახლობლად... მერე იგი რევეუესკის ჩამოართვეს 1833 წლის აჯანყების დროს. საუცხოო ნივთია და სულაც არ არის ძვირი“.

პეტრე ევგრაფის ძე უყურებს ამ ქანდაკებას და ამბობს: „...სჩანს, შენ ღორი ყოფილხარ, ჩემო კარგო, თუ კი ზღვამაც ვერ მოგინელა და გამოგაფურთხა“⁴.

დასავსებული ნივთები, რომელთაც შტრუმფი ისტორიის შესანიშნავ ძეგლებად ასაღებს, წარმოადგენენ რა საყოფაცხოვრებო წვრილმანს, იმავე დროს ხდებიან სიმბოლურ სახეებად, რომლებიც პეტრიგინებისა და შტრუმფების მთელ მრწამსს გამოხატავენ. ამ ობმოკიდებული ნივთების გარდა, სხვა რამე მათ არც შეუძლიათ მიაწოდონ კაცობრიობას. ამ სახეთა ქარაგმული აზრი ხაზგასმულია პერსონაჟთა რეპლიკებში. მათთვის იგი ისევე ნათელია, როგორც მაყურებლისა და მკითხველისათვის.

„პოლოვჩანის ბაღებში“ პილიაევი ეუბნება ალექსანდრა ივანეს ასულს: „მითხარი, ჩურჩულით მაინც მითხარი... მე რომ შენ ისევე ჩემთან მიგიწვიო...“

¹ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т III, М., ГИХЛ; 1953, стр. 348.
² Из беседы Л. Леонова с автором статьи.
³ Л. Леонов, Скутаревский, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 277.
⁴ Там же, стр. 282.

(ალექსანდრე ივანეს ასულმა უნებლიედ შეშინების ყესტი გააკეთა). ნუ გეშინია, ვიხუმრებ. შენ მტკიცედ დგებარ მაგ ლუხაზე, თუმცა თვით პილიაევი არ არის ის, რაც იყო. ის თვითონ მაკავეევის დივან ქვეშ, სამადლოდ ჰყავთ შეფარებული; ცხოვრებაში ყველაფერი ისე ხდება როგორც ქალის გულში: გააქვრეს პილიაევი, აამაღლეს მაკავეევი, და ეს არვის შეუძმინევი.

ალექსანდრა ივანეს ასული: როგორ ადარებ ანდრიანეს შენს თავს!

პილიაევი: ეს მას არ აგნებს... აი, ეს არის ის სივანე, რომლისკენ თერამეტი წელი მივხიზავდი (გაიწ-გამოიწევეს საყვლოს). მიჭერს, მიჭერს ეს მაკავეევის შესამოსელი!

ალექსანდრა ივანეს-ასული: ასეთი აზრებით გაგიჭირდება ჩვენთან ყოფნა.

პილიაევი: წავალ... მოგშორდებით ეს არის საზღვარი?... იქ, ტყის იქით, სადაც პორიზონტი ლურჯად ჩანს. დიახ, წავალ...¹.

შაკავეევის სახე „პოლოვჩანის ბაღებში“ მოცემულია, როგორც სახე ადამიანისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იმ დიდ საქმეს, ჩვენ რომ ვაგრძელებთ. ბალი, რომელიც საბჭოთა მიწა-წყალზე აყვავდა, შექმნა მაკავეევი. ის არის სათავე და წყარო ყოველივე იმისა, რითაც ჩვენ ასლა ვამყავობთ. ჩვენი ადამიანები, ჩვენი გმირები მისი ნაშობი და აღზრდილი არიან. პილიაევი უპირისპირდება მაკავეევის და ანსახიერებს იმას, რაც უკვე მოკვდა. მოყვანილ დიალოგში განზოგადების ინტენსიურობა, რომლის წყალობით, როგორც ამას სამართლიანად ხაზს უსვამს ლ. ფრედკინა², რეალური სახეები სიმბოლური სახეების სიმალემდე აღის, განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება.

„მაკავეევის სივარძელს“, რომლის ქვეშ სამადლოდ მიუციათ ბინა პილიაევისთვის, „მაკავეევის შესამოსელს“, რომელშიც პილიაევს სული ეხუთება, ქარამული აზრით, გადატანილი მნიშვნელობით ვგებულობთ არა მარტო ჩვენ, არამედ თვით პილიაევიც და ალექსანდრა ივანეს-ასულიც:

„მაკავეევისა, მაკავეევიური“, — ეს ნიშნავს ახალს საბჭოურს, იმას, რაც სოციალისტურ წყობილებას ეკუთვნის. დიალოგის ბოლოს ალექსანდრა ივანეს-ასულის რეპლიკა „ასეთი აზრებით გაგიჭირდება ჩვენთან ცხოვრება“, პილიაევის პასუხი და უეცარი შეკითხვა, სად არის საზღვარი, საბოლოოდ არკვევს ისედაც გასაგები ქვეტექსტის მნიშვნელობას. პილიაევი აპირებს გაქცევას, არა მარტო მაკავეევის სახლიდან, საერთოდ ჩვენი ქვეყნიდან, უფრო სწორედ, ის აწმყოდან წარსულში გარბის.

ლეონოვის პიესებში ძალიან ხშირად დიალოგი, აგებული ორი პერსონაჟის საუბარზე, თავისებურ მონოლოგში გადადის. მოსაუბრესთან ლაპარაკის დროს ვმირი ფაქტიურად საკუთარ ფიქრებს აძლევს პასუხს. გარეგნულად საუბარი ორ პერსონაჟს შორის მიმდინარეობს, ქვეტექსტში კი მოცემულია ერთი პერსონაჟთაგანის ლაპარაკი საკუთარ თავთან.

„მგელს“ პირველ მოქმედებაში, სცენაში, როდესაც ქსენია მაგდალინინთან მარტო რჩება, ქსენია ჩივის ცუდ გუნებაზე ვარო. თეატრში ქსენიას ნიჭიერი დუბლიორი გაუჩნდა. ქსენიამ იცის, რომ დუბლიორს მეტოქეობას ვერ გაუწევს. ამიტომ ცუდ გუნებაზეა.

¹ Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 358.

² Л. Фредкина, Стиль и жанр Нашествия. Материалы к пьесе Леонова Нашествие, М., Всесоюзное управление по охране авторских прав, 1943, стр. 46—47.

„ქსენია: მე პიესაში დუბლიორი დამინიშნეს. გუშინ ვნახე ჩემს როლში და კიბლავლე.

მაგდალინინი: ისე ცუდი იყო?

ქსენია: საქმეც ისაა, რომ კარგი იყო. მის შემდეგ ქსენია რომინა როგორ შეძლებს ამ როლის შესრულებას!¹.

მაგდალინინი ეტყვის ქსენიას, ეგვიფლია ამ უსიამოვნებას თავი დააღწიო.

„ამ დღეებში—უებნება იგი ქსენიას,—ერთ ადგილას იმ ქალზე გვეკონდა საუბარი. მის ნათესავეებს, რაღაც, ვერ ჰქონიათ კარგად საქმე. დეიდა მისი, თურმე, უბნის ზედამხედველთან ცხოვრობდა. საერთოდ საჭიროა მისი შემოწმება“.

შეშინებული ქსენია მაგდალინინის სიტყვას აწყვეტინებს:

„გვეწვევებით ნუ იზამთ იმას, რაც ახლა მოიფიქრეთ, ვასილ სამსონის-ძევე, როგორ შეიძლება პასუხი ვაგებინოთ კაცს ნათესავისათვის (ჩუხად). მერე... ამ ისტორიამ რომ როშიჩინის ყურამდე მიადწიოს“². ქსენიას აწუხებს არა იმ მსახიობები ქალის, არამედ საკუთარი ბედი. შესამოწმებელია არა იმ მსახიობის, არამედ თვით ქსენიას წაოსული. ქსენიას მამა მღვდელია. ქალი ამას მალავს. რომინისა და სხვებს ჰგონიათ, რომ ქსენია გადაწყვიტის ქალიშვილია. მაგდალინინმა, ამრიგად, ქსენიას მტკიცებულ ადგილს შეახო სული. აცდა რა საუბრის პირვანდელ საგანს, ქსენიამ უხებურად თავის თავზე გაიფიქრა—„როგორ შეიძლება პასუხი ვაგებინოთ კაცს ნათესავისათვის. რა მოხდება, რომ ჩემი საიდუმლოება როშიჩინმა შეიტყოს“,—ფიქრობს ქსენია ხეამალა.

ამასთან, ქსენიას რეპლიკამ როდი შესწყვიტა დიალოგის გარეგნული პლანი. იგი კვლავ მიმდინარეობს იმ მიმართულებით, როგორც დაიწყო. ეს არის იმას მაგალითი, თუ როგორ ვადაეწნება ხოლმე ლეონოვის თხზულებაში ქვეტექსტი ტექსტს, რომლებიც ერთადერთ მთლიანობას ქმნის.

ლეონოვის პიესებში ხშირად ვამჩნევთ, რომ როცა მალა მატერიებს დიდ დაშორებულ ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო საუბარში უეცრად შემოიჭრება ფილოსოფიური მსჯელობა, იგი არ ცვლის საუბრის წინანდელ ხასიათს. გვერდს უქცევს რა კონკრეტულ საგანს, რომლის გარშემოც საუბარი მიმდინარეობს, გძირი ზოგჯერ წარმოთქვამს გარშემო მყოფთათვის არა საინტერესო და გაუგებარ აზრს, ამასთან სრულებითაც არა აქვს იმედი, რომ გაუგებეს. ძს, უბრალოდ, სჭირდება ხეამალა წარმოთქვას ის, რაც დიდი ხანია მასში მომწიფდა და აწუხებს.

„ბ უ ს ლ ო ვ: ... მოდი, მეც ვიტყვი ერთ ტოსტს... ილია!...

ილია, შენ მოგმართავ!... დამიგდე ყური, ილია... შენ ცოლს ირთავ და დიდებულ საქმეს ჩადიხარ ილია. შენ ახალგაზრდა ხარ,... ახალგაზრდა ვეშაპი! ხოლო ახალგაზრდობაში, ყველაზე მთავარი ცხოვრებაში ის არის, ჩემო ძმაო, რომ გაარკვიო, რისთვის ხარ გამოსადეგი. ზოგიერთი, ვთქვათ; რგავს და აშენებს ფინიკებს. სხვები—ხოცავენ მეფეებს. მესამენი... ისე უბრალოდ, ცხოვრების სარბიელზე გამოდიან. მე გელაპარაკები: შეირთე ცოლი, ილია, შობე პაწია ილიები... და აღიდევ ბედუკუღმართი ბუსლოვი კეთილი რჩევისათვის. და კიდევ შემოგვფიცე, რომ არასოდეს დაავადდები ფუჭი ოცნების სენით...

ილია: ვფიცავ... თუშეცა მე ვეიოფერი გავიგე, შევირთო ცოლი თუ არა?

¹ А. Леонидов, Волк, Собр.: соч., т. III, М.: ГИХЛ, 1953, стр. 432.

² Там же, стр. 433.

ვასკა: მე კი გავიგე შენ ვემაი ხარო... მეფეებს დახოცაო“¹.

ბუსლოვის მიერ საკუთარი ცხოვრების მწარე გამოცდილებიდან ტანჯილი გამოტანილი დასკვნა აქ გახვეულია უაზრო ფრაზებში, რომლებმაც უნდა შეანელონ ბუსლოვის ფილოსოფოსობის უაზრობა და უადვილობა, დაუახლოვონ იგი მიმდინარე საუბრის საერთო ტონს.

აქედან ცხადი ხდება, რომ ბუსლოვის მონაწილეობა ლხინში აშკარად გარეგნულ იერს ატარებს. თავის მეგობართა კომპანიაში იგი განაგრძობს ცხოვრებას განკერძოებული შინაგანი ცხოვრებით. ასეთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ თვით ტექსტიდან, იმ მოულოდნელი შემობრუნებიდან, რომელიც მოლაპარაკის სიტყვაში მოხდა.

ზოგჯერ ლეონოვის პიესებში მეორე და პირველი პლანი ერთმანეთისაგან დამორებულია და ქვეტექსტი წყალქვეშა მდინარების ხასიათს ღებულობს, რასაც მხოლოდ მაყურებელი ან მკითხველი ამჩნევს. მომქმედი პირები თავის რეპლიკებში სრულებითაც არ გულისხმობენ სხვა მნიშვნელობას, გარდა იმისა, რაც მის ზედაპირზეა. ასეა მაგალითად, ქსენიას სიტყვები, რომლებიც იმავე მაგდალინინისადმი მიმართული, „არა, ამ სახლში ყველაფერი რიგზე არ არის, მაგდალინინ. ისეთები, როგორც რომშინია, როდი ინახავენ თავისი სულის გასაღებს მეუღლის სასაუბროს ქვეშ. მე გულახდილი ვარ თქვენთან. თქვენში არის რაღაც საკუთარი აქტიორული...“²; —ჩვენ ვეუბნება გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მხედველობაში აქვს ქსენიას. ის წინასწარ გრძნობს განხეთქილებას, რომელიც მისსა და რომშინს შორის მწიფდება, და ის ამას იმით ხსნის რომ ქმარს სხვა ქალი შეუყვარდა. ამ პლანშია მოცემული მაგდალინინის საპასუხო რეპლიკაც: „რა არ არის, მაინც, რიგზე რომშინის სახლში? უფრო სწორად ვინაა ეს ქალი?“, ე. ი. ცუდი მდგომარეობა რომშინის სახლში ქსენიას დაჰყავს ცუდ ცოლქმრულ ურთიერთობამდე. ნამდვილად, კი მდგომარეობა ბევრად უფრო რთულია. რომშინი, თავისი სიბეცის წყალობით, მაგდალინინის იარაღად იქცა. —ის ვერ ხედავს ნამდვილ ადამიანებს. რომშინის სახლში თავი შეუფარებიათ საშიშ მტრებს. სად მიიყვანს ეს, რა შედეგები უნდა მოჰყვეს ამას?—აი, რა ახრით უნდა გავიგოთ ეს ფრაზა.

ქსენია, რომელიც მაგდალინინის მიმართ კარგად არის განწყობილი, ამბობს: „მე თქვენთან გულახდილი ვარ... თქვენში არის რაღაც საკუთარი, აქტიორული“... ალბათ, გულისხმობს ამ სიტყვაში რაღაც კარგს, მაგრამ რეპლიკის ქვეტექსტი სხვანაირად ჟღერს. ის ნდობა და კეთილი განწყობილება, რომლებსაც ქსენია მაგდალინინის მიმართ გრძნობს, აიხსნება იმით, რომ მასში ქალმა თავისი დასაყრდენი ჰპოვა. მაგდალინინი აღვივებს მასში წვრილმან ქვენა გრძნობებს, განამტკიცებს მას სიცრუის, თვალთმაქცობის, ეგოისტური ანგარიშის ჰიპოციეზებზე. გარდა ამისა, მათ ერთმანეთთან ანათესავენ და აახლოებს ის გარემოება, რომ ორივენი ნიღაბს ატარებენ. ამ ნიღბებს ქვეშ მოხდენილად იმალება ყალბ ადამიანთა ქვეშარტი სახე.

კიდევ ერთი მაგალითი:

საკუთარი ღიღებით დაბრმავებული ლადიგინი მეშჩანური იდეოლოგიის მსხვერპლი ხდება ისე, რომ ამას თვითონვე ამჩნევს. ალექსი ცდილობს გამოაჯ-

¹ Л. Леонов, Унтиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 98—99.

² Л. Леонов, Волк, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 433.

³ Там же.



ნიზლოს და თვალი აუხილოს მას. მაგრამ ლადიგინი ალექსის ვერ უგებს. ის ლაპარაკობს: „განსვენებულმა ჩემმა ძმამ დამავალა შენი აღზრდა. ეს მე შევასრულე. შენც მომწიფდი. და ახლა მიდიხარ ჩემგან. მე ვერ ვხედავ ვერც შენ სახეს, ვერც შენს აზრებს... გთხოვ ჩართო სინათლე“¹.

შხამი ისე ღრმად შეჭრილა ლადიგინის სულში, რომ მას აღარ შესწევს ძალა გაიგოს ალექსის აზრები და მისწრაფებანი. ის გრძნობს მხოლოდ, რომ ალექსი სულ უფრო შორდება მას თავის მსოფლგაგებით. სწორედ ამაზე ლაპარაკობს ლადიგინი. მაგრამ უკანასკნელ ფრაზას, „გთხოვ, ჩაუტოო სინათლე“ მოსდევს რემარკა—„ალექსი ატრიალებს ამომრთველს, შუქი არ ინთება. ბრანზორეული ლადიგინი ფართოდ აღებს კარებს და გულმოსული ყვირის—„პარაშა, რატომ არ არის სინათლე“² ამ გაბოროტებულ ყვირილს ჩვენ გადავყავართ განყენებული აზრების სფეროდან საყოფაცხოვრებო მოვლენათა სამყაროში. მღელვარება, რომელმაც ლადიგინი შეიპყრო, როცა სიბნელე შეიგრძნო (ხოლო სიბნელის შეგრძნობა მას დაეუფლა მაშინვე, როგორც კი მიხვდა, რომ ალექსის იდეოლოგიასა და მის შორის უფსკრული აღიმართა), მოწმობს იმას, რომ ლადიგინის ამ ფრაზას თავისი ქვეტექსტი აქვს, რაც მას ქარაგმულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამით იგი სახეებით ლოგიკურად ამთავრებს რეპლიკას. ლადიგინი გაბრუებულია თავისი მდგომარეობით, მისი ინტერესების რკალი შეზღუდული და დაწვრილმანებულია. ის გარემოცული აღმოჩნდა სიბნელით, რომლის გარღვევას ლადიგინთან დასაახლოებლად ამაოდ ცდილობდა ალექსი. რასაკვირველია, ლადიგინს აზრადაც არ მოსდის, რომ მის ნათქვამ ფრაზას ასეთი გადატანითი ქარაგმული მნიშვნელობა აქვს. ქვეტექსტი მასში ტექსტისაგან დამოუკიდებლად განცალკევებულად ჟღერს. ქვეტექსტის ასეთი ჟღერადობა აახლოებს ლენონოვის პიესებს ჩეხოვის დრამატურგიასთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ასეთივე თავისებურებით ხასიათდება. ვ. ერმილოვის ნაშრომში ჩეხოვის დრამატურგიის შესახებ ჩვენ ვკითხულობთ: „...ჩეხოვის პიესების თავისებურებაა, მათში ორი პლანის შერწყმა-უშუალოდ რეალურის შერწყმა შინაგანთან, პოეტურად განზოგადებულთან; ამასთან შესამჩნევია, ერთის შეხედვით, უბრალო, ყოველდღიური მდგომარეობების, გარემოებების, დიალოგების, რეპლიკების, რემარკების მეორე გადატანითი მნიშვნელობის არსებობა“³.

ლენონოვის პიესებში ორი პლანის,--შინაგანად განზოგადებულ ფილოსოფიურ პლანთან უშუალოდ რეალური პლანის შერწყმის არსებობის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანეთ ილია რუჯკოზუბოვის სადღეგრძელოდ წარმოთქმული ბუსლოვის ტოსტი. რომელშიაც გატარებული იყო ის აზრი, რომ, „საშინელია ფუჭი ოცნებით დაავადება“.

თუ ამ ეპიზოდში ბუსლოვის ფილოსოფიურმა აზრმა გამოძახილი ვერ პოვა და პაერში გამოკიდული დარჩა, სხვა შემთხვევებში ფილოსოფიური განზოგადება გვევლინება როგორც შედეგი მოსაუბრეების მიერ გამოთქმული ორი სხვადასხვა შეხედულების შეჯახებისა.

„რასა: შენ არ გინდა გაუგო გუგუს, ვიქტორ. რომ იცოდე, როგორ იტანჯება. უნდა პატივი სცე კაცს თუნდაც იმიტომ, რომ იტანჯება.“

¹ Л. Леонов, Обыкновенный человек, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, 1953, стр. 513.

² Там же, стр. 513.

³ В. Ермилов, Драматургия Чехова, М., 1954, стр. 226.

ხელსოვი: მაშინ ჩვენ დრო ატარ გვეყოფა, რაისა! ახლა ყველამ საკუთარი ხელით უნდა ვაქეთოთ... საქმე, გესმის? მეჩქიმე უნთა ჩეჩმა კეროს, მშენებელმა კოშკები აშენოს, მასწავლებელმა ასწავლოს! მდინარეში, როცა იგი მდინარებს, რაისა, ვერც ერთი წვეთი წყალი ვერ შეჩერდება! წინააღმდეგ შემთხვევაში, მდინარე აშშორდება¹.

უკანასკნელი ფრაზა მიტაფორულად გამოთქმული ნამდვილი აფორიზმა: ცხოვრება—მდინარეა. ამჯერად გმირი უბრალოდ კი არ გამოთქვამს თავის აზრს: მას მგზნებარედ სურს შთააგონოს თანამოსაუბრეს ის, რაც ახლა იქცა მის მრწამსად, რომელიც მას ცხოვრების საკუთარმა გამოცდილებამ უკარნახა. ბუსლოვი თავის აზრს სახოვანი ფორმით მოსაგვს, რომ იგი უფრო, თვალსაჩინო და დამაჯერებელი გახადოს.

ჩვენ გამჩნევთ, რომ ლეონოვის ნაწარმოებებში საოჯახო ყოფაცხოვრებითი საუბარი ხშირად იქცევა ხოლმე დისკუსიად ახალი ადამიანის მორალური საჩივრითულ საკითხებზე. მონაწილეობს თითქმის ყველა პერსონაჟი, და ეს წმინთა ფილოსოფიური თემა დგება მთელი დრამატურგიული ნაწარმოების ცენტრში. „რუჩკინა: სიტყვამ მოიტანა, მე ვერ გავიგე... ვასილი ანდრიას-ძე ხვალ ჩამოვა? "

ალექსანდრა ივანეს-ასული: ალბათ, ხვალ.

მაშა: ...განა არ მოიტვამს? საეჭვოა, ვასილი მალე ჩამოვიდეს, ლაშქრობაში გააგზავნეს წყალქვეშა ნავით...

ანატოლი: სადაა ეგ ლაშქრობა?

მაშა: ბილეთები ჩრდილოეთისა იყო.

ალექსანდრა ივანეს-ასული:—იქ ახლა წყალი ხომ გაყინულია.

იური: უცნაური ხალხი ხართ თქვენ, პოლოვჩანელები. ადამიანს საშუალებას აძლევენ ჩაიდინოს გმირობა ე. ი. გამოსცადოს თავისი თავი დიდ რამეში. მე მესმის გმირობა, როგორც მამაცობის და სიმწიფის ყვავილობა...²

შემდეგ უკვე ყველას ყურადღების კონცენტრირება ხდება საგმირო საქმის თემის გარშემო. იგი იქცევა „პოლოვჩანის ბაღების“ ერთ-ერთ ძირითად თემად. ჩვენ აქაც ვხედავთ მწერლის მისწრაფებას შეძლებისამებრ განაზოგადოს თავისი წარმოდგენა ცხოვრებისეულ მოვლენებზე, მოაქციოს თავისი აზრი უაღრესად ზუსტ სიტყვიერ ფორმულაში.

ამრიგად, ფილოსოფიური შინაარსით რეპლიკების გამსჭვალვა გავლენას ახდენს თვით სიტყვიერ ქსოვილზე, რომელიც მისწრაფვის აფორისტულობისაკენ. გმირები უბრალოდ კი არ ამბობენ თავიანთ აზრებს, ისინი წარმოთქვამენ, დეკლარაციულ იერს აძლევენ მათ. მათი ფრაზები ემსგავსებიან დასკვნებს, რომლებიც ხანგრძლივი ფიქრის შედეგად არიან შობილნი. ჩამოსხმულნი უაღრესად შეკუმშულ ფორმაში, ისინი ახდენენ აზრთა თავისებური შედეგების შეთხვეტილებას. „სიბოროტით არ ცხოვრობენ, ცხოვრება შეიძლება შრომით ან სიყვარულით“³. „სიცოცხლე ღუშმილის მუღმივი დაარღვევა“⁴.

„...გმირობას არ თხოულობენ... მას თვითნებობით აღწევენ“⁵.

¹ Л. Леонов, Унтиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 177.

² Л. Леонов, Половчанские сады, Собр. соч., т. III, М., ГИХЛ, стр. 367—368.

³ Л. Леонов, Унтиловск, Пьесы, М., ГИХЛ, 1935, стр. 120.

⁴ Там же, стр. 89.

⁵ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 198.



„დიდ სისხლს ყოველთვის დიდი ბედნიერება მოსდევს“¹.

„იმაში ვინც ბრძოლის ცეცხლმა შეადულა, ერთი აზრი ჩქევს“².

„...პარტიზანი არ კვდება... ის რისხვია ხალხისა“³.

„...ვიდრე რუსს გააბრაზებ,—დაიმშვევი“⁴.

„მხდალს მაშინაც კი, როცა ძალი აქვს, მტრის მოწყალების იმედი ასულდ-გმულებს“⁵.

მეტყველების აფორისტულობა, რომელიც, ერთი მხრით, დაკავშირებულია პიესების აზრობრივ სისავსესთან, გაპირობებულია თვით გმირის ინტელექტით, მისი მისწრაფებით ვანაზოგადოს ცხოვრების მოვლენები. ბუნებრივია, რომ თვითეულს თავისებურად, თავისი იდეალის შესაბამისად, ესმის ცხოვრება. პიესებში ერთმანეთს ეჯახება მობირსპირე ორი მსოფლვაგება. ერთი მათგანი, ნათელი და ჰუმანური, ასახავს იმ ადამიანთა შეხედულებებს, რომლებიც ცხოვრებას მხარდამხარ მიჰყვებიან, მეორე გამსკვალულია ადამიანისადმი უნდობლობით, სისასტიკით, სასოწარკვეთილებით.

„ადამიანის სული ხომ უღაბურია. კაცს თუნდა მუშტში მოწურავს. ვას სულში კი ღაიბნევი“⁶.

„მსოფლიოს სილატაკეს ერთი ტომარა ფქვილით ვერ უშველი“⁷.

ლეონოვის გმირების მეტყველების მანერა, რომელსაც მიდრეკილება აქვს აფორისტულობისაკენ, მოწმობს იმას, რომ მათ შესწევთ უნარი ბევრი იფიქრონ და ღრმად იფიქრონ. ამით ისინი გორკის გმირებს მოგვაგონებენ.

როგორც გორკის დრამატურგიაში, ასევე ლეონოვის პიესებშიც აფორიზმები ყოველთვის გმირის მიერ ცხოვრებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებისა და ღრმა ფიქრების შედეგს, მისი საკუთარი დაკვირვებებისა და განცდების შეჯამებას წარმოადგენენ. ისინი მოწმობენ, რომ აზრი, რომელიც აღელვებდა გმირს, ჩამოისხა მკაფიო ნათელ ფორმად, რომელიც მას უკარანახებს სავსებით გარკვეულ პოზიციას: ზოგჯერ იგი იქცევა ძლიერ არგუმენტად, რომელიც ამთავრებს გმირის პოლემიკას მოწინააღმდეგესთან.

¹ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 235—236.

² Там же, стр. 223.

³ Л. Леонов, Нашествие, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 161.

⁴ Там же, стр. 202.

⁵ Там же, стр. 189.

⁶ Л. Леонов, Лёнушка, Собр. соч., т. V, М., ГИХЛ, 1954, стр. 234

⁷ Там же, стр. 209.

დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ ანა

მ. მესხიშვილი

„სურამის ციხის“ ენაში მრავლად ვხვდებით აღმოსავლეთის დიალექტებისათვის, კერძოდ ქართულისა და კახურისათვის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენებს, როგორც ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, ისე სინტაქსსა და ლექსიკაშიც. მაგრამ დ. ჭონქაძის ენაში ასევე ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის დამახასიათებელი სიტყვები, თუ გრამატიკული მოვლენები.

დ. ჭონქაძის ხელნაწერები ჩვენამდე არ მოღწეულა. ჩვენს ხელთ არის მხოლოდ მისი მოთხრობა „სურამის ციხე“, რომელიც დაბეჭდილია ჟურნალ „ციცქრის“ 1859 წ. დეკემბრისა და 1860 წ. იანვრის ნომერებში, ავტორის სიცოცხლეშივე. რაკი უკეთესი დედანი არ არსებობდა, ენობრივ თავისებურებათა მიმოხილვისთვის ამ რედაქციით ვიხელმძღვანელებთ, მაგალითები კი მივიუთითეთ ამ რედაქციის მიხედვით გამოცემულ წიგნში, რომელიც დაბეჭდა 1949 წ. გ. ჯიბლაძის რედაქციით.

სანამ ენობრივ მიმოხილვას დავიწყებდეთ, ორიოდ შენიშვნა ორთოგრაფიის შესახებ.

აღსანიშნავია ა-სა და ჭ-ს ხმარების შემთხვევები შორისდებულებში.

ეა: .. ეა, ასე ჩქარა არ მიწოდდა 57,9

...ეა, შვილო, ნუ მკითხამ 46,3

...ეა, გვეყოფა, ...მოგაწყენე თავი 49,13

ოა: ...ოა, ეგ არ შეიძლება! 10,11

ოა... უკაცრავად, დამავიწყდა! 41,3

ოა... ეგ შენ არ უნდა გეთქო! 49,22

...ოა, რა ბედნიერი იქნება! 62,20

ჰი: ...ჰი, წყეული იყოს ის დღე! 89,6

...ჰი, დედამიწავ, გასკდი და ჩამიტანე! 89,19

ფონეტიკა

ფონეტიკური მოვლენებიდან აღსანიშნავია:

1. ბოლოკიდური მჟღერის დაყრუება. ჩვეულებრივ, ყრუვდება ბოლოკიდური დ.

მშვილათ 100,18 ადვილათ 21,1 ნალვლიანათ 68,15;12,14

ტკბილათ 12,12; 12,22 ბერათ 62,7 რათ 13,8

მოსაძებნათ 98,24 მოსატანათ 41,20 უდროოთ 67,21

უკაცრათ 4,18 წყაროთ 44,14 სამიოთ 45,19 და ა. შ.

ამ უკანასკნელის გარდა, ყველგან ვითარებითი ბრუნვის ნიშანია დაყრუბულობი.

2. ასიმილაცია. სრული ასიმილაცია გვხვდება პრევერბთან და→დე: ...დეეხსენ გაიზარდოს 63,17. ნაწილობრივი რეგრესული დისტანციური ასიმილაციის მაგალითია:

ს—ჯ→შ—ჯ: ...გაშინჯა სამძღვრები 83,8
...გაშინჯა იარაღი 28,13
...გაგვშინჯა და გვიბრძანა 34,2
...გაიშინჯა იარაღი 28,12

3. დისიმილაცია. პროგრესული დისტანციური დისიმილაციის ნიმუშია:

რ—რ→რ—ლ: ...ბევრჯელ მიგმია ღმერთი 8,16
...ბევრჯელ მიტირია 8,16
...ბევრჯელ შეგწუხდები ხოლმე 65,14

4. მეტათეზისი. მაგ. მიემგზავსება 94,15

წაგვარდგინეს 34,1
...ჩაფიქრდა ძრიელ 26,11
...დადიოდნენ ძრიელ ნელა 38,17

5. სუბსტიტუცია.

დ—ტ: ...რამტენიმე ხელობა 12,8
...რამტენი მოდიან 88,2
...რამტენიმე ურები 88,15
...რამტენჯერაც აიტანეს... იმტენჯერ იქეკა 83,16¹

შ—ნ: ...გულში ვანბობდი 16,21
...რას ანბობ?! 89,17
...მოსამსახურენი ანბობენ 21,16
...რა ანბავს გამოვიტანდი 17,15
...სთქო უნცროსშა 66,15
...დაუმატა უნცროსშაც 68,15

ვ—მ: ...მითომ ომი იქნებაო 81,20
...მითომც მცოდნიყოს 35,4
...მითომც უნდოდა დაესაჯა 21,23
...რით უნდა უმტეროს მითომ 70,19

მარცვალთა სუბსტიტუცია.

ავ—ამ: ...შენი ბედნიერებისათვის ვზრუნამ 11,7
...ღმერთი მომიმართამს ხელს 12,7

¹ ეს მაგალითები არ. მარტიროსოვისა და გრ. იმნაიშვილის გამოკვლევაში კვალი-ფიტირკვლია სუბსტიტუციად. იხ. არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი. კართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 45.

	...ლარ დაუკრამდა თავს 62,22
	...ესე ჩვენ ვხედამთ 78,16
	...რისთვის მმარხამთ ცოცხალს 92,22
ოვ—ომ:	...არ ახსომს სიკვდილი 19,5
ებ—ობ:	...ისევ სხვა ხელობას დავიწყობ 65,11
ეა—ია:	...ქალაქიდგან გაიხლები 28,19
	...კიდევ გაიმება ხოლმე 54,23
	...უდროთ გაიხელით 67,21
ოა—უა:	...უთხრა იმან ვარდუას 74,23
	...ვარდუა დაჯავრიანდაო 86,19

6. ბგერათშერწყმა. სისტემატური ხასიათი აქვს ვა კომპლექსის შერწყმას ო-დ.

	...არ ვიცი, რა ვსთქო 4,19
	...რისთვის იყვნენ ნათქომნი 15,15
	...ბარაქალა, ქალო, მე არ მგონებხიარ (=მგვანებხიარ) 73,3

ეს პროცესი ახასიათებს ხევსურულს¹, ქართლურს², კახურს³, ფერეიდნულს⁴ და სხვ.

7. ბგერის დაკარგვა.

რ დაკარგულია ზრდ, ბრძ თანხმოვანთა კომპლექსებში

	...უბძანა მოტანა სარკისა 14,6
	...მიბძანდი მაგ მეორე ოთახში 74,19
	...მიბძანე, შენი ჭირიმე 91,17
	...გაიზღება შენი შვილი 61,15
	...დაფიქრდა, ...როგორ გაზღიდა შვილს 61,17

ვ დაკარგულია, ჩვეულებრივ, ო-ს ან უ-ს მეზობლობაში, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიც.

	...აი, ცხვარი მოგროებული 24,17
	...როგორ აუყოლებით ოროელასთვინ ფეხები (ხარებს) 25,6
	...არ დაანახოთ საწყალ დედაკაცს 93,5
	...უცრად გამოუარდება რამე 28,2
	...მეხვეწებთან...შვილის მონათლას 81,15

სუბიექტის პირველი პირის ნიშნის ვ-ის დაკარგვა განხილულია ქვევით, ზმნის პირის ნიშნებთან.

¹ ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, გვ. 17—19.

² ვ. თოფურია, ქართლური, არალი, 1925, გვ. 138.

³ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 50—51.

⁴ არნ. ჩიქობავა, ფერეიდნულის ნთავარი თავისებურებანი, ტფ. უნივ. მოამბე VII, 1927, გვ. 202.

მ არა გვაქვს სიტყვის თავში.

...ერთმა წევრმა რაღაც სასაცილო ქნა 33,16
...სასჯელი ბატონმა ჰპოვა სუბუქად 38,16
...რა დაუშავა უმანკო ტრედმა¹ 98,8
...ცოდვების შესასუბუქებლად 58,19

მ დაკარგულია სიტყვის ბოლოში.

...რასა იქ? 80,9
...ჩემი ალექსანდრე რასა იქს? 75,23
...ჩვენი გოგო რასა იქს? 46,2

ხშირია ბოლოკიდური მ-ს დაკარგვის შემთხვევები კავშირებსა, ნაწილაკებსა და ნაცვალსახელეში.

...შენც ხო ლამაზი ხარ?! 14,15
...შენც ხო შიგ ჩაყვები?! 14,15
...რატო, შვილო, რა არის? 65,13
...რო აღარ მოვიდა,...რო დაგივიწყა? 15,1
...უთხარი, რო უმისოდ ჯვარს არ იწერს-თქო 10,17

გვხვდება რამ ნაცვალსახელის მ თანხმონის დაკარგვის ერთი შემთხვევა.

...ჩემს გულში ვანობდი, რო ცოტა რა ფულს. მოვაგროვებ-მეთქი 16,21

ნაცვალსახელის ბოლოკიდური გ იკარგება ამ მაგალითში:

...როდის დაანებებ შენ მა შენ ბოდვას თავს 53,20. იკარგება აგრეთვე დ ვითარებითი ბრუნვის ნიშანი, ან მისი ბგერინაცვალი თ.

...კარგა მოგეხსენება 38,21
...ჯერ მოიფიქრე კარგა 69,15

ხ სუბიექტის მესამე პირის სუფიქსი.

...ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება 48,11

ხ მიცემითი ბრუნვის ნიშანი

...ის ყმაწვილი...არის...გასვრილი ქრისტიანე სისხლში 31,23

ვე ნაწილაკის ხმოვანი ნაწილი ე:

...თვალეები იყენენ ცისფერნი და ისევე სავსე საიდუმლოთი, როგორათაც ცა 41,4
...ორთავ სისხლი გიდუღო,—უბასუხა მოხუცმა ორთავ 73,6

რედუქციას განიცდის ა ხმოვანი სიტყვაში ოლარი

...იდგა მღვდელი შავი ოლრით და ჯვრით 96,19

¹ ზოგ სიტყვაში მ-ს დაკარგვა სალიტერატურო ენის თვალსაზრისით დიალექტურია, ენის ისტორიის თვალსაზრისით კი არქაიზია. იხ არხ. ჩიქობავა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად, არილი, 1925, გვ. 70.

ე დაკარგულია ებ მრავლობითის სუფიქსის დართვის გამო.

...მენახირებმა...ტყიდან გამოორეკეს ნახირი
77,19

მოსალოდნელი იყო რედუქცია ამ მაგალითებში:

...ისე მაინც, რო უმტეროს თავის მტერს 70,18
...ამხანაგებმა გიმტერეს, შვილო! 97,12

შემორჩენილია ვ ხმოვნებს შორის შემდეგ მაგალითებში:

...ოსმალომ აიწივა რიდე ზეთი 30,4
...მითომც მცოდნიყოს და შევჩვევოდე ამ აზრს
35,4
...შეუტევა ქალბატონმა ნატოს 41,22
...სალამოზე და მეწივა მღვეარი 47,16

გვაქვს ბგერის ჩართვის მაგალითებიც. მ ჩაერთვის:

...სამძღვრების გასინჯვა 83,6
...გასინჯა სამძღვრები 83,9
...გულისხმის მიმდევნებით უგდებდა ყურს 99,19

მორფოლოგია

სახელი. „სურამის ციხის“ ენაში ხშირია ემფატიკური ა-ს ხმარების შემთხვევები¹:

...მიტირნია მწარე ცრემლითა 8,17
...მე დაეკალ დედა შვილსა 47,14
...უნდა შეუდგე ღმერთსა 53,18
...სურვილი...სჯულის მიღებისა 47,21
...ახლად ამდგარსა...წამოესხა სინჯათის ქათობი 64,18
...(ქარი) აყრიდა ნამქერს ფანჯრებსა 64,15
...ის არ ეკუთვნოდა იმგვარ ქალთა... 65,7

საკუთარი სახელები სახელობითი ბრუნვის ნაცვლად ფუძის სახით არის წარმოდგენილი:

...დურ მიშხან ისევ შეჯდა ცხენზედ 99,7
...დურ მიშხან და გულისგარდი შეიყარნენ 7,4
...ბედნიერი დურ მიშხან 9,4
...ამ მსახურთაგანი იყო ვინმე დურ მიშხან 6,1

მომართვის ფორმის ნიშანი ვ ხმოვანფუძიან სახელებთან ხშირად იკარგება.

...რა ვქნა, ჩემო სიცოცხლე! 11,6

¹ თხზულებიშვილი, ემფატიკური - ა ანალ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წიგნი I, ვ. თოფურბას რედაქციით, 1956, გვ. გვ. 228, 231.

ზოგჯერ კი შერჩენილია.

...ი, დე დამიწავე, გასკდი და ჩამიტანე! 89,19

ნაცვალსახელი. მესამე პირის ნაცვალსახელი ის გვევლინება ძველი სახით ისი, სადაც ბოლო ხმოვანი ი ფუძისეულია.

...ბერკაცს უყვარდა ისი 21,2

...გამზადებული იყო ისი 25,22

...მივიდა ისი 41,23

...შევიდა ისი 74,24

მრავლობით რიცხვში ფუძისეულ ი-ს ენაცვლება ე.

...ებოვნათ ისენი მკვდარნი 101,6

...რას გიშლიან ისენი? 80,18

...ისენი დასჯიდნენ იმის ორგულს 67,2

...ისენი მტრები იყვნენ 28,11

...ისენი ისხდნენ 7,19

თანდებული. ზე თანდებული გვხვდება ზედ ფორმითაც.

...ღურმიშხან ისევ შეჯდა...ცხენ ზედ 99,7

...უღელი დაგვადეს კისერ ზედ 38,15

...ღმერთ ზედ მიანდე 68,19

...შეყრა რიყე ზედ 3,7

ვით თანდებული გვხვდება სახელობით და ნათესაობით ბრუნვებთან.

...სხვა გომბიოებივით 41,13

...ჭირისავით მომშორდებიან 80,19

...ბამბისავით თეთრი პირისახე 40,16

...შავი გიშრისავით თვალები 6,8

ვით თანდებულის ნათესაობით ბრუნვასთან ხმარებაზე სალიტერატურო ენამ საბოლოოდ აიღო ხელი¹.

გან თანდებული გვხვდება ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვასთან. ნათესაობით ბრუნვას გან თანდებულის დართვისას ხშირად სრული დაბოლოება აქვს.

...იმისგან გადაცემულს ღურმიშხანზე 60,6

...რისგან შვილო? 65,16

...გაბრაზებული სისხლისაგან გამოვარდა კარში 47,14

...გამეტებისა ბატონისაგან 21,1

მოქმედებით ბრუნვასთან გან თანდებული ხშირად ბრუნვის ნიშნის ყრუ თ თანხზოვანს ამჟღავნებს; მაგრამ სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით არა გვაქვს ბრუნვის ნიშნისა და გან თანდებულის შერწყმის შედეგი დან. იგი გვხვდება ხან ითგან, ხანაც იღგან სახით.

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 71. ვით თანდებულის შესახებ იხ. აგრეთვე: თ. შარაძენიძე, „ვიკი“ თანდებული ქართულში, თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, X, ა. მარტი ოსოვი. თანდებული ქართულში, იბ. კავკ. ენათმეცნიერება, ტ 1, 1946, გვ. 213—237.

ითგან: ...მოიწმინდა შუბლითგან ოფლი 30,4
 ...ფარჩები წამოიღო სტამბოლითგან. 60,16
 ...თითქო გულითგან მოსწყვიტეს რამეო 51,22
 ...ქალაქითგან გაიხლები 28,19

იღგან: ...ქარი გაუვა თავიდგან 73,16
 ...ჯარიდგან მოვიდა კაცი 86,18
 ...მოვიდა...კახეთიდგან 34,12
 ...მოაბრუნეს გულწუხილიდგან 94,10
 ...გამოიყვანა თავლიდგან 22,15

ზმნისართებს დართული გან თანდებულიც ასეთივე ფორმებს იძლევა:

...მუთაქის ქვეწითგან 100,17
 ...შიგნითგან ხვამ შეიპატივა 72,17
 ...საიდგან მოზრძანდებით? 28,16
 ...აქედგან უფრო გემსახურებიან 33,8

იხმარება დამ || იდამ თანდებული, რომელიც მიღებულია მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე დაღმე-ს დართვით¹.

...რომლიდამაც მოველოდი ბედნიერებას 44,13
 ...ალარ იყო სოფელი, რომლიდამაც დიდი
 თუ პატარა არ მოიპატივა 63,6

თვის თანდებულის პარალელურად ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება თვინ თანდებულიც.

...როგორ აუყოლებიათ ოროველასთვინ ფეხები 25,5
 ...რომლისთვინაც ჩვენ დავარქვით...19,19
 ვითარებით ბრუნვასთან იხმარება მდინ || მდინის თანდებული.

მდინ: ...შულამემდინ 3,8
 ...საქმე მივიდა იქამდინ...90,20
 ...შვილო, ზურაბ, სადამდინ? 93,21
 ...ვაიზე, დედავ, მხრებამდინ 93,21
 ...აქამდინ არც ერთხელ არ ეთქო 72,13
 ...უკანასკნელ ბიჭამდინ 20,18
 ...ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა 10,8

მდინის: ...თავიდგან ბოლომდინის 29,3
 ...თითქმის აქამდინის 102,6
 ...ავონებდა დროებას, რომელიც გაატარა აქამდინის 23,4
 ...იქამდინის...არც-კი შეეხებენა ნატოსათვის 44,15
 ...არ ამოეშენებინათ მუხლამდინის 93,2

¹ ა. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში. „ენიშვის ნოანბე“ 1, 1937, გვ. 55—56.

კავშირი. მაცალკეებელი კავშირის ან-ის ნაცვლად ნახმარია მისი ძველი სახე ანუ.

...როგორათაც თავის შვილზე ანუ ძმაზე 20,21

...უნდა ეთქო ერთი მოთხრობა ანუ ანდაზა 3,10

ამიტომ მაქვემდებარებელი კავშირის მნიშვნელობით იხმარება

ამისთვის. აგრეთვე **იმიტომ**—**იმისთვის.**

...სასჯელი ბატონმა პოვა სუბუქად და...ამისთვის
შეგვაბა კევრში 38,18

...ბავშვებმაც კი იცოდნენ იმისი სახლი და იმისათვის
ვის...პირველმა შემხვედრმა ასწავლა 99,11

...დურმიშხანმა...და**ნახა**, რო ჯერ ცხენს არ დაესვენებინა
და ამისთვის გაიშალა ნაბადი და წამოწვა 28,8

დროის მაქვემდებარებელი კავშირი **სანამ** იხმარება **ვიდრე**-ს მნიშვნელობით.

...ტირილს უფრო მიემგზავსება, სანამ სიცილს 94,15

...საჯობს ერთი მოკედეს,...სანამ დაიხოცნენ ათასნი 91,5

...უწინ დღე დამელიოს, სანამ მე იმის აშოკობა მივიღო
45,7

ნაწილაკი. თავისებურება გვაქვს **ც. და, მე** ნაწილაკების ხმარებაში. ზოგჯერ სიტყვას ერთდროულად ორი ნაწილაკი ერთთვის, მაშინ ბრუნვის ნიშანი ნაწილაკებს შორის ექცევა:

...ფიქრობდა რაღასაც 101,13

...რაღასაც იძახიან 81,20

...რაღასაც ჩუმად ელაპარაკებოდა 18,23

...როგორღასაც დარწმუნებული იყო 97,3

...როგორღასაც შეკრთება გული 23,20

და ნაწილაკადართული ნაცვალსახელი გაგებულია ფუძედ, რომელსაც ერთთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო შემდეგ **ც** ნაწილაკი, უფრო მეტიც, ნათესაობით ბრუნვაში **და** ნაწილაკის ხმოვანი **ა**, როგორც ზოლოხმოვანფუძიანი სიტყვის **ა** დაბოლოება იკვეცება და დაირთავს ბრუნვის ნიშანს.

...ცდილობდა რაღისაც მოგონებასა 96,18

ზოგ შემთხვევაში შეკვეცილია არა მარტო **და** ნაწილაკის **ა**, არამედ კითხვითი ნაცვალსახელის **ა-ც**.

...იმას კიდევ რიღისაც იმედი ჰქონდა 97,3

...ნატოს უბძანა მოტანა რიღისაცა 41,19

რა ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთო **და** ნაწილაკი: **რი**ს**და**. შემდეგ ეს გაგებულ იქნა ხმოვანფუძიან სახელად და ხელახლა დაირთო ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, რის გამო დაეკარგა ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული **ს**.

რისლა→რისლის→რილის→რილისაც

თუ ნაწილაკები თანდებულნიან სახელს დაერთვის, თანდებულებაც ნაწილაკებს შორის ექცევა.

...რალაზედაც გაჯავრებულმა ნატოს უბძანა...41,18
თუ სიტყვას დამ თანდებული ერთვის, ნაწილაკი და ექცევა თანდებულის შიგნით.

...მოვიდა საიდღამაც და...ჩამოხტა ცხენითგან 80,5
გვაქვს რა ნაცვალსახელზე დართული ც ნაწილაკის დაკარგვის შემთხვევა (თუ კორექტურული შეცდომა არაა!)

...და რა უფრო ვამიკვირდა, დედაჩემმა არ დაიწყო ტირილი. 35,5

მე ნაწილაკიც ბრუნვის ნიშნის შემდეგ დაერთვის სიტყვას

...იმთაც უბძანა რამტენსამე 92,12

...უკითხამდა რამტენთამე პირთ 74,10

...წამოიძახეს რამტენთამე პირთა 84,6

მცა, მც ნატვრითი ნაწილაკიანი სიტყვა იგუებს ზმნას თხრობით კილოში, ისე, როგორც ეს ძველ ქართულში იყო¹.

...შენამც გენაცვალებიან,

რაც...ლაშაში ქალები არიან 14,12 .

ერთ მაგალითში მცა ნაწილაკი მხოლოდ ც თანხმოვნით არის წარმოდგენილი.

...თვალი იმასაც დაუდგება! 55,4

ზმნისართი. ხშირად ზმნისართი წარმოდგენილია ფუძის სახით, ვითარებითი ბრუნვის ნიშნის გარეშე:

...უკანასკნელ ყოველი ღონისძიება მოიხმარეს 83,20

...შენ იგრძნობ, რანაირ დავიტანჯებოდით იმ სამსახურში 34,7

რე ფორმანტიან ზმნისართს ჩვეულებრივ შემორჩენილი აქვს რ თანხმოვანი:

...ალბათ ჩემი წერა ეს რე იყო 16,2

და ზმნისართიდან ნაწარმოებ ზედსართავშიც.

.. ეს რე თივე შემთხვევა მოხდა 28,5

გვხვდება ზმნისართი შემრე ნაცვლად ლიტერატურული მერე, მერემე-სი. მემრე სხვაზე დაიწერა ჯვარიო 66,11

...ღმერთი გვასწავლის მემრე 45,9

...მემრე რა ვქნა? 45,8

...მემრე ამას მოგასწავნებთ 16,18

¹ ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზულებანი, I, 1957, გვ. 33.

თანდებულის ფუნქციით იხმარება უკან ზმნისართი, იგი სახელისგან მოითხოვს მიცემით ბრუნვას.

- ...სამ კვირას უკან მოვედი გრძნობას 39,20
- ...ცოტა ხანს უკან 35,20
- ...რამდენიმე ხანს უკან 18,10
- ...ერთ კვირას უკან 75,20
- ...რამტენსამე ხანს უკან 101,6

ზ მ ნ ა

ზმნისწინი. ზმნისწინის ხმარება ძირითადად ქართული სალიტერატურო ენის ნორმას მიჰყვება. იშვიათად გვხვდება გადახვევა:

- მო→მა: ...პირობას ნუ მამცემ 69,14
- შე→შა¹: ...შაჯდა ცხენზე 84,19
- ...აგვიანებს ჩვენს შეერთებას 12,17
- ...უნდოდა შეეყვარებინა თავი 46,10

ძველი ქართულის დამახასიათებელი მოვლენაა გან, გარდა და აღ ზმნისწინების ხმარება.

- გან: ...ღმერთმა განგაზორათ ერთმანეთს 15,9
- ...განუმეორა გულისგარდმა 72,5
- ...განაქარვოს შენი მწუხარება 18,13
- გარდა: ...ამ გარდაწყვეტის შემდეგ 60,12
- ...ქალბატონი გარდახვევიყო შეილს 47,7
- აღ: ...ბძანება აღასრულეს 90,18

პირის ნიშნება. ზმნის პირის ნიშნების ხმარება „სურამის ციხეში“ ისევე არეულია, როგორც მის თანამედროვე ნაწარმოებთა ენაში.

სუბიექტის პირველი პირის ნიშანი ვ უ-ს და ფუძისეული ვ-ს წინ იკარგება.

- ...ოთახში რო შევარდი, დავინახე 47,7
- ...მე მივარდი ბატონთან 46,15
- ...გიჟივით გადავარდი ომში 48,15
- ...რა წყალში ჩავარდე! 54,8
- ...მტყუანს რა უთხრა! 54,23
- ...მეც...მოუკლა გულიო 66,18
- ...ხვალვე უყიდი ყმებს 52,11
- ...მე ქალბატონს დაუწყებ მსახურებას 9,17

¹ ისევე, როგორც ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში.

თუ ერთპირიანი ზმნა დამზარე ზმნით არის ნაწარმოები, პირის ნიშანი დამზარე ზმნასაც აქვს და სახელად ნაწილსაც.

- ...გავხდომილვით ავთ შავი საოფლით 39,15
- ...გვითხრა, რო გყოფილვით იქ ჩუმით 36,10
- ...გავსწორებულვით ცხოვრებას 48,16
- ...სად მიხდინხარ? 87,22 (შდრ. მივდივარ)

გვხვდება უფრო ძველი წარმოებაც, როდესაც პირის ნიშანი მხოლოდ დამზარე ზმნას აქვს.

- ...რო დამდგარვით, გველოდა სახრე 38,20
- ...მასწავლეს, რო გადავარდნილვით ახალციხისაკენ 47,19

ამ უკანასკნელ მაგალითში შეიძლება იყო პირის ნიშანი, მაგრამ ვ-ს წინ დაიკარგა.

რაც შეეხება ობიექტური ნიშნების ხმარებას, იგი ანტონ კათალიკოსის სკოლის ნორმებს მიჰყვება. ანტონ კათალიკოსისათვის კი პრეფიქსებს **ჰ, ხ** და მათ მრჩობლ სახეს **ჰს-ს** მორფოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს, „იგი არც **ს₂** ია და არც **ც₂**, არამედ რაღაც სამკაული, რომელიც საჭიროა ზმნის ფორმაში აკუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად“¹.

ასევეა „სურამის ციხის“ ენაშიც. ეს პრეფიქსები ერთპირიან ზმნასთანაც გვხვდება და ორპირიან გარდამავალთანაც, თხრობით კილოშიც და ბრძანებითშიც.

1. ობიექტური პირის ნიშნები ერთპირიან ზმნებთან:

- ...სჩანდა იყო...დასასვენნი ადგილი 27,14
- ...სჩანდა, რო უგდებდა ყურს 99,18
- ...არა სჩანდა ცვლილება 73,19
- ...ჰსცხოვრობს ვინმე ვაჭარი? 85,19
- ...ჰსჩანდა, რო ცდილობდა რადისაც მოგონებასა 96,18

2. ობიექტური პირის ნიშნები ორპირიან გარდამავალ ზმნასთან:

ობ. მიცემ.—...არ მოჰკლამენ! 93,12

ობ. სახელ.—...გასჭრეს შუაზე 59,15

- ...ჰთქო ვარდომ 75,7
- ...ჰსთქო ოსტატმა 92,9
- ...ჰსთქო მორიგემ 64,5

3. ობიექტური პირის ნიშანი ბრძანებითი კილოს ფორმაში:

- ...ნუ შეჰხვდები! 45,5
- ...ნუ სწუხარ, შვილო! 68,11

ნაკვთა წარმოება. თავისებურებები გვაქვს ნაკვთა წარმოებაშიც.

¹ ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, თხზულებანი, ტ. I, 1957, გვ. 223.

ია-ზე დაბოლოებულ სტატიკურ ზმნას აწმყოში დართული აქვს 6¹.

...ალარ შემიდლიან 65,10; 42,3

...შეუძლიანთ სიყვარული 6,14

...სირბილი შეუძლიან 38,22

ნამყო წყვეტილში პირველსა და მეორე პირში რიგი ზმნა ევ სუფიქსს დაირთავს.

...არ შეიტყვევით იმისი გულადობა? 94,1

ხშირად იხ, ენ-იანი ენებითი გვარის ზმნებს მეორე სერიის მრავლობითის ფორმებში რიცხვის ნიშნის წინ ენ სუფიქსი აქვთ შემორჩენილი.

...მოემზადენით! 99,16

...შიმშილით დავიხოცენით 36,22

...შევეჩვიენით ჩვენს ცხოვრებას 34,9

ზოგჯერ ამ ენ-ის ნაცვლად გვაქვს მხოლოდ ნ.

კავშირებით II-ში მრავლობითში ზმნა ვიყო ასეთ ფორმებს გვაძლევს: ვიყვნეთ, იყვნეთ.

...ჩვენც ვგრე უნდა ვიყვნეთ 65,22

...ჭკონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ 33,1

ეს მოვლენა ძველია. იგი დღეს ახასიათებს ქართული ენის აღმოსავლურ კილოებს—ქართულურს, კახურს, მთიულურს, ფერეიდნულს.

ნ, რომელიც თურმეობით I-ში გვხვდება, გადაწყვება თურმ. II-ში.

თურმ. I...ბეგრჯელ მიტირნია 8,17

...ვერ გამიბედნია 54,9

...ძვირათ მიყიდნია 27,11

თურმ. II: ...უნდა ეთხოვნა 95,15

...ზურაბი...ამოეშენებინათ 93,2

...ხელი ეტაცნათ 92,14

...არბოს წმინდა გიორგი ელოცნა 67,1

თურმეობით II-ში ორპირიან გარდაუვალ ზნაში ოდ სუფიქსის ნაცვლად გამოყენებულია იყო, იყავი მეშველი ზნა².

...ვინ უნდა მომკარებიყო 39,19

...ბატონი მართლა გამოგვდგომიყო 36,17

...გვითხრა, რო მიეყოლიყავით 36,1

...მეხი რო დასცემიყო 17,17

...მოჰსალმიყო მთელ ქვეყანას 25,22

...გაეშინჯა და მოსწონებიყო 44,18

...ბატონი გააშიკებიყო 46,7

¹ ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართული, „არილი“, 1925, გვ. 143.

² იხ. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართული, „არილი“, გვ. 143; ეს მოვლენა გვხვდება აგრეთვე კახურშიც, იხ. არ. მ. ა. რ. ტ. ი. რ. ს. ო. ვ. ი., გრ. ი. მ. ნ. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, გვ. 101.

- ...ბევრი შეხვედრისა 100,10
- ...გარდახვევისა შეილს 47,7
- ...შემოხვევისა და ყურს უგდებდნენ 4,4

გვაქვს კავშირებითი III-ის ფორმები, რაც დღევანდელ სალიტერატურო ენაში არ იხმარება. დაცულია მხოლოდ ზოგ დიალექტში¹.

- ...მითომც მცოდნიყოს 35,4
- ...თავადიშვილს არ ჰქონიყოს 52,19

მოვალ ზმნის წყვეტილის I და II პირში ველ ფუძე გვაქვს, ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებს ახასიათებს².

- ...ჩამოველით ქალაქში 36,12
- ...შეველარ გაეძელ ყურება 42,11
- ...გამოველ კარში 42,11

ჰყავს და ჰგავს ზმნები უწყვეტელსა და კავშ. I-ში წარმოდგენილია ან სუფიქსიანი ფორმით.

- ...ჰყვანდა ერთი გოგო 40,15
- ...ერთი დაცა მყვანდა 34,3
- ...ვარდო გვანდა წუხილის სტატუსას 18,1
- ...მყვანდეს...ხარ-კამეჩი 26,2

ასევე პრევერბიანი ფორმაც

- ...რო მიეყვანდით 38,9

ზოგჯერ კავშირებითის ფორმა გვხვდება თხრობითის მნიშვნელობით:

- ...იმედი მაქვს, რო...დაავიწყდეს თავის განზრახვა 70,23
- ...იმედი მაქვს, რო...გახდეს ისევ პატიოსან დედაკაცათ 70,23
- ...იმით ჰგონიათ, რო ჩვენ არა გვქონდეს სჯა 33,3
- ...იმით ჰგონიათ, რო ჩვენ კაცნი არ ვიყვნეთ 33,1

გვხვდება ზმნების თავისებური წარმოება:

უნიზნო ვნებითი ზმნა ცხვება ნაწარმოებია ი პრეფიქსით ...იცხო-ბოდა პური და ნაზუქი 63,2

თანამედროვე ქართული სათვის ჩვეულებრივ ფორმას ეგონა ცვლის ძველი ქართული სული ჰგონებდა.

- ...(დურმიზხანი) ჰგონებდა, რო ამ დროს უყვარდა ისი 25,18

მოსალოდნელი შეშურდებათ დონიანი ვნებითის ფორმის ნაცვლად გვხვდება შეიმშურებენ ზმნა.

- ...შეიმშურებენ ჩენნი თავადიშვილები 82,15

¹ იხ. შ. ძიძიგური, რაქული დიალექტი, ძიგბანი ქართული დიალექტოლოგიიდან 1954, გვ. 196 და 235.

² იგ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძე. ქართულში, გვ. 173—174.

ასტკივდებოდა-ს ნაცვლად ასტკიოდა.

...ვის ასტკიოდა ჩემთვის გული 39,17

მოსალოდნელი იყო სასუბიექტო მიმღეობისაგან ნაწარმოები ზმნა შემ-
ცდარიყო. გვაქვს კი საობიექტო მიმღეობისაგან ნაწარმოები—შეცდენი-
ლიყო¹.

...ბუნება შეცდენილიყო 41,15

ასევე, მოხდენილიყო ნაცვლად ზმნისა მომხდარიყო.

...დარწმუნდა, რომ სახლში მოხდენილიყო უბედურე-
ბა რამე 96,8

კაუზატივის მნიშვნელობა აქვს ზმნას, თუმცა მაწარმოებელი არა აქვს:
...რაზე ვეჭმევი 42,1

გვხვდება კაუზატივი ასეთი ზმნისა:

...რაზე ვეჭლექინები 42,2

თემის ნიშნები. გვაქვს თემის ნიშნების მონაცვლეობა.

ავ→ამ: ...შენი ბედნიერებისათვის ვზრუნამ 11,7

...ღმერთი მომიმართამს ხელს 12,7

...ალარ დაუკრამდა თავს 62,22

...ესე ჩვენ ვხედამთ 78,16

...რისთვის მმარხამთ ცოცხალს 92,22

ოვ→ომ: ...არ ახსომს სიკვდილი 19,5

ებ→ებ: ...ისევ სხვა ხელობას დავიწყებ 65,11²

ზოგჯერ ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები ი-ს გარეშეა.

...ველარ გავცდელ ყურება 42,11

...გამოვვლ კარში 42,11

...რაც გინდა მიყავ 65,10

...მე ვიყავ იმისი ერთგული 40,10

იციებება, ირიცხება ზმნებს პირველ სერიაშივე არა აქვთ ებ თემის
ნიშანი.

...სახლი იციებროდა როგორღაც დაღონებით 64,13

...მამაჩემი ირიცხოდა თავკაცად ჩვენ სოფელში 31,11.

მ ი მ ლ ე მ ბ ა

მ—ელ მაწარმოებლები ერთვის აწმყოს მიმღეობას შემდეგ მაგალითებში:

...მლოდნელნი ყველანი დაითხოვა 86,16

...მყოლელნი ყვეარი ხარ-კამეჩისა 31,9

...მქონებელი დიდის სიმდიდრისა 31,22

...მქონებელი სამი დღის ვენახისა 31,10

¹ იბ. ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის, იბ. კვკ. ნაწილ.
IV, 1953, გვ. 75.

² ეს მოვლენა კვლადიფიცირებულია მარცვალთა სუბსტიტუციად, იბ. აქვე, გვ. 3.

ამავე პრეფიქს-სუფიქსით არის ნაწარმოები ვნებითის მიმღობა **მეტეხის ტიპისა**¹. გვხვდება **მწველელი** მწველის მნიშვნელობით:

მყოლელი...რამტენიმე მწველელი ძროხისა 31,9

ვნებითი გეარის **გახდომა** ზმნის მიმღობა **გამხდარის** ნაცვლად არის **გახდომილი** ალბათ გახდომა-ილი→გახდომილი. ის მიმღობა გამოყენებულია ზმნის საწარმოებლად.

...გავხდომილიყავი ავთ შავი საოფლით 39,15

ასევე **მომხდარის** ნაცვლად გვხვდება **მომხდენილი**.

...მე მაშინვე შევიტყე, რისთვისაც იყო ეს საქმე
 მოხდენილი 45,21

მოსალოდნელი ებ თემიანის ნაცვლად ავ თემიანისაგან არის ნაწარმოები მყოფადის მიმღობა:

...მომზადებულნი დასაქიდავად 77,7

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

სიტყვაწარმოებაშიც თავს იჩენს თავისებურებები. აქაც, როგორც სხვაგან, ხან ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები გვხვდება, ხან დიალექტური. არის ხელოვნური წარმოებაც.

გვაქვს კნინობითის მაწარმოებელი უკა.

...ავი ამბავი მომიტანა ჩემმა ბიჭუკამ 82,19

აბრსტრაქტული სახელი **სიკეთე** გვხვდება მრავლობით რიცხვში.

...რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთაჲ... 58,12

გვხვდება კუთვნილების მაწარმოებელი იან ასეთ მაგალითებში:

...ჩვენიანთ გოგია მთხოვს 61,2

...ის სახლები მუხრანბატონიანთი არის 5,6

...გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ სახლებისაკენ 5,7

ტანადის ნაცვლად გვაქვს **ოვან** მაწარმოებლით გაფორმებული სიტყვა:

...იმისთანა ტანოვანი...მოსამსახურეები არსაიდგან არ გამოვიდოდნენ...5,18.

მიმღობისაგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელის **გადაწყვეტილების** ნაცვლად გვხვდება მოქმედების სახელი **გარდაწყვეტა**:

...ამ გარდაწყვეტის შემდეგ დურმიზხანი დარჩა სტამბოლში 60,12

¹ ა. შანტაძე, ქართული ჯრანალტიკის საფუძვლები, 1956, § 595, გვ. 597.

და პირიქით, კითხვა მოქმედების სახელის ნაცვლად გვაქვს მიმღეობი-
საგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი.

...შენდეთ ამ კითხულობაზე როგორ გასწირეს თავ-
სული მლოცველთა 62,9

ებ-ის ნაცვლად ობ აწარმოებს სახელებს:

...ერთგულობას ეძებდა იმაში 40,11

...ეძებდა ჩემში ერთგულობას 40,9

...მოაგროვებს მასალა, დასწვეს კირი და შეუდგენენ შენობას 83,11

დაცინვა მოქმედების სახელის ნაცვლად ება-თი ნაწარმოები ფორმა
დაცინება.

...სიცივე, ცემა და დაცინება...გამოვსცადე 8,10

კრთება ზმნასთან II სერიაში ვლინდება მასდარისეული ომ სუფიქსი.

...ამ კითხვამ შეაკრთომა გულისეარდი 10,1

დასასვენებელის ნაცვლად გვაქვს დასასვენე

...მგზავრების დასასვენე ადგილი 27,14

სი—ე აფიქსებით ნაწარმოებია სიაშპარტავნე, სიძულე, სიჭლექე:

...სიამპარტავნით გაიღიმა 82,14

...სიამპარტავნე მაშისა, ნუგეში დედისა 63,21 ალბათ

სიამაყის ანალოგიით.

...იმათ ჰგონიათ, რო...ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული
და სიძულე 33,1

...ის მოკვდა...სიჭლექით 21,21

მოსალოდნელი მა—არ-ის ნაცვლად გვხვდება მ—არ მწარმოებელი.

...მემრე მთხოვრობა დავიწყეთ 37,1

...მთხოვრობასაც თავისი ოსტატობა უნდა 37,3

წინა ვითარების სახელი ნაწარმოებია არა ნა—არ || ალ ან ნა—ევ მა-
წარმოებლებით, არამედ მხოლოდ ნა მწარმოებლით.

...თვითონ ნამოსამსახურე, შენ იგრცნობ,

რანაირ დავიტანჯებოდით 34,6.

სახვალიოდ ზმნისართის ანალოგიით ნაწარმოებია საროდით.

...ჰკითნა ბატონს საროდით მოვემზადებინეთ 35,15

სიტყვაზე ჯირითი ობა-ს დართვით ნაწარმოებია მასდარი.

...უყურებს ყმაწვილების ჯირითობას 76,9

(მღრ. თამაში—თამაშობა).

გარდამავალი საფეხურის დ შემორჩენილია სიტყვაში დედიდა.

...სად უნდა იცხოვრო? ჩემ დედიდასთან 72,11

ვინ კითხვითი ნაცვალსახელის და ნაწილაკიან ფორმაში შემორჩენილია 6 თანხმოვანი.

...ახლა ვინ და გელაპარაკება? 53,7

...შენზე ლამაზი ვინ და უნდოდა? 63,7

აღ ზმნისწინის ნაცვალად გვხვდება გა

...გამოჩნდა, რო ბატონი მართლა გამოვდგომიყო 36,16

გა ზმნისწინის ნაცვალად ხშირად გვხვდება გამო, როცა სუბიექტი დროის აღმნიშვნელი სიტყვაა. მაგ. დრო, ხანი, კვირა და მისთ.

...ალარ გამოვიდა ბევრი ხანი 74,4

...გამოვიდა ერთი კვირა 10,19

...ბევრი დრო ალარ გამოსულა 83,4

...კარგი ხანი რო გამოვიდა 43,9

...კიდევ გამოვიდა ცოტა ხანი 57,21

გამო ზმნისწინი გა ზმნისწინს სხვა შემთხვევაშიც ცვლის:

...დურმიშხანი გამოვიდა და გამოუდგა გზას 22,21

შეიძლება გვეფიქრა, რომ რთული ზმნისწინის მეორე ნაწილი მთ აღნიშნავს მიმართულებას მოლაპარაკესავენ. ამის მაგალითიც გვაქვს:

...მუხრანბატონის ქირი მოსცეს ღმერთმა... დურმიშხან წამალაძეს 16,17

მაგრამ მოცემულ ტექსტში ეს არა ჩანს:

„დურმიშხანმა მოუქირა ცხენს მოსართავები, გადაუგდო ხურჯინი, გამოვიდა და გამოუდგა გზას. საით? იმ დროს რო გეკითხნათ თვით დურმიშხანისათვის, გარწმუნებთ, ვერ გეტყოდათ, საით მიდიოდა... იმას სურდა მხოლოდ ჩქარა გასულიყო ტფილისიდან...“ 22,19

შესაძლებელია, იგი წინამავალი ზმნის ანალოგიით იყოს ნაწარმოები:... დურმიშხანი გამოვიდა და გამოუდგა გზას 22,21

განაგრძობს ზმნის ანალოგიით გან ზმნისწინი გვხვდება აგრძელებს ზმნასთანაც.

...განაგრძელე ეგ ლაპარაკი 12,14

...კიდევ განაგრძელოს 18,21

...განაგრძელებდა დურმიშხანი 98,4

ოცნება ნახმარია ვაოცების მნიშვნელობით.

...ოცნებით უთხრა ვეზირმა 88,8

უზმნისწინოდ დარჩენილი ოცნება ჩაირთავს ნ-ს, ალბათ, ოცნების ანალოგიით.

შეცდომა სახელზმნის ნაცვალად ტექსტში ნახმარია შეცდენა.

...მეხვეწებოდა, რო მიმეტყვებინა... ეს შეცდენა 38,10

ზმნისართად გამოყენებულია მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელი, რომელიც წინასწარ ვაფორმებულია ება ან ობა ნაწარმოებლით. მაგ.:

...ქარი... წუწუნებით აყრდა ნამქერს ფანჯრებსა 64,15

- ... ყმაწვილი მიღვაწინ და მეუბნება საღმრთოთ 48,10
- ... დაიძახა და ცინებით აღექსიმ 99,16

მოქმედებით ბრუნვაში დასმულ სახელზე სახელობითი ბრუნვის ნიშნით მიღებულია ზედსართავი სახელი.

- ... მადლობითი თვალებით შემომხედა 42,21
- გაცნობა ნაწარმოებია ება სუფიქსით.
- ... როგორც პირველ დღეს მათის გაცნობებისას 13,21

თუ ერთი მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ, ხარისხის წარმოებას არ-
ქაული სახე აქვს.

- ... თვით ღმერთი,—ეს ყოვლად უმოწყალე, ნუგეშის-
მცემელი არ იყო ჩემთვის 8,19

ს ი ნ ტ ა ძ ს ი

დ. ჭონჭაძის ენაში უმეტეს შემთხვევაში საზღვრული წინ უსწრებს
მსაზღვრელს.

- ... მოტანა სარკისა 14,6
- ... დედა დურმიშხანისა 21,20
- ... საჭიროება გამოკითხვისა 58,12
- ... ნახვა იმისთანა მაგალითისა 100,10
- ... მოიგონეს გადაგდება იმისი ზღვაში 59,22

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ „სურამის ციხის“ ენა შეიცავს როგორც
ძვ. ქართლისათვის, ისე ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელ
ფორმებს. ეს ყველაზე რელიეფურად ჩანს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება-
ში, როცა მსაზღვრელი თანამოვანფუძიანია. ამის მიხედვით გამოირჩევა ბრუ-
ნების ორი ტიპი.

I მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი შემონახულია მთლიანად.

- მოთხრობითი ბრუნვა: ... ამგვარმან ბედნიერებამა 32,5
- მიცემითი ბრუნვა: ... კარგს კუნკულას 81,16
- ... არცერთს თავადს 62,23
- ... ერთგულს ცრემლს 58,20
- ნათესაობითი ბრუნვა: ... გარეშე თვისის სიყვარულისა 6,19
- ... დიდის სიმდიდრისა 31,23
- ... წმინდისა სინიდისისა 31,18
- ... თავისის ქმრისა 76,5
- მოქმედებითი ბრუნვა: ... დიდის ამბით 14,3
- ... დაღონებული სიმლით 49,14
- ... თქვენის ბედნიერებით 57,11
- ... გაყინულის ხელებით 67,18
- ... დაოსებულის სმით 92,24
- ... ათის წლით 97,8

... ამღვრეულის თვალებით 98,3

... შავის ტანისამოსითა 102,8

II ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელ სახელებს ეკარგებათ ბრუნვის ნიშნის ხმოვანი ი-ც.

... ჩემ ქონების 53,16

... ოც წელიწადის 78,17

... ძვირფას ხალებით 74,9¹

საინტერესოა მსაზღვრელ-საზღვრულისა, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი. საზღვრული მრავლობით რიცხვშია, თუ მსაზღვრელი სემანტიკურად ერთზე მეტის გაგებას შეიცავს.

მაგალითები: ... სხედასხვა ფარჩები 60,16

... ბევრ ლამაზთა ქალთა 63,22

... ორი ფალავანი ... მომზადებულნი 77,7

... რამდენიმე პირნი 84,22

ასეთივე ვითარებაა ქვემდებარესა და შემასმენელთან. თუ ქვემდებარე კრებითი ან რიცხვითი სახელია, შემასმენელი მრავლობით რიცხვშია.

... ყველამ მიირთვეს 4,7

... ლაპარაკობდნენ ორი ... კაცი 54,9

... ბევრი ... არ ეღირსებთან 9,4

... ბევრი გთხოვლობენ 14,20

... ბევრი იყვნენ შესარცხვენელნი 76,21

... დაიხოცნენ ბევრი მათგანი 77,1

... გამოცვლილიყვნენ ორივე 99,22

... ჯარი მზათ ყოფილიყვნენ და შემოხვევიყვნენ 92,16

ეს ჩვეულებრივია ქართულ კილოებში².

ლ მ მ ს ი კ ა

„სურამის ციხის“ ლექსიკა მდიდარია როგორც ხალხური სიტყვებითა და გამოთქმებით, ისე ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულებით. იგი შეიცავს უცხო სიტყვებსაც.

დიალექტური სიტყვებია მაგ. დანდობილი, ქვითქვითი, დუშაყი, ნაზუქი, დააურვებს, ფეხი (=ნაცვალი), საოფლე და სხვ. ხალხური გამოთქმებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ქვეყანა ზედ დაედო, ბედი არ დაემალება, სხვის თავდაუკვრელად, მკლავის ძღენად, თუშური სკუპი, ხელს არ მომცემს.

ძველი ქართულიდან შეთვისებული ჩანს: ჩამობდება, აშიკობა, მარხვანი, მიუტევებს, ნაზირი, სახიერი, წიგნი (=წერილი), ქრისტეშობა და სხვა.

გვხვდება უცხო სიტყვებიც: სინჯადი, მუფტი, ილუმენია, შაყა, იაქათი-ლი, კურტიზანკა, მინუტი და სხვ.

¹ ეს ანალიზი კახურ დიალექტს. იხ. ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1956, თბილისი, გვ. 123.

² არნ. ჩიქობავა, გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად „არილი“, 1925, გვ. 78. ვ. თოფჩიკია, ქართული „არილი“, 1925, გვ. 145.

დ ბ ს კ ვ ნ ა

„სურამის ციხე“ დაწერილია ხალხური, სასაუბრო ენით. მასში ხშირად გვხვდება ქართული დიალექტებისათვის, ძირითადად ქართლურისა და კახურისათვის დამახასიათებელი გრამატიკული მოვლენები:

1. ბგერათშერწყმის მაგ. ვა→ო სისტემატურია.
 2. თვის თანდებულის გვერდით იხმარება თვინ:
 3. გვხვდება მდინ || მდინინ თანდებული.
 4. ორპირიან გარდაუვალ ზმნებში თურმ. II-ში ოდ სუფიქსის ნაცვლად გამოიყენება იყო მეშველი ზმნა.
 5. გვაქვს ზმნისწინების მონაცვლეობა მო→მა; შე→შა.
- „სურამის ციხეში“ გვხვდება აგრეთვე ძველი ქართული ენის დამახასიათებელი მოვლენები. მოვიყვანოთ ზოგიერთს:
1. ორთოგრაფიაში გამოყენებულია ა და ჟ
 2. საკუთარი სახელები სახ. ბრუნვის ნიშანს არ დაირთავენ.
 3. ეს ნაცვალსახელის გვერდით გვაქვს ისი.
 4. იდან თანდებული გვხვდება მხოლოდ ითგან || იდგან ფორმით.
 5. იხმარება დამ თანდებული.
 6. ან კავშირს ენაცვლება მისი ძველი სახე ანუ.
 7. მცა ნაწილაკი დაცულია თავისი სინტაქსური ფუნქციით.
 8. გვხვდება ზმნისწინები გან, აღ და გარდა.
 9. ინ, ენ-იანი ვნებითის ზმნებს II სერიაში მრავლობითში შემორჩენილი აქვთ ენ.
 10. გვხვდება ხარისხის წარმოების არქაული ფორმა უმოწყაღე.
 11. სინტაქსში—ხშირად საზღვრული წინ უსწრებს ნათ. ბრუნვაში დასმულ მსაზღვრელს.
 12. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაში უცვლელად არის შემონახული მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნები.
 13. შემონახულია ძველი ქართულის ლექსიკური ერთეულები.

შენიშნავი შოთა რუსთაველის შრომების ირგვლივ შოთა რუსთაველის შრომების ირგვლივ

1. მშრომელი

წინააღმდეგარა მინდა აღვნიშნო, რომ დღესდღეობით მკვლევართა განკარგულებაში საკვლევო საკითხის ირგვლივ იქამდე მცირე მასალაა, რომ ყველაფერი, რაც იწერება და ითქმის ამ საკითხთან დაკავშირებით, მეტ-ნაკლებად დასაბუთებული ვარაუდის ხასიათს ატარებს.

ჩვენ ეჭვი არ გვებარება, რომ იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდება და შეისწავლება ჩვენი მეცნიერების მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი მასალები, ბევრი რამ საბოლოოდ გაირკვევა და დაზუსტდება.

* * *

უკვე კარგა ხანია მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპისა და ჯვარის მონასტრის სვეტზე გამოსახული შოთა რუსთაველის ფრესკის ურთიერთმიმართების საკითხი. ეს ინტერესი სავესებით ბუნებრივია, ვინაიდან აღაპსა და ფრესკაში მკვლევრები სამართლიანად ეძებენ დიდი ქართველი მგონის შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის წყაროს. მაგრამ ამ ცნობათა გამოყენების დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს. უკვე გამოთქმულია იმდენი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ მარტო ამ მოსაზრებათა ლაბირინტებში გარკვევაც კი მეტად რთულდება. მოსაზრებათა სიმრავლეს განსაზღვრავს ის, რომ გარკვეული და დადგენილი არ არის გამოსავალი დებულებები (აღაპისა და ფრესკის თარიღები), რომლებზედაც მკვლევრები აგებენ თავის მოსაზრებებს. ამიტომ პირველ რიგში უნდა მოხდეს შეთანხმება ამ ძირითადი მასალის კვალიფიკაციაში და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ამ მასალის მეცნიერული ბრუნვა. ეს შეთანხმება კი დღეს გადაუდებელი ამოცანაა, ვინაიდან დროა მივაწოდოთ ფართო მკითხველს ერთი ჩამოყალიბებული თვალსაზრისი აღაპსა და ფრესკაზე.

ყველაფერი, რაც იწერება შოთა რუსთაველის შესახებ, დიდი ინტერესით იკითხება საზოგადოების უფართოესი წრეების მიერ განუზრუნველად მათი ეროვნებისა, განათლებისა და პროფესიისა. ამიტომ, ხშირად, დაუსაბუთებელი, შემთხვევით წამოსროლილი ვარაუდიც შოთა რუსთაველის შესახებ შეიძლება გახდეს საუფუძველი ლეგენდებისა, რომლებიც საოცარი სისწრაფით ვრცელდება ხალხში და შემდეგ კი იგივე ლეგენდები უკვე პრეტენზიის სახით ჩამოყალიბებული უბრუნდება მეცნიერებს. იქმნება ყოველად დაუმეგობრებელი მდგომარეობა, როდესაც მეცნიერები იძულებულნი არიან წავიდნენ იადფასიან კამ-

პრომისზე იმის გამო, რომ არ დაუმსხვრიონ საზოგადოების ფართო წრეებს ის ილუზიები, რომლის შექმნაში ნებით თუ უნებლიეთ თვითონვე უდევთ ბრალი. ასეთი ვითარება შეიქმნა ამ ბოლო დროს შოთას საფლავისა და ბიოგრაფიის ირგვლივ.

ჩვენი მიზანია, გავერკვეთ დღესდღეობით არსებულ მასალებში და შევეცადოთ გამოვყოთ ის სანდო და საიმედო, რაც შეიძლება მომავალი კვლევის საფუძვლად გამოდგეს. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდება ბოლო დროს გამოთქმულ მოსაზრებათა ერთ საერთო მნიშვნელზე დაყვანა და ამგვარად გარკვეულ ნაწილში შეთანხმების მიღწევაც.

საკითხი ეხება შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთველის ფრესკის თარიღს და, ამდენად, შოთა რუსთველისა და მეჭურჭლეთუხუცესის ურთიერთმიმართებას.

დავიწყოთ ალაპით. სულ უკანასკნელ წლებამდე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის შესახებ, რომელიც ჩაწერილია იერუსალიმის ქართულ სვინაქსარში № 24—25, მსჯელობა შესაძლებელი იყო მხოლოდ ჯვარის მონასტრის ალაპთა ნ. მარისეული გამოცემით, რომელსაც, სხვათა შორის, შოთას ალაპის ფოტორეპროდუქცია არ ახლავს¹.

აკად. ნ. მარი თავის გამოცემაში არ ათარიღებს არც სვინაქსარს და არც სვინაქსარის ფურცლებზე დაწერილ 320-ზე მეტ ალაპს.

დ. ყიფშიძემ, რომელმაც ნ. მარის მასალების მიხედვით სვინაქსარის რამდენიმე სვინაქსარული ცხოვრება-წამება გამოაქვეყნა, სვინაქსარი XII საუკუნის ხელნაწერად მიიჩნია, საფიქრებელია ნ. მარისგანვე ზეპირად მიღებული ცნობის საფუძველზე².

სინამდვილეში იერუსალიმის სვინაქსარი № 24—25 გადაწერილია XI საუკ. II ნახევარში. ამას მოწმობს მისი მკაფიო პალეოგრაფიული სახე. ასე ათარიღებს ხელნაწერს რ. ბლეიკი იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში³.

ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს პირველი ჯვარის მამის პროხოროს გარდაცვალების უმაღლეს სვინაქსარში მისი სვინაქსარული ცხოვრებისა და ალაპის შესატანად. პროხოროს ცხოვრება დაწერილია სვინაქსარის გადამწერის ნუსხური ხელით, ხოლო ალაპი—ამავე გადამწერის მთავრულით. ამგვარად, პროხოროს ცხოვრება არის პალესტინის ქართველი მოღვაწის პირველი ცხოვრება, შეტანილი სვინაქსარში, ხოლო პროხოროს ალაპი კი—პირველი ალაპი ჩაწერილი სვინაქსარში.

ბევრად უფრო რთულია სვინაქსარის მრავალრიცხოვან ალაპთა დათარიღება. ნ. მარი ალაპებს, ჩვეულებრივ, ურთავს შემდეგი ხასიათის შენიშვნებს: „почерком древнего письма“, „почерком позднейшего письма“ ან „средней древности буквами“. ამავე დროს არათერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა

¹ ალაპებს ნ. მარი მიაკვლია 1902 წელს იერუსალიმში ყოფნის დროს. მანვე გამოაქვეყნა ალაპთა ტექსტები: ალაპის ჯვარის მონასტრისანი იერუსალიმისა შინა, გამოსცა ნ მარმა.

² Д. Кипшидзе, Жизнь Прохора, мученичество Луки и муч. Николая Дваля, Изв. Кавказского Историко-Археолог. Института, т. 1, гл. 35.

³ Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jerusalem par R. Blake, № 24—25.

დროისაა ის ალაპები, რომელთაც ის ძველს უწოდებს. რომ ამის მიხედვით ალაპებს შორის რაიმე შეფარდების დამყარება მაინც იყოს შესაძლებელი¹.

ზემოთ თქმული ნ. მარისადმი საყვედურად არავენ ჩამოგვართვას. განსვენებულ მკვლევარს თვითონაც არ მიაჩნდა, რომ ალაპების შესწავლა მან თავისი გამოცემით ამოწურა. ნ. მარის გამოცემა იმ ეტაპზე, ძირითადად, ტექსტის პუბლიკაციის მიზნებს ისახავდა. ეს მიზანი მკვლევარმა დიდი ფილოლოგიური ოსტატობით განახორციელა, და თუ ჩვენ ნ. მარის ზოგიერთ ნაკლებ შეგჩერდით, მხოლოდ იმიტომ, რომ მისმა ზოგადმა და რიგ შემთხვევაში მკდარმა პალეოგრაფიულმა შენიშვნებმა შეცდომაში შეიყვანა სხვა მკვლევარები, ვინაიდან სულ ბოლო დრომდე იერუსალიმის სენინაქსარის ფოტოპირთა უქონლობის გამო ჯვარის მონასტრის ალაპებზე მხოლოდ ნ. მარის გამოცემის მიხედვით შეიძლებოდა მსჯელობა.

შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევისათვის აკად. კ. კეკელიძეს დასჭირდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის დათარიღება. ნ. მარი ამ ალაპის შესახებ გარკვეულს არაფერს ამბობს; შენიშნავს მხოლოდ, რომ იგი დაწერილია „письмом древней части памяти, однако почерком менее архаичным“². კ. კეკელიძე შეეცადა მეტი გარკვეულობა შეეტანა ნ. მარის შენიშვნაში. მკვლევარის აზრით ჯვარის მონასტრის ალაპებში მოხსენიებულ პირთაგან არცერთი არ არის XIII ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი მოღვაწე, გარდა ნიკოლოზ გულაბერიძისა, რომლის ალაპიც, მისივე ვარაუდით, გვიან უნდა იყოს ჩაწერილი. ამის საფუძველზე კ. კეკელიძე ასკვნიდა, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპიც XIV ს. ადრე ვერ დაიწერებოდა³.

ამ მოსაზრების შემოწმება არ არის ძნელი ჩვენს მიერ გამოსაცემად მომზადებულ ალაპთა მიხედვით, სადაც მოხერხდა ალაპთა უდიდესი უმრავლესობის დათარიღება. ირკვევა, რომ სენინაქსარში XIII საუკ. მეორე ნახევარზე ადრეული არა ერთი და ორი მოღვაწის ალაპია ჩაწერილი. ამ მხრივ ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპი არ არის გამონაკლისი⁴. არც ის არის სწორი, თითქოს ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპი გვიან იყოს დაწერილი. ალაპი დაწერილია XII საუკუნის კლასიკური ნუსხურით, დაახლოებით 1178—1184 წლებში.

ამგვარად, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპის XIV საუკუნით დათარიღება გამოიწვია ნ. მარის ბუნდოვანმა პალეოგრაფიულმა შენიშვნებმა და ალაპთა დედნის უქონლობამ. თავის მხრივ, ალაპის ამგვარმა დათარიღებამ კი მოხსნა კ. კეკელიძისათვის შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის შესაძლებლობის საკითხი.

ამ დროიდან წარმოიშვა ეჭვი შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იდენტურობის შესახებ. თორემ ტიმოთე გაბაშვილისათვის მო-

¹ თუ რამდენად ზოგადი და რიგ შემთხვევაში არახუსტია ნ. მარის პალეოგრაფიული შენიშვნები, ჩვენ შევეცადეთ გზადაგზა გვეჩვენებინა ჩვენს მიერ გამოსაცემად მომზადებულ ალაპთა კომენტარებში.

² ნ. მარი, ალაპნი, № 312 ალაპის კომენტარი.

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები, IV, გვ. 25, სქ. 1.

⁴ პალეოგრაფიულად XII საუკუნისაა შემდეგ ალაპები: გრიგოლ მშვიდაისა (№ 12), მარკოზეთ-კვირიკის (№ 55), XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია დაწერილი ანასულისა (№ 280) და ნიკოლოზ გულაბერიძის ალაპები № 125. ამავე დროისაა იჩქით გურგენიძის ალაპი (№ 76), XIII საუკუნის პირველი ნახევრის ალაპებია შერგოლ დადიანისა და მისი მეუღლე ნათელის ალაპი (№ 184) და ანტონ იშანელის ალაპი (№ 163).

ნასტრის სვეტზე გამოხატული შოთა იგივე აღაპის შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იყო. ტიმოთეს ეს რწმენა, ჩანს, ჯვარის კოლექტივში დამკვიდრებულ ტრადიციას ეყრდნობოდა.

შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპის კეკელიძისეული თარიღის (XIV ს.) გადასინჯვა შესაძლებელი და საჭირო გასდა ჯვარის მონასტრის აღაპების ტიშენდორფისეული ნუსხის მიღების შემდეგ¹. ამ ნუსხის ფილოლოგიურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ტიშენდორფისეული ნუსხის ძირითად ფენაში შეტანილი შოთას აღაპი XIII საუკუნის პირველ ნახევარზე გვიანდელი არ უნდა ყოფილიყო². ტიშენდორფისეულ ნუსხაში კი შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპი, ისევე როგორც ერთი წყება სხვა აღაპებისა, გადმოტანილია იერუსალიმის № 24—25 სვინაქსარიდან. ამდენად, ტიშენდორფისეული ნუსხის დედანი სვინაქსარია. დღეს სვინაქსარის ფოტოაირები უკვე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა³. სვინაქსარის შოთასეული აღაპის პალეოგრაფიულმა სახემ სავესებით დაადასტურა ის თარიღი, რომელიც აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხის შესწავლამ გვიკარნახა. აღაპი დაწერილია XII—XIII სს. მიჯნის წვრილი კალიგრაფიული ნუსხურით.

ჯვარის მონასტრის აღაპთა ახალი გამოცემისათვის ჩვენ შევადგინეთ პალეოგრაფიული ტაბულები. თითოეულ ტაბულაში ერთიანდება ერთი ხელით დაწერილი აღაპები. სოგ ტაბულაში არის 20-ზე მეტი აღაპი, ზოგში კი მხოლოდ ორი. აღაპთა ერთ წყებას პალეოგრაფიული წყვილი სულ არ დაეცნება. ამ ტაბულებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ, რაც უფრო ადრეულია ტაბულა, აღაპთა მით უფრო ნაკლებ რაოდენობას აერთიანებს იგი. უძველესი აღაპები კი სულ ექტნად არის წარმოდგენილი. ასეთებია პროხოჩე შევშელის, ანასულლისა და ნიკოლოზ გულაბერიძის აღაპები. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სვინაქსარში, სადაც ჩაიწერა ჯვარის მონასტრის აღმაშენებლისა და პირველი ჯვარის მიმის პროხოჩეს აღაპი, პირველ ხანებში სხვათა აღაპების შეტანა დიდი შერჩევით ხდებოდა, ე. ი. იქ მხოლოდ საგანგებოდ დამსახურებულ პირთა აღაპები იწერებოდა. დანარჩენები, ჩანს, სხვა სააღაპე სვინაქსარებში შეჰქონდათ. ასეთი სვინაქსარი ჯვარის მონასტერს რამდენიმე ჰქონდა. საგულისხმოა, რომ პროხოჩეს აღაპის ჩაწერიდან ერთი საუკუნის მანძილზე ამ სვინაქსარში აღაპი არ შეტანილა. მხოლოდ XII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან დაიწყეს იქ ახალი აღაპების ჩაწერა და ისიც დიდი შერჩევით. XIII საუკ. მეორე ნახევრიდან ამ სვინაქსარში აღაპთა ჩაწერის მკაცრი შერჩევის პრინციპი უკვე დაირღვა. ამ დროიდან პროხოჩეს სვინაქსარში აღაპები მრავლად იწერება.

ანასულლის, ნიკოლოზ გულაბერიძის, ანტონ ალავერდელისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპები კი ის იშვიათი ერთეული აღაპებია, რომლებიც პროხოჩეს აღაპის შემდეგ XII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიდან პირველად ჩაიწერა სვინაქსარში.

¹ ტიშენდორფისეული ნუსხის მიკროფილმი საქ. სახ. მუზეუმმა მიიღო ლიპიციკის უნივერსიტეტიდან 1955 წელს დოც. ო. გიგინეიშვილის მეოხებით.

² ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956., გვ. 56.

³ 1956 წელს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ფუნდამენტალურმა ბიბლიოთეკამ კონგრესის ბიბლიოთეკიდან მიიღო იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მიკროფილმები.

სვინაქსარში შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპს გამოუჩნდა პალეოგრაფიული წყვილი. შოთას აღაპის ხელითაა დაწერილი ანტონ ალავერდელის აღაპი. აქ მსგავსია არა მარტო ხელი, არამედ აღაპის ფორმაც—ტექსტის განაწილების წესი სვინაქსარის ფურცლის ქვემო კიდეზე (იხ. სურ. 1).

ჩვენ იმედი გვექონდა, რომ რაიმე ცნობას მოვებოვებდით ანტონ ალავერდელის შესახებ, რითაც შევცლებდით შოთას აღაპის თარიღის დავიწროვებას. ჯერჯერობით ისტორიულ წყაროებში ანტონ ალავერდელს ვერ მივაკვლიეთ, ამიტომ უნდა დავჯერდეთ აღაპის პალეოგრაფიულ დათარიღებას, მით უმეტეს, რომ ის ეჭვს არ იწვევს¹. ჯერჯერობით კი შეიძლება ითქვას ერთი, რომ შოთას და ანტონ ალავერდელის აღაპები დიდ მსგავსებას იჩენენ ხელით ათონის ივერიის მონასტრის № 153 აღაპთან, რომელიც განკუთვნილია თამარ მეფისა და ნიკოლოზ გულაბერიძის მოსახსენებლად და აგრეთვე წერილი უსხურითაა დაწერილი. შოთას აღაპებისათვის, ისევე, როგორც XII საუკუნის მიწურულის აღაპებისათვის (იხ. ნიკოლოზ გულაბერიძის, ანასულისა და № 12 და 55 აღაპები) დამახასიათებელია პატარა ზომის, საესვებით სადა და შკაცრი, ყოველგვარ სტილიზაციას მოკლებული მთავრული C (იხ. სურ. 2).

ანგვარად, შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპი დაწერილია XII—XIII ს.ს. მიჯნაზე, არა უგვიანეს XIII საუკ. პირველი ნახევრისა. აღაპის კ. კეკელიძისეული დათარიღება (XIV ს.), რომელიც ეყრდნობა ნ. მარის ბუნდოვან პალეოგრაფიულ განსაზღვრებას, არ არის მართებული, ასევე მიუღებელია მ. ნუცუბიძის რთული კონცეფცია, რომლითაც ის ცდილობს დაძებნოს აღაპის XIV საუკუნეში დაწერის იდეოლოგიური საფუძველი².

რისი თქმა შეიძლება აღაპის მიხედვით შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ? ამისთვის სულ მოკლედ გვინდა შევეხოთ აღაპის შედგენის წესსა და აღაპთა სახეებს.

აღაპი, როგორც წესი, იწერება შიცვალეზისათვის მისი გარდაცვალების დღეს: „თუესა სეკდენბერსა ით. აღაპი არს არსენისი, ფარსმან-ყოფილისაჲ, რამეთუ აშას დღესა შიიცვალა“ (ივერიის მონასტრის № 110 აღაპი, იგივეა № 111 აღაპიც³).

ზოგჯერ ერთსადა იმავე პირისათვის აღაპი იწერება როგორც გარდაცვალების, ასევე დამარხვის დღეს. ასეა განწყისებული გიორგი მაგისტროსის აღაპი ათონის ივერიის მონასტრის აღაპებში (№ 56 და 96).

ზოგჯერ აღაპი იწერება არა გარდაცვალების, არამედ სახელწოდების დღეს, მით უმეტეს, თუ გარდაცვლილი პირის სახელწოდების დღე დიდ საეკლესიო დღესასწაულად არის მიჩნეული.

ლიბარტი-ყოფილი ანტონის აღაპში ვკითხულობთ: „თუესა იანვარსა იზ. წმიდისა ანტონის დღესასწაული აღაპად განგვწყისებია ლიბარტისათჳს. რაჲჲამ შიიცვალა; ესე დღესასწაული წმიდისა მამისა ანტონისი საჲყენებე.

¹ XII—XIII ს. ს. ალავერდელთა შესახებ მეტად მცირე ცნობები მოგვაგვრება, კრიგოლ სურამელის 1245 წ. დაწერილს ერთის ხელთავები. ერთი ხელრთვა ეკუთვნის იოანე ალავერდელს (იხ. შ. შოთა ა შვილი, XIII ს. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, გვ. 121). აღაპის ანტონ ალავერდელი იოანეს წინ უნდა უსწრებდეს, ვინაიდან პალეოგრაფიულად ის XII ს. დამლევითა და XIII ს. დამლევით იფარგლება.

² მ. ნუცუბიძე, პალესტინის XIII—XIV სს. ერთი მნატრობა და ქართული კულტურის საკითხები; საბჭოთა ხელოვნება, 1957, № 9, გვ. 8.

³ ივერიის მონასტრის აღაპებს ენიშნებთ ა. ხახანაშვილის გამოცემის მიხედვით, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ. 1901.

ლად და სალოცველად სულისა მათისა დავაწესეთ, რათა აღესრულებოდის ყოვლითა მოსწრაფებითა, ვითარცა მაშენებელთავე, ხოლო ეწოდებოდა სახელი მონასტრისა ანტონი“ (ათ. № 34). ასევე სახელის მიხედვითაა განწესებული ალაპი კლიმი ბერისათვის კვ იანვარს, თევდრობას კი თეოდორე ასურისათვის (ათ. № 51); მაგრამ ამ წესიდან ხშირია გადახვევები. რიგ შემთხვევაში ალაპის განწესება ხდება არა გარდაცვალების შემდეგ, არამედ შემომწირველის სიცოცხლეშივე, უფრო ხშირად შემომწირველის „დაწერილის“ საფუძველზე. ამ მხრივ საინტერესოა ათონის № 121 ალაპი, განწესებული სუმბატისა და მარიამისათვის.

ამ ალაპში ჩანს მთელი პროცესი, როგორ იწერებოდა შემომწირველის სიცოცხლეშივე იარაღივით ვალდებულებების შემცველი „დაწერილი“ და როგორ ხორციელდებოდა იგი მწირველის განწესების სახით¹.

„დაწერილის“ საფუძველზე მონასტრის კრებულს განუწყესებია სუმბატის გარდაცვალების შემდეგ მისთვის და მისი ცოცხალი მეუღლისათვის მწირველი და ალაპი ზეგტანია მონასტრის კრებულის როგორც შესრულებული, ასევე შესასრულებელი ვალდებულებანი, რომელიც კრებულს მარიამის გარდაცვალების შემდეგ უნდა განხორციელებინა. ამგვარი „დაწერილის“ განხორციელება ხდება ხან შემომწირველის სიცოცხლეში (იხ. ძაგან აბულეთის ძის დაწერილი, თ. ყორღანია, ქრონიკები, II, გვ. 145—147), ხან მისი გარდაცვალების უშუალოდ შემთხვევაში, როდესაც ალაპი იწერება შემომწირველის სიცოცხლეში ან სიცოცხლეშივე შედგენილი „დაწერილის“ საფუძველზე; ალაპი წესდება რომელიმე დიდ საუფლო დღესასწაულზე ან მოძრავ დღესასწაულზე (მარხვა-ზატიკის კვირებზე), ანდა შემომწირველის სახელწოდების დღეზე. ასე მაგ. გიორგი ლიპარტიანისა და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანის სიცოცხლეში განწესებულ ალაპისათვის დადგენილია წმ. გიორგის დღესასწაული, ე. ი. გიორგის სახელწოდების დღე (იხ. ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა, T-92). ასევე იოანე სევასტოპოლისა და მისი მეუღლე მარიამის ალაპისათვის ივერიის მონასტრის კრებულს მათსავე სიცოცხლეში იოანე ოქრობირის დღესასწაულის დღე განუწყესებია, რათა „გარდაივებოდის ცოცხალთათჳსცა და შემდგომად მიცვალებისა ყოვლითა გულსმოღვინებითა“ (ათონის ალაპი № 129).

უფრო ხშირად დიდი დამსახურების შემთხვევაში ცოცხლებისათვის ალაპთა და მოსახსენებლების განწესება ხდებოდა დიდ საუფლო დღესასწაულზე ან მარხვა-ზატიკის დღეებზე. ასე მაგ. ათონის № 165 ალაპი წარმოადგენს მონასტრის წინამძღვრის პავლეს მონასტერში გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც მის მიერვე უნდა იყოს დაწერილი²; ამ სამსახურის სანაცვლოდ პავლე თხოულობს პანაშვიდისა და ტრაპეზის განწესებას ამაღლების დღეს.

ასევე იერუსალამის ალაპებში დემეტრე მეფის ასულის რუსუდანისა და მისი მეუღლე თაყა ფანასკერტელისათვის, განწესებულია მოსახსენებელი და პანაშვიდი საუფლო დღესასწაულზე და მარხვის დღეებზე (№ 63)³. მაგრამ

¹ მწირველთა შესახებ იხ. ბ. ლომინაძის წერილი, სამწირველო XIII საუკუნეში: მიმოხილველი, I, 1949 წ.

² ამას მოწმობს პირველი პირით დაწერილი ალაპის ბოლო ნაწილი.

³ ალაპებს ვინაობა ნ. შაოის გამოცემით.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები არ ნიშნავს იმას, რომ საუფლო, დიდ დღესასწაულენსა და მარხვა-ზატიკის დღეებზე ალაპები მხოლოდ ცოცხლებისათვის იწერებოდა. ამ დღეებზე ალაპთა განწესება დიდი პატივი იყო და ამ პატივის დასახსურება შეიძლებოდა ფულითა და სამსახურით. ხშირადაა, როდესაც ერთსა და იმავე პირისთვის რამდენიმე ალაპია განწესებული, ამთავან ერთი—წლის რომელიმე რიგით დღეზე, ხოლო მეორე—დიდ დღესასწაულზე ან მარხვა-ზატიკის დღეებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირველი განწესებულია გარდაცვალების დღეზე, ხოლო დანარჩენები, როგორც განსაკუთრებული პატივი, დიდ დღესასწაულებზე. მართლაც, ცოტად თუ ბევრად ღვაწლმოსილ პირთათვის, რომელთაც დიდი შეწირულებითა თუ სამსახურით დაიმსახურეს კრებულის მაღლობა, ალაპები იწერება ამ დღეებზე. ასე მაგ. პრაზორე შავშელისათვის ალაპი განწესებულია როგორც 17 იანვარს, ასევე ყველიერის ხუთშაბათს; ანასულისთვის ათონის ივერიის კრებულმა განაწესა ალაპი იანვრის პირველს, ხოლო ჯვარის მონასტერმა—ფერისცვალებას. ქაიხოსრო ათაბაგის გარდაცვალების დღეს—6 მაისს—მისთვის განწესებულა ალაპი ივერიის მონასტერში, ჯვარის ალაპებში კი მისი ალაპი ჩაწერილია მარხვის II კვირას. ამგვარად, როდესაც ერთსა და იმავე პირისათვის რამდენიმე ალაპია, აქედან ერთი—გარკვეულ თვესა და დღესა განწესებული, ხოლო დანარჩენები დიდ დღესასწაულებზე, ასეთ შემთხვევაში პირველი—გარდაცვალების დღედ უნდა მივიჩნიოთ. ხოლო, როდესაც ალაპი მხოლოდ დიდ ან მორჩავე დღესასწაულზეა განწესებული, მაშინ უფრო სავარაუდებელია, რომ ალაპი შემომწირველის სიცოცხლეშივეა დაწერილი, რის გამოც არ არის ფიქსირებული ალაპის თვე და რიცხვი. სხვათა შორის, იგივე პრინციპია დაკული მოსახსენებლებშიც. მაგ. თამარის სვინაქსარში (იერ. ხელნაწ. № 45. ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ) ერთი მოსახსენებელი ჩაწერილია 27 იანვარს—თამარის გარდაცვალების დღეს, ხოლო ამის გარდა ჩაწერილია მისივე მოსახსენებელი ყველა დიდ საეკლესიო დღესასწაულზე.

მარხვისა და აღდგომის დღეები რომ განსაკუთრებით საპატიოდ ითვლებოდა ალაპის დადების თვალსაზრისით, იქიდანაც ჩანს, რომ მონასტერთა კედლის საალაპე წარწერებიც უმთავრესად ამ დღეებზეა განწესებული¹. მარხვა-ზატიკის კვირიებსზე განწესებულ ალაპთა თავმოყრის მიზნით შედგა ალაპთა ტიშენდორფისეული ნუსხა, სადაც გაერთიანებულია რამდენიმე წყაროდან (სვინაქსარიდან) ამოკრებილი მარხვა-ზატიკის პერიოდის ალაპები.

ეს შორეული წიადსკლა ჩვენ იმისთვის დაგვიჩინდა, რომ მიღებული დასკვნების თვალსაზრისით შეგვიხედა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და გრიგოლ დრანდელის ალაპებისათვის.

ორივე ალაპი სვინაქსარში ჩაწერილია მარხვა-ზატიკის დღეებზე. გრიგოლ დრანდელის ალაპისათვის განწესებულია ხორციელისა კვირიაკე, ხოლო შოთა მეჭურჭლეთუხუცესისათვის სული წმინდის მოსლვის ორშაბათი (ე. ი. ამაღლების შემდგომი კვირა)². პირველი თარიღდება XIII ს. დამლევითა და XIV ს.

¹ იხ. ვ. ციხკარი შვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1959, გვ. 11—12.

² მიცვალბულთა სულის მოსახსენებლად საქართველოში შემდეგი დღეები იყო მიღებული: ხორცის აღების შაბათი; დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შეიღვეულის შაბათები, სული წმინდის მოფენის წინა შაბათი; ახალკვირის შემდეგი სამშაბათი (იხ. საეკლესიო კალენდარი, თბილისი, 1955, გვ. 91).

დამდევით. შოთასი კი XII—XIII სს. მიჯნით. ორივე აღაპი სვინაქსარიდან გადასულა აღაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში. ორივე პირისთვის განწესებულია თითო აღაპი მარხვა-ზატიკის კვირებზე. ეს კი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ეს აღაპები დაწერილია შემომწირველთა სიცოცხლეშივე მონასტრის კრებულისათვის გაწეული დიდი სამსახურის გამო, რაც თავის დროს შეიძლება შემომწირველთა „დაწერილში“ აისახა. ამ რიგის დოკუმენტები მონასტერში ბევრი უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამდენიმე მითითებამ ამგვარი დოკუმენტების არსებობის შესახებ.

მეორეს მხრით, ჯვარის სვეტებზე ერთსა და იმავე პოზაში, მსგავსი წარწერით გამოსახულნი არიან მომხატველები გაბრიელ დრანდელი და შოთა რუსთაველი. შეიძლება თუ არა ამ პირთა გაიგივება ჯვარის აღაპის გრიგოლ დრანდელთან და შოთა მეჭურჭლეთუხუცესთან. ხომ არ არის მომხატველობა ორივე შემთხვევაში ის დიდი დამსახურება, რისთვისაც ჯვარის კრებულმა ორივეს გაუჩინა საპატიო აღაპები? ამას მხარს უჭერს ერთი მეტად არსებითი გარემოება. ჩვენ ქვემოთ დაივინახავთ, რომ ჯვარის მონასტრის კედლებზე გამომხატული ისტორიული პირები თავის მოღვაწეობითა და საქმიანობით უშუალოდ არიან დაკავშირებული ჯვართან და თითქმის ყველა მათგანისათვის ამავე დროს განწესებული ან აღაპი ან მოსახსენებელი. ასეთივე ვითარება უნდა ვივლდისხმოთ დრანდელისა და შოთა რუსთაველის მიმართ. ამავე დროს სხვა დრანდელი, გარდა გრიგოლისა, იერუსალიმის აღაპებში, მოსახსენებლებსა და ხელნაწერთა შინაწერებში არ ჩანს, ასევე სხვა შოთა, გარდა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა, არსად მოიხსენება. მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაჭრისათვის გარკვეული დამტკიცებები გვხვდება. გამოსახულების წარწერაში დრანდელს გაბრიელი ეწოდებოდა, აღაპი კი—გრიგოლი. ეს განსხვავება, ჩვენის ფიქრით, ფრესკის წარწერის გვიანდელი განმაცხოველების დაშვებული შეცდომა უნდა იყოს.

აღაპის მიხედვით გრიგოლ დრანდელი XIII—XIV სს. მიჯნის მოღვაწეა. თუ ის ჯვარის მონასტრის მომხატველი იყო, როგორც ამას მისი გამოსახულების წარწერა გვამცნობს, მაშინ ეს ფრესკა თავდაპირველად მომხატველის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. დრანდელის გამოსახულების წარწერა კი, ისევე როგორც შოთასი, პალეოგრაფიულად XVI საუკუნეზე ადრეული არ არის. მაშასადამე წარწერა, ფრესკაზე არაფერს ვამბობთ, ამ დროისათვის დაზიანებული ყოფილა და ის განუახლებიათ ან გაუცხოველებიათ.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გრიგოლ დრანდელის ერთი და იგივე აღაპის ორი ჩანაწერი არსებობს. ერთი—სვინაქსარის (№ 301), ხოლო მეორე აღაპთა ტიშენდორფისეული ნუსხისა (I—3), სადაც აღაპი სვინაქსარიდან არის გადატანილი. ნუსხურად დაწერილ ორივე აღაპში გრიგოლი დაქარაგმებულია შემდეგნაირად—გ გ ლ. საფიქრებელია, რომ ასევე იყო ეს სახელი დაქარაგმებული დრანდელის გამოსახულების თავდაპირველ წარწერაში. შემდეგ წარწერა დაზიანებულია და განმარტებელს გ გ ლ-ის მაგივრად წაუკითხავს გ ბ ლ, ეს კი უდრის გაბრიელს. ასეთი აღრევა სავსებით კანონზომიერია. გ გ ლ-ში (ლ, ს) საქმარისია დაზიანდეს მეორე ლ-ს თავის ზემო ხაზი, და უკვე ძნელი დასადგენია, თუ რა ასო იყო თავდაპირველად აქ გ(ლ) თუ ბ(ლ). ამ ასოთა აღრევის შემთხვევები წიგნიერ გადაწერებთანაც კი ხშირია. წარწერების შემსრულებელი კი დიდი წიგნიერობით ვერ დაიტრაბახებს, სხვათა შორის ჯვა-

რის მონასტრის ზოგიერთ სხვა წარწერაშიც შეიმჩნევა აშკარა შეცდომები, რაც იმას მოწმობს, რომ წარწერათა განაწილებულზე არ ყოფილა დიდად კვალიფიციური მწერალი.

თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ჯვარის მონასტრის დამსატველი გაბრიელ დრანდელი იგივე ალაპის გრიგოლ დრანდელია, მაშინ გასაგები ხდება ისიც, თუ რა დამსახურებისათვის განუწყესს გრიგოლ დრანდელს ხორციელის კვირიაკეს საპატიო ალაპი. მის როგორც მომხატველს, სავარაუდოა, სიცოცხლეშივე ჩაუწერეს სვინაქსარში ალაპი, ხოლო მეორეს მხრით, მონასტრის კედელზე გამოსახეს.

ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე შოთა მეჭურჭლეთუხუცესის ალაპისა და შოთა რუსთაველის ფრესკის შემთხვევაშიც. XII—XIII სს. მიჯნის ალაპში მოხსენიებული შოთა მეჭურჭლეთუხუცესი უნდა იყოს ჯვარის მონასტრის დამსატველი შოთა. ამ შემთხვევაშიც შოთა დამსატველის დეაწლი ორგვარად აისახა: ერთი—ალაპის სახით, ხოლო მეორე—მისი გამოსახულებით სვეტზე. გამოსახულება წარწერითურთ აგრეთვე მისახსენებლის ფუნქციის მქონე იყო.

შოთა დამსატველის გამოსახულება, ისევე როგორც გრიგოლ დრანდელისა, შესრულებული უნდა იყოს მის სიცოცხლეში, ალაპის დაწერის პარალელურად. რაც შეეხება გამოსახულების წარწერას, ის პალეოგრაფიულად აშკარად გვიანდელია. იგი გრიგოლ დრანდელის გამოსახულების წარწერის დროინდელია (ე. ი. გაკეთებულია არა უადრეს XVI ს.) და იმავე დამწერის მიერ შესრულებული ჩანს. ამგვარად აქაც წარწერა განახლებული ან გაცხოველებულია. სხვათა შორის, ამას მოწმობს წარწერის არასწორი სინტაქსური აღნაგობაც.

„ამის დამსატვესა შოთასქ შუუნდვენ ღმერთმან, ამინ. რუსთველი“

სავსებით დასაშვებია, რომ ეს წარწერა არ იყოს ჩვენამდე მოღწეული თავდაპირველი სახით და მისმა განმაცხოველებელმა თუ განმაახლებლებმა, ნებით თუ უნებლიეთ, დაარღვია მისი თავდაპირველი წყობა. ამიტომ მკვლევრების (კ. კეკელიძისა და შ. ნუცუბიძის) ცდა, წარმოიდგინონ და აღადგინონ წარწერის თავდაპირველი სახე სავსებით კანონზომიერი. სხვა საკითხია, რა თვალსაზრისით უღებებიან ისინი ამ წარწერის რესტავრაციას.

ერთი სავსებით აშკარაა, რომ შოთას გამოსახულების წარწერა ვერ თავსდება ვერც სინტაქსურად და ვერც კომპოზიციურად იმ ტრაფარეტში, რომლითაც შესრულებულია ჯვარის მონასტრის დანარჩენი ორი მომხატველის (გრიგოლ დრანდელისა და ასენ ავრის) წარწერები.

ამგვარად, ალაპთა ჩვენებებით შოთას და გრიგოლ დრანდელის გამოსახულებები მონასტრის მხატვრობის ძველი ფენიდან (XII და XIV ს. დამდგის) უნდა იყვნენ. მაგრამ ეს საკითხი ამ თვალსაზრისით ვერ განიხილება იქამდე, სანამ არ ვაირკვევა: იყო თუ არა ნიკიფორემდე მოხატული მონასტერი, და თუ იყო, რამდენჯერ და როდის.

ჩვენ შევჩერდებით ჯვარის მონასტრის ისტორიის იმ ძირითად მომენტებზე, რომლებიც მის შეკეთება-მოხატვასთან იყო დაკავშირებული.

ჯვარის მონასტრის მოხატულობით სავანებოდ დაინტერესებული იყო პროფ. ა. ცაგარელი. მკვლევრის ვარაუდით იგი აღრევე (აშენებისთანავე) ყოფილა მოხატული. ამის საფუძველს ის ხედავდა სხვადასხვა პილიგრიმოზა ჩანაწერებში. ყველაზე აღრეული ცნობა ჯვარის მონასტრის დარბევის შესა-

ბებ შემოგვინახა მოგზაურმა ზეველემმა. მან მონასტერი მოიხილა 1102 წელს; იგი წერდა: „Церковь св. Креста находится к западу от Иерусалима, на расстоянии приблизительно милиария, в том месте, где был вырезан святой крест. Церковь досточтимейшая и красивейшая, но язычники разорили ее, но однако не вполне разрушили, исключая зданий кругом и келий“¹. მონასტრის ეს დარბევა უნდა მომხდარიყო 1071—78 წლებში, როდესაც სელჯუკებმა დაიპყრეს რამლა და იერუსალიმი და მოაოხრეს წმიდა ადგილები².

1106—1107 წლებში რუს მოგზაურს დანიელს, როგორც ჩანს, მონასტერი უკვე შეკეთებული და მოხატული უნახავს: „... и посреди града того содана есть церкви, велика в верх, во имя честного креста, исписана есть добре вся... и то есть монастырь Иверский“³. უნდა ვიფიქროთ, რომ მონასტერი ამ წლისათვის თავიდან კი არ მოხატულა, არამედ გაცხოველებულა მონასტრის შეკეთებასთან ერთად. ხოლო თავდაპირველად ის უნდა მოხატულიყო მონასტრის აშენების დროს (1060 წლისთვის), თუნდაც იმიტომ, რომ XI—XII საუკუნეებში დიდ ქართულ ტაძრებს მოუხატავდა არ სტოვებდნენ.

შემდეგი ცნობები ჯვარის მოხატვის შესახებ შემოუნახავს თვით ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობას დამხატველთა და კტიტორთა გამოსახულ ბათა-სახით, და აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილს, რომელიც წერს: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთა რუსთველს, მექურტლეთუხუცესს, თითონაც შივ ხატია მოხუტებული“⁴.

დანიელისა და ტიმოთეს ცნობები ეხება იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის ხანას.

იერუსალიმის ქართული კოლონიისა და ჯვაროსანთა სამეფოს ურთიერთობის ამსახველმა მასალებმა ჩვენამდე მცირე რაოდენობით მოაღწიეს, მაგრამ რაც არის, იმიტაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა ამ ურთიერთობაზე.

ცნობილია, რომ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებისა და იერუსალიმის სამეფოს შექმნის შემდეგ (1099—1187) მართლმადიდებლური ტაძრების დიდი უმრავლესობა ლათინებმა დაისაკუთრეს.

„В Иерусалиме, где до того у латин кроме храма Марии Латинской и госпиталя и библиотеки при оном ничего не было, со времени завоевания ими этого города, их собственностью сделались почти все христианские храмы и монастыри со всеми принадлежащими к ним святыми местами. Православными были оставлены лишь замечательные храмы, да отдельные монастыри, находившиеся по большей части в трудно проходной, каменистой и раскаленной пустыне Иудейской, близь Иордана...“

В ближайших окрестностях Иерусалима и в самом городе православным принадлежали только Крестный монастырь (грузинский), монастырь св. Мелании, называемый иначе „Великая Панагия“ (греческий) и метох или подворье монастыря св. Саввы⁵.

¹ Путешествие Зевульфа, ППС, т. III, в. 3, ст. 282.

² განენი, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 33.

³ Житие и хождение Даниила, ППС, т. 1, в. 3, ст. 82—83.

⁴ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1936, გვ. 80.

⁵ А. Попов, Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев. I

ჯვარი უკვე ამ დროს პალესტინის ერთ-ერთ უდიდეს სიწმიდელ ითვლებოდა და თუ ის მაინც გადაურჩა გალათინებას, არა მარტო იმიტომ, რომ ის იერუსალიმის ვარეთ მდებარეობდა, არამედ უფრო იმიტომაც, რომ შექმნილი საზღვრო-პოლიტიკური ვითარების გამო ქართველები ჯვაროსანთა თანამებრძოლად გამოდიოდნენ მუსლიმანების წინააღმდეგ, რისთვისაც მათ გარკვეული პრივილეგიები მოიპოვეს ჯვაროსანთა სამეფოში.

თუ რა დიდად აფასებდნენ ჯვაროსნები ქართველთა ჯვარის მონასტერს, ამას მოწმობს 1156 წელს ჯვარში გადაწერილი სვინაქსარის მინაწერები¹, რომელნიც მოიცავენ ჯვაროსანთა ტამბლიერთა ორდენის წევრებას მოსახსენებლებს. ამ მოსახსენებლების შეტანა ქართულ ხელნაწერში მოწმობს იმას, რომ ჯვაროსნები არა მარტო დადიოდნენ ჯვარში და პატივს სცემდნენ მას როგორც ერთ უდიდეს სიწმიდეს, არამედ სწირავდნენ მონასტერს შესაწირავებს, რათა მათი მოსახსენებლები აღბეჭდილიყო ჯვარის მონასტრის სვინაქსარში და მათი სახელები მოხსენებული ყოფილიყო წირვის დროს.

ლათინთა სამეფოს მშუოთვარე არსებობის მანძილზე ჯვარის მონასტრისაღმ, რომელიც ამ დროს ასახიერებდა მთელ ქართულ კოლონიას, ჯვაროსნებს ყოველთვის ერთნაირად კეთილგანწყობლური დამოკიდებულება როდი ჰქონდათ. ერთის მხრივ, ჯვაროსანთა შორის დაჯგუფებები, კინკლაობა და გაუტანლობა, მეორეს მხრივ, მუსულმანების მუდმივი შემოტევა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა იერუსალიმის მეფეს. ბალდუინ III მეფობის შემდეგ იერუსალიმის სამეფოს ძლიერება სწრაფად ეცემოდა. განსაკუთრებით გართულდა ჯვაროსნების მდგომარეობა მას შემდეგ, რაც სულთან სალადინმა გააერთიანა ეგვიპტე და სირია და შეუდგა სამხადისს იერუსალიმზე გასალაშქრებლად.

მუსლიმანთაგან გარშემორტყმული იერუსალიმის სამეფო მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. ეს დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხარჯები კი მძიმე ტვირთად აწვებოდა იერუსალიმის მოსახლეობას და მონასტრებს.

1177 წელს იერუსალიმის კედლების ამაღლების მიზნით ბალდუინ IV დააწესა ახალი ყოველწლიური გადასახადი. 1182 წელს კი სამეფოს დასაცავად სალადინის მოსალოდნელ თავდასხმისაგან შემოღებულ იქნა სამეფოს ყველა მცხოვრებზე ერთდროული გადასახადი². ეს გადასახადები, როგორც ჩანს, არც ჯვარის მონასტერს ასცდენია.

ამ დროს უნდა იყოს დაწერილი ჯვარის მონასტრის ალაბი № 280, განწესებული ანასულისთვის, რომელმაც მონასტერს 100 ოქროს ღუჯატი შესწირა. ალაბში ვკითხულობთ: „იერუსალიმის მეფე გაგვწყრა და რააცა მონასტრისაჲ იყო, დაგვჭირა. ოქროსა გუთხოვდა და დიდსა ქირსა შეცვივდით ულონობისაგან. არწმუნა ღმერთმან და 100 ღუჯატი მისთვის შეგვაწია... ანასულდომ“. აშკარაა, მონასტერს ვერ დაუქმყოფილებია იერუსალიმის მეფის მოთხოვნილება, ვერ მიუცია მისთვის საჭირო რაოდენობით ოქრო, რის გამოც მეფე გამწყრალა და „რაიცა მონასტრის იყო, წაუერთმევია“. აქ, ალბათ, უმთავრესად, მონასტრის კანულობა და მანულები იგულისხმება.

ჯვარის მონასტერს კი, ჩანს, ამ დროს კარგად დაყენებული მეურნეობა ჰქონდა. მონასტრის ბერები განსაკუთრებით შევენახეობას მისდევდნენ. იოანე ფოკამ, რომელმაც იერუსალიმში იმოგზაურა 1177 წელს, საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ჯვარის მონასტრის დიდ ზვრებს იერუსალიმის მახლობლად.

¹ ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, მუხეუმის მთაბე, XVB, გვ. 45.

² А. Попов, დასახ. წიგნი, გვ. 280.

„По правую сторону града Иерусалима и башни пророка Давида есть горный хребет весь покрытый виноградниками, и на более низменных частях его находится монастырь Ивиров“¹.

ერთი ლათინური დოკუმენტის მიხედვით კი 1178 წელს ჯვარის მონასტრის ზერების ნაწილი, როგორც ჩანს, ბალდუნი IV ხელში იყო: „В 1178 году король Балдуин IV уступает Петру (приору) два квинтала винограду в своих виноградниках, что близь монастыря св.Креста, взамен десятины с виноградника, расположенного у второго Прокопия“². საუქრებელია, აქ ჯვარის მონასტრის ის ზერები იგულისხმება, რომლებიც 1177 წელს ბალდუნი IV ანასულის აღაპის მიხედვით წაართვა მონასტერს.

მეგრამ ვენახების დაკარგვას ჯვარის მონასტრის ბერები ადვილად როდი ეგუებოდნენ. 1178—1184 წლებში იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზ გულაბერიძეს ყველა ზომა მიუღია იმისთვის, რომ დაეცვა ჯვარის მონასტრის ქონება და მამულები. ნ. გულაბერიძის აღაპიდან (№ 125) ვგებულობთ, რომ მას „უკმოუსყიდა“ ე. ი. გამოუსყიდა მონასტრის ვენახი და სხვაც მრავალი წარუგია მონასტრისადმი. ამავე წლებში, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ანასულის დაუოკებია ოქროს დუკატებით ბალდუნი IV (რომლის მეფობის დღეები უკვე დათვლილი იყო) და ამ გზით გადაურჩენია მონასტრის ქონება სრული განიავებისგან.

1187 წელს სალადინმა დაიპყრო იერუსალიმი. ჩანს, იერუსალიმის გაკოტრებულმა სამეფომ და იერუსალიმის ხარბმა მეფეებმა იმდენად შეაწუხეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომ ის სალადინის მიერ იერუსალიმის დაპყრობას სიხარულით შეხედა. ქართველებსაც იმედი მიეცათ, რომ სალადინის მეშვეობით ისინი დაიბრუნებდნენ ლათინთაგან ჩამორთმეულ მონასტრებს, მამულებსა და უფლებებს წმ. ადგილებზე.

სალადინის ისტორიკოსის ბეჰა-ედ-დინის ცნობით 1187 წელს იერუსალიმში ჩავიდა ქართველთა დესპანი ინსტრუქციით, რომელიც შეეხებოდა ქართველების მიერ იერუსალიმში მოპოვებულ წმიდა ადგილებს. ქართველები ჩიოდნენ, რომ მათ ჩამოართვეს წმიდა ადგილები, და სთხოვდნენ სულთანს ამ ადგილებზე მათი უფლებების აღდგენას³. აქ უკვე სახელმწიფოებრივ ღონისძიებასთან ვვაჭეს საქმე.

ჯვარის მონასტრის არსებობის ამ მძიმე წლებში, როგორც ჩანს, თამარი დიდ შესაწირავენს გზავნიდა იერუსალიმში. ბასილი ეზოსმოძღვარი წერს, რომ თამარი „წარავლინდის სარწმუნოთა თვსთა და დავედრის ესრეთ: იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა მთისა და კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდის; ხოლო იერუსალიმისათვს სადღა სავმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათვს ოქროთა აურაცხელთა“⁴.

¹ Иоани Фока, Сказание вкратце о городах и странах от Антиохии до Иерусалима, также Сирии, Финикии и о св.местах в Палестине, ППС. т. VII, в. 2, гл. 54.

² ვიმოწმებ ა. პოპოვის მიხედვით. Латинская Иерусалимская патриархия эпохи крестоносцев, т. II, гл. 177.

³ Pilgrim Palestinian text society, London, 1897, XIII, გვ. 384. ვიმოწმებ გ. ფერადის ნაშრომის მიხედვით: An account of the georgian monks and monasteries in Palestine, Georgia, 1937, № 4—5, გვ. 156.

⁴ ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხორება მეფეთ მეფისა თამარისი, ი. ჯავახიშვილის გამოც. გვ. 30.

სავსებით დასაშვებია, რომ შოთა რუსთველი იყო იმ „სარწმუნოთაგანი“, რომელიც შეწირულებითა და დავალებებით იგზავნებოდა იერუსალიმში და რომელმაც, სხვათა შორის, ჯვარის მხატვრობის განახლება-შეკეთებაზეც იზრუნა, რის გამოც, ვითარცა დამხატვაი სივცოცხლშივე სვეტზე იქნა გამო-სახული და აღაპებშიც საპატიო ადგილშიჩენილი.

ასეთ ვითარებაში განცვიფრებას იწვევდა ის, რომ ჯვარის მონასტრის აღაპთა და მოსახსენებელთა ოფიციალურ კრებულებში არსად ჩანდა თამარი. მაგრამ იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შესწავლამ ეს შეუსაბამობაც მოხსნა. როგორც ვაირკვა, ჯვარის მონასტრის კრებულს თამარისათვის კერძო (ე. ი. საკუთარი) სვინაქსარი დაუწესებია (იერ. № 45), ე. ი. მისი მოსახსენებლები საერთო სვინაქსარებში კი არ შეუტანიათ, არამედ მისთვის განუწესებიათ ცალკე სვინაქსარი, სადაც ჩაწერილია მხოლოდ მისი მოსახსენებლები ყველა საუფლო და დიდ დღესასწაულებზე და მის გარდაცვალების დღეზე (27 იანვარს). ასეთი კერძო სვინაქსარი იერუსალიმის ხელნაწერებში ჩვენ მხოლოდ თამარის ეს ერთადერთი სვინაქსარი გვხვავლება.

ამრიგად, XII—XIII სს. მიჯნა, ლათინთა სამეფოს არსებობის უკანასკნელი წლები და სალადინის აღზევების ხანა მძიმე და მღელვარე დრო იყო როგორც იერუსალიმის, ასევე ჯვარის მონასტრის ისტორიაში. ჯვარი ამ დროს განსაკუთრებულ ზრუნვასა და დაცვას მოითხოვდა. თამარის ხანის საქართველოს სამისო პოლიტიკური და ეკონომიური ძალა შესწევდა. იერუსალიმში ჩასული პილიგრიმები თუ საქართველოდან გარკვეული დავალებით გაგზავნილი პირები ზრუნავდნენ დაკარგული მამულების გამოსყიდვაზე (ნიკოლოზ გულაბერიძე), დაკარგული უთლებების აღდგენაზე. მონასტრის გადასახადების დაფარვაზე (ანასულო) და ბოლოს მონასტრის ინგენტარზე, შემკულობაზე, შენობის წესრიგზე და მისი მხატვრობის განახლებაზე (შოთა რუსთველი). ზრუნვის ეს ფაქტები აისახა მონასტრის აღაპებში, თამარის ისტორიკოსთან და ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობაში შოთა რუსთველის ფრესკის სახით. ერთი სიტყვით, თუ ჯვარის მონასტრის კედელზე შოთა რუსთველის გამოსახვის საჭიროება როდისმე იყო, მხოლოდ მისსავე დროს, მისივე დამსახურებისათვის, ვინაიდან ჯვარის მონასტერს მისი არსებობის ყოველ მონაკვეთში თავისი მზრუნველები და მექომავენი ყავდა, რომელთაც ასევე დატოვის თავისი კვალი წერილობით ძეგლებსა და მხატვრობაშიც. ხოლო ჯვარის მონასტრის მოხატვის შესაძლებლობას სწორედ ჯვაროსანთა ეპოქაში სავსებით უჭერს მხარს კედლის მხატვრობის თემატიკა, კერძოდ სებასტიანეს გამოსახულება მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჯვარის მონასტრის კედლებზე შეიძლება ვაჩენილიყო მხოლოდ ჯვაროსანთა ეპოქაში, იტალიური ხელოვნების გავლენით¹.

XIII—XVI სს. მანძილზე ჯვარი, როგორც ჩანს, არაერთგზის დაუბრევით და შეუვიწროვებიათ. განსაკუთრებით მძიმე იყო მამლუკთაგან ჯვარის მიტაცება 1273 წელს და მისი მიზეზითად გადაქცევა². „დატყვევებული“ ჯვარის განთავისუფლება ქართველებისათვის გადაიქცა ეროვნული ღირსების დაცვის საქმედ. ამიტომ ტყვეობის პერიოდში ჯვარის მონასტრის კრებული,

¹ Die Wandgemälde in der Kirche des Kreuzklosters bei Jerusalem (Ein orientierender Überblick) Von Anton Baumstark, გვ. 783. შ. ამირანაშვილი, რას შე-ტყვევებს რუსთაველის პორტრეტი? გაზ. კომუნისტი, 1961, 7 იანვარი, № 5.

² ამ საკითხზე ბევრია დაწერილი. ჯვარის მონასტრის „დატყვევებისა“ და განთავისუფ-ლების თარიღებს ვრცლად ვეხებით „ჯვარის მონასტრის აღაპთა“ წინასიტყვაობაში.

დროებით მეტოქის შეფარებული, აუარებელ მდიდარ შეწირულებებს ღებულობდა; ამას მოწმობს ამ პერიოდის ალაპები, დიდი რაოდენობით მოღწეული ჩვენამდე.

ჯვარის განთავისუფლებაზე გეგმიანი ზრუნვა თავს იდგა სამმა ქართველმა მეფემ: ვახტანგ III, რომელმაც 1299 წელს, ჯვარის ტყვეობის ოცდამეექვსე წელს მონასტრის კრებულს დიდი მატერიალური დახმარება აღმოუჩინა (ალაპი № 203); მისმა ძმამ დავით VIII, რომელმაც 1305 წელს სულთანისაგან მიიღო თანხმობა ჯვარის განთავისუფლებაზე და ჯვარი კვლავ „აგო ქართველებს“ და „მეორედ აშენა“ (ალაპი № 288) და კონსტანტინე აფხაზთა მეფემ (გარდაიცვ. 1327 წ.), რომელმაც „ახლად შეკაზმა“ დავითისაგან მეორედ აშენებული მონასტერი (ალაპი № 235). კონსტანტინესთვის განწყვსებულ ალაპში სწერია: „ალაპი და პანაშვიდი აფხაზთა მეფეთ-მეფისა კოსტანტინესი, ჯუარისა მონასტრისა ახლად შეკაზმავისა“ (№ 235). რას უნდა ნიშნავდეს მონასტრის შეკაზმვა? შეკაზმვა, ან მოკაზმვა შეიძლება გულისხმობდეს ეკლესიის მორთვას, რაც მოხატვასაც ვარაუდობს. მეორეს მხრით შეიძლება გულისხმობდეს მონასტრის უზრუნველყოფას „აკაზმულობით“. „აკაზმულობა“ საეკლესიო მოწყობილობის მნიშვნელობით რამდენჯერმეა ნახმარი ათონის ივერიის მონასტრის ალაპებში: ასე მაგ. № 32 ალაპში ვკითხულობთ: „ალაპი განვაწყვსეთ ძმისა ჩუენისა კახისა კურიკესთჳს. დაუტევა ეკლესიასა სტავრანი და აკაზმულობა, რომელ ვუფასეთ სამ ლიტრად განძად“. ქაიხოსროს გაზრდილის ამბროსეს ალაპში კი ვკითხულობთ, რომ მან „საუძლურე აღაშენა მისით აკაზმულობითა“ (№ 163). აკაზმულობა აქაც საუძლურეს მოწყობილობას ნიშნავს¹.

თუ შეკაზმვას დაუეკავშირებთ აკაზმულობას, მაშინ უნდა მივიჩნიოთ, რომ კონსტანტინე აფხაზთა მეფეს ჯვარის მეორედ აშენების შემდეგ მონასტერი ინვენტარით მოუწყვია. ასეთ მოწყობას მონასტერი საჭიროებდა, ვინაიდან მამულქებმა იგი სრულიად გააპარტახეს. წმ. ლუკას ცხოვრებიდან ევებულობთ, რომ შეიხ ხიდრი „ვითარცა მგეცი მიუდგა ძმათა ჩუენთა ქართველთა და არარაა შერჩინა არცა მონასტრით და არცა თვისაჲ, რაჲცა თჳსგან ჰქონდათ და ეგეონი შიშველნი გამოასხნა“². მაგრამ უფრო მეტად საჭიროებდა მონასტერი მხატვრობის განახლება-გაცხოველებას. ჯვარის მონასტრის შენობის შეკეთება-განახლებას, ანუ „მეორედ შენებს“, რომელიც დავით VIII თანხებითა და ინიციატივით მომხდარა, ბუნებრივია, მონასტრის მხატვრობის გაცხოველება-განახლება უნდა მოჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ მამულქთაგან მიტაცებულსა და 33 წლის მანძილზე მიზგიითაღ ქცეულ ჯვარის მონასტრის წმინდანთა და ქართველ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს ამ დროს კარგი დღე არ დაადგებოდა; ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ კონსტანტინე მეფის მიერ მონასტრის ახლად შეკაზმვა მონასტრის ახლად მორთვას და მოხატვას უნდა ნიშნავდეს.

ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობის განახლება-გაცხოველება ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგ. მარტვილის ეკლესია ოთხჯერ მანც არის მოხატული³. ხობის, ისევე როგორც მარტვილის მხატვრობა, რამდენჯერმე განუახლებიათ⁴. გელათის კედლის მხატვრობაზე კი თ. ვირსალაძე წერს: „Задняя

¹ XII ს. დამდეგის შიომღვიმის ერთი საბუთის მიხედვით კაზმვა და აკაზმვა შეკეთება, გაწყობა-გამართვას ნიშნავდეს (იხ. Ad - 81).
² Д. Книшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 61.
³ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 118.
⁴ იქვე ივ. 134-137.

კტიტორთა სკაზალასა ი ნა ვნუტრენემ ოფორმლენი ხრამა—როსპისა ეგო პოხოვლასა ი ნეოდნოკრატო პოხოვლასა“; და იქვე დასძენს: „Чем интенсивнее историческая жизнь памятника, тем больше на нем поздних наслоений“¹. თუ რომელიმე ქართულ მონასტერზე შეიძლება ამის თქმა, პირველ რიგში ჯვარზე; ჯვარის მონასტერს მეტად ინტენსიური ცხოვრება ჰქონდა, რაც შეუძლებელს ხდის იმის დაშვებასაც კი, რომ მონასტერი მხოლოდ ერთხელ მოხატა და ისიც XVII საუკუნეში. თუ მონასტრის მოხატვა შესაძლებელი იყო მისი არსებობის დაკნინების პერიოდში, მით უმეტეს ეს მოხერხდებოდა უფრო ადრე საუკუნეებში, როდესაც მონასტრის კრებულს საამისოდ გაცილებით უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ XIV საუკუნის დამდეგს მონასტრის მხატვრობის განახლება შეესებოდა ვარაუდს სავსებით უჭერს მხარს კედლის მხატვრობის შინაარსობრივი ანალიზი.

ამგვარად, ჯვარის მონასტრის „ტყვეობიდან“ განთავისუფლება, მისი „მეორედ აშენება“ და „ახლად შეკაზმვა“ თავს იდევს ვახტანგ III, დავით VIII, და კონსტანტინე აფხაზთა მეფემ. ამ დიდი დამსახურებისათვის სამივე მეფესათვის განწესდა აღაპები საუფლო და დიდ დღესასწაულებზე. დავით მეფესათვის—ღვთისმშობლის მიძინებას (15 აგვისტოს, № 288) და თევდორობის შაბათს (I 12); ვახტანგ მეფისათვის—ღღესა დიდებულსა ხარებისასა (№ 203) და კონსტანტინე მეფისათვის—21 მაისს, მისი სეხნია კონსტანტინე დიდის მოხსენიების დღეს. არც ერთი ამ აღაპთაგანი არ არის განწესებული მიცვალების დღეს, ამიტომ საფიქრებელია, რომ სამივე შედგენილია მათ სიციცხლეში, მათ მიერ მონასტრისათვის გაწეული სამსახურის სამუქედოდ.

ჯვარის მონასტერი მამლუკთა შემდეგაც არაერთხელ აწიოკებულა. ე. წ. „გოლგოთას სვინაქსარის“ 1400 წლის ერთი მინაწერიდან ვგებულობთ, რომ ამ დროისათვის ჯვარის მონასტერი „აშლით აუოხრებიათ“. „აქა მოვიდა მამწყვერელი პიმენ მას ჟამსა, ოდეს თემურ დიმაშხი (დამასკო) აოჯრა და ჟუარისა სახლი აშლით აოჯრეს...“²

პიმენ მამწყვერეულმა, შემდეგ ჯვარის მამამ, ბევრი იღვაწა ჯვარის მონასტრის მოწესრიგებაზე და ეკონომიურ მომავრებაზე.

ჯვარის მონასტრის საფუძვლიან შეკეთებასთან ერთად ხდებოდა მონასტრის ნაწილობრივი გამავრება, შეკეთება და მხატვრობის გაცხოველება. ასე მაგ. XV—XVI სს. მიჯნაზე სერაიონ კუმურდოელს მეორედ აუშენებია მონასტრის ტრაპეზი (ეს ცნობა დაცულია აღაპებში—№ 20; ამასვე იმეორებს იერუსალამის № 21 ხელნაწერის მინაწერი, გვ. 111). დაახლოებით ამავე დროს მამქან-ყოფილმა მაკრინემ ააშენა ჯვარის მონასტრის გალავანი (№ 208), ხოლო როდამ-ყოფილმა რიფსიმემ გამოისყიდა მონასტრის მალარიკონი (მარანი) და ბორბლითა და ქვით ხელმეორედ ააშენა მონასტრის „ოხერი წისკვილი“ (№ 213).

კანტიკუნტად შემორჩენილი ეს ცნობები, რა თქმა უნდა, ვერ ასახავენ მონასტრის შეკეთება-განახლების რთულ ისტორიას, მაგრამ აშკარად მოწმობენ იმას, რომ XI—XVI საუკუნეებში მონასტერი მრავალჯერ შეკეთებულა.

¹ Т. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма, ქართ. ხელნაწება, V, გვ. 16.—170

² ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, მუხუნის მთაზე, XV B, გვ. 43.

მაგრამ ჩვენი მიზნებისათვის საინტერესოა კედლის მხატვრობის არა ყოველგვარი ვაცხოველება და სახელდახელო რესტავრაცია, არამედ მხოლოდ ისეთი განახლება ან მეორედ მოხატვა, როდესაც კედლის მხატვრობა მდიდრდებოდა ახალი კტიტორების გამოსახულებებით, ახალი ისტორიული პირებით და მონასტრის ახალი ამგდარებით. მხოლოდ ამგვარი მიჯნების გამოყოფის შემდეგ შეიძლება მსჯელობა იმაზე, თუ რამდენჯერ და როდის მოხატა ნიკიფორმდე ჯვარის მონასტერი და რა დროისაა ის უკანასკნელი ფენა, რომელიც დახვდა ნიკიფორეს.

ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობაში, ტრადიციულ თემატიკასთან ერთად¹, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი წმინდანებისა და ქართველ ისტორიულ პირთა გამოსახულებებს.

ეს გამოსახულებები რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

ფრესკები, რომლებიც ჯვარის მონასტრის აშენების ისტორიას ასახავენ. ამ რიგისანი არიან: მეფე მირიანისა და ვახტანგ გორგასალის გამოსახულებები, რომლებთანაც დაკავშირებულია გადმოცემა ჯვარის მონასტრის აშენების შესახებ², ბაგრატ კურაპალატი, რომლის თანხებითა და მხარდაჭერით ააშენა პროხორე შავშელმა ჯვარი, და ბოლოს, თვით პროხორე შავშელი.

მეორე ჯგუფად გამოიყოფა ქართველ წმინდათა გამოსახულებები. ამ პირთაგან ზოგი თავისი საქმიანობით დაკავშირებულია პალესტინის ქართულ კოლონიასთან, მაგ. პეტრე იბერი, პირველი სახელმძღვანელო ქართველი მოღვაწე პალესტინაში. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები,³ რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჯვარის მონასტრის აშენებაში და ჯვარის მონასტრის კულტურული კერის შექმნაში, და ბოლოს, ლუკა იერუსალიმელი, ჯვარის მამა, რომელიც აწამეს 1273 წელს — ჯვარის მონასტრის მამულთაგან დაპყრობასთან დაკავშირებით.

იერუსალიმში ყოფნის დროს ნ. ჩუბინაშვილს⁴ უნახავს მონასტრის კედლებზე გამოსახული ისე წილქნელი, სტეფანე ხირსელი, ანტონ მარტყოფელი და აბიბოს ნეკრესელი — ე. ი. ერთი ჯგუფი მისიონერ სირიელ მამათა, რომელთა საქმიანობა ქრისტიანულ აღმოსავლეთთან იყო დაკავშირებული. ძნელია იმის თქმა, თუ რა პრინციპით არის შერჩეული სწორედ ეს ოთხი მამა 13 სირიელ მამათაგან, უფრო საფიქრებელია, რომ დანარჩენთა გამოსახულებები ან გადასულა დროთა ვითარებაში, ანდა დაფარულა ახალი ფრესკებით მონასტრის მორიგი მოხატვის დროს. განურჩევლად იმისა, თუ რამდენი სირიელი მამა იყო თავდაპირველად გამოსახული მონასტრის კედლებზე, ერთი ამკარაა, რომ V—X სს. ქართველი წმინდანებიდან ჯვარის მონასტრის კედლებზე გა-

¹ იკონოგრაფიული თვალსაზრისით ჯვარი აღწერილი და შესწავლილი აქვს ბაუმშტარკს დასახ. ნაშრომში.

² ამ გადმოცემის ყველაზე ადრეული წერილობითი ფიქსაცია გვაქვს ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვაში“.

³ იერუსალიმის ერთი ხელნაწერის ცნობით ჯვრის მონასტერი პროხორემ ააშენა „ბრძანებითა და მოღვაწეობითა კურთხეულისა მამისა ეფთჳმისათა“ (იხ. Сагарели, Памятники, გვ. 173).

გიორგი მთაწმიდელიც ჩავიდა იერუსალიმში მამის, „ოდეს მამა პროხორე ჯვარისა მონასტრისა აშენებდა. ესე იხილა და საფასითა ფრიად შეეწია“ (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება, ათონის კრებული, 1901 გვ. 309).

⁴ Описание Крестного монастыря близъ Иерусалима Н. Чубиновым, Сведения, т. 1., в. III. გვ. 45.

მოსახა მხოლოდ სირიელ მიმათა ჯგუფი. სხვა ქართველი წმიდანები ჯვარის ფრესკულ მხატვრობაში არ ჩანან, ეტყობა არც ყოფილან.

1758 წელს ტიმოთე გაბაშვალს უნახავს ქართველ წმ. მიმებისა და მოწამეთა ჯგუფური გამოსახულება წარწერებით¹. მათი ნაშთები ნიკოლოზ ჩუბინაშვილმაც იხილა².

ტიმოთეს ცნობით ჯგუფურ გამოსახულებაში იყვნენ შემდეგი პირები: მღვდელმოწამე მოსე ქართველი.

მარი მღვდელმოწამე ქართველი.

მოწამე ქაიხოსრო ქართველი, რომელიც აწამა ყენმა შაჰაბაზ წმიდათა ხატათვის ქორონიკონსა ტ.

მამა არსენი იბადის ძე ქართველი, გვარად ვაჩნაძე,
ფილოსოფოსი.

მამა ეფთვმე გრძელისძე ქართველი.

მამა მიქელ ჭუაისძე ქართველი.

მამა იოანე რეხვაისძე ქართველი.

მამა იოანე ჭიმჭიმელი ქართველი და ფილოსოფოსი

კათალიკოსი ქართლისა არსენი

კათალიკოსი ქართლისა იოანე

ეპისკოპოსი კინდ ქართველი

ეპისკოპოსი ნუნუს ქართველი.

ამ სიაში არიან: სამი ქართველი მღვდელ-მოწამე, 6 ქართველი მამა, ორი ქართველი კათალიკოსი და 2 ქართველი ეპისკოპოსი. სიის შესაბამისად გილზეა მოწამე ქაიხოსრო ქართველი, „რომელი აწამა ყენმა შაჰაბაზ წმიდათა ხატათვის 1612 წელს“. ცხადია მისი გამოსახულება ნიკიფორეს დროინდელია. რაც შეეხება პირველ ორს — მოსე ქართველსა და მარი მღვდელ-მოწამეს — მათ შესახებ ცნობებს ვერ მივაკვლიეთ ქართულ ლიტურგიკულ და ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. ერთი ამჟამად, რომ ისინი ადგილობრივი მნიშვნელობის მოღვაწენი არიან. მათი პოპულარობა, ჩანს, პალესტინის ქართული კოლონიის იქით არ წასულა და არც იქ ყოფილა იქამდე დიდი, რომ მათი ხსენება იერუსალიმის სვინაქსარში ასახულიყო, მსგავსად ლუკა იერუსალიმელისა, ნიკოლოზ დვალისა და სალომე იერუსალიმელისა. სხვათა შორის, ტიმოთე გაბაშვილის ამ ცნობაზე დაყრდნობით იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ ცალკე გამოყოფს ქართველ მიმებს, რომელთაც „ცხოვრება თვისი დაასრულეს ქალაქსა შინა იერუსალიმსა“. ასეთებად მას მიაჩნია მიქელ ჭუაისძე, იოანე რეხვაისძე, დანიელ აბაშვილი, ღირსი ეპისკოპოსი კინდ, ეპისკოპოსი ნუნუს, ნიკიფორე ჩოლაყაშვილი, თეოდორე მანგლელი რევიშვილი³. მართალია, ეს ვარაუდი არ ეყრდნობა რაიმე დოკუმენტალურ მასალას, უფრო ტიმოთეს ცნობის ავტორისეულ გააზრებას წარმოადგენს, მაგრამ ეს გააზრება არ არის მოკლებული ლოგიკურ საფუძველს. თუ რა დროის მოღვაწენი არიან მღვდელ-მოწამენი მოსე და მარი, მამა ჭუაისძე და იოანე რეხვაისძე და ეპისკოპოსები კინდი და ნუნუს, ძნელი სათქმელია. უფრო სადებობელია, რომ ისინი არიან ან

¹ ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გვ. 85—86.

² Н. Чубинов, დასახ. წიგნი, გვ. 46.

³ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, გვ. 184.

პრობორეს წინა დროის პალესტინის ქართველი მოღვაწენი, ანდა პრობორეს თანამედროვენი. ეს კი ის დრო იყო, როდესაც ჯვარის კრებულს ჯერ კიდევ არ ჰქონდა წესად პალესტინის ქართველ მოღვაწეთა ღვაწლის წერილობითი ფიქსაცია. ეს ტრადიცია უფრო გვიან დამკვიდრდა¹. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ეპისკოპოს კინდის ხსენება ამ ჯგუფურ გამოსახულებაში. კინდი ქართულ ონომასტიკონში არ ჩანს. მაგრამ კინდთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ VII საუკუნის პალესტინის სომხურ მონასტრების აღწერილობა, გამოქვეყნებული ალიშანის მიერ. VII საუკუნის ავტორი ჩამოთვლის პალესტინის 70 სომხურ მონასტრს და, სხვათა შორის, მოიხსენიებს ნეტარი კინდის მონასტრს იოდასაფის უდაბნოს მისასვლელთან.

კინდის ვინაობის შესახებ ალიშანი ვარკვევით ვერაფერს ამბობს. ის გამოთქვამს ვარაუდს, რომ კინდი შესაძლოა წმ. ნერსეს მოწაფე, ე. ი. IV საუკუნის II ნახევრის მოღვაწე იყოსო².

ჩვენ აქ ვერ შევუდგებით იმის ძიებას, თუ რა მიმართებაა ამ ორ კინდს შორის. ამჯერად ჩვენთვის საინტერესო და საკმარისია ის, რომ კინდი და მისი სახელწოდების მონასტერი დამოწმებულია VII საუკუნის წყაროში. ხომ არ არიან კინდი და მარი ეპისკოპოსები ჯვარის წინააღრინდელი იერუსალიმის რომელიმე ქართული ეკლესიის ეპისკოპოსნი? VII ს. ერთ-ერთი (სამუელ) ეპისკოპოსის საფლავი ხომ აღმოჩნდა კიდევ ახლახანს იერუსალიმში³.

განვიხილოთ ახლა ჯგუფური კომპოზიციის ის პირები, რომელთა შესახებ მოგვეპოვება რაიმე ცნობა. ესენი არიან: არსენ იბადისძე, ტიმოთეს ცნობით გვარად ვაჩნაძე, ფილოსოფოსი. ჩანს, აქ არსენ, იყალთოელი იგულისხმება.

ეფთვიმე გრძელიძე ანუ ივივე ეფთვიმე გრძელი, XI საუკ. ცნობილი პოლემიკოსი, სოსთენთან მოპაექრე. ეფთვიმე გრძელის მოხსენიება არსენ იბადის ძის შემდეგ უფრო სარწმუნოს ხდის ტიმოთეს ცნობას არსენზე. ჯგუფურ კომპოზიციაში ერთმანეთის გვერდით ყოფილან გამოსახულნი დოგმატიკური მართლმადიდებლობის დამცველი ორი დიდი პოლემიკოსი, არსენ იბადის ძე იყალთოელი და ეფთვიმე გრძელი.

ჯგუფური კომპოზიციის მამათაგან ცნობილია აგრეთვე იოანე ჭიმჭიშვილი, გიორგი III-სა და თამარის დროინდელი მოღვაწე და მთარგმნელი.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული სამივე ზანა XI—XII სს. მოღვაწენი არიან. ჯგუფურ კომპოზიციაში სულ ორი კათალიკოსი ყოფილა გამოსახული: იოანე და არსენი.

XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე სულ სამი იოანე კათალიკოსია ცნობილი. ერთია—იოანე საუარელი (მისი ზეობის წლებია 1100—1142); მეორეა—თამარის დროინდელი კათალიკოსი (1208—1210); ხოლო მესამე—ნიკიფორე ჩოლაყაშვილის თანამედროვე იოანე ავალიშვილი (1610—1613). ამგვარად, ჯვარის მონასტრის კედელზე გამოსახული იოანე კათალიკოსი უნდა იყოს ან XII—XIII საუკ. მოღვაწე, ან XVII ს. დამღვეისა.

არსენი უფრო მეტია კათალიკოსად ცნობილი: არსენ დიდი საუარელი (860—887 წწ.), არსენ II კათალიკოსი (955—980), არსენ III (1222—1225) და არსენ

¹ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 1956, გამოც., გვ. 0182.

² Archive de l'Orient latin, t. II, გვ. 394—399. სხვათა შორის ეს ძველი სომხური წერილობითი წყარო იმითაც არის საინტერესო, რომ აქ დატულია უძველესი ცნობა, რომ იოანეს მონასტერი, აღდგომის ეკლესიის ნახლობლად, VII ს-ში ქართველებს ეკუთვნოდა.

³ გრ. ფერაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 183—184.

ბულმაისიძე (1233—1240). თუ რომელი არსენია გამოსახული ჯვარის მონასტრის კედელზე, ძნელი სათქმელია. ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: რომელი არსენიკ არ უნდა იყოს ის, მისი მოღვაწეობის ხანა XIII ს. შუა წლებს არ გასცილდება.

ამგვარად, ჯგუფური კომპოზიციის იმ პირთა უმრავლესობა, რომელთა ვინაობის დადგენა შესაძლებელია, V—XIII სს. მოღვაწენი არიან. მხოლოდ ერთი მათგანია აშკარად ნიკიფორეს თანამედროვე XVII საუკ. დამდეგის მოღვაწე (ქაიხოსრო ქართველი); ხოლო მეორე—იოანე კათალიკოსი ან XII—XIII სს. მოღვაწეა, ან ისევე ნიკიფორეს თანამედროვე კათალიკოსი. ე. ი. ჯგუფურ კომპოზიციაში ორად ორი ფენა გამოიყოფა. პირველი ძირითადი ფენა იფარგლება XIII ს. შუაწლებით, ხოლო მეორე წარმოადგენს ნიკიფორე ჩოლაყაშვილის დროინდელ შეესებას.

ამგვარად, განხილული მასალის მიხედვით XIII საუკუნის დამლევით უნდა მივიჩნიოთ ერთგვარ ზღვარად, რომლის შემდეგ მონასტრის კედლის მხატვრობის შეესება ქართველ წმინდანებისა და კათალიკოსების გამოსახულებებით მომხდარა მხოლოდ ნიკიფორეს დროს. ნიკიფორეს მხატვრობის ძველი ფენა შეუღესია თავისი თანამედროვე წმინდანთა და კათალიკოსით (თუ დავუშვებთ, რომ იოანე კათალიკოსი იოანე ავალიშვილია).

ამავე თვალსაზრისით განვიხილოთ ჯვარის მონასტრის კედლებზე გამოსახული სხვა ისტორიული პირები.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მონასტრის ცენტრალურ ადგილას გამოსახულნი არიან ის პირები, რომლებთანაც დაკავშირებულია მონასტრის აშენების ისტორია (პირიან მეფე, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ კურაპალატი). ამათ გარდა სვეტებზე გამოსახულია სამი დამხატველი: შოთა რუსთველი, გრიგოლ დრანდელი, არსენ ავრი და ვინმე იოანე გურული. საკურთხევლის ორივე მხარესა და კედლებზე კი: ლეონ დადიანი და ნესტან-დარეჯანი, რომელთა სახსრებითაც მოხატვინა ნიკიფორემ მონასტერი 1643 წელს; მარიამ დედოფალი, ლევან დადიანის და, როსტომ ქართლის მეფის მეუღლე, რომელმაც ნიკიფორეს ჯვარის მამიბასა და გოლგოთას არქიმანდრიტობის დროს გოლგოთას დიდი შეწირულობა გაუგზავნა; თბილელი მთავარეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი, რომელიც 1640 წელს ათონის ივერიის მონასტერში ყოფილა¹, ხოლო იქიდან, ჩანს, გამგზავრებულა იერუსალიმს, ვინაიდან იერუსალიმის № 36 ხელნაწერის საცავ ფურცელზე სინგურით წარწერილია: „ღმერთო შემიწყალე მე ცოდვილი ელისე ეპისკოპოსი“.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილის თანამედროვეა აგრეთვე მაქსიმე მაჭუტაძე, აფხაზეთის კათალიკოსი, რომელიც იერუსალიმში 1641 წლისათვის უნდა ჩასულიყო. მაქსიმეს კათალიკოსობის დასაწყისად მიჩნეულია 1639 წელი². ქრისტეფორე კასტელის ცნობით მაქსიმე 1641 წელს ყოფილა იერუსალიმში. ლამბერტის ცნობით კი მაქსიმე სამჯერ ჩასულა იერუსალიმში³. ამგვარად ელისე თბილელიცა და მაქსიმე მაჭუტაძეც ჯვარის მონასტერში ყოფილან ჯვარის მოხატვის ახლო ხანებში და შესაძლოა მოხატვის დროსაც.

¹ ათონის კრებული, 1901, გვ. 275.

² ბ. ლ. მ. ნიანაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII სს. ისტორიის ქრონოლოგიისათვის; მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ტ. 31, გვ. 131.

³ იქვე 33. 131.

მონასტრის დასავლეთის კედელზე გამოსახულნი არიან პაატა და ქაიხოსრო წულუკიძენი, აგრეთვე ნიკიფორეს თანამედროვე მოღვაწენი. ერთერთი მათგანისათვის ნიკიფორეს აღაპიც განუწყესებია, სადაც წერია, რომ ქაიხოსრო წულუკიძემ ააშენა ქრიატეს საფლავთან წმ. ნიკოლოზის საყდარი სამოცი სახლით, ქვითკირით კამარაშეკრული და დაიხსნა წმ. ნიკოლოზის წისქვილი და ვენახი. ამის სამუქფოდ ნიკიფორემ იგი დახატა ჯვარის მონასტერში და დაუნთო კანდელები (№ 96).

სადეკრებილია, რომ ასეთივე აღაპი იყო განწყესებული პაატა წულუკიძისთვის. ტომოთე გაბაშვილი პირდაპირ წერს, რომ ნიკოლოზის მონასტერი აუშენებიათ პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეებს¹. ამ ცნობის სიმართლეს ადასტურებს ისიც, რომ ჯვარის მონასტრის კედელზე ერთად არიან გამოსახულნი ქაიხოსრო და პაატა.

და ბოლოს, მონასტერში არის ნიკიფორე ჩოლაყაშვილისა და მისი თანამედროვისა და თანამოღვაწის თეოდორე მანგლელ რევიშვილის ფრესკები. თეოდორე ეპისკოპოსი, მანგლელი რევიშვილი, იერუსალიმის ქართული კოლონიის ენერგიული წევრი იყო. 1619 წელს, და ეტყობა უფრო ადრეც, ის ჯვარის მამა ყოფილა და მონასტრისათვის ძველად შეწირულ მამულებზე უკლებების² აღსადგენად იმერეთში უმოგზაურია³. ხელნაწერის ერთი ანდერძის, მიხედვით კი, რომელზედაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით შეგჩერდებით, მას შეუკეთებია და მოუხატენებია კიდევ ჯვარის მონასტერი.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილის ღვაწლზე ბევრია დაწერილი, ამიტომ აქ ამაზე არ შეგჩერდებით. თავისი დამსახურება ნიკიფორეს აუსახავს მონასტრის წარწერებსა და მხატვრობაში.

ნიკიფორე ჩოლაყაშვილს არც თავისი მშობლები გამორჩენია მხედველობიდან. მონასტრის პირველ სვეტზე, მარცხნივ, მოთავსებულია ომან, ქაიხოსრო და ბარბარე ჩოლაყაშვილების მოსახსენებლები⁴.

ამგვარად, ისტორიულ პირთა ფრესკებშიც ორი ქრონოლოგიური ფენა გამოიყოფა: ერთი ძველი, რომელიც XIII ს. დამლევით იფარვლება (XIII ს. დამლევის მოღვაწეა დამხატვაი გრიგოლ დრანდელიც), მეორე — ახალი, რომელიც მოიცავს XVII ს. პირველი ნახევრის მოღვაწეთა გამოსახულებებს.

ასეთივე ვითარებაა ჯვარის მამათა მიმართაც. მონასტრის კედლის მხატვრობაში 3 ჯვარის მამა ჩანს⁵.

პირველია პროხორე, ჯვარის მონასტრის აღმაშენებელი და პირველი მომხატველი. მის გვერდით გამოხატულია XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, წმ. ლუკა ჯვარის მამა, რომელიც ჯვარის „მეორედ აშენებისა“ და მეორედ მოხატვის დროს გამოისახა, როგორც დიდად ღვაწლმოსი ჯვარის მამა და მოწამე; ბოლოს, ნიკიფორე ჯვარის მამა, მონასტრის მესამედ მომხატველი.

პროხორეს და ლუკას გამოსახულებათა ერთმანეთის გვერდით მოთავსება ერთ კომპოზიციაში გვაფიქრებინებს, რომ მონასტრის ახლად მოხატვის დროს ძველის მარტო განახლება კი არ ხდებოდა, არამედ რიგ შემთხვევაში იცვ-

¹ ტ ი მ თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა, 1956, გამოც., გვ. 81.

² ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Hd—11273

³ А. Ц а г а р е л и, Памятники, ნაწ. III, წარწ. XII.

⁴ თეოდორე მანგლელის ფრესკას მხედველობაში არ ვდებულვით, ვინაიდან ის ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობა არ არის, უფრო გვიანდელია (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ)

ლებოდა ძველი კომპოზიციები, ახალი მასალით კედლის მხატვრობის შეგებისა და ამ მასალის მხატვრობაში ორგანიული ჩართვის მიზნით. ასეთივე ვითარებაა ქართველ მამათა ჯგუფურ გამოსახულებამიც.

მონასტრის ყოველი ახალი მოხატვა გულისხმობდა ძველი მოხატულობის არსებითი ნაწილის (ტრადიციული იკონოგრაფიული სიუჟეტების) განახლებას ხოლო ერთი ნაწილის დაფარვას ახალი მასალის ხარჯზე და ამ გზით ეპოქისა და კტიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეს პრინციპი მკაფიოდაა გატარებული ჯვარის მონასტრის მხატვრობაში. ამიტომ ის ხარვეზი, რომელიც ძეიმწნევა კედლის მხატვრობაში ისტორიულ პირთა გამოსახულებებში XIV საუკ. დამდეგიდან XVII საუკუნემდე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ეს ხარვეზი იმას მოწმობს, რომ XIV ს. დამდეგს ჯვარის კედლის მხატვრობა განახლებულა და შეესებულა ახალი ისტორიული მასალით. ხოლო ამის შემდეგ იგი კვლავ განახლდა და შეივსო მხოლოდ 1643 წელს.

ბუნებრივია დაისწის კითხვა: ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მონასტრის კედლის მხატვრობის შევსება XII—XIII სს. მოღვაწეთა ფრესკებით უნდა მომხდარიყო ნიკიფორეს ინიციატივით 1643 წელს.

ნიკიფორეს რომ მიზნად დაესახა ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობის შევსება წმინდათა და იერუსალიმის ღვაწლმოსილ პირთა გამოსახულებით, ის ნაბიჯი XII—XIII საუკუნეებით არ შემოიფარგლებოდა და უყურადღებოდ არ დატოვებდა XIV—XVI სს. იერუსალიმის ქართველ წმინდანებსა და ისეთ პირებს, რომელთაც დიდი სამსახური გაუწიეს იერუსალიმის ქართულ კოლონიას და რომელთა ღვაწლი ფიქსირებულია სხვადასხვა წერილობით ძეგლებში.

ჯვარის მამა და გოლგოთას არქიმანდრიტმა ნიკიფორე ჩოლაყაშვილმა კარგად იცოდა, რომ ალექსანდრე წყვის ამისწუღმა ბაგრატ გოლგოთა იშოვა და გუნდათი ააშენა ქორთონიონს 164-სა ე. ი. 1476 წელს (ალაპი № 252). ეს ცნობა შეუმჩნეველი არ დარჩენია იერუსალიმში მოკლე დროით ჩასულ ტიმოთეს¹. მით უმეტეს ეს უნდა სცოდნოდა ნიკიფორეს, ვინაიდან ის სენიაქსარი, სადაც ალექსანდრეს იმისწუღის ბაგრატის ალაპია ჩაწერილი, მუდმივ ნიკიფორეს ხელში ტრიალებდა. შიგ რამდენიმე ათეული ალაპია ჩაწერილი თვით ნიკიფორეს შიგ.

ასევე დიდი სახელი მოიხვეჭა იერუსალიმის ქართულ კოლონიაში ლეონ კახია და ქართველთა მეფემ, რომელსაც 1536 წელს თავისი საფასით დაუხსნია ქრისტეს საფლავი და გოლგოთა, ხოლო წმინდა ადგილნი მარმარიტ აუშენებია². ეს ცნობა ტიმოთემ გოლგოთას საბატრიარქო ტახტის ფეხის მარმარილოს წარწერაში ამოკითხა. ტიმოთე იმასაც გვამცნობს, რომ ლეონის მოსახსენებელი „ბერძენთა სენიაქსარსა შინა იგ სექტემბერს აუწერიათო“³. ცხადია, აქ რომელიღაც კერძო, ადგილობრივი სენიაქსარი იგულისხმება. ტიმოთეს ლეონი იმ ზომის მოღვაწედ მიაჩნდა, რომ მან საჭიროდ მიიჩნია ლეონის ფერადი სურათი შეეტანა „მიმოსღვაში“ და ჯვარის მონასტრის კტიტორების — მირიანის, ვახტანგ გორგასალისა და ბაგრატის გვერდით მოეთავსებინა. და ბოლოს, ნიკიფორემ ისიც იცოდა, რომ ალაპების მიხედვით დავით მეფემ გაანთავისუფლა ჯვარის მამისწუღებანი, კვალად აგო იგი ქართველებს და

¹ ტ. გაბაშვილი, მიმოსღვა, 1936, გამოც, გვ. 80.

² იქვე, გვ. 78 სქ. 2.

„მეორედ აშენა“ იგი. მაგრამ ნიკიფორე ჩოლაყაშვილს ისტორიული ექსკურსები არ ხიბლავდა. იგი თანამედროვეთა იქით არ იყურებოდა.

ამგვარად, სრულიად აშკარაა, რომ ნიკიფორეს დროინდელ მხატვრობას არ შეიძლება ეკუთვნოდეს V—XIII სს. ქართველ მოღვაწეთა ფრესკები; ეს ფენა ქართული მხატვრობის ადრეული ფენაა, რომელიც 1643 წელს გაცხოველდა თუ განახლდა. ამიტომ არ შეიძლება ნიკიფორეს დროინდელი იყოს არც სამი დამხატველის ფრესკა, რომლებიც ჯვარის მონასტრის სვეტებზეა გამოსახული.

საერთოდაც უნდა ითქვას, რომ ისტორიულ პირთა 'გამოსახულებები, როგორც წესი, იხატება მათ სიცოცხლეშივე შეწირულების გაღებისა თუ რაიმე სხვა სახის დამსახურების „სამუქფოდ“. ამიტომაც, რომ ჯვარის მონასტერში გამოსახულ ისტორიულ პირთა უმრავლესობისათვის ალაპებიც არის მონასტრის კრებულის მიერ განწესებული.

სანამ უშუალოდ მომხატველთა ფრესკების განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. შესაძლებელია თუ არა უფრო ზუსტად განისაზღვროს, თუ როდის უნდა მოხატულიყო ნიკიფორემდე ჯვარი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ თარიღის დაზუსტება შესაძლებელია. როგორც არაერთგზის ითქვა, ეს ძველი ფენა ისტორიული პირების მიხედვით XIII საუკუნის დასლევით იფარგლება. ამ პირთა შორის ყველაზე გვიანდელია ჯვარის მამა ლუკა, რომელიც აწამეს 1273 წელს ჯვარის მიტაცებასთან დაკავშირებით. ლუკას წმინდანად აღიარების შემდეგ მისი ალაპი-მოსახსენებელი სვინაქსარში შეუტანიათ. ეს ალაპი, დაწერილია იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია ვახტანგ მეფეთა მეფის ალაპი, რომელმაც „ჯვარის ტყვეობის“ 26 წელს დიდი შეწირულება გადასცა მონასტრის კრებულს; და აგრეთვე კონსტანტინე აფხაზთა მეფის ალაპის ხელით, რომელმაც ჯვარის დაბრუნებისა და „ახლად შენების“ შემდეგ იგი ახლად მოკაზმა.

ლუკას და კონსტანტინეს ალაპები რომ ერთი პირის მიერ დაახლოებით ერთდროულად არის დაწერილი, ეს შემთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. ჩანს, ლუკას ალაპი სვინაქსარში ჩაწერილია არა მისი წამების უმაღლ, არამედ ჯვარის მონასტრის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ლუკა, რომელიც ჯვარის „მიტაცების“ დროს აწამეს, ჯვარის განთავისუფლებასთან დაკავშირებით იქნა წმინდანად აღიარებული. ამ დროს განაწესეს მისთვის ალაპი სვინაქსარში და გამოსახეს ჯვარის მონასტერში ჯვარის აღმაშენებლის პრობორეს გვერდით.

გარდა ალაპისა, იერუსალიმის სვინაქსარში შეტანილია ლუკას და ნიკოლოზ დვალის წამებათა სვინაქსარული ტექსტები. ერთი ხელით დაწერილი ორივე ტექსტი შემდეგაა ჩაყვრებული XI საუკუნის სვინაქსარში. ორივე ტექსტი დაწერილია ერთდროულად, ერთი პირის მიერ. ეს წამებები 1314 წელზე ადრე ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან ამ წელს აწამეს ნიკოლოზ დვალი.

მოსალოდნელი იყო, რომ, თუ მონასტრის კრებული საჭიროდ მიიჩნევა ლუკას გამოსახვის მონასტრის კედელზე მეტად საპატიო ადგილას, მას არც მეორე იერუსალიმელი ქართველი წმინდანი, ნიკოლოზ დვალი, გამოჩნებოდა მხედველობიდან, ამ დროისათვის ის რომ წმინდანად ყოფილიყო აღიარებული და მისი ღვაწლიც წერილობით ყოფილიყო ფიქსირებული. მხოლოდ ლუკას გამოხატვა კი გვაფიქრებინებს, რომ მონასტერი ჯვარის დაბრუნების შემდეგ უნდა მოხატულიყო 1314 წლამდე, ე. ი. ნიკოლოზ დვალის წამების წლამდე. ეს თარიღი კი საესებით ეთანხმება ჯვარის მონასტერში დავით VIII და კონ-

სტანტინე აფხაზთა მეფის მიერ ჩატარებულ სააღმშენებლო და სამხატვრო საქმიანობის თარიღს.

ქართველებისათვის 1305 წელს დაბრუნებული ჯვარი უნდა მოხატულიყო 1305—1314 წლებში.

ჯვარის მონასტრის მეორედ მოხატვის თარიღს სავსებით უჭერს მხარს ის დასკვნები, რომლებიც მიიღო ხელოვნებათმცოდნე თინათინ ვირსალაძემ ჯვარის იკონოგრაფიული შესწავლის საფუძველზე. მისი აზრით, ჯვარის კედლის მხატვრობაში, ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობის გვერდით, გამოირჩევა უფრო ძველი, XIV საუკუნის დამდეგის, მხატვრობის ფენა¹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1643 წელს ნიკიფორეს მთლიანად არ დაუფარავს მხატვრობის ძველი ფენა. ზოგი რამ ხელუხლებლად დაუტოვებია. მაგრამ ეს ძველი მხატვრობა, როგორც უკვე ითქვა, თავის მხრივ წარმოადგენს უფრო ადრეული XI და XII სს. მხატვრობის განახლებასა და შევსებას, რასაც მოწმობს ამ მხატვრობის თემატიკური ანალიზი და ზემოთ მოყვანილი ცნობები მის მოხატვის შესახებ XI—XII საუკუნეებში.

ამის შემდეგ კვლავ დაუბრუნდეთ ჯვარის მონასტრის სვეტებზე გამოხატულ დამხატველებს: შოთა რუსთველს, არსენ ავრის და გრიგოლ დრანდელს².

I სვეტზე მარჯვნივ მუხლმოდრეკილი შოთა რუსთველის გამოსახულებაა მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის შორის; წარწერა: ამის დამხატავსა შოთაჲ[ს] შეუნდოს ღმერთმან, ამინ. როსთველი (წარწერისათვის ესარგებლობ ა. შანიძის, გ. წერეთლისა და ი. აბაშიძის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი შოთა რუსთველის ფრესკის ფოტორეპროდუქციით).

II სვეტზე მარჯვენა მხარეს წმინდა ეფთვიმესა და საბას შორის მუხლმოდრეკილი შავწვეროსანის გამოსახულებაა შეილითურთ. წარწერა: ამის დამხატავსა არსენ ავრის, გრიგოლს და მისთა დედა-მამათა შეუნდოს ღმერთმან, ამინ³.

III სვეტზე მარჯვენა მხარეს პეტრესა და პავლეს შორის მდგომი მღვდელ-მთავრის გამოსახულებაა წარწერით: ამისსა დამხატავსა პატარიცს, დრანდელ მთავარეპისკოპოსს გულს და მამა-დედათა მისთა წინდს ღმერთმან, ამინ.

დამხატველთა გამოსახულებებში ყურადღებას იქცევს პირველ რიგში ის, რომ სამივე შემთხვევაში სრულიად ერთნაირ კომპოზიციასთან გვაქვს საქმე. სამივე შემთხვევაში დამხატველები მგებდრებელთა პოზაში არიან და კომპოზიციაში დაქვემდებარებული, მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ. კომპოზიციის მთავარი ნაწილია წმინდათა გამოსახულება და არა დამხატველები.

დამხატველი შეიძლება ნიშნავდეს როგორც მხატვარს, ასევე იმ პირს, რომლის თანხებითაც მოიხატა ეს კომპოზიცია.

დამხატველთა სამივე წარწერაში აქცენტია ვაკეთებული მითითებით ნაცვალსახელზე: „ამის დამხატავსა...“, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ მონასტრის მთლიანი მოხატვა კი არ იგულისხმება, არამედ კერძოდ იმ კომპოზიციებისა, სადაც დამხატვენი არიან გამოსახულნი.

¹ საჯარო მოხსენება, წაკითხული 1961 წლის აპრილში საქ. მეცნ. აკადემიის სააქტო დარბაზში.

² მონასტრში ფრესკების განლაგებაზე მიუთითებთ ა. ცაგარელის გამოქვეყნებულ ჯვარის მონასტრის გეგმისა და ცნობების მიხედვით. ნ. ჩუბინაშვილის მასალა ყოველთვის ზუსტი არ არის, თუმცა, რაც შემთხვევაში, მას უფრო მეტი ცნობები მოჰყავს, ვინც ა. ცაგარელს.

³ ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

ეკლესიისათვის მნიშვნელობა ჰქონდა წმინდანების დახატვას კედელზე. დამხატველისათვის კი ეს საშუალება იყო საკუთარი თავის გამოხატვისა ეკლესიის კედლებზე. ეს იყო დამხატველთა შრომის ანაზღაურების ერთი სახე. ამგვარი მხატვრული კომპოზიცია დამხატველის მოსახსენებელი იყო ამავე დროს. რაკი ეს ასეა, მაშასადამე დამხატველის გამოხატულება მოხატვის თანადროულია და მოხატვასთან უნდა იყოს უშუალოდ დაკავშირებული.

სხვათა შორის, საეკლესიო მხატვრობაში გავრცელებული ეს წესი ჩვენ გვაგონებს ხელნაწერთა ვადამწერებთან გავრცელებულ ტრადიციას; ვადამწერი შენდობას ითხოვს იმ წმიდანისაგან თუ წმიდა მამისაგან, რომლის ცხოვრება ან ნაწარმოები მან გადასწერა.

არ შეიძლება არ დავიხადოს კითხვა, რატომ არის სამივე დამხატველი სვეტებზე გამოსახული? ხომ არ არის სვეტები საერთოდ განკუთვნილი სააღმშენებლო წარწერებისა და ერთდროული მომხატველების გამოსახვისათვის. ჩვენ გარკვევით რაიმეს თქვა ამის შესახებ არ შეგვიძლია, ამაზე, ალბათ, ხელოვნებათმცოდნენი მოგვაწვდიან სანდო ცნობებს. ამასთან დაკავშირებით გვინდა მხოლოდ ერთი ცნობილი ფაქტი გავიხსენოთ. წალენჯიხის ეკლესიის ჩრდილოეთის სვეტის აღმოსავლეთ ნაწილზე, ცველი მხატვრობის ზემოდან გამოსახულია ვედემონ წალენჯიხელი, ჯიანი. რომელსაც ამ ეკლესიის ერთ-ერთი ეკვდერი მოუსატყვის¹. ეკლესიის თავდაპირველი მოხატვის ამბებიც ვადმოცემული ყოფილა ვრცელ ასომთავრულ წარწერაში, რომელიც აგრეთვე ეკლესიის სვეტზე ყოფილა განაწილებული².

დავუბრუნდეთ ისევ ჯვარის მონასტრის სამ დამხატველს. უნდა მივიღოთ, რომ დამხატველთა თავდაპირველი გამოსახულებები დამხატველთა სიკაცბლშივეა შესრულებული ე. ი. შოთასი—XII—XIII სს. მიჯნაზე, ხოლო გრიგოლ დრანდელის არა უადრეს XIII საუკუნის დამლევისა. მაგრამ რა დროისაა ის ფრესკები, რომლებიც დღეს მოჩანს მონასტრის სვეტებზე? განიცადა თუ არა დამხატველთა გამოსახულებებში გაცხოველება და განასლება, და თუ განიცადა, როდის? ამის გარკვევისათვის კი პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ, მონასტრის რომელი ნაწილები მოახატინა ნიკიფორემ 1643 წელს. ამას ვგებულობთ ნიკიფორესეული წარწერებიდან.

ჯვარის მონასტრის პირველ ქართულ წარწერაში იკითხება: „დაიხატა და განათლდა წმინდა ესე და ყოვლად პატროსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველყოფელისა ჯერჩინებითა დადიანისა ლეონისითა, ჯელთა და ფრიად ჭირგანცდილებითა ყოვლად უღირსისა ჯვარისა და გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლაყაჲს შულისა, ომანის ძისათა, მსასიებელსა და სარწმუნოსა ამის მონასტრისაჲან, რომელმან გუმზადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე ჩემისა საფასითა ქრონიკონსა ტკაა, ან“ (ე. ი. 1643 წ.)³.

მეორე წარწერა გაკეთებულია ბერძნულად. მოგვყავს მისი რუსული თარგმანი ა. ცაგარელის მიხედვით: „Рассиан и возобновлен сей Божественный и всесвятый храм честного и животворящего креста издержками и

¹ ე. თაყაი შვილი, არხეოლოგ. მოგზაურობა სამეგრელოში, გვ. 215.

² იქვე, გვ. 211—212, მოხატა „პატრონისა ერისთავისა და მანდატურთ უხუცესის დადიანის გამევის ბრძანებით კონსტანტინეპოლიდან მოყვანილი მხატვრის კირ მანუელის ხელით“.

³ Цагарели, Памятники, გვ. 241.

пособием... Леона и содействием и трудом приподобнейшего иеромонаха и архимандрита Никифора...¹ გარდა ამ ორი ძირითადი წარწერისა, ტაძრის მოხატვას ეხება კიდევ ორი წარწერა, რომლებიც ვაკეთებულა მარჯვენა I და II სვეტებზე, ე. ი. იმ სვეტებზე, სადაც გამოსახულია მონასტრის სამი დახატველი.

მეორე სვეტზე სწერია: „მე ყოვლად უღირსმან მიმამან ჯვარისა და წმინდისა გოლგოთისა დავახატეინე მრავლითა ჭირითა და შრომითა“.

პირველ სვეტზე კი სწერია: „დადიანმან ლეონ მიბობა და გავაკეთე გუმბათი და გვერდები, ორი ათასი ასნალი (ასლანი) და ექვსი ათასი ჩემი დავხარჯე, ქორონიკონს ტკია. ნკ“².

თუ ამ წარწერების ცნობებს შევჯამებთ, ნიკიფორეს შეუქმებია და მოუხატინებია მხოლოდ გუმბათი, საკურთხეველი და კედლები, ანუ გვერდები. ხოლო მონასტრის სვეტები არ მოუხატავს. ამას ადასტურებს სვეტების მოხატულობაც³.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნიკიფორეს დროინდელი მხატვრობა იფარგლება მისი თანამედროვე იმ პირთა გამოსახულებებით, რომელთაც გარკვეული სანსახური გაუწიეს იერუსალიმის ქართულ კოლონიას. ახლა ირკვევა, რომ მისი დროინდელი ახალი მასალა ლოკალიზებული ყოფილა საკურთხეველში, გუმბათსა და კედლებზე. მართლაც, მონასტრის 4 სვეტიდან სამზე ნიკიფორეს დროინდელი წარწერებია. პირველი ორი—მის მომხატველობას ეხება, ხოლო მესამე—მისი მოზაზღვებისა და (მის (ომან, ქაიხოსრო და ბარბაღე ჩოლყაშვილების) წარწერა-მოსახსენებელია. სვეტების მხატვრობა რომ ნიკიფორე ჩოლყაშვილისეული არ უნდა იყოს, ამას ჩხარს უჭერს 1614 წლის არაბული წარწერა შოთას განოსახულებიან სვეტზე, რომელიც აკად. გ. წერეთელმა გაშიფრა იერუსალიმში ყოფნის დროს⁴.

მაგრამ, მეორეს მხრივ, იმავე შოთას სვეტის უკანა მხარეს გამოსახული ყოფილა ნ. ჩუბინაშვილის ცნობით თეოდორე მანგლელი, რევაზიელი. ნიკიფორეს დროინდელი ეპისკოპოსი, ჯვარის ყოფილი მამა, რომელიც აღაპებში თითქმის ყოველთვის ნიკიფორეს გვერდით არის მოხსენიებული, როგორც აღაპის გამწესებელი. მოსალოდნელი იყო, რომ მისი გამოსახულება ნიკიფორეს ინიციატივით 1614 წელს იქნებოდა შესრულებული მონასტრის სვეტზე.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმან, რომ ადგილის მიხედვით—სვეტზე გამოსახულ თეოდორეს ერთგვარად დამხატველის პრეტენზია უნდა ჰქონოდა. ამავე დროს, ნიკიფორეს წარწერებში შეკეთებისა და მოხატვის ხელშეწყობითა და მონაწილეობითა შორის თეოდორე არ მოიხსენიება. ეს წინააღმდეგობა სავსებით ახსნა იერუსალიმის ერთი ქართული ხელნაწერის საინტერესო ანდერძმა, რომელიც გამოქვეყნებული აქვს ნ. ჩუბინაშვილს.

ანდერძში, რომელიც დაწერილია თვით თეოდორე მანგლელის მიერ, იკითხება: „ჯვარის მიმამან, კაცმან მანგლელმან, თეოდორე მღვდელ-მონაზონმან,

¹ А. Сагарели, Памятники, გვ. 242

² А. Сагарели, იქვე, გვ. 243.

³ ა. ბუნშტარკის დაკვირვებით მონასტრის სვეტების მხატვრობას ემჩნევა უფრო ადრეული ფუნჯის კვალი (იხ. დასახ. გამოკვლევა, გვ. 782).

⁴ მოხსენება, წაკითხული 1961 წლის იანვარში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე.

მარკოზ დიაკონმა, ევსევი და პავლე, იკონომოს მანილია — დავახატვინეთ ჯვარის გუმბათი და კედლები, სახლები და გალავანი დაქცეული გავაკეთეთ და საკურთხეველი მოვფიქვლეთ, ოდეს მოსჭირებოდა მონასტერსა, — სამცხე თურქთ დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს; მას ეამსა მომხედა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა; და მიიცივალა ამიერ სოფლით სინატრელი დედოფალი ნესტან-დარეჯანი, თანამეცხედრე ხელმწიფისა დადიანისა ლეონისა, რომელმან წარაგო მისთვის ყოველივე საესება: თვალი, ვერცხლი და ოქრო წმიდათა ზედა სინას, მთაწმიდას, იერუსალიმს. და მე, ჯერჩინებითა მის ხელმწიფისათა, ესრეთ შევამკვე, რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა: დაიწერა ქნს 341 (ე, ი. 1653 წელს) ¹.

ანდერძი უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ის დაწერილია 1653 წელს, ე. ი. ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნების 4 წლის შემდეგ; ამვე დროს ანდერძის მიხედვით მთელი ის სააღმშენებლო და სამხატვრო სამუშაო, რომელიც ჯვარის მონასტრის კედლის წარწერების მიხედვით ნიკიფორეს შეუსრულებია, ამ ანდერძის მიხედვით თურმე თეოდორეს ღვაწლი ყოფილა: „დავახატინე ჯვარის გუმბათი და კედლები...“ „გავაკეთეთ სახლები და გალავანი დაქცეულიო“. ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ნიკიფორესთან, ეს საქმე თეოდორეს უკისრია ლეონ დადიანის ჯერჩინებით, ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ლევანმა წარაგო წმინდა ადგილთა ყოველივე საესება: თვალი, ვერცხლი და ოქრო. ნესტან-დარეჯანი მიიცივალა 1640 წელს. ამის შემდეგ ლევანმა, მართლაც, მრავალი საგანძური გასცა ნესტანის სულის საოხად, დიდი შეწირულება გაიღო ეკლესია-მონასტრებზე; ამ დროს მიიღო ნიკიფორემ შემწეობა ლევან დადიანისაგან ჯვარის მონასტრის მოსახატავად.

ამგვარად, აშკარაა, რომ თეოდორეს ანდერძში ლაპარაკია 1643 წლის ჯვარში ჩატარებულ სამუშაოებზე ისე, რომ ერთი სიტყვიც არ არის მოხსენიებული ნიკიფორე და მთელი საამშენებლო და სამხატვრო საქმიანობა მიეწერება თეოდორეს.

ეჭვის შეტანა იმაში, რომ 1643 წელს ნიკიფორემ შეაკეთა და მოხატა მონასტერი, არ შეიძლება. ამას მოწმობენ მონასტრის წარწერები. აშკარაა, რომ თეოდორეს ანდერძი ყალბია. თეოდორე, ნიკიფორეს საქართველოში დაბრუნების შემდეგ იწყებს თავისი სახელის „უკვდავეყოფაზე“ ზრუნვას, ითვისებს ნიკიფორეს ღვაწლს, ამ გზით მონასტრის შემკეთებელისა და მოხატველის სახელს იმკვიდრებს, რის შემდეგ ახატვინებს კიდევ თავის თავს ჯვარის მონასტრის ერთერთ სვეტზე. ასე უნდა გაჩენილიყო ჯვარის მონასტრის სვეტზე, რომელიც ნიკიფორეს დროს არ მოხატულა, ნიკიფორეს თანამედროვე თეოდორე მანგლელის გამოსახულება.

მაშასადამე, ნიკიფორეს დროინდელი სააღმშენებლო და სამხატვრო სამუშაოები არ შეგნებია სვეტების მხატვრობას, ამიტომ აქ, უკეთ, ვინემ სხვა ადგილას, შემორჩენილა მხატვრობის უფრო ადრეული, XIV საუკ. დამდეგის ფენა, როდესაც მონასტერმა განიცადა არსებითი შეკეთება — განახლება ².

¹ ნ. ჩუბინაშვილი, დაახ. ნაშრ. გვ. 51—52.

² როგორც ჩანს, 1643 წლის მხატვრის დროს მთლიანად არც კედლების სივრცე დაფრთხილა და განახლებულა, ვინაიდან გასული საუკუნის შუა წლებში იერუსალიმში ყოფნის დროს ტობლერს შესაულის თავზე ამოუკითხავა 1494 წლის წარწერა (იხ. Tobler. Topographie von Jerusalem und seinen umgebungen, ტ. II, გვ. 740).

თუ რა არის გადარჩენილი ჯვარის მონასტრის მხატვრობაში XIV საუკუნის დამდეგიდან, შესაძლოა უფრო ადრე ჩანიშნავდნენ, ზუსტად ამის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ხელოვნებათმცოდნენი ადგილზე შეისწავლიან მონასტრის კედლის მხატვრობას.

მაგრამ ძალიან ძნელია ამავე დროისად მივიჩნიოთ დამხატველთა გამო-სახულებებთან გაკეთებული წარწერები. პალეოგრაფიულად ისინი XVI—XVII სს. ადრეული არ უნდა იყვნენ. მათ გვიანდულობას მოწმობს სიტყვათა სრულ-ლიად მოულოდნელი და უსწორო დაქარაგვა. გაუმართავი წინადადებები, ასოთა დაკლება.

წარწერა ყოველთვის უფრო ადრე ზიანდება, ვინემ ფრესკა. ამიტომ სავ-სებით შესაძლებელია, რომ XIV საუკ. დამდგვის ფრესკებს გაუცხოველეს დაზიანებული წარწერები და ამ ვაცხოველების დროს უუიგურმა მწერალმა ბევრი რამ გააფუჭა.

ამ წარწერების უფრო ზუსტი პალეოგრაფიული შეფასება და დათარი-ღება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ქარ-თველი მეცნიერების მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი ჯვარის მონასტრის ყველა წარწერა.

ამგვარად, ეს ვრცელი მიმოხილვა შეიძლება დაეიყვანოთ შემდეგ დას-კვნებამდე:

1. ჯვარის მონასტერში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით შოთა რუსთველი შოთა მეჭურჭლეთუხუცესია. ეს ტრადიცია აისახა ტ. გაბაშვილის „მიმოსღვაში“.

2. შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესის აღაბი XII საუკ. დამდგვისა ან XIII დამ-დგვის არის. ხოლო შოთა რუსთველის გამოსახულება ჯვარის სვეტზე მის სიციხლეშივე უნდა იყოს შესრულებული, ამიტომ შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იდენტიფიკაცია სავსებით კანონზომიერია.

3. ჯვარის მონასტერი თავიდანვე ყოფილა მონასტრული, ხოლო დროთა ვითარებაში მონასტერიცა და მხატვრობაც დაზიანებულა და რამდენჯერმე შე-კეთებულა და განახლებულა.

4. ჯვარის მონასტრის კედლის მხატვრობის შესწავლამ აშკარა გახადა, რომ დღეისათვის მხატვრობაში ორი ძირითადი ფენა გამოიყოფა. ერთი იუარგ-ლებე XIV საუკ. დამდგვით, ხოლო მეორე კი ნიკიფორეს ხანით.

5. მხატვრობის პირველი ფენა დაკავშირებულია მონასტრის „მეორედ შენებასთან“ და ახლად მოკახშვასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1305—1314 წლებში.

6. 1643 წელს ნიკიფორემ ნაწილობრივ განაახლა ძველი მხატვრობა და ამავე დროს შეავსო იგი ახალი თემატიკით.

7. ნიკიფორეს შეუკეთებია და მოუხატავს ჯვარის მონასტრის გუმბათი, საკურთხეველი და კედლები, სვეტებისათვის კი ხელი არ უხლია. ამიტომ სვეტებზე გამოხატული დამხატველები ძველ ფენას ე. ი. არაუგვიანეს XIV საუკ. დამდგვის ფენას უნდა ეკუთვნოდნენ. ამ დროის უნდა იყოს შოთა რუს-თველის გამოსახულებაც.

8. მომხატველთაგან გრიგოლ დრანდელისა და შეიძლება არსენ ავრის ფრესკები წარმოადგენენ XIV საუკუნის მხატვრობის ძირითად ფენას (გრიგოლ დრანდელი XIII—XIV სს. მიჯნის მოღვაწეა); შოთა რუსთველის ფრესკა კი, საფიქრებელია, XIV საუკუნის დამდგვს განახლებულა. ხოლო მისი თავდა-პირველი ვარიანტი უნდა შექმნილიყო შოთას სიციხლეშივე.

9. გამოქვეყნებული მასალების მიხედვით დამხატველთა ფრესკების წარ-წერები პალეოგრაფიულად და ენობრივად XVI ს. ადრეული არ ჩანს.

Մարտի 18-ին Երևանի Կոմիտասի անվան համալսարանի
 Գրադարանի ֆոնդից հանդիսանալով:

- 54 -

Մարտի 18-ին Երևանի Կոմիտասի անվան համալսարանի
 Գրադարանի ֆոնդից հանդիսանալով:

- 317 -

400
 Գրքի նկարագրի և արժեքի մասին տեղեկությունները
 հարկավոր է հաղորդել հետևյալ հասցեով:

Մարտի 18-ին Երևանի Կոմիտասի անվան համալսարանի
 Գրադարանի ֆոնդից հանդիսանալով:

Մարտի 18-ին Երևանի Կոմիտասի անվան համալսարանի
 Գրադարանի ֆոնդից հանդիսանալով:

მანგლისის ჭაძარი

(მხატვრულ-ისტორიული ანალიზი)

მ. ლვლი

ჩვენი შესწავლის საგანს წარმოადგენს მანგლისის ტაძარი, რომელიც თბილისის სამხრეთ-დასავლეთით სამოც კილომეტრზე მდებარეობს.

მანგლისის ტაძარი დიდი გუმბათიანი ნაგებობაა. დღევანდელი სახით, იგი ერთი რომელიმე განსაზღვრული ეპოქის შემოქმედებით ნაყოფს არ წარმოადგენს. როგორც ქვევით დავინახავთ, აშენების ორი ძირითადი პერიოდის გარდა, V ს. დასასრულს და XI ს. დასაწყისში. მას რამდენიმეჯერ რესტავრაციაც განუცდია. ამის გამო ის ძლიერ გართულებულია, როგორც გარედან, ისევე შიგნით. აქედან ცხადია, ძეგლის შესწავლის, მისი მშენებლობის და რესტავრაციის სხვადასხვა შრეების დადგენისა და გამოყოფის, მათი დათარიღების დროს, რა სიძნელეთა წინაშეც ვდგავართ.

ამჟამად, ტაძარი გარედან მრავალწახნაგაა, იგი წაგრძელებულია აღმოსავლეთით, სამხ. და დას-ით კარიბჭეები აქვს. ტაძრის გეგმა ტეტრაკონქს წარმოადგენს, მაგრამ იგი არ იმეორებს ჩვენთვის ცნობილი ტეტრაკონქის არცერთ სახეს. მის ნახევარწრიულ კლავთაგან სამი უბემოა და უშუალოდ ერთვის გუმბათქვეშა სივრცეს. აღმ. მკლავი კი წინ არის წაწეული და ცენტრალური სივრცისაგან მას საკმაოდ განიერი ტრანსეპტი ჰყოფს. ეკლესია და სამხრეთი კარიბჭე გარედან და შიგნიდან მოპირკეთებულია თლილი რუხი ფერის ბაზალტის კვადრებით, დასავლეთი კარიბჭე კა—ფერადი, მოყვითალო რბილი ჯიშის ქვით. მხატვრობა დღეს მხოლოდ გუმბათშია შემორჩენილი. ძეგლი გადახურულია კრამიტით.

ტაძარს გარშემო უკვლის საბრძოლო ბილიკებით გაწყობილი მაღალი გალავანი, მის კუთხეებში მრგვალი კოშკებია. გალავნის მთავარი შესასვლელი სამხრეთ კედელშია XIX საუკუნეში მთლიანად განაზღვრული სამრეკლოს ქვეშ.

ისტორიულ წყაროებში დაცული ცნობები მოწმობს, რომ მანგლისი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი უძველესი კერა იყო. საქართველოში, ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისთანავე ე. ი. IV საუკუნის ოცდაათიან წლებში¹, ერთი პირველი ქრისტიანული ტაძარი სწორედ მანგლისში იქნა აგებული. რასაკვირველია ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო. მანგლისი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც უკვე VI საუკუნეში თბილისთან, უჯარმასთან, ბოლნისთან და რუსთავთან ერთად ქართლის „უველაზე მნიშვნელოვან“ ქალაქად ითვლებოდა². მანგლისი ქალაქი ყო-

¹ ქართველებმა ქრისტიანობა მიიღეს ვანუშტი და დ. ბაქრაძის მიხედვით 317 წ., ივ. ჯავახიშვილით დაახლოებით 337 წელს (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 234).

² ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედაქციით, სახელმძღვანელო საშ. სკოლის უფროსი კლასებისათვის, მესამე შესწორებულ-შეცვლებული გამოცემა, თბ., 1948.

ფილა უფრო ადრეც, კერძოდ IV საუკუნეში. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ როდესაც საქართველოს მეფე მირიანმა ქრისტიანობა მიიღო და კონსტანტინე კეისარმა მისი თხოვნის თანახმად მის მოციქულს ეპისკოპოს იოვანეს წმინდა რელიქიები გამოატანა—„ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვნეს უფლისანი, და სამსკოლანი“ და აგრეთვე „განძი დიდძალი“¹, მან გზაზე მცხეთაზე მისვლამდე ჯერ ერთშეთს და წუნდას დატოვა რელიქიების ნაწილი და განძი ეკლესიების ასაშენებლად, ხოლო იქიდან „წარმოვიდა და მოვიდა მანგლისს და იწყო ეკლესიასა შენება; და დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“². იქვე პირდაპირ მითითებულია, რომ მანგლისი მაშინ უკვე ქალაქი იყო. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, „მაშინ შეწუნხნა მირიან მეფე ამისთვის, რამეთუ პირველ არა სამეუფოსა ქალაქსა მოვიდეს. არამედ სხუთა ქალაქთა და ადგილთა იწყეს შენებად ეკლესიათა და დაუტევნეს ნაწილნი“-ო. ე. ი. მირიან მეფე წუხდა, რატომ მცხეთაში, სამეუფო ქალაქში, არ მოვიდნენ პირველად და სხვა ქალაქებში დაიწყეს ეკლესიების შენება და დაუტევეს წმ. ნაწილებიო. ამრიგად, ლეონტი მროველის ცნობით IV საუკუნის პირველ ნახევარში მანგლისი ქალაქია³. იმის შესახებ რომ მაგლისში ერთ-ერთი პირველი ეკლესია ქვით იქნა აგებული X საუკუნის ისტორიკოსი არსენი კათალიკოსიც მოგვითხრობს თავის შრომაში, „ცხოვრება წმიდა ნინოსი“. ამრიგად ლეონტი მროველისა და არსენი კათალიკოსის ცნობების თანახმად მანგლასში, IV საუკუნის პირველ ნახევარში, ქვის ეკლესია აუგიათ, სადაც ქრისტიანობის უწმინდესი განძი, ქრისტეს ჯვრის ნაწილები ყოფილა დაცული⁴. ამ ცნობას ისიც ადასტურებს, რომ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალის მიერ დაარსებულ 12 საეპისკოპოსოს შორის მანგლისი რიგით მეოთხეა დასახელებული⁵. საფიქრებელია, რომ აქ რაღაც მნიშვნელოვან-

¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 117. ლეონტი მროველის ამ ცნობას ისტორიკოსი ჯუანშერიც იმეორებს, იქვე, გვ. 227.

² იქვე, გვ. 218. მოქცევაჲ ქართლისა ქელშის ვარიანთი კი... „წარმოვიდეს მანგლისს და დადგეს საძირკუთლი ეკლესიისა და დაუტევნეს სამსკოლნი“ E. Такайшвили, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, Т. II, Тифлис, 1906—1912, გვ. 714. აღსანიშნავია, რომ აქ გეოგრაფიული თანამიმდევრობა დაკლებია ბიზანტიიდან წამოსულს, მართლაც, ჯერ ერთშეთსა და წუნდაზე უნდა გამოეცვლა, რომ იქიდან მანგლასზე გავლით საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში მცხეთაში ჩასულიყო.

³ მქ—ეპ ქ—ა. E. Такайшвили, Описание рукописей, გვ. 714. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 33. საფუძველი არ გვაქვს ლეონტი მროველის ამ ცნობაში ეჭვი შევიტანოთ. ვინაიდან როგორც ავად. ს. ჯანაშია აღნიშნავდა, როგორც ყველგან საქართველოშიც ჩვეულებრივ საეკლესიო ცენტრი თანემთხვეოდა საერო—ადმინისტრაციულ ცენტრს. იხ. ს. ჯანაშია, ფეოდალურ რევოლუცია საქართველოში, შრომები I, თბ., 1949, გვ. 20.

⁴ არსენ კათალიკოსი მოგვითხრობს, მირიან მეფემ „შემოკრიბნა ქვითხურონი და კალატონნი და კულად უბრძანა საძირკუთლი ეკლესიისაჲ მანგლისსა“. არსენი კათალიკოსი, „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, თბილისი, 1903, გვ. 39.

⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 198. მანგლელი ეპისკოპოსი აგრეთვე მოხსენებულია განგება დარბაზობაში დასახელებულ 35 ეპისკოპოსის შორის მგ-16 ადგილზე, იხ. ქრონიკები, ტფ., 1893, გვ. 46.

ნი ქრისტიანული პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომ V საუკუნეში გორგასალს ეპისკოპოსი დაესვა და ის ცალკე საეპისკოპოსოდ გამოეყო¹.

ამრიგად, მანგლისი როგორც დროით, რაც უკვე ზევით დავინახეთ, ასევე მნიშვნელობით საქართველოში ერთ-ერთი პირველი საეპისკოპოსო კათედრა იყო. ამას მრავალი ისტორიული წყარო ადასტურებს. კერძოდ, სომხურ „ეპისტოლეთა წიგნს დაუცავს დვინის კრების (506 წ.) მონაწილე ქართლის ეპისკოპოსთა სია“². კრების მონაწილე ჩამოთვლილ 24 ქართველ ეპისკოპოსიდან მეცხრეა მანგლელი ეპისკოპოსი ელაგესი—„ელაგეს ეპისკოპოს მანგლელა“³—ო. ამასვე იმეორებს, მაგრამ აღბათ ეპისტოლეთა წიგნზევე დაყრდნობით, X საუკუნის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი თავის შრომაში „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“⁴. მხოლოდ მას ეპისკოპოსის სახელი ელაგესის ნაცვლად ელატეს უწერია. საკუთარი სახელი ორივე შემთხვევაში დამახინჯებულად უნდა იყოს გადმოცემული, ვინაიდან ასეთი სახელი ქართულ წყაროებში სხვაგან არ გვხვდება⁵.

VI საუკუნეში მანგლისის ტაძარი იმდენად სახელგანთქმული ყოფილა, რომ მის კარზე სალოცავად საქართველოს საზღვრების გარედან, კერძოდ, სომხეთიდანაც დადიოდნენ⁶. სწორედ ამიტომაც, რომ ქართველ და სომეხთა ეკლესიებს შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგ, სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა „607—8 წ. რეგლივმოსავლელი ეპისტოლე გამოსცა“ ბრძანა, —სომეხები „მცხეთის და მანგლისის ჯგრების კარზე სალოცავად აღარ გაემგზავრნენ ხოლმე“⁷. ამ საბუთით ირკვევა, რომ მანგლისის ტაძარი თავიდან ჯვარის სახელობაზე იყო აგებული⁸. მისი აგების ისტორიას თუ გავისწინებთ, მისთვის ამ სახელის მიკუთვნება ბუნებრივი ჩანს, ვინაიდან ძეგლის აგებისთანავე მასში დაცულ იქნა წმ. ჯვარის ნაწილები.

¹ შედარებისათვის იხ. გ. ჩუბინაშვილის „ამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“, თბ., 1926, გვ. 41. სადაც მოთხრობილია ვახტანგ გორგასალის მიერ ჰერეთში ეპისკოპოსის დასმის შესახებ.

² იაკობ ცურტაველი, მარტველობა შუშანიკისა, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1938, გვ. 054.

³ ეპისტოლეთაწიგნი, თბ., 1901, გვ. 183 (სომხურ ენაზე), აგრეთვე იხ. იაკობ ცურტაველის დასახელებული შრომა.

⁴ უხტანესი, ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან, ვაღარშაპატი, 1871. (სომხურ ენაზე).

⁵ პრიტე. ილია აბულაძემ კერძო საუბარში გამოთქვა მოსახრება, რომ მას უფრო მისაღებათ მიაჩნია სახელი ელატეს, ვინაიდან ეს ბერძნულ სახელს ელადეს ეთანაბრება, რაც უფრო მისაღებიათ. სახელი ელადეს საქართველოშიც ცნობილია, იხ. 1903 წლის ქართული კალენდარი, გვ. 6.

⁶ ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 391.

⁷ იქვე, გვ. 358.

⁸ ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ მანგლისი შემოსეულმა მტერმა მრავალჯერ აიკლო, განსაკუთრებით მონღოლების შემოსევების დროს, გაძარცულ ძეგლში ზნობილად წირვალოცვა დიდხინით სწავდებოდა, ხოლო მტრის განდევნის შემდეგ ტაძარი თავის მოქმედებას ანახლებდა. ერთ-ერთი ასეთი განახლება შემდეგ იგი ღვთისმშობლის სახელზე უკუბრუნებიათ. XIV საუკუნიდან ძეგლისათვის გაკუმულ სიგელ-გუჯრებში ზნობილად ორივე სახელით იხსენიება. იმის მაგალითი, რომ ძეგლი განახლების შემდეგ ახალი სახელით აკურთხეს, საქართველოში სხვა შემთხვევებიც გვაქვს. მაგ. კაცხის ტაძარი თავიდან წმ. სამების სახელზე იყო აგებული, შემდეგში კი მაცხოვრის სახელზე აკურთხეს, სამწევრისი თავიდან ჯვარის სახელობისა, შემდეგში კი — წმ. გიორგისა და ა. შ.

ამრიგად ეჭვს გარეშაა, რომ მანგლისში ეკლესია IV საუკუნეში იქნა აგებული, მაგრამ ცნობილია, რომ ამ პერიოდში აგებული ტაძრები „მეტად მცირე ზომისანი იყვნენ, ამიტომაც მალე მათ ნაცვლად ან სხვები ააგეს, ან გადააკეთეს“¹ ამას ისტორიკოსი არსენ კათალიკოსის ცნობაც ადასტურებს. არსენი კათალიკოსის მოთხოვნიდან ჩანს, პირველად ტაძრები იმდენად მცირე ზომისა იყო, რომ შიგ სალოცავად მხოლოდ მღვდლები შედიოდნენ, ერთი კი გარეთ იდგა და იქ ლოცულობდა. „მღვდელნი ხოლო შევიდოდეს მას შინა გალობად და ერი პირისპირ მდგომარე ილოცვიდა“². საქართველოში დღემდე მოღწეული უძველესი ქრისტიანული ტაძრები სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენენ. ესენია ნეკრესის, ზოდბეს, ჭერემის და მცხეთაში სამთავროს მინიატურული ეკლესიები, რომელთა შორის პირველის ფართობი 12 მ²-ია, დანარჩენი კი უფრო პატარებია და მათი ფართობი საშუალოდ 4—6 მ² არ აღემატება³. ცხადია ასეთ პატარა ტაძრებს აგებდნენ მამინდელი მოთხოვნილების შესაბამისად. ახლად მიღებული სარწმუნოება და მისი ტაძარი—ეკლესია ხალხში ჯერ კიდევ ერთგვარ მოკრძალებას და შიშს იწვევდა. მლოცველები ეკლესიაში შესვლას ვერ ბედავდნენ და გარეთ დამდგარნი ლოცულობდნენ, „ვინაიდან ჯერ საჭირო იყო ფსიქოლოგიის გარდაქმნა, რაც არასაკვირველია, ერთბაშად არ მოხდებოდა“⁴. არსენი კათალიკოსი ზევით დასახელებულ შრომაში მოგვითხრობს, რომ ერი ეკლესიაში არ შედიოდა „რამეთუ შიში და ზარი ფრიადი იყო ყოველთა ზედა“⁵.

ამ დროს დიდი მოცულობის ტაძრებს აგება ჯერ კიდევ არ იყო აუცილებლობით გამოწვეული, მაგრამ კანსაზღვრული დროის გავლის შემდეგ, როდესაც მოსახლეობაში ახალი სარწმუნოება განმტკიცდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალობა მოიპოვა და ვახტანგ გორგასალმა ახალი საეპისკოპოსოები დააარსა, საჭირო შეიქმნა დიდი მოცულობის ტაძრების აგება ახალი მოთხოვნილების შესაბამისად, ვინაიდან ამერიიდან „ყველგან მკაფიოდ ჩანს მისწრაფება, განსაზღვრული მოთხოვნის შესასრულებლად — შექმნან დიდი შენობა სალოცავად შეკრებილ მორწმუნეთათვის“⁶.

მანგლისში, ძველი. IV საუკუნის პატარა ეკლესიის მაგივრად ახალი გუმბათიანი ტაძარი აუგიათ. როდის მოხდა მანგლისში ტაძრის მეორედ აშენება,

¹ გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ. 1926, გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 24.

² არსენი კათალიკოსი, ცხოვრება წმიდა ნინოსი, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა პ. კარბელაშვილის რედაქციით, თბ., 1903, გვ. 29.

³ სამთავროსათვის იხ. Г. Н. Чубинашвили, Древнейшее здание церкви во Мцхете. კ. კვეციძის დაბადების 80 წლისთავზე მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 371—377, სვეტიცათვის გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 25—27.

⁴ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, გვ. 23.

⁵ არსენი კათალიკოსი, დას. შრომა, გვ. 29, იხ. აგრეთვე E. Такайшвили. Описание рукописей. Т. II, Тифлис, 1906—1912, გვ. 802.

⁶ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, გვ. 51. ცნობილია, რომ ძველი ეკლესია თუ ახალი დროის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, მას ან გადააკეთებდნენ, ან გააფართოვებდნენ, ან მასთანვე ააგებდნენ ახალ ეკლესიას. საქართველოში სამივე შემთხვევის უამრავი მაგალითი გვაქვს. მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი, სამთავრო, თბილისის მეჩხეტი, ქაშვეთი, ზოდბე, ჭერემი, ვალე, კახენი და სხვა მრავალი. ამრიგად, ახალ მშენებლობასთან ერთად განუწყვეტლივ ხდებოდა ძველი ტაძრების გაფართოება, აღდგენა—განახლება

ამის შესახებ ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არ შემონახულა. ხოლო XI ს. დასაწყისში ძეგლის რადიკალურად გადაკეთების გამო ახლად აგებული ტაძარი ძირითადად შეიცვალა, მაგრამ დარჩენილი ნაწილები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ მეორედ აგებული ძეგლი საკმაოდ დიდი ზომის, ტეტრაკონქის ტიპის ცენტრალურ გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენდა.

ამეკადა, როდესაც ტაძარს დაკვირვებით ვათვალიერებთ, მასში სხვადასხვა ნაწილთა შეუთანხმებლობას, დისპროპორციას ვამჩნევთ. გუმბათი არ არის პროპორციული ტაძრის ტანისადმი, იგი მასთან შედარებით უფრო აზიდულია. როდესაც ტაძარს შორიდან ვუახლოვდებით და ჯერ მხოლოდ მის გუმბათს ვუყურებთ, ტაძრის ტანზე სულ სხვა წარმოდგენა გვექნება, უფრო მაღალს, აზიდულს მოველით, ვიდრე სინამდვილეშია. განსაკუთრებით თვალში გვეცემ ცენტრალური მრავალწახნაგიდან ტრანსეპტის და საკურთხევლის რიდი შვერილი აღმოსავლეთით, რის გამოც გუმბათი ტაძრის მთლიანი მასის ცენტრიდან დასავლეთით არის გაწეული. ეს ქართულ ძეგლებზე გუმბათის მოთავსების საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ და განმტკიცებულ ტრადიციას რადიკალურად ეწინააღმდეგება. ვფიქრობთ, შეუძლებელია საქართველოში მეორე მსგავსი მაგალითის დასახლება (ქართულ ტაძრებში გუმბათი თუ ცენტრში არ არის მოთავსებული, მაშინ, პირიქით აღმოსავლეთითაა გაწეული). ასევე, შინაგანი სივრცისა და გარეთა მასების გადაწყვეტა ერთმანეთს ყოველთვის არ შეესაბამება, მაგ. ტრანსეპტის მკლავები შიგნიდან გადახურულია ჩრდ. სამხ. მიმართულების ცილინდრული კამარით. გარედან კი ისინი მათი საწინააღმდეგო დას. აღმ. მიმართულების სახურავით არიან დაბურულნი. ჩრდ. და სამხ. სარკმლები თუმცა შიგნიდან აფსიდის ცენტრშია გაჭრილი, ფასადზე ისინი ასიმეტრიულად არიან განლაგებული (აღმოსავლეთით არიან გაწეული ტაბ. I. იხ. ჩრდ. სარკმელი). ამავე დროს, ჩრდ., სამხ. და დას. აფსიდებში მოთავსებული სარკმლები გაცილებით უფრო პატარებია ტაძრის სხვა სარკმელებთან შედარებით. შეიმჩნევა სხვა შეუსაბამობანიც, მაგ., გუმბათი მის მიერ გადახურავი კვადრატის ცენტრში არაა მოთავსებული, სხვადასხვა სახის ცოკოლია ერთ ფასადზე და სხვა. ცხადია, ყოველივე ეს სხვადასხვა პერიოდის მშენებლობით არის გამოწვეული. ეს კარგად ჩანს ანაზომზეც (იხ. ვეგმა ტაბ. 1.). ხოლო დასავლეთ აფსიდთან მოთავსებულ პატარა ოთახებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი თავიდანვე დახშულ კამერებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ გარედან გახსნილ დედა, მაღალ ღრმა ნიშებს¹. ამაში ჩვენ დავკარწმუნა შემდეგმა; სადგომებს სამ-სამი კედელი თლილი ქვის კვადრებით აქვთ მოპირკეთებული, ისევე, როგორც ძეგლი გარედანაა მოპირკეთებული, ხოლო თითო კედელი უბრალო, ნახევრად და მუშავებული და ყორე ქვით არის ამოყვანილი, კედლის უსწორამსწორო ზედპირი კი ხსნარის სქელი ფენითაა შესწორებული. ეს კედლებია ჩრდ. სადგომში—ჩრდ. კედელი და სამხ. სადგომში—სამხ. კედელი. აღნიშნული კედლები აღმ. და დას. კედლებთან წყობით გადაბმულები არ არიან, ისინი გარედან „ეყრდნობიან“ მათ. ჩრდ. სადგომში ეს კედელი მჭიდროდ არ ეყრდნობა აღმ. და დას. კედლებს, მათგან რამდენიმე სანტიმეტრზე მოშორებულია და პარალელურად გასდევს მათ გარეთა პირს. განსაკუთრებით ეს კარგად ჩანს ჩრდ. აღმ. კუთხეში მთელს სიმაღლეზე. აქ კედლებს შორის თავისუფლად შედის ხელი,

¹ იგივე აზრი გ. ჩუბინაშვილმა ადრე გამოთქვა. იხ. Г. Н. Чубинов, Заметки о Манглиском храме, საქართველოს მუზეუმის მოამბე, № 1, ტფ., 1921, გვ. 43.

შიგნით, კედლის ზედაპირზე ხელის მოსმით იგრძნობა, რომ აღმ. კედლის გარეთა პირი სუფთად ნათლად კვადრებით არის მოპოვებული. ამრიგად ჩრდ. კედელი სუფთად თლილი კვადრებით მოპირკეთებული კედლის პარალელურად ამოუყვანიათ. ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს სამხ. სადგომშიც. აქ აფსიდის სამხ. აღმ. კუთხის ჩამონგრევის გამო ნათლად ჩანდა, რომ სამხ. და აღმ. კედლები ერთმანეთს არ უკავშირდებიან, სამხ. კედელი ამოყვანილია მისგან სრულიად დამოუკიდებლად. ამ კედლებიდან აღებულ შემაჯავშირებელ ხსნარის ნიმუშებს, საკმარისია შეუიარაღებელი თვალითაც შეხედოთ, რომ ნათელი გახდეს მათი შემადგენლობის სხვადასხვაობა. სამხ. კედლის ხსნარი სუფთა ქვიშაზეა დამზადებული, მაშინ როდესაც აფსიდის კედლიდან აღებულ ხსნარში, ქვიშასთან ერთად ქვის პატარა ნატეხები და ხრეშია გარეული. ისინი ფერთაც განსხვავდებიან, პირველი უფრო ღია მოთეთროა, მეორე კი უფრო მუქია. ასეთივე განსხვავებაა ჩრდ. სადგომში აღებულ ჩრდ. და აღმ. კედლის ხსნარებს შორისაც. ე. ი. მიშენებული კედლები როგორც ჩრდ. ისე სამხ. სადგომებში ერთგვაროვანი ხსნარით არის ნაჯები, რომელიც განსხვავდება სადგომის სხვა კედლის ხსნარისაგან. ცხადია, ეს კედლები სხვა დროს არიან აგებული. ზემოთ მოყვანილი მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა ჩრდ. სადგომში ამოღებულმა შურფმა. ჩრდ. ოთახში მთლიანად აყვარეთ ხის იატაკი, იატაკის ქვეშ დაგვხვდა ნაყარი მიწა, რომელშიც გაქვავებული დუღაბის ნაფლეთები და კრამიტის ნამტვრევები იყო არეული. სადგომის ჩრდილო კედელი ნაყარი მიწის დონეზე სწყდება და ყამირში არ ჩადის. ის ყამირზეა დაყრდნობილი. შურფმა გამოამჟღავნა, რომ სადგომის ჩრდ. კედლის საძირკველი სრულიად განსხვავდება სხვა კედელთა საძირკვლისაგან. ჩრდ. კედლის საძირკველი უფრო თხელია და დაბალი, იმავე დროს, იგი განსხვავებული ქვისაა და შემხვედრ კედლების საძირკველს არ ებმის. ხოლო დანარჩენი სამი კედლის საძირკველი ერთნაირია, ერთ მთლიან მასივს წარმოადგენს და ღრმად ჩადის ყამირში (იხ. ტაბ. 5ა და 5ბ). ე. ი. ამ სამი კედლის საძირკველი ერთდროულად არის გაკეთებული, ჩრდილოეთი კედლის კი მათგან დამოუკიდებლად შემდგეში. ეს სადგომები, როგორც ჩანს, არასოდეს არ მოხატულა და არც შეღესილა. მპირკეთების ქვები დროთა განმავლობაში უსწორმასწორო გამხდარა, მათ ზედაპირს დაშლა დაუწყია, თითქოს გამოფიტულა. განსაკუთრებით ეს მოგვინა შესამჩნევია წყობის ქვედა რიგებში. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ აღნიშნული ქვები დიდი ხნის მანძილზე „ლია ცის ქვეშ“ იყო და განიცდიდა ატმოსფეროს ზემოქმედებას. ყოველივე ზევით აღნიშნულის შემდეგ, ჩვენი მტკიცება, რომ ეს ოთახები თავიდანვე გარეთ გახნილ ღია ნიშებს წარმოადგენდნენ, ექვს აღარ უნდა იწვევდეს, მაგრამ ის კიდევ უფრო უქვევლი ხდება ტაძრის ძველი გეგმის აღდგენის შემდეგ (იხ. ტაბ. 2). დამტრბული ნაწილი.

გუმბათქვეშა კვადრატს ირგვლივ განლაგებულ სამ აფსიდს მოწყვეტილია მეოთხე, საკურთხეველს გუმბათქვეშა კვადრატისაგან ჰყოფს ტრანსეპტი, რომელიც გარედან ნაწილობრივ ჰფარავს ჩრდ. აღმ. და სამხ. აღმ. წახნაგებს. ამ წახნაგებს ტრანსეპტის კედლები ორგანულად არ ებმის, არამედ შემდეგაა მიშენებული. ეს კარგად ჩანს გარედან (ტაბ. 3) და გეგმაზეც, ტრანსეპტის ჩრდ. და სამხ. კედლების მრავალწახნაგის ჩრდ. აღმ. და სამხ. აღმ. კედლებთან შეხვედრის ადგილზე. ტრანსეპტის მიერ მრავალწახნაგის ნაწილობრივ დაფარული ჩრდ. აღმ. და სამხ. აღმ. კედლები რომ გავაგრძელოთ თავის

მიმართულებით, როგორც ჩვენ ეს გეგმაზე გავაკეთეთ და ჩრდ. დას. და სამხ. დას. ფასადებს კი რომ ჩამოვაშოროთ გვიან მიშენებული კედლები, უცბად ყველაფერი ნათელი გახდება (იხ. ტაბ. 2.). როცა ამ გეგმას ვუყუარებთ, ჩვენთვის უკვე აშკარაა, რა ცვლილებაც განუცდია ტაძრის შემდეგი მშენებლობის დროს. ჩვენ მივიღეთ საქართველოში კარგად ცნობილი ეკლესიის ფორმა, მარტივი ტეტრაკონქი, სადაც გუმბათქვეშა კვადრატს ოთხივე მხრიდან უშუალოდ ერთვის ნახევარწრიული აფსიდები, რის გამოც ტაძრის გეგმის შიდა მონახაზი ტოლმკლავებიანი ჯვრის სახეს ღებულობს, რომელიც გარედან მრავალწახნაგშია მოქცეული.

ძველი გეგმის აღდგენის შემდეგ¹, გუმბათმა თავისი ბუნებრივი, ცენტრალური ადგილი დაიჭირა ტაძრის კომპოზიციაში, ჩრდ. და სამხ. საკმელები კი ფასადთა ცენტრში მოექცა, რაც საეხებით შეესიტყვება მათ შინაგან განლაგებას. ნორმალური სახე მიიღო მრავალწახნაგის კედლებმა, ტოლი სიდიდისაა აფსიდთა ფასადები, ხოლო მათზე უფრო დიდები, მაგრამ ერთმანეთის ტოლებია მათი შემაერთებელი კედლები. ფასადთა სიდიდის ეს შეფარდება საეხებით კანონზომიერია, ის შინაგან გადაწყვეტას შეესაბამება. აქ, რომ არაფერი ვთქვათ პროპორციებზე, ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი თვისება, მისი ძირითადი პრინციპი, შენობის შინაგანი აგებულებისა და გარეგანი აღნაგობის პარმონიული შეთანხმება მიღწეულია.

საქართველოში, ქრისტიანობის მიღების პირველ პერიოდში ტაძრების მშენებლობაში ბაზილიკურ თემას უპირატესობა ეძლეოდა და ამ თემამ V საუკუნის დასასრულისათვის თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია ეიდეკ ბოლნისის სიონში².

VI საუკუნეში წინა პლანზე გამოდის და გაბატონებულ თემად იქცევა ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც თავისი ბუნებით მშენებლობის ძველ ქართულ ტრადიციებს უფრო შეესიტყვება. თუმცა „გუმბათიანი თემა საქართველოში უკვე მუშავდებოდა IV და V საუკუნეებში“³, მაგრამ ყველა ეს უძველესი გუმბათიანი შენობაც მეტად მცირე ზომისა ყოფილა⁴. რის გამოც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემდეგში საკირო შეიქმნა მათი გაფართოება ან ახლით შეცვლა. VI საუკუნეში ქართულმა არქიტექტურამ მოგვცა დიდი ზომის გუმბათიანი ტაძრები, შინაგანი სივრცის გადაწყვეტის რამდენიმე ვარიანტით.

შექმნილ ვარიანტთაგან, ცენტრალურ გუმბათიანი ტაძრის ერთ-ერთი უძველესი სახეა ე. წ. წმინდა ტეტრაკონქი⁵. სადაც აფსიდები უშუალოდ ერთვის გუმბათქვეშა კვადრატს და აფსიდთა შინაგან ნახევარწრიულ მოყვანილობას

¹ აქ იგულისხმება გეგმის აღდგენა საერთო ხაზულებში, განსაკუთრებით მისი აღმ. მხარე, რომლისგანაც აღრაფერია დარჩენილი. ხოლო ნახაზზე (ტაბ. 2.) საკუთრებელის გვერდით მოცემული „სამკვეთლო“ და „საღიაკვენ“ მეტად პირობითია, ვინაიდან ამ საკითხის ხუსტად დასადგენათ რეალური ხელთ არაფერი გვაქვს.
² იხ. Г. Н. Чубинашвили, Болнисский Сион, Тб., 1940.
³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936, გვ. 80.
⁴ იქვე, გვ. 56.
⁵ იქვე, გვ. 56.
⁶ იხ. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 212—213.
შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1, თბ., 1944.

ზუსტად იმეორებს გარეთა კედლები. ასეთ ნაგებობათა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ძველი გავაზი¹ და სუხბეჩი²; წმინდა ტეტრაკონქი ყოფილა თავდაპირველად თბილისის ქაშუეთიც. თუმცა არცერთი ზუსტად დათარიღებული ამ სახის ძეგლი არ მოგვეპოვება, მაგრამ ძველი გავაზი VI საუკუნის მესამე მეოთხედზე უფრო ადრინდელი რომ არის; ეს აკად. გ. ჩუბინაშვილმა ექვიპიტანლად დამტკიცა³, როგორც აკად. გ. ჩუბინაშვილი, აღნიშნავს, ხუროთმოძღვრებმა, როგორც კი მიაღწიეს გუმბათქვეშა კვადრატის სივრცობრივ გადაწყვეტას ოთხივე მხრიდან ნახევარწრიული აფსიდების მოწყობით, მათ წინაშე წამოიჭრა საკითხი — გადაეწყვიტათ გარეთა მასები, რომელსაც მაშინვე მრავალკუთხედის ფორმა მისცენა⁴.

მანგლისის ტაძარი თავის პირვანდელი სახით, შინაგანი სივრცის გადაწყვეტისადმი მიდგომით, ძველი გავაზისა და სუხბეჩის, ე. წ. წმინდა ტეტრაკონქთა წრეში ექცევა. აქ ჯერ კიდევ არაფერი ნიშანი არ არის მისწრაფებისა შინაგანი სივრცის ვართულუბისადმი, რომელიც აფსიდების შეხვედრის კუთხეში დამატებითი ნახევარწრიული ან სხვა ფორმის შედარებით პატარა აფსიდების მოთავსებაში გამოიხატა ტეტრაკონქის განვითარების შემდეგ საფეხურზე, რაც გუმბათს უფრო საიმედო დასაყრდენს უქმნის და გუმბათქვეშა სივრცის გაზრდის საშუალებას იძლევა⁵, როგორც ესა გვაქვს ნინოწმინდის კათედრალში, VI ს. მე-3 მეოთხედის ძეგლში. აღნიშნული ტეტრაკონქების სიძველის მანიშნებელია აგრეთვე ის, რომ აქ ჯერ არა გვაქვს გუმბათქვეშა კვადრატისგან ბემის საშუალებით აფსიდის სივრცობრივად გამოყოფის ცდა, რომელიც დიდი ხნის შემდეგ ჩნდება და პირველად გვხვდება ჯვრის ტიპის ძეგლებში⁶, ე. ი. VI საუკუნის ბოლო მეოთხედიდან. მანგლისის ტაძარი ძველი გავაზისა და სუხბეჩის ძეგლებისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ თავისი გარეთა ხედით, აქ ტეტრაკონქი გარედან რვაწახნაგში იყო მოქცეული. როგორც ამას გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ძეგლის ფასადთა გადაწყვეტის ცდა, მაგრამ მხოლოდ ცდა, საკითხის დასმა და არა მისი გადაწყვეტა⁷, ამ მხრივაც

¹ იხ. გ. ჩუბინაშვილი, *Архитектура Кахетии*, გვ. 216—224, მისივე ქართული ხელნაწილის ისტორია, ტ. 1, თბ., 1936, გვ. 57.

² Е. Такайшвили, *Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии*, Тб., 1952, გვ. 81, ტახულა 114, მე-2.

³ იხ. Г. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, გვ. 216—224 და მისივე, ქართული ხელნაწილის ისტორია, ტ. 1, გვ. 56—58. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ძველი გავაზი VI ს. მესამე მეოთხედს რომ ვერ გადმოსცდება აქეთ, ცხადია, მაგრამ დასაშვებია, რომ ტაძარი უფრო ადრეც იყო აგებული. ძეგლის საერთო სახე და ზოგიერთი დეტალი „Заставляют думать о возможности более раннего появления этого строения“, *Архитектура Кахетии*, გვ. 220—224. აკად. შ. ამირანაშვილი კი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძველი გავაზი „აშენებული უნდა იყოს არაუგვიანეს V ს. პირველი ნახევრისა“, იხ. შ. ამირანაშვილი, *დას. შრომა*, გვ. 150—161. ხოლო თბილისში ძველი ქაშუეთის ეკლესია 520 წელს აღშენებიათა იქვე გვ. 161. სუხბეჩის შესახებ ე. თაყაიშვილი მიუთითებს, ძალიან ძველი ნაგებობა არა უგვიანეს V—VI საუკუნისათ. იხ. მისი *Археологическая экспедиция*, 1917 г., გვ. 81.

⁴ Г. Ч. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, გვ. 221—225.

⁵ Г. Ч. Чубинашвили, *Памятники типа Джвари*, Тб., 1948, გვ. 69.

⁶ Г. Ч. Чубинашвили, *Архитектура Кахетии*, გვ. 225.

⁷ იქვე.

მანგლისის ტაძარი აღნიშნულ ტაძრებს შორს ვერ სცილდება. გ. ჩუბინაშვილი დასახელებულ სამ ტეტრაკონქს, ძველ გავაზს, სუხბუქს და მანგლისის ერთად განიხილავს, არქიტექტურის განვითარების ერთ ეტაპზე, და მათ ღიახლოებით ერთი დროის ძეგლებად სთვლის¹. მართლაც, ტეტრაკონქის თემისადმი საერთო მიღგომით, მათ უფრო მეტი საერთო, დამაკავშირებელი ნიშნები აქვთ, ვიდრე განმასხვავებელი. საყურადღებოა, რომ მანგლისის ტაძრის დასავლეთ აფსიდთან მოთავსებულ პატარა ოთახებში, იმ კედლებზე, რომლებიც თავდაპირველ ნაგებობას ეკუთვნის, ნალისებრი ფორმებია მოხმარებული. ნალისებრი ფორმისაა კონქის თაღები და აფსიდები (იხ. ტაბ. 5ა და 5ბ), რასაც ტაძარში სხვაგან ვერ ვხვდებით. ნალისებრი ფორმა კი ჩვენს ყურადღებას სიძველისაკენ ამახვილებს, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ამ ფორმის მოხმარება დამახასიათებელია ადრინდელი ქართული არქიტექტურისათვის. ძველი გავაზის ტაძარშიც ხომ ეს ფორმა გამოყენებული.

ჩვენ მიერ დასახელებულ ძეგლებში ჯერ მხოლოდ ჩანასახის სახით არის მოცემული იმ პრობლემათა ძიება, რომელთა გადაჭრამაც VI საუკუნის დასასრულს ტეტრაკონქის ტიპის და საერთოდ საეკლესიო მშენებლობის შედეგრი, მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი მოგვცა.

ამრიგად, დავინახეთ, რომ მანგლისის ტაძარი ტეტრაკონქის თემის განვითარების გზაზე, მისი საწყისი, აუფთა ტეტრაკონქის ფორმიდან შორს არაა წასული. თუმცა აქ უკვე გვაქვს ფასადთა გადაწყვეტის ძიება. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ჩრდ. დას. და საზ. დას. წახნაგებში არც მთლიანად გასაგები, მაღალი, ღრმა ნიშების მოთავსება ნალისებრი აბსიდით აღმ. მხრიდან. ძიების მარჯვენებელია ერთ აფსიდში ორი დამატებითი შესასვლელის გაკეთება². აქ რომ ძიების ერთ მომენტთან გვაქვს საქმე, იქიდანაც ჩანს, რომ მანგლისის ფასადთა გადაწყვეტის მაგალითს ჩვენ სხვაგან ვეღარ ვნახავთ. ის განვითარების გზის ერთი ეტაპია და მას შემდეგში არავინ იმეორებს, ვინაიდან უკეთესი გადაწყვეტა მალე იქნებოდა ნანახი. თუმცა მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრის შექმნის შემდეგაც შენდება სხვადასხვა სახის ტეტრაკონქის ტიპის ტაძრები, მაგრამ ისინი მცხეთის ჯვრის ტიპიდან გამომდინარეობენ, იძლევიან მის პირს, ან მეტ-ნაკლებად გამარტივებულ სახეს, უფრო პატარა მოცულობის ნაგებობებში. აქ უკვე ახლის ძიებას ვერ ვხედავთ, ვინაიდან მცხეთის ჯვრის დიდმა ტაძარმა ტეტრაკონქის ტიპის, როგორც შინაგანი სივრცის, ისევე ფასადთა გადაწყვეტის დასრულებული სახე მოგვცა და ამ მიმართულებით საძიებელი აღარაფერი იყო³.

ჩვენ ვიცით, რომ როგორც კი იქნებოდა მიკვლეული ამა თუ იმ არქიტექტურული მომენტის უკეთესი გადაწყვეტა ძველს, უარყოფილ ხერხს აღარასოდეს არ დაუბრუნდებოდნენ, არამედ უფრო ახალ გაუმჯობესებულ ხერხს მოძებნიდნენ. ქართული არქიტექტურის ისტორია ამის ნათელი დადასტურებაა.

ყოველივე ზევით აღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ მანგლისის ტეტრაკონქი ქრონოლოგიურად წინ უსწრებს, როგორც მცხეთის დიდ ტაძარს

¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 225.

² კიდევ უფრო ორიგინალური და გაუგებარია შესასვლელის განლაგება ძველ გავაზში, იხ. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 221 და გვგმა გვ. 217.

³ გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1 და მისივე, Памятники типа Джвари, გვ. 69.

(586—604) ასევე ნინოწმინდას და მისი აგების დრო VI საუკუნის მესამე მეოთხედის შემდეგ აღარ უნდა იყოს მოსალოდნელი. ამრიგად მივიღეთ მანგლისის ტაძრის ქრონოლოგიური ჩარჩოს ერთი მხარე. ვეცადოთ მეორე მხარის დადგენაც.

ცნობილია, რომ V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა მანგლისში ეპისკოპოსი დასვა. მანგლისის ძველი მეტად სახელგანთქმული და პატივცემული იყო მანამდეც.

ცხადია, ისეთი მდგომარეობა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელებულიყო, როდესაც მლოცველს არა მოკრძალების გამო, არამედ ეკლესიის სიმცირის გამო არ შეეძლო ეკლესიაში შესვლა. თვით შექმნილი მდგომარეობა აიძულებდათ ახალი დიდი ტაძარი აეგოთ, იქ სადაც დაცული იყო ქრისტეს ჯვრის წმინდა ნაწილები და მლოცველები საქართველოს გარდა სომხეთიდანაც მოდიოდნენ.

ისტორიკოსები, საქართველოს ეკლესიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გორგასალის მიერ ახალი საეპისკოპოსოების დაწესების სხვადასხვა თარიღს მიუთითებენ. ეს თარიღი V საუკუნის 70-იან წლებსა და VI საუკუნის დასაწყისის პირველ წლებს შორის მერყეობს. ივ. ჯავახიშვილი, ყველა ძველი ისტორიკოსის ცნობის კრიტიკულად განხილვის შემდეგ ამტკიცებს, რომ ეს 472—484 წწ. შუა უნდა მომხდარიყო¹. ე. ი. მანგლისში საეპისკოპოსო დაუარსებიათ V ს. ბოლოს. მანგლისის რომ 506 წ. თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა, ჩვენ ეს ზევით დავინახეთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ თუ მაშინვე არა, საეპისკოპოსოს დაარსებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მაინც, ახალი ტაძრის აგებას დაიწყებდნენ, რაც ბუნებრივად უნდა მომხდარიყო კიდევც. გამოდის, რომ მანგლისში ტეტრაკონქის ტიპის ეკლესიის შენება V საუკუნის მიწურულში მაინც უნდა დაეწყოთ. ამრიგად შემოისაზღვრა მანგლისის ძველი ტაძრის აგების ქრონოლოგიის ჩარჩოს მეორე მხარეც. ე. ი. იგი აგებული ყოფილა V საუკუნის მიწურულსა და VI საუკუნის მე-3 მეოთხედს შორის, ხოლო თუ მოვისურვებთ აღნიშნულ ჩარჩოს კიდევ მეტად შემჭიდროებას, ტაძრის აგების თარიღი V საუკუნის ბოლო მესამედში უნდა ვიგულისხმოთ². აქ მოულოდნელი არაფერია, პირიქით ასეთი ნაგებობის შექმნა ამ პერიოდში სავსებით ბუნებრივად ჩანს.

ცნობილია, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში V საუკუნიდან გუმბათიანი ეკლესია თანდათანობით სდევნის ბაზილიკას და გაბატონებულ ადგილს იკავებს³. გუმბათიან არქიტექტურაში კი უძველესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებია⁴.

როგორც უკვე ვთქვით, დღეს არსებულ მანგლისის ტაძარში ძირითადად მშენებლობის ორ მთავარ პერიოდს ვარჩევთ. აქედან, პირველ პერიოდს ვაკუთვნებთ გუმბათქვეშა კვადრატის მიმდებარე სამ აფსიდს, დასავლეთის აფსიდში გამავალ პატარა სადგომებში სამ-სამ კედელს, ამჟამად, ძლიერ დეფორმირებულ მრავალწახნაგის ფორმას. ამრიგად, ძველი ტაძრიდან გვემის ნაწილის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 348.

² დღემდის მას მეცნიერები VI—VII საუკუნით ათარიღებდნენ.

³ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии გვ. 594.

⁴ იხ. იქვე.

გარდა, სხვა არქიტექტურული კონსტრუქციული ელემენტები და ფორმები მხოლოდ ზევით აღნიშნულ ბატარა სადგომშია შემონახული. ცხადია, გუმბათის ყელი შეცვლილია მთლიანად. გუმბათის დაყრდნობის კონსტრუქციაც არ დაუტოვებიათ ძველი. ამჟამად, კვადრატის გუმბათის მრგვალ ყელზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება, V—VI ს-ში კი საქართველოში კვადრატის წრეზე გადასაყვანად მხოლოდ ტრომპებს ხმარობდნენ. ასევე უნდა ყოფილიყო მანგლისშიც¹. აფრები ამჟამად შელესილობის სქელი ფენით არის დაფარული, მათი ზედაპირი მთლიანად გლუვი არაა. როგორც გ. ჩუბინაშვილი შენიშნავს, შეიძლება შელესილობით დაფარულია ძველი კონსტრუქციების ნაშთები, მაგრამ ამის დასამტკიცებლად რეალური, ხელშესახები, არაფერი გვაქვს დარჩენილი. ასევე ახალია გუმბათის ყელის საფუძველში მოთავსებული კარნიზი (ტაბ. 11), რომლის მსგავსიც საქართველოში IX ს-მდე არ გვხვდება². აქედანაც, ცხადია გუმბათი XI ს. ეკუთვნის მთლიანად.

ამრიგად, მანგლისის ძველი ტაძარი, რომლის აგებასაც ჩვენ V ს. ბოლო მესამედში ვგულისხმობთ შემდეგი სახით წარმოგვიდგება (იხ. ტაბ. 2, გამოყოფილი ნაწილი). როგორც ვხედავთ გეგმაში იგი წარმოადგენს ტეტრაკონქს, რომელიც გარედან მრავალწახნაგშია მოქცეული. აფსიდები დაახლოებით ტოლი სიდიდისაა. ისინი უბემოდ, უშუალოდ ერთვიან გუმბათქვეშა სივრცეს. ტაძარს დასავლეთის მხრიდან სამი შესასვლელი ჰქონდა: ერთი აფსიდის ცენტრში, იქ სადაც ახლაცაა კარი, ორი კი იმავე აფსიდში ჩრდ. და სამხ. დას. ფასადებზე მოთავსებულ გარედან გახსნილ მალა ღრმა ნიშებში. საკურთხეველს სამკვეთლო და სადიაკვნე³ ორგანიზებული სახით იმ თავითვე არ ჰქონია, როგორც მას XI საუკუნეში ბეგლის გაფართოების დროს გაუკეთეს. იმ დროისათვის ე. ი. V ს. მიწურულისთვის საკურთხეველის ამგვარი მოწყობა ჯერ კიდევ არ ყოფილა შემუშავებული არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში⁴. საკურთხეველთან სამკვეთლოს და სადიაკვნეს ოთახების მოსათავსებლად, როგორც გეგმაზე ვხედავთ, რეალურად ადგილი არც არის⁵. როგორ იყო მოწყობილი საკურთხეველი მანგლისში ძნელია თქმა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის დასადგენად ჩვენ ხელთ არაფერი რეალური არ გვაქვს. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ აქ შეიძლება ისეთივე გარედან გახსნილი ნიშები ყოფილიყო, როგორც ეს დასავლეთ აფსიდთან ყოფილა. ტაძრის გაფართოების დროს XI საუკუნეში, როდესაც საკურთხეველის მოწყობის ნორმები უკვე მტკიცედ იყო დადგენილი, მანგლისის ხუროთმოძღვარი მათ გვერდს ვერ აუვლიდა და არც მოისურვებდა, ვინაიდან ძველი საკურთხეველი მათ ვეღარ დააკმაყოფილებდა. აი ერთი მიზეზი იმისა, რომ ძველი აღმოსავლეთით გააფართოეს და არა დასავლეთით. დამკვეთმა ტაძრის ფუნქციური მხარე უფრო წინ დააყენა მის მხატვრულ გადაწყვეტაზე.

¹ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 225.

² ლ. რჩეულიშვილი, ატენის მცირე გუმბათიანი ეკლესია, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ., 1950, გვ. 40.

³ ამის შესახებ დაწერილებით იხილეთ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 269 და 598. აგრეთვე: Lassus. Les sanctuaires chrétiens de Syrie, Paris, 1947 და S. W. Crowfoot. Churches at Bosra and Samaria—Sedaste (British school of Archaeology in Jerusalem. Supplementary Paper, 4), London 1937.

⁴ თუ ისე მოვითავსებთ სამკვეთლოს და სადიაკვნეს, როგორც ეს ქართული ხელოვნების ბირველ ტომში აქვს გ. ჩუბინაშვილს, თვით ოთახები არაბუნებრივად პატარები გამოდის, ხოლო მათი გარეთა კედლები დაუშვებლად თხელი (იხ. დას. შრომა, გვ. 186, სურ. 139).

მანგლისის გუმბათი კი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ტეტრაკონქის ცენტრში აღმართული იქნებოდა განიერი და ამჟამად არსებულთან შედარებით დაბალი, რვაწახნაგიანი გუმბათი, ოთხი სარკმელით. ამას ჩვენ გვაფიქრებინებს ადრინდელ ძეგლებზე შემორჩენილი გუმბათების ერთნაირი გადაწყვეტა (იხ. ძვლის გავაზის, შიომღვიმის, მცხეთის ჯვრის, ატენის, კისისხევის, სამწევრისის, იღლეთის, ძველი შუამთის დიდი და პატარა ეკლესიების და სხვ. გუმბათები). ყველა ჩამოთვლილი გუმბათი რვაწახნაგაა, წახნაგგამოშვებით მოთავსებულია სარკმელი, ე. ი. სულ ოთხი სარკმელი (გამონაკლისს წარმოადგენს სამწევრისი, სადაც ორი სარკმელია). სავსებით მოსალოდნელია რომ ანალოგიური გუმბათი ექნებოდა მანგლისსაც. ამრიგად ასეთი იყო მანგლისის ტაძარი მშენებლობის პირველ საფეხურზე. დანარჩენი კი, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ რემონტს, რომელმაც მხოლოდ დეტალები შეცვალა და მასებს არ შეხებია, — მშენებლობის მეორე პერიოდს მიეკუთვნება.

წინასწარ აღვნიშნეთ, რომ მანგლისის ტაძარი გაუფართოებიათ მეფე გიორგი I დროს 1014—1027 (დამატარიდებელი წარწერებისა და სამხრეთ კარიბჭის თაღზე მოთავსებულ წარწერის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვევით). მანგლისის ძველი ტაძარი უკვე ვეღარ დააკმაყოფილებდა ამ დროის გაზრდილ მოთხოვნილებას, ვერც აბსოლუტური სიდიდით და მოკაზმულობით, ვერც ქრისტიანული რიტუალების შესასრულებლად ამ დროისთვის სრულიად შეუფერებელი სათანადოდ მოუწყობელი საკურთხეველით.

ეს ის პერიოდია, როდესაც ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა და ქვეყანა პოლიტიკურ და ეკონომიურ აღმავლობას განიცდიდა. ეს აღმავლობა არ შეიძლება რომ სიველესიო ცხოვრებაშიც არ არეულიყო. ამ პერიოდში იქმნება საქართველოში ისეთი დიდი ზომის ტაძრები, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც მას შემდეგ არ შეუქმნია ჩვენს არქიტექტურას: ოშკი, ხახული, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი და სხვა. ხოლო ამ პერიოდში ტაძრების შიგნიდან კედლის მხატვრობით და გარედან ქვაზე კეთილი ორნამენტით შემკობა სრულ გაფუჩჩქნას განიცდის. ამ დროიდან ხუროთმოძღვრის მთავარი ყურადღება ძეგლის გარეთა მასებზე, ფასადებზეა გადატანილი. ამის ნათელ დადასტურებას ამ დროს აგებული ტაძრები: ბაგრატის ტაძარი, ნიკორწმინდა, სვეტიცხოველი, სამთავისი, სამთავრო, კაცხი და სხვა მრავალი ნაგებობა წარმოადგენს. ამ გაცხოველებული მშენებლობის პერიოდში მანგლისის ეპისკოპოსი, ცხადია, მოიხურებოდა თავის სახელგანთქმული ტაძრის გაფართოება-გამშენიერებას, მითუმეტეს, რომ მანგლისი თავისი მნიშვნელობით არცერთ სხვა საეპისკოპოსოს არ ჩამოუვარდებოდა. თუ შემდეგში, მტრის მიერ მრავალჯერ გაძარცვის და აოხრების მერეც, ის მაინც მეფეთა სასიქადულო ტაძარი იყო და ვახუშტი ბატონიშვილის დროს მთელი ალგეთის ხეობა და ქციის ზემოთ თრიალეთამდე მის სამწყსოში შედიოდა და მრავალი სოფელი თავის მიწა-წყლით და გლეხებით ტაძრის საკუთრებას შეადგენდა, ცხადია, რა მნიშვნელობა და გავლენა, ხოლო ეკონომიურად რა დიდი შეძლება ექნებოდა ქვეყნის საერთო აყვავების დროს საქართველოს ამ უძველეს საეპისკოპოსოს. ყოველივე ამან თავისი ლო-

¹ გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 96.

გიგური გამოხატულება ჰპოვა მანგლისის ტაძარზე ამ დროს ჩატარებულ დიდ სამშენებლო მუშაობაში. თუმცა ტაძრის აწ დაღუპულ ორ დამათარილებელ წარწერაში აღნიშნულია ამშენებელი და არა აღმდგენელი ანუ მეორედ მაშენებელი, მაგრამ, როგორც დავინახეთ აქ ძეგლის მეორედ ამშენებელი უნდა ვიგულისხმოთ. მრავალი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც თავის თავს წარწერებში ძეგლის ამშენებლად ასახელებდნენ ისეთი პირები, რომლებიც ძეგლზე მხოლოდ შესაკეთებელ სამუშაოებს ატარებდნენ¹. მით უმეტეს, მანგლისის ძეგლის აღმდგენელს სრული უფლება ჰქონდა თავის თავი ძეგლის ამშენებლად დაესახელებინა: მან მართლაც თითქმის ხელახლა ააშენა მთელი ტაძარი.

ამ დროს გარდა იმისა, რომ ტაძრის მოცულობა ერთი-ორად გაზარდეს, საკურთხეველი გააფართოვეს, ძველი გუმბათი შეცვალეს ახლით. ჩრდ. დას. და სამხ. დას. წახნაგებში მოთავსებული ღრმა ნიშები გარედან მიშენებული კედლებით დაფარეს. ტაძრის ფასადები, გუმბათი და კარიბჭეები შეამკეს იმ დროისათვის დამახასიათებელ მაღალმხატვრულ ქვაზე კვეთილი ორნამენტით. ამავე დროს ტაძარი შიგნიდან მოლიანად მოხატეს².

რომელ პერიოდს მიეკუთვნება ეს აღდგენა—ხელმეორე აშენება?

მანგლისის ტაძარს ისტორიული ხასიათის მრავალი წარწერა ჰქონდა, მაგრამ მათგან უფრო მნიშვნელოვანია XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ძეგლზე ჩატარებულმა რემონტმა იმსხვერპლა. ამჟამად ტაძარზე შემორჩენილ წარწერებს შორის ზოგი იმდენადაა დაზიანებული, რომ მხოლოდ ნაწილობრივ იკითხება და მათგან რაიმე დასრულებული აზრის გამოტანა შეუძლებელია; ზოგი კი ძეგლის ისტორიისთვის საყურადღებოს არაფერს შეიცავს. ძეგლის დამათარილებელი წარწერებიდან ორი წარწერა, სადაც პირდაპირ აღნიშნული ყოფილა მისი მეორედ აგების თარიღი 1020 წელი, დაღუპულა, მაგრამ ამ წარწერათა არსებობა ცნობილი იყო მ. ბროსეს გამოცემათა მიხედვით. მათგან ერთი ერთსტრიქონიანი ყოფილა, მეორე კი ოთხსტრიქონიანი. ბროსეს თვით არა ჰქონდა მანგლისის ტაძარი ნანახი, ის წარწერებს აქვეყნებდა სიძველეების მოყვარულთა და მოგზაურთა მიერ ვაგზავნილი პირების საფუძველზე, მაგრამ ცუდად გადაღებული წარწერის პირები მრავალ შეცდომებს შეიცავდნენ. კორესპონდენტები ტაძარზე წარწერების მდებარეობასაც კი სხვადასხვა ადგილზე მიუთითებდნენ. ყოველივე ამის გამო, შემდეგში, მანგლისის დამათარილებელი წარწერები ხანგრძლივი მეცნიერული დავის საგნად იქცა და ზოგიერთის არსებობაც კი ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული.

ჩვენ შევუდევით მანგლისის წარწერების იმ პირების ძებნას, რომლებიც თავის დროზე ბროსესა ჰქონდა ხელთ. ძებნა შედეგიანი გამოდგა: მათ მივაკვლიეთ ქ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდში. აქ, ბროსეს არქივში, ჩვენ ვნახეთ ოთხსტრიქონიანი დამათარილებელი წარწერის ჩანახატი,

¹ იხ. ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, თბ., 1931, გვ. 83. 251—254.

² ამჟამად მხატვრობა მხოლოდ გუმბათშია შემორჩენილი.

რომელიც ბართლომეის თხოვნით მხატვარ ფრიხს—ეროვნებით ფრანგს—შეუ-სრულებია მანგლისში ყოფნის დროს¹ (ტაბ. 7).

ფრიხის ჩანახატის მიხედვით ოთხსტრიქონიანი დამათარიღებელი წარწერა ასე იკითხება:

[ქ. სახელითა] ღმრთისაათა [და შეწვენი-

თა წმიდისა] ძელისა ცხორებისათა მე გლახაკი...] ღირს

[ვიქმენ აღშენებად წმიდისა ამის ეკლესიისა სალოც-

ველად სულისა ჩემისა, ქრონიკონი იყო სმ

წარწერის ასე აღდგენა პირობითია. ვინაიდან, როგორც სურათზე ჩანს, წარწერის პირველი სტრიქონიდან მხოლოდ ორიოდღე ასო ყოფილა დარჩენილი. მეორე სტრიქონს თავი და ბოლო ჰკლებია (ეს განსაკუთრებით სამწუხაროა, ვინაიდან ამ ადგილზე აღმშენებლის სახელი იყო მოსალოდნელი). მესამე სტრიქონს მხოლოდ დასაწყისში აკლია ორიოდღე ასო, რომელიც აზრის მიხედვით ადვილად აღდგება. მეოთხე სტრიქონი კი, რომლის ბოლოშიაც ნათლად იკითხება ქრონიკონი სმ ე. ი. 240=1020 წელს, სრულიად დაუზიანებელი ყოფილა. ეს წარწერა როგორც ნახატიდან ჩანს მოთავსებული ყოფილა სამხრეთ ფასადზე გამავალი სარკმლის თავზე, რომელსაც სამხ. კარიბჭე ნაწილობრივ ფარავს.

ბროსეს იმავე არქივში ვნახეთ მანგლისის ერთსტრიქონიანი დამათარიღებელი წარწერის პირიცი (ტაბ. 6 ა), წარწერა ძლიერ დაზიანებული ყოფილა, მაგრამ აღშენების თარიღი ქრონიკონი სმ ე. ი. 240=1020 წელს აქაც კარგად იკითხება.

ამის შემდეგ მანგლისის ტაძრის ეზოში, სამრეკლოს ქვეშ ვნახეთ ქვა რომელზეც სამი ასომთავრული ასო ირჩევა. გარდა ამისა თვით ტაძარში სამხრეთ დასავლეთით პატარა სადგომში. აფსიდის კუთხიდან ჩამოცვენილ ქვებს შორის, ვიპოვეთ ისეთივე მოყვანილობის ქვა, იმავე ხასიათის ჩუქურთმით და ასომთავრული წარწერით. აქ უკვე ხუთი ასოს გარჩევა ხერხდება². ექვს გარეშე იყო, რომ ჩვენ ერთი წარწერის ორ ფრაგმენტთან გვქონდა საქმე (ახლა როდესაც შათი გადაღება ერთად მოხერხდა (იხ. ტაბ. 6 ბ) ეს ვარაუდი მთლიანად დადასტურდა). წამოიჭრა კითხვა საიდან, ტაძრის რომელი ადგილიდან უნდა ყოფილიყო ეს ქვები? არის ეს რომელიმე ცნობილი წარწერის ფრაგმენტები, თუ სრულიად უცნობი წარწერა?

კვლევაში დაგვარწმუნა, რომ ეს სწორედ ბროსეს მიერ გამოცემული ერთსტრიქონიანი დამათარიღებელი წარწერის ფრაგმენტებია. ამ ქვებზე მოთავსებული ასოები, ბროსეს გამოცემულ ერთსტრიქონიან დამათარიღებელ წარწერაში ზუსტად პოულობს თავის ადგილს და მასში ლოგიკურად თავსდება (ტაბ. 6 ა). ნაპოვნი ქვები, სწორ პირზე წარწერით და მის დახრილ პირზე ორ გრებილ ლილვს შორის მოთავსებული ჩუქურთმით მხოლოდ კარების თაღის

¹ ფრიხის ნახატი დაეკუთვნა ყუთში P-19 ბართლომეის წერილებში. ეს ნახატი ბართლომეის გაუგზავნია ბროსესთვის 1853 წ. 23 ოქტომბერს. ნახატი შესრულებულია ფანქრით თეთრ ქაღალდზე ზომით 28×21 სმ. ბართლომეი წერილში წერს, რომ ფრიხმა ქართული არ იცის, რასაც, ხედავდა ის დახატა და ამ მხრივ სრულიად სახალაოა.

² ანუ ანაღორონივე ეს ქვა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. მათგან პირველი ქვა ნახა და ჩამოიტანა მ. ჩხიკვაძემ, მეორე ქვა კი ვნახეთ საქ. სსრ მეცნ. აკად. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მანგლისში ყოფნის დროს 1954 წელს. შემდეგში ეს ქვა ჩამოიტანე და ჩავაბარე მუზეუმს.

მოჩარჩოების ფრაგმენტები შეიძლება იყოს. სხვა ადგილზე მათი მოთავსება წარმოუდგენელია.

აღსანიშნავია, რომ ტაძარში შესასვლელი ორივე კარების მოჩარჩოება XIX საუკუნეში ჩატარებული რემონტის დროს მოლიანად განუახლებიათ, ე. ი. ახლით შეუკვლიათ. სამხრეთი კარის განახლებული ჩარჩოს განივი ზომები და ჩვენ მიერ ნაპოვნი წარწერიანი ქვების ზომები და მოყვანილობა ერთმანეთს ემთხვევა. ნაპოვნი ქვებით თუ აღვადგენთ მათ მიერ შემოხაზულ რკალს, ის კარის ჩარჩოს მიერ შემოხაზულ ნახევარწრის ტოლია. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, რომ ჩვენ ერთსტრიქონიანი დამათარილებელი წარწერის ფრაგმენტები ვნახეთ. ეს წარწერა მოთავსებული ყოფილა ტაძარში შესასვლელი სამხრეთი კარების თაღზე.

განხილულ თარიღიან წარწერებს გარდა მანგლისის ტაძარზე კიდევ ყოფილა სხვა თარიღიანი წარწერა. დიმიტრი მეღვინეთუცესისშვილს უნახავს მანგლისის ტაძრიდან წაღებული ქვა დიდი დაზიანებული წარწერით, ამ წარწერის პირი მას ბროსესთვის გაუგზავნია. ბროსეზე დაყრდნობით თაყაიშვილმა წარწერა ასე გამოაქვეყნა.

ՏՄԸՆ ՄԻՏՆ ՌԴՁ... ՆԿԸՆ ՔԻՄԻՆ Ն...
ՕՆՇ ՓՎՆՆ... ԿԻՆ ՏԻՆ

«Слава тебе Господи... освятили в первый день луны, месяца февраля.. в короникон 247»

ქრტიკონი შეესაბამება 247=1027 წელს. ე. თაყაიშვილი ამ წარწერიდან აკეთებს დასკვნას: მანგლისის ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ 1020 წელს ხოლო დაუმთავრებიათ და უკუერთებიათ 1027 წელს¹. ჩვენ, თაყაიშვილის ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან უკვე განხილულ ორივე დამათარილებელ წარწერაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ტაძარი 1020 წელს იქნა აგებული. ე. ი. ტაძრის შენება 1020 წელზე გაცილებით ადრე დაუწყიათ. ხოლო, გარკვეული მიზეზის გამო 1020 წლისათვის მისი ერთი ნაწილი დაუმთავრებელი დარჩენილა, კერძოდ დას. კარიბჭე და ჩრდ. დას. კედელი. ამაზე დაწვრილებით იხ. ქვემოთ. განხილული წარწერა როგორც ჩანს მოთავსებული იყო ტაძრის დასავლეთ კარიბჭეზე. დასავლეთის კარიბჭე როგორც ქვემოთ დავინახავთ, თუმცა იმავე ეპოქაშია აგებული, როდესაც ტაძარი, მაგრამ არა უშუალოდ ერთდროულად, არამედ რამდენიმე წლის შემდეგ.

მანგლისის ტაძარზე დღეისათვის შემორჩენილ წარწერებიდან, ძეგლის ისტორიისათვის ფრიალ მნიშვნელოვანია სამხრეთ კარიბჭის შესასვლელის თაღზე გარედან მოთავსებული წარწერის ფრაგმენტი, რომლის წაკითხვა პროფ. აკ. შანიძეზე ადრე არავის უცდია, რადგან უკვე XIX საუკუნეში წარწერა ძლიერ ყოფილა დაზიანებული. თუმცა ამ წარწერაში მისი შესრულების თარიღი ზუსტად არ არის მითითებული, მაგრამ წარწერაში დასახელებული ისტორიული პირის საშუალებით წარწერის ზუსტი თარიღის დადგენა ხერხდება. აკ. შანიძე წარწერას შემდეგნაირად კითხულობს... (მფ)—ბსა ღ—თვ დმყ (რ—ბლ) ისა გ-ი ყ—ლისა აღმოსავლ(ეთისა...), ე. ი. „მეფობასა და დღითივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა აღმოსავლ(ეთისა ნოველისიმოსისასა?“ ამ წარწერის წაკითხვის საფუძველზე აკ. შანიძე შემდეგ დასკვნამდე მივიდა, თუ ვინმე ისტორიული

¹ Е. Такайшвили, О надписях Манглисского храма, Археологические экспедиции, разыскания и заметки, вып. IV, Тифлис, 1913 г. 139.

პირია მოხსენებული მანგლისის ტაძრის წარწერებში, ეს არის მხოლოდ „ღუთივ დამყარებული გიორგი (პირველი), ყოვლისა აღმოსავლეთისა (ნოველისიმოსი?)“¹. ამრიგად ზევით მოყვანილ სამ დამათარილებელ წარწერას ეს წარწერაც მხარს უჭერს და უეჭველსა ხდის, რომ მანგლისის ტაძრის გაფართოება—აშენება მეფე გიორგი პირველის დროს (1014—1027 წწ.) მომხდარა.

ვნახოთ ძეგლის მხატვრულ ისტორიული ანალიზით მიღებული მონაცემები ეთანხმება თუ არა წარწერის ცნობას. ამჟამად, მანგლისის ტაძრის შინაგანი სივრცის და გარეთა მასების მხატვრული ანალიზი ამ მიმართულებით ბევრს ვერაფერს მოგვცემს, ვინაიდან როგორც დავინახეთ, ის მიღებულია ორი პერიოდის მშენებლობის შერწყმით, მაგრამ ძეგლის მეორე პერიოდის მშენებლობის მხატვრულ ისტორიულ ანალიზისათვის გუმბათის აღმოსავლეთ ფასადის, სამხრეთ და დასავლეთ კარიბჭეების არქიტექტურა და მთლიანად ძეგლის ორნამენტული მორთულობა გვაქვს. ეს კი სავსებით საკმარისია დასახული მიზნის მისაღწევად.

თუ ზევით მივუთითებდით ტაძრის სხვადასხვა ნაწილების პროპორციათა შეუსაბამობაზე, ახლა, როდესაც ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც ადრე აგებულ ნაგებობას, შემდეგში გადაკეთებულს და გაფართოებულს, აღვნიშნავთ, რომ მეორე პერიოდის მშენებელმა დიდი ოსტატობა გამოიჩინა, მან ბრწყინვალედ გადაჭრა მის წინაშე დასმული რთული ამოცანა. ძველი პატარა ნაგებობიდან მან შექმნა მხატვრულად დასრულებული დიდებული ტაძარი, რომელიც ყოველმხრივ უპასუხებდა იმ დროის მოთხოვნებს.

როგორც აღვნიშნეთ, მანგლისის დროის ძეგლებიდან მხოლოდ მისმა და ნიკორწმინდის გუმბათებმა მოაღწიეს ჩვენამდე თავდაპირველი სახით. ნიკორწმინდის ტაძარი, საერთოდ, გამოირჩევა ორნამენტული მორთულობის ჰარბად გამოყენებით, გუმბათი კი ორნამენტით იქ მთლიანადაა დაფარული. სარკმლებიც თორმეტსავე წახნაგშია გაჭრილი. მანგლისის გუმბათზე კი ექვსი სარკმელი გვაქვს და აქედან მხოლოდ ოთხს შემოუყვება გარშემო მოჩუქურთმებული საპირე. ამრიგად, მანგლისის გუმბათის დროინდელი ერთადერთი გუმბათი ჩვენ პარალელად ვერ გამოგვადგება. თავისთავადაც მანგლისის გუმბათი მხატვრული ვადაწყვეტით თავის ეპოქის დამახასიათებელ ნიმუშად არ შეიძლება მივიჩნიოთ, ვინაიდან ქართულ ძეგლებში წახნაგგამოშვებით გუმბათზე საკმლის მოთავსება X საუკუნის შემდეგ აღარა გვხვდება. XI საუკუნიდან მოყოლებული, როგორც კანონი გუმბათზე რამდენი წახნაგია, იმდენივე სარკმელია გაჭრილი მასში. მანგლისის გუმბათზე, ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელ კაცხის გუმბათშიც თავიდანვე სარკმლები თორმეტსავე წახნაგში ყოფილა მოთავსებული. ამ მხრივ მანგლისის ოსტატი აშკარად უკან იყურება. ვინაიდან მას, როგორც ეს ვახტანგ ბერიძეს აქვს აღნიშნული¹, წარსულთან მართლაც ბევრი რამ აკავშირებს. ამას ადასტურებს თუნდაც ჩრდ. მხარეს გამავალ სარკმელთა საპირის მოჩუქურთმებლად დატოვება. მსგავს შემთხვევას მანგლისის შემდგომდროინდელ ძეგლებში ვეღარ შევხვდებით. გარედან გუმბათის ყელის თაღდით მორთვა, თუმცა X საუკუნიდან თითქმის ყველა ძეგლისთვის სავალდებულოა, მაგრამ მანგლისის გუმბათამდე არსად არ გვხვდება, რომ თაღედი სამილივიან კედლის სვეტებს ეყრდნობოდეს და თვით ორი ლილვისაგან

¹ ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, თბ., 1950, გვ. 83

შემდგარი კედლის სვეტის პროფილს იმეორებდეს. მანგლისის გუმბათზე გლუვი ლილვებია (ტაბ. 9 და 10), მაშინ როდესაც X საუკუნიდან ძირითადად გრებილი ლილვია შესული ხმარებაში, რომელიც XI საუკუნეში თანდათანობით სდევნის გლუვ ლილვს¹. იმ პერიოდში, როდესაც აშკარად იგრძნობა საერთო მისწრაფება დეკორატიულობისადმი, მანგლისის ოსტატი დიდ თავშეკავებულებას იჩენს.

ისეთი არქიტექტურული მოტივი, რაც მიგვიბრუნებს, რომ მანგლისის ხუროთმოძღვარი მართლაც უკან X საუკუნისკენ იყურება, ტაძრის აღმ. ფასადზეც გვხვდება. აღმ. ფასადის გადაწყვეტა ძირითადად საქართველოში, საშუალო საუკუნეების გუმბათიანი ტაძრებისათვის თითქმის საერთოა, მაგრამ მისი გადაწყვეტის დროს ყველა დიდი ტაძრის ოსტატი პოულობდა თავის განმასხვავებელ სიტყვას, რომელიც განუმეორებელ ელფერს აძლევდა ამ ფასადთა მხატვრულ სახეს. ასევეა მანგლისშიც. საკუთრივებისა და გვერდის სადგომების აფისიდებს შორის წარმოქმნილ კედლის სქელ მასებში გარედან იჭრება, ძაბრისებრი კამარით გადახურული, საკმაოდ მაღალი ღრმა სამკუთხა ნიშები. ნიშების შიგნითა კუთხესთან შემხვედრ კედლებს პატარა შვერილები აქვთ, რის გამოც ისეთი ფორმები იქმნება, თითქოს დიდ სამკუთხედების შიგნით წვეროვებთან პატარა სამკუთხედები ჩაუსვამთ. ცოკოლის ზედა საფეხური კედლებიდან ნიშებსაც შეჰყვება და ნიშის ფორმას იმეორებს. სამკუთხა ნიშების აღმ. ფასადზე მოთავსება უკვე წრომის (VII ს.) ტაძარზე გვხვდება, მაგრამ მისი მოხმარება განსაკუთრებით ხშირია X საუკუნიდან. ამ დროიდან სამკუთხა ნიშა აღმ. ფასადის მხატვრული გადაწყვეტის საყვარელ ელემენტად იქცევა და ფართოდ შედის ხმარებაში (ოშკი, კუმურდო, ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, სამთავრო და ა. შ.). მანგლისის ტაძრის აღმ. ფასადი გამოირჩევა თავისი სადა, მაგრამ ორიგინალური შემკულობით. X ს. დასასრულიდან გუმბათოვანი ძეგლებისათვის აღმ. ფასადის შემკულობის თითქმის უცვლელ ატრიბუტს წარმოადგენს ფასადის დეკორატიული თაღებით დამუშავება, რაც მანგლისის ტაძრის ოსტატმა არ გამოიყენა. ნიშები დატოვებულია სადად, ყოველგვარი მორთულობის გარეშე, ისევე, როგორც X—XI სს. პირველი მეოთხედის ძეგლებზე². აღ. ფასადზე ცენტრალურ სარკმელს ფართო მოჩუქურთმებული საპირე უფლის (ტაბ. 3), საპირე კედლის სიბრტყიდან ოდნავაა ამოწეული თითქმის იმდენად, რა სიღრმითაც ჩუქურთმია კვეთილი. აქ კვეთა ღრმაა, 3 სმ. აჭარბებს. ასევე ღრმად კვეთილი ჩუქურთმით არის შესრულებული ნიშნებისა და აღნიშნული სარკმლის „შემკვრელი“ სათაური, რომელიც უწყვეტ ხაზად გადაჰყვება მათ თავზე და ბოლოებში პატარა ჰორიზონტალური შემკლავებებით მთავრდება (იხ. იქვე). იგი ფასადის ქვედა განიერ მასას მის ცენტრში ზევით ატყორცნილი ფრონტონისაგან ჰყოფს. სწორედ ეს ლენტი აძლევს განუმეორებელ სახეს მანგლისის აღმ. ფასადს. როგორც ჩანს, ფასადის მთლიანად გადამკვეთი ჰორიზონტალური ლენტი მანგლისში გვხვდება პირველად და უკანასკნელად, ასეთ მოტივს სხვაგან ვერ შევხვდებით, ის ფასადს შუაზე ჰყოფს და სიმაღლის შთაბეჭდილებას ანელებს. მაშინ, როდესაც არქიტექტურაში ინტენ-

¹ P. Шмерлинг, Хиси, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4. თბ., 1955.

² XI საუკუნიდან ფრიად გავრცელებული ნიშების თაღის ორნამენტული კბილანებით შორთვა, პირველად, როგორც ჩანს სამთავისში (1030) გვხვდება.

სიურად ძლიერდებოდა მისწრაფება სიმაღლისაკენ. ასეთი მოტივი, ცხადია, ფეხს ვერ მოიკიდებდა.

როგორც იყო ტაძარი გადახურული XI ს-მდე. ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იმ სახით, როგორც დღესაა, ე. ი. ქოლგისებრი სახურავით, ის მშენებლობის მეორე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს; ასეთი გადახურვა X საუკუნეზე ადრე არ გვხვდება. თავისი მიდგომით მისი არსებობა უფრო ადრე არც არის მოსალოდნელი, ვინაიდან „ამ ფორმის წარმოშობა და გავრცელება მხოლოდ წმინდა მხატვრული მოთხოვნებით, ამ შემთხვევაში ისევ და ისევ დეკორატიულ მისწრაფებათა გაძლიერებით, შეიძლება აიხსნას“¹. დეკორატიულობისაკენ ასეთ გაძლიერებულ მისწრაფებას კი ქართული არქიტექტურა X საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში არ ამჟღავნებს. ქოლგისებრი გადახურვა პირველად X ს. გუმბათებზე გვხვდება ოზიზასა და შატბერდში. 958—961 წლებში კი ასეთი გადახურვა ოშკში სამხრეთის სტოას გაუკეთეს². X საუკუნის მიწურულს და XI საუკუნის პირველ ნახევარში ასეთი სახურავით გადახურეს კაცხის ტაძრის სამივე იარუსი, გუმბათი, ტაძრის კორპუსი და გარსშემოსავლელი. მაგრამ მანგლისის ტაძრისათვის გადახურვის უახლოესი პარალელი X—XI სს. ძეგლში ბოჭორმაში გვაქვს, სადაც ისევე როგორც მანგლისში. ქოლგისებრ გადახურულია მხოლოდ ტაძრის კორპუსი³. როგორც ჩანს, ბოჭორმა, კაცხი და მანგლისი საქართველოში ასეთი სახურავის გამოყენების უკანასკნელ ნიმუშებს უნდა წარმოადგენდნენ, მაშინ როდესაც სომხეთში ის უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და XIII საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლებშიც გვხვდება⁴. სახურავის ეს მოტივი XI საუკუნიდან ამიერკავკასიას სცილდება, XI ს. ბიზანტიაშიც ჩნდება, — ცხადია, ბიზანტიისათვის დამახასიათებელი ვარიაციით⁵. შემდეგ გადახურვის ეს მოტივი სამხრეთ სლავურ ქვეყნებშიც ვრცელდება, როგორც ჩანს ძირითადად ბიზანტიური ნიმუშები⁶, მაგრამ გვხვდება გადახურვის წმინდა ქართული (კავკასიური) მოტივიც. ასეა გადახურული XIV ს. წმ. იოანეს ეკლესიის გუმბათი კანეოში⁷ — მაკედონია და სხვ. მაგრამ ასეთ გადახურვას X საუკუნეზე ადრე ვერსად ვხვდებით. როგორც ჩანს, გადახურვის ასეთი მოტივი მანამდე არა მართო ჩვენში, არამედ საერთოდ არა ყოფილა ცნობილი და გამოყენებული.

¹ ვ. ბერძე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, თბ., 1950, გვ. 77.

² იქვე, გვ. 78—79 და Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917 г. в южные провинции Грузии, ТБ. 1952, გვ. 50, ტაბ. 42, 43, 44.

³ Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 419. იხ. იქვე, ვ. ი. სიდა-მონ-გისთავის ნახატი, ტაძრის საერთო ხედი დასავლეთიდან.

⁴ ვ. ბერძე, კაცხის ტაძარი, გვ. 79.

⁵ ბიზანტიურ არქიტექტურაში ასეთი გადახურვის ნიმუშებად შეიძლება დეკასახლდით ღვთისმშობლის ეკლესია თესალონიკეში 1028 წ., იქვე, მოციქულთა ეკლესია 1312 წ., პანტანასის ეკლესია მიტრაში, XV ს. პირველი ნახევრისა და სხვ. იხ. Всеобщая история архитектуры, Москва, 1958, გვ. 379. ტაბ. 102 და ვ. ბერძე, კაცხის ტაძარი, გვ. 79.

⁶ ბულგარეთში. სოფ. ბოიანში, პანტელემონის ეკლესია — გეტერი, იხ. Всеобщая история архитектуры, გვ. 391, ტაბ. 103², მიხეილის და გაბრიელის ეკლესია — მესემგორიაში XIII ს. გვ. 394, სურ. 348, XIV ს. ეკლესია იქვე, სურათი 350. იუგოსლავიაში, ეკლესია გრანჩინცეში, 1321, ტაბ. 105⁴ და სხვა.

⁷ Cecil Stewart, Serbian Legacy, London, 1959, გვ. 57, 109, ტაბ. 37.

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქოლგისებრი გადახურვა მანგლისში მხოლოდ მშენებლობის მეორე პერიოდს შეიძლება მივაკუთვნოთ.

მანგლისის ტაძარში ორი შესასვლელია და ორივე შესასვლელი კარიბჭეში გადის.

კარიბჭეები მანგლისში ძეგლის მთლიანი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს შეადგენენ და ძეგლის მასათა გაწონასწორებაში დიდ როლს ასრულებენ. კარიბჭეები XI საუკუნის მშენებლის მიერ ჩაფიქრებული იყო ტაძრის მშენებლობასთან ერთად ერთ მთლიანობაში. ისინი ორგანულად ერწყმიან მას. ტაძრის შესასვლელის შემკობა ბჭით ქართველ ხუროთმოძღვრებს ადრევე სცოდნიათ. X და განსაკუთრებით XI საუკუნიდან კი ის ნაგებობის თითქმის აუცილებელ ელემენტად იქცევა. ამ დროიდან ვერცერთ მნიშვნელოვან ტაძარს ვერ ვნახავთ კარიბჭის გარეშე. ამავე პერიოდში კარიბჭეთა მშენებლობის საერთო ნორმებიც მუშავდება და ძირითადად კარიბჭის ორი სახე ყალიბდება.

მანგლისში ორივე სახის კარიბჭე გვაქვს. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. პირველი—როდესაც კარიბჭე წაგრძელებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ასეთი მანგლისში სამხრეთ კარიბჭეა, იხ. გეგმა ტაბ. 1.) და ხშირად აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. ცხადია, ასეთი ნაგებობა მარტო კარიბჭე აღარ არის ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მას სხვა მოვალეობაც ეკისრებოდა, იგი ხშირად საძვლეს, ექვტერს წარმოადგენდა, როგორც ეს მანგლისში გვაქვს. ასეთი კარიბჭე-ექვტერი ძეგლს უფრო ხშირად სამხრეთიდან უკვთვდებოდა (კუმურდო, ნიკორწმინდა, სამთავრო, კაცხი, სავანე და სხვა). თუმცა სავანეში კარიბჭე აღმოსავლეთით აფსიდის ნაცვლად სწორი კედლით მთავრდება, მაგრამ აგების პრინციპი იგივეა, რაც სხვაგან). ჩვეულებრივ ასეთ კარიბჭეებს შესასვლელები სამხრეთიდან აქვთ, ტაძრის კარის პირდაპირ. ამავე დროს ეს შესასვლელები კარიბჭის ფასადზე თითქმის ყოველთვის ასიმეტრიულად თავსდება—დასავლეთითაა გაწეული. შესასვლელი ყოველთვის უფრო მაღალია და ორკალთიანი სახურავით გადახურული. ფრთები კი დაბალი და ცალკალთიან სახურავებში მოქცეული.

მანგლისის ტაძარში შესასვლელი სამხრეთი კარები რომ კარიბჭეში შესასვლელის გათვალისწინებითაა გაჭრილი, ეს გეგმაზეც ნათლად ჩანს. კარები ჩვეულებრივ აფსიდის შუაში კი არ გადის, არამედ დასავლეთითაა გაწეული კარიბჭის შესასვლელების შესაბამისად (იხ. ტაბ. 1). კარიბჭე რომ ტაძრის მეორე მშენებლობის პერიოდში მის სხვა ნაწილებთან ერთად არის აგებული, ეს კარიბჭის თაღზე მოთავსებული წარწერითაც ცხადია, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, არქიტექტურული დეტალების და ორნამენტის ანალიზიც გვაძლევს საშუალებას ამის დასადგენად. უფრო მეტიც, მსგავსება იმდენად დიდია, რომ თამამად შეიძლება ითქვას სამუშაო ტაძარზე და სამხრეთ კარიბჭეზე ერთიდაიგივე ოსტატების მიერ არის შესრულებული.

XI საუკუნიდან მოყოლებული კარიბჭეები ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდრულად შემკულ ელემენტს წარმოადგენს ტაძარში—განსაკუთრებით კარიბჭის გადამხურავი კამარა და მისი რთულპროფილიანი ბურჯები. კამარა დაყოფილია სეგმენტებად, აქედან ოთხი ხშირად ჯვრის გამოსახულებას უჭირავს. ჯვარიც და დანარჩენი სეგმენტებიც ჩუქურთმით იფარება. ჩუქურთმით არის დაფარული კამარის დასაყრდნობი სალტის პირი, ამ სალტის დამკვირი თაღები და კუთხის კონსტრუქციები, თაღთა საბჯენი ბურჯის იმპოსტები და ბაზისები

(ტაბ. 7b). მანგლისის გარდა შეიძლება დავსახელოთ ნიკორწმინდის, სამთავროს, კაცხის, ბაგრატის ტაძრის სამხრეთ კარიბჭეები, რუისის ჩრდილოეთ ეკეტერი და სხვა (მანგლისში ნიკორწმინდასა და რუისში კამარაში გამოყენებული ორნამენტები ერთნაირია). მანგლისის უახლოეს პარალელს ფორმით სამთავროს კარიბჭე წარმოადგენს, მაგრამ დეტალებში მეტ დამთხვევას ნიკორწმინდის სამხრეთ კარიბჭეში ვხვდებით. როდესაც ორნამენტებს ვანვიზილავთ, მაშინ მათ მჭიდრო სიასლოვეს უფრო ნათლად დავინახავთ.

კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელის ორივე მხარეს მოთავსებულია ნახევარწრიული ღრმა ნიშები, რომელიც XI საუკუნის პირველი ნახევრის სხვა ძეგლებშიაც გვხვდება, მაგ. სამთავროსა და სავანის სამხრეთ კარიბჭეებში და სხვაგანაც. მანგლისის დასავლეთ კარიბჭეზე ასეთივე ნიშები გარედან, ფასადზეც მოათავსეს.

მანგლისის დასავლეთ კარიბჭე გამოიყოფა ტაძრის სხვა ნაწილებისაგან მოსაპირკეთებელი ქვის ფერით და ორნამენტული მორთულობით, ჩუქურთმის რეპერტუარით და მისი შესრულების ტექნიკით, რაც ბუნებრივია გვაფიქრებინებს, რომ ის ტაძრის სხვა ნაწილებთან ერთდროულად არ არის შექმნილი და ეს, ალბათ, ასეც იყო. ის კარიბჭის მეორე სახეს წარმოადგენს (იხ. ტაბ. 1). კარიბჭე გეგმაში კვადრატულია და, როგორც ჩანს, მის ძირითად მოვალეობას წარმოადგენს, რომ შესასვლელს საზეიმო იერი შეუქმნას, თუმცა საფიქრებელია, რომ შლოცველთათვის ერთგვარ მოსაცდელსაც წარმოადგენდა. ვინაიდან კარიბჭეებს კარები არ ებმით, დამისმთველებს ან ჩვეულებრივ სალოცავად მოსულ ხალხს ყოველთვის შეეძლოთ საჭიროების დროს იქ თავის შეფარება. X საუკუნიდან მოყოლებული, უამრავი ასეთი კარიბჭის დასახელება შეიძლება, მაგრამ მანგლისის დას. კარიბჭის უახლოეს პარალელს XI ს. პირველი ნახევრის სავანის სამხრეთისა და ნიკორწმინდის დასავლეთისავე კარიბჭე იძლევა. აქ მსგავსება საოცარია: საერთო ფორმებს, დეტალებისა და განსაკუთრებით ორნამენტული ჩუქურთმის ხშირად ზუსტი თანამთხვევა გვაქვს. სამწუხაროდ, არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ გადახურვის ფორმაზე, ვინაიდან ისევე, როგორც მანგლისში, სავანესა და ნიკორწმინდაშიც დას. კარიბჭის გადახურვა იქველი კამარა იღრვევ დაღუბულია. ამჟამად არსებული კამარები კი სამივე შემთხვევაში XIX საუკუნის რესტავრაციის ნაყოფს წარმოადგენს¹. სამაგიეროდ, კარიბჭეში შესასვლელი თაღი და მისი ბაზები თათქმის ერთნაირია. ერთნაირადაა დამუშავებული მათი ბაზისები და იმპოსტები. ისინი, ისევე როგორც მანგლისში, გარედან ინტერიერში შეპყვებიან შესასვლელის წირთხლს, ისე, რომ მდინარება არ წყდება. ფასადებზე განლაგებული შეწყვილებულ ლილვიანის ნაცვლად, კუთხეებში მოთავსებული ერთლილვიანი კედლის სვეტები ფასადიდან ინტერიერში გადასვლას ბუნებრივ მიმდინარეობას აძლევს. რთულპროფილიანი კუთხის ბურჯების ანალოგიური გადაწყვეტა XI საუკუნის პირველი ნახევრის სხვა ძეგლთა კარიბჭეებშიც გვხვდება (სამთავრო, კაცხის სამხ. — დას. კარიბჭე), მაგრამ მანგლისთან ყველაზე დიდი მსგავსება მაინც სავანესა და ნიკორწმინდაში გვაქვს.

¹ ნიკორწმინდისათვის იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцинда, Москва, 1947, გვ. 23. სავანისათვის იხ. ვ. ბერიძე, სავანე ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1 თბ., 1942, გვ. 38.

მანგლისსა და ნიკორწმინდაში ერთნაირად არის გადაწყვეტილი თაღებიც, სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული წყვილი და ცალი გრესილი ლილვებით. მანგლისის, სავანესა და ნიკორწმინდის კარიბჭეებს ერთნაირი აქვთ ცოკოლიც (ტაბ. 4ა). აქ მსგავსება საკვირველია, ისევე, როგორც მანგლისში, სავანესა და ნიკორწმინდაშიც მსგავსი ცოკოლი დას. კარიბჭის გარდა, ტაძრის სხვა ნაწილებში არ გვხვდება¹.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მანგლისში მხოლოდ ამ კარიბჭეშია გამოყენებული მოყვითალო ფერის რბილი ქვა. რბილი ქვით არის მოპირკეთებული ყველა ტაძარი, რომელიც განთქმულია ორნამენტის გამოყენების სიუხვით და ქვაზე კვეთილი ჩუქურთმის შესრულების ვირტუოზულობით: ბაგრატის ტაძრის კარიბჭეები, ნიკორწმინდა, სამთავრო, სამთავისი, კრიზი, სავანე და მრავალი სხვა.

რასაკვირველია, ძლიერ მაგარი და მყიფე ბაზალტი არ აძლევს ოსტატს საშუალებას ისეთი ფილიგრანული ორნამენტი შექმნას, როგორსაც ის რბილ, ადვილად სათლელ ქვაზე აკეთებს, სწორედ ეს უნდა იყოს ერთერთი მიზეზი იმისა, რომ მანგლისში დას. კარიბჭე გამოირჩევა თავისი მდიდრული და დანაწევრებული ორნამენტული შემკულობით ტაძრის სხვა ნაწილებისაგან. ჩვენ ვამბობთ, ერთერთი და რასაკვირველია, არა გადაწყვეტი. კარიბჭე ტაძრის სხვა ნაწილებთან ერთ ეპოქაში რომ არის შექმნილი, ამაზე, როგორც დავინახეთ, მისი არქიტექტურული დეტალებიც მიუთითებენ, მაგრამ ამას კიდევ უფრო ნათელს ჰყოფს მისი ორნამენტული მოტივების შედარება როგორც თვით მანგლისის ტაძრის, ასევე ამავე დროის სხვა, მტკიცედ დათარიღებულ ძეგლთა ორნამენტებთან. აქ ჩუქურთმის მონმარებული რეპერტუარი და შესრულების მანერა ნათლად გვიჩვენებს, რომ მანგლისის ტაძრის დასავლეთ კარიბჭე და ტაძრის სხვა ნაწილები ერთ ეპოქაში არიან შექმნილი; რასაც ზევით მოხსენებულ კარიბჭეზე არსებული აწ დაღუბული წარწერაც უტერს მხარს.

ჩვენ აქ მანგლისის ორნამენტული მორთულობის დაწვრილებით განხილვის საშუალება არა გვაქვს, მაგრამ ზოგი ძირითადი მომენტის აღნიშვნა მაინც საჭიროდ მიგვაჩნია².

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის, XI ს. პირველი ნახევრის ქართული ჩუქურთმა, დღეისათვის საფუძვლიანად არის შესწავლილი³. ცხადია, ქართული

¹ ნიკორწმინდისათვის იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцинда, Москва, 1947. лист XIX. სავანისათვის იხ. ბერიძე, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, თბ. 1942.

² დაწვრილებით მანგლისის ორნამენტი განხილული გვაქვს მონოგრაფიულ შრომაში მანგლისის ტაძარზე. აქ წარმოდგენილი გამოკვლევა აღნიშნული შრომის ნაწილია.

³ იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцинда, Москва 1947. ვ. ბერიძის სავანე, კავშირ ტაძარი, ენციკ. რ. შერლონიგის—Самтавро, Хциси, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, 1955. Алтарные преграды Грузии. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1940. ქართული ხელოვნების ისტორიის ორნამენტი, თბ. 1954, რ. მეფისაშვილი, ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3. პ. ზაქარაია, დილოში (XI ს. პირველი მეოთხედის ქართული ხელოვნების ძეგლი), ვკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნიაშბე, ტ. XVIВ, თბ. 1933. ვ. ცინკაძე, კრიზი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომათა, ტ. 6—7; იბეჭდება, Н. Г. Чубинашвили, Художественная резьба по дереву, Тб. 1959 და სხვა.

არქიტექტურის მკვლევარი ჩუქურთმის გვერდს ვერ აუვლის, ვინაიდან რ. შმერლინგის მოსწრებული გამოთქმისა არ იყოს, ორნამენტი სარკვა თავისი ეპოქისა¹.

მანგლისის ძეგლი მნახველთა აღტაცებას პირველ რიგში თავის ორნამენტული შემკულობით იწვევს. ის ხომ სწორედ იმ ეპოქის შემოქმედების ნაყოფია, როდესაც „არქიტექტურის პირველ საზრუნავ საგნად, ძირითად ამოცანად იქცა ნაგებობის გარეთა გაფორმება“² და როცა იგი „მთელ თავის ყურადღებას, შემოქმედების სიმძაფრეს აჩერებს ფასადების დეკორატიულს, განსაკუთრებით ორნამენტალურს დამუშავებაზე“³.

თუმცა ორნამენტული მორთულობის სიმდიდრით ის მეტოქეობას ვერ გაუწევდა არამცთუ ნიკორწმინდას, ამ ქართული ჩუქურთმის ნამდვილ მუზეუმს, არამედ სვეტიცხოველს, სამთავროს და სამთავისსაც (მხედველობაში უნდა მივიღოთ სამთავისის აწ დაღუპული მდიდრულად მოჩუქურთმებული გუმბათი, რომლის ფრაგმენტებიც ტაძრის დას. ფასადის სარკმელთა საპირებშია ჩაყოლებული და ცხადია, აგრეთვე, დაღუპული კარიბჭეებიც, როგორც სამთავისის ისევე სვეტიცხოველისაც).

საერთოდ მანგლისში, თვით ტაძარზე ჩუქურთმა დიდი თავდაქვრით არის მოხმარებული, შეიძლება ითქვას, რომ მკაცრად ეკონომიურადაც. ჩუქურთმა გამოყენებულია მხოლოდ ამა თუ იმ არქიტექტურული ნაწილის, მაგალითად, პორტალების, სარკმლების, კარნიზების, ბაზისებისა და იმპოსტების—ხაზგასასმელად და ისიც არა ყველგან (ჩრდ-აღმოსავლეთი ფასადი, რომელიც ფერდობისაკენაა მიმართული და ძეგლის მნახველს ისე მკვეთრად არ ხვდება თვალში, ორნამენტულ მორთულობას სრულიად მოკლებულია). ძეგლზე ჩუქურთმის ვერცერთ წერტილს ვერ ნახავთ, რომ სწორედ ამ მიზანს არ ემსახურებოდეს. არქიტექტურას მოწყვეტილი მოჩუქურთმებული ქვა, „მხოლოდ ეფექტისთვის“, ტაძარზე არ არის. ყველა არქიტექტურულ დეტალს თავისი შესაფერისი ზომის ჩუქურთმა აქვს შერჩეული, სიმშვიდე და წონასწორობა ყველგანაა დაცული. მაგ., რამდენადაც დიდია სარკმელი, იმდენად ფართო საპირით არის შემკული. საპირე სარკმელს არასოდეს არ ნთქავს, პირიქით, ყოველთვის იგრძნობა, რომ სარკმელი პირველადია და საპირე მის უკეთ გამოსახვას ემსახურება. ამ მხრივ მანგლისის ტაძარი ნაგებობაზე ჩუქურთმის გამოყენების ღრმად გააზრებას გვიჩვენებს.

მანგლისის ტაძარზე ორნამენტის რამდენიმე სახეა მოხმარებული. ყველა ეს ორნამენტი XI ს. პირველ ნახევრის ძეგლებზე გვხვდება, ზოგიერთი შეიძლება ოდნავ განსხვავებული ვარიანტით, რაც ერთი ეპოქის სხვადასხვა ოსტატთა გემოვნების გამოვლინებას უნდა წარმოადგენდეს. მანგლისში ჩვენ ვერ ვნახავთ ვერცერთ ორნამენტს, რომელიც ნიკორწმინდის ტაძარზე არ იყოს, მხოლოდ ამ უკანასკნელში ხშირად შესრულება უფრო მეტად ხაზგასმულად დე-

¹ P. Шмерлинг, Самтавро—памятник XI века, ქართული ხელოვნება, ტ. 1, თბ. 1942 გვ. 49.
² გ. ჩუბინაშვილი და ნ. სვეცხოველი, ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 83—84.
³ იქვე, გვ. 96.

კორატიულია¹. მანგლისის ორნამენტში დეკორატიულობისადმი მეტი თავდაქერა შეინიშნება, მისი სამთავროს, სამთავისის, სვეტიცხოველისა და სხვა ამ დროის ძეგლების ორნამენტებთან შედარების დროსაც, რაც ნაწილობრივ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სხვადასხვა საშენ მასალის გამოყენებით უნდა იყოს გამოწვეული. მანგლისის ტაძარზე მოხმარებული რუხი ბაზალტი მეტად მძიმე დასამუშავებელი ქვა არის, იგი ძნელად ემორჩილება ოსტატის იარაღს. თუ მანგლისის ორნამენტების განხილვის დროს ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, არ შეიძლება არ გავავაოკოს ქვის მთლელის დიდმა ოსტატობამ და ნებისყოფამ, რის წყალობითაც მან შეძლო ამ სალი ქვის დამორჩილება და მასზე მაღალმხატვრული ორნამენტის ამოკვეთა.

მანგლისში არ გვხვდება ჩუქურთმით დამუშავებული მომრგვალებული ზედაპირები, აქ ორნამენტი ყოველთვის ქვის ბრტყელ ზედაპირზეა ამოკვეთილი. როგორც ეს მანგლისზე აღინიშნულ ხცისზე (1002.), ბაგრატის ტაძარზე (1003) და სხვა ძეგლებზე გვაქვს². თუმცა ნიკორწმინდის ტაძარზე (1014) მომრგვალებული ამოზურცული ზედაპირის მოჩუქურთმება ფართოდ არის ხმარებული, რაც, ცხადია, უფრო ცხოველხატულ დეკორატიულია და ამის შემდეგ მას ფართოდ იყენებენ. მაგრამ მანგლისის ოსტატი არ ღალატობს თავის შეხედულებას, ამ შემთხვევაშიც დეკორატიულობისაგან ის თავს იკავებს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, აქაც უკან. X საუკუნისკენ იყურება. მანგლისში ორნამენტი ყველაზე უფრო მდიდრულად მორთული გუმბათის ყელია. ჩუქურთმით შემკული ოთხი სარკმლის გარდა, მოჩუქურთმებულია თაღედის ბაზისები, იმპოსტები და კარნიზი. გუმბათზე მოთავსებული ორნამენტები გამოირჩევა თავისი ღრმა რელიეფით და მაღალოსტატური შესრულებითაც.

ტაძარზე ორნამენტის თითქმის არცერთი სახე არა გვაქვს, რომ მისი ანალოგიური ან იგივე ოდნავ შეცვლილი ვარიაციით სამხრეთ კარიბჭეში არ გვეპოვდეს, ოღონდ ჩუქურთმის კვეთა აქ უფრო დაბალია. სხვა მხრივ კი კვეთის მანერა, ორნამენტის დამუშავებისადმი მიდგომა და შესრულების ტექნიკა სრულიად ერთნაირია.

დასავლეთ კარიბჭის ჩუქურთმა არ იმეორებს ტაძრისა და სამხრეთ კარიბჭის ჩუქურთმის მთლიან მოტივებს. აქ სვეტის ბაზების და იმპოსტების მოსართავად ნათელი და მარტივი S-ბი, წრეები და ფოთლები აღარა გვაქვს. ჩუქურთმა გართულებული და დანაწევრებულია. ორ და სამ ღარიან ლენტთა გადაწვენები და მათ შორის მოქცეული მცენარეული მოტივები უამრავ სხვადასხვა სახეებსა ჰქმნის. ორნამენტის ერთადაიგივე სახე არსად არ მეორდება. დაუშ-

¹ ნიკორწმინდაში ორნამენტთა დამუშავების ძირითადად სამი მანერა ირჩევა; მანგლისის უფრო მეტად უახლოვდება მეორე მანერით შესრულებული, ე. ი. აღმოსავლეთ ფსადის სარკმელთა და თაღების ორნამენტული მორთულობა, რომელიც პირველისაგან გამოირჩევა ნაკლები დეკორატიულობით, შესამისაგან კი—ჩუქურთმის კვეთის უფრო ფართო და მარტივი სახით. ნიკორწმინდის ორნამენტის დახასიათება, იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцминда, გვ. 19 და ვ. ბერიძე, სავანე. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, გვ. 107.

² მანგლისში არის ერთი გამონაკლისი—დას. კარიბჭის კარნიზი, სადაც ამოზურცულ ზედაპირზეა ჩუქურთმა ამოკვეთილი. ეს კიდევ ერთი განმასხვავებელი დეტალია დას. კარიბჭის ორნამენტის ტაძრისა და სამხ. კარიბჭის ორნამენტისაგან.

რტელი ფანტაზიის მქონე ოსტატი ყველა ნაწილს განუმეორებელი ჩუქურთმით ამკობს. თვით სვეტის ბურთობებთან მოქცეული, მცენარეული მოტივით შექმნილი კონებიც სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი და დამუშავებული. შესასვლელი თაღი როგორც გარედან, ისევე მისი ქვევითა პირი მთლიანად ჩუქურთმით არის დაფარული. აქ ნათლად იგრძნობა, რომ დას. კარიბჭის ოსტატი ორნამენტის აბსოლუტური ზომების გაზრდას გაურბის. ის თაღის ქვედა, შედარებით განიერ პირს შუაზე ჰყოფს და ცალ-ცალკე აჩუქურთმებს. აქ გრეხილებიც კი ზედმიწევნითაა დამუშავებული. გრეხილის ყველა შემობრუნებას შუაში დამატებითი ზოლი დაუყვება, ხოლო შეხვედრის ადგილზე ერთმეორეში ჩაჭრილი „ღიღის“ მოყვანილობის ნაკვეთებით არის შემკული, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით უწყვეტად გადასდევს მთელ გრეხილს (ტაბ. 4ა).

აქ ნათლად ჩანს ოსტატის მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი ფართი დაფაროს ჩუქურთმით. ორნამენტი მჭიდროდ ჰფარავს სიბრტყეს, ფონი ზოგან მაინც სრულებით არ ჩანს (იხ. კარნიზი, ბაზები და იმპოსტები). აქ ორნამენტის მოხმარებისადმი სხვა მიდგომაა. მიუხედავად ამისა, კარიბჭის ორნამენტების განხილვისას ვრწმუნდებით, რომ ის ტაძრის სხვა ნაწილებთან ერთად, ერთ ეპოქაში თავსდება. პროფ. გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ამას ყურადღება და აღნიშნა, რომ ძეგლზე მეორე პერიოდის მთელი სამუშაო ერთდროულად, ერთ ეპოქაში არის ჩატარებული¹.

მართლაც, დასავლეთ კარიბჭეში ვერაფერს ვნახავთ ისეთს, მის ამ პერიოდში მოთავსებას რომ ეწინააღმდეგებოდეს, პირიქით, მისი ზურთთმოდგრული დეტალები, რის შესახებაც ზევით გეჭონდა საუბარი და ორნამენტული დეკორი პირდაპირი აღნიშნულ პერიოდზე მიუთითებენ. დას. კარიბჭის მსგავსი გრეხილი ლილვები საკმაოდ ხშირად არის მოხმარებული XI საუკ. პირველი ნახევრის ძეგლებში—ნიკორწმინდა, კაცხის გარსშემოსავლელი, „სავანე“ ღა სხვ. არც კარნიზის ორნამენტია უცხო ამ დროსათვის, ისიც მცირე ვარიაციებით ბევრგან გვხვდება; მარტო ნიკორწმინდის ტაძარზე მისი რამდენიმე ვარიანტია. მათგან მანგლისთან ყველაზე ახლოა გუმბათის კარნიზი. ოღნავ შეცვლილი ვარიაციით არის სამთავროში, რუისის ჩრდილოეთ ექვტერში, ზემო-კრიხში; უფრო განსხვავებული სამთავისში და სხვა² (ამ ორნამენტს შესახებ დაწერილებით იხ. P. Шмерлинг, Самтавро, გვ. 64—65, სურ. 20). მანგლისში, სამთავისსა და ზემო-კრიხში წნულის დამუშავება და ფოთლის სტრუქტურაც ზუსტად ერთნაირია. ზევით უკვე აღვნიშნეთ, რომ მანგლისის დას. კარიბჭის რთულპროფილიანი ბურჯების ანალოგიური აქეთ სავანის სამხრეთ კარიბჭეს და ნიკორწმინდის და-

¹ Г. Н. Чубинашвили, Заметки о Манглиском храме. საქართველოს მუზეუმის შიამბე, ტ. 1, თბ. 1922, გვ. 46. მაგრამ ჩუბინაშვილს დასაშვებად მოაჩნია, რომ XI ს-ში ჯერ დასავლეთ კარიბჭე იქნა აგებული და შემდეგ დანარჩენი ნაწილები და ძეგლის აღმოსავლეთით გაფართოების ერთ-ერთ მიზეზად ამას მიიჩნევს (იხ. იქვე). ამ საკითხზე, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენ სხვა მოსაზრება გვაქვს.

² ნიკორწმინდისათვის იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцинда, სურ. 13². კაცხისათვის იხ. ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი ტაბ. 26, თაღის ლილვები. სავანისათვის იხ. ვ. ბერიძე, სავანე, სურ. 17 გ, ტაბ. 25¹ და 29.

³ ნიკორწმინდისათვის იხ. დას. შრომა, სურ. 13² და P. Шмерлинг, Самтавро—памятник XI в. სურ. 20¹. რუისისათვის და სამთავისისათვის, იქვე სურ. 20² ზემო-კრიხისათვის რ. შმერლინგი, ქართული ზურთთმოდგრული ორნამენტი, გვ. 79, მარცხენა რიგი, ზედიდან მესამე.

სავლეთ კარიბჭეს. ეს მსგავსება კიდევ უფრო დიდია, როდესაც ორნამენტულ მორთულობას ვინილავთ. აქ ბურჯების ბაზისები და იმპოსტები ზოგან ზუსტად ერთნაირი ორნამენტითაა შემკული, ზოგან კი ერთდამივე ორნამენტის მცირე განსხვავებული ვარიაცია გვაქვს. ერთნაირადაა შემკული ბურჯების მრგვალი სამშეთხედინი სვეტებიც. ერთნაირია წნულებიც, ფოთლებიც და მათი განლაგებაც ამ სვეტებზე. ხოლო ამ კარიბჭეებს ცოკოლიც რომ ზუსტად ერთნაირი აქვთ, უკვე ზევით აღვნიშნეთ. ასევე უკვე აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ კარიბჭეში ორნამენტი დანაწევრებულია და მჭიდროდ ფარავს ფონს, თან მისთვის განკუთვნილ სიბრტყეზე არ ეტევა, გადაჰკვეთს კუთხეს და უწყვეტად მიედინება სიბრტყიდან სიბრტყეზე. აღარ იგრძნობა ის თავდაქერა და სიმკაცრე, რაც ტაძარზე და სამხრეთ კარიბჭეზე გვაქონდა. აქ რელიეფიც დაბალია, 1 სმ. ოდნავ აჭარბებს და კონტურის ხაზიც აღარ არის ისეთი მკვეთრი, აქ კონტური უფრო რბილი ტალღოვანია. ამავე დროს ტაძარზე თუ სუფთა გეომეტრიული (გუმბათის აღმ. სარკმელი, აღმ. ფსალისი და ტრანსეპტის სარკმლის სამივე და სხვა) და სუფთა მცენარეული (გუმბათის თაღის ბაზები და იმპოსტები, კარნიზები და სხვა) მოტივები გვაქონდა, აქ ორნამენტი აუცილებლად, როგორც წესი, ორივე მოტივის კომბინირებით იქმნება. ყოველივე ის, რაც ჩვენ აღვნიშნეთ მანგლისის კარიბჭის ორნამენტის შედარების დროს ტაძრის ორნამენტთან, ზუსტად იმეორებს სავანის მდგომარეობას. იქაც სრულიად განსხვავდება კარიბჭის და ტაძრის ორნამენტული მორთულობა, მხოლოდ ორნამენტის ერთი სახე გვხვდება ორივეგან. აქაც საოცარი დამთხვევაა (ეს უკვე აღბათ შემთხვევითი, მაგრამ მაინც საინტერესოა), ზუსტად ორნამენტის ის სახე მეორდება სავანეში—ტაძარსა და კარიბჭეზე, რაც მანგლისში¹. იგივე მდგომარეობაა კარიბჭისა და ტაძრის ორნამენტების შედარების დროს სავანესა და ნიკორწმინდაში: „მსგავსია შესრულების მანერა: ფოთლების ზედაპირის დამუშავება, კომპოზიციური ხერხი, საერთო დეკორატიულობა“². ზუსტად ანალოგიური მდგომარეობაა მანგლისშიც.

არ შეიძლება, რომ კარიბჭეებს არქიტექტურული დეტალებისა და ორნამენტული რეპერტუარის გამოყენების და მისი შესრულების ასეთი ზუსტი დამთხვევა შემთხვევითობით იყოს გამოწვეული, მაშინ როდესაც ისინი ორნამენტის, როგორც შემადგენლობით ასევე შესრულებით სავსებით განსხვავდებიან თავიანთი ტაძრის ორნამენტებისაგან. ამავე დროს, ამ ტაძართა, ორნამენტული შემკულობა, როგორც სახეებით, ისე შესრულებით, ძლიერ ახლოს დგას ერთმანეთთან. ყოველივე ზემოთ ნათქვამი, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას გამოვთქვათ მოსაზრება, რომ თუ უფრო ადრე არა, XI საუკუნის ოციანი წლებიდან მაინც, კარიბჭეებისათვის კონსტრუქციული ელემენტების, არქიტექტურული დეტალების და ორნამენტული მორთულობის განსაზღვრული სახე იქმნებოდა. თუნდაც მანგლისის ორივე კარიბჭეში გამოყენებული ნახევარწრიული ნიშები, რომელიც სავანის კარიბჭეშიც გვაქვს, შემდეგში საუკუნეების განმავლობაში გვხვდება სწორედ კარიბჭეებში.

როგორც დავინახეთ, მანგლისის დასავლეთ კარიბჭის უკვე განხილული ორნამენტები XI საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებში პოულობენ პარალელ-

¹ ეს ორნამენტი დაწერილებით განხილული აქვს ვ. ბერიძეს, იხ. სავანე, გვ. 115; სურ. 21 და 27d.

² ვ. ბერიძე, სავანე, გვ. 122.

ლებს, ამ მხრივ შეიძლება უფრო დამახასიათებელი იყოს ფასაღზე მოთავსებული, თაღედის დამკვერ ბურჯთა, ბაზებისა და იმპოსტების ორნამენტული მორთულობა (ტაბ. 4ა). ორნამენტის საფუძვლად აღებულია ოთხი ფოთოლი, რომელიც მთლიანად ფარავს სიბრტყეს. ფოთლები წვეროებით ხან გარეთ არიან მიმართული, ხან პირიქით გარედან ცენტრისაკენ. მსგავსი ორნამენტი გვხვდება XI საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებზე, კარიბჭის ბაზებსა და იმპოსტებზე ნიკორწმინდაში, ბაგრატის ტაძარზე, კაცხში, სავანეში კანკელზე, აგრეთვე მელესის კოჭზე. ნიკორწმინდის დას. კარიბჭესთან თანამთხვევა სრულია არა მარტო საერთო მოტივებით, არამედ ჩუქურთმის კვეთის ხასიათითაც¹.

მანგლისის დას. კარიბჭეში გვაქვს ერთი მეტად მოხდენილი ორიგინალური ორნამენტი, რომელიც შესასვლელის ბაზებს ამკობს (ტაბ. 4 ბ) ფოთლებს შორის მოქცეული ბროწეულის მაგვარი ნაყოფით. მცენარეული მოტივი მსგავსი ნაყოფით გვხვდება სვეტიცხოვლის დასავლეთ ფასაღზე². ამ ორნამენტში უფრო დამახასიათებელია ფოთოლთა აღნაგობა და დამუშავება. ფოთლის წვეროდან ახალი ფოთოლი იზრდება შემბრუნებულად, პირმექცევით (იხ. ტაბ. 4ბ). ფოთლის ღეროებს ბოლოში წერტილები უხვით, ან დაკბილული ბოლო ამბობურული წიბოთია გამოყოფილი. ფოთლის ამგვარი დამუშავება კი მხოლოდ XI საუკუნის ძეგლებში გვხვდება³. მანგლისისათვის ფოთლის დამუშავების მსგავსი მაგალითი ბევრი შეგვიძლია დავასახელოთ XI ს. ძეგლებში, მაგრამ უახლოესი პარალელი სვეტიცხოვლის უკვე მითითებულ ორნამენტში და XI ს. შომღვიმის კანკელსა და ურთხეში გვაქვს. ხოლო ფოთლის მთლიანი სახის პირდაპირ გამეორებას მელესის კოჭი იძლევა⁴.

ორნამენტის ერთი სახე გვაქვს დასავლეთ კარიბჭეში, რომელიც მის შესასვლელის თაღზეა. ეს ორნამენტიც XI ს. პირველი ნახევრის ძეგლებში ზემო კრიხში და ბაგრატის ტაძარში პოულობს პარალელს⁵.

ამრიგად, ფორმის არქიტექტურულ დეტალებისა და ორნამენტის ანალიზი მიუთითებს, რომ მანგლისის დასავლეთი კარიბჭე XI საუკუნის პირველ ნახევარში თავსდება, ე. ი. ის ტაძრის მშენებლობის მეორე პერიოდს, საკუთხევის გუმბათისა და სამხრეთ კარიბჭის შექმნის ეპოქას მიეკუთვნება, მაგრამ, რო-

¹ ნიკორწმინდისათვის იხ. Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили, Кумурдо и Никорцинда, лист XIX და რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 55, მარჯვენა რიგი, ზევიდან მეორე, კაცხისათვის იხ. ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, ტაბ. 26¹ და რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 57, სავანისათვის—სავანე, გვ. 126, სურ. 30¹, გ, მელესის კოჭისთვის—Н. Г. Чубинашвили, Художественная резьба по дереву (перелома X—XI вв.), Тб., 1958, გვ. 96, ტაბ. 135.

² П. Шмерлинг, К характеристике стилистического различия двух сходных памятников разных эпох XI—XVII в.в., საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის მოაზრე, ტ. III, № 6, თბ. 1942, გვ. 616, სურ. 10, მისივე ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 59.

³ Н. Г. Чубинашвили, Художественная резьба по дереву, გვ. 97.

⁴ მელესის კოჭისათვის იხ. იქვე, ტაბ. 137, 138, 139. სვეტიცხოვლისათვის—П. Шмерлинг, К характеристике стилистического различия двух сходных памятников разных эпох XI—XVII вв., გვ. 616, სურ. 10 და მისივე ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი გვ. 59, შომღვიმისა და ურთხვისათვის—П. Шмерлинг, Алтарные преграды в Грузии, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, გვ. 153, სურ. 8 და რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954, გვ. 59 და 65.

⁵ რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, გვ. 39, მარცხენა რიგი, ზევიდან მეორე, და გვ. 50, მარჯვენა რიგი, ზევიდან მესამე.

გორც ჩანს, ის მშენებლობის საბოლოო, დამამთავრებელი უბანი იყო. დასავლეთ კარიბჭის სამხრეთი კედელი ტაძრის სამხრეთ დასავლეთის მოპირკეთებულ კედელზე მიდგმული არის გარედან და პფარავს მას (იხ. ტაბ. 8). მხოლოდ ტაძრის ჩრდილო დასავლეთი კედელი არ ყოფილა ამ დროს აშენებული და დასავლეთ კარიბჭის მშენებლობის დროს დაუმთავრებიათ¹. ამით უნდა აიხსნას, რომ დასავლეთ კარიბჭის ორლილიანი ცოკოლი ამ ფასადზეც გადადის და მხოლოდ მათ აქვთ ასეთი ცოკოლი. ამასთანავე კარიბჭის და ჩრდ. დას. ფასადის მოპირკეთების ქვების სიმაღლე ზუსტად თოლია, ასე რომ მათი კედლების შეხვედრის კუთხეში ქვებს შორის წარმოქმნილი ჰორიზონტალური ნაკერები ერთმანეთს ემთხვევიან და ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ. ეს კედლები ერთდროულად არიან ამოყვანილი.

ამრიგად, მანგლისში მეორე პერიოდის მშენებლობა შემდეგნაირად ისახება. ჯერ ძველი გააფართოვეს, დაადგეს ახალი გუმბათი, სამხ. დას. ნიშა დაფარეს გარედან მიშენებული კედლით და მაშინვე მიაშენეს სამხრეთი კარიბჭე. ამ ეტაპზე მოხდა მშენებლობის შეჩერება და დროის რაღაც ინტერვალის შემდეგ ისევ განახლდა, მაშინ როცა ჩრდ. დასავლეთი ნიშა დაფარეს მიშენებული კედლით და მასთან ერთდროულად დასავლეთ შესასვლელს გაუკეთდა კარიბჭე.

რა მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული მშენებლობის შეჩერება? ამის ახსნას, ვფიქრობთ, საქართველოს მაშინდელი ისტორია გვაძლევს.

ჩვენ ვიცი, რომ ქართულ ტაძრებში მთავარი ყურადღება სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფასადებს ექცეოდა², ცხადია მანგლისის ტაძრის მშენებლებიც პირველ რიგში მათ დამთავრებაზე, ამ ფასადებისათვის სათანადო სახის მიცემაზე იზრუნებდნენ, მით უმეტეს ასე იქნებოდა მანგლისში, სადაც მთავარი მისასვლელი გზა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ე. ი. სოფლის მხრიდანაა, დამთარილებელი წარწერებით ვიცი, რომ თვით ტაძრის მშენებლობა 1020 წელს დამთავრდა. მაგრამ როგორც ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო, არ იყო აგებული ჩრდ. დასავლეთის კედელი და დასავლეთის კარიბჭე. ამ დროს, 1020—1021 წელს, ბიზანტიის კეისარმა საქართველოზე გამოილაშქრა³. მატინე ქართლისა მოგვითხრობს „მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისასა (ე. ი. გიორგი I-სა) გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხოთესლითა ურიცხვთა.

¹ ამ მოსაზრებას მხარს უჭერს და პოტემის უქველსა ხდის შემდეგი გარემოება: ზევით უკვე აღწერილ შტრფში, რომელიც ჩრდ. დას. სათავსოში ამოკლდეთ, კრამიტის ფრაგმენტები ვხვდეთ. მსგავსი კრამიტით (ტაბ. 5^ა) ამჟამად გადახურულია გუმბათი და რამდენიმე ცალი სამხ. კარიბჭეზეც არის შემორჩენილი (ეს სახტრავის ნაპირა კრამიტებია). ე. ი. როდესაც ამ სათავსოს ჩრდილოეთი კედელი ამოუშენეს, ტაძარი უკვე გადახურული ყოფილა და დამტრეული კრამიტები საშენებლო ნაგავთან ერთად მოჰყოლია კედლის საძირკველში. ეს გარემოება აღნიშნული კრამიტის დათარიღების საშუალებას გვაძლევს. XI ს. რეკონსტრუქციის დროს ტაძარი ასეთი კრამიტით გადახურავთ.

² გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 99.

³ ი. ე. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 134.

ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღმდეგობად მისსა¹. ცხადია, ამ დროს მშენებლობისათვის ველარ მთიცილიდნენ, ყველა ჯანსაღი მამაკაცი დიდ სპაში იქნებოდა გაწვეული ქვეყნის დასაცავად. ომი დიდხანს გაგრძელდა. მეზობელ ქვეყნებს შორის ზავი 1023—1024 წ. ჩამოვარდნილა². ცხადია, მხოლოდ ამის შემდეგ შეიქმნებოდა მშენებლობის განახლების შესაძლებლობა.

1027 წლით დათარიღებული წარწერიანი ქვა, რომელიც მეღვინეთხუცესის-შვილმა ნახა მანგლისის ტაძრიდან წადებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფუძრებელია, რომ დასავლეთ კარიბჭეზე იქნებოდა მოთავსებული, ამ მოსაზრების სასარგებლოდ ეჭვს აძლიერებს დ. გრიშის ანაზომი, რომელიც დასავლეთ კარიბჭის აღდგენამდე აქვს შესრულებული, დაახლოებით 1850 წელს³. გრიშს კარიბჭას დასავლეთ ფასადის ფრონტონზე დიდი წარწერიანი დაზიანებული ქვა აქვს აღნიშნული, რომელიც მე-19 საუკუნის რემონტის დროს მის ადგილზე მოთავსებული უკემოვნო ჯვრით შეუცვლიათ (ტაბ. 4ა).

ეს ასე იყო თუ არა, კვლევამ დაგვარწმუნა, რომ დას. კარიბჭე ამ პერიოდში აგებული, ტაძრის გაფართოების სამუშაოს დასრულებიდან რამოდენიმე წლის გასვლის შემდეგ.

დასკვნა

ჩატარებულმა კვლევამ შემდეგი დაგვანახა:

ა) მანგლისში IV საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ეკლესიის ნაცვლად, V საუკუნის მიწურულში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა იქ ეპისკოპოსი დასვა, ე. წ. ტექტრაკონქის ტიპის ახალი გუმბათიანი ტაძარი აუგიათ.

ბ) XI საუკუნის პირველ მეოთხედში, გიორგი I მეფობის დროს (1014—1027), ტაძარი გააფართოვეს აღმოსავლეთით, ღიადგეს ახალი გუმბათი, ჩრდ. დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ წახნაგებში მოთავსებული ღრმა ნიშები გარედან მოშენებული კედლებით დაფარეს. ყველა წახნაგი დამოუკიდებელი ფრონტონით შეამკეს, სამხრეთ ფსილში გაჭრეს კარი. სამხრეთიდან ტაძრის მშენებლობის დროსვე, ხოლო დასავლეთიდან რამდენიმე წლის შემდეგ მიაშენეს კარიბჭეები, ძველი ამ დროისათვის დამახასიათებელი ორნამენტული მორთულობით შეამკეს, ხოლო შიგნიდან მთლიანად მოხატეს. ხუროთმოძღვარმა მასზე დაკისრებული მოვალეობა ბრწყინვალედ შეასრულა, ძველი, შედარებით პატარა, ეკლესიის გაფართოებით მან შექმნა სრულიად ახალი დიდებული ტაძარი, რომელიც ამ დროის მოთხოვნილებებს ყოველმხრივ უპასუხებდა.

გ) XIX ს. ორმოცდაათიან წლებში ჩატარებულმა რემონტმა მართალია ბევრი ისტორიული წარწერა, არქიტექტურული დეტალი და ორნამენტი, იმსხვერპლა, მაგრამ ტაძარი ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.

¹ მატჩანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, გვ. 284.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 134.

³ დ. გრიშის ანაზომი დაცულია ქ. ლენინგრადში სსრკ სამხატვრო აკადემიის მუზეუმში, № 123—B.

МАНГЛИССКИЙ ХРАМ

(Историко-художественный анализ)

М. К. Двали

Резюме

В селении Манглиси, расположенном в 60 км к юго-западу от города Тбилиси, находится древний храм. Манглисский храм — большое купольное сооружение. В плане он представляет собой тетраконх; три апсиды примыкают непосредственно к подкупольному пространству, четвертая же — алтарная — отделена от него широким трансептом, поэтому храм вытянут по оси с востока на запад.

Вход в храм с запада и юга через богато орнаментированные резбой портики. Стены храма, облицованные по фасадам базальтом серого цвета, также украшены резбой.

Обращает внимание сильное смещение к западу от центральной оси двенадцатигранного купола, что противоречит распространенным в древне-грузинской архитектуре типам купольных сооружений.

Художественный облик храма в том виде, в каком он дошел до нашего времени, не представляет результат творчества одной определенной эпохи, хотя в основном храм воспринимается как памятник архитектуры XI века. Различные периоды строительства, а также неоднократная реставрация храма, очень усложнили облик памятника как внутри, так и снаружи.

Согласно летописным данным известно, что вскоре после официального принятия Грузией христианства, в 30-х годах IV в. в Манглиси была возведена каменная церковь. В ней, как повествует летопись, хранились гвозди и части святого креста, присланные византийским кесарем Константином грузинскому царю Мириану, первому принявшему христианство. По-видимому, первоначально, Манглисская церковь представляла собой маленькое сооружение, наподобие дошедших до нас других памятников того времени, как миниатюрные церкви в Некреси, Бодбе, Череми, малая церковь Самтавро в Мхета, средняя площадь которых не превышала 4—6 кв. метров. Историк X века католикос Арсений также подтверждает в своих сообщениях, что первоначально христианские церкви были настолько маленькие, что в них молились только священнослужители, тогда как верующие находились снаружи, перед церковью.

Впоследствии, после утверждения и распространения христианства, стало необходимым возведение больших храмов. После того как грузинская церковь получила автокефалию, создаются большие религиозные центры. Одним из таких центров было Манглиское епископство, основанное в V в. Манглисская святыня была настолько знаменита уже в VI—VII вв., что ей приходили поклоняться не только из Грузии, но и из Армении, о чем свидетельствуют армянские исторические данные (это подтверждает и армянский историк X в. Ухтанес).

Вместо маленькой церковки IV веке в Манглиси в этот период построили новый купольный храм, о чем свидетельствуют некоторые сохранившиеся архитектурные части храма.

Храм был основательно перестроен в XI веке, в эпоху возросшей экономической и политической мощи страны, когда и грузинское искусство достигает наивысшего своего расцвета.

К этому времени относится сооружение таких монументальных храмов, как кутаисский храм Баграта, Светицховели в Мцхета, Алаверди, Самтависи и др.

Естественно, что в период такого оживленного строительства манглисский епископ пожелал увеличить и украсить свой храм, не уступавший по значению и экономическим возможностям другим кафедрам, тем более, что сооружение уже не отвечало новым требованиям ни по своим абсолютным размерам, ни по устройству алтарной части.

Сведения о дате реконструкции Манглисского храма были приведены в строительных надписях на стенах храма, но самые интересные из них погибли во время ремонта, произведенного в 50-х годах XIX века. На двух из них была дата — 1020 г., а на третьей — 1027 г. Эти надписи известны по публикации М. Броссе, сделанной им по копиям различных путешественников и любителей искусства, допустивших негодности при списывании текста и в указании местонахождения надписей.

В рукописном фонде Ленинградского отдела Института востоковедения Академии наук нами были найдены копии надписей, которыми воспользовался М. Броссе. Среди других сохранились две датирующие надписи (табл. 6а и 7а). Обе указывают дату — 1020 г. Из них четырехстрочная, как это видно на рисунке, была помещена на наличнике окна южного фасада, а однострочная — на арке входа в церковь. Впоследствии на территории храма были найдены камни с надписями, нам удалось установить, что они являются фрагментами датирующей однострочной надписи (табл. 6в).

Один камень, с сильно поврежденной надписью, вывезенный из Манглисского храма, видел Д. Мегвинетхуцесисшвили, разобравший дату — 1027 г. Возможно, эта надпись была помещена на западном портике. Это предположение подтверждается обмером Д. Гримма, сделанным до реставрации памятника в XIX в. На западном фасаде западного портика, на том месте, где в настоящее время помещен большой крест (табл. 4а), у Гримма отмечен сильно поврежденный камень с надписью. Ясно, что камень с датирующей надписью был извлечен во время реставрации памятника и вместо него вставлен другой, с высеченным на нем крестом.

На основании надписей считалось, в основном, что Манглисский храм построен в XI веке и все работы были произведены одновременно. Впервые разновременность архитектурных форм Манглисского храма была отмечена акад. Г. Н. Чубинашвили.

Изучение исторических данных, исследование архитектурных форм, орнаментальной резьбы и палеографии Манглисского храма позволяет сделать следующее заключение:

ახლა გადავიდეთ საკითხის არსებით მხარეზე: რეცენზენტები უარყოფენ წვრილი სასაქონლო წარმოების კაპიტალისტურ ხასიათს და არ მიიჩნიათ იგი კაპიტალიზმის განვითარების პირველ სტადიად. ალ. ბენდიანიშვილი და ი. უთურაშვილი აღნიშნავენ, რომ კაპიტალიზმის განვითარების პირველი სტადია წვრილი სასაქონლო წარმოება კი არაა, არამედ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციაო. ნაშრომის ქვეთავში, სადაც რეფორმამდელი საქართველოს სამრეწველო საწარმოთა სოციალ-ეკონომიური ბუნებაა დახასიათებული და სადაც ჩვენ საერთოდ, მანუფაქტურის, როგორც კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი საფეხურის ეკონომიურ წყობას, მის სოციალ-ეკონომიურ ბუნებას ვიხილავთ, აღნიშნული გვაქვს, რომ „მანუფაქტურა ფეოდალიზმის დამახასიათებელი და მისი ნიშანი არ არის, ფეოდალური წარმოების წესი განვითარების პროცესში მას არ შეიცავს“, რომ „მანუფაქტურა მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების დამახასიათებელია და იგი კაპიტალისტური მრეწველობის ერთ-ერთი საფეხურია (წვრილი სასაქონლო წარმოება—მანუფაქტურა—მანქანური ინდუსტრია)“ (გვ. 213). აქ წვრილი სასაქონლო წარმოების კაპიტალიზმის განვითარების დაბალ, პირველ სტადიად გამოცხადებამ რეცენზიის ავტორებს საბაბი მისცა აღენიშნათ, რომ მე ვიავივებ წვრილ სასაქონლო და კაპიტალისტურ წარმოებას. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ წიგნიდან სათანადო ადგილის მოტანით, წვრილი სასაქონლო წარმოება ჩვენ ყოველთვის და ყველა პერიოდში კაპიტალისტურად როდი მიგვაჩნია. არსებობს წვრილი სასაქონლო წარმოება, რომელიც კაპიტალისტურ ხასიათს არ ატარებს და არსებობს ასევე კაპიტალისტური წვრილი სასაქონლო წარმოება, ისე, როგორც არსებობს საერთოდ არა კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება და კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება.

წვრილი სასაქონლო წარმოება არაა კაპიტალისტური ხასიათის, საერთოდ ადრეული და განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. იგი არაა კაპიტალისტური იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო მწარმოებელი ან წვრილი მრეწველი, ვთქვათ გლეხი ან ხელოსანი თავისი შრომით საქონელს ამზადებს ბაზარზე გასატანად და დაქირავებულ შრომას არ მიმართავს, მაგრამ წვრილი საქონელმწარმოებელი—გლეხი ან ხელოსანი თუ დაქირავებულ შრომას მიმართავს, თუ საქონლის საწარმოებლად ქირაობს მუშებს და დაქირავებული შრომით დამზადებული პროდუქცია ბაზარზე გააქვს, ასეთი წვრილი სასაქონლო წარმოება კაპიტალისტური ხასიათისაა. ასევე, გლეხი რომელიც სავაჭრო მიწათმოქმედებას ეწევა დაქირავებული შრომის გარეშე, ასეთი სავაჭრო მიწათმოქმედება არ არის კაპიტალისტური, ხოლო სავაჭრო მიწათმოქმედება, სადაც დაქირავებულ

შრომას მისდევენ კაპიტალისტურია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს კაპიტალისტური სასაქონლო წარმოება: წვრილი (დაწყებით სტადიაზე), საშუალო მასშტაბისა და მსხვილი.

წვრილი სასაქონლო წარმოება კაპიტალისტურ ხასიათს ღებულობს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფეოდალიზმი ირღვევა, როდესაც ხდება წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლა, რის შედეგად ერთ მხარეზე გამოიყოფა გამდიდრებული გლეხები და ხელოსნები, რომლებიც დაქირავებული შრომით აწარმოებენ საქონელს, ხოლო მეორე მხარეზე—უმიწაწყლო ან მცირე მიწიანი გლეხები და ვაპროლეტარებული ხელოსნები, რომლებიც იძულებულნი არიან დაქირავებული შრომით ირჩინონ თავი.

წვრილი სასაქონლო წარმოების დაშლის პროცესში ჩნდებიან ერთდროულად მარტივი კოოპერაციის ტიპის საწარმო-სახელოსნოები და მანუფაქტურები. ეს უკანასკნელი უშუალო გენეტიკურ კავშირში არიან წვრილ სასაქონლო წარმოებასთან. სწორედ ამ პერიოდში, ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პერიოდში წვრილი სასაქონლო წარმოება ხდება კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პირველი, დაბალი სტადია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლენინის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი თავის ნაშრომში—„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“—იყო დამტკიცებინა ნაროდნიკებისათვის ის, რომ წვრილი სასაქონლო წარმოება ე. წ. «Кустарное производство» რუსეთში წარმოადგენდა კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების პირველ, დაბალ სტადიას, დამტკიცებინა წვრილი სასაქონლო წარმოების კაპიტალისტური ხასიათი, დამტკიცებინა ამ წვრილი სასაქონლო წარმოების განვითარების შედეგად გლეხობის დაშლა სოფლად ბურჟუეზად და პროლეტარებად. ხოლო რაც შეეხება მსხვილ მანუფაქტურულ საწარმოებსა და ფაბრიკებს, მათ კაპიტალისტურ ხასიათს ნაროდნიკებიც ხედავდნენ. ნაროდნიკები როგორც ცნობილია უარყოფდნენ წვრილი სასაქონლო წარმოების კაპიტალისტურ ხასიათს, ამ წარმოების შედეგად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას სოფელში, გლეხობას დაშლას ბურჟუეზად და პროლეტარებად, და ამის შედეგად შინაური ბაზრის წარმოშობას კაპიტალიზმის განვითარებისათვის. საგარეო ბაზრები კი მათ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მიერ დაპყრობილად მიიჩნდათ. აქედან გამომდინარე მათ შექმნეს თეორია—რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების უნიდაგობის შესახებ.

ლენინი წერს, რომ „კაპიტალისტური ურთიერთობა წვრილ გლეხურ სარეწებსაც ახასიათებს“¹, რომ ეს სარეწები იწვევენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციისა და მანუფაქტურის გაჩენას, რომ „ყველაზე უფრო პატარა გლეხურ სარეწებში ჩვენ ვხედავთ კაპიტალიზმის ფრიალ აშკარა ჩანასახებს“², რომ წვრილი საქონელმწარმოებლები აარსებენ შედარებით მსხვილ სახელოსნოებს... „მარტივ კაპიტალისტურ კოოპერაციას“³, რომ მანუფაქტურა წინა სტადიისა-

¹ ე. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 392, მეოთხე გამოცემა.

² იქვე, გვ. 412.

³ იქვე, გვ. 413.

გან (ე. ი. წვრილი სასაქონლო წარმოებისაგან—დ. გ.) განსხვავდება იმით, რომ მასში მკვეთრადაა გამოხატული კაპიტალისტური ხასიათი; მანუფაქტურა იყო ხელოსანთა და შინამრეწველთა წვრილი წარმოებიდან მსხვილ კაპიტალისტურ მანქანურ ინდუსტრიაზე გარდამავალი ფორმა¹; —კვითხულობთ პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში.

ცნობილია, რომ ლენინმა გაუკეთა რა ანალიზი მრეწველობის განვითარების სხვადასხვა ფორმებს კაპიტალიზმის დროს, გამანადგურებელი პასუხი გაცა ნაროდნიკებს, რომლებიც უარყოფდნენ წვრილი სასაქონლო წარმოების ანუ ე. წ. კუსტარული მრეწველობის კაპიტალისტურ ხასიათს. აი რა წერია „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ ახალ გამოცემაში: «В. И. Ленин доказал что кустарная промышленность в России в 19 в. являлась начальной стадией развития капитализма в промышленности»² იქვე აღნიშნულია რომ კუსტარი—ეს წვრილი საქონელმწარმოებელია.

ლენინის ნაშრომის — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“— მე-7 თავის მე-12 პარაგრაფს გააჩნია ასეთი სათაური: „კაპიტალიზმის განვითარების სამი სტადია მრეწველობაში“. ეს არის ლენინის მიერ მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლის დასკვნითი ნაწილი. ლენინი წერს: „ახლა შევაჯამოთ ის ძირითადი დასკვნები, რომლებსაც ვდებულობთ მონაცემებიდან ჩვეს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ.

ამ განვითარების მთავარი სტადია სამია: წვრილი სასაქონლო წარმოება (წვრილი, უმთავრესად გლეხური სარეწები)—კაპიტალისტური მანუფაქტურა—ფაბრიკა (მსხვილი მანქანური ინდუსტრია)³....

„ფაქტები საგვებით აშკარად გიჩვენებენ, რომ წვრილი სასაქონლო წარმოების ძირითადი ტენდენცია კაპიტალიზმის განვითარებაში, კერძოდ—მანუფაქტურის შექმნაში მდგომარეობს, ხოლო მანუფაქტურა ჩვენს თვალწინ უდიდესი სისწრაფით იქცევა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიად. შესაძლოა მრეწველობის თანმიმდევრობით ფორმებს შორის არსებული მჭიდრო და უშუალო კავშირის ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო გამოხატულებას ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მთელი რიგი დიდი და უდიდესი მეფაბრიკეები თვითონ წვრილზე უწვრილესი მრეწველები იყვნენ და რომ მათ ყველა საფეხური გაიარეს „სახალხო წარმოებიდან“ „კაპიტალიზმამდე“⁴.

აქ ლენინს მოჰყავს საგა მოროზოვის მაგალითი, რომელიც იყო ყმა-გლეხი, მწყემსი, მეეტლე, ფეიქარი მუშა, ფეიქარი შინამრეწველი, წვრილი საწარმოს, ხოლო შემდეგ ფაბრიკის მფლობელი. ასევე, ივანოვოვოზნენსკის უდიდესი მეფაბრიკეების—კუკაევების, ფოკინების, ზუბკოვების, კოკუშკინების, ბობროვების და სხვებისა, რომლებიც შინამრეწველთაგან გამოვიდნენ და დასაწყისში წვრილი საქონელმწარმოებლები იყვნენ. ლენინი განავრცობს: „მრეწველობის ზემოდასახელებული სამი ძირითადი ფორმა ერთმანეთისაგან უწინარეს ყოვლისა ტექნიკის სხვადასხვა წყობით განირჩევა. წვრილი სასაქონლო

¹ ე. ი. ლენინი, ტ. 3, გვ. 512.

² პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, თბ., 1954, გვ. 105.

³ БСЭ, Т. 24, გვ. 136.

⁴ ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 641.

⁵ იქვე, გვ. 642.

წარმოება ხასიათდება სრულიად პრიმიტიული, ხელის ტექნიკით... მანუფაქტურას შემოაქვს შრომის დანაწილება, რაც ტექნიკის არსებით გარდაქმნას ახდენს და გლუხს ხელოსნად, „მედეტალე მუშად“ აქცევს... მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს რადიკალურ ცვლილებას, აძევებს ხელით მუშაობის ოსტატობას¹. დაბოლოს, ყველაზე უფრო ნათელი ადგილი ამ მხრივ, ლენინი განაგრძობს: „ტექნიკის სხვადასხვა წყობასთან დაკავშირებით ჩვენ ვხედავთ კაბიტალიზმის განვითარების სხვადასხვა სტადიას. წვრილი სასაქონლო წარმოება და მანუფაქტურა ხასიათდება წვრილ საწარმოთა ჭარბობით, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთია მსხვილი. მსხვილი მანქანური ინდუსტრია საბოლოოდ აძევებს წვრილ საწარმოებს. კაბიტალისტური ურთიერთობა წვრილ სარეწებშიც მყარდება (დაქირავებული მუშების მყოფი სახელოსნოებისა და სავაჭრო კაბიტალის სახით), ოღონდ აქ ის ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული და არ ღებულობს წარმოების მონაწილე პირთა ჯგუფების მკაცრი დაპირისპირების ხასიათს. აქ ჯერ კიდევ არ არის არც მსხვილი კაბიტალი, არ არიან არც პროლეტარიატის ფართო ფენები. მანუფაქტურაში უკვე ვხედავთ, რომ იქმნება ერთი ც და მეორეც“². როგორც ვხედავთ, ლენინი, მიაჩნია რა წვრილი სასაქონლო წარმოება კაბიტალისტური მრეწველობის პირველ, დაბალ სტადიად, აქაც კვლავ აღნიშნავს, რომ „კაბიტალისტური ურთიერთობა“ წვრილ სასაქონლო წარმოებაშიც, „წვრილ სარეწებშიც“ მყარდება, სახელდობრ, როდესაც წვრილი სასაქონლო წარმოება სხვისი შრომის ექსპლოატაციას ეწევა. ე. ი. როდესაც დაქირავებულ შრომას მიმართავს. ასეთ შემთხვევაში წვრილი სასაქონლო წარმოება კაბიტალისტურია. მისი შემდგომი განვითარება მსხვილი სახელოსნოების—მანუფაქტურების წარმოშობას იწვევს. სწორედ ასეთი წვრილი სასაქონლო წარმოება მხედველობაში, როდესაც იგი ჩვენს ნაშრომში, კაბიტალისტური მრეწველობის საწყის სტადიად ცხადდება.

რაც შეეხება მარტივ კაბიტალისტურ კოოპერაციას, ჩვენ რეცენზენტებს უნდა ვუპასუხოთ, რომ აქ იგულისხმება წვრილი სასაქონლო წარმოება შრომის მარტივი კაბიტალისტური კოოპერაციით, ე. ი. წვრილი სასაქონლო წარმოება დაქირავებული შრომით. მარტივი კაბიტალისტური კოოპერაცია თავისი მასშტაბით იგივე წვრილი სასაქონლო წარმოებაა, მაგრამ ცხადია კაბიტალისტური ხასიათის. მარტივი კაბიტალისტური კოოპერაცია—ეს შრომის ორგანიზაციაა, რაც ვერ გაუგიათ რეცენზენტებს. მარტივი კაბიტალისტური კოოპერაციის ქვეშ მრეწველობაში იგულისხმება სახელოსნო, რომელიც წვრილ სასაქონლო წარმოებას ეწევა დაქირავებული შრომით, შრომის მარტივი კაბიტალისტური ორგანიზაციით.

ასე რომ, წვრილი კაბიტალისტური სასაქონლო წარმოების ან მარტივი კაბიტალისტური კოოპერაციის კაბიტალისტური მრეწველობის განვითარების პირველ, დაწყებით სტადიად გამოცხადება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, როგორც ეს რეცენზენტებს მიაჩნიათ და ამ მხრივ მათ მიერ მარქსიზმის კლასიკოსების დამოწმება უადგილოა.

¹ ე. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 644.

² იქვე.

ამრიგად, ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში, როდესაც ხდება წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლა, წვრილი სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმის განვითარების დაბალი, დაწყებითი სტადიაა. შემდგომი სტადია—მანუფაქტურული პერიოდი—ჯაჭვის რგოლივითაა მასთან დაკავშირებული.

როგორც ვხედავთ, ალ. ბენდიანიშვილისა და ი. უთურაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ წვრილ სასაქონლო წარმოებაში არ არსებობს კაპიტალისტური ურთიერთობაო, რომ წვრილი სასაქონლო წარმოება კაპიტალიზმის განვითარების დაწყებითი სტადია არ არისო—სწორი არაა. იგი მეცნიერულად მცდარი შეხედულებაა.

2. კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზების შესახებ.

რეცენზენტების შემდეგი შენიშვნა შეეხება წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის გზებს. რეცენზენტები წერენ: „სარეცენზიო წიგნის ბოლო ქვეთავში განვითარებულია მსჯელობა საქართველოს პირობებში კაპიტალისტური წარმოების წესზე გადასვლის გზების შესახებ, მაგრამ აქ ავტორი, ჩვენი აზრით არასწორ განმარტებას აძლევს მარქსისა და ლენინის ცნობილ დებულებას. კ. მარქსი წერდა: „ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა ხორციელდება ორგვარად. მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი ეს არის ნამდვილად რევოლუციის მომხდენი გზა. ანდა ვაჭარი ეუფლება უშუალოდ წარმოებას“¹. ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლებაში—განაგრძობენ რეცენზენტები—მარქსი გულისხმობს, როგორც ვაჭრის პირდაპირ მრეწველად გადაქცევას მის მიერ მრეწველურ საწარმოს მოწყობით, ისე ვაჭრის მიერ წვრილ მესარეწეთა დაქვემდებარებას“². ალ. ბენდიანიშვილისა და ი. უთურაშვილის აზრით რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტურ წარმოებაზე „გადასვლა ხდება ორივე გზით: როგორც სავაჭრო კაპიტალის წარმოებაში დაბანდების (ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება), ისე წვრილი ხელოსნისა და საქონელმწარმოებლის კაპიტალისტად გადაქცევის გზით“³, გავარკვიოთ ეს საკითხი.

როგორც საერთოდ აღიარებულია, კაპიტალისტური წყობილების არსი და ასევე მისი გენეზისი ყველაზე უკრო ღრმად და მეცნიერულად შესწავლა კარლ მარქსმა. „კაპიტალის“ 111 ტომის პირველი ნაწილის მე-20 თავში, სადაც ლაპარაკია სავაჭრო კაპიტალის ისტორიაზე, მარქსს მოცემული აქვს დებულება ფეოდალური წარმოების წესიდან კაპიტალიზმზე გადასვლის ძირითადი გზების შესახებ. მარქსი წერს: „ფეოდალური წარმოების წესიდან გადასვლა ხორციელდება ორგვარად. მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი... ეს არის ნამდვილად რევოლუციის მომხდენი გზა. ანდა ვაჭარი ეუფლება უშუალოდ წარმოებას“. ეს უკანასკნელი, ე. ი. მეორე გზა, აღნიშნავს მარქსი, არ იწვევს სწრაფ გადატრიალებას ძველი წარმოების წესში. რომ ეს გზა პირველ გზასთან შედარებით კონსერვატიულია“⁴.

განვიხილოთ დაწვრილებით კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის ეს ორი გზა ცალ-ცალკე და გავარკვიოთ რას ნიშნავს ისინი.

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1959, გვ. 423.

² „საქართველოს ეკონომისტი“, 1962, № 12, გვ. 87.

³ იქვე.

⁴ იხ. კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, ნაწ. I, გვ. 423.

როგორც აღნიშნულია, პირველი გზა ასეთია: „მწარმოებელი ხდება ვაჭარად და კაპიტალისტად“. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს შემდეგს: წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლის შედეგად წარმოიშობა კაპიტალისტური მეწარმეები; გამდიდრებული ნაწილი—ოსტატები, ხელოსნები, შინამრეწველები, ასდენენ წარმოების გაფართოებას, ადიდებენ საწარმო-სახელოსნოებს, სადაც იყენებენ განანაგებული ხელოსნების, ქარგლების და სოფლის ღარიბების დაქირავებულ შრომას. ე. ი. მწარმოებელი წარმოების გაფართოებისა და დაქირავებული შრომის გამოყენებით კაპიტალისტი ხდება.

მეორეს მხრით, წვრილი საქონელმწარმოებელი ბაზარზე გადის და იწყებს დამზადებული საქონლის სისტემატურ გაყიდვას. იგი მდიდრდება, ვაჭარი ხდება. ეს გამდიდრებული ვაჭარი შემდეგ ხსნის წარმოებას ფართო მასშტაბით, იყენებს დაქირავებულ შრომას და ამრიგად, მრეწველი კაპიტალისტი ხდება. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში შესაძლებელია მწარმოებელმა დროებით თავი გაანებოს წარმოებას და მხოლოდ ვაჭრობა ამჯობინოს. დააგროვებს რა ფულად კაპიტალს, იგი შემდეგ პირდაპირ ხსნის წარმოებას და მრეწველი კაპიტალისტი ხდება, ე. ი. ვაჭარი აწყობს კაპიტალისტურ საწარმოს.

მარქსი აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლა ხდება სწრაფად, რევოლუციურად, რომ ეს გზა, ე. ი. პირველი გზა, არის კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის „ნამდვილად რევოლუციის მომხდენი გზა“.

ეს ასეა გაგებული და მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ჩვენი რეცენზენტები—ა. ბენდიანიშვილი და ი. უთურაშვილი კი მოითხოვენ, რომ ვაჭრის მიერ წარმოების გახსნა და მრეწველ კაპიტალისტად გადაქცევა, გადავიტანოთ მეორე გზაში. ეს მეორე გზა როგორც აღინიშნა არის ის, როდესაც ვაჭარი უშუალოდ ეუფლება წარმოებას.

ჩვენ გვიკვირს რატომ დაებადათ რეცენზენტებს ასეთი აზრი, მაშინ, როდესაც ვაჭრის მიერ წარმოების გახსნა და კაპიტალისტად გადაქცევა—რევოლუციური გზაა კაპიტალიზმის განვითარების, ხოლო მეორე გზა—ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება წარმოების ძველი წესის კონსერვაციას იწვევს და აფერხებს კაპიტალიზმის განვითარებას. მათ მიაჩნიათ, რომ ვაჭრის მიერ წარმოების უშუალო დაუფლება თითქოს გულისხმობდეს ვაჭრის მიერ პირდაპირ კაპიტალისტური საწარმოს მოწყობას. მაგრამ ეს ერთი და იგივე როდია.

წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის ეს მეორე გზა სხვაა. ანლა განვიხილოთ თუ რას ნიშნავს იგი.

მეორე გზა, ანუ ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება ნიშნავს სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილ სარეწებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების სტადიებს, რასაც შემდეგ მანუფაქტურის შექმნა მოსდევს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლება ნიშნავს—ვაჭრის მიერ წვრილი მრეწველის, წვრილი საქონელმწარმოებლის თანდათანობით დამორჩილებას. როგორც ლენინი ხსნის ეს ხდება შემდეგნაირად:

1. ვაჭარი-შემსყიდველი მიდის წვრილ მრეწველთან, მისგან ყიდულობს საქონელს და ბაზარზე ჰყიდის.
2. შემდეგ წვრილი საქონელმწარმოებელი ხელმოკლეობის გამო ვაჭარი შემსყიდველისაგან სესხულობს ფულს და შემდეგ ვალში აძლევს თავის მიერ

დამზადებულ საქონელს. აქ შემსყიდველი მეცაზზე ხდება, წვრილი საქონელ-მწარმოებელი კი თანდათანობით კაბალაში ექცევა.

3. შემდეგში ვაჭარ-შემსყიდველს წვრილი მრეწველისათვის ბაზრიდან მოაქვს ისეთი საქონელი, რომელიც წვრილ მრეწველს სჭირდება. სამაგიეროდ ვაჭარს მიაქვს წვრილი მრეწველის მიერ დამზადებული საქონელი, იმ ნაწარმის ფასში, რომელიც ვაჭარმა მიუტანა შინამრეწველს. აქ ვაჭარი-შემსყიდველი შინამრეწველს სწყვეტს მზა ნაწარმის ბაზარს.

4. დაბოლოს, ვაჭარი-შემსყიდველი წვრილ მრეწველს აძლევს ისეთ ნედლეულს ან დამხმარე მასალებს, რომელიც მას, ე. ი. წვრილ მრეწველს სჭირდება საქონლის დამზადებისათვის.

აქ უკვე ვაჭარი-შემსყიდველი საბოლოოდ იმორჩილებს წვრილ საქონელ-მწარმოებელს, რადგან ეს უკანასკნელი უკვე მოწყვეტილია როგორც მზა საქონლის, ისე ნედლეულის ბაზრებს. როგორც მზა საქონელი, ისე ნედლეული მოაქვს ვაჭარს წვრილი მრეწველისათვის.

ამის შემდეგ ვაჭარი-შემსყიდველი მის მიერ მოტანილ ნედლეულს განსაზღვრულ ფასებში ამუშავებინებს წვრილ მრეწველს. წვრილი მრეწველი ფაქტიურად ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში. აქ შემსყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად. შემდგომი განვითარება იწვევს კაპიტალისტური მანუფაქტურის წარმოშობას!

აი ასეთი ხანგრძლივი, დამაბრკოლებელი პერიოდი ახასიათებს კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის ამ მეორე გზას, რომელსაც მარქსი უწოდებს—ვაჭრის მიერ წარმოების უშუალოდ დაუფლებას.

მარქსი აღნიშნავს, რომ ეს გზა არ იწვევს სწრაფ გადატრიალებას ძველი წარმოების წესში, რომ იგი დაბრკოლებებს უქმნის კაპიტალისტური წარმოების განვითარებას. ამ გზის დროს სავაჭრო კაპიტალი ვაჭარი-შემსყიდველის სახით ზემდებ შრომას მიითვისებს წარმოების ძველი წესის ბაზისზე.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ზემოთ აღნიშნული ვაჭარი-შემსყიდველი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (ვიდრე მანუფაქტურა შეიქმნებოდეს) წვრილ საქონელმწარმოებელს თავიანთ სახლებში ამუშავენს ძველი ხელოსნური ტექნიკითა და მეთოდებით. ამიტომ ამბობს მარქსი, რომ წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის ეს გზა იწვევს წარმოების ძველი მეთოდების კონსერვირებას, შენარჩუნებას და ამდენად ეს გზა კონსერვატიულია, იგი აფერხებს კაპიტალისტური წარმოების განვითარებას. ამის შემდეგ განა შეიძლება—ვაჭრის მიერ კაპიტალისტური წარმოების პირდაპირი დაარსების (მოწყობის) გზა, რომელიც კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის რევოლუციური გზაა, მოვთავსოთ მეორე გზაში, რომელსაც ვაჭრის მიერ წარმოების უშუალო დაუფლება ეწოდება და რომელიც, როგორც დავინახეთ კონსერვატიულია?! მარქსს ვაჭრის მიერ კაპიტალისტურ საწარმოთა მოწყობა, რომელიც რევოლუციური გზაა, ამ მეორე გზაში რომ მოვთავსებინა, განა მაშინ იტყოდა, რომ ეს მეორე გზა წარმოების კონსერვირებას იწვევს! სად არის ლოგიკა?

ამრიგად, ვაჭრის მიერ საწარმოს პირდაპირ გახსნა-დაარსებისა და ამ გზით კაპიტალისტური წარმოების განვითარებას (რომელიც რევოლუციური გზაა),

წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასვლის მეორე გზაში ვერ მოვათავსებთ, რომელიც წარმოების ძველი მეთოდების კონსერვირებას იწვევს ხანგრძლივ პერიოდში.

როგორც ვხედავთ რეცენზენტებმა სწორად ვერ გაიგეს მარქსის „კაპიტალის“ სათანადო ადგილი — კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზები და ამით სერიოზული შეცდომა დაუშვეს.

ასანინშენაია, რომ მარქსს, უკურო გასაგები რომ გაეხადა კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის გზები, მან პირველი გზა — მწარმოებლის ვაჭრად და კაპიტალისტად გადაქცევა — ორად დაყო: ა) ვაჭრის პირდაპირ მრეწველად გადაქცევა, ბ) მრეწველის ვაჭრად გადაქცევა, რომელიც უშუალოდ აწარმოებს დიდი მასშტაბით ვაჭრობისათვის. მარქსი წერს: „მ ა შ ა ს ა დ ა მ ე გ ა დ ა ს ე ლ ა ხ დ ე ბ ა ს ა მ გ ვ ა რ ა დ : პ ი რ ვ ე ლ ი. ვ აჭ ა რ ი პ ი რ დ ა პ ი რ მ რ ე წ ვ ე ლ ა დ ი ქ ც ე ვ ა ... მ ე ო რ ე, ვ აჭ ა რ ი თ ა ვ ი ს შ უ ა მ ა ვ ე ლ ე ბ ა დ ხ დ ი ს წ ვ რ ი ლ ო ს ტ ა ტ ე ბ ს ა ნ დ ა უ შ უ ა ლ ო დ ყ ი დ უ ლ ო ბ ს დ ა მ ო უ ჯ ი დ ე ბ ე ლ ი მ წ ა რ მ ო ე ბ ლ ი ს ა გ ა ნ. ი ვ ი მ ა ს ნ ო მ ი ნ ა ლ უ რ ა დ დ ა მ ო უ ჯ ი დ ე ბ ე ლ ს ს ტ ო ვ ე ბ ს დ ა უ ც ვ ე ლ ა დ ს ტ ო ვ ე ბ ს მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ი ს მ ე თ ო დ ს (ე ს მ ე ო რ ე გ ზ ა რ ო გ ო რ ც ა ლ ი ნ ი შ ნ ა ა რ ი ს ვ აჭ რ ი ს მ ი ე რ წ ა რ მ ო ე ბ ი ს უ შ უ ა ლ ო დ ა უ ფ ლ ე ბ ა — დ. გ.), მ ე ს ა მ ე, მ რ ე წ ვ ე ლ ი ხ დ ე ბ ა ვ აჭ ა რ ი დ ა უ შ უ ა ლ ო დ ა წ ა რ მ ო ე ბ ს დ ი დ ი მ ა ს შ ტ ა ბ ი თ ვ აჭ რ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს“¹. ეს ადგილი „კაპიტალიდან“ მოტანილი აქვთ რეცენზენტებს თავიანთი მოსაზრების დასადასტურებლად, მაგრამ ჯერ ერთი, იგი ყოველგვარი ახსნა-ვანმარტების გარეშეა დატოვებული და მეორე, იგი მათ არასწორად გაუგიათ. რეცენზენტებს² მიაჩნიათ, რომ აქ მოცემული პირველი გზა — ვაჭრის პირდაპირ მრეწველად გადაქცევა, თითქოს მარქსს გამოეყოს მეორე გზიდან — ვაჭრის მიერ წარმოების უშუალო დაუფლებიდან, რაც აშკარა შეცდომაა.

ამრიგად, ალ. ბენდიანიშვილისა და ი. უთურაშვილის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს კ. მარქსი „ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლებაში“ გულისხმობდეს როგორც ვაჭრის მიერ წვრილ მწარმოებელთა დამორჩილებას, ისე ვაჭრის პირდაპირ მრეწველ-კაპიტალისტად გადაქცევას მის მიერ სამრეწველო საწარმოს მოწყობით — მცდარია. სამეცნიერო ლიტერატურაში, თვით პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოში გასაგები ენითაა დაწერილი, რომ ვაჭრის მიერ სამრეწველო საწარმოს მოწყობა და ამის შედეგად მისი პირდაპირ მრეწველ-კაპიტალისტად გადაქცევა სხვა გზაა. ხოლო ვაჭრის მიერ წარმოების უშუალო დაუფლება ანუ სავაჭრო კაპიტალის მიერ ვაჭრების სახით წარმოების უშუალო დამორჩილება, კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის სხვა გზაა³. გაუგებარია რატომ გააერთიანეს ისინი რეცენზენტებმა.

ახლა ისმება კითხვა: რეფორმამდე საქართველოში როგორ და რა გზით ხდებოდა კაპიტალისტური წარმოების გაჩენა? ფაქტობრივი მონაცემები გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური წარმოების გაჩენა რეფორმამდე საქართველოში უმთავრესად ხდებოდა ზემოთ განხილული პირველი გზით, სახელდობრ, წვრილ საქონელმწარმოებელთა დაშლის შედეგად მათგან გამოდიოდნენ კაპი-

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 425.

² იხ. პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954, გვ. 65—66.

ტალისტური მეწარმეები, რომლებიც კაპიტალისტურ სახელოსნო-საწარმოებს აარსებდნენ, ასევე მსხვილი ვაჭრები აწყობდნენ სამრეწველო საწარმოებს, მეტწილად მანუფაქტურებს და მრეწველი კაპიტალისტები ხდებოდნენ (ზუბალა-შვილები, სარაჯიშვილი, თამამშვი, შავერდოვი და სხვ.).

კაპიტალისტური წარმოების გაჩენა ხდებოდა სხვაგვარადაც. მაგალითად, კაპიტალისტურ საწარმოებს აარსებდნენ პრივილეგიური წოდების წარმომადგენლებიც (ნ. ჩიჯავაძე, ელ. ერისთავი და სხვ.), ასევე სახელმწიფო მოხელეები (პ. ზავილეცი, ბარონ ნიკოლაი და სხვ.). ზოგჯერ სამრეწველო საწარმოები ეწყობოდა სახელმწიფოს ხელშეწყობით, რომლებიც სახაზინო საწარმოებად ითვლებოდა (თბილისის აბრეშუმსახვევი მანუფაქტურა, საწახნაგო ფაბრიკა და სხვა).

რაც შეეხება კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის მეორე გზას—ვაჭრის მიერ წარმოების უშუალოდ დაფუძვლას, ანუ სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილ სარეწებში სტადიების გავლას, რომელსაც ბოლოს კაპიტალისტურ მანუფაქტურამდე მივყავართ—რეფორმამდელ საქართველოში ადგილი არ ჰქონია. რატომ არ ჰქონდა ადგილი რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლის მეორე გზას—ანუ სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილ საქონელმწარმოებელთა დამორჩილებას? ამის ძირითადი მიზეზი, როგორც ჩანს ბატონყმური ურთიერთობა იყო. ბატონყმური ურთიერთობის დროს, ვაჭარ-შემსყიდველის მიერ ყმა წვრილი საქონელმწარმოებლის დამორჩილება და დაქირავებულ მუშად გადაქცევა გაცილებით ძნელია, ვიდრე ყმური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი წვრილი საქონელმწარმოებლისა. ძნელია იმიტომ, რომ ყმას თავისი საადგილმამულო და პირადი ურთიერთობა აქვს თავის ბატონთან და ამის გამო მისი ურთიერთობა ვაჭარ-შემსყიდველთან ძალზე შეზღუდულია. ამიტომ მარქსს შემთხვევით არ უნდა ჰქონდეს აღნიშნული „დამოუკიდებელი მწარმოებელი“ ე. ი. ბატონყმური ან ქალაქად ჰამქრული ურთიერთობისაგან თავისუფალი მწარმოებელი, რომლისგანაც ვაჭარი-შემსყიდველი უშუალოდ ყიდულობს საქონელს. ასევე, აქ მნიშვნელობა აქვს დროის სიხანგრძლივის ფაქტორსაც.

როგორც ეს წიგნში გვაქვს აღნიშნული, რა თქმა უნდა, ვაჭარი-შემსყიდველები რეფორმამდელ საქართველოში მრავლად იყვნენ, მაგრამ მათ სავაჭრო კაპიტალს წვრილ სარეწებში არ გაუვლია განვითარების ის საფეხურები, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. ვაჭარი-შემსყიდველების მოქმედება ამ მხრივ პირველი ნაბიჯებით მთავრდებოდა და არ ხდებოდა მათ მიერ წარმოების დაპყრობა ე. ი. წვრილ საქონელმწარმოებელთა დამორჩილება. რაც შეეხება რეფორმის შემდგომ ხანას, როგორც ეს წიგნში გვაქვს აღნიშნული, ჩვენ ის პერიოდი არ გვიკვლევია და ამიტომ ამ მხრივ თავს ვიკავებთ რაიმე მოსაზრებისაგან.

3. მანუფაქტურის სტადიის შესახებ საქართველოში.

დაბოლოს, უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის გარშემო დღემდე სწარმოებს კამათი ქართველ ისტორიკოსებსა და ეკონომისტებს შორის. ეს არის საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესში მანუფაქტურის სტადიის არსებობის საკითხი.

ეს საკითხი კვლავ დააყენა ისტორიის მეცნ. კანდ. ალ. ბენდიანიშვილმა ჩემი წიგნის საჯარო განხილვის დროს, რომლის ოფიციალური შემფასებელი იგი იყო. მან საექვეოდ მიიჩნია საქართველოში მანუფაქტურის სტადიის არსებობა. ჩვენი პასუხის შემდეგ შესაძლებელია მან უარპყო თავისი ექვები, რადგან გამოქვეყნებულ რეცენზიაში საქართველოში მანუფაქტურის სტადიის საკითხი დასმული არაა, ან კიდევ შესაძლებელია უადგილობის გამო არ მოხერხდა დაბეჭდვა, მაგრამ ყოველივე ამას მნიშვნელობა არა აქვს, და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევენოთ ამ საკითხს, მით უფრო რომ „კაპიტალის“ სათანადო ადგილის არასწორმა გაგებამ მომავალში შეცდომაში არ შეიყვანოს მკვლევარი.

ალ. ბენდიანიშვილი მიუთითებს, რომ საქართველოში კაპიტალისტურ მანუფაქტურის სტადიის არსებობის საკითხში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. იგი აღნიშნავს, რომ მანუფაქტურის სტადიის არსებობას მარქსი შესაძლებლად სცნობდა მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც საამისო პირობები შუა საუკუნეებში შეიქმნა. ამიტომ აქ იგი სვამს კითხვას: მომზადდა თუ არა პირობები საქართველოში შუა საუკუნეებში, იმისათვის რომ კაპიტალიზმს მანუფაქტურული სტადია გაეელოვო.

დაბოლოს, მისი აზრით, „მანუფაქტურის სტადიურობის საკითხი საქართველოში ჯერ კიდევ გადაუჭრელია, პრობლემატიურია და მისი გადაჭრისათვის საჭიროა კვლევა-ძიების ჩატარება“ (ალ. ბენდიანიშვილის რეცენზია, რომელიც ამ ადგილს შეიცავს, ხელნაწერის სახით ინახება ისტორიის ინსტიტუტის კაპიტალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების არქივში).

საკვირველია რატომ შეიცვალა ა. ბენდიანიშვილმა წინანდელი შეხედულება აღნიშნულ საკითხზე. ჩვენ, პროფ. აბელ კიკვიძის წიგნზე—საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე)—რეცენზიის გამოქვეყნებისას იმ აზრისა ვიყავით, რომ კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში განვლო მანუფაქტურული სტადია და იგი წინ უსწრებდა მანქანურ წარმოებას¹.

ამჟამად კი მას, როგორც ვხედავთ, ამ საკითხში ან შეხედულება შეუცვლია, ან დაექვებულა მის სისწორეში. ა. ბენდიანიშვილმა ჩვენი წიგნის შეფასებისას თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მარქსის „კაპიტალის“ III ტომის პირველი ნაწილიდან მოიტანა ის ადგილი, სადაც მარქსი ლაპარაკობს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და მსოფლიო ბაზრის წარმოქმნის მნიშვნელობაზე კაპიტალიზმის წარმოშობისათვის. აქ მარქსი წერს: „.....თანამედროვე წარმოების წესი თავის პირველ პერიოდში, მანუფაქტურულ პერიოდში, მხოლოდ იქ განვითარდა სადაც მისთვის პირობები უკვე შუა საუკუნეებში შეიქმნა“². ამ ადგილის არასწორად გაგებამ იგი შეცდომაში მიიყვანა და დააექვა საქართველოში მანუფაქტურული სტადიის არსებობაზე.

ალ. ბენდიანიშვილმა ეს ისე გაიგო თითქოს მარქსი აქ იმას ამბობდეს, რომ კაპიტალისტურ წარმოებას მანუფაქტურული პერიოდი (სტადია) მხოლოდ იმ ქვეყანაში ჰქონდა, სადაც საამისოდ პირობები უკვე შუა საუკუნეებში შეიქმნა. სინამდვილეში ასეთ რამეს იქ მარქსი სრულებით არ ამბობს, რადგან ეს ციტატი მოტანილია წინა აზრისაგან მოწყვეტით. მოვიტანოთ მარქსიდან სათა-

¹ იხ. ქუთხ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1958, № 7, გვ. 94.

² კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, ნაწ. I, გვ. 421.

ნადო ადგილი მთლიანად. მარქსი წერს: „სრულიად ეგვიპტეშია, — და სწორედ ამ ფაქტმა წარმოიშვა მცდარი შეხედულებანი, — რომ დიდი რევოლუციები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ვაჭრობაში XVI და XVII საუკუნეებში გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით და რომლებმაც სწრაფად წასწია წინ ვაჭრის კაპიტალის განვითარება, ერთი მთავარი მომენტი იმათგან, რომლებმაც ხელი შეუწყო ფეოდალური წარმოების წესის გადასვლას კაპიტალისტურში. მსოფლიო ბაზრის უეცარმა გაფართოებამ, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა გამრავლებამ, მეტოქეობამ ევროპულ ერებს შორის აზიის პროდუქტებისა და ამერიკის განძეულობის დასაფუძვლად, კოლონიურმა სისტემამ, — ყოველივე ამან არსებითად ხელი შეუწყო წარმოების ფეოდალური ზღუდეების დანგრევას. მაგრამ თანამედროვე წარმოების წესი თავის პირველ პერიოდში, მანუფაქტურულ პერიოდში, მხოლოდ იქ განვითარდა, სადაც მისთვის პირობები უკვე შუა საუკუნეებში შეიქმნა. შეადარეთ, მაგალითად პოლანდია პორტუგალიას“¹.

როგორც ვხედავთ, კარლ მარქსი აქ აღნიშნავს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით ვაჭრობის არნახული განვითარებისა და მსოფლიო ბაზრის შექმნის უდიდეს მნიშვნელობას წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარებისათვის. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად მსოფლიო ბაზრის შექმნა, მარქსს მიაჩნია ერთ მთავარ მომენტად, რომელმაც ხელი შეუწყო წარმოების ფეოდალური წესის კაპიტალისტურში გადასვლას. აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბაზრის უეცარმა გაფართოებამ, მიმოქცევაში მყოფ საქონელთა გამრავლებამ, ევროპის ქვეყნების მიერ აზიისა და ამერიკის განძეულობის (ოქროს) გაძარცვამ და მისი ევროპაში შემოზიდვამ, კოლონიური სისტემის შექმნამ, — არსებითად ხელი შეუწყო ფეოდალური ზღუდეების დანგრევას ევროპაში. მაგრამ რაც შეეხება თანამედროვე წარმოების წესს, ე. ი. კაპიტალისტურ წარმოებას, იგი პირველად იქ განვითარდა, პირველად იმ ქვეყანაში აღმოცენდა და განვითარდა, სადაც მისთვის პირობები უკვე შუა საუკუნეებში შეიქმნა. აქ მარქსი მიუთითებს: შეადარეთ, მაგალითად პოლანდია პორტუგალიასო. მარქსს აქ შეეძლო მოეტანა ესპანეთის მაგალითიც, მაგრამ მან პორტუგალიაზე მითითება საკმარისად ჩათვალა.

რაშია საქმე?

მე-15 ს. მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპაში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობამ და კაპიტალისტური მეურნეობის ჩასახვამ გააძლიერა ბაზრების გაფართოების საჭიროება. სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით საყოველთაო გაცვლის საშუალებად ფული იქცა, რის გამო გაძლიერდა მოთხოვნილება ოქროზე. გარდა ამისა, ამ ხანაში ევროპის სახელმწიფოებს ძლიერ გაუძნელეს ვაჭრობის წარმოება აზიის ქვეყნებთან თურქებმა და არაბებმა (1453 წელს თურქებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს, ხოლო არაბები ბატონობდნენ ინდოეთის სამხრეთ გზებზე). ამის გამო დაიწყო ახალი გზების გაცხოველებული ძიება, რასაც შედეგად მოჰყვა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები.

ცნობილია, რომ დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებში, რომელმაც ხელი შეუწყო მსოფლიო ბაზრის შექმნას, ამერიკის, აფრიკისა და ინდოეთის განძეულო-

¹ კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. III, ნაწ. I, გვ. 421.

ბის—ოქროსა და ვერცხლის გაძარცვისა და კოლონიური სისტემის შექმნის საქმეში პირველი პიონერები იყვნენ პორტუგალია და ესპანეთი. ისინი ამ მხრივ გაცილებით სწობდნენ პოლანდიის, პორტუგალიამ და ესპანეთმა ყველას აჯობა ამერიკის ოქროსა და ვერცხლის შემოზიდვაში. პორტუგალებმა და ესპანელებმა აურაცხელი განძეული და პროდუქტი შემოზიდეს თავიანთ ქვეყნებში. მაგრამ ესპანეთსა და პორტუგალიაში ამერიკის განძეულობამ განავითარა კაპიტალისტური წარმოება? არა, არ განუვითარებია.

მართალია, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, აურაცხელი სიმდიდრის შემოზიდვამ, გამოიწვიეს პორტუგალიისა და ესპანეთის ეკონომიკის აღმავლობა მე-16 ს. დასაწყისში, მაგრამ იგი დროებითი, ხანმოკლე აღმოჩნდა. პორტუგალიისა და ესპანეთის მმართველი ფეოდალური მთავრობა, გაბატონებული ფეოდალთა კლასი, რომლებიც კოლონიებიდან იღებდნენ შემოსავლის დიდ წყაროს—ოქროსა და ვერცხლის სახით, არ იყვნენ დაინტერესებულნი ნაციონალური ეკონომიკის განვითარებით. ცნობილია, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და კოლონიური რეჟიმის დამყარების შედეგად, ოქროსა და ვერცხლის მოზღვავებამ ევროპაში გამოიწვია ე. წ. „ფასების რევოლუცია“, რომელიც ყველაზე მეტად შეეხო პორტუგალიასა და ესპანეთს. მან ღრმად მოშალა ამ ქვეყნების ეკონომიკა. „ფასების რევოლუციამ“ ყველაზე მძიმე კვალი დააჩნია პორტუგალიასა და ესპანეთს, იმიტომ, რომ ჯერ ერთი ამერიკული ოქრო პირველად აქ შემოდიოდა (შემდეგ ევროპის სხვა სახელმწიფოებში), და მეორე, ამ ქვეყნების საკუთარი ნაციონალური ეკონომიკა გაცილებით სუსტი იყო, ამ შემთხვევაში პოლანდიასთან შედარებით. რა მოუვიდათ ესპანეთსა და პორტუგალიას? რა იქნა მათ მიერ შემოზიდული განძეულობა—აურაცხელი ოქრო და ვერცხლი? როგორც აღვნიშნეთ ოქროსა და ვერცხლის შემოზიდვამ ესპანეთსა და პორტუგალიას ვერ უშველა. ოქრო და ვერცხლი გაიფლანგა ფეოდალური დიდკაცობის ფუფუნებასა და დროს ტარებაში. იგი წავიდა ფეოდალურ სასახლეებში ძვირფას სამკაულთა სახით. ასევე ესპანელებისა და პორტუგალებების მიერ შემოზიდული ოქროსა და ვერცხლის დიდი ნაწილი მიდიოდა აგრეთვე რიგ ქვეყნებში სხვადასხვა საქონლის შესაძენად, სადაც სათანადო წარმოება იყო განვითარებული. მათ შორის პოლანდიაშიც.

სამაგიეროდ დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და მსოფლიო ბაზრის შექმნამ ხელი შეუწყო კაპიტალისტური წარმოების გაჩენასა და განვითარებას იმ ქვეყანაში, სადაც საამისო პირობები შუა საუკუნეებში შეიქმნა. ეს ქვეყანა იყო პოლანდია. რა პირობები იყო აქ მომზადებული შუა საუკუნეებში კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლისათვის?

მე-12—13 საუკუნეებში, ნიდერლანდებში საქალაქო ცხოვრებისა და სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად ხდება სოციალური ძვრები. იწყება გლეხთა ნატურალურ-ფეოდალური გადასახადების შეცვლა ფულადი რენტით, რასაც შედეგად მოჰყვა გლეხთა დიფერენციაცია. მე-13 ს. დასაწყისში ჩნდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი ქალაქები, რომლებიც ხდებიან ვაჭრობისა და ამქრული ხელოსნობის მსხვილი ცენტრები. მე-15 ს. ბოლოდან იწყება ფეოდალიზმის რღვევა. მიმდინარეობს ე. წ. კაპიტალის პირვანდელი დაგროვების პროცესი. ფეოდალური წყობის წიაღში ისახება და ვითარდება კა-

პიტაღორას მათემატიკის თეორიის მიხედვით, მანუფაქტურული წარმოება იჭერს. კაპიტალისტური წარმოება უმთავრესად ვითარდება ჰოლანდიისა და ზელანდიაში. თანდათან მტკიცდება ერთიანი საშინაო ბაზარი ნიდერლანდებში.

ნაციონალური წარმოების სიძლიერემ ნიდერლანდებში გამოიწვია ის, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად, მსოფლიო ვაჭრობის ცენტრმა იტალიიდან გადაინაცვლა არა პორტუგალიაში ან ესპანეთში, არამედ იქ, ნიდერლანდებში, სადაც კაპიტალისტური მრეწველობა ვითარდებოდა. მსოფლიო ვაჭრობის ცენტრის ნიდერლანდებში გადმონაცვლებამ კი თავის მხრით კოლოსალურად შეუწყო ხელი და დააჩქარა კაპიტალისტური წარმოების განვითარება ნიდერლანდებში. საკუთარი წარმოებით ძლიერი ჰოლანდია მდიდარი ქვეყანა გახდა, ოქროს დიდმა ნაწილმა აქ მოიყარა თავი.

შემდეგ ცნობილი ბურჟუაზიული რევოლუცია ჰოლანდიაში (ნიდერლანდებში) მე-16 ს-ში, მისი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ესპანეთის წინააღმდეგ. პეტროვ ალბას მისია ნიდერლანდებში და მისი დაპირება ესპანელებისადმი: ოქროს ჰოლანდიიდან ნიდერლანდებში გამოვეშვებო ესპანეთში. ვიცით, რომ ბრძოლა ნიდერლანდების გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო მომდევნო, მე-17 ს-ში ჰოლანდია „სანიმუშო კაპიტალისტური ქვეყანა გახდა“. ჩვენ ამის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

აქ, რომ. სათანადო ადგილას მარქსი იმას კი არ ამბობს, რომ კაპიტალისტური წარმოების, კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადია მარტო იმ ქვეყანაში განვითარდა, სადაც კაპიტალისტური წარმოებისათვის პირობები შუა საუკუნეებში შეიქმნა, როგორც ეს ალ. ბენდიანიშვილმა ვაიგო, არამედ იმას, რომ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად ვაჭრობის არნახულმა განვითარებამ და მსოფლიო ბაზრის წარმოქმნამ კაპიტალისტური წარმოება პირველად („თავის პირველ პერიოდში“) იმ ქვეყანაში წარმოშვა და განვითარა, ან იქ შეუწყო ხელი მის განვითარებას, სადაც მისთვის (კაპიტალისტური წარმოებისათვის) პირობები შუა საუკუნეებში შეიქმნა, და არა იმ ქვეყანაში, სადაც საამისო პირობები არ ყოფილა შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები (პორტუგალია, ესპანეთი) გეოგრაფიული აღმოჩენებისა და კოლონიური სისტემის შექმნის პირობები იყვნენ. და აქ მარქსს მოჰყავს ჰოლანდიის მაგალითი და აღარებს პორტუგალიას.

უნდა აღინიშნოს, რომ მარქსი აქ ხაზს უსვამს წარმოების პირველადობას ვაჭრობასთან შედარებით, ხაზს უსვამს იმას, რომ წარმოება არის ბაზისი, რომელზედაც დაფუძნებულია და დამოკიდებულია ვაჭრობის განვითარება.

მარქსის „კაპიტალის“ ეს ადგილი ისე რომ გავიგოთ, როგორც ალ. ბენდიანიშვილმა განმარტა, მაშინ უნდა ვუარყოთ კაპიტალიზმის მანუფაქტურული სტადია პორტუგალიაში, ესპანეთში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რუსეთში. რადგან აქ საამისო პირობები შუა საუკუნეებში (დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებამდე) არ იყო შექმნილი. მაგრამ განა ამ ქვეყნებში კაპიტალისტურ წარმოებას არ გაუვლია მანუფაქტურული სტადია?! ცხადია, კაპიტალიზმმა ამ ქვეყნებში განვლო მანუფაქტურული სტადია, მაგრამ შედარებით გვიან.

ალ. ბენდიანიშვილმა „კაპიტალიდან“ ფრაზა კონტექსტის გარეშე აიღო, რის გამო სერიოზული შეცდომა დაუშვა. ამ შეცდომამ ალ. ბენდიანიშვილი იქამდე მიიყვანა, რომ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული საფეხური სადავოდ მიიჩნია, მაშინ როდესაც ადრე მას იგი სადაოდ არ მიაჩნდა.

სადავოდ მიაჩნია იგი ზოგ სხვა მკვლევართაც, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებებს აყენებენ საქართველოში მანუფაქტურული სტადიის უარსაყოფად. ერთი ასეთი მოსაზრებაა მაგალითად ის, რომ რეფორმამდელ საქართველოში სავაჭრო კაპიტალს წვრილ სარეწებში არ გაუვლია განვითარების ის სტადიები, რომლებიც ბოლოს კაპიტალისტური მანუფაქტურის წარმოქმნას იწვევს; ან კიდევ ის, რომ რეფორმამდელი ხანის მანუფაქტურები დაეცა და არ გადაქცეულა ფაბრიკა-ქარხნებად.

ჩვენ წიგნში აღნიშნული და ხაზგასმული გვაქვს და აქაც გავიმეორებთ, რომ ეს ვარაუდებანი არ უარპყოფენ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურულ სტადიას, რადგან ჯერ ერთი, სავაჭრო კაპიტალის მიერ წვრილ საქონელმწარმოებელთა დამორჩილებისა და ამ გზით მანუფაქტურის წარმოქმნის გარდა არსებობს კიდევ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლისა და მანუფაქტურის წარმოშობის მეორე გზაც. ეს ის გზაა, როდესაც მწარმოებელი ხდება ვაჭრად და კაპიტალისტად. როგორც ნაშრომში აღნიშნული გვაქვს, იგი გულისხმობს წვრილმწარმოებელთა დიფერენციაციას, უმცირესი ნაწილის ბურჟუა-კაპიტალისტებად გადაქცევას, ვაჭრების მიერ სამრეწველო საწარმოების—მანუფაქტურების პირდაპირ მოწყობას, წარმოებაში ფულადი კაპიტალის დაბანდებას. როგორც აღნიშნული გვაქვს ეს გზა რევოლუციური და ერთ-ერთი მთავარი გზაა კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლისა. აღნიშნული გვაქვს, რომ კაპიტალისტურ წარმოებაზე გადასვლა და მანუფაქტურის წარმოშობა რეფორმამდელ საქართველოში უმთავრესად ამ გზით ხდებოდა.

მეორედ კი, ასევე აღნიშნული გვაქვს, რომ რეფორმამდელ საქართველოს ყველა მანუფაქტურული საწარმო როდი დაეცა. რეფორმამდელი ხანის რიგი საწარმოები—მინის, თამბაქოს, სამთო მანუფაქტურები და სხვები ფაბრიკა-ქარხნებად იქცნენ, საწარმოების ორთქლის ძრავებისა და მანქანებით აღჭურვის შედეგად. ამის გარდა, ის გარემოება, რომ რეფორმამდელი საქართველოს მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები—მანუფაქტურები დაეცა, არსებობა შეწყვიტა და არ გადაიქცნენ ფაბრიკა-ქარხნებად, ამას ვადაწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და იგი არ უარპყოფს მანუფაქტურული სტადიის არსებობას, რადგან მანუფაქტურული სტადიისათვის სავალდებულო არაა ყველა წვრილი კაპიტალისტური სახელოსნო და უწვრილესი საწარმო მანუფაქტურებად იქცნენ, ხოლო ყველა მანუფაქტურა, უკლებლივ—ფაბრიკა-ქარხნებად. ე. ი. სავალდებულო არაა ამა თუ იმ საწარმომ თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე გაიაროს ყველა საფეხური—ხელოსნური წარმოებიდან დაწყებული დამთავრებული მანქანურ წარმოებამდე—ფაბრიკამდე. ამ შეკთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა საწარმოს ისტორიას, არამედ გარკვეულ პერიოდში მისი არსებობის ფაქტს და საწარმოს.

სოციალ-ეკონომიურ ბუნებას, მის ხასიათს. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები ვერ უარყოფენ კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში.

ამ ბოლო დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ახალი მოსაზრება საქართველოში მანუფაქტურული სტადიის უარსაყოფად, მისი ავტორია ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. ბაქრაძე. მისი აზრით მანუფაქტურული საწარმოები და თავისუფალი ნებით დაქირავებული მუშახელი რეფორმამდელ საქართველოში ცოტა იყო და ეს არ კმარა მანუფაქტურული სტადიისათვის. კიდევ მეტი, მკვლევარი ბაქრაძე არა თუ მანუფაქტურული სტადიის არსებობას უარყოფს რეფორმამდელ საქართველოში, არამედ კაპიტალისტური წარმოების ჩასახვევასაც კი. იგი წერს: „Дореформенная Грузия не располагала достаточным капиталом, столь необходимым для зарождения и развития капиталистического производства“¹

რეფორმამდელ საქართველოში კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა და განვითარება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის უკვე იმდენად კარგად არის დამტკიცებული, რომ მასზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით. ჩვენ აქ შევეხებით მანუფაქტურული საფეხურის შესახებ მის მიერ წამოყენებულ მოსაზრებას.

მკვლევარი ბაქრაძე უარყოფს კაპიტალიზმის მანუფაქტურულ სტადიას საქართველოში, როგორც რეფორმამდელ, ისე რეფორმის შემდგომ ხანაში. იგი წერს: «В Грузии мануфактурные предприятия, вследствие их незначительного количества и размера, внутри крепостного строя не создали особой стадии в развитии промышленности и после реформы они продолжали существовать наряду с другими формами предприятий. Капиталистическая мануфактура для своего широкого развития до отмены крепостного права не имела в Грузии достаточных наемных рабочих рук. Даже в пореформенный период Мануфактура не создала в Грузии особого периода в развитии капиталистической промышленности»².

როგორც ვხედავთ, მკვლევარი ბაქრაძე მანუფაქტურული სტადიის უარსაყოფად ორ ძირითად მიზეზს ასახელებს: მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვისა და დასაქირავებლად საჭირო თავისუფალი მუშახელის კონტიგენტის სიმცირეს.

დაქირავებული შრომის შესახებ გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ იგი რეფორმამდელ საქართველოში „შემთხვევით ხასიათს ატარებდა“, რადგან „ნებით დაქირავებული მუშები“ იყვნენ „მეღალე გლეხები“ (обочные крестьяне), რომლებიც ყმური დამოკიდებულებასაგან არ იყვნენ განთავისუფლებულნი; აგრეთვე „ნებით დაქირავებული მუშები“ იყვნენ გატყვეული გლეხები“³-ო.

¹ Г. Бахрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тбилиси, 1959, გვ. 31.

² იქვე, გვ. 260.

³ იქვე, გვ. გვ. 31, 290.

ჩვენის აზრით დღეისათვის უკვე სადავო არ უნდა იყოს ის, რომ წარმოებაში ბატონის ნებართვით თუ უნებართოდ წასულ ყმა-გლეხთა დაქირავებული შრომის გამოყენება, წარმოებას არ უკარგავს კაპიტალისტურ ხასიათს. კიდევ მეტი, წარმოებას კაპიტალისტურ ხასიათს არ უკარგავს წარმოებაზე მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომაც. ყმა-გლეხთა ნებით დაქირავებული თუ იძულებითი შრომის გამოყენება მხოლოდ ამცირებს წარმოების ეკონომიური ბუნების კაპიტალისტურ ხასიათს, მის დონეს, მის ხარისხს. განა რუსეთში, სადაც მანუფაქტურული სტადიის არსებობა გ. ბაქრაძეს საეჭვოდ არ მიაჩნია, მანუფაქტურებში და ფაბრიკა-ქარხნებში დიდი მასშტაბით არ იყო გამოყენებული მეღალე ყმა-გლეხთა ნებით დაქირავებული შრომა, და ასევე მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომა? მაგრამ ეს გარემოება როდი უარყოფს რუსეთში მანუფაქტურული სტადიის არსებობასა და მანუფაქტურებისა და ფაბრიკა-ქარხნების კაპიტალისტურ ხასიათს.

ასე რომ, წარმოებაში მეზეგრე და გაქცეულ ყმა-გლეხთა ნებით დაქირავებული შრომის გამოყენება, ასევე მიწერილ ყმა-გლეხთა იძულებითი შრომა, მხოლოდ კაპიტალიზმის ჯერ კიდევ განუვითარებლობაზე, მის არასაკმაო განვითარებაზე მიუთითებს.

მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვის სიმცირე რეფორმამდელ საქართველოში მანუფაქტურული სტადიის უარსაყოფად, ერთი შეხედვით თითქოს ძლიერ საბუთად მოსჩანს, მაგრამ ჩვენ ამ მოსაზრებასაც ვერ გავიზიარებთ.

მკვლევარი ბაქრაძე აღნიშნავს, რომ რეფორმამდელ საქართველოში, მისი გამოანგარიშებით, მანუფაქტურული საწარმოები ერთეულები იყო, სახელდობრ მათი რიცხვი შეადგენდა 17-ს¹, ხოლო რეფორმის შემდგომ ხანაში, სახელდობრ 1870 წელს—14 საწარმოს². გასაკვირია საიდან აიღო ან გამოიანგარიშა მან ეს რიცხვები. შეიძლება დავეუშვათ, რომ ამ რიცხვებში მოცემულია მხოლოდ მსხვილი მანუფაქტურული საწარმოები. ავტორი მხედველობიდან უშვებს შედარებით მცირე სიდიდის მანუფაქტურულ საწარმოებს (4—5 კაცის ან მეტის ნებითდაქირავებული შრომით), რომლებიც საქართველოში ათეულობით ითვლებოდა, როგორც რეფორმამდელ, ისე მის შემდგომ ხანაში. ცნობილია, რომ ათეულობით პატარა სიდიდის მანუფაქტურული საწარმოები, რომლებიც უმთავრესად სოფლად არსებობდნენ, ოფიციალურ დოკუმენტებში—„ფაბრიკა-ქარხნების“ უწყისებში არ არის მოცემული, უმთავრესად რეფორმის შემდგომ ხანაში. აქვე აღსანიშნავია, რომ მანუფაქტურულ საწარმოთა რიცხვი სტაბილური როდი იყო. იგი ყოველწლიურად იცვლებოდა. ამდენად შეუძლებელია რომელიმე ხანაში მანუფაქტურულ საწარმოთა ერთ აღებულ რიცხვზე მითითება.

ასე რომ, ჯერ ერთი, რეფორმამდელ საქართველოში მანუფაქტურული საწარმოები ცოტა როდი იყო, იგი ათეულობით არსებობდა და სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არის შესწავლილი და გაშუქებული, მათ შორის.

¹ იქვე, გვ. 29.

² იქვე, გვ. 67.

ჩვენს ნაშრომშიც. მანუფაქტურული წარმოება განა სუსტად იყო წარმოდგენილი საქართველოში მე-19 ს. მეორე ნახევარში?

მეორე. რაც შეეხება მანუფაქტურული საწარმოების მინც შედარებით სიმცირეს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული სტადიისათვის სწორედ ეს არის ნიშანდობლივი და დამახასიათებელი. მანუფაქტურული სტადიისათვის დამახასიათებელია მსხვილ საწარმოთა—მანუფაქტურათა მცირე რიცხვი ერთდროულად არსებულ ხელოსნურ და წვრილ საწარმოთა დიდ რიცხვთან შედარებით. მანუფაქტურული სტადიის პერიოდში საქონლის მცირე ნაწილს მანუფაქტურული საწარმოები აწარმოებდნენ, უდიდეს მასას კი წინანდებურად ამზადებდნენ ხელოსნური, წვრილი საწარმოები (ხელოსნები, წვრილი საქონელმწარმოებლები, შინამრეწველები)!. ამის გამო მანუფაქტურა არ მოიცავდა საზოგადოებრივ წარმოებას მთლიანად. ამ დროს კვლავ იყო გაბატონებული წვრილი წარმოება და იგი კვლავ რჩებოდა საზოგადოების ეკონომიკის საფუძვლად. ამას აღნიშნავს მარქსი, ასევე ლენინი და იგი საერთოდ ასეა მიღებული. კარლ მარქსი ამის შესახებ წერს: „მანუფაქტურას არ შეეძლო საზოგადოებრივი წარმოების დაპყრობა მთელი მისი მოცულობით და არც მისი ძირფესვიანად გადატრიალება. ეკონომიურ შენობაზე, რომლის ფართო საფუძველს შეადგენდა საქალაქო ხელოსნობა და სასოფლო შინამრეწველობა, მანუფაქტურა გამოირჩეოდა როგორც არქიტექტურული სამკაული“².

როგორც ვხედავთ არც ის გარემოება, რომ რეფორმამდელ საქართველოში მანუფაქტურულ საწარმოთა მცირე რიცხვი არსებობდა, არ უარყოფს მანუფაქტურული სტადიის არსებობას ჩვენში. კაპიტალისტური მრეწველობის მანუფაქტურული საფეხური საქართველოში არსებობას განაგრძობდა რეფორმის შემდგომ ხანაშიც. ამ პერიოდში, ვიდრე მანქანური წარმოება გაბატონდებოდა, მანუფაქტურული წარმოება უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი (ალავერდისა და ახტალის სპილენძისა და ვერცხლის წარმოება, ტყიბულის ქვანახშირის წარმოება, ჭიათურის მარგანეცის წარმოება, ბათუმის თუნუქის ბიდონებისა და ხის ყუთების წარმოება და სხვ.).

რაც შეეხება იმას, რომ მანუფაქტურული საწარმოები რეფორმის შემდგომ ხანაშიც განაგრძობდნენ არსებობას მრეწველობის სხვა ფორმებთან ერთად, როგორც ამას გ. ბაქრაძე მიუთითებს, ეს ხომ ბუნებრივია. მანუფაქტურული საწარმოები—ყველანი ერთბაშად ერთ დღეს არ გამქალა, ხოლო ფაბრიკულ-ქარხნული წარმოება ერთი რომელიმე დღიდან არ დაწყებულა მრეწველობის ყველა დარგსა და საწარმოში.

ასე რომ, კაპიტალისტურმა მრეწველობამ საქართველოში XIX საუკუნის სიგრძეზე განვლო მანუფაქტურული სტადია და იგი წინ უსწრებდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოებას.

¹ იხ. პოლიტიკური ეკონომია, სახელმძღვანელო, 1954, გვ. 105.

² „Мануфактура не была в состоянии ни охватить общественное производство во всем его объеме, ни преобразовать его до самого корня. Она выделялась как архитектурное украшение на здании, широким основанием которого была городское ремесло и сельские побочные промыслы“ (К. Маркс, Капитал. т. I 1953, гл. 376).

ქართლის (იბერიის) სამეფოს ნაშრომების ზოგინათი საკითხისათვის

კ. გრიშინი

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების საწყისების მეცნიერული შესწავლა აწინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დღეს, ამ მიმართულებით, თვალსაჩინო სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება ჩვენში. ეს არის ერთის მხრივ, ფართოდ მოფიქრებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება, რომელსაც გულმოდგინედ ანხორციელებს ნიჭიერ არქეოლოგთა მთელი თაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და მისი დირექტორის აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. მეორე მხრივ, ეს არის უცვლელი წვრილობითი წყაროების კრიტიკული შესწავლა-შეფასება, რასაც ჩვენში მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და ხსენებული ინსტიტუტის მაღალკვალიფიციური მეცნიერ თანამშრომლები ასე სისტემურად ანხორციელებენ. მეცნიერთა სწორედ ასეთი შეუწყობელი და მრავალმხრივი მუშაობის შედეგად დღეისათვის არა მარტო საბოლოოდ დადგენილია საქართველოს მიწა-წყალზე (არც თუ ისე შორეულ წარსულში, სადაოდ მიჩნეული) წინაქალაქობრივ საზოგადოებათა ნაკვალევის არსებობა, არამედ საუბარი ახლა ქართველ ტომებში კლასების გაჩენისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საწყისების შესახებ უფრო მეტი საფუძვლიანობით ხერხდება.

ზედნეტია იმაზე საუბარი, რომ ჩვენ ახლა უკეთ ვაქვს წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის ადგილი ძველი აღმოსავლეთის კულტუროსან სამყაროში და ის ურთიერთობაც, რომელიც არსებობდა ისტორიულად საქართველოსა და ამ სამყაროს სხვა ქვეყნებს შორის. ამ საქმეში უთუოდ თვალსაჩინოა აკად. გ. მელიქიშვილის ღვაწლი და დამსახურება. თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, მას საქართველოსა და წინა აზიის სხვა ქვეყნების უცვლელი ისტორიის არა ერთი პრობლემა აქვს შესწავლილი და საფუძვლიანად გამოქმეულიც.

მიუხედავად ამისა, აკად. გ. მელიქიშვილის ნაშრომებში ჩვენ გვხვდება თითო-ოროლა არა საკმარისად დასაბუთებული შეხედულებაც, რომლის გაზიარება ან საერთოდ არ შეიძლება, ან კიდევ გარკვეულ კრიტიკულ შენიშვნებს იწვევს. ამჯერად, ჩვენ უურადღებას იპყრობს ბატივეციშვილი მეცნიერის ზოგიერთი მოსაზრება გამოთქმული მის მიერ ქართლის სამეფოს წარმოქმნასთან დაკავშირებით. სპეციალურ ნაშრომებში, თუ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო წიგნში მას, არაერთხელ აქვს აღნიშნული ის გარემოება, რომ „ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია“ პონტოს მოსახლეობას „ბერძენებს“ უწოდებდა. რომ „ამ ტრადიციის თანახმად, აღმო-

სავლურ-ქართული სამეფოს (ქართლის ანუ იბერიის სამეფოს) წარმოქმნადედაქალაქით მცხეთაში „ბერძნებთან“ ე. ი. პონტოს სამეფოსთან გადართებული ბრძოლის პირობებში მოხდა¹. აკად. გიორგი მელიქიშვილის აზრით, მოსე ხორენელთან მოხსენიებული დარეპის ნახარარი ანუ სატრაპი, როგორც ის ეძახის, მიჰრდატი იგივე ქართული წყაროების აზოა, რომელიც ქართლში ალექსანდრე მოუყვანია და მცხეთაში გამგებლად დაუდგენია².

ამგვარად, აკად. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, აზო-ფარნავაზის დაპირისპირებაში, რომელიც ქართულ წყაროებშია წარმოდგენილი, არეკლილია სწორედ ის ბრძოლა, რომელსაც თითქოს ჰქონია ადგილი პონტოსა და ქართლს შორის და რომელიც მისივე სიტყვებით, რომ ითქვას: „ყველაზე მეტად მიუდგება პონტოს სამეფოს დამარცხების—მითრიდატე II-ის ხანასა და მის მომდევნო პერიოდს, ვიდრე ძვ. წ. III ს-ის შუახანებამდე...“³

აღნიშნულ მოსაზრებათა დასაბუთების მიზნით, აკად. გიორგი მელიქიშვილი, განიხილავს „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობას საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისა და იქ, მის მიერ მმართველად აზოს დადგენის შესახებ და თანაც კითხულობს: „ვის უნდა გულისხმობდეს ქართული ტრადიცია აზოს სახით?“ და თვითონვე უპასუხებს: „ვეფიქრობთ, აქ აშკარად იგულისხმება მეზობელი პონტოს მმართველი, ან, ყოველშემთხვევაში, პონტოს მმართველის ვასალი ხელისუფალი: „მონებდა იგი ბიზანტიოსს, მეფესა საბერძნეთისასა“⁴. აღნიშნულის დადასტურებას მკვლევარი „ქართლის ცხოვრებაშიც“ პოულობს. ის ეწყობა ლეონტი მროველის მითითებას ბერძენ დამპყრობელთა წინააღმდეგ ფარნავაზის მეთაურობით ქართლის აჯანყებისა და საბოლოოდ მისი გამარჯვების შესახებ. გარდა ამისა, მკვლევარი მარჯვედ იყენებს: ჯუანშერის ცნობასაც ისევე საბერძნეთის წინააღმდეგ, ვახტანგის (გორგასალი) მონაწილეობით ქართველ-სპარსელთა გაერთიანებული ლაშქრობის შესახებ და ორივე წყაროს მიხედვით, ასეთ მსჯელობას წარმოგვიდგენს:

„გამარჯვებული ფარნავაზი „საბერძნეთის საზღვარზე“ გაითარეშებს. აქ არის ანდინაძორა, რომელიც „ქართლის ცხოვრებისაჲს“ თქმით, პონტოს ქალაქია: „წავიდა ვახტანგ (გორგასალი, გ. მ.) პონტოს, — ვკითხულობთ ჩვენ აქ, — და მოაოჯრნა ქალაქნი სამნი: ანდორეთი, ეკლეცი და სტერი და მოადგეს ლაშქარნი პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღუს კიდესა; და ბრძოდეს სამ თუე და მიუწია ლაშქარმან ვიდრე ქალაქისა მის კონსტანტინისა“... ვახტანგი აფრთხილებს თავის ლაშქარს, რომ ხელს ნუ ჰყოფს იგი ქრისტეანეთა ელტვას; ახსენებს, რომ მისი პაპა მირიანი სპარსთა ლაშქრით ამას სჩადიოდა „მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა“ მიმართ, რის გამოც მათი დიდი ლაშქარი იძლია მოწინააღმდეგის მცირე ლაშქრისაგან. „მიერითგან, — განაგრძობს

¹ ნ. ბერძენიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 53.

² გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, თბილისი, 1958, გვ. 143.

³ იქვე, გვ. 144

⁴ იქვე, გვ. 142—143.

იგი,— მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართველთაგან, აღმოსავლეთით ზღვსა ამის. ხოლო წყობა პირველთა მეფეთა იყო ანტიანძორს, სადა უკვე არს საფლავი დიდისა მოძღურისა გრიგოლისი და მუნით იოტნეს მეფენი ჩუენნი¹. ამასვე იმეორებს აკად. გ. მელიქიშვილი თავის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომშიაც, სადაც ამის შესახებ იკითხება: «Фарнаваз же, одержав победу, совершает набег на пограничные области „Грешии“: опустошает границу Грешии (Сабердзети) Андзиандзору (ანტიანძორა) и возвращается через Экледи (антич. Акилисена) в Кларджети, а отсюда— в Мухета (КII, 23). В той же „Картлис цховреба“ при описании царствования Вахтанга Горгасала Андзиандзора и Экледи названы „городами Понта“².

როგორც ვხედავთ, აკად. გ. მელიქიშვილის მიელი საბუთიანობა აქ იმაზეა დამყარებული, რომ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიხედვით, ანტიანძორა და ეკლეცი პონტოს ქალაქებია და თანაც, ორივე შემთხვევაში (ფარნავაზისა და ვახტანგ გორგასლის დროს), საბერძენეთის წინააღმდეგ მიმართული სამხედრო მოქმედება ხსენებული ქალაქების მიდამოებით (ფაქტობრივად პონტოს მიწა-წყლით) ლოკალიზებული ჩანს. ხოლო ეს გარემოება მკვლევარს აძლევს საფუძველს პონტო საბერძენეთად მიიჩნიოს, ხოლო მისი მოსახლეობა ბერძენებად გამოაცხადოს.

საგულისხმოა, რომ პ. როფ. გ. მელიქიშვილი, ზემოაღნიშნულ დებულებათა დადასტურებას სომეხ ისტორიკოსთან— მოსე ხორენელთანაც პოულობს. მისი სიტყვით: „აზოს სახით პონტოს მმართველის ან მისი ვასალი ხელისუფლების დანახვას, ვფიქრობთ, მხარს უჭერს მოსე ხორენელის ერთი მეტად საინტერესო ცნობა: მის თხზულებაშიაც ჩანს, გზა გაუკვლევი თქმულებას ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის (იბერიის) დაპყრობისა და აქ მმართველის დატოვების შესახებ: „კავკასიონის პირდაპირ მდებარე ჩრდილოეთის ქვეყნის მმართველად, — წერს მოსე ხორენელი, — იგი ნიშნავს დიდ ძლიერ ტომს, ხოლო მის მამამთავრობას გუგარულ ბღეშს აბარებს. ეს ტომი მომდინარეობს დარეხის სატრაპ მიპრდატიდან, რომელიც ალექსანდრემ მოიყვანა და მმართველად დააყენა იბერიელბზე“ (წ. 11, თ. VIII). მეორე ადგილასაც იგი იხსენიებს მიპრდატს დარეხის სატრაპს, რომელიც ალექსანდრემ დააყენა იბერიელბების მმართველად (წ. 11, თ. XI)³.

ამგვარად, მკვლევარი მზად არის ქართული წყაროების აზოს სახით „დარეჰის ნახარარი მიპრდატი დაინახოს, რაც შეეხება მიპრდატის ვინაობის საკითხს, აკად. გ. მელიქიშვილი საფესვით საფუძვლიანად იუწყება შემდეგს: „ძნელია დარეხის სატრაპ მიპრდატში არ დავინახოთ პონტოს მმართველი— აქემენიდური სპარსეთის უკანასკნელი მეფის დარიოსის სატრაპი მითრიდატე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მიერ სპარსეთის სამეფოს განადგურების შემდეგ ფაქტიურად პონტოს დამოუკიდებლობის საფუძველის ჩამყრელი და პონტოს მეფეთა დინასტიის დამწყები შეიქმნა“⁴.

¹ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, თბილისი, 1958, გვ. 143.

² Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, гв. 47.

³ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკვ. 1, თბილისი, 1958, გვ. 143.

⁴ იქვე.

მაგრამ, თუ ხსენებული მიპრდატი პონტოს სამეფოს ფუძემდებელია, საკითხავია: რა შუაშია აქ ქართული წყაროს აზო და რატომ უნდა იქნეს ეს ორი პიროვნება (აზო-მიპრდატი) გაიგივებული? საქმე ის არის, რომ აკად. გ. მელიქიშვილის კონცეფციით, პონტოს სამეფო მძიმე სისხლისმღვრელ ბრძოლას ეწეოდა ქართლის წინააღმდეგ. პონტოელებმა დაიპყრეს ქართლი და იქ ერთხანს ბატონობდნენ კიდევ. მაგრამ ქართლმა აჯანყების გზით დაანხო მათი ბატონობა და მოიპოვა თავისუფლება. ამგვარად, წარმოიქმნა მისი აზრით ქართლის ანუ იბერიის სამეფო დედაქალაქით მცხეთაში „ბერძნებთან“ ე. ი. პონტოს სამეფოსთან გააფთრებული ბრძოლის პირობებში.

ასეთია აკად. გ. მელიქიშვილის თეორია ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის გარემოებათა შესახებ და ის საბუთებიც, რომელზედაც ეს თეორია არსებითად დამყარებულია. ჩვენ გულდასმით გავეცანით ხსენებულ თეორიას, განსაკუთრებით შევისწავლეთ მისი დასაბუთების მხარე და უნდა განვაცხადოთ, რომ აქ ყველაფერი რიგზე არ არის. ბევრი რამ, აქ საკამათოა და აშკარად არა დამაჯერებელი ჩანს.

უპირველესადყოფლისა, ძალიან საეჭვოა პონტოელთა ლაშქრობის ფაქტი ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასასრულისა თუ მომდევნო საუკუნის დამდევისათვის ქართლის წინააღმდეგ: როდის, ან რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი ლაშქრობა, მეცნიერებაში, ჯერჯერობით დადგენილი არ არის. ასეთი ლაშქრობა მით უფრო დაუჯერებელია, რომ პონტოს სამეფო, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა სამხრეთელ დამპყრობლებთან, განსაკუთრებით კი, სელევკიდებთან ხანგრძლივი და „გააფთრებული ბრძოლის პირობებში“. როგორღა შეეძლო ახლად ჩამოყალიბებულ პონტოს სამეფოს ერთდროულად (ქართლის სამეფოც, ხომ დროის იმავე მონაკვეთში ჩამოყალიბდა) ასეთივე (გააფთრებული) ბრძოლები ეწარმოებია ჩრდილოეთითაც — ქართლის წინააღმდეგ; მით უფრო, რომ პონტოს სამეფოს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება იმ დროისათვის, საგულისხმებელი არ არის. პირიქით, ასეთ ძლიერებას პონტომ, უფრო გვიან, დაახლოებით, სამი საუკუნის შემდეგ მიაღწია და მაშინაც მას ქართლისათვის არ ეცალა. პონტო მაშინ, ჯერ ჩრდილოეთის (ბოსფორის) საქმეებით იყო დაკავებული, ხოლო შემდეგ, ის სამეკდროსასიცოცხლო ბრძოლაში აღმოჩნდა ჩაბმული რომეელ დამპყრობლებთან და საბოლოოდ, ამ უკანასკნელთა აგრესიის მსხვერპლი შეიქმნა კიდევ.

დაუსაბუთებლად გვეჩვენება ჩვენ პატივცემული მკვლევარის მეორე დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია ამ სამეფოს (იგულისხმება პონტოს სამეფო, კ. გ.) მოსახლეობას „ბერძნებს“ უწოდებდეს. ქართულ ენაზე ჩვენ არ გვეგულება არცერთი ძველი, რომელიც პონტოს მოსახლეობას სპეციალურად „ბერძნებად“ მიიჩნევდეს. პირიქით, ძველი ქართული წყაროები: „მოქცევა ქართლისაჲ“, ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, „ვახტანგის ცხოვრება“ და სხვები „ბერძნებად“ მიიჩნევენ და ასე უწოდებდნენ, ჩვეულებრივ, საბერძნეთის მოსახლეობას, ხოლო საბერძნეთი სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ცნებას წარმოადგენდა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამ სახელითაქი, ყოველთვის აღინიშნებოდა არა მარტო ანტიკური საბერძნეთი, არამედ ძველი რომის ნანგრევებზე, მის აღმოსავლეთ ნახევარში აღმოცენებული ბიზანტიის იმპერიაც. ასე მაგალითად, „მოქცევა ქართლისაჲ“ (IX ს.),

ჰერაკლე კეისრის იბერიაში ლაშქრობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, „მაშინ ჩამოვლო ჰერაკლე მეფემან ბერძენთამან და უხმო ციხისთავმან ქალაქთ ტფილისისადათ მეფესა ჰერაკლეს ვა(ბ)ატობით...“ და სხვა¹. აბა ერთი ვიკითხოთ, ვინ არიან აქ დასახელებულნი ბერძენები, ან რაც იგივეა, ვისი მეფეა აქ მოხსენებული ჰერაკლე კეისარი? აშკარაა, რომ ეს არის ბიზანტიის კეისარი ჰერაკლე, რომელიც 610—641 წლებში (ჩე. წ.) იჯდა იმპერატორის ტახტზე—კონსტანტინეპოლში. მან, მართლაც, ილაშქრა აღმოსავლეთისაკენ, სპარსელთა წინააღმდეგ; ყოველგვარი სხვა ვარაუდი აქ, მისი ვინაობის შესახებ, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს.

სხვაგვარად არ არის გაგებული ეს ცნება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაშია(ც“ (XI ს.). საბერძნეთი იქაც განმარტებულია, როგორც ბიზანტიის სახელმწიფო მთლიანად აღებული და არა მისი ერთი რომელიმე ნაწილი. აბა როგორ შეიძლება გავიგოთ მროველის ცნობა, რომელიც ეხება მირიან მეფის მიერ (ქართველთა მოქცევისათან დაკავშირებით), საბერძნეთში მოცემულ მისი გაზაფხისა და იქიდან სამღვდელთა გამოთხოვის ამბავს და ასე იკითხება: „და ზვალისა დღე წარავლინა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კოსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე... და ითხოვნეს მოსწრაფებით მღვდლნი ნათლისღებისათჳს“². როგორც ვხედავთ, აქაც, ბერძენი და საბერძნეთი იმდენად ნიშანდობლივ არის დასახელებული, რომ არავითარ შემთხვევაში მათ მაგიერ აქ პონტო, ან მისი მოსახლეობა არ შეიძლება ნაგულისხმევი იქნას.

ხსენებული ცნებების ანალოგიურ გაგებას მხარს უჭერს აგრეთვე ჯუანშერიც (XI ს.). მის თხზულებაშია(ც სახელები: „ბერძენები“ და „საბერძნეთი“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით არცერთი შემთხვევა, სადაც „ბერძენები“ მაინც და მაინც პონტოს მცხოვრებს აღნიშნავდეს, ან კიდევ საბერძნეთის მაგიერ პონტოს ხმარება შეიძლება იქნებოდეს. პირიქით, ჯუანშერი ხმარობს თავის თხზულებაში საბერძნეთსა და პონტოსაც (ზოგჯერ ერთიმეორის გვერდითაც), მაგრამ ის ჩინებულად ერკვევა მათ რაობაში და ისინი არსად არ ერევა ერთმანეთში. მან იცის, რომ ძველად პონტოს სახელით სამი რამ იყო ცნობილი: ქვეყანა, ქალაქი და ზღვა (პონტოს ქვეყანა, ქალაქი პონტო და პონტოს ზღვა). ქართველმა მემატიანეებმა კარგად იციან ისიც, რომ პონტოს ქვეყანა ეს იყო ცალკე მხარე, განსხვავებული ეთნიკური მოსახლეობით, მაგრამ პოლიტიკურად შემავალი საბერძნეთის სახელმწიფოში. ამ მხრივ, უთუოდ საგულისხმოა ლეონტი მროველის ცნობა მირიან მეფის მეუღლის, დედოფალი ნანას მამისშვილობის შესახებ, რომელიც ასე იკითხება: „ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი, სახელით ნანა“³. ამის მიხედვით, ვეძიებოთ, მკაფიოდ ირკვევა პონტო || საბერძნეთის ცნებათა მიმართებაც. პონტო, საბერძნეთის შემადგენლო-

¹ სამი ისტორიული ქრონიკა, გამოცემული ეჭვთაიმე თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 35.

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი, 1, 1955, გვ. 111. შენიშვნა: ამ ნაშრომში ყველაგან სადაც კი მითითებულია ქართლის ცხოვრება სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება.

³ ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 66.

ბაში შემავალი ქვეყანა ჩანს. სწორედ ისე, როგორც ლეონტი მროველს ალექსანდრე მაკედონელის სამშობლო—მაკედონია საბერძნეთში ეგულებო¹, პონტოც მას საბერძნეთის ნაწილად მიაჩნია მხოლოდ. ასე რომ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში საბერძნეთი გაგებულია, როგორც დიდი და მრავალერინი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში, გარდა საკუთრივ საბერძნეთისა, მრავალი სხვა ქვეყანაც შედიოდა, როგორც მაგალითად: კაბადოკია, პაფლაღონია, თრაკია, მაკედონია, პონტო და სხვაც. პოლიტიკური თვალსაზრისით, ისინი ყველანი ერთად შეადგენენ საბერძნეთის ქვეყანას ანუ ბიზანტიას. მაგრამ არცერთი მათგანი, ცალკე აღებული (მათ შორის პონტოც) საბერძნეთი არ იყო და საბერძნეთს არ უდრიდა. ხოლო ასეთ შემთხვევაში, საჭიროა ვიკითხოთ, როგორ შეეძლო ქართველებს პონტოს მოსახლეობისათვის „ბერძნები“ ეწოდებინათ? თუ პონტოს მოსახლეობას ქართველები ბერძნებად მიიჩნევდნენ, მაშინ საკითხავია, რას უწოდებდნენ ისინი საკუთრივ საბერძნეთის მცხოვრებთ? სამწუხაროდ, აკად. გ. მელიქიშვილის თეორია ანალოგიურ საკითხებზე ვერ იძლევა დამაკმაყოფილებელ პასუხებს. ჩვენი დაკვირვებით, გაუგებრობის მთავარი წყარო იქ, იმაში მდგომარეობს, რომ აკად. გ. მელიქიშვილი სარგებლობს რა, ფარნავაზისა და ვახტანგის დროინდელ ლაშქრობათა პონტოს მიწა-წყლით ლოკალიზაციის ფაქტით, სათანადოდ არ განიხილავს იმ მიზეზებს, რომლებმაც აღნიშნული ლოკალიზაცია განაპირობეს. საკითხი, თუ რა იყო მიზეზი აღნიშნულ სამხედრო მოქმედებათა ასეთი ლოკალიზაციისა, მოხდა ეს იმიტომ, რომ პონტო მართლაც საბერძნეთს უდრიდა და მისი დაკავებით მთელი საბერძნეთი უკვე დაპყრობილი იყო და იქ სხვა არაფერი ჩანდა გასაკეთებელი, ან ამ შემთხვევაში სავარაუდებელია საპირისპირო ფაქტორების უქუქოქმედებაც, რომლებმაც სამხედრო მოქმედების ასეთი ლოკალიზაცია, ორივე შემთხვევაში, გარდუვალად გამოიწვიეს, ჩვენი მკვლევარისათვის, სამწუხაროდ არ არსებობს.

მაგრამ თუ ადამიანი მთლიანად წაიკითხავს აქ დასახელებულ წყაროებს და მათ მითითებასაც გულდასმით ჩაუკვირდება, ადვილად დარწმუნდება, რომ ორივე შემთხვევაში საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო მოქმედებათა პონტოს მიწა-წყლით შემოფარგვლა პონტო-საბერძნეთის იგივეობის გამო კი არ მომხდარა, არამედ სულ სხვა მიზეზით ყოფილა გამოწვეული. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე:

ფარნავაზის დროს, ქართველები როგორც ცნობილია ბერძენ-დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ. განმათავისუფლებელ ბრძოლაში მათ გაიმარჯვეს, მოკლეს აზო, თავიდან მოიშორეს ბერძენთა უღელი და დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას შეუდგნენ. ასე, რომ, მაშინ ქართველთა შეჭრა საბერძნეთში გამოწვეული იყო გაქცეული მტრის უკან დადევნების საჭიროებით. ქართველები შეიჭრნენ საბერძნეთის საზღვრებში, ააოხრეს მოსაზღვრე ქვეყნის პონტოს რამდენიმე ქალაქი და სწრაფად დაბრუნდნენ უკან. სხვა მიზანი, საბერძნეთის მიწა-წყალზე მათ მაშინ არ ჰქონდათ და არ შეიძლებოდა რომ ჰქონოდათ.

რაც შეეხება საბერძნეთის წინააღმდეგ ქართველ-სპარსელთა გაერთიანებული ლაშქრობის ამბავს, მას გაცილებით უფრო შორს მიმავალი მიზნები

¹ „ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქვეყანასა საბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მაკედონი, ძე ნიკტანებისა, მეგუბტელისა, ვითარცა წეროლ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“—ქართლის ცხოვრება, წ. 1, თბილისი, 1955, გვ. 17.

უჩანს. ამ მხრივ, ის უთუოდ განსხვავდებოდა ფარნავაზის მეთაურობით მომხდარ ლაშქრობისაგან. აკად. გ. მელიქიშვილი აქ რატომღაც ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას, რომ ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგის დროს, მოკავშირეთა (ქართველ-სპარსელთა) ლაშქარმა, მართალია, პონტო აიღო და მისი ქალაქები დაიკავა, მაგრამ ის პონტოში არ შეჭერბეჭეულა და ამის შემდეგაც განაგრძობდა შეტევას. მემბტიანე აკვიწებს რა, მოკავშირეთა სამხედრო მოქმედებას პონტოში, დასძენს: „და მიუწია ლაშქარმა ვიდრე ქალაქისა მის კონსტანტინისა“¹, ე. ი. მაშინ როდესაც ქართველ-სპარსელები პონტოს იკავებდნენ, მათი ლაშქრის ცალკეული (ალბათ მოწინავე) ნაწილები უკვე ქ. კონსტანტინეპოლს უახლოვდებოდნენო. ხოლო ამ მითითების მიხედვით, ვფიქრობთ, ხსენებული ლაშქრობის მიზანი და მიმართულებაც საკმარისად ირკვევა: მოკავშირეთა ლაშქარი გარკვეულად კონსტანტინეპოლისაკენ მიიწვედა. ასე რომ, მოკავშირეთა მიერ პონტოს დაკავება ტაქტიკურ აპრიორულუბას წარმოადგენდა მხოლოდ (გზა იყო), თორემ მათ ლაშქრობას საბერძენეთში მაშინ გაცილებით უფრო დიდი ამოცანები ჰქონია დასახული. ამ მხრივ, კიდევ უფრო დამაფიქრებელია ის საპასუხო ღონისძიება, რომელიც ჯუანშერის მიხედვით, ბერძენთა მხარეს განუხორციელებია ქართველ-სპარსელთა აღნიშნულ ლაშქრობასთან დაკავშირებით. მემბტიანის სიტყვით, როგორც კი ვახტანგი და მისი მოკავშირენი პონტოში გამოჩნდნენ, „სპანი ბერძენთანი შემოვიდეს კონსტანტინეპოლედ“. ამის შემდეგ, თვით „კეისარი შემოვიდა კონსტანტინედ და წარმოავლინა ხუთასი დროშონი, რომელსა შინა ისხდა ხუთას-ხუთასი კაცი და უბრძანა, რათა მიეახლნენ ვახტანგს და დადგენ თჯნიერ ბრძოლისა. და წარმოემართა კეისარი გზასა პონტოსასა რეასი ათასითა კაცითა“². ვინ შეიძლება ვიგულისხმობთ აქ მოხსენებული „სპანი ბერძენთანი“ სახით? ვფიქრობთ, ძალიან ძნელია აქ პონტოს მოსახლეობა, ან მისი ლაშქარი იქნეს ნაგულისხმევი, თუ აქ მოხსენებული „სპანი ბერძენთანი“ პონტოელები არიან, მაშინ საკითხავია: რა უნდოდათ მათ კონსტანტინეპოლში, ან რით უნდა იქნეს გამართლებული პონტოელთა შემოსვლა „კონსტანტინეპოლედ“ მით უფრო მაშინ, როდესაც მტერი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიდიოდა და სწორედ აქედან უტევდა საბერძენეთს? უეჭველია, აქ მოხსენებული „სპანი ბერძენთანი“ მთელი საბერძენეთის, ანუ ბიზანტიის ლაშქარია, რომელიც პონტოში მოკავშირეების შეჭრის დროს კონსტანტინეპოლში არ ყოფილა, არამედ სადღაც სხვაგან. მაგრამ გაუგია თუ არა მტრის შემოჭრის ამბავი ის მყისვე დაბრუნებულა დედაქალაქში და იქიდან მიუღია საპასუხო ზომები. ამგვარად, ირკვევა რომ, ვახტანგისა და მის მოკავშირეთა სამხედრო მოქმედება პონტოში, ეს მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო უფრო დიდი ომის მოსაგებად. მაგრამ მოსალოდნელი დიდი ომი ბერძენებთან არ მოხდა იმიტომ, რომ ბერძენთა დიპლომატიამ, როგორც ჯუანშერი იუწყება, შეძლო ვიღაც ბეტრე მღვდლისა (თითქოს გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფე) და სამოელ მონაზონის სახით ვახტანგთან საერთო ნების გამოახვეა და მასთან ზავის დადებაც. ვახტანგი გამოეთიშა ბერძენთა წინააღმდეგ მებრძოლ კოალიციას და განზე დადგა. ამის შემდეგ ბერძენებისათვის, რასაკვირველია, ძნელი არ იყო დანარჩენთა დამარცხება.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, გვ. 160.

² იქვე, გვ. 170—171.

ასე რომ, ხსენებული ლაშქრობა თუმცა საბერძნეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ აღნიშნული გარემოების გამო, არც ამ შემთხვევაში გასცილებია პონტოს საზღვრებს.

ასე ხდებოდა ხშირად იმიტომ, რომ პონტო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (უკიდურესი განაპირა კუთხე) ფარის დანიშნულებას ასრულებდა ბიზანტიის იმპერიისათვის. საბერძნეთის წინააღმდეგ, შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე დაძრული ყოველი ლაშქრობა, ბუნებრივია, პირველ რიგში პონტოს ეხებოდა და იქიდან იწყებდა საბერძნეთის აოხრებას. საბერძნეთი, ცხადია, თავის მხრივ ცდილობდა პონტოში შემოჭრილი მტერი იქვე დაემარცხებია და მისთვის არ მიეცა სამხედრო მოქმედების გაფართოების საშუალება. ამიტომაც, ხშირად პონტოში დაწყებული ლაშქრობა იქვე პოულობდა თავის დასასრულსაც.

ასე რომ, ბერძენთა წინააღმდეგ მიმართული, ამა თუ იმ სამხედრო მოქმედების პონტოს მიწა-წყლით ლოკალიზაციის ფაქტი, თავისთავად, არ წარმოადგენს საკმაო საფუძველს პონტო-საბერძნეთის იგივეობის შესაწყნარებლად და ამ მიზნით ის არც შეიძლება გამოყენებულ იქნას.

რაც შეეხება, ქართული წყაროების იმ ბერძენ-დამპყრობლებს, რომელთა წინააღმდეგ აჯანყებასა და „გააფთრებულ ბრძოლაში“ ქართველებმა ფარნავაზის მეთაურობით, მართლაც, მოიპოვეს თავისუფლება და თავისი სამეფო შექმნეს, არიან ნამდვილი ბერძნები (ერთგან ისინი პრომაიელებადაც იხსენიებიან) მოსულნი საბერძნეთიდან და დატოვებულნი აქ თითქმის ალექსანდრე მაკედონელის მიერ. სულ სხვა საქეა, შევიწყნარებთ თუ არა ჩვენ თქმულებას ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ძველქართველ ავტორებს ეს ფაქტი სჯერად და ქართული წყაროები ამას დაბეჯითებით დაჟღერებენ.

მაგრამ, თუ ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია არაფერს ლაპარაკობს პონტოს მოსახლეობის ბერძნებად მიჩნევის სასარგებლოდ, ზოგიერთი საგულისხმო მითითება იქ, ხსენებული მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ, უთუოდ მოიპოვება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჯუანშერის ერთი ცნობა, რომელიც საბერძნეთში ქართველ-სპარსელთა იმავე გაერთიანებულ ლაშქრობას ეხება და ამ უკანასკნელის ერთ საგულისხმო ეპიზოდს გადმოგვცემს. ჯუანშერის სიტყვით, როცა მოკავშირეთა ლაშქარი პონტოში შეიჭრა და ანძიანძორი დაიკავა, „სადა უკვე აწ არს საულავი დიდისა მოძღურისა გრიგოლისა“, მოლაშქრებმა იქ თურმე დაიწყეს მოწესეთა (ბერების) და ეკლესიის სხვა მსახურთა შეპყრობა და მათი ხოცვა-ჟლეტა. ვახტანგს აუკრძალავს მათთვის ასეთი საქციელი და მათი დამოძღვრის მიზნით ერთი ასეთი ამბავიც წარმოუთქვამს: „მამის მამა ჩემი მირიან, ოდეს შემოჰყვა მეფესა სპარსთასა, ძმისწულსა თჳსსა, ბრძოლად ბერძენთა ზედა, ესე ვითარსა უყოფდეს მოწესეთა და ეკლესიისა მსახურთა და იძლევენეს ძლევეთა ბოროტითა ურიცხუნის სპანი მცირეთა ლაშქართაგან. მიერთგან მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართვეთაგან, აღმოსავლით ღზსა ამისა“ (ხაზი ჩვენია, კ. გ.) უთქვამს მას¹. აქედან ირკვევა, რომ ქართველ-სპარსელთა

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. 1, თბილისი, 1955, გვ. 160.

გაერთიანებულ ლაშქრობას საბერძნეთის წინააღმდეგ უფრო ადრეც, მირიან მეფის ზეობაშია (IV საუკ. 1 ნახევარი) ჰქონია ადგილი¹ (საგულისხმოა, რომ ვახტანგ გორგასალი მირიან მეფეს თავის „მამის მამად“ ანუ პაპად მიიჩნევს) ირკვევა ისიც, რომ მოკავშირეთა ლაშქარს მირიანის დროსაც ქალ. ანძიანძორი აულია (ეტყობა ეს ქალაქი მართლაც გზაზე მდებარეობდა, რომ ვერც ერთი ლაშქრობა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართული, მას ვერ აცდებოდა) და ისინიც, როგორც ამ ცნობაშია ნათქვამი: „ესე ვითარსა უყოფდეს მოწყესთა და ეკლესიის მსახურთა“ ე. ი. ისინიც თურმე იჭერდნენ ბერებს და ეკლესიის მსახურთ და ხოცავდნენ წათ. უთუოდ საგულისხმოა ვახტანგის დარიგების მომდევნო ნაკვეთი, სადაც საუბარია სამხედროთა ხსენებული მოქმედების შედეგების შესახებ „იძლივნეს ძღვევითა ბოროტითა ურიცხუნი სპანი (იგულისხმება—მოკავშირეთა, კ. გ.) მცირეთა ლაშქართაგან“.

ასეთი ისტორიული ექსკურსით, ცხადია, ვახტანგს სურდა გაეზარათლებინა საკუთარი სეპარატული მოქმედება პონტოში, მაგრამ ეს აქ მთავარი არ არის, ჩვენთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ვახტანგის მიერ იმ შედეგების დადასტურება, რომელიც მოჰყოლია თურმე, ქართველთა დამარცხებას მირიანის ზეობაში. აბა გულდასმით ჩაუკვირდეთ ვახტანგის მიერ აქ ნათქვამ სიტყვებს: „მიერითგან მიიღეს საზღვარი ესე ბერძენთა ჩუენ, ქართველთაგან, აღმოსავლით ზღვსა ამის“ ეუბნება ვახტანგი თავის მსმენელებს (ხაზი ჩვენია—კ. გ.) ეს იმას ნიშნავს, რომ იმ დროიდან წაულიათ ბერძნებს ეს ქვეყანა (პონტო) „აღმოსავლეთით ზღვსა ამის“ ქართველებისაგან. ასე რომ, ჯუანშერის მიხედვით, პონტო დასაბამიდან ქართლისა ყოფილა, იგულისხმება ქართველებით დასახლებულნი: მხოლოდ მირიანის ზეობაში მომხდარი მარცხის შედეგად, ის ქართლს დაუკარგავს და ეს ოდინდელი ქართული მიწა-წყალი ბერძენთა ხელში გადასულა.

ჩვენ, რასაკვირველია, შორს ვართ იმ აზრისაგან; თითქოს ქართველი მემკვიდრის მიერ აქ მოთხოვნილი ლაშქრობისა და მისი დეტალების შეწყნარება ასე ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ ამ ცნობის მიხედვით, ჩვენ უთუოდ შესაძლებლად მიგვაჩნია ხმამალა ითქვას: XI საუკუნის მოწინავე ქართველ საზოგადოებას ისტორიული პონტოს მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ სრულიად გარკვეული წარმოდგენა ჰქონია: ეს კუთხე მაშინ ქართლის ოდინდელ ნაწილად და მაშასადამე, ქართველებით დასახლებულ ქვეყანად ყოფილა მიჩნეული. როგორც ვხედავთ, ჯუანშერის ეს ცნობა სწორედ იმ დებულების წინააღმდეგ მეტყველებს, რომლის დასადასტურებლად ის აკად. გ. მელიქიშვილთან მოხმობილია.

ჩვენი დაკვირვებით, არც მოსე ხორენელთან მოიპოვება არაფერი საიმედო აკად. გ. მელიქიშვილის შემოაღნიშნულ მოსაზრებათა სასარგებლოდ. განვიხილოთ ამ მხრივ, მოსე ხორენელის თხზულების სწორედ ის

¹ სწორედ, ეს ლაშქრობა უნდა ჰქონდეს მხედველობაში ლეონტი მროველს. როდესაც ის თავის თხზულებაში აღნიშნავს: „და მათ ჟამთა შინა იყო შესლვა მირიან მეფისა და მმისწყლისა მისისა, დიდისა სპარსთა მეფისა საბერძნეთად, ოდეს კოსტანტინე ბერძენთა მეფემან ძალითა ქრისტესითა და წინამძღურებითა ჯუარისათა იოტანა მეფენი და სპანი მათნი ურიცხუნი მოსრნა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955, გვ. 95).

ცნობები, რომელიც პატივევმულ მეცნიერს თავისი თეორიის გასამაგრებლად აქ გამოყენებული აქვს. მოსე ხორენელის „ომხეთის ისტორიის“ მეორე წიგნის მერვე თავში, სადაც საუბარია სომხეთის მეფის ვალარშაკის მიერ თავის საბრძანებლის ჩრდილო მხარეთა სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, სიტყვა-სიტყვით ნათქვამია შემდეგი:

„ჩაკ უზუქქმ ქცრჩნს ჴაქათაჲ
 ჴოქმანსაკუ ჩქაქითუ ჴორუქ ყმბხ
 ჳიორ აიყნ, ხ ჴარაჲყსათქსანს
 ანანს ჴორუჲჲ რქსაქუ ჴოქარაჲყ-
 სიჲ, ირ ჴრ ქსაქ ქ ჳასაქქ შჩრქჲ-
 თაჲ, ჴარჩჩხ ჴასარარჩ. ჳორ ამბსაქ
 სიქსტანჳიქქ ქიოჲ ქქსანს ქ ქსრაჲ
 ჳქრქქსანს ქ ქსრქაჲსიჲჲ აიჳაჲყნ,
 ჳორ ჴამ ჴარაჲჳიჳიჳიოჲ...“¹

„ხოლო კავკასიის მთების პირისპირ
 მდებარე მხარის მმართველად დანი-
 შნა მან დიდი და ძლიერი ტომი,
 რომლის მამათაჲვარს მან სახელად
 გუგარქთა პატიახსი უწოდა. ის გამო-
 სული იყო დარიოსის ერისათვის მიპრ-
 დატის ტომისაჲგან, რომელიც მოიყუ-
 ნა ალექსანდრემ და დააყენა მართვე-
 ლად ნაბუქოდონოსორის მიერ ტყვედ
 წასხმულ იბერიელებზე“.

დიდი სომები მემატიანე ამ დებულებას მეორე შემთხვევაშიც იმეორებს კერძოდ, სომხეთის მეფის არტაშეს I მოღვაწეობის აღწერასთან დაკავშირებით, იქვე, რამოდენიმე გვერდის შემდეგ იუწყება:

„ჩაჲყ ყჳითორ ქჳრ ჳქრათაჲ-
 მაქ თაქ ჳჩნ შჩრქჲთაჲჲ თამბნ
 Ⴖრაჲ რქსაქქ მბბჩ, ირ ჴრ ქ ჳასა-
 ჳქ შჩრქჲთაჲჲ, ჴარჩჩხ ჴასარარჩ,
 ჳორ ჴაჲოჲსაქ ჴრ სიქსტანჳიქქ ქ
 ქსრაქ ჳქრქქსანს Ⴖსრქაჲსიჲჲ აქსა-
 რჩნს, ირჳქსი ჳათაჲჲ Ⴖთამბსჳარ...“²

„ხოლო თავისი ქალიშვილი-არტაშესა
 მიათხოვა მან ვინმე მიპრდატს, ქართ-
 ლის დიდ პიტიახშს, რომელიც იყო
 დარეშის ნახარარის მიპრდატის ნათე-
 სავთაგან, რომელიც დააყენა ალექსანდ-
 რემ [მმართველად] ტყვედ წასხმულ
 იბერიელთა ქვეყანაში, როგორც ეს
 ჩვენ უკვე ნათქვამი გვაქვს“.

მოსე ხორენელის, აქ აღნიშნულ ორივე ცნობას აკად. გ. მელიქიშვილი კარგად იცნობს და როგორც ზემოთ დავინახეთ, ისინი მას ციტირებული აქვს კიდევ. სწორედ ამ ცნობების მიხედვით ფიქრობს მკვლევარი, რომ აქ ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლის დაპყრობა და იქ მმართველად მიპრდატი-აზოს დადგენა იგულისხმებოდა. მისი სიტყვით: Согласно Моисею Хоренскому, Александр Македонский ставит правителем над иверинцами «сатрапа (персидского царя) Дареха Михрдата». Ясно, что источником армянского историка в данном случае является то же сказание, которое выступает перед нами в древнегрузинской хронике «Мокшевай Картлисай» в виде сказания о сыне царя Ариан-Картли Азо — «первом царе в Михрета», поставленном Александром Македонским... Поэтому, заслуживает внимания сообщение древнеармянской традиции, которая в качестве родоначальника правящей династии Иберии рассматривает «Михрдата, сатрапа (персидского царя) Дареха»³ ამასთან ერთად, დამახასიათებელია ისიც, რომ აკად. გ. მელიქიშვილს მართებულად ეჩვენება მკვლევარ პ. ინგორო-

¹ შაქსის სერსნაჲიჲ. შათ. ჳაჲიჲ, შჩქჲს. 1913, გვ. 114

² იქვე, გვ. 121.

³ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 277.

ყვეს დაკვირვება, რომელსაც სწორედ მოსე ხორენელის მიხედვით „არშაკსა და არტაგს შორის ქართლის მეფეთა სიაში შეაქვს მითრიდატე (I)-ის სახელი“. ხოლო, თავის მხრივ, ამას პატივცემული მეცნიერი დასძენს, — ჩვენ ამ მითრიდატეზე, როგორც ალექსანდრე მაკედონელის მიერ იბერიის მმართველად დაყენებულ „დარხის სატრაპზე“, ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი და დავასკვნით, რომ აქ საქმე ეხება ქართული წყაროების აზოს შესატყვის ფიგურას. ამას ხაზს უსვამს თვით პ. ინგოროყვა¹. ამგვარად, იმის მივიერ, რომ აკად. გ. მელიქიშვილს შეეჯერებია მკვლევარ პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმული მოსაზრების საფუძვლიანობა და ერთგვარი კრიტიკული მიდგომა გამოიჩინა მისდამი, ის მხოლოდ ქრონოლოგიური შესწორებით დაკმაყოფილდა, სხვა-მხრივ, ის მთლიანად ეყარება მას და ძალაუწებურად სხვისი შემცდარი დებულებების მოზიარე და დამცველი ხდება.

გუტიკობთ, მოსე ხორენელის ამ ცნობებზე, მცირეოდენი დაკვირვება საქმარისია ინგოროყვა—მელიქიშვილის მოსაზრებათა სრული უსაფუძვლობის წარმოსახენად. დაკვირვების შემთხვევაში აღამიანი ადვილად დარწმუნდება, რომ დიდ სომეხ მემატიანესთან საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ტყვე იბერიელებს ეხება და არავის სხვას (*... ჩ ქსრაც ყსრატქსანს ჩ ქსრც აყყყყს...*).

მოსე ხორენელის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს მიჰრდატი ნიშანდობლივ ტყვე—იბერიელთა მმართველად დაუდგენია და არა ზოგადად იბერიელებისა, როგორც ამას აკად. გ. მელიქიშვილი ფიქრობს. ამასთან ერთად, სომეხ მემატიანეს ამ ტყვე იბერიელთა ვინაობაც საკმარისად გარკვეული აქვს. მისი სიტყვით. ისინი ის იბერიელები ყოფილან, რომელნიც ბაბილონის მბრძანებელს ნაბუქოდონოსორს წაუყვანია ტყვედ და ახალ საბინადრო ადგილზე დაუსახლებია².

განსაკუთრებით საგულისხმო მოსე ხორენელთან ის გარემოებაა, რომ მას არა მარტო იბერიელთა ტყვეობის ამბავი, არამედ მათი ახალი საბინადრო ადგილიც მითითებული აქვს. ყოველშემთხვევაში, მისი წყალობით, დამაჯერებლად ირკვევა იმ ქვეყნის ადგილმდებარეობაც, სადაც ნაბუქოდონოსორს ტყვე იბერიელები დაუსახლებია. სწორედ ამ ამბის (იბერიელთა ტყვეობა) დასადასტურებლად სომეხ მემატიანეს თავისი წყარო, ამ შემთხვევაში, ბერძენი ისტორიკოსის—აბიდენოსის თხზულების ერთი ადგილი მთლიანად მოტანილი აქვს³. მასში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია:

აჩხბაიერს საროყყიზითაო „უძლველი ნაბუქოდონოსორი ჰერაკი-
იო მძყნაიერს ღრ ჟან ვსრატქსა, ჩ ლეზე უფრო ძლიერი იყო. მან შეაგ-
ქსრცყიყე ჩ ქსრცყიყე აჯსარს როვა ჯარი, თავს დაესხა ლიბულთა

¹ გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბილისი, 1958, გვ. 148.

² იგულისხმება ნაბუქოდონოსორ II, რომელიც მეფობდა ბაბილონში 604—562 წლებში (ძვ. წ.). ის მართლაც ცნობილია თავისი ომებით წინააზიაში. ერთ-ერთი ლაშქრობის დროს მას აუღია და დაუნგრევია იუდეელთა დედაქალაქი იერუსალიმი—588 წელს (ძვ. წ.).

³ აბიდენოსი ძველი ბერძენი ისტორიკოსი ყოფილა. მას ანტიონინების ხანაში (II საუკუნე, ჩვ. წ.) უცხოვრია, დაუწერია ასურეთისა და ქალდეების ისტორია. ამჟამად, ორივე თხზულება დაკარგულად ითვლება და მათი შინაარსის შესახებ მხოლოდ სხვა ავტორთა თხზულებებში აქა-იქ შემორჩენილი ფრაგმენტებით თუ შეიძლება ვიჭინოთ წარმოდგენა.

ფორაძიძე ქსელ ჩაასანურს და ქანსელ და იბერიელთა ქვეყანას, ააოხრა და ქსანსელს ენე ბიხაძე ნოაძეს. და დაიპყრო ის. მათი ერთი ნაწილი წაიყვანა და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე დასახლა; და იბერია მდებარეობს ქვეყნის დასავლეთ ნაპირას¹.

ამგვარად, აბიდნოსის აწ დაკარგული თხზულების ამ ფრაგმენტის წყალობით ირკვევა, რომ „ტყვე იბერიელები“ ნაბუქოდონოსორს წაუყვანია და პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროზე დაუსახლებია.

თუ ჩვენ ვავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ პონტოს ზღვა იგივე შავი ზღვაა, ხოლო მის მარჯვენა მხარედ ძველი ბერძენი ავტორები, ხსენებული ზღვის სამხრეთ სანაპიროს მიიხსენებდნენ, ჩვეულებრივ, აშკარა იქნება, რომ ქართველთა ეს ახალი ადგილ-სამყოფელი, რომელიც მათ თითქოს ნაბუქოდონოსორისაგან მიუღიათ, ისტორიული პონტო ყოფილა, რომელიც შავი ზღვის სწორედ აღნიშნულ სანაპიროზე მდებარეობდა და რომლის ყოფ. მიწა-წყალზე ქართული მოსახლეობის კომაქტურმა ნაშთებმა მოაღწიეს თითქმის ჩვენ დრომდე².

თუ აბიდნოსის ხსენებული ცნობა, ასე უნდა იქნეს გაგებული, ხოლო მისი სხვაგვარი გაგებისათვის ჩვენ არ გავგაჩნია არავითარი საფუძველი, მაშინ აშკარაა: ღმოსე ხორენელის საუბარი მმართველად მიპრდატის დაყენების შესახებ ნიშანდობლივ პონტოს სამეფოს, ანუ „ტყვედ წასხმულ იბერიელთა“ ქვეყანას გულისხმობს; დარეპის ნახარარი მიპრდატი ალექსანდრე მაკედონელს პონტოში დაუდგენია მმართველად და არავითარი სხვა კონიუქტურა ამ შემთხვევაში მოსე ხორენელთან ნაგულისხმევი არ არის. მაგრამ თუ ეს ასეა, ხომ აშკარაა, დიდ სომეხ მემატრიანეს აქ ისტორიული სინამდვილე ჰქონია გარკვეულად აღნიშნული და ამ შემთხვევაში, პონტოს სამეფოს წარმოქმნა აქვს მხედველობაში. მართლაც სპეციალურ ლიტერატურაში დიდი ხანი ცნობილია დარიოსის ვიღაც ერისთავის, თუ მისი ნათესავის—მიპრდატის მეთაურობით პონტოს განთავისუფლებისა და მისი ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბების ფაქტი³. მართალია, ეს უკანასკნელი ალექსანდრე მაკედონელის ზეობაში მომხდარი არ არის. მაგრამ ის არც ისე დიდხნითაა დაცილებული ალექსანდრეს მოღვაწეობის ხანას. ყოველშემთხვევაში, პონტოს სამეფოს ჩამოყალიბება ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაცემის შედეგებთან უმეფეოდ დაკავშირებული მოვლენა ჩანს.

რადგანაც საუბარი მოსე ხორენელთან მხოლოდ პონტოს ეხება და—მცხეთის იბერია, საერთოდ, ნაგულისხმევი არ არის, აშკარაა, აზო—მიპრდატის გაიგივება, როგორც ამას აკად. გ. მელიქიშვილი იწყნარებს, გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. მიპრდატი, არავითარ შემთხვევაში, ქართული წყაროების აზო არ არის. ვარდა იმისა, რომ ისინი სხვადასხვა პირები ჩანან, რაც მთავარია, სხვადასხვა ქვეყნის მმართველებად გვევლინებიან წყაროებში: მიპრდატი ალექსანდრეს პონტოში („ტყვე იბერიელთა“ ქვეყანაში)

¹ Иццихис სორენაცი. «Самодельная история», Спб. 1913, გვ. 114

² М. И. Максимов, Античные города юго-восточного Причерноморья, Москва—Ленинград, 1956, გვ. 32.

³ Б. А. Тураев, История древнего Востока, II, С.—Петербург, 1913, გვ. 298.

დაუყენებია მმართველად, აზო კი, იმავე ალექსანდრეს მიერ მცხეთის იბერიისაში დადგენილი ჩანს.

ის ფაქტი, რომ ორივე შემთხვევაში (პონტოში და ქართლშიაც) მმართველის დამდგენელი ალექსანდრე მაკედონელია, უთუოდ ღირსია ყურადღებისა, მაგრამ ეს გარემოება, ოდნავათაც კი, საკმარისი არ არის ამ ორი ქვეყნის იგივეობის შესაწყნარებლად. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შესაძლებელია საუბარი იყოს მოარულ-სიუჟეტურ მოვლენებზე, რაც ხალხთა ისტორიაში, განსაკუთრებით კი, უძველეს პერიოდისათვის, არც თუ ისე იშვიათია. ასეთი ანალოგიები, შესაძლებელია, მიუთითებდეს საერთო წყაროს არსებობაზედაც, როგორც ქართლის ისე პონტოს ადრინდელი ისტორიისათვის. მაგრამ, ამის მიხედვით, მმართველ პირთა (აზო—მიპრდატი) თუ ქვეყნების (პონტო-ქართლი) იგივეობაზე საუბარი, როგორც სრულიად უსაფუძვლო, შეუწყნარებელია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ქართულ-სომხური წყაროების ასეთ მითითებას აკად. გ. მელიქიშვილიც ჩაუფიქრებია და ერთ ადგილას ის ცდილა კიდევ, თვალსაჩინოდ შეერბილებინა თავისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მისი სიტყვით: «Составляя древнеармянское предание о Митрилате—правителе Понта—с преданием, сохранившимся в древнегрузинской традиции о сыне царя Ариан-Картли Азо, можно думать, что „первым царем в Микета» стал не сам Митридат—правитель Понта, а находящийся в союзе с первыми понтийскими митридатами правитель страны Ариан—Картли»¹. რომ არიან ქართლის მეფის შვილი აზო, თითქოს, ალექსანდრე მაკედონელს მმართველად მცხეთაში დაუსვამს, ეს ჩვენ „მოქცევა ქართლისას“ წყალობით, კარგა ხანია ვიცოდით. მაგრამ როგორ შეუთავსდებდა ეს უკანასკნელი იმას, რასაც აკად. გ. მელიქიშვილი აქამდე ასე თავგამოდებით ამტკიცებდა: აზო—მიპრდატის იგივეობის შესახებ, ეს ჩვენთვის სრულიად გაუგებარია. ყოველ შემთხვევაში, ცხადია, ეს ორი თვალსაზრისი, არამარტო ეწინააღმდეგება, არამედ გამორიცხავს კიდევ ერთი მეორეს.

მართალი არ არის აკად. გ. მელიქიშვილი, როდესაც ის ლეონტი მროველთან მოხსენებულ ბიზანტიოსის „პონტოს მმართველად“ მიიჩნევს. აღნიშნული შეცდომა მით უფრო სამწუხაროა, რომ ბიზანტიოსის ვინაობა ქართველ მემბტიანესთან ზედმიწევნით გარკვეულია. ბიზანტიოსი იქ, ერთი იმ ოთხტომთაგანი ჩანს, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელმა სიკვდილის წინ, თითქოს, თავისი საბრძანებელი გაუნაწილა და თითოეულს თავისი ხვედრი ჩააბარა. ლეონტი მროველის სიტყვით, ალექსანდრემ „ბიზანტიოსს მისცა საბერძნეთი და ქართლი და უჩინა კერძო ჩრდილოსა და მოუწერა წიგნი აზონ პატრიკსა, ერისთავსა ქართლისასა, რათა მსახურებდეს იგი ბიზანტიოსს და მან აღაშენა ქალაქი ბიზანტია, რომელსა აწ ჰქვა კონსტანტინეპოლი“². ამგვარად, ბიზანტიოსს ხვედრად ალექსანდრესაგან საბერძნეთი და ქართლი მიუღია, მას აუშენებია ქალაქი ბიზანტია, რომელსაც ახლა კონსტანტინეპოლი ეწოდებოდა, იუწყება მემბტიანე. სწორედ ამიტომ, ალექსანდრეს აზოსათვის, რომელიც ქართლის გამგებელი იყო ბიზანტიოსის მორჩილება და სამ-

¹ Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тбилиси, 1959, გვ. 278.

² ქართლის ცხოვრება, I, გვ. 20.

სახური უბრძანებია. ვფიქრობთ, აქედან აშკარაა: ბიზანტიოსი, ლეონტი პროკელის მიხედვით, საბერძნეთის (ბიზანტიის) გამგებელი (მეფე) და ქ. კონსტანტინეპოლის ფუძემდებელია¹, ხოლო მენატიანის ესოდენ მკაფიო მითითების შემდეგ საკვირველია, თუ როგორ შეიძლება ბიზანტიოსის გამოცხადება პონტოს მმართველად, ან კიდევ ამ უკანასკნელის „ვასალ ხელისუფლად“.

მოსე ხორენელის „სომეხთა ისტორია“ და ამ უკანასკნელის წყალობით შემონახული აბიდენოსის აწ დაკარგული თხზულების ეს ერთი ფრაგმენტი ობიექტურად შეიცავს საგულისხმო მითითებას პონტოს ადრინდელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის შესახებ. თუ ნაბუქოდონოსორმა მის მიერ ტყვედ წასმული იბერიელები (ქართველები) პონტოში დაასახლა, საფიქრებელია, ამ უკანასკნელის მიწა-წყალზე, ქართველებს უნდა ეცხოვრათ და პონტო ქართველთა ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ხოლო ამით, ჯუანშერის ზემოაღნიშნული მითითებაც პონტოს მოსახლეობის ქართველობის შესახებ, ერთგვარ დამოწმებას პოულობს. მართალია, ისინი სხვადასხვაგვარად ხსნიან ქართველთა დამკვიდრებას პონტოს მიწა-წყალზე: აბიდენოსი და მოსე ხორენელი ამ მოვლენას ნაბუქოდონოსორის ლაშქრობას უკავშირებენ; ჯუანშერის მიხედვით კი, პონტო ოდითგან ქართველთა ქვეყანა ყოფილა. მხოლოდ მირიანის ზეობაში (IV საუკუნის პირველი ნახევარი) მომხდარი მარცხის შედეგად ქართლს ეს მხარე დაუკარგავს და ის ბერძენთა ხელში გადასულა. მაგრამ სულერთია, პონტოს მოსახლეობის ქართველობას სამივე ავტორი ერთხმად იწყნარებს. ასეთია, ყოველ შემთხვევაში, ის შთაბეჭდილება, რომელიც შესაძლებელია აღამიანმა მასალების მიხედვით მიიღოს.

აბიდენოსის თხზულების ხსენებული ფრაგმენტი ჩვენი დაკვირვებით მნიშვნელოვანია წინა აზიაში ქართველთა პირველსაცხოვრისთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკიხის გასარკვევადაც. საქმე ის არის, რომ იქ საუბარია ნაბუქოდონოსორის მიერ იბერიელთა ტყვედ წაყვანის შესახებ, ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: საიდან, რომელ იბერიიდან შეეძლო ბაბილონის მბრძანებელს ხსენებული ტყვეები წაეყვანა, ან რაც იგივეა, სად მდებარეობდა ქართველთა ანუ იბერიელთა ის პირველსაცხოვრისი, რომელსაც VI საუკუნეში (ძვ. წ.) დიდი უბედურება დასტყდომია თავს, მტრის თავდასხმა, აოხრება, დატყვევება და სხვა. სპეციალურ ლიტერატურაში (პონტოს გარდა) ქართველებით დასახლებული ორი ქვეყანაა ცნობილი: ამიერკავკასიის, ან მცხეთის იბერია, ე. ი. ქართლი და „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ მოხსენებული არიან ქართლის ქვეყანა. ასე რომ, ნაბუქოდონოსორს ტყვე იბერიელები შეეძლო ან მცხეთის იბერიიდან, ან კიდევ არიან ქართლის ქვეყნიდან წაეყვანა. მაგრამ პირველი, ჩვენი დაკვირვებით, აქ გამორიცხულ უნდა იქნას. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნაბუქოდონოსორის ლაშქრობა ასე ჩრდილოეთით—(ამიერკავკასიაში) საერთოდ, ცნობილი არ არის. გარდა ამისა, ასეთ ვარაუდს მხარს არ უჭერს თვითონ წყაროს ჩვენებაც. ამ უკანასკნელის მიხედვით, ქართველთა პირველსაცხოვრისი (საიდანაც ნაბუქოდონოსორს ტყვეები წაუყვანია) გეოგრაფიულად, პონტოს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა ჩანს, რადგან იქიდან დასავლეთისაკენ წაყვანილი ქართველები, უმე-

¹ საბერძნეთის ისტორიაში ბიზანტიოსი ცნობილია, როგორც ზღაპრული პიროვნება, მეგარელ ბერძენთა ერთ-ერთი ტომის მამამთავარი, რომელსაც თქმულებით, მიეწერება, ახალშენისა და ქალაქის დაარსება, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამჟამად ქ. კონსტანტინეპოლია.

შევოდ, პონტოს მიადგებიან და იქ ასახლებენ მათ. ხოლო მცხეთის იბერი-
 დან პირდაპირ დასავლეთისაკენ წასულნი (ტყვეები) პონტოში, რასაკვირ-
 ველია, ვერ მოხვდებოდნენ. ვფიქრობთ, აბიდენოსის ამ ცნობაში არიან-
 ქართლის ქვეყანა უნდა იგულისხმებოდეს. სწორედ იქიდან უნდა ჰყავდეს
 ნაბუქოდონოსორს წაყვანილი ტყვე იბერიელები. ასე რომ, ქართველთა პირ-
 ველსაცხოვრისი წინა აზიაში, ამ ძეგლის მიხედვით, არიანქართლი ჩანს.
 საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იქიდან წასულან ქართველები არა-
 მარტო პონტოში, არამედ მცხეთის იბერიაშიც. ასე რომ, არიანქართლი—
 მართლაც, ქართველთა თავდაპირველი საერთო საცხოვრისი ყოფილა. დღემ-
 დე ამ უკანასკნელის შესახებ, მსჯელობა ჩვენ მხოლოდ „მოქცევაჲ ქართლისა-
 ეს“ მიხედვით შეგვეძლო და ამიტომ ის ლეგენდარულ ბურუსში იყო გახვეუ-
 ლი. ამიერიდან, ამ პრობლემის შესწავლის საქმე, თითქოს, უფრო მტიკვე
 საფუძველზე დგება. მართალია, აბიდენოსთან არიანქართლი დასახლე-
 ბული არ არის, მაგრამ ის ნიშანდობლივ ნაგულისხმევია, ხოლო ეს გარემო-
 ება, ქართველთა პირველსაცხოვრისის პრობლემის შესწავლისათვის უთუოდ
 მნიშვნელოვანია.

ამის მიხედვით ირკვევა, რომ ქართველთა თავდაპირველი საბინადრო
 ადგილი წინააზიაში ყოფილა, საიდანაც მომხდარა მათი გადასახლება რო-
 გორც დასავლეთის, ისე ჩრდილოეთის მიმართულებით. არანალებ საგუ-
 ლისხმოა, ქართველთა ამ მიგრაციის ქრონოლოგიაც. ამ წყაროების მიხედვით
 ქართველთა გამოჩენას პონტოში უფრო ადრე ჰქონია ადგილი, ვიდრე
 მცხეთაში. პონტოში ისინი ბაბილონის მბრძანებელს ნაბუქოდონოსორს
 დაუსახლებია, მაშინ როდესაც მცხეთაში ქართველები ჩვენი წყაროების მი-
 ხედვით, ალექსანდრე მაკედონელის დროს მოსულნი ჩანან. ასევე, დღემდე
 ჩვენ ვიცოდით, რომ არიანქართლის ქვეყანა სადღაც წინააზიაში მდებარე-
 ობდა; ზოგიერთი მას, მდინარეების: ტიგროსის და ეფრატის სათავეებში
 დაეძებდა, მაგრამ რაზე იყო დამყარებული ასეთი ლოკალიზაცია არავინ
 იცოდა. ახლა კი, აბიდენოსის მითითების წყალობით, ჩვენ ხელთ არის ერთ-
 გვარი „ნიშანსეტი“, საგულისხმო ორიენტირი, რომელიც, თუ არ ვცდებით
 ხელს შეუწყობს ქართველთა პირველსაცხოვრისის ადგილმდებარეობის შემ-
 დგომი დაზუსტების საქმეს. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ეს უკანას-
 კნელი („არიანქართლი“) საიდანაც ნაბუქოდონოსორს ტყვე იბერიელები წაუ-
 ყვანია, პონტოს აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა ყოფილა. გარდა ამისა,
 ცხადია ისიც, რომ ეს ორი ქვეყანა (პონტო და არიანქართლი) საკმაო მან-
 ძილით ყოფილან ერთმანეთისაგან დაცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნა-
 ბუქოდონოსორის მიერ ტყვედ წაყვანილი ქართველების პონტოში დასახლებას
 როგორც იძულებით ღონისძიებას, ვფიქრობთ, დაეკარგებოდა ყოველგვარი
 აზრი. ყოველ შემთხვევაში, არიანქართლის მდებარეობა პონტოს მეზო-
 ბლად, როგორც ამას ფიქრობს აკად. გ. მელიქიშვილი, გამორიცხულად უნდა
 ჩაითვალოს.

რაც შეეხება, ქართველთა პირველსაცხოვრისის თავდასაველს, მის
 ისტორიულ წარსულს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ დღემდე ამის შესახებ
 სრულიად არაფერი ვიცოდით. ახლა კი, სწორედ აბიდენოსი-ხორენელის
 ცნობითგან ვგებულობთ რომ თითქოს, ადგილი ჰქონია, არიანქართლის
 ქვეყანაზე ნაბუქოდონოსორის თავდასხმას, რომლის შედეგად მას საშინელი
 აზრება განუცდია. თუ ასეთ რამეს, სინამდვილეში, მართლაც, ჰქონდა ად-

გილი, ცხადია; ეს VI საუკუნის პირველ ნახევარში (ძვ. წ.) უნდა მომხდარიყო. ამგვარად, არიანქართლის ქვეყანას ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნემდე უარსებნია და საფიქრებელია, სწორედ ხსენებული თავდასხმის შედეგად აღიგავა კიდევ პირისაგან მიწისა.

აი, საკითხთა, ის კომპლექსი, რომლის განხილვა-გაშუქებისათვის, აბიდენოსის თხზულების ეს ფრაგმენტი, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აბიდენოსის თითოეული ცნობა, მისი ყოველი მითითება ქართველთა უძველესი ისტორიის შესახებ ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა. აბიდენოსი თავისი საქმიანობით ისტორიკოსი ყოფილა. მას ანტონინების ხანაში (II ს. ახ. წ.) უცხოვრია და დაწერილი ჰქონია ასურეთისა და ქალდეების ისტორია. ასე რომ, მას რიგინად უნდა სცოდნოდა, წინა აზიის უძველესი ხალხებისა და, მათ შორის ქართველთა, ადრინდელი თავგადასავალიც. ყოველ შემთხვევაში, მას, ხსენებულ ხალხთა უძველესი ისტორიის შესახებ, მეტი ცნობები (წერილობითი) უნდა ჰქონოდა ხელთ, ვიდრე ეს ჩვენ დღეისათვის მოგვეპოვება.

ასეთია, ის უმთავრესი დასკვნები, რომელიც ჩვენი დაკვირვებით, აკად. გ. მელიქიშვილის მიერ მოხმობილ ქართულ-სომხური მასალებიდან გამომდინარეობენ. როგორც ვხედავთ, არც ერთი აქ აღნიშნული წყარო არაფერს ლაპარაკობს პონტოს მოსახლეობის ბერძნულად მიჩნევის სასარგებლოდ. პირიქით, ძველი ავტორები: აბიდენოსი, მოსე ხორენელი და ჯუანშერი პონტოს ქართველთა ქვეყნად აღცხადებენ და არც ერთ მათგანს მისი მოსახლეობის ქართველობა სადაოდ აღარ მიაჩნია. დარეჰის ნახარარი მიჰრდატი, რომელიც მოსე ხორენელის მიხედვით აღექსანდრე მაკედონელს „ტყვე იბერიელთა“ ქვეყანაში მმართველად დაუდგენია, ქართული წყაროების აზო არ არის და მათ გაიგივებას არ გააჩნია არავითარი საფუძველი. ქართლის სამეფო (ეგრისის მსგავსად) ისტორიულად პონტოსთან მეგობრული ძაფებით დაკავშირებული ქვეყანა ჩანს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ გვეგულება არც ერთი წყარო, რომელიც ისტორიულად პონტოს მიერ ქართლის დაპყრობაზე და აქ პონტოელთა ბატონობაზე ლაპარაკობდეს. მაშასადამე, დებულება ქართლის (იბერიის) სამეფოს პონტოსთან გააფთრებულ ბრძოლის პირობებში წარმოქმნის შესახებ სამწუხარო გაუგებრობის შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული და შეუწყნარებელია.

ინგლისელი ქართველოლოგი „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხების შესახებ

მ. ბაჟულაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ევროპულ ენებზე თარგმნა კვლავ პრობლემად რჩება. სრულფასოვანი თარგმანი, რომელიც ნათელ წარმოდგენას მისცემს ევროპელ მკითხველს გენიალური ქმნილების როგორც გარეგნულ მშვენიერებაზე, ისე მის ღრმა შინაარსზე, ჯერ კიდევ არ არსებობს.

იუნესკოს სპეციალური დავალებით ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი, ზექსპირის ენაზე „ამირანდარეჯანიანის“ მთარგმნელი და მკვლევარი რობერტ ჰ. სტივენსონი შეუდგა პოემის ინგლისურად თარგმნას. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის საკითხების შესახებ თავისი მოსაზრებანი, მან, ამას წინათ, გამოაქვეყნა პარიზის სამეცნიერო ქართველოლოგიურ ჟურნალში „Revue de Karthvéologie—Georgian and Caucasian studies“, 1960 წ. № 34—35.

მოგვყავს სტატიის თარგმანი ინგლისურიდან ზოგიერთი უმნიშვნელო შემოკლებით.

„იმ ინგლისელს, ვინც იცის და უყვარს „ვეფხისტყაოსნის“ დედანი, მისი პროზით თარგმნის აზრმა უნებლიეთ დიდი უკმაყოფილების გრძობა უნდა მოჰგვაროს. ამიტომაც ის, ვინც პოემის თარგმნას ჰკიდებს ხელს, შეეცდება ისეთი გზით იაროს, რომელიც მისი ნამუშევრის ერთგვარი გამართლება იქნება. ამ სტრიქონების ავტორიც განსაკუთრებით ეხება საკითხებს, რომელთაც აწყდება ინგლისელი მთარგმნელი, ამის გარდა წერილში მოყვანილი მოსაზრებანი შეიძლება უფრო ფართო მნიშვნელობისა გამოდგეს.

პირველი უხერხულობა, რაც მოსალოდნელია თვალში ეცეს პოემის პატივისმცემელ უცხოელს, შეიძლება შემდეგი იყოს: პოემაში ყველაზე არსებითია მისი ლექსთწყობა—შირი, პროზაული თარგმანი კი სრულიად უგულებელყოფს მარცვალთა ამ რთული სტრუქტურის მთელ თავისებურებას და დედნის რითმების დაღუპვასთან ერთად თავიდანვე უაზრობას ვლებულობთ.

ყოველი მთარგმნელი აღსავეს უნდა იყოს სურვილით მიჰბადოს დედანს, შესაძლებლობისამებრ შეუნარჩუნოს რიტმი და მუსიკალობა. სამწუხაროდ, ინგლისურში არა გვაქვს თექვსმეტმარცვლოვანი ტაეპი, ფლექსიებით ეგზომ ღარიბ ჩვენს ენას ვერც მოსთხოვ ოთხსავე სტრიქონში ერთნაირი (aaaa), ორ და სამმარცვლიანი რითმების ხმარებას. მკითხველს თუ სურს ამაში დარწმუნდეს, ასეთი უხერხო ლექსი შეიძლება ნიმუშად გამოდგეს (84):

They saw by the stream's side a stranger, on the bank sitting, weeping.
A horse the hero was holding; its reins lay still in his keeping.

On bridle, saddle, armour some hand, it seemed, pearls had had been
heaping.

Tears flowed down his cheeks, and from the depths of his heart
came sobs leaping.

თუ დავაკვირდებით ასეთ უნდილ მეტრულ მიმსგავსებას, შეიძლება დავსკვნათ, რომ რუსთაველის შაირის ტაეპები მეტწილად შედგება ქორეისა და დაქტილის ნარევისაგან. ამან მოსალოდნელია დაგვიბადოს აზრი, რომ ამ ტაეპების რიტმი ნაწილობრივ ჰეგზამეტრით შეიძლება გადმოიცეს. შევეცდებით ამ ზომით მოვიყვანოთ როსტევეანისა და აეთანდილის სანადიროდ წასვლის ამბავი (72—75):

Early next morning Avt'andil came. He was appareled in crimson:
Crystal-fair was his face; bright were his cheeks as a Badakhshan
ruby;

Golden his turban; white his steed; fine his sword's workmanship.
Now he invited

Araby's lord to come. Ready soon, Rostevan mounted his charger,
Forth will Avt'andil rode. Chose were the confines pressed on by
onlookers,

Hard on the hunting-ground. Warriors kept clear space for the
King's sport.

Great was the bustle and great the noise then! Monarch and vassal,
Rivals in slaughter, prepared for their wager to loose arrows,

Twelve of his men did the king command close to follow, supply
shafts,

Take careful note of the shots, and to reckon up hits to a total.
Countless, in droves, came antelopes, deer, goats, asses, close-thronging.

Rostevan went with his liege man in pursuit—sight, oh, most splendid!
Look on their archery, arrow and bow, and the arm so untiring!

მაგრამ ესეც უსარგებლოა. კლასიკურ ტაეპს სხვასთან შედარებით უფროდ უფრო ზუსტად შეუძლია გადმოსცეს რუსთაველის რიტმის მოძრაობა, მოახერხოს დაიპიროს კიდეც, მართალია სუსტად, ცხენთა ფლოკეების თქარათქურთ, რომელსაც დედანში ლექსის მუსიკა გამოხატავს. მაგრამ მაინც იძულებული ვართ კიდეც ერთხელ ვალიაროთ, რომ მცდარად მიგვაჩინა ყოველგვარი ცდა ინგლისური ენისათვის გრძელი მოთხრობის იამბის გარდა სხვა რომელიმე მეტრით გაღმკვსვისა, რასაც ენის ბუნებრივი რიტმი ასე მტკიცედ მოითხოვს.

რუსთაველის მთარგმნელისათვის, რომელსაც თავისი ენის ყველა რესურსის გამოყენების უნარი უნდა ჰქონდეს, ნაწილობრივ მაინც რომ გადმოსცეს დედნის ცხოველმყოფელობა, სიმსუბუქე, გადავიდეს თხრობიდან აღწერაზე, აღწერიდან ზნობრივ სწავლაზე და კვლავ თხრობაზე, — ყოველგვარი ცდა უცხო მეტრული ეფექტის გამოყენებისა ფრიალ საბედისწერო შეიძლება გამოდგეს.

რაც შეეხება იამბურ ლექსთწყობას, ასეთი ზომის ზოგიერთი ფორმა საპიროა უკუვადლოთ. უნდილი და მოსაწყენი რეამარცვლოვანი ტაეპი, ასე რომ უყვარდა რუსთაველის ბევრ ინგლისელ ახლო თანამედროვეს, სხვა ბრაფერში გამოდგება, გარდა მარტოოდენ თხრობისა და თანაც იგი ძალზე დიდი



ხანია ხმარებიდან გამოვიდა. სპენსერის სტანსი (ababbcbce) საკმაოდ მდიდა რია მისი Faerie Queene-ის (1589—96) წყალობით, იგი კარგად უდგება რაინდულ თავადასავლებს, მაგრამ იმის გამო, რომ ამ სტანსის ახასიათებს ტაეპების მოძრაობის მკაცრი კომპაქტურობა, ქართველი პოეტის შაირისათვის სრულიად შეუფერებელი გვეჩვენება. შაირის იდენტურობის დასაცავად, თუმცა მის ხასიათს უფრო ნაკლებად გადმოსცემს, შესაძლებელია პენტამეტრის გამოყენება რითმებით abab, მაგრამ ისეთი დიდი ზომის ნაწარმოები, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, ამან სრულ უხამსობამდე შეიძლება მიიყვანოს.

სულ მცირე დაფიქრებაა საჭირო, რომ თარგმნის სერიოზული შესაძლებლობანი იამბური პენტამეტრის ორ ფუნქციამდე დავიყვანოთ. ესენია: თეთრი ლექსი და გართიული ორტაეპიანი „საგმრო“ ხანა.

ელისაბედის დროიდან მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე თეთრი ლექსი იხმარებოდა როგორც ყველაზე დამახასიათებელი ფორმა ამაღლებული და საგმრო თემებისათვის. ის ფორმატ, რომელიც შექსპირმა და მილტონმა გამოიყენეს თავიანთი უდიდესი ნამუშევრებისათვის, შეიძლება ყველაზე შესაფერი ნიმუში გამოდგეს ქართველი პოეტის ინგლისურ ლიტერატურაში შესაყვანად. შევეცდებით ამ ზომით მოვიყვანოთ რუსთაველის პოემის პირველი პარის დასაწყისი ტაეპები.

In far Arabia, by the grace of God,
In great felicity ruled Rostevan.
A monarch he of lofty majesty
Of gifts most liberal, and temper mild,
Just, gracious, mighty, wise in arts of rule,
A warrior who knew no peer in fight,
Master of words of sounding eloquence,
Possessed of armies, and of vassals lord.

A single child, a daughter, had this king,
Whose radiant beauty the whole world suffused—
To nought could she be likened save the sun.
Those who beheld her straightway she bereft
Of heart and wits and soul: none but a sage
Armed with the power of myriads of tongues
Could e'er accord her the due meed of praise.
Her name was T'inat'in: let its renown
Spread to the furthest confines of the earth!
